ი. სტალინი

თხზულებანი

4

იბეჭდება
ს ა კ ა ვ შ ი რ ო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

**ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА—СТАЛИНА
при ЦК КПСС**

И. В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კ. პ. ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი —
ს. კ. კ. პ. ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი · 1955

ი.ბ.სტალინი

ტომი
4

ნოემბერი 1917–1920

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომში შედის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის ნოემბრიდან 1920 წლის დეკემბრამდე.

ამ პერიოდის ნაწარმოებები მიძღვნილია სოციალისტური სახელმწიფო წყობილების განმტკიცების, საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის, წითელი არმიის შექმნისა და განმტკიცების, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებისადმი უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში.

სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის საკითხები განვითარებულია ი. ბ. სტალინის გამოსვლებში საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე, საუბარში «რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ორგანიზაცია», «რსფსრ კონსტიტუციის ზოგად დებულებებში», სტატიებში «ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი», «საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში» და სხვა ნაშრომებში.

მთელ რიგ ნაწარმოებებში (სტატიები «უკრაინის კვანძი», «დონის ოლქისა და ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ», «სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის» და სხვები) გაშუქებულია უკრაინის, კავკასიის, ბალტიისპირეთის ხალხთა ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე მდგომარეობის ანალიზისადმი მიძღვნილია: «პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის ანგარიში ამხანაგ ლენინისადმი 1918 წლის დეკემბერში პერმის დაცემის მიზეზების შესახებ», პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილისა «ყველა პარტიულ ორგანიზაციას», სტატიები «სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში», «ანტანტის ახალი ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ», სამხედრო მიმოხილვები ცარიცინის, პეტროგრადის, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების შესახებ, აგრეთვე მთელი რიგი წერილები და დეპეშები ვ. ი. ლენინისადმი.

სამოქალაქო ომში საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების შედეგები შეჯამებულია ი. ბ. სტალინის მოხსენებებში: «რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ», «პროლეტარული დიქტატურის სამი წელი».

ტომში იბეჭდება: სტატია «ლენინი, როგორც რკპ ორგანიზატორი და ბელადი» და სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტში შემდგარ კრებაზე ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო, რომლებიც გვიხატავენ დიდი ლენინის სახეს.

ტომში პირველად ქვეყნდება: ი. ბ. სტალინის წერილი ვ. ი. ლენინისადმი ცარიცინიდან (1918 წ. ივლისი), წერილი დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ (1919 წ. აგვისტო), ბარათი და განცხადება პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი რესპუბლიკის საბრძოლო

რეზერვების შექმნის შესახებ (1920 წ. აგვისტო) და სხვა დოკუმენტები.

ტომში შეტანილი არ არის მრავალი დეპეშა, წერილი. პირდაპირი მავთულით საუბრების ჩანაწერები, ბრძანებები და სხვა ოპერატიული დოკუმენტები, აგრეთვე მისალმებანი წითელი არმიის ცალკეული საჯარისო შენაერთებისადმი, მებრძოლებისა და მეთაურებისადმი.

ყველა თარიღი ახალ სტილზე გადასვლის მომენტამდე (1918 წლის 14 თებერვლამდე) მოცემულია ძველი სტილით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

ნოემბერი 1917-1920

სიტყვა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობაზე ჰელსინგფორსში

1917 წ. 14 ნოემბერს

ამხანაგებო!

მე წარმოგზავნილი ვარ თქვენთან დელეგატად იმისათვის, რომ მოგესალმოთ რუსეთის მუშათა რევოლუციის სახელით, რომელიც ძირფესვიანად არყევს კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს. მე მოვედი თქვენთან იმისათვის, რომ მივესალმო თქვენს ყრილობას რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით, ამ რევოლუციის ჭარცეცხლში შობილი სახალხო კომისართა საბჭოს სახელით.

მაგრამ მარტო მოსასალმებლად როდი მოვსულვარ თქვენთან. მე მინდა, უწინარეს ყოვლისა, გადმოგცეთ სასიხარულო ამბავი რუსეთის რევოლუციის გამარჯვებათა შესახებ, მისი მტრების დეზორგანიზებულობის შესახებ, იმის შესახებ, რომ აღსასრულს მიახლოებული იმპერიალისტური ომის ატმოსფეროში რევოლუციის შანსები დღითიდღე იზრდება.

დამხობილია მემამულეთა უღელი, ვინაიდან სოფლად ძალაუფლება გლეხების ხელში გადავიდა. დამხობილია

გენერალთა ბატონობა, ვინაიდან ძალაუფლება არმიაში ჯარისკაცთა ხელშია. ალაგმული არიან კაპიტალისტები, ვინაიდან სასწრაფოდ მყარდება მუშათა კონტროლი ფაბრიკა-ქარხნებსა და ბანკებზე. მთელი ჩვენი ქვეყანა, ქალაქები და სოფლები, ზურგი და ფრონტი მოფენილია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციური კომიტეტებით, რომლებიც თავიანთ ხელში იღებენ მართვა-გამგეობის სადავეს.

ჩვენ გვაშინებდნენ კერენსკითა და კონტრრევოლუციონერი გენერლებით, მაგრამ კერენსკი განდევნილია, გენერლები კი ალყაშემორტყმული არიან ჯარისკაცებისა და კაზაკების მიერ, რომლებიც აგრეთვე თანაუგრძნობენ მუშებისა და გლეხების მოთხოვნებს.

ჩვენ გვაშინებდნენ შიმშილით, წინასწარმეტყველებდნენ, საბჭოთა ხელისუფლება სასურსათო ნგრევის კლანჭებში დაიღუპებაო. მაგრამ საკმარისი იყო აგველაგმა სპეკულანტები, საკმარისი იყო გლეხებისათვის მიგვემართა, და პურმა ასეულ ათას ფუთობით იწყო დენა ქალაქებში.

ჩვენ გვაშინებდნენ სახელმწიფო აპარატის მოშლით, მოხელეთა საბოტაჟით და სხვა. ჩვენ თვითონაც ვიცოდით, რომ ახალი, სოციალისტური მთავრობა ვერ შეძლებდა პირდაპირ აეღო ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი და თავისად გაეხადა იგი. მაგრამ საკმარისი იყო შევდგომოდით ძველი აპარატის განახლებას, ანტისოციალური ელემენტებისაგან მის გაწმენდას, და საბოტაჟმა ვაქრობა იწყო.

ჩვენ გვაშინებდნენ ომის «სიურპრიზებით», იმპერიალისტური ხროვების მხრივ შესაძლო გართულებებით დემოკრატიული ზავის შესახებ ჩვენი წინადადების გამო. და, მართლაც, იყო საფრთხე, სასიკვდილო საფრთხე. მაგრამ ეს საფრთხე იყო ეზელის ალების [1] შემდეგ, როცა კერენს-

კის მთავრობა მოსკოვში გაქცევისა და პეტროგრადის ჩაბარებისათვის ემზადებოდა, ხოლო ინგლის-გერმანიის იმპერიალისტები ერთმანეთს უთანხმდებოდნენ **რუსეთის** ხარჯზე ზავის შესახებ. **ასეთი** ზავის ნიადაგზე იმპერიალისტებს, მართლაც, შეეძლოთ ჩაეშალათ რუსეთის რევოლუციის და, შესაძლოა, საერთაშორისო რევოლუციის საქმე. მაგრამ ოქტომბრის რევოლუცია დროულად მოხდა. მან თავის საკუთარ ხელში აიღო ზავის საქმე, მან საერთაშორისო იმპერიალიზმს ხელიდან გააგდებინა ყველაზე საშიში იარაღი და ამით იხსნა რევოლუცია სასიკვდილო საფრთხისაგან. იმპერიალიზმის ნაცად მგლებს ორში ერთი დარჩენიათ: ან დაემორჩილონ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც ყველა ქვეყანაში ჩაღდება, და დათანხმდნენ ზავს, ან კვლავ აწარმოონ ბრძოლა ომის **განგრძობის** ნიადაგზე. მაგრამ ომის განგრძობა მის მეოთხე წელს, როცა მთელ მსოფლიოს სული ეხუთება ომის კლანჭებში, როცა «მომავალი» ზამთრის კამპანია უდიდეს აღშფოთებას იწვევს ყველა ქვეყნის ჯარისკაცთა შორის, როცა ბინძური ფარული ხელშეკრულებები უკვე გამოქვეყნებულია, — ასეთ პირობებში ომის განგრძობა იმას ნიშნავს, რომ აშკარა მარცხი განიმზადონ. იმპერიალიზმის ნაცად მგლებს ამჯერად ანგარიში შეეშალათ. და სწორედ ამიტომ ვერ გვაშინებს ჩვენ იმპერიალისტთა «სიურპრიზები».

ბოლოს, ჩვენ გვაშინებდნენ რუსეთის დაშლით, მისი დაქუცმაცებით მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ამასთან გადაკვრით მიგვითითებდნენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცხადებულ ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე, როგორც «დამღუპველ შეცდომაზე». მაგრამ მე სავსებით კატეგორიულად უნდა განვაცხადო — ჩვენ დემოკრატები არ ვიქნებოდით (აღარას ვამბობ სოციალიზმზე!), რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება

რომ არ გვეცნო. მე ვაცხადებ — ჩვენ სოციალიზმს ვუღალატებდით, ყველა ზომა რომ არ მიგვეღო ფინეთისა და რუსეთის მუშებს შორის ძმური ნდობის აღსადგენად. მაგრამ ყველამ იცის, რომ თუ გადაჭრით აღიარებულ არ იქნა ფინელი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, ასეთი ნდობის აღდგენა წარმოუდგენელია. და აქ მნიშვნელოვანია ამ უფლების არა მარტო სიტყვიერი, თუნდაც ოფიციალური, აღიარება. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სიტყვიერი აღიარება საქმით იქნება დადასტურებული სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, რომ იგი უყოყმანოდ გატარდება ცხოვრებაში. ვინაიდან სიტყვების დრო წავიდა. ვინაიდან დადგა დრო, როცა ძველი ლოზუნგი «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» ცხოვრებაში უნდა გატარდეს.

თავისი ცხოვრების მოწყობის სრული თავისუფლება ფინელი ხალხისათვის, ისევე როგორც რუსეთის სხვა ხალხებისათვის! ფინელი ხალხის ნებაყოფლობითი და პატიოსანი კავშირი რუს ხალხთან! არავითარი მეურვეობა, არავითარი ზედამხედველობა ფინელ ხალხზე! ასეთია სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო საწყისები.

მხოლოდ ასეთი პოლიტიკის შედეგად შეიძლება შეიქმნას რუსეთის ხალხთა ურთიერთნდობა. მხოლოდ ასეთი ნდობის ნიადაგზე შეიძლება ცხოვრებაში გატარდეს რუსეთის ხალხთა შეკავშირება ერთ არმიად. მხოლოდ ასეთი შეკავშირების ნიადაგზე შეიძლება განმტკიცდეს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი და წინ იქნას წაწეული საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის საქმე.

აი რატომ არის, რომ ჩვენ ყოველთვის გვეღიმება, როცა გველაპარაკებიან ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეის ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით რუსეთის გარდუვალი დაშლის შესახებ.

ასეთია ის სიძნელეები, რომლებითაც გვაშინებდნენ და კვლავ გვაშინებენ მტრები, მაგრამ რომლებსაც ჩვენ რევოლუციის ზრდისდა კვალად ვძლევთ.

ამხანაგებო! ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა, რომ თქვენი ქვეყანა ხელისუფლების დაახლოებით ისეთსავე კრიზისს განიცდის, როგორსაც რუსეთი ოქტომბრის რევოლუციის წინ განიცდიდა. ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა, რომ თქვენც გაშინებენ შიმშილით, საბოტაჟით და სხვა. ნება მიბოძეთ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკიდან გამოტანილი გამოცდილების საფუძველზე განგიცხადოთ, რომ ეს საფრთხე, კიდევაც რომ რეალური იყოს იგი, სრულებითაც არ არის დაუძლეველი. ამ საფრთხის დაძლევა შეიძლება, თუ იმოქმედებთ გაბედულად და უყოყმანოდ. ომის და ნგრევის ატმოსფეროში, დასავლეთში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობისა და რუსეთში მუშური რევოლუციის მზარდ გამარჯვებათა ატმოსფეროში — არ არსებობს ისეთი საფრთხე და დაბრკოლება, რომელმაც თქვენს შეტევას გაუძლოს. ასეთ ატმოსფეროში გაძლება და გამარჯვება შეუძლია მხოლოდ ერთ ხელისუფლებას, სოციალისტურ ხელისუფლებას. ასეთ ატმოსფეროში გამოსადეგია მხოლოდ ერთი ტაქტიკა, დანტონის ტაქტიკა: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!

და, თუ თქვენ დაგჭირდებათ ჩვენი დახმარება, ჩვენ მას გაგიწევთ, ძმურად გამოგიწოდებთ ხელს.

ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ.

«პრავდა» № 191,
1917 წ. 16 ნოემბერი.

პასუხი ამხანაგ უკრაინელებს ზურგში და ფრონტზე

უკრაინის რადასთან* ურთიერთობის გამწვავების დღიდან ამხანაგ უკრაინელებისაგან მრავალი რეზოლუცია და წერილი მომდის რადასთან კონფლიქტის საკითხზე. ყოველ რეზოლუციასა და ყოველ წერილზე ცალკე პასუხის გაცემა შეუძლებლად და ზედმეტად მიმაჩნია, ვინაიდან ეს რეზოლუციები და წერილები თითქმის ყოველთვის ერთმანეთის განმეორებას წარმოადგენენ. ამიტომ გადავწყვიტე გამოვყო მათგან ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება, და პასუხი გავცე ისე გარკვეულად, რომ საეჭვო ალარაფერი დარჩეს. ისინი, ეს საკითხები, ყველასათვის ცნობილია:

1) როგორ წარმოიშვა კონფლიქტი,

2) რა პუნქტების გამო წარმოიშვა კონფლიქტი,

3) რა ზომებია საჭირო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად,

4) ნუთუ დაიღვრება მოძმე ხალხთა სისხლი?

შემდეგ გამოთქმულია საერთო რწმენა, რომ კონფლიქტი ორ მონათესავე ხალხს შორის მშვიდობიანად, ძმათა სისხლის დაუღვრელად მოგვარდება.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ცნებათა ერთგვარი აღრევა ამხანაგ უკრაინელების მიერ. რადასთან კონფლიქტ ისინი ზოგჯერ ისე ხატავენ, როგორც კონფლიქტს უკრაინელ ხალხსა და რუს ხალხს შორის. მაგრამ ეს სწორი არ არის. უკრაინელ ხალხსა და რუს ხალხს შორის კონფლიქტი არ არის და არც შეიძლება იყოს. უკრაინელი და რუსი ხალხები, ისევე როგორც რუსეთის დანარჩენი ხალხები, შედგებიან მუშებისა და გლეხებისაგან, ჯარისკაცებისა და მატროსებისაგან. ისინი ყველანი ერთად იბრძოდნენ ცარიზმისა და კერენშჩინის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ისინი ყველანი ერთად ღვრიდნენ სისხლს მიწისა და ზავისათვის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ბრძოლაში ისინი ყველანი ძმები და ამხანაგები არიან. თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ კონფლიქტი. რა თქმა უნდა, მშრომელთა მტრებისათვის ხელსაყრელია რადასთან კონფლიქტი წარმოადგინონ რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის კონფლიქტად, ვინაიდან საკითხის ასე წარმოდგენით ყველაზე ადვილი იქნება ერთმანეთს წაუსისიანონ მონათესავე ხალხთა მუშები და გლეხები ამ ხალხების მჩაგვრელთა სასიხარულოდ. მაგრამ შეგნებულ მუშებსა და გლეხებს განა გაუჭირდებათ იმის მიხვედრა, რომ, რაც ხელსაყრელია ხალხთა მჩაგვრელებისათვის, ის მავნეა ხალხებისათვის?

კონფლიქტი წარმოიშვა არა რუსეთისა და უკრაინის ხალხებს შორის, არამედ სახალხო კომისართა საბჭოსა და რადის გენერალურ სამდივნოს შორის.

რა საკითხებზე წარმოიშვა კონფლიქტი?

ამბობენ, რომ კონფლიქტი წარმოიშვა ცენტრალიზმისა და თვითგამორკვევის საკითხზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ აძლევს უკრაინელ ხალხს თავის ხელში აიღოს ძალაუფლება და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი. მართალია თუ არა ეს? არა, არ არის მართალი. სახალხო კომისართა საბჭო სწორედ იმას ცდილობს, რომ მთელი ძალაუფლება უკრაინაში ეკუთვნოდეს უკრაინელ **ხალხს**, ე. ი. უკრაინელ მუშებსა და ჯარისკაცებს, გლეხებსა და მატროსებს. საბჭოთა ხელისუფლება, ე. ი. მუშათა და გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა ხელისუფლება, **უმემამულეებოდ** და **უკაპიტალისტებოდ**, — სწორედ ეს არის ის **სახალხო** ხელისუფლება, რომლისთვისაც იბრძვის სახალხო კომისართა საბჭო. გენერალურ სამდივნოს არა სურს ასეთი ხელისუფლება, ვინაიდან არა სურს დარჩეს უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ. ამაშია მთელი არსი, და არა ცენტრალიზმში.

სახალხო კომისართა საბჭო თავიდანვე იდგა და კვლავ დგას თავისუფალი თვითგამორკვევის თვალსაზრისზე. მას იმის საწინააღმდეგოც კი არაფერი აქვს, რომ უკრაინელი ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყოს. მან ეს რამდენჯერმე განაცხადა ოფიციალურად. მაგრამ როცა ხალხის თვითგამორკვევას კალედინის თვითმპყრობელობაში ურევენ, როცა რადის გენერალური სამდივნო ცდილობს კაზაკთა გენერლების კონტრრევოლუციური თარეში სახალხო თვითგამორკვევის გამოხატულებად წარმოგვიდგინოს,— სახალხო კომისართა საბჭოს **არ** შეუძლია არ შენიშნოს, რომ გენერალური სამდივნო თვითგამორკვევობიას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის კავშირს კალედინთან და როძიანკოსთან. ჩვენ მხარს ვუჭერთ **ხალხთა** თვითგამორკვევას, მაგრამ **იმის** წინააღმდეგი ვართ, რომ **თვით**გამორკვევის დროშით კონტრაბანდულად გააპარონ

თვითმპყრობელობა კალედინისა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ფინეთის ჩახრჩობას მოითხოვდა.

ამბობენ, რომ კონფლიქტი წარმოიშვა უკრაინის რესპუბლიკის საკითხზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ ცნობს უკრაინის რესპუბლიკას. მართალია თუ არა ეს? არა, არ არის მართალი. სახალხო კომისართა საბჭომ ოფიციალურად ცნო უკრაინის რესპუბლიკა «ულტიმატუმში» და «პასუხში» უკრაინელთა პეტროგრადის შტაბისადმი [3]. იგი მზად არის ცნოს რუსეთის ყოველი ნაციონალური ოლქის რესპუბლიკა, თუ ეს ამ ოლქის მშრომელ მოსახლეობას სურს. იგი მზად არის ცნოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფედერაციული წყობა, თუ ამას რუსეთის ოლქების მშრომელი მოსახლეობა მოისურვებს. მაგრამ როცა სახალხო რესპუბლიკას კალედინის სამხედრო დიქტატურაში ურევენ, როცა რადის გენერალური სამდივნო ცდილობს რესპუბლიკის ბურჟუების როლში წარმოგვიდგინოს მონარქისტები კალედინი და როძიანკო, სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია არა თქვას, რომ გენერალური სამდივნო რესპუბლიკობიას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის სრულ დამოკიდებულებას ჯიბესქელი მონარქისტებისაგან. ჩვენ უკრაინის რესპუბლიკის მომხრე ვართ, მაგრამ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ რესპუბლიკის დროშით დაფარონ ხალხის დაუძინებელი მტრები, მონარქისტები კალედინი და როძიანკო, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მოითხოვდნენ ძველი რეჟიმის აღდგენას და სიკვდილით დასჯის შემოღებას ჯარისკაცებისათვის.

არა, ცენტრალიზმისა და თვითგამორკვევის საკითხებს კავშირი არა აქვს რადასთან წამოჭრილ კონფლიქტთან. ამ საკითხების გარშემო როდი წარმოშობილა დავა. ცენტრალიზმი და თვითგამორკვევა გენერალურმა სამდივნომ საქმეს ხელოვნურად მიატმასნა, სტრატეგიული ფანდის სახით,

რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ დაუფაროს უკრაინელთა მასებს კონფლიქტის ნამდვილი მიზეზები.

კონფლიქტი წარმოიშვა არა ცენტრალიზმისა და თვითგამორკვევის საკითხზე, არამედ შემდეგ სამ კონკრეტულ საკითხზე:

პირველი საკითხი. კონფლიქტი დაიწყო გენერალური სამდივნოს წევრის, პეტლიურას ბრძანებებით ფრონტისადმი, რომლებიც ფრონტის სრული დეზორგანიზაციის საფრთხეს ქმნიდნენ. პეტლიურამ ანგარიში არ გაუწია მთავარბანაკს და ფრონტის ინტერესებს, ანგარიში არ გაუწია საზავო მოლაპარაკებას და საერთოდ ზავის საქმეს და თავისი ბრძანებებით შეუდგა არმიისა და ფლოტის ყველა უკრაინული ნაწილის უკრაინაში მიწვევას. ადვილი წარმოსადგენია, რომ ფრონტი მყისვე დაიშლებოდა, უკრაინული ნაწილები პეტლიურას ბრძანებებს რომ დამორჩილებოდნენ: ჩრდილოეთის უკრაინული ნაწილები სამხრეთისაკენ გასწევდნენ, სამხრეთის არაუკრაინული ნაწილები — ჩრდილოეთისაკენ, სხვა ეროვნებებიც, «შინისაკენ» გაემართებოდნენ, რკინიგზები დაკავებული იქნებოდა მხოლოდ ჯარისკაცების გადაყვან-გადმოყვანით და საჭურვლის გადაზიდვით, ფრონტს სასურსათო პროდუქტები აღარ მიუვიდოდა, ვინაიდან ამ პროდუქტების გადასაზიდი საშუალებები აღარ იქნებოდა, — და ფრონტისაგან მოგონება-ღა დარჩებოდა. ამით დაზავებისა და ზავის საქმე ძირფესვიანად შეირყეოდა. თქმა არ უნდა, ჩვეულებრივ დროს უკრაინელი ჯარისკაცი, უწინარეს ყოვლისა, შინ, უკრაინაში უნდა იყოს. თქმა არ უნდა, არმიის «ნაციონალიზაცია» მისაღები და სასურველი საქმეა. ეს რამდენჯერმე ოფიციალურად განაცხადა სახალხო კომისართა საბჭომ. მაგრამ ომის პირობებში, როცა ზავის საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული, ხოლო ფრონტი ნაციონალური ნიშნის მი-

ხედვით არ არის მოწყობილი, როცა, ჩვენი ტრანსპორტის სისუსტის გამო, არმიის «ნაციონალიზაციის» დაუყოვნებლივ გატარება ჯარისკაცთა წასვლისა და ფრონტის დაშლის, ზავისა და დაზავების ჩაშლის საფრთხეს ქმნის, — თქმა არ უნდა, ასეთ პირობებში ნაციონალური ნაწილების დაუყოვნებლივ წასვლაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მე არ ვიცი, შეგნებული ჰქონდა თუ არა პეტლიურას, რომ თავისი უგუნური ბრძანებებით იგი ფრონტს არღვევდა და ზავის საქმეს ფუშავდა. მაგრამ უკრაინელი ჯარისკაცები და მატროსები ამას მყისვე მიხვდნენ, ვინაიდან მათ ყველამ, იშვიათი გამონაკლისით, უარი განაცხადეს დამორჩილებოდნენ პეტლიურას და თავიანთ პოსტებზე დარჩნენ ზავის დადებამდე. ამით უკრაინელმა მეომრებმა იხსნეს ზავის საქმე, ხოლო პეტლიურას წინდაუხედავ ბრძანებათა საკითხმა ჯერჯერობით დაკარგა თავისი განსაკუთრებული სიმწვავე.

მეორე საკითხი. პეტლიურას ბრძანებებით დაწყებული კონფლიქტი თავისი პოლიტიკით გაამწვავა რადის გენერალურმა სამდივნომ, რომელიც შეუდგა უკრაინის დეპუტატთა საბჭოების განიარაღებას. გენერალური სამდივნოს რაზმები ღამით კიევში თავს დაესხნენ საბჭოთა ჯარებს და განაიარაღეს ისინი. ანალოგიური ცდები იყო ოდესაში, ხარკოვში, მაგრამ ეს ცდები ჩაიშალა, ვინაიდან წინააღმდეგობას წააწყდა. მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ გენერალური სამდივნო ჯარებს უყრის თავს ოდესისა და ხარკოვის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების განიარაღების მიზნით. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ მთელ რიგ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან, ქალაქებში საბჭოთა ჯარები უკვე განაიარაღეს და «შინ გაუშვეს». ამრიგად, რადის გენერალურმა სამდივნომ მიზნად დაისახა განახორციელოს კორნილოვისა და კალედინის, ალექსეევისა და როძიანკოს

პროგრამა საბჭოების განიარაღების შესახებ. მაგრამ საბჭოები რევოლუციის ბურჯი და იმედია. ვინც საბჭოებს განაიარაღებს, ის განაიარაღებს რევოლუციას, ის ღუპავს ზავისა და თავისუფლების საქმეს, ის ღალატობს მუშათა და გლეხთა საქმეს. საბჭოებმა იხსნეს რუსეთი კორნილოვ-შჩინის უღლისაგან. საბჭოებმა იხსნეს რუსეთი სამარცხვინო კერენშჩინისაგან. საბჭოებმა მოუპოვეს რუსეთის ხალხებს მიწა და დროებითი ზავი. საბჭოებს, და მხოლოდ საბჭოებს, შესწევთ უნარი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანონ სახალხო რევოლუცია. ამიტომ, ვინც ხელს აღმართავს საბჭოების წინააღმდეგ, ის ეხმარება მემამულეებსა და კაპიტალისტებს მთელი რუსეთის მუშებისა და გლეხების წახრჩობაში, ის ეხმარება კალედინებსა და ალექსეევებს ჯარისკაცებისა და კაზაკების მიმართ თავიანთი «რკინისებური» ძალაუფლების განმტკიცებაში.

ნუ გვეუბნებიან, რომ გენერალურ სამდივნოში სოციალისტები სხედან, რომ ამიტომ ისინი ვერ უღალატებენ ხალხის საქმეს. სოციალისტს უწოდებს თავის თავს კერენსკი, მაგრამ მიუხედავად ამისა მან ჯარები წამოიყვანა რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ. სოციალისტს უწოდებს თავის თავს გოცი, მაგრამ მიუხედავად ამისა მან იუნკრები და ოფიცრები გამოიყვანა პეტროგრადის ჯარისკაცებისა და მატროსების წინააღმდეგ. სოციალისტებს უწოდებენ თავის თავს სავინკოვი და ავქსენტიევი, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ სიკვდილით დასჯა შემოიღეს ჯარისკაცებისათვის ფრონტზე. სოციალისტებზე უნდა ვიმსჯელოთ მათი საქმეების და არა სიტყვების მიხედვით. გენერალური საბჭო ეწევა უკრაინის საბჭოების დეზორგანიზაციასა და განიარაღებას, უადვილებს კალედინს დონზე და ქვანახშირის აუზში სისხლისმღვრელი რეჟიმის დამყარების საქმეს, — აი ფაქტი, რომლის დამალვაც არავითარი სოცია-

ლისტური დროშით არ შეიძლება. სწორედ ამიტომ ამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო, რომ გენერალური სამდივნოს პოლიტიკა კონტრრევოლუციური პოლიტიკაა. სწორედ ამიტომ აქვს სახალხო კომისართა საბჭოს იმის იმედი, რომ უკრაინელი მუშები და ჯარისკაცები, რომლებიც პირველ რიგებში იბრძოდნენ რუსეთში რევოლუციური საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შეძლებენ წესრიგისაკენ მოუწოდონ თავიანთ გენერალურ სამდივნოს, ან გადაირჩიონ იგი ხალხთა შორის მშვიდობის ინტერესებისათვის.

ლაპარაკობენ უკრაინასა და რუსეთს შორის სამხედრო ნაწილების «გაცვლაზე», გამიჯვნაზე და სხვა. სახალხო კომისართა საბჭოს სავსებით შეგნებული აქვს გამიჯვნის საჭიროება. მაგრამ გამიჯვნა უნდა იყოს ძმური, ნებაყოფლობითი, შეთანხმებით, და არა ძალმომრეობით, არა იმ «პრინციპის» მიხედვით, რომ «ხელი დასტაცო, რის წაღებაც შეგიძლია», «განაიარაღო, ვისი განიარაღებაც შეიძლება», როგორც ახლა ამას სჩადის გენერალური სამდივნო, რომელიც სურსათს იტაცებს, ტვირთებს ითვისებს, შიმშილსა და სიცივეს განუმზადებს არმიას.

მესამე საკითხი. კონფლიქტმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა გენერალურმა სამდივნომ გადაჭრით განაცხადა უარი კალედინის წინააღმდეგ საბჭოების რევოლუციური ჯარების გაშვებაზე. გენერალური სამდივნოს რაზმები აჩერებენ მატარებლებს, რომლებითაც რევოლუციური ჯარები მიდიან, ჰყრიან ლიანდაგს, სროლით იმუქრებიან და აცხადებენ, რომ არ შეუძლიათ თავიანთ ტერიტორიაზე გაუშვან «სხვისი» ჯარები. თურმე რუსი ჯარისკაცები, ჯერ კიდევ გუშინ უკრაინელებთან ერთად რომ იბრძოდნენ იმ ჩამომხრჩობი გენერლების წინააღმდეგ, რომლებიც უკრაინის გასრესას ცდილობდნენ, — თურმე ისინი ახლა «სხვები» არიან! და ეს იმ დროს, როცა იგივე გენერალური სამდივნო

თავისუფლად უშვებს თავის ტერიტორიაზე როსტოვისაკენ კალედინის კაზაკთა ნაწილებს და კონტრრევოლუციონერ ოფიცრებს, რომლებიც ყოველი მხრიდან იყრიან თავს კალედინთან!

როსტოველ წითელგვარდიელებს კორნილოველები და კალედინელები შუბებზე აგებენ, რადის გენერალური სამდივნო კი ხელს გვიშლის მივეშველოთ ჩვენს ამხანაგებს როსტოვში! ჩვენს ამხანაგებს მალაროებში კალედინელი ოფიცრები ხვრეტენ, გენერალური სამდივნო კი ხელს გვიშლის იმაში, რომ დახმარების ხელი გავუწოდოთ ამხანაგ მეშახტეებს! განა გასაკვირველია, რომ ჯერ კიდევ გუშინ დამარცხებული კალედინი დღეს სულ უფრო და უფრო მოიწევს ჩრდილოეთისაკენ, დონეცის აუზს იკავებს და ცარიცინს ემუქრება? განა ცხადი არ არის, რომ **გენერალური სამდივნო კავშირშია კალედინთან და როძიანკოსთან?** განა ცხადი არ არის, რომ **გენერალური სამდივნო კორნილოველებთან კავშირს აძლევს უპირატესობას სახალხო კომისართა საბჭოსთან კავშირის წინაშე?**

ლაპარაკობენ იმის საჭიროებაზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო შეუთანხმდეს რადის გენერალურ სამდივნოს. მაგრამ განა ძნელი მისახვედრია, რომ ახლანდელ გენერალურ სამდივნოსთან შეთანხმება კალედინთან და როძიანკოსთან შეთანხმებაა? განა ძნელი მისახვედრია, რომ სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია თვითმკვლელობა ჩაიდინოს? იმისათვის კი არ დაგვიწყია ჩვენ რევოლუცია მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომ იგი ჩამომხრჩობ კალედინებთან კავშირით დავამთავროთ. იმისათვის კი არ ღვრიდნენ სისხლს მუშები და ჯარისკაცები, რომ სამოწყალოდ დანებებოდნენ ალექსეევებსა და როძიანკოებს.

ორში ერთი:

ან რადა კავშირს გაწყვეტს კალედინთან, ხელს გაუწოდებს საბჭოებს და გზას გაუხსნის რევოლუციურ ჯარებს დონის კონტრრევოლუციური ბუდის წინააღმდეგ, — და მაშინ უკრაინისა და რუსეთის მუშები და ჯარისკაცები დაძმობილების ახალი აზვირთებით განამტკიცებენ თავიანთ რევოლუციურ კავშირს;

ან რადა არ მოისურვებს კალედინთან კავშირის გაწყვეტას, გზას არ გაუხსნის რევოლუციურ ჯარებს, — და მაშინ რადის გენერალური სამდივნო მიაღწევს იმას, რის მიღწევასაც ამაოდ ცდილობდნენ ხალხის მტრები, ე. ი. მოძმე ხალხთა სისხლის დაღვრას.

უკრაინელი მუშებისა და ჯარისკაცების შეგნებასა და რევოლუციურობაზეა დამოკიდებული — წესრიგისაკენ მოუწოდონ თავიანთ გენერალურ სამდივნოს ან გადაირჩიონ იგი საშიში კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ინტერესებისათვის.

უკრაინელი მუშებისა და ჯარისკაცების სიმტკიცესა და გამბედაობაზეა დამოკიდებული — აიძულონ გენერალური სამდივნო გარკვევით გამოთქვას, რა კავშირს უჭერს იგი ახლა მხარს: კალედინთან და როძიანკოსთან კავშირს რევოლუციის წინააღმდეგ, თუ სახალხო კომისართა საბჭოსთან კავშირს კადეტთა და გენერალთა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმე უკრაინელი ხალხის ხელშია.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

1917 წ. 12 დეკემბერი.

«პრავდა» № 213,
1917 წ. 13 დეკემბერი.

უკრაინის რადის შესახებ

სიტყვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 14 დეკემბერს

შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს, რომელიც ყოველთვის გადაჭრით იცავდა თვითგამორკვევის პრინციპს, კონფლიქტი მოუხდა რადასთან, რომელიც აგრეთვე თვითგამორკვევის პრინციპს ეყრდნობა. ამ კონფლიქტის წარმოშობა რომ გავიგოთ, საჭიროა დავაყენოთ საკითხი რადის პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ.

რადა ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ძალაუფლება გაიყონ ერთი მხრივ ბურჟუაზიამ, ხოლო მეორე მხრივ — პროლეტარიატმა და გლეხობამ. საბჭოები კი ასეთ გაყოფას უარყოფენ და მთელ ძალაუფლებას აძლევენ ხალხს, უბურჟუაზიოდ. ამიტომ არის, რომ რადა ლოზუნგს «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» (ე. ი. ხალხს) უპირისპირებს თავის ლოზუნგს «მთელი ძალაუფლება ქალაქისა და ერობის თვითმმართველობებს» (ე. ი. ხალხსა და ბურჟუაზიას).

ამბობენ, რომ კონფლიქტი წარმოიშვა თვითგამორკვევის საკითხის ნიადაგზე. მაგრამ ეს მართალი არ არის. რადა წინადადებას იძლევა, რომ რუსეთში ფედერაციული წყო-

ბილება დამყარდეს. სახალხო კომისართა საბჭო კი რადაზე უფრო შორს მიდის, გამოყოფის უფლებამდეც კი. მაშასადამე, სახალხო კომისართა საბჭოსა და რადას შორის უთანხმოება ამ საკითხში როდია. სრულებით არასწორია აგრეთვე რადის მტკიცება, თითქოს ცენტრალიზმი იყოს უთანხმოების პუნქტი. სახალხო კომისართა საბჭოების ტიპის მიხედვით აგებულმა საოლქო ცენტრებმა (ციმბირი, ბელორუსია, თურქესტანი) დირექტივებისათვის მიმართეს სახალხო კომისართა საბჭოს. სახალხო კომისართა საბჭომ უპასუხა: თვითონ თქვენ ხართ ხელისუფლება ადგილებზე, თვითონვე უნდა შეიმუშაოთ დირექტივებიო, მაშასადამე, უთანხმოება ამაში როდია. სახალხო კომისართა საბჭოს და რადის ნამდვილი უთანხმოება მოხდა შემდეგი სამი პუნქტის გამო.

პირველი საკითხი: უკრაინული ნაწილების თავმოყრა სამხრეთის ფრონტზე. უეჭველია, ნაციონალურ ჯარებს საუკეთესოდ შეუძლიათ დაიცვან თავიანთი ტერიტორია. მაგრამ ამჟამად ჩვენი ფრონტი ნაციონალური ნიშნის მიხედვით როდია აგებული. ფრონტის გარდაქმნა ეროვნებათა მიხედვით, როცა ტრანსპორტი მოშლილია, ფრონტის სრულ დაშლას გამოიწვევდა. ამით ძირი გამოეთხრებოდა ზავის საქმეს. უკრაინელი მეომრები გენერალურ სამდივნოზე უფრო წინდახედული და პატიოსანი აღმოჩნდნენ, ვინაიდან უკრაინული ნაწილების უმრავლესობამ არ ისურვა დამორჩილებოდა რადის ბრძანებებს.

მეორე საკითხი: უკრაინაში მყოფი საბჭოთა ჯარების განიარაღების შესახებ. უკრაინის რადა, რომელიც უკრაინელი მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს, საბჭოთა ჯარების განიარაღებით ლახვარს სცემს რევოლუციას. რადის მოქმედება ამ მხრივ არსებითად არაფრით განსხვავდება კორნილოვ-კალედინის მოქმედებისაგან. თქმა

არ უნდა, სახალხო კომისართა საბჭო მთელი ძალღონით იბრძოლებს რადის ასეთი კონტრრევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ.

დასასრულ, მესამე საკითხი: ის, რომ საბჭოთა ჯარები არ გაუშვეს კალედინის წინააღმდეგ, რომლის გარშემოც თავი მოიყარეს რუსეთის მთელმა კონტრრევოლუციურმა ძალებმა. საბჭოთა ჯარები რომ არ გაუშვა, რადა ამას «თვითგამორკვეული» კალედინის მიმართ «ნეიტრალიტეტით» ასაბუთებდა. მაგრამ რადა აქ მშრომელი კაზაკობის თვითგამორკვევას კალედინის თვითმპყრობელობით ცვლის. საბჭოთა ჯარების გაშვებას ხელს რომ უშლის, რადა ამით კალედინს ეხმარება ჩრდილოეთისაკენ წინსვლაში. ამავე დროს კალედინის კაზაკთა ნაწილებს რადა თავისუფლად უშვებს დონზე. იმ მომენტში, როცა როსტოვსა და დონეცის აუზში ჩვენს ამხანაგებს ხვრეტენ, რადა ხელს გვიშლის მაშველი ძალა გავუგზავნოთ მათ. თქმა არ უნდა, რადის ეს მოღალატური მოქმედება არ შეიძლება მოთმენილ იქნას.

სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია ხელი აიღოს კალედინის წინააღმდეგ ბრძოლაზე. კალედინის კონტრრევოლუციური ბუდე უნდა დაინგრეს. ეს გარდუვალია. თუ რადამ ხელი შეუშალა ჩვენს წინსვლას კალედინის წინააღმდეგ და თავისი ზურგით დაიფარა იგი, მაშინ კალედინის წინააღმდეგ მიმართული დარტყმები რადას მოხვდება. სახალხო კომისართა საბჭო არ მოერიდება გადამწყვეტ ბრძოლას რადის წინააღმდეგ, ვინაიდან მისთვის საიდუმლოება არ არის, რომ რადას ფარული კავშირი აქვს კალედინთან. სახალხო კომისართა საბჭოს ხელში ჩაუვარდა დაშიფრული დეპეშა, საიდანაც ირკვევა, რომ რადა უშუალოდ დაკავშირებულია საფრანგეთის მისიასთან, რათა გაზაფხულამდე გააჭიანუროს ზავის დადება, და საფრან-

გეთის მისიის მეშვეობით — კალედინთან. ეს კავშირი მიმართულია ზავისა და რევოლუციის წინააღმდეგ. ეს კავშირი უნდა დაირღვეს და დაირღვევა კიდევაც.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ გადამწყვეტ პოლიტიკას ვაწარმოებთ რადის წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ამ გადამწყვეტმა პოლიტიკამ აუხილა თვალი უკრაინელ მუშებსა და გლეხებს, გამოააშკარავა რადის ბურჟუაზიული არსი. ეს ჩანს თუნდაც დეპეშიდან იმის შესახებ, რომ უკრაინაში შეიქმნა უკრაინის ახალი რევოლუციური ხელისუფლება[4], რომელიც ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და მოქმედებს ბურჟუაზიული რადის წინააღმდეგ. (ტ ა შ ი).

«იზვესტია» № 254,
1917 წ. 17 დეკემბერი.

რა არის უკრაინის რადა?

მკითხველი ქვემოთ ნახავს დაშიფრულ დეპეშას, რომელიც ხელში ჩაუვარდა საბჭოთა ხელისუფლებას და რომელიც ააშკარავებს რადის ნამდვილ ბუნებას და «ჩვენი მოკავშირეების» სამხედრო მისიათა ნამდვილ ზრახვებს ზავის საკითხში. დეპეშიდან ჩანს, რომ უკვე დამყარებულია ერთგვარი კავშირი საფრანგეთის მისიასა და რადას შორის, ამასთან «საფრანგეთის მისიის თანამდებობის პირები რადასთან უშუალოდ დაკავშირებულნი მუშაობენ». შემდეგ დეპეშიდან ჩანს, რომ ამ კავშირის მიზანია «დაცულ იქნას რუსეთის ფრონტის გარეგნული არსებობა თებერვლამდე ან მარტამდე და **გაჭიანურებულ იქნას** დროებითი ზავის საბოლოო დადება გაზაფხულამდე». დასასრულ, დეპეშიდან ჩანს, რომ საფრანგეთის მისიამ დადო «შეთანხმება ვოისკოვოი კრუგთან» (ე. ი. კალედინის «მთავრობასთან») იმის შესახებ, რომ «რუმინეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები (რომლებიც გეგმის მიხედვით რადამ უნდა დაიკავოს. ი. სტ.) მომარაგებულ იქნან ქვანახშირითა და სურსათით».

მოკლედ: თურმე არსებობს რადის, კალედინისა და საფრანგეთის სამხედრო მისიის კავშირი ზავის ჩასაშლე-

ლად, ზავის დადების «გაზაფხულამდე» «გასაჭიანურებლად». ამასთან საფრანგეთის სამხედრო მისია მოქმედებს არა დამოუკიდებლად, არამედ «საფრანგეთის მთავრობის სასწრაფო ინსტრუქციების» მიხედვით.

ჩვენ აქ არ გვინდა შევეხოთ «ჩვენი მოკავშირეების» სამხედრო მისიების ქცევას. მათი როლი საკმაოდ არის გამორკვეული: აგვისტოში ისინი კორნილოვს ეხმარებოდნენ, ნოემბერში — რადასა და კალედინს, დეკემბერში მეამბოხეებს ამარაგებენ ჯავშნიანი მანქანებით. ყოველივე ამას სჩადიან «ბოლომდე ომის» ინტერესებისათვის. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ «მოკავშირეთა» მოძალადურ წამოწყებას ჩაშლის რუსეთის ხალხთა ბრძოლა დემოკრატიული ზავისათვის. მისიებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ცენტრალურ აფრიკაში იყვნენ. მაგრამ «მოკავშირენი» მალე დარწმუნდებიან, რომ რუსეთი ცენტრალური აფრიკა როდია... აქ ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებს ის არასასახელო როლი, რომელიც რადამ იკისრა.

ახლა ჩვენ ვიცით, რისთვის უყრის თავს რადა უკრაინულ ნაწილებს რუმინეთ-სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე: არმიის «ნაციონალიზაციის» დროშით იგი ცდილობს დაფაროს თავისი შეთანხმება საფრანგეთის მისიასთან დროებითი ზავის დადების გაზაფხულამდე გაჭიანურების მიზნით.

ახლა ჩვენ ვიცით, რატომ არ უშვებს რადა საბჭოთა ჯარებს კალედინის წინააღმდეგ: კალედინის მიმართ «ნეიტრალობის» დროშით იგი ცდილობს დაფაროს თავისი კავშირი კალედინთან საბჭოების წინააღმდეგ.

ახლა ჩვენ ვიცით, რატომ აცხადებს რადა პროტესტს უკრაინის შინაურ ცხოვრებაში სახალხო კომისართა საბჭოს «ჩარევის» წინააღმდეგ: ფრაზებით ჩაურევლობის შესახებ იგი ცდილობს დაფაროს საფრანგეთის მთავრობის

ნამდვილი ჩარევა უკრაინისა და მთელი რუსეთის ცხოვრებაში რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციის მიზნით.

მე ძალიან ხშირად მომმართავენ ამხანაგი უკრაინელები შეკითხვით: რა არის რადა?

მე ვუპასუხებ.

რადა, ან, უფრო სწორად, მისი გენერალური სამდივნო, არის მთავრობა სოციალიზმის მოღალატეებისა, რომლებიც მასების მოსატყუებლად თავს სოციალისტებს უწოდებენ. სწორედ ისე, როგორც მთავრობა კერენსკისა და სავინკოვისა, რომლებიც აგრეთვე სოციალისტებს უწოდებდნენ თავს.

რადა, ან, უფრო სწორად, მისი გენერალური სამდივნო, ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც კალედინთან შეკავშირებული ებრძვის საბჭოებს. წინათ კერენსკის მთავრობა, კორნილოვთან შეკავშირებული, ეწეოდა რუსეთის საბჭოების განიარაღებას. ახლა რადის მთავრობა, კალედინთან შეკავშირებული, ეწევა უკრაინის საბჭოების განიარაღებას.

რადა, ან, უფრო სწორად, მისი გენერალური სამდივნო, ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან შეკავშირებული, იბრძვის ზავის წინააღმდეგ. წინათ კერენსკის მთავრობა აჭიანურებდა ზავის დადების საქმეს და მილიონობით ჯარისკაცს საზარბაზნე ხორცის როლს განუმზადებდა. ახლა რადის მთავრობა ცდილობს ჩაშალოს ზავის საქმე, «გაზაფხულამდე გააჭიანუროს დროებითი ზავის დადება».

კერენსკის მთავრობა ამისათვის დამხობილ იქნა რუსეთის მუშებისა და ჯარისკაცების საერთო ძალღონით.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ რადის მთავრობაც დამხობილ იქნება უკრაინის მუშებისა და ჯარისკაცების ძალღონით.

მხოლოდ ახალ რადას, უკრაინის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების რადას შეუძლია დადგეს უკრაინის ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე კალედინებისა და კორნილოვების წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 215,
1917 წ. 15 დეკემბერი.

ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ

მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 22 დეკემბერს

(საგაზეთო ანგარიში)

ამ დღეებში ფინეთის წარმომადგენლებმა მოგვმართეს მოთხოვნით — დაუყოვნებლივ გვეცნო ფინეთის სრული დამოუკიდებლობა და დაგვედასტურებინა რუსეთისაგან მისი გამოყოფის ფაქტი. ამის პასუხად სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა და გადაწყვიტა გამოეცა დეკრეტი ფინეთის სრული დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც უკვე გამოქვეყნდა გაზეთებში.

აი სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების ტექსტი:

«პასუხად ფინეთის მთავრობის მომართვისა ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, სახალხო კომისართა საბჭო, ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპებთან სრული შესაბამისობით, ადგენს: შეიტანოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში წინადადება: ა) აღიარებულ იქნას ფინეთის რესპუბლიკის სახელმწი-

ფოებრივი დამოუკიდებლობა და ბ) შეიქმნას, ფინეთის მთავრობასთან შეთანხმებით, განსაკუთრებული კომისია (ორივე მხარის წარმომადგენელთაგან) იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც რუსეთისაგან ფინეთის გამოყოფიდან გამომდინარეობენ».

ცხადია, სახალხო კომისართა საბჭოს არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, ვინაიდან თუ ხალხი, თავის წარმომადგენელთა სახით, მისი დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვს, პროლეტარულმა მთავრობამ, ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების პრინციპის მიხედვით, უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ ჩვენ სრულ დაშლამდე მივიყვანეთ ჩვენი ქვეყანა, დავკარგეთ მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის ფინეთიც. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ მას ვერ დავკარგავდით, ვინაიდან ფაქტიურად იგი არასოდეს არ წარმოადგენდა ჩვენს საკუთრებას. ფინეთი ძალდატანების გზით რომ შეგვენარჩუნებინა, ეს სრულიადაც არ იქნებოდა იმის მომასწავებელი, რომ ჩვენ მას შევიძენდით.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ როგორ «იძენს» ვილჰელმი ძალადობითა და თვითნებობით მთელ სახელმწიფოებს და რა ნიადაგი იქმნება, ამის გამო, ხალხისა და მისი მჩაგვრელების ურთიერთობისათვის.

სოციალ-დემოკრატიის პრინციპები, მისი ლოზუნგები და მისწრაფებანი მდგომარეობენ იმაში, რომ შეიქმნას ხალხთა ურთიერთნდობის დიდი ხნის ნანატრი ატმოსფერო, და მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება განხორციელდეს ლოზუნგი «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!». ყოველივე ეს ძველია და ყველასათვის არის ცნობილი.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ფინეთის მიერ დამოუკიდებლობის მიღების სურათს, დავინახავთ, რომ ფაქტიურად სახალხო კომისართა საბჭომ თავისდა უნებურად

თავისუფლება მისცა არა ფინეთის ხალხს, არა ფინეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებს, არამედ ფინეთის ბურჟუაზიას, რომელმაც უცნაურად შექმნილი ვითარების გამო ხელთ იგდო ძალაუფლება და რუსეთის სოციალისტების ხელიდან მიიღო დამოუკიდებლობა. ფინეთის მუშები და სოციალ-დემოკრატები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ დამოუკიდებლობა უნდა მიიღონ არა უშუალოდ რუსეთის სოციალისტების ხელიდან, არამედ ფინეთის ბურჟუაზიის დახმარებით. ჩვენ ამაში ფინეთის პროლეტარიატის ტრაგედიას ვხედავთ და ამიტომ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ფინელმა სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ გაუბედაობისა და გაუგებარი სიმხდალის გამო არ გადადგეს გადამწყვეტი ნაბიჯები იმისათვის, რომ თვითონ აეღოთ ძალაუფლება და ფინეთის ბურჟუაზიის ხელიდან გამოეგლიჯათ თავიანთი დამოუკიდებლობა.

შეიძლება ლანძღო სახალხო კომისართა საბჭო, შეიძლება კრიტიკულად ეკიდებოდე მას, მაგრამ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს იმის მტკიცება, რომ სახალხო კომისართა საბჭო თავის დაპირებებს არ ასრულებს, ვინაიდან ქვეყნად არ არსებობს ისეთი ძალა, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი დაპირებანი გადაათქმევინოს. ეს ჩვენ დავამტკიცეთ იმ ფაქტით, რომ სრულიად პირუთვნელად მოვეკიდეთ ფინეთის ბურჟუაზიის მოთხოვნებს ფინეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და დაუყოვნებლივ შევუდექით ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ დეკრეტის გამოცემას.

მაშ, დაე ფინეთის დამოუკიდებლობამ გაამაგრონ ფინეთის მუშებისა და გლეხების განთავისუფლების საქმე და შექმნას მტკიცე ბაზა ჩვენი ხალხების მეგობრობისათვის.

«პრავდა» № 222,
1917 წ. 23 დეკემბერი.

«თურქეთის სომხეთის» შესახებ

ეგრეთწოდებული «თურქეთის სომხეთი», ვგონებ, ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რუსეთმა «ომის უფლებით» დაიკავა. ეს სწორედ ის «სამოთხის კუთხეა», რომელიც მრავალ წელს წარმოადგენდა (და ახლაც წარმოადგენს) დასავლეთის ხარბ დიპლომატიურ წადილთა და აღმოსავლეთის სისხლიან ადმინისტრაციულ ვარჯიშთა საგანს. ერთი მხრივ სომხების რბევა და ხოცვა-ჟლეტა, მეორე მხრივ ყველა ქვეყნის დიპლომატთა ფარისევლური «გამოსარჩლება», როგორც ახალი ხოცვა-ჟლეტის საფარველი, ხოლო შედეგად სისხლისაგან დაცლილი, მოტყუებული და დამონებული სომხეთი, — ვისთვის არ არის ცნობილი «ცივილიზებულ» სახელმწიფოთა დიპლომატიური «ოსტატობის» ეს «ჩვეულებრივი» სურათები?

სომხეთის შვილები, თავიანთი სამშობლოს გმირი დამცველები, მაგრამ სრულიადაც არა გამჭრიახი პოლიტიკოსები, რომლებმაც არაერთხელ მოატყუებინეს თავი იმპერიალისტური დიპლომატიის ავაზაკებს, — ახლა არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ დიპლომატიური კომბინაციების ძველი გზა სომხეთის განთავისუფლების გზა არ არის.

ცხადი ხდება, რომ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების გზას წარმოადგენს მუშათა რევოლუცია, რომელიც რუსეთში ოქტომბერში დაიწყო. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის ხალხთა ბედი, განსაკუთრებით კი სომეხი ხალხის ბედი, მჭიდროდ დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციის ბედთან. ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილი. მან დაფხრიწა მეფის ფარული ხელშეკრულებანი, რომლებიც ხელ-ფეხს უბორკავდნენ ხალხებს. ის, და მხოლოდ ის, შეძლებს ბოლომდე მიიყვანოს რუსეთის ხალხთა განთავისუფლების საქმე.

ამ მოსაზრებათა მიხედვით, სახალხო კომისართა საბჭომ გადაწყვიტა გამოსცეს სპეციალური დეკრეტი «თურქეთის სომხეთის» თავისუფალი თვითგამორკვევის შესახებ. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა გერმანია-თურქეთის ხელისუფალნი, თავიანთი იმპერიალისტური ბუნების ერთგულნი, არ ფარავენ სურვილს — ძალდატანებით შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა ოკუპირებულ ოლქებზე. დაე იცოდნენ რუსეთის ხალხებმა, რომ რუსეთის რევოლუციისა და მისი მთავრობისათვის უცხოა მისწრაფება დაპყრობისაკენ. დაე იცოდეს ყველამ, რომ ნაციონალური ჩაგვრის იმპერიალისტურ პოლიტიკას სახალხო კომისართა საბჭო უპირისპირებს ჩაგრულ ხალხთა სრული განთავისუფლების პოლიტიკას.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 227,
1917 წ. 31 დეკემბერი.

გამოსვლა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გერმანელებთან ზავის საკითხზე

1918 წ. 11 იანვარს

(მოკლე საოქმო ჩანაწერი)

ამხანაგ **სტალინის** აზრით, თუ რევოლუციური ომის ლოზუნგი მივიღეთ, ამით ხელს შევუწყობთ იმპერიალიზმს. ტროცკის პოზიციას შეუძლებელია პოზიცია ეწოდოს. დასავლეთში რევოლუციური მოძრაობა არ არის, არ არის რევოლუციური მოძრაობის ფაქტები, არამედ არის მხოლოდ პოტენცია, ჩვენს პრაქტიკაში კი ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ პოტენციას დავეყრდნოთ. თუ გერმანელებმა შემოტევა დაიწყეს, ეს ჩვენში კონტრრევოლუციას გააძლიერებს. შემოტევას გერმანია შეძლებს, ვინაიდან მას ჰყავს თავისი კორნილოველთა ჯარები — «გვარდია». ოქტომბერში ჩვენ ვლაპარაკობდით წმიდათა-წმიდა ომზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმიტომ რომ გვატყობინებდნენ, მარტო სიტყვა «ზავი» დასავლეთში რევოლუციას გამოიწვევსო. მაგრამ ეს არ გამართლდა. ჩვენ მიერ სოციალისტური რეფორმების გატარება აფორიაქებს დასავლეთს, მაგრამ ამ რეფორმების გასატარებლად ჩვენ დრო გვინდა. ტროცკის

პოლიტიკა თუ მივიღეთ, ამით ყველაზე ცუდ პირობებს შევქმნით დასავლეთში რევოლუციური მოძრაობისათვის. ამიტომ ამხანაგი სტალინი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ამხანაგ ლენინის წინადადება გერმანელებთან ზავის დადების შესახებ.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოქმები.
1917 წ. აგვისტო — 1918 წ. თებერვალი.
გ. — ლ., 1929.

კიევის ბურჟუაზიული რადის შესახებ

ბურჟუაზიული გაზეთები გამალებით ავრცელებენ ხმებს, თითქოს «დაიწყო მოლაპარაკება რადასა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის». კონტრრევოლუციონერებთან ახლო მდგომი წრეები ყოველნაირად აზვიადებენ ამ ხმებს და ხაზგასმით ალნიშნავენ მათს «განსაკუთრებულ» მნიშვნელობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრმა ამხანაგმა ლამის დაიჯეროს ზღაპარი კიევის რადასთან მოლაპარაკების შესახებ, ამასთან ბევრმა მათგანმა უკვე მომმართა წერილობითი შეკითხვით, თუ რამდენად დასაჯერებელია ეს.

ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ:

1) სახალხო კომისართა საბჭო კიევის რადასთან არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს და არც აპირებს აწარმოოს.

2) კიევის რადასთან, რომელიც საბოლოოდ დაუკავშირდა კალედინს და რუსეთის ხალხების ზურგს უკან მოღალატურ მოლაპარაკებას აწარმოებს ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტებთან, — ასეთ რადასთან სახალხო კომისართა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია აწარმოოს მხოლოდ ულმობელი ბრძოლა უკრაინის საბჭოების სრულ გამარჯვებამდე.

3) მშვიდობა და დაწყნარება უკრაინაში შეიძლება დადგეს მხოლოდ იმის შედეგად, თუ მოხდება კიევის ბურჟუაზიული რადის სრული ლიკვიდაცია, მხოლოდ იმის შედეგად, თუ იგი შეცვლილ იქნება ახალი რადით, საბჭოების სოციალისტური რადით, რომლის ბირთვი უკვე შეიქმნა ხარკოვში.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 9,
1918 წ. 13 იანვარი.

გამოსვლები მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე

1918 წ. 10 — 18 იანვარი [5]

1. მოხსენება ნაციონალურ საკითხზე

15 იანვარს

(საგაზეთო ანგარიში)

ერთ-ერთი საკითხი, — აღნიშნავს მომხსენებელი,—რომელიც განსაკუთრებით აღელვებს ამჟამად რუსეთს, ნაციონალური საკითხია. ამ საკითხის სერიოზულობას ის აძლიერებს, რომ ველიკოროსები რუსეთში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენენ და გარშემორტყმული არიან სხვა, «არამპყრობელი» ხალხებით, რომლებიც რუსეთის განაპირა მხარეებში მოსახლეობენ.

მეფის მთავრობა ითვალისწინებდა ნაციონალური საკითხის სერიოზულობას და ცდილობდა მაგრად დაეჭირა ხელში ნაციონალური საქმეები. იგი ეწეოდა განაპირა ქვეყნების ხალხთა ძალდატანებითი რუსიფიკაციის პოლიტიკას, მისი მოქმედების მეთოდი იყო დედაენის აკრძალვა, რბევა და სხვა სახის დევნა.

კერენსკის კოალიციურმა მთავრობამ მოსპო ეს ნაციონალური ზღუდეები, მაგრამ, თავისი კლასობრივი ხასიათის

გამო, მას არ შეეძლო მთელი სისრულით გადაეჭრა ნაციონალური საკითხი. რევოლუციის პირველი პერიოდის მთავრობა არათუ არ დაადგა ერთა სრული განთავისუფლების გზას, არამედ ბევრ შემთხვევაში რეპრესიული ზომების მიღებასაც არ ერიდებოდა ნაციონალური მოძრაობის დასათრგუნავად, როგორც ეს უკრაინისა და ფინეთის მიმართ მოხდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა აშკარად ყველა ერის თვითგამორკვევის უფლება რუსეთიდან სრულ გამოყოფამდე. ახალი ხელისუფლება ამ მხრივ უფრო რადიკალური აღმოჩნდა, ვიდრე ნაციონალური ჯგუფებიც კი ზოგიერთი ერის შიგნით.

და მიუხედავად ამისა, მთელი რიგი კონფლიქტები წარმოიშვა სახალხო კომისართა საბჭოსა და განაპირა მხარეებს შორის. მაგრამ ეს კონფლიქტები იქმნებოდა არა ნაციონალური ხასიათის საკითხების გარშემო, არამედ, სახელდობრ, ძალაუფლების საკითხის გარშემო. ორატორს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, თუ როგორ ცდილობდნენ განაპირა მხარეების ნაჩქარევად შეკოწიწებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები, შეძლებული კლასების ზედაფენათა წარმომადგენლებისაგან შედგენილნი, ვითომ თავიანთი ნაციონალური საკითხების გადასაჭრელად, გარკვეული ბრძოლა ეწარმოებინათ საბჭოთა და სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებთან. განაპირა მხარეებსა და ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას შორის წამოჭრილი ყველა კონფლიქტის ფესვი ძალაუფლების საკითხშია. და თუ ამა თუ იმ ოლქების ბურჟუაზიული წრეები ცდილობდნენ ნაციონალური ელფერი მიეცათ ამ კონფლიქტებისათვის, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ ეს მათთვის ხელსაყრელი იყო, რომ მოხერხებული იყო ნაციონალური სამოსლით

დაეფარათ მშრომელი მასების ძალაუფლებასთან ბრძოლა თავიანთი ოლქის ფარგლებში.

ორატორი დაწვრილებით ეხება რადის მაგალითს და დამაჯერებლად ამტკიცებს, თუ როგორ გამოიყენეს უკრაინის ბურჟუაზიულ-შოვინისტურმა წრეებმა თვითგამორკვევის პრინციპი თავიანთი კლასობრივი იმპერიალისტური მიზნებისათვის.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ თვითგამორკვევის პრინციპი საჭიროა განმარტებულ იქნას არა როგორც ამა თუ იმ ერის ბურჟუაზიის, არამედ როგორც ამ ერის მშრომელი მასების თვითგამორკვევის უფლება. თვითგამორკვევის პრინციპი სოციალიზმისათვის ბრძოლის საშუალება უნდა იყოს და სოციალიზმის პრინციპებს უნდა ექვემდებარებოდეს.

რუსეთის რესპუბლიკის ფედერალური წყობის საკითხზე ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფედერაციის უმაღლესი ორგანო უნდა იყოს საბჭოების ყრილობა. ერთი ყრილობიდან მეორემდე ყრილობის ფუნქციები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელში გადადის.

2. პროექტი რეზოლუციისა რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ

1) რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა არსდება რუსეთის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე, როგორც ამ ხალხების საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია.

2) ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ფედერაციის ფარგლებში წარმოადგენს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა, რომლის მოწვევაც ხდება ყოველ სამ თვეში მაინც.

3) მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ყრილობებს შუა პერიოდებში უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

4) ფედერაციის მთავრობას, სახალხო კომისართა საბჭოს, როგორც მთლიანად, ისე მის ნაწილებს, ირჩევს და გადააყენებს საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა ან სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

5) ფედერალურ მთავრობაში იმ ცალკეული ოლქების საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობის წესს, რომლებიც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და ნაციონალური შემადგენლობით განირჩევიან, ისევე როგორც რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ და საოლქო დაწესებულებათა საქმიანობის სფეროს გამიჯვნას საოლქო საბჭოთა რესპუბლიკების შექმნისთანავე განსაზღვრავენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

3. საბოლოო სიტყვა ნაციონალურ საკითხზე მოხსენების გამო

15 იანვარს

(საგაზეთო ანგარიში)

რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ წარმოდგენილი რეზოლუციის გამო საბოლოო სიტყვით გამოდის ამხანაგი **სტალინი.**

იგი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი რეზოლუცია კანონი კი არ არის, არამედ რუსეთის ფედერაციული რეს-

პუბლიკის მომავალი კონსტიტუციის მხოლოდ ზოგად საფუძვლებს სახავს.

სანამ არ დამთავრებულა ბრძოლა ორ პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის: ერთი მხრივ ნაციონალისტურ კონტრრევოლუციასა და მეორე მხრივ საბჭოთა ხელისუფლებას შორის, მანამდე ლაპარაკიც არ შეიძლება ჩამოყალიბებულ კონსტიტუციაზე, რომელიც მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრავდეს საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო წყობილების ყველა დეტალს.

რეზოლუცია შეიცავს კონსტიტუციის მხოლოდ ზოგად საფუძვლებს, რომლებიც დაწვრილებით დასამუშავებლად გადაეცემა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოების უახლოეს ყრილობას.

იმ საყვედურების პასუხად, რომ საბჭოთა ხელისუფლება მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს ბურჟუაზიულ რადასთან ბრძოლაშიო, ამხანაგი **სტალინი** აღნიშნავს, რომ საქმე ეხება ბრძოლას ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან, რომელიც ნაციონალურ-დემოკრატიული ფორმით გვევლინება.

ამხანაგი **სტალინი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რადის სათავეში მდგომ ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა (როგორც, მაგალითად, ვინიჩენკოს) დემოკრატიული დროშა სრულებითაც არ წარმოადგენს ნამდვილად დემოკრატიული პოლიტიკის გარანტიას.

ჩვენ რადაზე ვმსჯელობთ არა მისი სიტყვების, არამედ მისი საქმეების მიხედვით.

რით გამოიხატა რადის «სოციალისტების» სოციალიზმი?

სიტყვიერად უნივერსალში [6] მათ თავი გამოაცხადეს იმის მომხრედ, რომ მთელი მიწა ხალხს გადაეცეს, ნამდვილად კი გამოქვეყნებული განმარტებით მათ შეზღუდეს ეს გადა-

ცემა და ხელშეუხებლად გამოაცხადეს მემამულეთა მიწის ნაწილი, რომელიც ხალხს არ უნდა გადაეცეს.

სიტყვიერად მათ გამოაცხადეს ლოიალობა საბჭოებისადმი, ნამდვილად კი გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ საბჭოების წინააღმდეგ, იარაღს ჰყრიდნენ საბჭოთა ჯარებს, აპატიმრებდნენ საბჭოთა მუშაკებს და სპობდნენ საბჭოების შემდგომი არსებობის ყოველ შესაძლებლობას.

სიტყვიერად ისინი რევოლუციისადმი ერთგულებაზე ლაპარაკობდნენ, ნამდვილად კი რევოლუციის უბოროტეს მტრებად გამოამჟღავნეს თავი.

ისინი დონთან ბრძოლაში ნეიტრალიტეტზე ლაპარაკობდნენ, ნამდვილად კი პირდაპირ და აქტიურად უწყობდნენ ხელს გენერალ კალედინს, ეხმარებოდნენ საბჭოთა ჯარების დახვრეტაში და პურს არ უშვებდნენ ჩრდილოეთში.

ყოველივე ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტებია, და ის გარემოება, რომ რადა არსებითად ბურჟუაზიული და ანტირევოლუციურია, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

დემოკრატიის წინააღმდეგ საბჭოების რა ბრძოლაზე ლაპარაკობს აქ მარტოვი?

ორატორები მარჯვნიდან, განსაკუთრებით კი — მარტოვი, ალბათ იმიტომ აქებენ და იცავენ რადას, რომ მის პოლიტიკაში თავიანთი საკუთარი პოლიტიკის გამოხატულებას ხედავენ. რადა, რომელიც წარმოადგენს ყველა კლასის კოალიციას, ესოდენ საყვარელს ბატონ შემთანხმებელთათვის, მათ დამფუძნებელი კრების პირველსახედ მიაჩნიათ. ალბათ რადა, მემარჯვენე სექტორის წარმომადგენელთა სიტყვებს რომ მოისმენს, ასევე გულმოდგინედ შეაქებს მათ. ტყუილად ხომ არ იტყვიან: ამქარი ამქარს იცნობსო. (სიცილი, ტაში).

შემდეგ ორატორი ეხება კავკასიის თვითგამორკვევას და ზუსტი ცნობების საფუძველზე ამტკიცებს, რომ კავკა-

სიის კომისარიატი[7] აშკარა აგრესიულ პოლიტიკას ეწევა კავკასიის საბჭოთა ორგანიზაციებისა და საფრონტო საბჭოს წინააღმდეგ, ამავე დროს კი მას კონტაქტი აქვს კავკასიაში კონტრრევოლუციური მოძრაობის გმირთან — გენერალ პრჟევალსკისთან.

ყოველივე ამის გამო, იძულებული ვართ განვაგრძოთ ეგრეთწოდებული სამოქალაქო ომი, რომელიც არსებითად წარმოადგენს ბრძოლას ორ მიმდინარეობას შორის, — ერთი მიმდინარეობა ცდილობს განაპირა მხარეებში დაამკვიდროს კოალიციური, შემთანხმებლური ხელისუფლება, ხოლო მეორე იბრძვის სოციალისტური ხელისუფლების დამყარებისათვის, მშრომელი მასების — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ძალაუფლებისათვის.

აი რაშია იმ მწვავე კონფლიქტების შინაარსი და ისტორიული აზრი, რომლებიც იქმნება, ერთი მხრივ, სახალხო კომისართა საბჭოსა და, მეორე მხრივ, განაპირა მხარეების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კოალიციურ მთავრობებს შორის. ამ მთავრობების მითითება, რომ ისინი ბრძოლას იმისათვის ეწევიან, რომ ნაციონალური დამოუკიდებლობა დაიცვან, მხოლოდ და მხოლოდ ფარისევლური საფარია მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ლაშქრობისა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

უპასუხებს რა მარტოვის საყვედურს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება თითქოს თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა რუსულ განაპირა მხარეებში პროლეტარულ ხელისუფლებას მოითხოვს, ხოლო კურლანდიისა, ლიტვისა, პოლონეთისა და სხვებისათვის რეფერენდუმს სჯერდება, რასაც ბრესტში ტროცკი იცავსო, ამხანაგი **სტალინი** შენიშნავს, რომ სრული უაზრობა იქნებოდა დასავლეთ ოლქებში საბჭოთა

ხელისუფლების მოთხოვნა, როცა იქ საბჭოები ჯერ არც კი არსებობენ, როცა იქ ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური რევოლუცია.

— მარტოვის რეცეპტით რომ მოვიქცეთ, — ამბობს ორატორი, — საბჭოები უნდა გამოვიგონოთ იქ, სადაც ისინი არათუ არ არიან, არამედ მათკენ გზაც კი არ არის გახსნილი. ასეთ პირობებში საბჭოების მეშვეობით თვითგამორკვევაზე ლაპარაკი უდიდესი აბსურდია.

დასასრულ მომხსენებელი ერთხელ კიდევ ეხება დემოკრატიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის ძირითად უთანხმოებას. მაშინ როცა მემარცხენე ფრთა ცდილობს მიაღწიოს დაბალი ფენების დიქტატურას, უმრავლესობის ძალაუფლებას უმცირესობაზე, — მემარჯვენე ფრთა რჩევას იძლევა დავიხიოთ უკან, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის უკვე განვლილი ეტაპისაკენ. საფრანგეთსა და ამერიკაში პარლამენტარიზმის გამოცდილებამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ გარეგნულად დემოკრატიული ხელისუფლება, წარმოშობილი საყოველთაო საარჩევნო უფლების შედეგად, სინამდვილეში წარმოადგენს ფინანსურ კაპიტალთან კოალიციას, რომელიც ფრიად დაშორებულია ნამდვილ დემოკრატიზმს და უცხოა მისთვის. საფრანგეთში, ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ამ ქვეყანაში, დეპუტატებს მთელი ხალხი ირჩევს, მინისტრებს კი ლიონის ბანკი აყენებს. ამერიკაში არჩევნები საყოველთაოა, ხელისუფლების სათავეში კი მილიარდერ როკფელერის დამჭაშები ექცევიან.

— განა ეს ფაქტი არ არის? — კითხულობს ორატორი. — დიახ, ჩვენ დავასამარეთ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, და ამაოდ გვეწევიან მარტოვები უკან რევოლუციის მარტის პერიოდისაკენ. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი). ჩვენ,

მუშების წარმომადგენლებს, გვინდა, რომ ხალხი არა მარტო ხმის მიმცემი იყოს, არამედ მმართველიც. მბრძანებლობენ არა ისინი, ვინც ირჩევს და ხმას აძლევს, არამედ ისინი, ვინც მართავს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«პრავდა» № № 12 და 13;
1918 წ. 17 და 18 იანვარი.

ტელეფონოგრამა
რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტს

ბოლშევიკების პარტიის პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიას და ყველა რაიონულ კომიტეტს ვურჩევთ ერთი საათიც არ დაკარგონ და ფეხზე დააყენონ ყველა მუშა, რათა პეტერბურგის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ამ საღამოს, ათეულ ათასობით მუშები დარაზმონ და უკლებლივ მთელი ბურჟუაზია მუშების კონტროლით გაგზავნონ პეტერბურგთან სანგრების სათხრელად. ახლა, როცა რევოლუცია საფრთხეშია, მხოლოდ ამაშია რევოლუციის ხსნა. სანგრების ხაზს სამხედრო პირები დასახავენ, მოამზადეთ იარაღი, ხოლო, რაც მთავარია — ფეხზე დადექით და დაიარაზმეთ უკლებლივ ყველანი.

ლენინი
სტალინი

1918 წ. 21 თებერვალი.

იბეჭდება პირველად.

დეპეშა
უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს [8]

ხუთი დღის წინათ გენერალმა ჰოფმანმა განგვიცხადა, დროებითი ზავის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდაო [9], ხოლო ერთი დღის შემდეგ მან საომარი მოქმედება დაიწყო. სახკომსაბჭოს განცხადებებზე, რომ ის თანახმაა განაახლოს საზავო მოლაპარაკება, პასუხი ჯერ კიდევ არ მოუციათ. აშკარაა, გერმანიის მთავრობა არ ჩქარობს პასუხის მოცემას იმისათვის, რომ ბოლომდე გაძარცვოს ჩვენი ქვეყანა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს მოლაპარაკება ზავის შესახებ. გერმანელებმა აიღეს დვინსკი, როვნო, მინსკი, ვოლმარი, ჰაპსალი, მოიწევენ პიტერისა და კიევისაკენ. ცხადია, ლაშქრობის მიზანია არა მარტო დაპყრობა, არამედ უმთავრესად, რევოლუციისა და მის მონაპოვართა ჩახრჩობა.

სახკომსაბჭომ გადაწყვიტა მოაწყოს წინააღმდეგობის გაწევა პიტერიდან, მოახდინოს მთელი მუშა მოსახლეობის, აგრეთვე ბურჟუაზიის მობილიზაცია, ამასთან, თუ ეს უკანასკნელი არ მოისურვებს სანგრების თხრას, ძალით გაიყვანოს იგი, მუშების კონტროლით ათხრევინოს სანგრები.

ამხანაგების საერთო აზრი ის არის, რომ თქვენ, კიეველები, ვალდებული ხართ ერთი წუთიც არ დაკარგოთ და

ასეთივე წინააღმდეგობა მოაწყოთ კიევის დასავლეთით, მოახდინოთ მთელი ცოცხალი ძალების მობილიზაცია, დადგათ არტილერია, თხაროთ სანგრები, გარეკოთ ბურჟუაზია მუშების კონტროლით სასანგრო სამუშაოებზე, გამოაცხადოთ საალყო წესები და იმოქმედოთ სისასტიკის ყველა წესის მიხედვით. საერთო დავალებაა — დავიცვათ პეტროგრადი და კიევი, შევაკავოთ გერმანელთა ბანდები, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე შეიძლება თქვენ გეჩვენოთ, — ჩვენთვის უეჭველია, რომ გერმანელთა ბანდებს სურთ გაისეირნონ პიტერიდან კიევამდე და იქ, მხოლოდ იქ, ამ დედაქალაქებში, გამართონ მოლაპარაკება ზავის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ძველი რადის ხელშეკრულება გერმანელებთან [10] თქვენ ჯერ კიდევ არ გაგიუქმებიათ. თუ ეს ასეა, ჩვენ გვგონია, რომ თქვენ ეს არ უნდა დააჩქაროთ.

კიდევ ერთხელ: ერთი წუთიც არ დაკარგოთ, უკამათოდ შეუდექით საქმეს და დაანახვეთ ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უნარი შესწევს თავი დაიცვას.

მთელი ჩვენი იმედი მუშებზეა, ვინაიდან დემობილიზაციის პროცესში მყოფი ეგრეთწოდებული არმია მხოლოდ პანიკისა და გაქცევის უნარის მქონე აღმოჩნდა.

ველი დაუყოვნებლივ პასუხს.

სახკომსაბჭოს დავალებით **ი. სტალინი**

პეტროგრადი,
1918 წ. 21 თებერვალი.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
დოკუმენტები 1918 წელს უკრაინაში
გერმანელი ოკუპანტების განადგურების შესახებ.
სახპოლიტგამომცემლობა, 1942.

ბარათი პირდაპირი მავთულით უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს

სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით სახალხო კომისარი **სტალინი.**

გუშინწუინ, 22 თებერვალს, გერმანიის მთავრობისაგან მივიღეთ ზავის მძიმე, შეიძლება ითქვას, მხეცური პირობები, ამასთან გერმანელები მოითხოვენ ამ პირობების მიღებას ორმოცდარვა საათში. ამავე დროს გერმანელთა რაზმები უტევენ რეველსა და პსკოვს და ემუქრებიან პეტროგრადს, ჩვენი ჯარები კი საბოლოოდ უარს ამბობენ წინააღმდეგობის გაწევაზე. მე არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენთვის ეს პირობები. ჩვენ ისინი ყველგან გადავეცით რადიოთი. გაცნობებთ მთავარს.

«პუნქტი მეოთხე. რუსეთი დაუყოვნებლივ დებს ზავს უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან. რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყოვნებლივ ცლიან უკრაინასა და ფინეთს». «რუსეთის სამხედრო გემები შავი ზღვისა და სხვ. დაუყოვნებლივ გადაყვანილ უნდა იქნან რუსეთის ნავსადგურებში და დატოვებულ იქნან იქ ზავის საყოველთაოდ დადებამდე, ან განიარაღებულ იქნან». «სავაჭრო

ნაოსნობა შავ და სხვა ზღვებში განახლდება, როგორც ეს გათვალისწინებული იყო დროებითი ზავის ხელშეკრულებით. ნაღმებისაგან გაწმენდა დაუყოვნებლივ იწყება».

«პუნქტი მესამე. რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყოვნებლივ ცლიან ლიფლანდიასა და ესტლანდიას და ამ მხარეებს გერმანიის პოლიცია იკავებს მანამდე, სანამ ქვეყნის მოწყობა არ შექმნის იქ საზოგადოებრივი უშიშროებისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის გარანტიას. ყველა მცხოვრები, რომელიც დაპატიმრებულია პოლიტიკურ საფუძველზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნას განთავისუფლებული».

«პუნქტი მეხუთე. რუსეთი თავისი ძალების მიხედვით ყველაფერს გააკეთებს, რათა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს თურქეთისათვის მისი აღმოსავლეთი ანატოლიის პროვინციების გეგმაშეწონილი დაბრუნება, და აღიარებს თურქეთის კაპიტულაციის გაუქმებას».

ამას მოსდევს პუნქტები სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, რომლებსაც საფუძვლად უდევს ძველი რადის თქვენთვის ცნობილი ხელშეკრულება ავსტრია-უნგრეთთან.

საერთოდ, უნდა ითქვას, პირობები წარმოუდგენლად მხეცურია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პუნქტი უკრაინის შესახებ მოასწავებს არა ვინიჩენკოს ძალაუფლების აღდგენას, რომელიც თავისთავად ღირებულებას არ წარმოადგენს გერმანელებისათვის, არამედ ფრიად რეალურ ზემოქმედებას ჩვენზე, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ჩვენ და თქვენ დაფთანხმდეთ მივიღოთ ძველი რადის ხელშეკრულება ავსტრია-უნგრეთთან, ვინაიდან გერმანელებს სურთ არა ვინიჩენკო, არამედ ფაბრიკატების გაცვლა პურზე და მადანზე.

ახლანდელ მდგომარეობას გერმანელების შემოტევასთან და ჩვენი ჯარების გამოქცევასთან დაკავშირებით ჩვენ

ასე ვაფასებთ: ჩვენი იმპერიალისტები რომ დავამხეთ, ჩვენ, დასავლეთში რევოლუციური მოძრაობის ნელი ტემპის, ჩვენი ჯარების მერყეობის და გერმანელ იმპერიალისტთა უმაგალითო მტაცებლობის გამო, დროებით კლანჭებში ჩავუვარდით უცხოეთის იმპერიალიზმს, რომლის წინააღმდეგ ახლავე უნდა ვამზადოთ ძალები სამამულო ომის მოსაწყობად, დასავლეთში რევოლუციური ძალების ამოძრავების იმედით, რაც, ჩვენი აზრით, გარდუვალია. ასეთი მომზადებისათვის საჭიროა მინიმალური შესვენება, რომელიც შეიძლება მხეცურმა ზავმაც კი მოგვცეს. არამცდა-არამც არ შეიძლება შევიქმნათ ილუზიები. გამბედაობა უნდა გვქონდეს თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და ვაღიაროთ, რომ ჩვენ დროებით მოვექეცით გერმანული იმპერიალიზმის კლანჭებში. სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც დღეს ღამის 3 საათზე გადაწყვიტა დადოს ზავი მხეცური პირობებით და სახკომსაბჭოს დაავალა გაგზავნოს დელეგაცია ბრესტში, რაც კიდევაც მოხდა დღეს. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება. ჯერჯერობით კი ვემზადოთ და კვლავ ვემზადოთ გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ წმიდათა-წმიდა ომის მოსაწყობად.

ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, რომ თქვენმა სახალხო სამდივნომ უნდა გაგზავნოს თავისი დელეგაცია ბრესტში და იქ განაცხადოს, რომ, თუ ავსტრიელ-გერმანელები მხარს არ დაუჭერენ ვინიჩენკოს ავანტიურას, სახალხო სამდივნო კიევის ძველი რადის ხელშეკრულების საფუძვლების წინააღმდეგი არ იქნება. თქვენი ასეთი ნაბიჯი, ჯერ-ერთი, ხაზგასმით აღნიშნავდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის

საბჭოების იდეურ და პოლიტიკურ ძმობას; მეორეც, შეგვინარჩუნებდა საბჭოთა ხელისუფლებას უკრაინაში, რაც უდიდეს პლუსს შეადგენს მთელი საერთაშორისო რევოლუციისათვის. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ გაგვიგოთ და დაგვეთანხმოთ უბედური ზავის ამ კარდინალურ საკითხებში.

ველი დაუყოვნებლივ პასუხს ორ კითხვაზე: დღესვე გამოგზავნით დელეგატებს პეტროგრადში თუ, უფრო მარტივად, პირდაპირ ბრესტში გაგზავნით ერთობლივი მოლაპარაკებისათვის გერმანელებთან, — ეს ერთი. მეორე: იზიარებთ თუ არა ჩვენს შეხედულებას იმის შესახებ, რომ მისაღებია ვინიჩენკოსეული ხელშეკრულება ვინიჩენკოს და მისი ხროვის გარეშე? ველი პასუხს ამ კითხვებზე იმისათვის, რომ მოვამზადოთ მანდატი და მოვაწყოთ თქვენი გამგზავრება ბრესტში.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

პეტროგრადი,
1918 წ. 24 თებერვალი.

ბეჭდება პირველად.

უკრაინის კვანძი

თებერვლის დამლევს, ჯერ კიდევ გერმანიასთან ზავის დადებამდე, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნომ დელეგაცია გაგზავნა ბრესტში განცხადებით იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა ხელი მოაწეროს ყოფილი კიევის რადის მიერ გერმანიის კოალიციასთან დადებულ ხელშეკრულებას.

გერმანიის სარდლობის წარმომადგენელმა ბრესტში, საკმაოდ ცნობილმა ჰოფმანმა, სახალხო სამდივნოს დელეგაცია არ მიიღო და განაცხადა, რომ საჭიროდ არ მიაჩნია საზავო მოლაპარაკება ამ დელეგაციასთან.

ამავე დროს გერმანელი და ავსტრიელ-უნგრელი დამკვრელები, პეტლიურა-ვინიჩენკოს გაიდამაკთა რაზმებთან ერთად, შემოესიენ საბჭოთა უკრაინას.

არა ზავი, არამედ ომი საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ,— ასეთია ჰოფმანის პასუხის აზრი.

ყოფილი კიევის რადის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით, უკრაინამ აპრილის დამლევამდე გერმანიას უნდა მისცეს 30 მილიონი ფუთი პური. ალარას ვამბობთ აქ «მადნის თავისუფალ გაზიდვაზე», რაც გერმანიამ მოითხოვა.

საბჭოთა უკრაინის სახალხო სამდივნოსათვის, უეჭველია, ცნობილი იყო ხელშეკრულების ეს პუნქტი, და მან იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა ოფიციალურად აცხადებდა თანხმობას ხელი მოეწერა ვინიჩენკოსეულ ზავზე.

მიუხედავად ამისა, გერმანიის მთავრობამ, ჰოფმანის სახით, უარი განაცხადა დაეწყო საზავო მოლაპარაკება სახალხო სამდივნოსთან, რომელიც აღიარებულია უკრაინის ყველა, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო საბჭოების მიერ. მან მკვდრებთან კავშირი, დამხობილ და განდევნილ კიევის რადასთან კავშირი ამჯობინა საზავო ხელშეკრულებას უკრაინელი ხალხის მიერ აღიარებულ სახალხო სამდივნოსთან, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მისცეს პური «საჭირო რაოდენობით».

ეს იმას ნიშნავს, რომ ავსტრია-გერმანიის შემოსევა მიზნად ისახავს არა მარტო პურის მიღებას, არამედ, უმთავრესად, — უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ძველი ბურჟუაზიული რეჟიმის აღდგენას.

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელებს არა მარტო სურთ ამოქაჩონ უკრაინაში მილიონობით ფუთი პური, არამედ ცდილობენ უუფლებონიც გახადონ უკრაინელი მუშები და გლეხები, წაართვან მათ სისხლით მოპოვებული ძალაუფლება და გადასცენ იგი მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

ავსტრიისა და გერმანიის იმპერიალისტებს თავიანთი ხიშტებით მოაქვთ ახალი, სამარცხვინო უღელი, რომელიც არაფრით არ სჯობია ძველ, თათართა უღელს, — ასეთია დასავლეთიდან შემოსევის აზრი.

ამას გრძნობს, როგორც ჩანს, უკრაინელი ხალხი, რომელიც გამალებით ემზადება წინააღმდეგობის გასაწევად. გლეხთა წითელი არმიის შედგენა, მუშათა წითელი გვარდიის მობილიზაცია, მთელი რიგი წარმატებით დამთავრებული შეტაკებანი «ცივილიზებულ» მოძალადეებთან პანი-

კის პირველ გამოვლინებათა შემდეგ, ბახმაჩის, კონოტოპის, ნეჟინის უკანვე დაბრუნება და კიევთან მისვლა, სულ უფრო გაძლიერებული ენთუზიაზმი მასებისა, რომლებიც ათასობით ებმებიან დამმონებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, — აი რით უპასუხებს სახალხო უკრაინა მოძალადეთა შემოსევას.

უცხოელთა უღლის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთიდან მოდის, საბჭოთა უკრაინა აჩაღებს განმათავისუფლებელ **სამამულო** ომს, — ასეთია უკრაინაში დატრიალებული ამბების აზრი.

ის იმას ნიშნავს, რომ გერმანელებს ყოველი ფუთი პურის და ყოველი ნაჭერი ლითონის მიღება მოუხდებათ ბრძოლით, უკრაინელ ხალხთან გააფთრებული შეტაკების შედეგად.

ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინა პირდაპირ დაპყრობილ უნდა იქნას, რათა გერმანელებმა პური მიიღონ და ტახტზე დასვან პეტლიურა-ვინიჩენკო.

«მოკლე დარტყმას», რომლითაც გერმანელები ვარაუდობდნენ ერთბაშად ორი კურდღელი დაეჭირათ (პურიც მიეღოთ და საბჭოთა უკრაინაც შეემუსრათ), ყველა შანსი აქვს გადაიქცეს უცხოელ დამმონებელთა გაჭიანურებულ ომად უკრაინის ოცმილიონიან ხალხთან, რომელსაც პურისა და თავისუფლების წართმევას უპირებენ.

განა საჭიროა დაემატოს ამას, რომ უკრაინელი მუშები და გლეხები თავიანთ ძალღონეს არ დაიშურებენ «ცივილიზებულ» მოძალადეებთან გმირული ბრძოლისათვის?

განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ უკრაინაში დაწყებულ **სამამულო** ომს ყველა შანსი აქვს მთელი საბჭოთა რუსეთის ყოველმხრივი დახმარების იმედი იქონიოს?

ერთიც ვნახოთ, უკრაინაში დაწყებულმა ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო და, ბოლოს, გადაიქცა რუსეთის ყველა პატიოსანი და კეთილშობილური ელემენტების ომად დასავლეთიდან მომავალი ახალი უღლის წინააღმდეგ?

ერთიც ვნახოთ, გერმანელმა მუშებმა და ჯარისკაცებმა ასეთი ომის მსვლელობაში გაიგეს, ბოლოს და ბოლოს, რომ გერმანიის მესვეურებს ასულდგმულებთ არა «გერმანელთა სამშობლოს თავდაცვის» მიზნები, არამედ მხოლოდ გამტყვრალი იმპერიალისტი მხეცის გაუმაძღრობა, და, ეს რომ გაიგეს, სათანადო პრაქტიკული დასკვნები გააკეთეს?

განა ცხადი არ არის აქედან, რომ იქ, უკრაინაში, ახლა ინასკვება მთელი საერთაშორისო თანამედროვეობის ძირითადი კვანძი, -- რუსეთში დაწყებული მუშათა რევოლუციისა და დასავლეთიდან წამოსული იმპერიალისტური კონტრრევოლუციის კვანძი?

გამტყვრალი იმპერიალისტი მხეცი, რომელიც კისერს მოიტეხს საბჭოთა უკრაინაში, — განა აქეთ არ მიდის ახლა მოვლენათა ულმობელი ლოგიკა?..

«იზვესტია» № 47,
1918 წ. 14 მარტი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ

იმ დროიდან, რაც საბჭოების III ყრილობამ რუსეთის რესპუბლიკის ფედერაციული წყობილება გამოაცხადა, უკვე ორი თვე გავიდა, ხოლო განაპირა მხარეებს, რომლებიც ჯერ კიდევ გართული არიან ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით, დღემდე ნათლად და გარკვევით არ გამოუთქვამთ აზრი ფედერირების კონკრეტული ფორმების შესახებ. თუ არ ჩავთვლით უკრაინას, რომელსაც ახლა მხეცურად აწამებენ «ცივილიზებული» მოძალადენი, და ყირიმსა და დონის ოლქს, რომლებმაც უკვე დაუჭირეს მხარი რუსეთთან ფედერაციულ კავშირს, თათრეთ-ბაშკირეთი, ვგონებთ, ერთადერთი ოლქია, რომლის რევოლუციურმა ორგანიზაციებმა გარკვევით დასახეს საბჭოთა რუსეთთან ფედერირების გეგმა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის ორგანიზაციის ის მარჯვედ მოხაზული ზოგადი სქემა, რომელზეც ახლა ყველა ლაპარაკობს და რომელიც თათართა და ბაშკირთა ყველაზე გავლენიანმა საბჭოთა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს.

თათრეთ-ბაშკირეთის რევოლუციური მასების სურვილების დასაკმაყოფილებლად და საბჭოების III ყრილობის გადაწყვეტილების მიხედვით, რომელმაც რუსეთი საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციად გამოაცხადა, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატმა, სახალხო კომისართა საბჭოს მითითების თანახმად, შეიმუშავა ქვემოთ მოყვანილი დებულება რუსეთის საბჭოთა ფედერაციის თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ. თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობა, რომლის მოწვევაც შორს აღარ არის, შეიმუშავებს ამ დებულების კონკრეტულ ფორმებსა და დეტალებს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო დაამტკიცებენ — ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შეგვიტანოდეს ამაში — ამ ყრილობის მუშაობის შედეგებს.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 53,
1918 წ. 23 მარტი.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით

რუსეთის ფედერაციის განაპირა მხარეებს შორის ამიერკავკასია, ვგონებთ, ყველაზე დამახასიათებელი კუთხეა ნაციონალური შემადგენლობის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ოსები და აფხაზები, — ასეთია ამიერკავკასიის შვიდმილიონიანი მოსახლეობის ნაციონალური მრავალფეროვნების არც თუ სრული სურათი.

არც ერთ ამ ნაციონალურ ჯგუფს არა აქვს ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები, ისინი ყველანი დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად ცხოვრობენ, და არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც. არსებითად ამით აიხსნება, რომ ამიერკავკასიის ნაციონალური ჯგუფების საერთო ბრძოლა რუსეთის ცენტრის წინააღმდეგ ძალიან ხშირად იჩრდილება მათი გააფთრებული ბრძოლით ერთმანეთს შორის. ეს კი ფრიად «მარჯვე» ვითარებას ქმნის კლასობრივი ბრძოლის დასაფარავად ნაციონალური დროშებითა და საჟღარუნოებით.

ამიერკავკასიის მეორე, არანაკლებ დამახასიათებელი თვისებაა მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა. თუ არ ვიანგარიშებთ ბაქოს, მხარის ამ სამრეწველო ოაზისს, რომელსაც უმთავრესად გარეშე კაპიტალი ამოძრავებს, ამიერკავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით კიდეებზე, ზღვების ნაპირებზე, და პირწმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით ცენტრში. თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებში დღემდე ბლომად არიან მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალი ქართველი თავადები, რომლებიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობენ, სპეციალური შეიარაღებული ბანდები ჰყავთ და თავიანთ ხელში უპყრიათ თათარ-სომეხ-ქართველ გლეხთა ბედი. არსებითად ამით აიხსნება აგრარული «არეულობის» ის მკვეთრი ფორმები, რომლებსაც ხშირად იღებს იქ გლეხთა უკმაყოფილება. აქვე უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობა სუსტი და ჩამოუყალიბებელია (თუ არ ვიანგარიშებთ ბაქოს), ძალიან ხშირად იჩრდილება აგრარული «არეულობით». ყოველივე ეს ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს შეძლებული კლასებისა და ეგრეთწოდებული «სოციალისტური», მეტწილად თავადაზნაურული, ინტელიგენციის პოლიტიკური კოალიციისათვის მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ახლა ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება.

თებერვლის რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია მხარის მშრომელი კლასების მდგომარეობაში. ჯარისკაცები, სოფლის ეს ყველაზე რევოლუციური ელემენტები, ჯერ კიდევ ფრონტზე იყვნენ. ხოლო მუშები, საერთოდ სუსტნი, როგორც კლასი, მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზით, და ჯერ კიდევ მოუღონიერებელნი, როგორც ორგანიზებული ერთეული, მოპოვებული

პოლიტიკური თავისუფლებებით აღფრთოვანების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და, როგორც ჩანს, უფრო შორს წასვლას აღარ აპირებდნენ. მთელი ძალაუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. ეს უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდნენ ძალაუფლებას და მოლოდინში იყვნენ. ხოლო ესერ-მენშევიკ სტრატეგებს ხალისით ანდობდნენ — მიეძინებინათ მუშები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის შესახებ და სხვ.

ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!» მეხივით გავარდა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები. და როცა ამ ლოზუნგმა, რომელიც ჩრდილოეთ რუსეთში გაისმა, იქ განხორციელება იწყო, ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლებას გარდუვალი სიკვდილი მოაქვთ მათთვის. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა მათთვის. ხოლო «სოციალისტური» ესერულ-მენშევიკური ინტელიგენცია, რომელმაც უკვე იგემა ძალაუფლების ნაყოფი და ახლა მისი დაკარგვის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა, ავტომატურად მოექცა შეძლებულ კლასებთან კავშირში.

ასე შეიქმნა ანტისაბჭოთა კოალიცია ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის კომისარიატი, ერთი მხრივ თავისი თანთარი ბეგებით, როგორიც არიან ხან-ხოისკი და ხასმამედოვი, და მეორე მხრივ ქართველი თავადაზნაურული

ინტელიგენტებით, როგორიც არიან ჟორდანია და გეგეჭკორი, ამ ანტისაბჭოთა კოალიციის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს.

ნაციონალურ ჯგუფებს შიგნით კლასთა კოალიციისათვის ეწყობა «ნაციონალური საბჭოები»: ქართველებს, თათრების, სომხებისა. მათი სულისჩამდგმელია მენშევიკი ჟორდანია.

ამიერკავკასიის ყველა მთავარი ეროვნების შეძლებული ფენების კოალიციისათვის იქმნება ამიერკავკასიის კომისარიატი. მისი ხელმძღვანელია მენშევიკი გეგეჭკორი.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მხარის «მთელი მოსახლეობის» გაერთიანებისათვის ეწყობა ეგრეთწოდებული «ამიერკავკასიის სეიმი», რომელიც შესდგება დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ ესერ-მენშევიკ-დაშნაკ-ხან წევრთაგან. მისი დეკორაცია, — უკაცრავად, — თავმჯდომარეა მენშევიკი ჩხეიძე.

აქ «სოციალიზმიც» არის, «ნაციონალური თვითგამორკვევაც» და რაღაც უფრო რეალურიც, ვიდრე ეს ძველი საყღარუნოები, სახელდობრ: შეძლებული ფენების რეალური კავშირი მუშურ-გლეხური ძალაუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ საყღარუნოებით დიდხანს თავს ვერ გაიტან. კავშირი «საქმეს» მოითხოვს. და «საქმეც» დაუყოვნებლივ გამოვიდა ასპარეზზე, როგორც კი პირველი რეალური საფრთხე გაჩნდა. ჩვენ ვლაპარაკობთ რევოლუციურ ჯარისკაცებზე, რომლებიც თურქეთის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ. ამ ჯარისკაცებს უნდა გამოევლოთ თბილისზე, ანტისაბჭოთა კოალიციის დედაქალაქზე. ბოლშევიკების ხელში ისინი შეიძლება სერიოზული საფრთხე გამხდარიყვნენ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობისათვის. ეს საფრთხე სავსე-

ბით რეალური იყო. და ეი აქ, ამ საფრთის წინაშე, გაქრა ყველა და ყოველგვარი «სოციალისტური» საჟღარუნო. მჟღავნდება კოალიციის კონტრრევოლუციური ხასიათი. კომისარიატი და «ნაციონალური საბჭოები» იარაღს ჰყრიან ფრონტიდან მომავალ ნაწილებს, მუხანათურად უტეხენ მათ სროლას და აიარაღებენ ველურ «ნაციონალურ» ურდოებს. «საქმის» მეტი სიმტკიცისათვის და ჩრდილოეთიდან თავის უზრუნველსაყოფად, ამიერკავკასიის კომისარიატი უთანხმდება კარაულოვსა და კალედინს, ვაგონობით უგზავნის ამ უკანასკნელს ვაზნებს, ეხმარება მას იმ ნაწილების განიარაღებაში, რომელთა განიარაღებაც თვითონ ვერ შეძლო, და საერთოდ ყველა საშუალებით ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ააშოროს ამიერკავკასიის შეძლებულ კლასებს საშიშროება რევოლუციური ჯარისკაცების მხრივ, ამასთან არავითარ საშუალებას არ მოერიდონ, — ასეთია ამ საზიზღარი «პოლიტიკის» არსი. შეუგნებელ შეიარაღებულ მუსლიმანთა რაზმების წასისიანება რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა შეტყუება წინასწარ მოწყობილ საფრებში, ჟლეტა და დახვრეტა, — ასეთია ამ «პოლიტიკის» საშუალებები. განიარაღების ამ სამარცხვინო «პოლიტიკას» ზედმიწევნით გვისურათებს თურქეთის ფრონტიდან კალედინის წინააღმდეგ მომავალ რუს ჯარისკაცთა დახვრეტა შამქორთან, ელიზავეტპოლსა და თბილისს შუა.

ეი რას იუწყება ამის შესახებ «ბაკინსკი რაბოჩი» [11]:

«1918 წლის იანვრის პირველ ნახევარში რკინიგზის ხაზზე თბილისიდან ელიზავეტპოლამდე შეიარაღებულ მუსლიმანთა ათასიანმა ბანდებმა ელიზავეტპოლის მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრების მეთაურობით და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით რამდენჯერმე ძალით განაიარაღეს რუსეთში მიმავალი სამხედრო ნაწილები. ამასთან მოკლული და დასახიჩრებულია ათასობით რუსი ჯარისკაცი, რომელთა

გვამებით მოფენილია რკინიგზის ხაზი. მათ ჩამოართვეს 15 000-მდე თოფი, 70-მდე ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი».

ასეთია ფაქტები.

მემამულეებისა და ბურჟუაზიის კავშირი ამიერკავკასიის რევოლუციურ ჯარისკაცთა წინააღმდეგ, კავშირი, რომელიც ოფიციალური მენშევიზმის დროშით მოქმედებს, — ასეთია ამ ფაქტების აზრი.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ამონაწერები «ბაკინსკი რაბოჩის» სტატიებიდან, რომლებიც აშუქებენ ელიზავეტპოლ-შამქორის ამბებს.

«მენშევიკები ცდილობენ დაფარონ სიმართლე ელიზავეტპოლის ამბების შესახებ. მათი გუშინდელი მოკავშირეების, თბილისელი ესერების გაზეთი «ზნამია ტრუდაც» კი აღნიშნავს მათს ცდებს «ჩაფარცხონ საქმე», და მოითხოვს საკითხის აშკარად განხილვას სამხარეო ცენტრში.

ჩვენ მივესალმებით ესერების ამ მოთხოვნას, ვინაიდან იმაზე, ოფიციალურად მხილებული იქნებიან თუ არა შამქორის ტრაგედიის დამნაშავენი, სრული შუქი მოეფინება თუ არა 6 — 12 იანვრის ამბებს, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია რევოლუციის შემდგომი ბედი ამიერკავკასიაში.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ელიზავეტპოლის ამბების დამნაშავეთა შორის დასახელებულ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ოდესღაც ყოფილი ბელადი, ამჟამად ეგრეთწოდებული «მამა ქართველი ერისა» — ნოე ნიკოლოზის-ძე ჟორდანია. მისი თავმჯდომარეობით იყო, სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმმა რომ დაადგინა განეიარაღებინა გამვლელი ეშელონები და მათ ხარჯზე შეეიარაღებინა ნაციონალური პოლკები. მისი ხელმოწერით გაეგზავნა ელიზავეტპოლის მუსლიმანთა ნაციონალურ კომიტეტს დეპეშა შამქორთან დაგროვილი ეშელონების განიარაღების შესახებ. იგი, ნოე ჟორდანია, გზავნიდა თბილისიდან დელეგაციებს იმავე დავალებით — განეიარაღებინათ ეშელონები. ეს ოფიციალურად განაცხადა დელეგაციის წევრმა ჯარისკაცმა კრუპკომ სამოქალაქო კომიტეტის ხალხმრავალ სხდომაზე ელიზავეტპოლში. ნოე ჟორდანიამ და მისმა ყოველთვის უგონოდ გულმოდგინე თანაშემწემ ნ. რამიშვილმა გაგზავნეს ჯავშნიანი მატარე-

ბელი აფხაზავას მეთაურობით, რომელიც იარაღს ურიგებდა მუსლიმანებს და ეხმარებოდა მათ ათასობით ჯარისკაცთა დახვრეტასა და ეშელონების განიარაღებაში.

ნოე ჟორდანია იმით იმართლებს თავს, რომ დეპეშისათვის ხელი არ მოუწერია. ათობით ადამიანი, სომეხი და მუსლიმანი, აძტკიცებს, რომ დეპეშა ხელმოწერილია მის მიერ და ეს დეპეშა არსებობს. ჟორდანია ამბობს, რომ, როცა გართულება შეიტყო, ტელეფონით ელაპარაკა აფხაზავას, სთხოვა ძალდატანებით არ განეიარაღებინა ეშელონები და გაეშვა ისინი. აფხაზავა მოკლულია; ამ განცხადების შემოწმება არ შეიძლება, მაგრამ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ასეთი საუბარი იყო...

თუ თავს დავანებებთ მკვდარს, რომელსაც, ანდაზისა არ იყოს, შეიძლება ყველაფერი თავს მოახვიო, არიან ცოცხალი მოწმენი, რომლებიც უარყოფენ ჟორდანიას ჩვენებას და ადასტურებენ როგორც დეპეშის მისამართს, ისე ჟორდანიას ხელმოწერას და დელეგაციის გაგზავნას განიარაღების დავალებით და სხვ.

რატომ პასუხისგებაში არ აძლევს მათ ჟორდანია, თუ ისინი სიმართლეს არ ამბობენ? რატომ სურთ მას და მის მეგობრებს «ჩაფარცხონ საქმე»?

არა, მოჭალაქენო ჟორდანია, რამიშვილო და კომპანია, თქვენ გაკისრიათ მძიმე პასუხისმგებლობა 7 — 12 იანვარს ათასობით მოკლულ ჯარისკაცთა სისხლისათვის.

შეგიძლიათ თუ არა თავი იმართლოთ ამ მძიმე დანაშაულში? მაგრამ ჩვენ პირად გამართლებაზე როდი ვლაპარაკობთ.

ჟორდანია ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც იმ პარტიის ბელადი, რომელიც პოლიტიკას ქმნის ამიერკავკასიაში, როგორც ამიერკავკასიის ხელისუფლების ყველაზე ავტორიტეტიანი და პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

იგი თავის დანაშაულებრივ საქმეს აკეთებდა, ჯერ-ერთი, სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმისა და საეროვნებათაშორისო საბჭოს დადგენილებით და, მეორეც, უეჭველია, ამიერკავკასიის კომისარიატის დასტურით. ბრალდება, რომელსაც ჩვენ ჟორდანიას ვუყენებთ, ვრცელდება მენშევიკების მთელ პარტიაზე, სამხარეო ცენტრზე, ამიერკავკასიის კომისარიატზე, სადაც ბატონები ჩხენკელი და გეგეჭკორი მუსლიმან ბეგებთან და ხანებთან მჭიდრო და აშკარა ბლოკით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რევოლუცია დაღუპონ. ჩვენ ვლაპარაკობთ ჟორდანიასა და რამიშვილზე, რამდენადაც მათი სახელები

დაკავშირებულია დეპეშებთან, ბრძანებებთან, «ყაჩაღური» ჯავშნიანი მატარებლის გაგზავნასთან. მათგან უნდა დაიწყოს გამოძიება ჰეშმარიტების გამოსარკვევად.

მაგრამ არიან კიდევ პიროვნებანი, რომლებიც დასახელებულ უნდა იქნან, არის კიდევ დამნაშავეთა ერთი ბუნაგი, რომელიც უნდა აღიგავოს. ეს ბუნაგია მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტი ელიზავეტპოლში, რომელიც მთლიანად რეაქციონერი ბეგებისა და ხანებისაგან შედგება, რომელმაც 7 იანვარს საღამოს, ჟორდანიას დეპეშაზე დაყრდნობით, დაადგინა განეიარაღებინა ეშელონები «რადაც უნდა დამჭდარიყო» და წარმოუდგენელი ურცხვობითა და სისხლმწყურებით შეასრულა თავისი დადგენილება 9 — 12 იანვარს.

მენშევიკური პრესა, ელიზავეტპოლის ამბებზე რომ ლაპარაკობს, საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს ეს იყო ამიერკავკასიისათვის ჩვეულებრივი «ყაჩაღური» თავდასხმა რკინიგზაზე. ეს ყოვლად უსირცხვილო სიცრუეა!

არა ყაჩაღებმა, არამედ ათასობით მშვიდობიანმა მოსახლე მუსლიმანებმა, რომლებსაც ოფიციალურად მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა, რომლებიც დიდი ნადავლის მიღების სურვილმა აცდუნა და რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ამიერკავკასიის მესვეურთა ბრძანებით ხდებოდა, ჩაიდინეს დანაშაულებრივი საქმე შამქორთან და დალიართან. მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტი აშკარად უყრიდა თავს ელიზავეტპოლში ათასობით მუსლიმანს, იარაღს აძლევდა მათ, მატარებლებში სხამდა სადგურ ელიზავეტპოლში და შამქორში გზავნიდა. და როცა «გამარჯვება» მოპოვებულ იქნა, საკუთარი თვალით მნახველთა სიტყვით, ქალაქში ზეიმით შევიდა «მტრისათვის» ჩამორთმეულ ზარბაზანზე გადამჯდარი «ესერი» საფიკიურდსკი, რომელსაც თან ახლდნენ მუსლიმანთა კომიტეტის სხვა გმირები.

მაშ რა ყაჩაღურ თავდასხმებზეა «ლაპარაკი»?» («ბაკინსკი რაბოჩი» №№ 30 და 31).

ასეთები არიან ამ დანაშაულებრივი ავანტიურის მთავარი გმირები.

აი დოკუმენტებიც, რომლებიც ამხილებენ ავანტიურის მომწყობთ:

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას დეპეშა ყველა საბჭოსადმი ეშელონების განიარაღების შესახებ.

«ამიერკავკასიის ყველა საბჭოს.

თბილისიდან. № 505, ა. მიღებულია 1918 წლის 6. 1. გაგზავნ. № 56363. მიიღო ნაუმოვმა. სიტყვათა რიცხვი 59. ჩაბარებულია 5 — 28 — 24. ცირკულარულად.

ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და თუ დროებითი ზავი წარმატებით არ დამთავრდა, ნაციონალური ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნეთ ფრონტის დასაცავად, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს.

სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე **ჟორდანია».**

როტმისტრ აფხაზავას დეპეშა თათართა ცხენოსანი პოლკის მეთაურს მაღალოვს.

«ელიზავეტპოლი.

თათ. ცხენოსანი პოლკის მეთაურს მაღალოვს ძეგამიდან. № 42. მიღებულია 1918 წლის 7. 1. ჟუ-საგან № 1857. მიიღო ვატამ. სიტყვათა რიცხვი 30. ჩაბარებულია 7-ს, 15 ს.

მოდის ხუთი შეიარაღებული ეშელონი ქვემეხით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის იარაღით.

როტმისტრი **აფხაზავა.**
სმ. შათირაშვილი».

(«ბაკინსკი რაბოჩი» № 33).

ასეთია დოკუმენტები.

ასე გაჭრა მოვლენათა მსვლელობაში «სოციალისტური» საჟღარუნოები და ადგილი დაუთმო ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ «საქმეს». ჩხეიძე, გეგეჭკორი, ჟორდანია მხოლოდ ფარავენ თავიანთი პარტიული დროშით ამიერკავკასიის კომისარიატის საზიზღარ

საქმეებს. მოვლენათა ლოგიკა ყოველ სხვა ლოგიკაზე უფრო ძლიერია.

ფრონტიდან მომავალი რუსი ჯარისკაცების განიარაღებით და, ამრიგად, «გარეშე» რევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლით ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი ვარაუდობდა ერთბაშად ორი კურდღელი დაეჭირა: ერთი მხრივ, იგი სპობდა სერიოზულ რევოლუციურ ძალას, რუსულ რევოლუციურ არმიას, რომელზეც შეეძლო უმთავრესად დაყრდნობა მხარის ბოლშევიკურ კომიტეტს; მეორე მხრივ, ამგვარად იგი იღებდა «საჭირო» იარაღს, რათა შეეიარაღებინა ქართული, სომხური და მუსლიმანური ნაციონალური პოლკები, რომლებიც მენშევიკურ-კონტრრევოლუციური კომისარიატის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ამრიგად, «გარეშე» რევოლუციონერების წინააღმდეგ ომი მოწოდებული იყო უზრუნველეყო «სამოქალაქო მშვიდობა» ამიერკავკასიაში. და ამ ვერაგულ პოლიტიკას ბატონები გეგეჭკორი და ჟორდანია მით უფრო გადაჭრით ახორციელებდნენ, რაც უფრო უზრუნველყოფილს გრძნობდნენ თავს «ზურგიდან», ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიიდან, მისი კალედინებითა და ფილიმონოვებით.

მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ მთლიანად ჩაფუშა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა ყველა ვარაუდი. როსტოვისა და ნოვოჩერკასკის დაცემამ, რომლებიც კალედინ-კორნილოვის თავშესაფარს წარმოადგენდნენ, ძირფესვიანად შეარყია «ჩრდილოეთი ზურგი». მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხაზის საბოლოოდ გაწმენდამ, თვით ბაქომდე, არარად აქცია იგი. ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღა უბოდიშოდ შეიჭრა ამიერკავკასიის კოალიციის სამეფოში და მის არსებობას ემუქრება.

ასევე «არახელსაყრელი» ვითარება შეიქმნა თვით ამიერკავკასიაში.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიელმა ჯარისკაცებმა სოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსლიმან და ქართველ მემამულეთა სახლკარი. ბატონყმური ნაშთების საყრდენებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს «გაბოლშევიკებულმა» ჯარისკაცმა-გლეხებმა. ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატის ფუჭი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ ვეღარ დააკმაყოფილებდნენ გლეხებს, რომლებიც აგრარულმა ტალღამ მოიცვა. კომისარიატისაგან საქმეს მოითხოვდნენ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურს.

მოვლენებს არც მუშები ჩამორჩენიან და ვერც ჩამორჩებოდნენ. ჯერ-ერთი, ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ახალი მონაპოვარნი მოჰქონდა, ბუნებრივია, ახალი ბრძოლისათვის ამხედრებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს. მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მეორეც, მას შემდეგ, რაც საბჭოებმა გაიმარჯვეს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც კალედინ-ფილიმონოვის დროს პურს აწვდიდა თბილისს, გაჭირვება სურსათის მხრივ არ შეიძლებოდა არ გამწვავებულიყო, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია მთელი რიგი «არეულობანი» სურსათის უქონლობის გამო, — რევოლუციური ჩრდილოეთი კავკასია გადაჭრით აცხადებს უარს იმაზე, რომ კონტრრევოლუციური თბილისი ჰკვებოს. მესამეც, ფულის ნიშნების უქონლობა (ბონები მათ ვერ შეცვლის!) არღვევდა სამეურნეო ცხოვრებას და, უწინარეს ყოვლისა, რკინიგზის ტრანსპორტს, რამაც უეჭველად გააძლიერა ქალაქის დაბალი ფენების უკმაყოფილება. დასასრულ, რევოლუციური პროლეტარული ბაქო, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის პირველი

დღეებიდანვე ცნო საბჭოთა ხელისუფლება და რომელიც დაუღალავად ებრძვის ამიერკავკასიის კომისარიატს, ძილს არ ანებებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მისთვის მისაბაძ მაგალითსა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა.

ყოველივე ამას, ერთად აღებულს, უეჭველად უნდა გამოეწვია ამიერკავკასიაში მთელი პოლიტიკური ვითარების გარევოლუციურება. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ «ყველაზე საიმედო» ნაციონალურმა პოლკებმაც კი «გახრწნა» იწყეს და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ.

ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე დადგა დილემა:

ან მუშებთან და გლეხებთან მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, და მაშინ — კოალიციის დაშლა.

ან გადამწყვეტი ბრძოლა გლეხებისა და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ მემამულეებთან და კაპიტალისტებთან კოალიციის შესანარჩუნებლად.

ბატონებმა ჟორდანიამ და გეგეჭკორმა მეორე გზა ირჩიეს.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა ქართველ და თათარ გლეხთა აგრარული მოძრაობა «ყაჩაღობად» და «ხულიგნობად» გამოაცხადა, აპატიმრებს და ხვრეტს «მოთავეებს».

მემამულეების მხარეზე — გლეხების წინააღმდეგ!

შემდეგ, კომისარიატმა დახურა ყველა ბოლშევიკური გაზეთი თბილისში, ხოლო მუშებს, რომლებიც ამ უმსგავსობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ, აპატიმრებს და ხვრეტს.

კაპიტალისტების მხარეზე — მუშების წინააღმდეგ!

ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ბატონები ჟორდანია და გეგეჭკორი, როგორც ჩანს, «ქარიშხლის თავიდან აცილების» მიზნით, მიმართავენ იმას, რომ ხელს უწყობენ სომეხ-

თათართა ჟლეტას, — ეს ისეთი სამარცხვინო ამბავია, რომ დღემდე ასე კადეტებიც კი არ დაცემულან!

ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის სეიმი და «ნაციონალური საბჭოები» მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, — ასეთია ამ «ახალი» კურსის აზრი.

ასე შეავსეს და გადააქციეს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებმა «გარეშე» რევოლუციონერებთან, რუს ჯარისკაცებთან ბრძოლა შინაურ რევოლუციონერებთან ბრძოლად, «თავისსავე საკუთარ» მუშებთან და გლეხებთან ბრძოლად.

ამიერკავკასიის კოალიციონერთა პოლიტიკაში მომხდარი ამ «მობრუნების» დასახასიათებლად მეტად საინტერესოა ამ დღეებში სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე მიღებული წერილი ერთი კავკასიელი ამხანაგისა, რომელსაც საკუთარი თვალით უნახავს ბატონ გეგეჭკორ-ჟორდანიას კონტრრევოლუციური თარეში. მომყავს ეს წერილი მთლიანად და უცვლელად. აი იგი:

«აქ უკანასკნელ დღეებში ახალი ამბები მოხდა, და ახლა მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. 9 თებერვალს დილით დააპატიმრეს ჩვენი ოთხი ამხანაგი, მათ შორის ახალი ბოლშევიკური კომიტეტის წევრი თ. კალანდაძე. ხელმოწერილი იყო ორდერები აგრეთვე სხვა ამხანაგების: ფილიპე მახარაძის, ნაზარეტიანის, შავერდოვისა და სამხარეო კომიტეტის სხვა წევრების დასაპატიმრებლად. დაინდეს მხოლოდ მიხა ცხაკაია, ალბათ მისი ავადმყოფობის გამო. ყველანი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ. ამავე დროს დახურეს ჩვენი გაზეთები: «კავკაზსკი რაბოჩი», «ბრძოლა» (ქართ.) და «ბანვორი კრიკ» (სომხ.) და დალუქეს ჩვენი სტამბა.

ამან მუშებში აღშფოთება გამოიწვია. იმავე დღეს, ცხრაში, რკინიგზის სახელოსნოებში შედგა მიტინგი, რომელსაც 3 000-მდე მუშა დაესწრო. მიტინგმა ერთხმად (მხოლოდ ოთხმა შეიკავა თავი) გადაწყვიტა გამოეცხადებინათ გაფიცვა, მოეთხოვათ ამხანაგების განთავისუფლება და გაზეთების გამოშვების განახლება. გადაწყდა გაფიცულიყვნენ, სანამ მოთხოვნებს არ შეუსრულებდნენ. მაგრამ გაფიცვა

არასრული აღმოჩნდა. აღვირახსნილი მენშევიკური ხროვა, რომელსაც მიტინგზე საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს და არც წინააღმდეგ მიუცია ხმა, მუშაობდა. იმავე დღეს ასოთამწყობთა და მბეჭდავთა კრება იყო. 226 ხმით 190-ის წინააღმდეგ გადაწყვიტეს გამოეცხადებინათ ერთი დღის გაფიცვა-პროტესტი იმავე მოთხოვნებით. უფრო ერთსულოვნად დაადგინეს გაფიცვა ელექტრიკოსებმა, მეტყავეებმა, მკერავებმა, არსენალის სახელოსნოებმა, ტოლეს და ზარგარიანცის ქარხნებმა და სხვ.

აღშფოთებას ქალაქში ობივატელებიც იზიარებდნენ. მაგრამ მეორე დღეს, 10 თებერვალს, მოხდა ისეთი ამბავი, რომელმაც ხალხს დაპატიმრებებიც დაავიწყა და გაზეთებიც.

რკინიგზელთა და სხვ. საგაფიცვო კომიტეტმა ამ დღეს, ათს დილით, საპროტესტო მიტინგი დანიშნა ალექსანდრეს ბაღში. მიტინგის ჩასაშლელად მიღებული ყველა ზომის მიუხედავად, მიტინგზე გამოცხადდა 3 000-ზე მეტი მუშა და ჯარისკაცი (ეს უკანასკნელნი ცოტანი იყვნენ, იმიტომ რომ ეშელონები ქალაქიდან 15 ვერსის მოშორებით დგანან). მიტინგზე გამოცხადდნენ ის ამხანაგებიც, რომლებიც იმალებოდნენ, — ქავთარაძე, მახარაძე, ნაზარეტიანი და სხვები. მიტინგის დროს ბაღში შემოვიდნენ (დაახლოებით ორი ასეული) მილიციონერები და «წითელგვარდიელები». მათ ხელში წითელი დროშები ეჭირათ, მიტინგს ნიშნებით ამშვიდებდნენ და ისე მიეპარნენ შეკრებილთ.

მიტინგის ნაწილი, რომელიც დაშლას აპირებდა, დარჩა და, რადგან ეგონა, ჩვენები მოვიდნენო, «ვაშას» ძახილითაც კი მიესალმა მათ. თავმჯდომარე ქავთარაძეს უნდოდა გაეჩერებინა ორატორი და მისალმებოდა მოსულთ. ამ დროს მოსულნი სწრაფად გაიშალნენ მწკრივად, გარს შემოერტყნენ მიტინგს და თოფისა და ტყვიამფრქვევის საშინელი სროლა აუტეხეს მიტინგს. უმიზნებდნენ უმთავრესად ესტრადაზე მდგომ პრეზიდიუმს. მოკლულია 8 კაცი და დაიჭრა 20-ზე მეტი. 10 ტყვიით მოკლეს ერთი ამხანაგი, რომელიც ქავთარაძეს ჰგავდა და მასავით იყო ჩაცმული; «წითელგვარდიელები» ერთმანეთს უყვიროდნენ, ქავთარაძე უკვე მოკლულიაო. ხალხის ნაწილი გაიფანტა, მეორე ნაწილი მიწაზე გაწვა. სროლამ თხუთმეტ წუთს გასტანა.

სწორედ ამ წუთს გაიხსნა ამიერკავკასიის გაფართოებული სეიმის პირველი სხდომა, და ჩხეიძე სიტყვას ამბობდა თოფებისა და ტყვიამფრქვევების აკომპანემენტით, რომლებიც იქვე სასახლის ახლოს კაკანებდნენ.

ამ დახვრეტამ, რომელიც სრულიად გაუფრთხილებლად და ასე ვერაგულად მოხდა, ახალი აღშფოთება გამოიწვია მუშებში და, ვფიქრობ, უკვე საბოლოოდ ჩამოაშორა ისინი მენშევიკებს.

ნაზარეტიანსა და ცინცაძეს მიტინგის შემდეგ დაეწიენ და დასახვრეტად მიჰყავდათ, ისინი ესერმა მერხალევმა გადაარჩინა. ესერები «აღშფოთებული არიან», პროტესტს აცხადებენ და სხვა. აღშფოთებული არიან დაშნაკცაკანებიც და საერთოდ მთელი ქალაქი. მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მათ სოფლიდან მორეკეს შეიარაღებული «წითელგვარდიელები» და მუსლიმანთა ველური დივიზია და მძვინვარებენ. ყველა ამხანაგ ლიდერს აშკარად ემუქრებიან დახვრეტით. მიტინგის დახვრეტის დღეს ქალაქში გაჩნდა ბევრი თეთრსამკლაურიანი ოფიცერი — თეთრგვარდიელები, რომლებიც ქალაქში დაძრწოდნენ და ბოლშევიკებს დაეძებდნენ. ტრამვაიდან ჩამოიყვანეს ერთი კაცი, რომელიც თითქოს შაუმიანს ჰგავდა, და პირდაპირ ესროლეს, — ყვიროდნენ, შაუმიანიაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

გუშინ, თერთმეტს, შედგა მიტინგი ეშელონებში, ჩვენი ამხანაგების მონაწილეობით. იქ ექვსი ათასამდე ჯარისკაცმა, რომლებსაც ორტილერია არა აქვთ, გადაწყვიტა მოეთხოვათ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, გაზეთების გამოშვების განახლება და 10-ის ამბების (იმ მიტინგის დახვრეტა, რომელზეც, სხვათა შორის, მოკლეს ამ ეშელონების ერთ-ერთი ჯარისკაცი) გამოძიება. გუშინვე გაგზავნეს ღელეგაცია ულტიმატუმით, პასუხისათვის 24 საათის ვადა მისცეს.

დღეს ვადა გადის, იტყობინებიან, რომ კომისარიატი თავს უყრის ძალებს წინააღმდეგობის გასაწევად. დაწვრილებით ჯერ არაფერი ვიცი. პასუხისმგებელი ამხანაგები ეშელონებიდან ჯერ კიდევ არ ბრუნდებიან, ვინაიდან გზაში დაპატიმრებისა ეშინიათ: ისინი იქ ეშელონების სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში აირჩიეს. ველი უფრო ზუსტ ცნობებს.

ხვალისათვის დანიშნულია ქალაქის თვითმმართველობის სხდომა, ესერები და დაშნაკები პროტესტით გამოვლენ, ჩვენი წარმომადგენლებიც იქნებიან. განწყობილება ქალაქში ძალიან შფოთიანია. დღეს თვითმმართველობის შენობასთან ქალთა დემონსტრაციაა იმის გამო, რომ შიმშილობა იწყება. ქალაქში ყველგან სახელდახელო მიტინგები იმართება. მთელ საქართველოში იწყება გლეხთა მოძრაობა რუსეთიდან ჩამოსული ქართველი ჯარისკაცების გავლენით, რომლებიც ყველანი ან ბოლშევიკები არიან, ან ბოლშევიკურად განწყობილნი. მენშევიკები ამ მოძრაობას დამრბევ, ყაჩაღურ მოძრაობად აცხადებენ და

«წითელგვარდიელებს» გზავნიან დასაწყნარებლად. გორში ჩვენი ამხანაგები დააპატიმრეს. დღეს გვატყობინებენ, რომ იქ ჩვენი ჯარისკაცები განაიარაღეს, და უკვე ხვრეტენ ხალხს. ქუთაისიდან იტყობინებოდნენ, რომ ქალაქი ბოლშევიკების ხელშია, ბუდუ მდივანის მეთაურობით. იქ ყოველი მხრიდან მოუყარეს თავი მენშევიკების ძალებს, ჩვენს მიერ გაგზავნილთაგან პასუხი ჯერ არა მაქვს. ველი ყოველ წუთს. გუშინ მუხრანში დააპატიმრეს ბოლშევიკი, მოხუცი ცერცვაძე, რომელიც იქ წავიდა იმასთან დაკავშირებით, რომ გუშინ მოელოდნენ გლეხების გამოსვლას თავად მუხრან-ბატონებისა და საუფლისწულო მამულების წინააღმდეგ.

ამჟამად დაპატიმრებულია და მეტეხში ზის 9 კაცი. ესერების წითელი გვარდია, რომელიც დღემდე იცავდა საპყრობილეს, დაპატიმრებათა გამო მოიხსნა და თავისი სამსახური შემოგვთავაზა.

გუშინ საგაფიცვო კომიტეტმა, რომელიც ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოების წარმომადგენელთაგან შედგება, გამოუშვა მოწოდება საერთო გაფიცვისაკენ. დღეს ყველგან ამ საკითხზე მსჯელობენ. ვნახოთ, როგორ მოიქცევა თბილისის პროლეტარიატი.

სეიმის გახსნას 10 თებერვალს დაესწრნენ მხოლოდ მენშევიკები (37 კაცი) და 1 მუსლიმანი. სხვა არავინ ყოფილა. მუსლიმანმა დეპუტატმა ითხოვა 13-მდე გადადება, რაც კიდევაც მოხდა. ალბათ დაშნაკები და ესერებიც გაგზავნიან».

ასეთია «სურათი».

კიდევ დიდხანს იარსებებს თუ არა ეს კონტრრევოლუციური კომისარიატი, რომელსაც ისტორიამ უკვე გამოუტანა სიკვდილის განაჩენი, — ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში ეს უახლოეს მომავალში გამოირკვევა. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოჰგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს, და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის «სეიმურ-ნაციონალურ» დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ

კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული.

ასეთია ფაქტები.

ხოლო ვინ არ იცის, რომ სიტყვები და საჟღარუნოები იღუპება, ფაქტები და საქმეები კი რჩება...

«პრავდა» №№ 55 და 56;
1918 წ. 26 და 27 მარტი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ორგანიზაცია

საუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელ დღეებში საბჭოთა პრესის ფურცლებზე გაჩაღდა დისკუსია რუსეთის ფედერაციის კონსტრუქციის პრინციპებისა და საშუალებების შესახებ, ჩვენმა თანამშრომელმა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარს ამხანაგ **სტალინს** მიმართა წინადადებით' — გამოეთქვა აზრი ამ საკითხზე.

ჩვენი თანამშრომლის მიერ დასმულ მთელ რიგ კითხვებზე ამხანაგმა **სტალინმა** შემდეგი პასუხი გასცა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფედერაციები

ყველა არსებულ ფედერაციულ გაერთიანებათაგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებისათვის ყველაზე დამახასიათებელია ამერიკისა და შვეიცარიის ფედერაციები. ისტორიულად ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან ჩამოყალიბდნენ — კონფედერაციის გზით ფედერაციისაკენ, ამასთან სინამდვილეში ისინი უნიტარულ სახელმწიფოებად გადაიქცნენ და ფედერაციის მხოლოდ ფორმა შეინარჩუნეს. განვითარების მთელი ეს პროცესი — დამოუკიდებლობიდან უნიტარიზმისაკენ — მიმდინარეობდა მთელი რიგი ძალმომრეობის, ჩაგვრისა და ნაციონალური ომების გზით. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის **სამხრეთი**

შტატების ომი ჩრდილოეთ შტატებთან [12] და ზონდერბუნდის ომი [13] შვეიცარიის დანარჩენ კანტონებთან. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შვეიცარიის კანტონები და ამერიკის შტატები იქმნებოდნენ არა ნაციონალური ნიშნის და არც ეკონომიური ნიშნის მიხედვით, არამედ სრულიად შემთხვევით — ემიგრანტი კოლონისტების ან სოფლის თემების მიერ ამა თუ იმ ტერიტორიის შემთხვევით ხელში ჩაგდების გზით.

რით განსხვავდება მათგან რუსეთის ფედერაცია, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია

ის ფედერაცია კი, რომელიც ახლა რუსეთში შენდება, სულ სხვა სახისაა, სულ სხვა სახის უნდა იქნეს.

ჯერ-ერთი, რუსეთში გამოყოფილი ოლქები სავსებით გარკვეულ ერთეულებს წარმოადგენენ ყოფაცხოვრებისა და ნაციონალური შემადგენლობის მხრივ. უკრაინა, ყირიმი, პოლონეთი, ამიერკავკასია, თურქესტანი, შუა ვოლგის-პირეთი, ყირგიზეთის მხარე ცენტრისაგან განსხვავდებიან არა მარტო თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით (განაპირა მხარეები!), არამედ აგრეთვე როგორც მთლიანი ეკონომიური ტერიტორიები მოსახლეობის გარკვეული ყოფაცხოვრებითა და ნაციონალური შემადგენლობით.

მეორეც, ეს ოლქები შეადგენენ არა თავისუფალ და დამოუკიდებელ ტერიტორიებს, არამედ მთელი რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმში ძალადობით ჩაჭედილ ერთეულებს, რომლებიც ახლა მიისწრაფიან მიიღონ მოქმედების საჭირო თავისუფლება, ფედერაციული ურთიერთობის ან სრული დამოუკიდებლობის სახით. ამ ტერიტორიების «გაერთიანების» ისტორია რუსეთის ძველ ხელისუფალთა მხრივ ძალადობისა და ჩაგვრის მთლიან სურათს წარ-

მოადგენს. რუსეთში ფედერაციული წყობილების დამყარება იმის მომასწავებელი იქნება, რომ ეს ტერიტორიები და იქ მოსახლე ხალხები განთავისუფლდებიან ძველი იმპერიალისტური ჩაგვრისაგან. უნიტარიზმიდან — ფედერალიზმისაკენ!

მესამეც, იქ — დასავლეთის ფედერაციებში — სახელმწიფო ცხოვრების მშენებლობას იმპერიალისტური ბურჟუაზია ხელმძღვანელობს. გასაკვირველი არ არის, რომ «გაერთიანებას» არ შეიძლებოდა გვერდი აევლო ძალმომრეობისათვის. აქ, რუსეთში, პირიქით, პოლიტიკურ მშენებლობას ხელმძღვანელობს პროლეტარიატი, იმპერიალიზმის დაუძინებელი მტერი. ამიტომ რუსეთში შეიძლება დამყარდეს და უნდა დამყარდეს კიდეც ფედერაციული წყობილება ხალხთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე.

ასეთია არსებითი განსხვავება რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთის ფედერაციებს შორის.

რუსეთის ფედერაციის კონსტრუქციის პრინციპები

აქედან ცხადია, — განაგრძობს ამხანაგი **სტალინი,** — რომ რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს არა ცალკეული დამოუკიდებელი ქალაქების (როგორც ბურჟუაზიული პრესის კარიკატურისტები ფიქრობენ) ან საერთოდ ოლქების (როგორც ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს ჰგონია) კავშირს, არამედ გარკვეული ისტორიულად გამოყოფილი ტერიტორიების კავშირს, რომლებიც განსხვავდებიან როგორც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებით, ისე ნაციონალური შემადგენლობით. აქ საქმე ამა თუ იმ ოლქების გეოგრაფიული მდებარეობა კი არ არის, ანდა თუნდ ისიც კი არა, რომ ესა თუ ის ოლქები დაშორებული არიან ცენტრს

წყლის სივრცეებით (თურქესტანი), მთაგრეხილით (ციმბირი) ან ველებით (იგივე თურქესტანი). ამ გეოგრაფიულ ფედერალიზმს, რომლის პროპაგანდასაც ლაცისი ეწევა, საბჭოების III ყრილობის მიერ გამოცხადებულ ფედერალიზმთან საერთო არა აქვს რა. პოლონეთი და უკრაინა გამოყოფილი არ არიან ცენტრისაგან მთაგრეხილითა და წყლის სივრცეებით. მიუხედავად ამისა, არავის აზრადაც არ მოსდის ამტკიცოს, რომ ამ გეოგრაფიული ნიშნების უქონლობა გამორიცხავს დასახელებული ოლქების თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას.

მეორე მხრივ, უეჭველია,—ამბობს ამხანაგი **სტალინი,**—რომ თავისებურ ფედერალიზმს ოლქებად გაერთიანების მოსკოველი მომხრეებისას, რომლებიც ცდილობენ ხელოვნურად გააერთიანონ მოსკოვის გარშემო 14 გუბერნია, აგრეთვე საერთო არაფერი აქვს საბჭოების III ყრილობის ცნობილ დადგენილებასთან ფედერაციის შესახებ. უეჭველია, რომ ცენტრალური საფეიქრო რაიონი, რომელიც სულ რამდენიმე გუბერნიას მოიცავს, ერთგვარ მთლიან ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენს და, როგორც ასეთი, იგი მმართველობის მხრივ უეჭველად დაექვემდებარება თავის საოლქო ორგანოს, როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ავტონომიურ ნაწილს. მაგრამ რა შეიძლება იყოს საერთო მიყრუებულ კალუგასა და სამრეწველო ივანოვო-ვოზნესენსკს შორის და რა ნიშნის მიხედვით «აერთიანებს» მათ ახლანდელი საოლქო სახკომსაბჭო, — ეს პირდაპირ წარმოუდგენელია.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობა

ცხადია, ფედერაციის სუბიექტები უნდა იყოს და შეიძლება იყოს არა ყოველი უბანი და ერთეული და არა ყოველი გეოგრაფიული ტერიტორია, არამედ მხოლოდ

გარკვეული ოლქები, რომლებშიც ბუნებრივად შეხამებულია ყოფაცხოვრების · განსაკუთრებული თვისებები, ნაციონალური შემადგენლობის თავისებურება და ეკონომიური ტერიტორიის ერთგვარი მინიმალური მთლიანობა. ასეთები არიან პოლონეთი, უკრაინა, ფინეთი, ყირიმი, ამიერკავკასია (ამასთან გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამიერკავკასია გაიყოფა მთელ რიგ გარკვეულ ნაციონალურ-ტერიტორიულ ერთეულებად — ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანელი თათრებისა და სხვ.), თურქესტანი, ყირგიზეთის მხარე, თათარ-ბაშკირთა ტერიტორია, ციმბირი და სხვ.

ფედერირებული ოლქების უფლებანი. ნაციონალურ უმცირესობათა უფლებანი

ამ ფედერირებული ოლქების უფლებათა ფარგლები მთელი კონკრეტულობით გამომუშავდება მთლიანად საბჭოთა ფედერაციის მშენებლობის პროცესში, მაგრამ ამ უფლებათა ზოგადი ნიშნები შეიძლება ახლავე დაისახოს. სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმე, საგარეო საქმეები, რკინიგზები, ფოსტა და ტელეგრაფი, ფული, სავაჭრო ხელშეკრულებანი, საერთო ეკონომიური, საფინანსო და საბანკო პოლიტიკა — ყოველივე ეს ალბათ სახალხო კომისართა ცენტრალური საბჭოს მოქმედების სფეროში მოექცევა. მთელი დანარჩენი საქმეები და, უწინარეს ყოვლისა, საერთო დეკრეტების გატარების ფორმები, სკოლა, სამართალწარმოება, ადმინისტრაცია და სხვ. საოლქო სახკომსაბჭოების ხელში გადავა. არავითარი სავალდებულო «სახელმწიფო» ენა — არც სამართალწარმოებაში, არც სკოლაში! თვითეული ოლქი ირჩევს იმ ენას ან იმ ენებს, რომლებიც ამ ოლქის მოსახლეობის შემადგენლობას შეეფერება, ამასთან დაცული

იქნება როგორც უმცირესობათა, ისე უმრავლესობათა ენების სრული თანასწორუფლებიანობა ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დაწესებულებაში.

ცენტრალური ხელისუფლების კონსტრუქცია

ცენტრალური ხელისუფლების კონსტრუქცია, მისი აღნაგობის წესები რუსეთის ფედერაციის თავისებურებებით განისაზღვრება. ამერიკასა და შვეიცარიაში ფედერალიზმმა სინამდვილეში ორპალატიანი სისტემა გამოიწვია: ერთი მხრივ — პარლამენტი, რომელსაც საერთო არჩევნების პრინციპით ირჩევენ, მეორე მხრივ — ფედერალური საბჭო, რომელსაც შტატები ან კანტონები ადგენენ. ეს იგივე ორპალატიანი სისტემაა, რომელიც სინამდვილეში ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ საკანონმდებლო გაწამაწიას იწვევს. რაღა თქმა უნდა, რუსეთის მშრომელი მასები ვერ შეურიგდებიან ასეთ ორპალატიან სისტემას. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ეს სისტემა სრულებით არ შეესაბამება სოციალიზმის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ჩვენ ვფიქრობთ, — განაგრძობს ამხანაგი **სტალინი**, — რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იქნება რუსეთის მთელი მშრომელი მასების მიერ არჩეული საბჭოების ყრილობა ან მისი შემცვლელი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამასთან საჭირო იქნება გამოვეთხოვოთ ბურჟუაზიულ ცრურწმენას საყოველთაო საარჩევნო უფლების «პრინციპის» უცდომლობის შესახებ. საარჩევნო უფლება ალბათ მოსახლეობის მხოლოდ იმ ფენებს მიეცემა, რომლებიც ექსპლოატაციას განიცდიან ან, ყოველ შემთხვევაში, სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან. ეს არის პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბთა დიქტატურის **ფაქტის** ბუნებრივი შედეგი.

ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, ე. ი. სახალხო კომისართა ცენტრალურ საბჭოს, მას აირჩევენ საბჭოების ყრილობები, ჩვენ ვფიქრობთ, ცენტრისა და ფედერაციულად შეკავშირებული ოლქების მიერ წამოყენებულ კანდიდატთაგან. ამრიგად ცენტრ. აღმასრ. კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის არ იქნება და არც უნდა იქნეს ეგრეთწოდებული მეორე პალატა. უეჭველია, რომ პრაქტიკამ შეიძლება გამოიმუშაოს და ალბათ გამოიმუშავებს ხელისუფლების კონსტრუქციის საქმეში ოლქებისა და ცენტრის ინტერესთა შეხამების სხვა, უფრო მიზანშეწონილ და მოქნილ ფორმებს. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: რა ფორმებიც უნდა გამოიმუშაოს პრაქტიკამ, ისინი არ გააცოცხლებენ დრომოჭმულ და ჩვენი რევოლუციის მიერ დასამარებულ ორპალატიან სისტემას.

ფედერალიზმის გარდამავალი როლი

ასეთია, — განაგრძობს ჩვენი თანამოსაუბრე, — ჩემი აზრით, ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რუსეთის ფედერაციის საერთო კონტურები. ბევრნი იქითკენ იხრებიან, რომ ფედერაციული წყობილება ჩათვალონ ყველაზე მტკიცე და იდეალურ წყობილებადაც კი, ამასთან ხშირად იმოწმებენ ამერიკის, კანადის, შვეიცარიის მაგალითს. მაგრამ ფედერალიზმით გატაცებას ისტორია არ ამართლებს. ჯერ-ერთი, ამერიკა, ისევე როგორც შვეიცარია, ფედერაციას აღარ წარმოადგენენ: ისინი ფედერაციები იყვნენ გასული საუკუნის 60-იან წლებში; ისინი სინამდვილეში უნიტარულ სახელმწიფოებად გადაიქცნენ — გასული საუკუნის დამლევიდან, როცა მთელი

ძალაუფლება შტატებისა და კანტონებისაგან ცენტრალურ ფედერალურ მთავრობას გადაეცა.

ისტორიამ ცხადყო, რომ ამერიკისა და შვეიცარიის ფედერალიზმი გარდამავალი საფეხურია შტატებისა და კანტონების დამოუკიდებლობიდან მათი სრული გაერთიანებისაკენ. ფედერალიზმი სავსებით მიზანშეწონილი ფორმა აღმოჩნდა, როგორც გარდამავალი საფეხური დამოუკიდებლობიდან იმპერიალისტური უნიტარიზმისაკენ, მაგრამ იგი დრომოჭმული აღმოჩნდა და უკუგდებულ იქნა, როგორც კი მომწიფდა პირობები შტატებისა და კანტონების მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულად გაერთიანებისათვის.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური მშენებლობის პროცესი. ფედერალიზმი რუსეთში გარდამავალი საფეხურია სოციალისტური უნიტარიზმისაკენ

რუსეთში პოლიტიკური მშენებლობა შებრუნებული წესით მიმდინარეობს. აქ იძულებით ცარისტულ უნიტარიზმს ნებაყოფლობითი ფედერალიზმი სცვლის იმისათვის, რომ, დროთა განმავლობაში, ფედერალიზმმა ადგილი დაუთმოს რუსეთის ყველა ერისა და ტომის მშრომელი მასების ასეთსავე ნებაყოფლობით და ძმურ გაერთიანებას. ფედერალიზმი რუსეთში, — დაამთავრა თავისი საუბარი ამხანაგმა **სტალინმა,** — ისევე როგორც ამერიკასა და შვეიცარიაში, შეასრულებს გარდამავალ როლს — მომავალი **სოციალისტური** უნიტარიზმისაკენ.

«პრავდა» №№ 62 და 63;
1918 წ. 3 და 4 აპრილი.

ერთ-ერთი მოკრიბი ამოცანა

რუსეთის რევოლუციის განვითარების უკანასკნელი ორი თვე, განსაკუთრებით გერმანიასთან ზავის დადებისა და რუსეთში ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის დათრგუნვის შემდეგ განვლილ პერიოდში, შეიძლება დავახასიათოთ როგორც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პერიოდი და დრომოჭმული სოციალურ-ეკონომიური წყობილების ახალ, სოციალისტურ ყაიდაზე გეგმაშეწონილად გარდაქმნის დასაწყისი. ფაბრიკებისა და ქარხნების მზარდი ნაციონალიზაცია, მზარდი კონტროლი ვაჭრობის მთავარი დარგებისადმი, ბანკების ნაციონალიზაცია, დღითიდღე გაჩაღებული უაღრესად მრავალფეროვანი მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, უკვე მოახლოებული სოციალისტური საზოგადოების ამ ორგანიზაციული უჯრედისა, — ყოველივე ეს მოწმობს იმას, თუ რა ღრმად ინერგება საბჭოთა ხელისუფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხელისუფლება ცენტრში უკვე ნამდვილად სახალხო გახდა, მშრომელი შასების წიაღიდან წარმოშობილი. ამაშია საბჭოთა ხელისუფლების ძალა და ძლიერება. ამას, ცხადია, გრძნობენ ის ბურჟუაზიული ინტელიგენტებიც კი, საბჭოთა ხელისუფ-

ლების ყოფილი მტრები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მოსამსახურეები და საერთოდ სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ საბოტაჟს უწევდნენ ხელისუფლებას, დღეს კი მზად არიან მას ემსახურონ.

მაგრამ განაპირა მხარეებში, რომლებიც დასახლებული არიან კულტურულად ჩამორჩენილი ელემენტებით, საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ამდენადვე სახალხო გამხდარიყო. ცენტრში დაწყებული რევოლუცია განაპირა მხარეებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ განაპირა მხარეებში, ერთგვარი დაგვიანებით ვრცელდებოდა. საყოფაცხოვრებო და ენობრივმა პირობებმა ამ განაპირა მხარეებში, რომლებიც ამასთანავე ეკონომიური ჩამორჩენილობით ხასიათდებიან, რამდენადმე გაართულა იქ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმე. იმისათვის, რომ ხელისუფლება იქ სახალხო გახდეს, ხოლო მშრომელი მასები — სოციალისტური, საჭიროა, სხვათა შორის, სპეციალური საშუალებანი რევოლუციური განვითარების პროცესში ამ განაპირა მხარეთა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ჩასაბმელად. საჭიროა ავამაღლოთ მასები საბჭოთა ხელისუფლებამდე, ხოლო მათი საუკეთესო წარმომადგენლები — შევუერთოთ ამ უკანასკნელს. მაგრამ ეს შეუძლებელია ისე, თუ ამ განაპირა მხარეებს არ ექნებათ ავტონომია, ე. ი. თუ არ მოეწყო ადგილობრივი სკოლა, ადგილობრივი სასამართლო, ადგილობრივი ადმინისტრაცია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა სფეროში ადგილობრივი, მხარის მშრომელი მასებისათვის მშობლიური ენის უფლებათა სისრულის გარანტიით.

სწორედ ამ მიზნით გამოაცხადა საბჭოების მესამე ყრილობამ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციული წყობილება.

რევოლუციის მსვლელობა თანდათანობით ააშკარავებს ავტონომიურ-ბურჟუაზიულ ჯგუფებს, რომლებიც გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში წარმოიშვნენ ვოლგისპირეთის თათრების, ბაშკირების, ყირგიზების განაპირა მხარეებში, თურქესტანის მხარეში. იმისათვის, რომ საბოლოოდ ჩამოვაშოროთ მათ «მათივე საკუთარი მასები» და დავრაზმოთ ეს უკანასკნელნი საბჭოების გარშემო, საჭიროა «გამოვართვათ» მათ ავტონომია, წინასწარ გავწმინდოთ იგი ბურჟუაზიული სიბილწისაგან და გადავაქციოთ იგი ბურჟუაზიულიდან საბჭოთა ავტონომიად. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფები ავტონომიას იმისათვის მოითხოვენ, რომ გადააქციონ იგი «თავისი საკუთარი» მასების დამონების იარაღად. სწორედ ამიტომ, «აღიარებენ რა ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას», მათ ამავე დროს არა სურთ ცნონ ადგილობრივი საბჭოები და მოითხოვენ მათს «საშინაო საქმეებში» ჩაურევლობას. ამის გამო ზოგიერთმა საბჭოებმა ადგილებზე გადაწყვიტეს სავსებით უარყონ ყოველგვარი ავტონომია და ამჯობინებენ იარაღის გზით «გადაჭრან» ნაციონალური საკითხი. მაგრამ ეს გზა სრულიად უვარგისია საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მას, ამ გზას, შეუძლია მხოლოდ დარაზმოს მასები ბურჟუაზიულ-ნაციონალური ზედაფენების გარშემო, ხოლო ეს ზედაფენები ხალხს მოაჩვენოს «სამშობლოს» მხსნელებად, «ერის» დამცველებად, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება საბჭოთა ხელისუფლების ვარაუდებს. ავტონომიის უარყოფა კი არა, — მისი აღიარება წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანას. ოღონდ საჭიროა ეს ავტონომია ადგი-

ლობრივი საბჭოების ბაზისზე იქნას აგებული. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ ხელისუფლება სახალხო და მასებისათვის მშობლიური გახდეს. მაშასადამე, საჭიროა, რომ ავტონომია უზრუნველყოფდეს ძალაუფლებას არა ამა თუ იმ ერის ზედაფენებისათვის, არამედ მისი ქვედაფენებისათვის. ამაშია მთელი არსი.

სწორედ ამიტომ აცხადებს საბჭოთა ხელისუფლება თათრეთ-ბაშკირეთის ტერიტორიის ავტონომიას. ამავე მიზნით განზრახულია ყირგიზეთის ტერიტორიის, თურქესტანის მხარისა და სხვ. ავტონომიის გამოცხადება. ყოველივე ეს — ადგილებზე ამ განაპირა მხარეთა თემების, მაზრებისა და ქალაქების საბჭოების აღიარების საფუძველზე.

უნდა შეიკრიბოს მასალები და ყოველგვარი მონაცემები, რაც საჭიროა ამ ტერიტორიების ავტონომიის ხასიათისა და ფორმის გამოსარკვევად. საჭიროა შეიქმნას კომისიები ამა თუ იმ ხალხების საბჭოებისა და საბჭოთა ორგანოების დამფუძნებელი ყრილობების მოსაწვევად, რომლებმაც (ყრილობებმა) უნდა დასახონ ამ ავტონომიების გეოგრაფიული საზღვრები. საჭიროა მოწვეულ იქნას ეს ყრილობები. ეს აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა ახლავე უნდა ჩატარდეს, რომ საბჭოების მომავალმა სრულიად რუსეთის ყრილობამ შეძლოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციის კონსტიტუციის გამომუშავება.

თათრეთ-ბაშკირეთის ტერიტორიის საბჭოები და მათთან შექმნილი მუსლიმანთა კომისარიატები უკვე შეუდგნენ საქმეს. ათი-თხუთმეტი აპრილისათვის მოსკოვში მოწვეულია ყაზანის, უფის, ორენბურგის, ეკატერინბურგის საბჭოებისა და მუსლიმანთა კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მომწვევი კომისიის შესაქმნელად.

ყირგიზეთის მხარესა და თურქესტანში ასეთი მუშაობა მხოლოდ იწყება. ამ განაპირა მხარეების საბჭოები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ საქმეს და მუშაობაში ჩააბან სათანადო ხალხების მთელი საბჭოთა და რევოლუციური ელემენტები. დაშვებულ არ უნდა იქნას არავითარი გაყოფა ნაციონალურ კურიებად ნაციონალურ «უმცირესობათა» და «უმრავლესობათა» წარმომადგენლობით, რის წინადადებასაც ზოგიერთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფი იძლევა. ასეთი გაყოფა მხოლოდ ამწვავებს ნაციონალურ შუღლს, ამაგრებს ტიხრებს ეროვნებათა მშრომელ მასებს შორის და სინათლის, კულტურის გზას უხშობს ჩამორჩენილ ხალხებს. დამფუძნებელ ყრილობათა არჩევნების საფუძველსა და ავტონომიის საძირკველს უნდა წარმოადგენდეს არა ეროვნებათა მშრომელი და დემოკრატიული მასების დაყოფა ცალკეულ ნაციონალურ რაზმებად, არამედ მათი შეკავშირება სათანადო საბჭოთა გაერთიანებების გარშემო.

ამრიგად, მასალების შეკრება განაპირა მხარეთა ავტონომიის საკითხზე, საბჭოებთან ნაციონალურ-სოციალისტური კომისარიატების შექმნა, ავტონომიური ოლქების დამფუძნებელი საბჭოთა ყრილობების მომწვევი კომისიების მოწყობა, ამ ყრილობების მოწვევა, თვითგამორკვეული ხალხების მშრომელი ფენების დაახლოება საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან ოლქებში, — ასეთია საბჭოების ამოცანა.

ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი ყველა ზომას მიიღებს იმისათვის, რომ გაუადვილოს ადგილობრივ საბჭოებს ეს ძნელი და პასუხსაგები სამუშაო.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 67,
1918 წ. 9 აპრილი.

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი დებულებანი

პროექტი, მიღებული სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის მიერ [14]

ძირითად ამოცანას რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციისას, რომელიც ნავარაუდევია ახლანდელი გარდამავალი მომენტისათვის, შეადგენს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის დამყარება სრულიად რუსეთის მძლავრი საბჭოთა ხელისუფლების სახით იმ მიზნით, რომ სავსებით დათრგუნვილ იქნას ბურჟუაზია, მოისპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და დამყარდეს სოციალიზმი, რომლის დროსაც არ იქნება არც კლასებად დაყოფა და არც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

1. რუსეთის რესპუბლიკა არის დეპუტატთა საქალაქო და სასოფლო საბჭოებში გაერთიანებულ რუსეთის ყველა მშრომელთა თავისუფალი სოციალისტური საზოგადოება.

2. იმ ოლქების დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და ნაციონალური შე-

მადგენლობით განირჩევიან, ერთიანდებიან ავტონომიურ საოლქო კავშირებად, რომელთა სათავეშიც დგანან დეპუტატთა საბჭოების საოლქო ყრილობები და მათი აღმასრულებელი ორგანოები.

3. საოლქო საბჭოთა კავშირები ფედერაციულ საფუძვლებზე ერთიანდებიან რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკად, რომლის სათავეში დგანან: დეპუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა, ხოლო ყრილობებს შუა პერიოდში — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

«იზვესტია» № 82,
1918 წ. 25 აპრილი.

დეპეშა თურქესტანის მხარის საბჭოების V ყრილობას [15]

შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ამხანაგებო, რომ სახკომსაბჭო მხარს დაუჭერს თქვენი მხარის ავტონომიას საბჭოთა საფუძვლებზე. ჩვენ მივესალმებით თქვენს წამოწყებებს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენ მთელ მხარეს დაფარავთ საბჭოების ქსელით, ხოლო უკვე არსებულ საბჭოებთან სრული კონტაქტით იმოქმედებთ. გთხოვთ მოსკოვში გამოგზავნოთ საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მომწვევი კომისია, რომლის ჩამოყალიბებასაც თქვენ შეუდექით, რათა ერთად დავამუშაოთ სახალხო კომისართა საბჭოსთან თქვენი მხარის სრულუფლებიანი ორგანოს დამოკიდებულების განსაზღვრის საკითხი.

მივესალმებით თქვენს ყრილობას და ვიმედოვნებთ, რომ იგი ღირსეულად შეასრულებს ისტორიის მიერ მისთვის დაკისრებულ ამოცანებს.

ლენინი
სტალინი

1918 წ. 22 აპრილი.

«იზვესტია» № 83,
1918 წ. 26 აპრილი.

საზავო მოლაპარაკება უკრაინასთან

საუბარი გაზეთ «იზვესტიასთან» თანამშრომელთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ, ამხანაგმა **სტალინმა,** რომელიც კურსკიდან მოსკოვს ჩამოვიდა მოხსენებისათვის სახალხო კომისართა საბჭოს გამოწვევით, შემდეგი განაცხადა:

დროებითი ზავის დადება

პირველ რიგში საბჭოთა საზავო დელეგაციის წინაშე იდგა ფრონტზე, უკრაინის საზღვარზე დროებითი ზავის დამყარების ამოცანა. სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო ჩვენმა საზავო დელეგაციამ მოლაპარაკება გერმანელთა და უკრაინელთა სარდლობასთან. ჩვენ მივაღწიეთ საომარი მოქმედების შეწყვეტას კურსკის, ბრიანსკისა და ვორონეჟის ფრონტებზე. დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ საომარი მოქმედება სამხრეთის ფრონტზეც შეწყდეს. ამრიგად, დროებითი ზავის დადებით და სადემარკაციო ხაზის დაწესებით განისაზღვრება, ჩვენი აზრით, საზავო მოლაპარაკების პირველი სტადია.

შემდგომი მოლაპარაკება

შემდგომი ჩვენი ამოცანა — თვით საზავო მოლაპარაკების დაწყება — იმით გართულდა, რომ დიდხანს მოგვიხდა ცენტრალური რადის დელეგაციის ლოდინი. ხოლო

როცა დელეგაცია ვოროჟბაში ჩამოვიდა, გამოირკვა, რომ უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და მცირე და დიდი რადა გაუქმდა, რამაც, რასაკვირველია, გააძნელა დროებითი ზავის დადებისა და მოლაპარაკების დაწყების ადგილისა და დროის განსაზღვრისათვის წინასწარი ურთიერთობის დამყარების საქმე.

ამ უკანასკნელი ამოცანის შესასრულებლად ჩვენ სპეციალური პარლამენტიორი გავგზავნეთ კონოტოპში, უკრაინელთა და გერმანელთა სარდლობის მიერ დასახელებულ ადგილს, სადაც ამ სარდლობის ცენტრალური შტაბია. ჩვენს დელეგატს უაღრესად ფართო რწმუნება მიეცა მოლაპარაკების დაწყების ადგილის შესახებ შეთანხმებისათვის.

უკრაინაში მომხდარი გადატრიალების გავლენა

თუ რა გავლენას მოახდენს უკრაინაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება საზავო მოლაპარაკების ბედზე, ამის შესახებ რაიმე გარკვეულის თქმა ძნელია, ვინაიდან ცნობილი არ არის უკრაინის ახალი მთავრობის თვალსაზრისი საზავო მოლაპარაკებაზე. გეტმან სკოროპადსკის მოწოდებაში ამაზე არაფერია ნათქვამი. გადატრიალებამდე ჩვენს წინაშე იყო უკრაინის რადის გარკვეული საზავო პროგრამა. ხოლო უკრაინის ახალი მთავრობის ტერიტორიულ პროგრამას ჩვენ არ ვიცნობთ.

საერთოდ კი უკრაინაში მომხდარ გადატრიალებას ჯერჯერობით უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია საზავო მოლაპარაკებაზე. პირიქით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკრაინაში მომხდარი გადატრიალება არ გამორიცხავს საბჭოთა ხელისუფლებასა და უკრაინის მთავრობას შორის ზავის დადების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ გადა-

ტრიალების შემდეგ უკრაინელების მხრივ შეწყდა ყოყმანი და გაჭიანურება საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად წინასწარი მუშაობის საქმეში.

გადატრიალების მიზეზები

საუბრის დასასრულს ამხანაგი **სტალინი** შეეხო უკრაინაში მომხდარი გადატრიალების გამომწვევი მიზეზების საკითხს.

ჩემი აზრით, ეს გადატრიალება გარდუვალი იყო. მისი მიზეზი მდგომარეობდა წინააღმდეგობებით აღსავსე პოზიციაში, რასაც ადგა ცენტრალური რადა, რომელიც, ერთი მხრივ, სოციალიზმობანას თამაშობდა, ხოლო მეორე მხრივ — უცხოელთა ჯარები მოიწვია უკრაინის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ცენტრალურმა რადამ ფინანსურად და სამხედრო მხრივ გერმანიისაგან დამოკიდებული გაიხადა თავი და ამავე დროს უამრავი დაპირება მისცა უკრაინელ მუშებსა და გლეხებს, რომლებთანაც მალე თავგამოდებული ომი დაიწყო. თავისი ამ უკანასკნელი ნაბიჯით უკრაინის რადამ ისეთი პირობები შეიქმნა, რომ იმ კრიზისულ მომენტში, როცა მასზე იერიში მიიტანეს ბურჟუაზიულ-მემამულურმა წრეებმა, მას აღარ შეეძლო ვისმე დაყრდნობოდა.

არსებითადაც, კლასობრივი ბრძოლის კანონის ძალით, ცენტრალური რადა დიდხანს ვერ დარჩებოდა ხელისუფლების სათავეში, ვინაიდან რევოლუციური მოძრაობის პროცესში ხელისუფლების სათავეში მტკიცედ დარჩენა მხოლოდ იმ ელემენტებს შეუძლიათ, რომლებსაც მხარს უჭერს ესა თუ ის კლასი. ამიტომ უკრაინაში შესაძლებელი იყო მხოლოდ ორი გამოსავალი: ან მუშათა და გლეხთა

დიქტატურა, რასაც ცენტრალური რადა თავისი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნების გამო ხელს ვერ შეუწყობდა, ან ბურჟუაზიულ-მემამულური წრეების დიქტატურა, რასაც რადა აგრეთვე ვერ დაეთანხმებოდა. მან ნახევრული პოზიცია ამჯობინა, რითაც სიკვდილი განიმზადა.

«იზვესტია» № 90,
1918 წ. 9 მაისი.

გამოსვლები თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაზე

1918 წ. 10 — 16 მაისს [16]

1. სიტყვა თათბირის გახსნისას

10 მაისს

ამხანაგებო! თათბირი მოწვეულია ეროვნებათა საქმეების კომისარიატის ინიციატივით, რასაც დაეთანხმა სახალხო კომისართა საბჭო, მისი თავმჯდომარის სახით.

თათბირის მიზანია ჩამოყალიბდეს კომისია აღნიშნული ოლქის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მოსაწვევად. მომავალი ყრილობის მიზანია დაადგინოს თათრეთ-ბაშკირეთის ავტონომიის საზღვრები და ხასიათი. ავტონომიის იდეა ოქტომბრის რევოლუციის თვით არსიდან გამომდინარეობს, — ამ რევოლუციამ თავისუფლება მისცა ეროვნებებს. რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია, რომელიც სახკომსაბჭომ ოქტომბრის დღეებში გამოსცა, და საბჭოების III ყრილობის ცნობილი გადაწყვეტილება, რომელმაც რუსეთი მოსახლეობის განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და შემადგენლობით განსხვა-

ვებული ავტონომიური ოლქების ფედერაციად გამოაცხადა, ოქტომბრის რევოლუციის არსის მხოლოდ ფორმალურ გამოხატულებას წარმოადგენს.

საბჭოების III ყრილობამ მოგვცა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი დებულებანი და მოუწოდა რუსეთის ხალხთა მშრომელ ელემენტებს გამოეთქვათ აზრი, თუ რა კონკრეტული პოლიტიკური ფორმებით სურთ ჩამოყალიბდნენ თავიანთ ოლქებში და რა ურთიერთობის დამყარება სურთ ცენტრთან. ყველა ოლქიდან, ვგონებ, მხოლოდ ფინეთმა და უკრაინამ გამოთქვეს გარკვეულად აზრი... აზრი გამოთქვეს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. და მას შემდეგ, რაც სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნდა, რომ ამ ქვეყნების არა მარტო ბურჟუაზია, არამედ პროლეტარული ელემენტებიც დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფიან, — მათ, ამ ქვეყნებმა, დაუბრკოლებლივ მიიღეს, რასაც მოითხოვდნენ.

რაც შეეხება სხვა ოლქებს, მათი მშრომელი ელემენტები რამდენადმე ინერტული აღმოჩნდნენ ნაციონალური მოძრაობის საკითხებში. მაგრამ რაც უფრო ინერტული იყვნენ ისინი, მით უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინა ბურჟუაზიამ. თითქმის ყველგან, ყველა ოლქში შეიქმნენ ბურჟუაზიული ავტონომიური ჯგუფები, რომლებმაც მოაწყეს «ნაციონალური საბჭოები», დაყვეს თავიანთი ოლქები ცალკეულ ნაციონალურ კურიებად ნაციონალური პოლკებით, ნაციონალური ბიუჯეტით და სხვ. და ამის გამო თავიანთი ქვეყანა ნაციონალური ბრძოლისა და შოვინიზმის ასპარეზად გადააქციეს. ეს ავტონომიური ჯგუფები (მხედველობაში მყავს თათართა, ბაშკირთა, ყირგიზთა, ქართველთა, სომეხთა და სხვა «ნაციონალური საბჭოები»). მთელი ეს «ნაციონალური საბჭოები» მიისწრაფოდნენ ერთი რამისაკენ: მიეღოთ ავტონომია, რათა ცენტრალუ-

რი ხელისუფლება არ ჩარეულიყო მათს საქმეებში, კონტროლი არ გაეწია მათთვის. «მოგვეცით ავტონომია, მაშინ ჩვენ ვცნობთ ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ არ შეგვიძლია ვცნოთ ადგილობრივი საბჭოები, ისინი ჩვენს საქმეებში არ უნდა ერეოდნენ, ჩვენ მოვეწყობით ისე, როგორც გვსურს, როგორც ვიცით, ისე მოვექცევით ჩვენი ეროვნების მუშებსა და გლეხებს, როგორც ჩვენ გვსურსო». აი ის ავტონომია, თავისი არსით ბურჟუაზიული, რის მიღწევასაც ცდილობენ ბურჟუები, რომლებიც მოითხოვენ სრულ ძალაუფლებას «თავიანთ» მშრომელებზე ავტონომიის შიგნით.

თავისთავად ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ასეთ ავტონომიას ვერ დაადასტურებს. ავტონომია მისცეს იმისათვის, რომ ავტონომიის შიგნით მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდეს ნაციონალურ ბურჟუაზიას, რომელიც მოითხოვს საბჭოების ჩაურევლობას, თათარი, ბაშკირი, ქართველი, ყირგიზი, სომეხი და სხვა მუშები საჯიჯგნად ჩაუგდოს ხელში თათარ, ქართველ, სომეხ და სხვა ბურჟუებს, — არა, საბჭოთა ხელისუფლება ამაზე ვერ დათანხმდება.

ავტონომია ფორმაა. მთელი საკითხი ის არის, თუ რა კლასობრივი შინაარსი ეძლევა ამ ფორმას. საბჭოთა ხელისუფლება სრულებითაც არ არის ავტონომიის წინააღმდეგი, — იგი ავტონომიის მომხრეა, მაგრამ ისეთი ავტონომიისა, სადაც მთელი ძალაუფლება მუშებისა და გლეხების ხელში უნდა იყოს, სადაც ყველა ეროვნების ბურჟუები ჩამოშორებული უნდა იყვნენ არა მარტო ძალაუფლებას, არამედ მთავრობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობასაც.

სწორედ ასეთი ავტონომია იქნება ავტონომია საბჭოთა საფუძვლებზე.

არსებობს ავტონომიის ორი ტიპი. პირველი ტიპი პირწმინდა ნაციონალისტურია. ეს ავტონომია აგებულია ექსტერიტორიულად, ნაციონალიზმის საფუძვლებზე. «ნაციონალური საბჭოები», ნაციონალური პოლკები ამ საბჭოების გარშემო, მოსახლეობის გამიჯვნა ნაციონალურ კურიებად, ამასთან გარდუვალი ნაციონალური შუღლი, — ასეთია ამ ტიპის ავტონომიის შედეგები. ასეთი ტიპის ავტონომიას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გარდუვალი სიკვდილისაკენ მივყავართ. ასეთი ტიპის ავტონომიის მიღებას ცდილობდა ბურჟუაზიული რადა. ბუნებრივია, რომ თავისი ზრდისა და განვითარებისათვის რადა იძულებული იყო ეწარმოებინა ომი მუშურ-გლეხურ საბჭოებთან. იგივე შედეგი გამოიწვია ამიერკავკასიაში სომეხთა, ქართველთა და თათართა ნაციონალური საბჭოების არსებობამ. გეგეჭკორი მართალი იყო, როცა ამიერკავკასიის დეპუტატთა საბჭოებსა და კომისარიატს განუცხადა: «იცით თუ არა თქვენ, რომ კომისარიატი და დეპუტატთა საბჭოები ფიქციად იქცნენ, ვინაიდან მთელი ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა ნაციონალური საბჭოების ხელში, რომლებსაც თავიანთი საკუთარი ნაციონალური პოლკები ჰყავთ».

ამ ტიპის ავტონომიას ჩვენ პრინციპულად უარვყოფთ.

ჩვენ ვაყენებთ სხვა ტიპის ავტონომიას, იმ ოლქების ავტონომიის ტიპს, სადაც ერთი ან რამდენიმე ეროვნება სჭარბობს. არავითარი ნაციონალური კურია, არავითარი ნაციონალური ზღუდე! ავტონომია საბჭოური უნდა იყოს, დეპუტატთა საბჭოებზე დამყარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ოლქში ადამიანთა გამიჯვნა უნდა მოხდეს არა ნაციონალური ნიშნის, არამედ კლასობრივი ნიშნის მიხედვით. კლასობრივი დეპუტატთა საბჭოები, როგორც ავტონომიის საფუძველი, ავტონომია, როგორც ამ დეპუ-

ტატთა საბჭოების ნების გამოხატვის ფორმა, — ასეთია ჩვენ მიერ წამოყენებული საბჭოთა ავტონომიის ხასიათი.

ბურჟუაზიულმა სამყარომ გამოიმუშავა ერთი გარკვეული ფორმა საოლქო ავტონომიების დამოკიდებულებისა ცენტრისადმი. მე მხედველობაში მაქვს ჩრდილოეთი ამერიკა, კანადა, შვეიცარია. იქ, ამ ქვეყნებში, ცენტრალური ხელისუფლება შედგება შტატების (ან კანტონების) მთელი მოსახლეობის მიერ არჩეული საერთო-სახელმწიფოებრივი პარლამენტისაგან და შტატების (ან კანტონების) მთავრობების მიერ პარალელურად არჩეული ფედერალური საბჭოსაგან. ამრიგად, იქმნება ორპალატიანი სისტემა მისი საკონონმდებლო გაწამაწიით და ყოველი რევოლუციური საქმის ჩახშობით.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების აგების ასეთი სისტემისა. ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ არა მარტო იმიტომ, რომ სოციალიზმი ძირფესვიანად უარყოფს ასეთ ორპალატიან სისტემას, არამედ ახლანდელი მომენტის პრაქტიკული მოსაზრებებითაც. საქმე ის არის, რომ ახლანდელ გარდამავალ მომენტში, როცა ბურჟუაზია წელში გატეხილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დათრგუნვილი; როცა სამეურნეო და სასურსათო ნგრევა, რასაც ბურჟუაზიის ხრიკები აძლიერებენ, ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული; როცა ძველი, კაპიტალისტური სამყარო დანგრეულია, ხოლო ახალი, სოციალისტური სამყაროს მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, — ასეთ მომენტში ქვეყანას ესაჭიროება საერთო-რუსეთის ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც უნარი ექნება საბოლოოდ დართგუნოს სოციალიზმის მტრები და მოაწყოს ახალი, კომუნისტური მეურნეობა. მოკლედ, ჩვენ გვესაჭიროება ის, რასაც ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის დიქტატურა ეწოდება. ასეთ მომენტში ცენტრალური ხელისუფლების პარალელურად ხე-

ლისუფლების ადგილობრივი და საოლქო სუვერენული ორგანოების შექმნა იმის მომასწავებელი იქნება, რომ სინამდვილეში ყოველგვარი ხელისუფლება დაირღვეს და უკან დავუბრუნდეთ კაპიტალიზმს. სწორედ ამიტომ საჭიროა ცენტრალურ ხელისუფლებას დავუტოვოთ მთელი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფუნქცია, მივცეთ საოლქო ორგანოებს წმინდა საოლქო ხასიათის, უმთავრესად ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურული ფუნქციები. ასეთებია: სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, აუცილებელი პოლიტიკური ღონისძიებანი, ნაციონალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების შესაბამისად საერთო დეკრეტების გატარების ფორმები და საშუალებანი, — ყოველივე ეს მშობლიურ, მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე. სწორედ ამიტომ საოლქო გაერთიანებათა საერთოდ აღიარებული ტიპი საოლქო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მეთაურობით ასეთი ავტონომიის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას წარმოადგენს.

ასეთია ავტონომიის ის ტიპი, რომლის აუცილებლობასაც ახლანდელ გარდამავალ მომენტში გვიკარნახებს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ინტერესები, ისე რუსეთის ყველა ერის პროლეტართა საერთო ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან, იმპერიალიზმის ამ უკანასკნელ დასაყრდენთან.

ყოველივე ეს საკმაოდ ნათლად განსაზღვრავს ჩვენი თათბირის ამოცანებს. თათბირი მოისმენს მოხსენებებს ადგილებიდან იმისათვის, რომ მიიღოს ამ ოლქის ეროვნებათა მშრომელი მასების მოთხოვნების საერთო სურათი. შემდეგ იგი დასახავს იმ ტერიტორიის საერთო წინასწარ სქემას, რომლის მშრომელი მოსახლეობაც მონაწილეობას მიიღებს ოლქის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის არჩევნებში, ამასთან არჩევნების უფლება ენიჭე-

ბათ არა მარტო ამ ავტონომიური ტერიტორიის, არამედ აგრეთვე მომიჯნავე რაიონების საბჭოებში ორგანიზებულ მშრომელ მასებს. დასასრულ, თათბირი აირჩევს კომისიას, რომელსაც აკისრებს ოლქის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მოწვევის ამოცანას. ავტონომიის საკითხის გადაწყვეტა, ავტონომიის კომპეტენციის განსაზღვრა და ოლქის საზღვრების საბოლოო დადგენა დამფუძნებელ ყრილობას მიენდობა.

ასეთია ამ თათბირის ამოცანები.

ვხსნი რა თათბირს, თავს ნებას მივცემ გამოვთქვა რწმენა, რომ თათბირი ღირსეულად დაძლევს მისთვის დაკისრებულ ამოცანას.

2. სიტყვა თათბირის დახურვისას

16 მაისს

ნება მიბოძეთ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების სახელით განგიცხადოთ, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ყოველთვის მიაჩნდა და კვლავაც მიაჩნია თავის წმიდა მოვალეობად — ხელი შეუწყოს აღმოსავლეთის ხალხთა და, უწინარეს ყოვლისა, ყველაზე დაბეჩავებული მუსლიმანური აღმოსავლეთის ხალხთა ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩვენი რევოლუციის მთელი ხასიათი, თვით ბუნება საბჭოთა ხელისუფლებისა, მთელი საერთაშორისო ვითარება, დასასრულ, რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობაც კი იმპერიალისტურ ევროპასა და ჩაგრულ აზიას შუა, — ყოველივე ეს უეჭველად უკარნახებს საბჭოთა ხელისუფლებას აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისადმი ძმური მხარდაჭერის პოლიტიკას მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ჩაგვრის ამჟამად არსებულ ყველა ფორმებში ყველაზე დახვეწილი და საშიში ფორმაა ნაციონალური ჩაგვრა. იგი დახვეწილია, ვინაიდან მოხერხებულად ფარავს ბურჟუაზიის მტაცებლურ სახეს. იგი საშიშია, ვინაიდან მარჯვედ არიდებს მეხს ბურჟუაზიას და იწვევს ნაციონალურ შეტაკებებს. თუ ევროპელმა მტაცებლებმა მოახერხეს მუშების ერთმანეთისათვის მისევა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ასპარეზზე, თუ ისინი დღემდე კიდევ ახერხებენ ამ ხოცვა-ჟლეტის გაგრძელებას, — ეს, სხვათა შორის, იმიტომაც არის, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ძალა, რომელმაც ევროპის მუშები გააბრუა, ჯერ კიდევ არ გამქრალა. ნაციონალიზმი ის უკანასკნელი პოზიციაა, საიდანაც უნდა განვდევნოთ ბურჟუაზია, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ იგი. მაგრამ ნაციონალური საკითხის გვერდის ავლა, მისი უგულებელყოფა და უარყოფა, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი სჩადის, კიდევ არ ნიშნავს ნაციონალიზმის დამარცხებას. სრულებითაც არა! ნაციონალური ნიჰილიზმი მხოლოდ ვნებს სოციალიზმის საქმეს და ხელს უწყობს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს. ნაციონალიზმი რომ დავამარცხოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავაყენოთ და გადავჭრათ ნაციონალური საკითხი. მაგრამ ნაციონალური საკითხი აშკარად და სოციალისტურად რომ გადავჭრათ, ამისათვის იგი საბჭოთა რელსებზე უნდა დავაყენოთ, მთლიანად და საბოლოოდ დავუქვემდებაროთ საბჭოებში ორგანიზებული მშრომელი მასების ინტერესებს. ასე, და მხოლოდ ასე შეიძლება გამოვგლიჯოთ ბურჟუაზიას მისი უკანასკნელი სულიერი იარაღი. თათარ-ბაშკირთა ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ახლა იქმნება, ამ საერთო და მთელი ჩვენი რევოლუციისათვის მნიშვნელოვანი საკითხის პრაქტიკულ გადაჭრას წარმოადგენს. დაე ეს ავტონომიური რესპუბლიკა ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზის მა-

ნათობელი, ცოცხალი შუქურა გახდეს მუსლიმანური აღმოსავლეთის ხალხებისათვის.

ნება მიბოძეთ თათრეთ-ბაშკირეთის რესპუბლიკის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მომწვევი თათბირი დახურულად გამოვაცხადო და წარმატება გისურვოთ თქვენი ავტონომიური რესპუბლიკის ორგანიზაციის საქმეში.

«პრავდა» №№ 96 და 101;
1918 წ. 18 და 24 მაისი.

მოკრიბი სიცრუე

«ნაშე ვრემიას» [17] (საღამოს გამოშვება) 97-ე ნომერში მოთავსებულია საკუთარი კორესპონდენტის სიტყვებით გადმოცემული ტექსტი გერმანული რადიოდეპეშისა კონსტანტინოპოლიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ «ბოლშევიკებმა დიდი მაშველი ძალა მიიღეს თურქესტანიდან და ასტრახანიდან და შეტევაზე გადავიდნენ, ამასთან, მიუხედავად მუსლიმანთა გმირული წინააღმდეგობისა, ბოლშევიკებმა აიღეს ქალაქი ბაქო».

საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ამ პროვოკატორულ რადიოდეპეშას სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა.

ბაქო რევოლუციის დასაწყისიდანვე ცნობდა და დღემდე ცნობს საბჭოების ხელისუფლებას. არავითარი შეტევა ბაქოზე ბოლშევიკების მხრივ არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იყო მხოლოდ ერთი მუჭა თათარი და რუსი მემამულეებისა და გენერლების ავანტიურისტული შეტევა, რომელმაც სრული მარცხი განიცადა ამ ჯგუფისადმი მუსლიმანი და რუსი მუშებისა და გლეხების გადამჭრელი უარყოფითი დამოკიდებულების გამო. მუს-

ლიმანების წინააღმდეგ ბოლშევიკების არავითარი ბრძოლა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ბაქოს საბჭოს ძალაუფლება წარმოადგენდა და წარმოადგენს ბაქოს და მისი რაიონის ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა ძალაუფლებას და, უწინარეს ყოვლისა, მუსლიმანი ხალხის ძალაუფლებას.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 97,
1918 წ. 19 მაისი.

მდგომარეობა კავკასიაში

I

ამიერკავკასია

ამიერკავკასიის მდგომარეობა სულ უფრო სახიფათო ხდება. სეიმის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ (22 აპრილს), რასაც ხელ-ფეხი უნდა გაეხსნა თბილისის «მთავრობისათვის», ნამდვილად საერთაშორისო მტაცებელთა ხაფანგში გააბა იგი. რით დამთავრდება ეგრეთწოდებული «საზავო მოლაპარაკება» ბათუმში [18], ამას უახლოესი მომავალი დაგვანახვებს. ერთი რამ უეჭველია: თბილისის მენშევიკებისა და მათი მთავრობის **დამოუკიდებლობა** რუსეთის რევოლუციისაგან გარდუვალად გადაიქცევა მათ მონურ **დამოკიდებულებად** თურქ-გერმანელ «ცივილიზებულ» მტაცებელთაგან. ეს იქნება ხელისუფლების სათავეში მოქცეული თბილისელი მენშევიკების კავშირი თურქ-გერმანელ იმპერიალისტებთან რუსეთის რევოლუციის **წინააღმდეგ.** მენშევიკი ჩხენკელი კავკასიის მომავალი გოლუბოვიჩის როლში... ხომ საგულისხმო სურათია, ბატონო მარტოვებო და დანებო...

სეიმის წევრი კარჩიკიანი თბილისიდან იტყობინება:

«თბილისი ღელავს, სომხები გამოვიდნენ სამინისტროს შემადგენლობიდან, მუშები და გლეხები მთავრობის წინააღმდეგ ქუჩებში დემონსტრაციებს მართავენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ქუთაისში, ხონში, ლეჩხუმში, გორში, დუშეთში დემონსტრაციები იმართება იმის მოთხოვნით, რომ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი მოეწყოს».

მთელი სომხეთი პროტესტს აცხადებს თვითმარქვია თბილისის «მთავრობის» უზურპატორობის წინააღმდეგ და მოითხოვს სეიმის დეპუტატების წასვლას. ხოლო მუსლიმანობის ცენტრმა, ბაქომ, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელმა, თავის გარშემო დარაზმა მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია, ლენქორანიდან და ყუბიდან ელიზავეტპოლამდე, და იარაღასხმული ამკვიდრებს ამიერკავკასიის ხალხთა უფლებებს, ხალხებისა, რომლებიც მთელი ძალღონით ცდილობენ შეინარჩუნონ კავშირი საბჭოთა რუსეთთან. აღარას ვამბობთ გმირ აფხაზეთზე [19], შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც ერთსულოვნად აჯანყდა თბილისის «მთავრობის» შავი ბანდების წინააღმდეგ და იარაღით ხელში იცავს მათ წინააღმდეგ სოხუმს. «მთელი აფხაზეთი — დიდი და პატარა — აჯანყდა სამხრეთიდან მოსულ დამპყრობთა ორიათასიანი ბანდის წინააღმდეგ და უკვე 8 დღეა იცავს სოხუმის მისადგომებს 20 ვერსზე სოხუმის სამხრეთით», — გვწერს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ეშბა. ზოგიერთი ცნობით, ამიერკავკასიის რაზმების შეტევას ზღვიდან ეხმარებიან შეიარაღებული ტრანსპორტების ფლოტილია და გამანადგურებელთა ჯგუფი. ამასთან ბრესტის ზავისა და მისი გერმანული განმარტების მიხედვით ჩვენ, თურმე, არათუ შეტევა არ უნდა ვაწარმოოთ ზღვიდან სოხუმის დასაცავად, არამედ იმის უფლებაც კი არა გვაქვს, რომ თავი დავიცვათ. ასეთია რეალური დახმარება, რასაც

გერმანელი «მშვიდობისმყოფელნი» უწევენ ამიერკავკასიელ დამპყრობლებს. ასეთ მდგომარეობაში ძნელი გასაგები არ არის, რომ სოხუმის ბედი თითქმის წინასწარ გადაწყვეტილია. ამიერკავკასიის მოსახლეობა თბილისის «მთავრობის» წინააღმდეგია. ამიერკავკასიის მოსახლეობა რუსეთისაგან გამოყოფის წინააღმდეგია. ამიერკავკასიის მუშები და გლეხები მხარს უჭერენ რეფერენდუმს ერთი მუჭა სეიმელების წინააღმდეგ, ვინაიდან არავის, დანამდვილებით არავის არ მიუცია სეიმისათვის იმის რწმუნება, რომ ამიერკავკასია რუსეთისაგან გამოეყო.

ასეთია სურათი.

ტყუილად კი არ არის, რომ მენშევიკებში ყველაზე სინდისიანებმა — ჟორდანიამ, წერეთელმა და გეგეჭკორმაც კი (იმანაც კი!) ხელი დაიბანეს და ეს ბინძური სამუშაო ყველაზე მოურიდებელ მენშევიკებს მიანდეს.

თბილისიდან გვატყობინებენ, რომ ყარსთან თურქების კორპუსის სარდალმა სომხების მიერ ყარსის ჩაბარებისას განაცხადა, რომ გარდუვალად მიაჩნია თურქეთის ჯარების გაგზავნა ბაქოს დასაკავებლად და ბაქოს რაიონში მუსლიმანების სახსნელად, თუ ამიერკავკასიის მთავრობამ ეს მალე ვერ მოახერხაო, ხოლო ამის პარალელურად «ვეხიბფაშა თავის წერილში ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გასაგებს ხდიდა, რომ ეს გარდუვალია».

ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს დოკუმენტალურად შევამოწმოთ ეს ცნობები, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: თუ თურქი «მხსნელები» მართლაც დაიძრნენ ბაქოსაკენ, ისინი მოსახლეობის ფართო ფენების და, უწინარეს ყოვლისა, მუსლიმანი მუშებისა და გლეხების მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდებიან.

რაღა თქმა უნდა, ამასთან საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალღონით დაიცავს ამიერკავკასიის მშრომელი მასების უცილობელ უფლებებს დამპყრობლურ ხელყოფათა წინააღმდეგ.

II

ჩრდილოეთი კავკასია

ჯერ კიდევ 1917 წელს სამსახურიდან გადამდგარ ჩრდილოკავკასიელ გენერალთა პატარა ჯგუფმა, როგორიც იყვნენ ფილიმონოვები, კარაულოვები, ჩერმოევები და ბამატოვები, მთიელთა კავშირად გამოაცხადა თავი, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის სახელწოდება მიითვისა და ჩუმ-ჩუმად ემზადებოდა კალედინთან ერთად გამოსვლისათვის. 1917 წლის ნოემბერში, რუსეთის ცენტრში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ეს, უკაცრავად პასუხია, «მთავრობა» ინგლის-საფრანგეთის სამხედრო მისიებს ელაქუცებოდა და ორმოს უთხრიდა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე დროებით ზავს. 1918 წლის დამდეგს, კალედინის ავანტიურის ჩაშლის შემდეგ, ეს უცნაური «მთავრობა» პოლიტიკური ჰორიზონტიდან გაქრა და სჯერდებოდა მატარებლების ყაჩაღურად გაძარცვისა და ქალაქებისა და სოფლების მშვიდობიან მცხოვრებლებზე ვერაგული თავდასხმების მოწყობას. ამა წლის გაზაფხულისათვის იგი ყველამ დაივიწყა, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანისა და თერგის ოლქებში, ნამდვილად ხალხური დეპუტატთა საბჭოები დამკვიდრდნენ, რომლებმაც თავის გარშემო შემოიკრიბეს ჩრდილოეთ კავკასიის უკლებლივ ყველა ტომისა და ხალხის ფართო ფენები. ყაბარდოელები და კაზაკები, ოსები და ქართველები, რუსები და უკრაინელები ფართო წრედ დაირაზმნენ **თერგის** დეპუტატთა საბჭოს

გარშემო. ჩაჩნებმა და ინგუშებმა, ყაზაკებმა და უკრაინელებმა, მუშებმა და გლეხებმა აავსეს თავიანთი წარმომადგენლების სახით **ყუბანის** ოლქის მრავალრიცხოვანი დეპუტატთა საბჭოები. ყველა ამ ტომისა და ხალხის მშრომელთა ფართო ფენებმა თავიანთ ყრილობებზე საჯაროდ გამოაცხადეს განუყრელი კავშირი საბჭოთა რუსეთთან. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ აეძულებინა ჩერმოევებისა და ბამატოვების თვითმარქვია «მთავრობა» პოლიტიკური ასპარეზიდან გამქრალიყო. ყველას მიაჩნდა, რომ ეს საკვირველი «მთავრობა» სამუდამოდ დასამარებულია. მართალია, ბამატოვების ახლო მეგობარმა, ეგრეთწოდებულმა დაღისტნის იმამმა, ჯერ კიდევ მარტში გვამცნო თავისი არსებობა იმით, რომ ყაჩაღური თავდასხმები მოაწყო რკინიგზაზე პეტროვსკთან და დარუბანდთან. მაგრამ უკვე შუა აპრილში იმამის ავანტიურა ლიკვიდირებულ იქნა ბაქოს მუშების საბჭოთა რაზმებისა და თვით დაღისტნელების მიერ, რომლებმაც დაღისტნის მთებში **გარეკეს** იმამი რუსი ოფიცრებისაგან შემდგარ მის ამალიანად.

მაგრამ იმპერიალიზმი არ იქნებოდა იმპერიალიზმი, მას რომ არ შეეძლოს «საიქიოდან» გამოიძახოს მიცვალებულთა აჩრდილები თავისი ამქვეყნიური მიზნებისათვის. სულ რაღაც ერთი კვირის წინათ ჩვენ გადმოგვცეს მკვდრეთით აღმდგარი ჩერმოევისა და ბამატოვის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური განცხადება, სადაც ლაპარაკია ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებელი (ხუმრობა კი არ გეგონოთ!) სახელმწიფოს შექმნაზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე (არც მეტი და არც ნაკლები!).

«კავკასიის მთიელთა კავშირი, — ნათქვამია ამ თვითმარქვია მთავრობის პროკლამაციაში, — წყვეტს გამოეყოს რუსეთს და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო».

«ახალი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრები ჩრდილოეთით იგივე გეოგრაფიული საზღვრები იქნება, რაც ჰქონდათ დაღისტნის,

თერგის, სტავროპოლის, ყუბანისა და შავი ზღვის ოლქებსა და პროვინციებს რუსეთის ყოფილ იმპერიაში, დასავლეთით შავი ზღვა, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, სამხრეთით საზღვარი, რომლის დეტალებიც გარკვეული იქნება ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით».

ამრიგად, ამიერკავკასიის «მთავრობა» «ურთიერთობას» ამყარებს თურქ-გერმანელ «განმათავისუფლებლებთან», ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის «მთავრობა» — ამიერკავკასიის «მთავრობასთან». საქმე გარკვეულია. ჩრდილოეთ კავკასიის ავანტიურისტები, რომლებსაც ინგლისელებსა და ფრანგებზე გული გაუტყდათ, ახლა იმედებს ამყარებენ ამ უკანასკნელთა მტრებზე. და რადგან თურქებისა და გერმანელების მისწრაფებას დაპყრობისაკენ საზღვარი არა აქვს, უნდა ვიფიქროთ, რომ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა ჩრდილოკავკასიელ ფათერაკის მაძიებელთა «შეთანხმებისა» თურქ-გერმანელ «განმათავისუფლებლებთან».

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს უკანასკნელნი განაცხადებენ თავიანთ ერთგულებას გერმანიის ხელშეკრულებისადმი, თავიანთ მზადყოფნას — დაიცვან მეგობრული ურთიერთობა და სხვა. მაგრამ ვინაიდან ჩვენს დროში საქმეებს ენდობიან და არა სიტყვებს, ამ ვაჟბატონების საქმეები კი სავსებით გარკვეულია, — საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდება მთელი ძალების მობილიზება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დასაცავად შესაძლო დამპყრობლური თავდასხმებისაგან.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 100,
1918 წ. 23 მაისი.

კავკასიაში არსებული მდგომარეობისათვის

ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატისაგან

კვირის გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა ინგლისელების მიერ ბაქოს და აფშერონის ნახევარკუნძულის აღების შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია:

«ოდესის გაზეთების ცნობით, ბაქოდან ჩამოსული პირები გადმოგვცემენ, რომ სამი კვირის წინათ ქალაქში სატვირთო ავტომობილებით შევიდნენ ინგლისის ჯარები, რომლებიც კავკასიაში შემოიჭრნენ მესოპოტამიიდან, სპარსეთით. რაზმი მრავალრიცხოვანია და, ეტყობა, ავანგარდს წარმოადგენს. არსებობს ვერსია, თითქოს ინგლისელები კავშირს ამყარებენ კორნილოვის რაზმებთან. მეორე გაზეთი იტყობინება, რომ ინგლისელებმა დაიკავეს აფშერონის ნახევარკუნძული და ბაქო, საიდანაც მიდიან შემდეგი მიმართულებით: თბილისი, ალექსანდროპოლი, სარიყამიში, ყარსი, არზრუმი. 24 მაისი».

ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატმა ამის გამო უნდა განაცხადოს, რომ ამ პროვოკატორულ ცნობას, რომელიც თან მეტად საეჭვო წყაროებიდან მომდინარეობს, სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. ბაქოში ინგლისელთა არავითარი რაზმი არ გამოჩენილა და არც შეიძლებოდა გამოჩენილიყო თუნდაც იმიტომ, რომ მთელ ბაქოს გუბერნიას და მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას

იცავენ საბჭოთა ჯარები, რომლებიც მზად არიან პირველ მოწოდებისთანავე შეებრძოლონ გარეშე ძალას, რა სამოსელშიც უნდა ეხვეოდეს იგი. საგანგებო კომისარ შაუმიანის 25 მაისის ცნობით, «ბაქოსა და მის რაიონებს ჯერჯერობით არ ემუქრება საფრთხე ვინმეს მხრივ, თუ არ ჩავთვლით თათარ მემამულეებს, რომლებმაც ამ დღეებში აჯიქაბულზე თავდასხმა მოახდინეს და რომლებიც საბჭოთა ნაწილებმა შორს უკუაქციეს დასავლეთისაკენ».

რაც შეეხება მდგომარეობას სამხრეთ ამიერკავკასიაში, იქ, მართლაც, არსებობს საფრთხე, მაგრამ არა ინგლისელების, არამედ თურქების მხრივ, რომლებიც ალექსანდროპოლ-ჯულფის ხაზით მიიწევენ თავრიზისაკენ, «რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელებს ჩრდილოეთ სპარსეთში».

აი რას იტყობინება ამის თაობაზე ამიერკავკასიის სეიმის წევრი კარჩიკიანი 20 მაისს:

«13 მაისს თურქეთმა ბათუმში წამოაყენა მოთხოვნა — გაუშვან თურქეთის ჯარები ალექსანდროპოლ-ჯულფის გზით სპარსეთში, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ინგლისელები აწვებიან მოსულის მხრიდან, რომ თურქებისათვის საჭიროა უმოკლეს ვადაში დაიკავონ ჩრდილოეთი სპარსეთი. თავის მოთხოვნას თურქეთი ძალით იცავს. 15-ს დილით არტილერიის სროლა აუტეხეს ალექსანდროპოლს. ჩვენმა ჯარებმა, რომლებსაც მოუმზადებელს მოუსწრეს, შემოტევა ვერ შეაჩერეს და 16-ს დათმეს ალექსანდროპოლი. 17-ს თურქებმა მოითხოვეს უზრუნველგვეყო მათთვის ჯულფაში ჯარების თავისუფალი გაშვება და დაგვპირდნენ, რომ მოსახლეობას ხელს არ ახლებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ ძალით გაიჭრებოდნენ. მივიღეთ რა მხედველობაში, რომ ალექსანდროპოლიდან უკანდახევამ სრულებით მოშალა ჯარები და რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სურმალისა და ეჩმიაძინის მაზრების მთელ მოსახლეობას საშინელი უბედურება მოელის, ჩვენ იძულებული გავხდით დავთანხმებულიყავით თურქების მოთხოვნაზე. ალექსანდროპოლის მაზრის მოსახლეობა მთლიანად აიყარა და ბამბაკ-ლორის რაიონში მოიყარა თავი. ასევე სურმალის მაზრის მოსახლეობაც. დღეს ცნობები მივიღე, რომ ახალ-

ქალაქის მაზრის მოსახლეობა აიყარა და წალკისაკენ მიდის. ბათუმში დელეგაციამ პროტესტი წარადგინა ულტიმატუმის გამო, მაგრამ აქედან კაზუს-ბელლი არ გააკეთა და გადაწყვიტა მოლაპარაკება განაგრძოს».

იუწყება რა ყოველივე ამას, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ, როგორც ჩანს, ოდესიდან გადმოცემული ცრუ ცნობების მიზანია დაფაროს თურქეთის შემოსევა, რომელიც ყველა უფლებას არღვევს და მიზნად ისახავს სპარსეთის რკინიგზის ხაზის ხელში ჩაგდებას.

«პრავდა» № 104,
1918 წ. 28 მაისი.

დონის ოლქისა და ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ

(ფაქტები და ყალთაბანდობა)

უკრაინის დელეგაციამ კიევში საზავო კონფერენციის[20] პირველ სხდომაზე განაცხადა, რომ მას აქვს განცხადებანი დონის, ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა «მთავრობებისა», რომლებმაც გამოაცხადეს, რომ რუსეთს გამოეყვნენ და უკრაინულ-გერმანულ მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს. «ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების წინააღმდეგი არა ვართ, — განაცხადა უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარემ ბ-მა შელუხინმა, — მაგრამ გვინდა ვიცოდეთ, არსებითად რომელ ოლქებზე ვრცელდება რუსეთის ფედერაციის ძალაუფლება, ვინაიდან მე მაქვს განცხადებანი მთელი რიგი მთავრობებისა (დონის, ჩრდილოეთ კავკასიის და სხვ.), რომლებსაც არა სურთ რუსეთის შემადგენლობაში დარჩნენ».

თურქები და გერმანელები არათუ წინააღმდეგი არ არიან უკრაინელების ამ გამოსვლისა, არამედ პირიქით, მთელ რიგ ოფიციალურ განცხადებებში ადასტურებენ ხსენებული ნახევრადლეგალური «მთავრობების» პრეტენზიებს, ებღაუჭებიან მათ, როგორც ფორმალურ საშუალებას ახალი ტერიტორიების «თვითგამორკვევის» (ე. ი. ხელში ჩაგდების) მიზნით...

მაგრამ რას წარმოადგენენ ეს უცნაური «მთავრობები», საიდან გაჩნდნენ ისინი?

უწინარეს ყოვლისა უცნაურია, რომ ამ «მთავრობათა» მფარველად და მთელი ამ კამპანიის ოფიციალურ მოთავედ გამოდის უკრაინის გეტმანის მთავრობა, რომელიც მხოლოდ გუშინ გაჩნდა წყალობითა... ყოველ შემთხვევაში არა ხალხისათა. კაცმა რომ თქვას, რა უფლებით ბედავს უკრაინის დელეგაცია ასე ელაპარაკოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც თავისუფლად არჩეულია რუსეთის ფედერაციის ათეულ მილიონობით მოსახლეობის მიერ და რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა, სხვათა შორის, დონის, ყუბანის, შავი ზღვის მხარის, თერგის ფართო საოლქო საბჭოები, ამ ოლქების მილიონობით მოსახლეობის მიერ არჩეულნი? რა წონა შეიძლება ჰქონდეს ყოველივე ამის გამო უკრაინის ახლანდელ მთავრობას, რომელიც არათუ არჩეული არ არის ხალხის მიერ, არამედ რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ხელოვნურად შეკოწიწებული ცენზიანი სეიმიც კი, თუნდაც ზედაფენის ლანდტაგის მსგავსი? გარდა ამისა, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, — საზავო კონფერენცია სადმე ნეიტრალურ ადგილზე რომ მიმდინარეობდეს და არა კიევში, ამას წინათ ჩამოგდებული უკრაინის რადა აუცილებლად წარსდგებოდა განცხადებით, რომ გეტმანის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება ვერაფრით ვერ შებოჭავს უკრაინელ ხალხს, რომელიც არა ცნობს ამ მთავრობას. ამასთან წამოიჭრებოდა ორი საკითხი: 1) ვისი რწმუნებანი შეიძლებოდა ასეთ შემთხვევაში მიჩნეულიყო უფრო ნამდვილად, გეტმანის მთავრობისა თუ უკრაინის რადისა, 2) რაღას განაცხადებდა მაშინ თავის გასამართლებლად უკრაინის ახლანდელი დელეგაცია, რომელიც დიდად აფასებს ყოველგვარ «განცხადებას»...

მეორეც, არანაკლებ უცნაურია, რომ გერმანია, რომელიც მხარს უჭერს უკრაინის დელეგაციის განცხადებას და გულმოდგინედ ელაციცება დონისა და ჩრდილოეთ კავკასიის ავანტიურისტულ «მთავრობებს» «თვითგამორკვევის» ინტერესებისათვის, კრინტსაც არა სძრავს პოლონური პოზნანის, დანიური შლეზვიგ-ჰოლშტინიის, ფრანგული ელზას-ლორენის თვითგამორკვევაზე. განა კიდევ მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ აღნიშნული ოლქების დანიელების, პოლონელებისა და ფრანგების მასობრივ პროტესტებთან შედარებით ავანტიურისტული განცხადებანი სამხრეთ რუსეთის სახელდახელოდ შეკოწიწებული «მთავრობებისა», რომლებსაც არავინ არა ცნობს, მოკლებულია ყოველგვარ წონას, ყოველგვარ ღირებულებას, ყოველგვარ მართებულობას...

მაგრამ ყოველივე ეს «წვრილმანებია». გადავიდეთ მთავარზე.

ამრიგად, საიდან წარმოსდგნენ სამხრეთ რუსეთის მითური «მთავრობები»?

«1917 წლის 21 ოქტომბერს, — ამბობს დონის «მთავრობა» თავის «ნოტაში», — ქალაქ კავკავში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ახალი ფედერაციული სახელმწიფოს, სამხრეთ-აღმოსავლეთი კავშირის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ დონის, ყუბანისა და ასტრახანის კაზაკთა ჯარების ტერიტორიების მოსახლეობა, ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვის სანაპიროს მთიელები და სამხრეთ-აღმოსავლეთი რუსეთის თავისუფალი ხალხები».

თითქმის იგივეა ნათქვამი ჩრდილოეთ კავკასიის «მთავრობის» წარმომადგენლების ჩერმოევისა და ბამატოვის რადიოდეპეშაში, რომელიც ჩვენ 16 მაისს გადმოგვცეს:

«კავკასიის ხალხებმა კანონზომიერად აირჩიეს ნაციონალური კრება, რომელიც 1917 წლის მაისსა და სექტემბერში შეიკრიბა და განაცხადა კავკასიის მთიელთა კავშირის შექმნა», ამასთან «კავკასიის მთიელთა კავშირმა გადაწყვიტა გამოეყოს რუსეთს და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო ამ სახელმწიფოს ტერიტორიის

საზღვრები ჩრდილოეთით იგივე გეოგრაფიული საზღვრები იქნება, რაც ჰქონდათ დაღისტნის, თერგის, სტავროპოლისა და ყუბანის და შავი ზღვის ოლქებსა და პროვინციებს რუსეთის ყოფილ იმპერიაში, დასავლეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა».

ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების წინადღეს, იმ რევოლუციისა, რომელმაც კერენსკის მთავრობა დაამხო, ამ მთავრობასთან დაკავშირებული ავანტიურისტთა ჯგუფები თურმე კავკავში შეკრებილან და თავი გამოუცხადებიათ «სრულუფლებიან» მთავრობებად, ხოლო რუსეთის სამხრეთი ნაწილი — რუსეთისაგან გამოყოფილად, ამასთან იმისთვისაც კი არ შეუწუხებიათ თავი, რომ საამისოდ მოსახლეობისათვის თანხმობა ეკითხათ. რასაკვირველია, თავისუფალ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, არავის აკრძალული არა აქვს სეპარატისტული ოცნებებით გაერთოს, ამასთან ადვილი გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ გამოეკიდებოდა და არც უნდა გამოჰკიდებოდა იმ მეოცნებეთა ავანტიურისტულ განცხადებებს, რომლებთანაც სამხრეთ რუსეთის ხალხები ოდნავაც არ არიან დაკავშირებულნი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, — გერმანიის მოქალაქეთათვის ისეთივე თავისუფლება რომ მიეცა, როგორითაც ამჟამად რუსეთში სარგებლობენ, პოზნანი, ელზას-ლორენი, პოლონეთი, კურლანდია, ესტლანდია და სხვ. დაიფარებოდნენ ნაციონალურ მთავრობათა ქსელით, რომლებსაც გაცილებით მეტი საფუძველი ექნებოდათ მთავრობები რქმეოდათ, ვიდრე თავისივე ხალხების მიერ განდევნილ და ახლა ემიგრაციაში მყოფ ბოგაევსკებსა და კრასნოვებს, ბამატოვებსა და ჩერმოევებს...

ასეთია სამხრეთ რუსეთის მითური «მთავრობების» წარმოშობის სურათი.

დონის «მთავრობის» «ნოტაში» და ჩერმოევის რადიოდეპეშაში ლაპარაკია წარსულზე, 1917 წლის სექტემბერსა და ოქტომბერზე და კავკავზე, როგორც სამსახურიდან გა-

დამდგარი გენერლების თავშესაფარზე. მაგრამ მას შემდეგ დაახლოებით წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნენ დონის, ყუბან — შავი ზღვის და თერგის საოლქო სახალხო საბჭოები, რომლებიც თავის გარშემო აერთიანებენ მილიონობით მოსახლეობას, კაზაკებსა და არაკაზაკ გლეხებს, აფხაზებსა და რუსებს, ჩაჩნებსა და ინგუშებს, ოსებსა და ყაბარდოელებს, ქართველებსა და სომხებს. ამ ოლქების მოსახლეობამ უკვე დიდი ხანია ცნო საბჭოთა ხელისუფლება, ფართოდ სარგებლობს რა მინიჭებული თვითგამორკვევის უფლებით. ხოლო კავკავმა, კარაულოვებისა და ბოგაევსკების, ჩერმოევებისა და ბამატოვების ყოფილმა რეზიდენციამ, უკვე დიდი ხანია თავი გამოაცხადა თერგის სახალხო საბჭოს ადგილსამყოფელად. იბადება კითხვა, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ ადამისდროინდელ გენერლებსა და 1917 წლის ზაფხულის მათს ავანტიურისტულ განცხადებებს ყველა ამ ცნობილი ფაქტის წინაშე? სექტემბერსა და ოქტომბერში რუსეთში კიდევ არსებობდა კერენსკის მთავრობა და ცეცხლს აფრქვევდა იატაკქვეშეთში ჩარეკილი ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ახლა ხელისუფლების სათავეში დგას. თუ უკრაინის დელეგაციისა და გერმანიის მთავრობისათვის 1917 წლის სექტემბერსა და ოქტომბერს ასეთი სამღვთო მნიშვნელობა აქვს, რატომ არ მიიწვევენ საზავო კონფერენციაზე კერენსკის მთავრობის ნაშთებს, რომელიც იმ დროს თავს კიდევ არხეინად გრძნობდა, სწორედ ისევე, როგორც ამას სჩადიან ჩერმოევებისა და კარაულოვების «მთავრობის» ნაშთების მიმართ, რომლებიც ასევე არხეინად გრძნობდნენ თავს 1917 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში?

ან კიდევ: არსებითად, რით სჯობია 1917 წლის სექტემბერი 1918 წლის აპრილს, როცა უკრაინის რადამ, რომელსაც ის-ის იყო უნდა გაეგზავნა დელეგაცია საბჭოთა

ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად, თვალის დახამხამებაში შეწყვიტა პოლიტიკური არსებობა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის გერმანული «გაგების» «საფუძველზე»?..

ანდა, ბოლოს: რატომ არის, რომ განცხადება კაზაკების მიერ განდევნილი კაზაკთა გენერალ კრასნოვისა, რომელიც 1917 წლის დამლევს გატჩინასთან ტყვედ ჩაუვარდა საბჭოთა ჯარებს და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაშვებულ იქნა პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევით, — რატომ არის, რომ მისი განცხადება «დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტად» ითვლება, ხოლო განცხადება, მაგალითად, ყირიმის სახკომსაბჭოსი, რომელიც თავის გარშემო რაზმავდა ასეულ ათასობით რუს და თათარ მოსახლეობას და რომელმაც რადიოთი სამჯერ გამოაცხადა ყირიმის განუყრელი კავშირი რუსეთის ფედერაციასთან, — პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებულად ითვლება?

რატომ არის, რომ კაზაკების მიერ განდევნილი გენერალი კრასნოვი უკრაინელ-გერმანელ მმართველთა განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობს, ხოლო მოსახლეობის მიერ თავისუფლად არჩეული ყირიმის სახკომსაბჭო ავაზაკურად დახვრიტეს?..

აშკარაა, აქ საქმე «განცხადებათა» სინამდვილეში კი არ არის, და არც მასებში, რომლებიც მხარს უჭერენ ამ «განცხადებებს». მით უმეტეს, საქმე «თვითგამორკვევის» ცნებაში კი არ არის, რომელიც ბარბაროსულად გაცვეთილი და დამახინჯებულია ოფიციალური მძარცველების მიერ. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ «განცხადებანი» მეტად ხელსაყრელია იმპერიალისტური ყალთაბანდობის უკრაინელ-გერმანელ მოყვარულთათვის, ვინაიდან ეს «განცხადებანი» მოხერხებულად ფარავენ მათს მისწრაფებას ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა და დამონებისაკენ.

დამახასიათებელია, რომ ეგრეთწოდებული დონის მთავრობის მთელ რიგ დელეგაციათაგან, რომლებიც იმდენადვე «კანონიერი» არიან, რამდენადაც გენ. კრასნოვის დელეგაცია, უკრაინელ-გერმანელებმა ეს უკანასკნელი დელეგაცია ირჩიეს, ვინაიდან ყველა დანარჩენი დელეგაცია არა გერმანულ «ორიენტაციას» ადგა. ამასთან კრასნოვ-ბოგაევსკის «მთავრობის» მოგონილი და ხელოვნური ხასიათი იმდენად თვალსაჩინოა, რომ კრასნოვის მიერ დანიშნულმა მთელმა რიგმა მინისტრებმა (პარამონოვმა — სახალხო განათლების მინისტრმა, და სემიონოვმა — მიწათმოქმედების მინისტრმა) ოფიციალურად უარი განაცხადეს თანამდებობათა დაკავებაზე და თავიანთი უარი იმით დაასაბუთეს, რომ «გენ. კრასნოვმა მათ დაუსწრებლად დანიშნა ისინი მინისტრებად». მაგრამ უკრაინელ-გერმანელ თვითგამომრკვევთ ეს, ეტყობა, ოდნავაც არ აშფოთებთ, ვინაიდან კრასნოვი მათთვის მოხერხებულ შირმას წარმოადგენს.

არანაკლებ დამახასიათებელია, რომ ეგრეთწოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი, რომელიც ჯერ კიდევ იანვარში მიიცვალა, მაისში უეცრად აღდგა მკვდრეთით სადღაც უკრაინაში თუ კონსტანტინოპოლშიც კი, ამასთან ჩრდილოეთ კავკასიის ჯერ კიდევ ყველა ხალხმა როდი იცის, რომ მათ მიერ დიდი ხნის წინათ დასამარებული «მთავრობები» არალეგალურად განაგრძობენ «არსებობას», კაცმა არ უწყის — კონსტანტინოპოლში თუ კიევში, საიდანაც აპირებენ კანონები უწერონ მათ. უკრაინელ-გერმანელ თვითგამომრკვევთ, ეტყობა, არც ეს უხეირო ყალთაბანდობა აშფოთებთ, ვინაიდან ეს ხელის მოთბობის საშუალებას იძლევა.

ასეთია ერთი მხრივ ძალაუფლებას მოწყურებულ სამხრეთ რუსეთის ავანტიურისტთა და მეორე მხრივ პოლიტიკური ყალთაბანდობის შემოქმედთა «საქმენი».

როგორღა უყურებენ დამოუკიდებლობის საკითხს თვით სამხრეთ რუსეთის ხალხები, რომელთა სახელსაც ეფარებიან ბატონი თვითგამომრკვევნი?

დავიწყოთ **დონით.** უკვე თებერვლიდან არსებობს დონის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც თავის გარშემო აერთიანებს ოლქის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ აპრილში საოლქო ყრილობამ, რომელზეც 700-ზე მეტი დელეგატი შეიკრიბა, საქვეყნოდ დაადასტურა განუყრელი კავშირი რუსეთთან, რომლის ავტონომიურ ნაწილსაც შეადგენს დონის რესპუბლიკა.

აი რას ამბობს დონის რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი კრასნოვ-ბოგაევსკის ახლად გამომცხვარი «მთავრობის» პრეტენზიების შესახებ თავის 28 მაისის რეზოლუციაში:

«დონის საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს სახალხო კომისართა საბჭოს და კიევის საზავო კონფერენციას, რომ დონზე არავითარი ხელისუფლება არ არსებობს, გარდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმისა. ყოველი სხვა მთავრობა, რომელსაც თავი ასეთად გამოუცხადებია ან გამოაცხადებს, სახელმწიფო დამნაშავეებია, რომლებიც მიცემული იქნებიან სახალხო სამართალში სახელმწიფო ღალატისათვის. ამჟამად ჩვენ გვაცნობეს, რომ საზავო კონფერენციაზე გამოდის დონის მთავრობის დელეგაცია. ჩვენ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ვუცხადებთ სახალხო კომისართა საბჭოს და კიევის საზავო კონფერენციას, რომ დონის რესპუბლიკის საბჭოთა ხელისუფლების დოკუმენტების წარუდგენლად არავითარი დელეგატი არ უნდა იქნას დაშვებული საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად და, თუ ასეთები არსებობენ, ჩვენ მათ ვაცხადებთ არაკანონიერ და თვითმარქვია დელეგატებად, რომლებიც, როგორც სახელმწიფო დამნაშავენი, მიცემულ იქნებიან სამართალში. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საზავო კონფერენციისაგან მოითხოვს მოიშოროს «დონის მთავრობის» თვითმარქვია დელეგაცია,

ვინაიდან იგი კანონიერი არ არის და არ შეიძლება დაშვებულ იქნას საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ვ. კოვალიოვი.

მდივანი **ვ. პუჟილევი.**

(მიღებულია 28 მაისს) ცარიცინი».

გადავიდეთ **ყუბანზე.** ყველასათვის ცნობილია ყუბან-შავი ზღვის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც თავის გარშემო აერთიანებს ოლქის უკლებლივ ყველა განყოფილებისა და კუთხის მოსახლეობის 90 პროცენტს.

ყველასათვის ცნობილია ყუბან-შავი ზღვის ოლქის ამა წლის აპრილის მრავალრიცხოვანი ყრილობა ჩაჩნებისა და ინგუშების მონაწილეობით, კაზაკ ი. პოლუიანის თავმჯდომარეობით. ამ ყრილობამ საქვეყნოდ დაადასტურა ოლქის განუყრელი კავშირი რუსეთთან და ასევე საქვეყნოდ კანონგარეშე გამოაცხადა ავანტიურების მოყვარულნი, ყოველგვარი ფილიმონოვები და კრასნოვები. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ათეულ ათასობით თოფქვეშ მყოფი ყუბანელნი, რომლებიც თავიანთი მკერდით იცავენ საბჭოთა რუსეთს სოხუმიდან ბატაისკამდე, საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობენ ყუბანისა და შავი ზღვის ოლქის გრძნობებსა და სიმპათიებს. აღარას ვამბობთ ფლოტზე, რომლის დაღუპვასაც მოუთმენლად ელიან და ვერ ეღირსებიან კრასნოვ-ფილიმონოვების კეთილის-მყოფელნი...

დასასრულ, **თერგის ოლქი.** არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ თერგზე არსებობს თერგის საოლქო სახალხო საბჭო, რომელიც თავის გარშემო აერთიანებს ყველა, ან თითქმის ყველა (95%), აულს, სტანიცას, სო-

ფულსა და დაბას, ქალაქებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. პირველსავე საოლქო ყრილობაზე ამა წლის იანვარში უკლებლივ ყველა დელეგატმა მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელისუფლებას და რუსეთთან განუყრელ კავშირს. მეორე ყრილობამ, აპრილში, პირველზე უფრო ფართომ და ხალხმრავალმა, საქვეყნოდ დაადასტურა რუსეთთან კავშირი და რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა ოლქი. მესამე საოლქო ყრილობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, წინ დგამს ნაბიჯს, სიტყვიდან საქმეზე გადადის და მოქალაქეებს მოუწოდებს იარაღი აისხან, რათა დაიცვან თერგი, და არა მარტო თერგი, დაუპატიჟებელი სტუმრების მხრივ ხელყოფისაგან. ეგრეთწოდებული დონის მთავრობის ეგრეთწოდებულ ნოტაში მეტად ბევრი ლაპარაკია «სამხრეთ-აღმოსავლეთის თავისუფალ ხალხებზე», რომლებიც თითქოს რუსეთისაგან გამოყოფისაკენ მიისწრაფვიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფაქტები საუკეთესოდ აბათილებენ «განცხადებებს», და ამიტომ ავამეტყველებთ ფაქტებს.

უწინარეს ყოვლისა მოვისმინოთ თერგის სახალხო საბჭოს რეზოლუცია.

«თერგის სახალხო საბჭომ დეპეშით შეიტყო, ვითომც კონსტანტინოპოლში მყოფს ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატებს ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობა გამოეცხადებინოთ და ამის შესახებ ნოტებით მიემართოთ თურქეთის საიმპერატორო მთავრობისა და სხვა სახელმწიფოებისათვის.

თერგის სახალხო საბჭო ჩაჩანთა, ყაბარდოელთა, ოსთა, ინგუშთა, ყაზაკთა და არაყაზაკ გლეხთა ფრაქციების შემადგენლობით ადასტურებს, რომ თერგის მხარის ხალხებს ზემოაღნიშნული მიზნით არასოდეს, არავინ და არსად დელეგატებად არ გაუგზავნიათ, და თუ ამჟამად კონსტანტინოპოლში მყოფი ცალკეული პირები თერგის მხარის ხალხთა დელეგატებად ასაღებენ თავს და ამ ხალხთა სახელით მოქმედებენ, მათ მხრივ ეს მხოლოდ თვითმარქვიობა და ავანტიურაა.

თერგის სახალხო საბჭო გაკვირვებას გამოთქვამს იმ პოლიტიკური სიბეცისა და გულუბრყვილობის გამო, რაც გამოიჩინა თურქეთის

მთავრობამ, რომლის შეცდომაში შეყვანაც ვიგინდარებს მოუხერხებიათ.

თერგის სახალხო საბჭო ჩამოთვლილი ფრაქციების შემადგენლობით აცხადებს, რომ თერგის მხარის ხალხები რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის განუყრელ ნაწილს შეადგენენ.

თერგის სახალხო საბჭო პროტესტს აცხადებს ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტში ჩრდილოეთ კავკასიის ჩაბმის წინააღმდეგ» (იხ. «ნაროდნაია ვლასტ», თერგის სახალხო საბჭოს ორგანო).

(რეზოლუცია მიღებულია ერთხმად. 9 მაისს).

ახლა ილაპარაკონ უზურპატორებისა და მათი მფარველების მიერ ცილდაწამებულმა **ჩაჩნებმა და ინგუშებმა.** აი რეზოლუცია მათი ფრაქციისა, რომელიც ყველა ან თითქმის ყველა ინგუშსა და ჩაჩანს აერთიანებს.

«თერგის სახალხო საბჭოს ჩაჩან-ინგუშთა ფრაქციის საგანგებო სხდომამ, განიხილა რა ცნობა ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი აქტია, რომელიც მთელი დაინტერესებული მოსახლეობის დასტურითა და თანხმობით უნდა ხდებოდეს.

ჩაჩან-ინგუშთა ფრაქცია აღნიშნავს, რომ ჩაჩან-ინგუშ ხალხს ოტომანთა დელეგაციასთან ტრაპიზონში ან ოტომანთა მთავრობასთან კონსტანტინოპოლში რაიმე მოლაპარაკებისათვის არავითარი დელეგატები არ გაუგზავნია, რომ დამოუკიდებლობის საკითხი ჩაჩან-ინგუში ხალხის ნების გამომხატველ არავითარ ორგანოში და კრებაზე არასოდეს არ განხილულა.

ამიტომ ის პირები, ვინც ბედავს ილაპარაკოს ხალხის სახელით, რომელსაც ისინი არ აურჩევია, ჩაჩან-ინგუშთა ფრაქციას თვითმარქვიებად და ხალხის მტრებად მიაჩნია.

ჩაჩან-ინგუშთა ფრაქცია აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ყველა მთიელთა და რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებათა ერთადერთი ხსნა არის რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიასთან მჭიდრო ერთობა.

ამას მათ უკარნახებს არა მარტო თანდაყოლილი სიყვარული თავისუფლებისა, არამედ ის ეკონომიური ურთიერთობაც, რამაც უკა-

ნასკნელ ათეულ წლებში მჭიდროდ შეაკავშირა ჩრდილოეთი კავკასია და ცენტრალური რუსეთი ერთ განუყრელ მთლიანობად».

(მიღებულია 9 მაისს. იხ. «ნაროდნაია ვლასტ», თერგის სახალხო საბჭოს ორგანო).

აი ნაწყვეტიც ინგუშთა და ჩაჩანთა ორატორის **ამხ.** შერიფოვის მიერ თერგის სახალხო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმული მგზნებარე სიტყვიდან, რომელიც საკმაოდ გარკვეულია იმისათვის, რომ შეწყდეს ყოველგვარი საყვედური დაღისტნელების მიმართ:

«რუსეთის დიდი რევოლუციის წყალობით ჩვენ მივიღეთ ის მშვენიერი თავისუფლება, რომლისთვისაც საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები და ხიშტებს ეგებოდნენ დამარცხებულნი. ახლა, როცა ჩვენ თვითგამორკვევის უფლების გარანტია მივიღეთ, ამ უფლებას ხალხი არასოდეს არავის არ დაუთმობს. ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობენ მემამულეები, თავადები, პროვოკატორები და ჯაშუშები და ყველა ისინი, ვის წინააღმდეგაც შამილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა 50 წლის განმავლობაში. არის ხალხის ამ მტრების ცალკეული ცდები — გამოაცხადონ კავკასიის დამოუკიდებლობა და შემოიღონ იმამობა. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ამ თავადების წინაპრებს შამილი თავებს ჰკვეთდა და ასე მოიქცეოდა იგი ახლაც. ჩვენმა ფრაქციამ, რომელიც ინგუში და ჩაჩანი ხალხის წარმომადგენელია, საგანგებო სხდომაზე გამოთქვა თავისი შეხედულება ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხზე ცნობილ რეზოლუციაში». (იხ. ზემოთ. ამოღებულია «ნაროდნაია ვლასტიდან»).

ასეთია ფაქტები.

იციან თუ არა ყოველივე ეს გერმანელ-უკრაინელ-თურქმა თვითგამომრკვევებმა? რა თქმა უნდა, იციან! ვინაიდან სამხრეთ რუსეთის საოლქო საბჭოები მოქმედებენ სავსებით აშკარად, ყველას თვალწინ, ამ ვაჟბატონთა აგენტები კი ჩვენს გაზეთებს საკმაოდ ყურადღებით კითხულობენ და მხედველობიდან როდი გამორჩებათ ყველასათვის ცნობილი ფაქტები.

მაშ რა მიზანს ისახავს ამ შემთხვევაში უკრაინის დელეგაციის ზემოთ მოხსენებული ის განცხადება მითურ «მთავრობათა» შესახებ, რომელსაც სიტყვით და საქმით უჭერენ მხარს გერმანელები და თურქები?

მხოლოდ ერთ რამეს: შირმად გამოიყენონ მოჩვენებითი «მთავრობები» ახალი მიწაწყლის ხელში ჩასაგდებად და დასამონებლად. გერმანელები უკრაინის რადას ამოეფარნენ, წინ დაიძრნენ «ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე» (აბა რასაკვირველია!) და უკრაინა დაიკავეს. მაგრამ ახლა უკრაინამ, როგორც შირმამ, როგორც საფარველმა, ეტყობა, თავისი თავი ამოწურა, გერმანელებს კი ახალი წინსვლა ესაჭიროებათ. აქედან — მოთხოვნილება ახალ საფარველზე, ახალ შირმაზე. და რადგან მოთხოვნილება მიწოდებას წარმოშობს, კრასნოვები და ბოგაევსკები, ჩერმოევები და ბამატოვები საჩქაროდ წარსდგნენ და თავიანთი სამსახური შესთავაზეს. და შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ უახლოეს ხანში კრასნოვებმა და ბოგაევსკებმა, რომლებსაც გერმანელები ხელმძღვანელობენ და ამარაგებენ, გამოილაშქრონ რუსეთზე, დონის «გასათავისუფლებლად», ამასთან გერმანელები შეეცდებიან ერთხელ კიდევ დაიფიცონ ბრესტის ხელშეკრულებისადმი ერთგულება. იგივე უნდა ითქვას ყუბანზე, თერგზე და სხვ.

ამაშია მთელი არსი!

საბჭოთა ხელისუფლება ცოცხლად დაისამარებდა თავს, უკლებლივ მთელი ძალები რომ არ დაერაზმა დამპყრობლებისა და დამმონებლების უკუსაქცევად.

და იგი ასეც მოიქცევა.

სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 108,
1918 წ. 1 ივნისი.

დეპეშა ვ. ი. ლენინს

ექვსში ჩამოვედი ცარიცინს [21]. თუმცა სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში არევდარევაა, მაგრამ მაინც შესაძლებელია წესრიგის დამყარება.

ცარიცინში, ასტრახანში, სარატოვში საბჭოებს გაუუქმებიათ პურის მონოპოლია და მტკიცე ფასები, გამეფებულია აღვირახსნილობა და სპეკულაცია. ცარიცინში შემოვაღებინე საბარათო სისტემა და მტკიცე ფასები. ამასვე უნდა მივაღწიოთ ასტრახანსა და სარატოვში, თორემ სპეკულაციის ამ ხვრელებით პური მთლად გაიბნევა. თავის მხრივ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მოსთხოვონ ამ საბჭოებს სპეკულაციაზე ხელის აღება.

რკინიგზის ტრანსპორტი მრავალი კოლეგიისა და რევკომის გულმოდგინებით მთლად მოშლილია. იძულებული ვარ დავაყენო სპეციალური კომისრები, რომლებიც უკვე ამყარებენ წესრიგს, მიუხედავად კოლეგიების პროტესტებისა. კომისრები უამრავ ორთქლმავალს პოულობენ ისეთ ადგილებში, რომელთა არსებობა კოლეგიებს ვერც კი წარმოუდგენიათ. გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ცარიცინ-პოვორინო-ბალაშოვ-კოზლოვ-რიაზან-მოსკოვის ხაზით დღეში შეიძლება რვა და მეტი სამარშრუტო მატარებლის გაშვება. ახლა ვმუშაობ ცარიცინში მატარებლების და-

საგროვებლად. ერთი კვირის შემდეგ გამოვაცხადებთ «პურის კვირეულს» და ერთბაშად გამოვგზავნით მოსკოვში ერთ მილიონამდე ფუთს სპეციალური გამყოლებით რკინიგზელთაგან, რასაც წინასწარ გაცნობებთ.

წყლის ტრანსპორტზე შეფერხებაა იმის გამო, რომ ნიჟნი-ნოვგოროდი გემებს არ უშვებს, ალბათ ჩეხოსლოვაკებთან დაკავშირებით. გაეცით განკარგულება — დაუყოვნებლივ გამოუშვან გემები ცარიცინისაკენ.

ცნობებია, რომ ყუბანში, სტავროპოლში ყოფილან სავსებით საიმედო შემყიდველი აგენტები, რომლებიც შესდგომიან სამხრეთში პურის შეგროვებას. ხაზი ყიზლარიდან ზღვისაკენ უკვე გაგვყავს, ხასავ-იურტ — პეტროვსკის ხაზი ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. გამოგვიგზავნეთ შლიაპნიკოვი, მშენებელი ინჟინრები, უნარიანი ხელოსნები, აგრეთვე ორთქლმავლის ბრიგადები.

შიკრიკი გავგზავნე ბაქოში, ამ დღეებში მივდივარ სამხრეთში. რწმუნებული საქონლის გაცვლის დარგში ზაიცევი დღეს დაპატიმრებული იქნება მეტომრეობისა და სახაზინო საქონლით სპეკულაციისათვის. გადაეცით შმიდტს— აღარ გამოგზავნოს თაღლითები. კობოზევმა განკარგულება გასცეს, რომ ხუთთა კოლეგიამ ვორონეჟში [22], თავისივე საკუთარი ინტერესებისათვის, დაბრკოლებები არ შეუქმნას ჩემს რწმუნებულებს.

მიღებული ცნობებით გერმანელებს ბატაისკი აუღიათ.

სახალხო კომისარი **სტალინი**

ცარიცინი,
1918 წ. 7 ივნისი.

პირველად დაიბეჭდა 1936 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 7.

წერილი ვ. ი. ლენინს

ამხანაგ ლენინს

მივეშურები ფრონტზე. გწერთ მხოლოდ საქმეზე.

1) ცარიცინის სამხრეთით ხაზი ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. ვერეკები და ვლანძღავ ყველას, ვინც ამის ღირსია, იმედი მაქვს მალე აღვადგენთ. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ არ დავზოგავთ არავის, არც ჩვენს თავს, არც სხვებს, მაგრამ პურს კი მაინც მოგაწვდით. ჩვენს სამხედრო «სპეციალისტებს» (დოყლაპიებს!) რომ არ ეძინოთ და უმოქმედობას არ იჩენდნენ, ხაზი არ გაწყდებოდა, და თუ ხაზი აღდგენილ იქნა, ეს სამხედროების წყალობით კი არ იქნება, არამედ მათ წინააღმდეგ.

2) ცარიცინის სამხრეთით ბევრი პური დაგროვდა ვაგონებში. გზა გაიწმინდება თუ არა, პურს დავძრავთ თქვენკენ სამარშრუტო მატარებლებით.

3) თქვენი ცნობა მიღებულია [23]. ყველაფერს გავაკეთებთ შესაძლო მოულოდნელობათა თავიდან ასაცილებლად. დარწმუნებული იყავით, რომ ხელი არ აგვიკანკალდება...

4) ბაქოში შიკრიკის ხელით გავგზავნე წერილი [24].

5) თურქესტანში საქმეები ცუდად არის, ინგლისი ავღანეთიდან აჭახრაკებს საქმეებს. მიეცით ვისმე (ან მე) სპეციალური რწმუნებანი (სამხედრო ხასიათისა) სამხრეთ რუსეთის რაიონში სასწრაფო ზომების მისაღებად, სანამ გვიან არ არის.

ვინაიდან განაპირა მხარეების კავშირი ცენტრთან სუსტია, საჭიროა ადგილზე გვყავდეს დიდი რწმუნებებით აღჭურვილი კაცი სასწრაფო ზომების დროულად მისაღებად. თუ ამ მიზნით დანიშნავთ ვისმე (ვინც უნდა იყოს), მაცნობეთ პირდაპირი მავთულით, და მანდატიც აგრეთვე პირდაპირი მავთულით გადმოეცით, თორემ იმის საფრთხე მოგელით, რომ ახალი მურმანსკი მიიღოთ [25].

ვგზავნი ლენტს თურქესტანის შესახებ.

ჯერჯერობით მეტი არაფერი.

თქვენი **სტალინი**

ცარიცინი,
1918 წ. 7 ივლისი.

დაბეჭდილია ნაწილობრივ
გაზეთ «პრავდაში» № 301,
1929 წ. 21 დეკემბერს.

წერილი ვ. ი. ლენინს

ამხანაგ ლენინს

რამდენიმე სიტყვა.

1) თუ ტროცკიმ წინდაუხედავად და განურჩევლად აძლია მანდატები ტრიფონოვს (დონის ოლქი), ავტონომოვს (ყუბანის ოლქი), კოპეს (სტავროპოლი), საფრანგეთის მისიის წევრებს (რომლებმაც დაპატიმრება დაიმსახურეს) და სხვ., დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი თვის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაფერი დაგვერღვევა, და ამ მხარეს საბოლოოდ დავკარგავთ. ტროცკის იგივე მოსდის, რაც ერთ დროს ანტონოვს მოუვიდა. შეასმენინეთ, რომ ადგილობრივი ადამიანების უდასტუროდ დანიშვნები არ უნდა ხდებოდეს, თორემ სკანდალი გამოდის საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

2) თუ არ მოგვეცით აეროპლანები მფრინავებით, ჯავშნიანი ავტომობილები, ექვსდიუმიანი ქვემეხები, ცარიცინის ფრონტი ვერ გაძლებს, და რკინიგზას დიდი ხნით დავკარგავთ.

3) პური სამხრეთში ბევრია, მაგრამ მის მისაღებად საჭიროა მოწესრიგებული აპარატი, რომელიც დაბრკოლებებს არ უნდა აწყდებოდეს ეშელონების, არმიათა სარდლების მხრივ და სხვ. უფრო მეტიც, საჭიროა, რომ

სამხედროები ეხმარებოდნენ სასურსათო დარგის მუშაკებს. სურსათის საკითხი ბუნებრივად გადახლართულია სამხედრო საკითხთან. საქმის სასარგებლოდ ჩემთვის აუცილებელია სამხედრო რწმუნებანი. უკვე მოგწერეთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე თვითონ, ფორმალობის დაუცავად, ჩამოვაგდებ არმიათა იმ სარდლებსა და კომისრებს, რომლებიც საქმეს ღუპავენ. ასე მიკარნახებს საქმის ინტერესი, და, რასაკვირველია, ტროცკის ნაკუწი ქალალდის უქონლობა ვერ შემაჩერებს.

ი. სტალინი

ცარიცინი,
1918 წ. 10 ივლისი.

იბეჭდება პირველად.

წერილი ვ. ი. ლენინს

მდგომარეობა სამხრეთში საკმაოდ მძიმეა. სამხედრო საბჭომ მიიღო სრულიად მოშლილი მემკვიდრეობა, მოშლილი ნაწილობრივ ყოფილი სამხედრო ხელმძღვანელის ინერტულობით, ნაწილობრივ კი სამხედრო ხელმძღვანელის მიერ სამხედრო ოლქის სხვადასხვა განყოფილებაში მიწვეულ პირთა შეთქმულებით. საჭირო გახდა ყველაფერი ახლად დაგვეწყო, მოვაგვარეთ მომარაგების საქმე, მოვაწყეთ ოპერატიული განყოფილება, დავუკავშირდით ფრონტის ყველა უბანს, გავაუქმეთ ძველი, მე ვიტყოდი, დანაშაულებრივი ბრძანებანი, და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ შეტევა კალაჩზე და სამხრეთით, ტიხორეცკაიასკენ. შეტევა იმ იმედით დავიწყეთ, რომ მირონოვის, კიკვიძის ჩრდილოეთი უბნები, მათ შორის პოვორინოს უბანი, უზრუნველყოფილი იყო განადგურებისაგან. მაგრამ გამოირკვა, რომ სწორედ ეს უბნებია ყველაზე სუსტი და არაუზრუნველყოფილი. თქვენთვის ცნობილია მირონოვისა და სხვების უკანდახევა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, კაზაკების მიერ მთელი რკინიგზის ხაზის დაკავება ლიპკიდან ალექსიკოვომდე, კაზაკთა ცალკეული პარტიზანული ჯგუფების გადაყვანა ვოლგისაკენ, ამ უკანასკნელთა ცდები

გაწყვიტონ ვოლგით მიმოსვლა კამიშინსა და ცარიცინს შორის.

მეორე მხრივ, როსტოვის ფრონტმა და საერთოდ კალნინის ჯგუფებმა, ყუმბარებისა და ვაზნების უქონლობის გამო, სიმტკიცე დაკარგეს, დათმეს ტიხორეცკაია, ტორგოვაია და, ეტყობა, საბოლოო დაშლის პროცესს განიცდიან («ეტყობა»-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ზუსტი ცნობები კალნინის ჯგუფის შესახებ დღემდე ვერ მიგვიღია).

აღარას ვამბობ იმ კრიზისულ მდგომარეობაზე, რომელშიც მოექცნენ ყიზლარი, ბრიანსკოე, ბაქო. ანგლოფილური ორიენტაცია საბოლოოდ ჩაშლილია, მაგრამ იქაურ ფრონტზე საქმის ვითარება ცუდია. ყიზლარი, პროხლადნაია, ნოვო-გეორგიევსკოე, სტავროპოლი აჯანყებული კაზაკების ხელშია. მხოლოდ ბრიანსკოე, პეტროვსკი, მინერალური წყლები, კავკავი, პიატიგორსკი და, ვგონებ, ეკატერინოდარი ჯერ კიდევ უძლებენ.

ამრიგად, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სამხრეთთან, მის სასურსათო რაიონებთან კავშირი გაწყვეტილია, ხოლო თვით ცარიცინის რაიონი, რომელიც ცენტრს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებს, თავის მხრივ მოწყვეტილია ან თითქმის მოწყვეტილია ცენტრს.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ შევაჩეროთ შეტევითი მოქმედება ტიხორეცკაიასკენ, დავიკავოთ თავდაცვითი მდგომარეობა, მოვხსნათ მებრძოლი ნაწილები ცარიცინის ფრონტის უბნებიდან, შევადგინოთ მათგან ჩრდილოეთის დამკვრელი ჯგუფი — ექვსი ათასამდე ჯარისკაცისაგან — და გავგზავნოთ იგი დონის მარცხენა ნაპირით თვით მდინარე ხოპიორამდე. ამ წამოწყების მიზანია გავწმინდოთ ცარიცინ-პოვორინოს ხაზი, ზურგში მოვექცეთ მტერს, დეზორგანიზაცია შევიტანოთ მის რიგებში და უკუვაქციოთ იგი. ყველა საფუძველი გვაქვს იმის იმედი

ვიქონიოთ, რომ სულ უახლოეს ხანში განვახორციელებთ ამ გეგმას.

ზემოთ დასურათებული არახელსაყრელი ვითარება იმით უნდა აიხსნას, რომ:

1) ფრონტელმა, «ყაირათიანმა გლეხმა», რომელიც ოქტომბერში საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდა, — პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (მას მთელი არსებით სძულს პურის მონოპოლია, მტკიცე ფასები, რეკვიზიციები, სპეკულაციასთან ბრძოლა).

2) მირონოვის ჯარი კაზაკებისაგან შედგება (კაზაკთა ნაწილებს, რომლებიც თავიანთ თავს საბჭოთა ნაწილებს უწოდებენ, არ შეუძლიათ, არა სურთ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ კაზაკურ კონტრრევოლუციასთან; კაზაკები მთელი პოლკობით გადმოდიოდნენ მირონოვის მხარეზე იმისათვის, რომ იარაღი მიეღოთ, ადგილობრივ გასცნობოდნენ ჩვენი ნაწილების განლაგებას და შემდეგ კრასნოვის მხარეზე გადაებირებინათ მთელი პოლკები; მირონოვს სამჯერ შემოერტყნენ კაზაკები, ვინაიდან ისინი დაწვრილებით იცნობდნენ მირონოვის უბნის ყველა კუნჭულს და, ბუნებრივია, სასტიკად დაამარცხეს იგი).

3) კიკვიძის ნაწილების წყობა რაზმობრივია, რაც შეუძლებელს ხდის კავშირს და მოქმედების კოორდინაციას.

4) ყოველივე ამის გამო სივერსის ნაწილები იზოლირებული აღმოჩნდნენ და დასაყრდენი დაკარგეს მარცხენა ფლანგზე.

ცარიცინ-გაშუნის ფრონტის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს რაზმობრივი არევდარევის სრული ლიკვიდაცია და ეგრეთწოდებულ სპეციალისტთა (ნაწილობრივ კაზაკების, ნაწილობრივ ინგლისელებისა და ფრანგების დიდი მომხრეების) დროულად მოშორება, რამაც შესაძლო

გახადა ჯარის ნაწილების თანაგრძნობის მოპოვება და მათში რკინისებური დისციპლინის დამყარება.

მდგომარეობა სურსათის მხრივ ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ უიმედო გახდა. ჩრდილოეთ კავკასიაში შვიდასზე მეტი ვაგონი დგას დატვირთული, დამზადებულია მილიონნახევარ ფუთზე მეტი, მაგრამ მთელი ამ ტვირთის გამოსაზიდავად არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, ვინაიდან კავშირი გაწყვეტილია როგორც რკინიგზით, ისე ზღვით (ყიზლარი, ბრიანსკოე ჩვენს ხელში არ არის). ცარიცინის, კოტელნიკოვოს, გაშუნის რაიონებში პური ცოტა როდია, მაგრამ საჭიროა მისი აღება, ამავე დროს კი «ჩოკპროდი»[26] მოუმზადებელია და დღემდე ვერ მომზადებულა ამ საქმისათვის. აუცილებელია მოსავლის აღება, თივის დაწნეხვა და ერთ ადგილას მიზიდვა, მაგრამ «ჩოკპროდს» წნეხები არ აღმოაჩნდა. აუცილებელია დიდი მასშტაბით მოეწყოს პურის აღება, მაგრამ «ჩოკპროდის» ორგანიზატორები ყოვლად უვარგისნი აღმოჩნდნენ. ამის შედეგად დამზადების საქმე ორივე ფეხით კოჭლობს.

კალაჩის აღებამ რამდენიმე ათეული ათასი ფუთი პური მოგვცა. კალაჩში 12 სატვირთო მანქანა გავგზავნე და, როგორც კი რკინიგზის ხაზთან მოზიდვა მოხერხდება, მოსკოვში გამოვგზავნი. პურის მოსავლის აღება, ავად თუ კარგად, მაინც მიმდინარეობს. იმედი მაქვს უახლოეს დღეებში რამდენიმე ათეული ათასი ფუთი პური ვიშოვო და ისიც გამოგიგზავნოთ. პირუტყვი აქ საჭიროზეც მეტია, მაგრამ თივა ძალიან ცოტაა, და ვინაიდან უთივოდ ვერ გამოიგზავნება, პირუტყვის დიდი მასშტაბით გამოგზავნა შეუძლებელი ხდება. კარგი იქნებოდა თუნდაც ერთი საკონსერვო ფაბრიკის მოწყობა, სასაკლაოს გამართვა და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, მცოდნე, ინიციატივიანი ადამიანები ჯერჯერობით ვერ მიპოვნია. კოტელნიკოვოს რწმუ-

ნებულს დავავალე მოაწყოს ხორცის დიდი რაოდენობით დამარილება, საქმე უკვე დაწყებულია, შედეგები არის, და, თუ ეს საქმე კარგად წარიმართა, საზამთროდ ხორცი საკმაო გვექნება (მარტო კოტელნიკოვოს რაიონში 40 ათასზე მეტი სული მსხვილფეხა პირუტყვი დაგროვდა). ასტრახანში პირუტყვი კოტელნიკოვოზე ნაკლები როდია, მაგრამ ადგილობრივი სასურსათო კომისარიატი არაფერს აკეთებს. სოფლდამზადების წარმომადგენლებს მაგრად სძინავთ, და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ხორცს ვერ დაამზადებენ. მე იქ გავგზავნე რწმუნებული ზალმაევი ხორცისა და თევზის დასამზადებლად, მაგრამ მისგან ცნობები ჯერ არ მიმიღია.

გაცილებით უფრო საიმედოა სურსათის მხრივ სარატოვისა და სამარის გუბერნიები, სადაც პური ბევრია და საიდანაც იაკუბოვის ექსპედიცია, მე ვფიქრობ, შეძლებს გამოზიდოს ნახევარი მილიონი ფუთი პური ან ამაზე მეტიც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირის აღდგენამდე ცარიცინის უბანზე (სურსათის მხრივ) იმედს (მაინცდამაინც) ვერ დავამყარებთ.

თქვენი **ი. სტალინი**

ცარიცინი,
1918 წ. 4 აგვისტო.

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVIII.

წერილი ვ. ი. ლენინს [27]

ძვირფასო ამხანაგო ლენინ!

წარმოებს ბრძოლა სამხრეთისა და კასპიისათვის. მთელი ეს რაიონი რომ შევინარჩუნოთ (და იგი **შ ე ი ძ ლ ე ბ ა** შევინარჩუნოთ!), საჭიროა გვქონდეს მსუბუქი ტიპის რამდენიმე ნაღმოსანი და ორიოდე წყალქვეშა ნავი (უფრო დაწვრილებით არტემს ჰკითხეთ). გემუდარებით დაამსხვრიოთ ყველა დაბრკოლება და ამით გააადვილოთ—წინ წასწიოთ დაუყოვნებლივ ყოველივე იმის მიღების საქმე, რაც საჭიროა. ბაქო, თურქესტანი, ჩრდილოეთი კავკასია ჩვენი იქნება (უეჭველად!), თუ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნა მოთხოვნები.

ფრონტზე ჩვენი საქმე კარგად მიდის. ეჭვი არ მეპარება, რომ კიდევ უკეთ წავა (კაზაკობა საბოლოოდ იხრწნება).

ხელს ვართმევ ჩემს ძვირფას და საყვარელ ილიჩს.

თქვენი **სტალინი**

1918 წ. 31 აგვისტო.

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 2.

დეკეშა
სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სვერდლოვს

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო, შეიტყო რა ბურჟუაზიის დაქირავებული აგენტების ავაზაკური თავდასხმა მსოფლიოს უდიდეს რევოლუციონერზე, პროლეტარიატის ნაცად ბელადსა და მასწავლებელ ამხანაგ ლენინზე, ამ საზიზღარ ქურდულ თავდასხმას უპასუხებს ბურჟუაზიისა და მისი აგენტების წინააღმდეგ აშკარა, მასობრივი სისტემატური ტერორის მოწყობით.

სტალინი
ვოროშილოვი

ცარიცინი,
1918 წ. 31 აგვისტო.

«სოლდატ რევოლუციი» (ცარიცინი)
№ 21, 1918 წ. 1 სექტემბერი.

დეპეშა სახკომსაბჭოს

ცარიცინის რაიონის საბჭოთა ჯარების შეტევა წარმატებით დაგვირგვინდა: ჩრდილოეთით აღებულია სადგური ილოვლია; დასავლეთით — კალაჩი, ლიაპიჩევი, დონის ხიდი; სამხრეთით — ლაშკი, ნემკოვსკი, დემკინი. მოწინააღმდეგე სასტიკად დამარცხდა და უკუგდებულია დონს გალმა. ცარიცინის მდგომარეობა მტკიცეა. შეტევა გრძელდება.

სახალხო კომისარი **სტალინი**

ცარიცინი,
1918 წ. 6 სექტემბერი.

დაიბეჭდა 1939 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 1.

დეპეშა ცარიცინში ფრონტის სარდალს ვოროშილოვს

გადაეცით ჩვენი ძმური სალამი ცარიცინის ფრონტის გმირ მეთაურებს და მთელ რევოლუციურ ჯარებს, რომლებიც თავდადებულად იბრძვიან მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის. გადაეცით მათ, რომ საბჭოთა რუსეთი აღტაცებით აღნიშნავს ხარჩენკოს, კოლპაკოვის კომუნისტური და რევოლუციური პოლკების, ბულატკინის კავალერიის, ალიაბიევის ჯავშნიანი მატარებლების, ვოლგის სამხედრო ფლოტილიის საგმირო საქმეებს.

მაღლა გეჭიროთ წითელი დროშები, უშიშრად წაიღეთ ისინი წინ, ულმობლად ანადგურეთ მემამულურ-გენერლური და კულაკური კონტრრევოლუცია და მთელ მსოფლიოს დაანახვეთ, რომ სოციალისტური რუსეთი უძლეველია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი-ლენინი

სახალხო კომისარი და სამხრეთის ფრონტის
სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი,
1918 წ. 19 სექტემბერი. **ი. სტალინი**

«იზვესტია» № 205,
1918 წ. 21 სექტემბერი.

სამხრეთის ფრონტზე

საუბარი გაზეთ «იზვესტიას» თანამშრომელთან

სამხრეთის ფრონტზე დაბრუნების წინ, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარმა ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა შთაბეჭდილებანი ცარიცინის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა ამხანაგმა **სტალინმა,** — უნდა აღინიშნოს ორი სასიხარულო მოვლენა: პირველი — ის, რომ ფრონტის ზურგში გამოიყვნენ ადმინისტრატორები მუშებისაგან, რომლებსაც უნარი შესწევთ არა მარტო აგიტაცია გასწიონ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, არამედ კიდევაც აშენონ სახელმწიფო ახალ, კომუნისტურ საფუძვლებზე, და მეორე — ის, რომ გაჩნდა მეთაურთა ახალი შემადგენლობა ჯარისკაცთა წრიდან გამოსულ და იმპერიალისტურ ომში პრაქტიკამიღებულ ოფიცერთაგან, რომელსაც წითელი არმიის ჯარისკაცები სავსებით ენდობიან.

იმის გამო, რომ მოსახლეობის განწყობილებაში გარდატეხა მოხდა და მან შეიგნო კონტრრევოლუციონერთა ბანდების წინააღმდეგ იარაღის ხელში აღების აუცილებლობა, მობილიზაცია ბრწყინვალედ მიმდინარეობს.

ყველა ჩვენს ნაწილში მტკიცე დისციპლინაა. წითელარმიელებისა და მეთაურთა შემადგენლობის ურთიერთობა საუკეთესოა.

— რა მდგომარეობაა სასურსათო საკითხის მხრივ არმიაში?

— სწორედ რომ ვთქვათ, ჩვენს არმიაში ასეთი საკითხი არც არსებობს. თვით საბრძოლო უბნების მიერ გამოყოფილი საბაზისო პუნქტების მწყობრი სისტემის მეოხებით, ფრონტი სურსათის მხრივ გაჭირვებას არ განიცდის. ამჟამად წითელარმიელის ყოველდღიური ულუფა შედგება 2 გირვანქა პურისაგან, ხორცისა, კარტოფილისა და კომბოსტოსაგან.

ფრონტზე მთელ სასურსათო მომარაგებას განაგებს რესპუბლიკის უმაღლეს რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან არსებული სამხედრო-სასურსათო კომისია, რომელმაც მოაწყო კიდევაც საფრონტო ნაწილების წესიერი მომარაგება.

აგიტაცია ფრონტზე, ამხანაგ **სტალინის** სიტყვით, ხორციელდება გაზეთების — «სოლდატ რევოლუციის» [28] და «ბორბას» [29], ბროშურების, ფურცლებისა და სხვ. გავრცელების გზით. ჯარებში განწყობილება მხნე და რწმენით აღსავსეა.

ჩვენი არმიის ჩაცმულობის დიდ ნაკლს წარმოადგენს ჯარისკაცთა გარკვეული ფორმის უქონლობა. სასურველია რაც შეიძლება მალე გამომუშავდეს ჯარისკაცთა ჩაცმულობის ახალი ფორმა და დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას ფრონტზე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ დეკრეტს ცალკეული წითელარმიელებისა და მთელი ნაწილების გმირული მოქმედების წახალისების შესახებ. პირველთათვის განმასხვავებელი ნიშნების, ხოლო მეორე-

თათვის დროშების მიცემის გზით, — ამხანაგ **სტალინის** სიტყვით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მანამდეც, ამ დეკრეტის გამოცემამდე, ის ნაწილები, რომლებმაც რევოლუციური დროშები მიიღეს, ამის შემდეგ ლომებივით იბრძოდნენ.

რაც შეეხება ჩვენს წინააღმდეგ მდგომ მტრის ნაწილებს, მათი 90% შედგება ეგრეთწოდებული არაკაზაკ გლეხებისაგან, მეტწილად უკრაინელებისა და მოხალისე ოფიცრებისაგან. კაზაკები კი 10%-ზე მეტს არ შეადგენენ. მტრის უპირატესობა ის არის, რომ მას ჰყავს მოძრავი კავალერია, რომელიც ჩვენთან ჯერ ჩანასახ მდგომარეობაშია.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ მაშინ, როცა ჩვენთან მიმდინარეობს მებრძოლი ნაწილების მჭიდროდ დარაზმვა და შეკავშირება, — მოწინააღმდეგის ჯარი სავსებით იხრწნება.

«იზვესტია» № 205,
1918 წ. 21 სექტემბერი.

მოვლენათა ლოგიკა

(მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის «თეზისების» გამო)

ჩვენ მივიღეთ დოკუმენტი შემდეგი სახელწოდებით: მენშევიკების პარტიის «ცენტრალური კომიტეტის თეზისები და რეზოლუცია» (1918 წლის 17 — 21 ოქტომბერი). ეს დოკუმენტი აჯამებს საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის შედეგებს 1917 წლის ოქტომბრიდან და სახავს ერთგვარ პერსპექტივას, რომელსაც, როგორც ჩანს, სერიოზული მნიშვნელობა აქვს მენშევიკების პარტიის განვითარებისათვის. მაგრამ ამ დოკუმენტში ყველაზე მნიშვნელოვანია დასკვნები, რომლებიც თავდაყირა აყენებენ მენშევიზმის მთელ პრაქტიკას რევოლუციის ერთი წლის მანძილზე. «თეზისებისა და რეზოლუციის» გარჩევას შემდეგისათვის გადავდებთ, ხოლო საჭიროდ მიგვაჩნია ახლავე გავუზიაროთ მკითხველს ჩვენი ზოგიერთი შთაბეჭდილება.

I

ოქტომბრის გადატრიალების შესახებ

ეს იყო სწორედ ერთი წლის წინათ. ქვეყანა იმპერიალისტური ომისა და სამეურნეო ნგრევის სიმძიმის ქვეშ გმინავდა. დაქანცულ, განაწამებ ფრონტს ომის წარმოება

აღარ შეეძლო. ამავე დროს კი ინგლისელი იმპერიალისტები (ბიუკენენი!) უფრო და უფრო ახვევდნენ თავიანთ ქსელში ჩვენს ქვეყანას, ყოველნაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი იმპერიალისტური ომის ფარგლებში. ჩააბარეს რიგა[30], ემზადებოდნენ პეტერბურგის ჩასაბარებლად მხოლოდ იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ ომისა და სამხედრო დიქტატურის აუცილებლობა. ბურჟუაზიას ესმოდა ყოველივე ეს და აშკარად მიდიოდა სამხედრო დიქტატურისაკენ, რევოლუციის განადგურებისაკენ.

რას აკეთებდნენ მაშინ ბოლშევიკები?

ბოლშევიკები გადატრიალებისათვის ემზადებოდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღება ერთადერთი გზა იყო ომისა და სამეურნეო ნგრევის ჩიხიდან გამოსასვლელად. მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი გადატრიალების გარეშე წარმოუდგენელი იყო იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტა და რუსეთის განთავისუფლება ამ უკანასკნელის კლანჭებისაგან. მათ მოიწვიეს საბჭოების ყრილობა როგორც ქვეყანაში ხელისუფლების ერთადერთი მემკვიდრე.

ჯერ რევოლუცია, შემდეგ — ზავი!

რას აკეთებდნენ მაშინ მენშევიკები?

მათ ბოლშევიკების «წამოწყება» «კონტრრევოლუციურ ავანტიურიზმად» გამოაცხადეს. საბჭოების ყრილობა ზედმეტად მიაჩნდათ და აფერხებდნენ მას, თვით საბჭოები კი დასანგრევად განწირულ «დრომოჭმულ ბარაკებად» გამოაცხადეს. საბჭოების — «ბარაკების» ნაცვლად ისინი გვთავაზობდნენ «ევროპული» ყაიდის «მკვიდრ შენობას» — წინაპარლამენტს[31], სადაც ისინი მილიუკოვთან ერთად «რადიკალური აგრარული და სამეურნეო რეფორმების» გეგმებს იმუშავებდნენ. იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტის ნაცვლად ისინი გვთავაზობდნენ მოკავშირეთა

კონფერენციას პარიზში, როგორც ომიდან შესაძლო გამოსავალს. ხოლო «ზავის თანმიმდევრულ პოლიტიკად» მათ მიაჩნდათ ამ კონფერენციაში მენშევიკ სკობელევის მონაწილეობა და მენშევიკ აქსელროდის საეჭვო ოპერაციები შეიდემანების, რენოდელებისა და ჰაინდმანების ყრილობის მოსაწვევად.

მას შემდეგ წელიწადი გავიდა. «ბოლშევიკურმა გადატრიალებამ» შეძლო შინაურ და გარეშე იმპერიალისტთა ეშმაკური მანქანის გაცამტვერება. ძველი იმპერიალისტური ომი წარსულს ჩაბარდა რუსეთისათვის. რუსეთი იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლდა. იგი თავის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს და იმედი აქვს კვლავაც აწარმოოს. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ თუ ოქტომბრის გადატრიალება არა, რუსეთი თავს ვერ დააღწევდა იმპერიალისტური ომის ჩიხს, გლეხები ვერ მიიღებდნენ მიწას, მუშები ვერ გახდებოდნენ ქარხნებისა და ფაბრიკების ბატონ-პატრონნი.

რას გვეუბნებიან **ახლა** მენშევიკები, მათი ცენტრალური კომიტეტი? ყური დაუგდეთ:

«1917 წლის ოქტომბერში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალება ისტორიულად აუცილებელია, რამდენადაც იგი კავშირს წყვეტდა მშრომელ მასებსა და კაპიტალისტურ კლასებს შორის და ამით გამოხატავდა მშრომელი მასების მისწრაფებას — მთლიანად დაემორჩილებინათ რევოლუციის მიმართულება თავიანთი ინტერესებისათვის, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო რუსეთის განთავისუფლება მოკავშირეთა იმპერიალიზმის მარწუხიდან, ზავის თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოება, აგრარული რეფორმის რადიკალურად გატარება და საბელშწიფოს მიერ მთელი სამეურნეო ცხოვრების რეგულირება ხალხის მასების ინტერესებისათვის, რამდენადაც რევოლუციის ამ ეტაპს ჰქონდა ტენდენცია — გაედიდებინა იმ ზეგავლენის გაქანებაც, რომელიც რუსეთის რევოლუციას ჰქონდა მსოფლიო მოვლენების მიმდინარეობაზე» (იხ. «თეზისები და რეზოლუცია»).

ასე ლაპარაკობს ახლა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. «ბოლშევიკური გადატრიალება» თურმე «ისტორიულად აუცილებელია», «რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო რუსეთის განთავისუფლება მოკავშირეთა იმპერიალიზმის მარწუხიდან», «ზავის თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოება», «აგრარული რეფორმის რადიკალურად გატარება» და «სახელმწიფოს მიერ მთელი სამეურნეო ცხოვრების რეგულირება ხალხის მასების ინტერესებისათვის».

მაგრამ ეს ხომ იგივეა, რასაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ბოლშევიკები ამტკიცებდნენ და რის წინააღმდეგაც ასე გააფთრებით იბრძოდა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი!

დიახ, იგივეა.

ხომ მართალია: ცხოვრება ყველაზე გაუსწორებელთაც კი ასწავლის და ასწორებს. მას, ყოვლისმძლეს, მუდამ გააქვს თავისი, მიუხედავად ყველაფრისა...

II

პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

ეს იყო ამ ათიოდე თვის წინათ. იკრიბებოდა დამფუძნებელი კრება. სასტიკად დამარცხებული ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერები კვლავ იკრებდნენ ძალებს და ხელების ფშვნეტით კმაყოფილებით მოელოდნენ საბჭოთა ხელისუფლების «დაღუპვას». საზღვარგარეთის იმპერიალისტური (მოკავშირეთა) პრესა მიესალმებოდა დამფუძნებელ კრებას. მენშევიკები და ესერები «კერძო» თათბირებს აწყობდნენ და საბჭოების ხელიდან დამფუძნებელი კრების, «რუსეთის მიწაწყლის ბატონ-პატრონის» ხელში

ძალაუფლების გადაცემის გეგმას ამზადებდნენ. ჰაერში ტრიალებდა «პატიოსანი კოალიციის» აღორძინებისა და ბოლშევიკური «შეცდომების» ლიკვიდაციის აჩრდილი.

რას აკეთებდნენ მაშინ ბოლშევიკები?

ისინი განაგრძობდნენ უკვე დაწყებულ მუშაობას პროლეტარიატის ძალაუფლების განსამტკიცებლად. მათ მიაჩნდათ, რომ «პატიოსანი კოალიცია» და მისი ორგანო, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დამფუძნებელი კრება, ისტორიის მიერ განწირული არიან დასაღუპავად, ვინაიდან მათ იცოდნენ, რომ ქვეყნად იშვა ახალი ძალა — პროლეტარიატის ძალაუფლება, და მმართველობის ახალი ფორმა — საბჭოების რესპუბლიკა. 1917 წლის დამდეგს დამფუძნებელი კრების ლოზუნგი პროგრესული იყო, და ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ მას. 1917 წლის დამლევს, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, დამფუძნებელი კრების ლოზუნგი რეაქციული გახდა, ვინაიდან იგი აღარ შეესაბამებოდა ჩვენს ქვეყანაში მებრძოლი პოლიტიკური ძალების ახალ თანაფარდობას. ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ ევროპაში იმპერიალისტური ომისა და რუსეთში ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ვითარებაში წარმოსადგენია მხოლოდ ორი ძალაუფლება: პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც საბჭოების რესპუბლიკის სახე მიიღო, ან ბურჟუაზიის დიქტატურა სამხედრო დიქტატურის სახით, — ყოველგვარი ცდა საშუალოს გამონახვისა და დამფუძნებელი კრების აღდგენისა გარდუვალად იწვევს ძველისაკენ, რეაქციისაკენ, ოქტომბრის მონაპოვართა ლიკვიდაციისაკენ დაბრუნებას. ბოლშევიკებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა რევოლუციის განვლილ საფეხურს წარმოადგენენ...

მას შემდეგ ათი თვე გავიდა. დამფუძნებელი კრება, რომელმაც სცადა საბჭოების ძალაუფლების ლიკვიდაცია მოეხდინა, დაშლილ იქნა. გლეხებს ჩვენს ქვეყანაში არც კი უგრძვნიათ მისი დაშლა, მუშები მის დაშლას აღტაცებით შეხვდნენ. დამფუძნებელი კრების მომხრეთა ერთი ნაწილი უკრაინაში წავიდა და საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დასახმარებლად მოიწვია გერმანელი იმპერიალისტები. დამფუძნებელი კრების მომხრეთა მეორე ნაწილი კავკასიაში წავიდა და თურქეთ-გერმანიის იმპერიალისტებს ჩაეკრა გულში. დამფუძნებელი კრების მომხრეთა მესამე ნაწილი სამარაში წავიდა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან ერთად გააჩაღა ომი რუსეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ამრიგად, დამფუძნებელი კრების ლოზუნგი გადაიქცა პოლიტიკური დოყლაპიების მოტყუების საშუალებად და დროშად, რომელიც ფარავს შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციონერებს მათს ბრძოლაში საბჭოების წინააღმდეგ.

როგორ იქცეოდნენ მენშევიკები ამ პერიოდში?

ისინი ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და მუდამ უჭერდნენ მხარს დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, რომელიც კონტრრევოლუციური ლოზუნგი გახდა.

რას გვეუბნებიან **ახლა** მენშევიკები, მათი ცენტრალური **კომიტეტი**? ყური დაუგდეთ:

იგი «უარყოფს დემოკრატიისადმი მტრულ კლასებთან ყოველგვარ პოლიტიკურ თანამშრომლობას და უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს **ყველა**, თუნდაც დემოკრატიული დროშით დაფარულ, სამთავრობო კომბინაციებში, რომლებიც ემყარებიან დემოკრატიის «საერთო-ნაციონალურ» კოალიციებს კაპიტალისტურ ბურჟუაზიასთან ან უცხოეთის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმისაგან დამოკიდებულებას» (იხ. «თეზისები»).

და შემდეგ:

«ქალაქის არაპროლეტარულ მასებზე და სოფლის მშრომელ მასებზე დაყრდნობილი რევოლუციური დემოკრატიის ყველა ცდას — აღედგინა დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა მთავრობისა და მის ზურგს უკან მდგომი მასების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლით — თან სდევდა და სდევს, საერთაშორისო ვითარების ხასიათისა და რუსეთის დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური მოუმწიფებლობის გამო, საზოგადოებრივი ძალების ისეთი გადაჯგუფება, რომელიც ძირს უთხრის თვით დემოკრატიული წყობილების აღდგენისათვის ბრძოლის რევოლუციურ მნიშვნელობას და იწვევს პირდაპირ საფრთხეს რევოლუციის ძირითად სოციალისტურ მონაპოვართათვის. მისწრაფება კაპიტალისტურ კლასებთან აუცილებლად შეთანხმებისაკენ და ძალაუფლებისათვის საბრძოლველად უცხოეთის იარაღის გამოყენებისაკენ ყოველგვარ დამოუკიდებლობას უკარგავს რევოლუციური დემოკრატიის პოლიტიკას და ამ კლასებისა და იმპერიალისტური კოალიციების იარაღად აქცევს მას» (იხ. «თეზისები და რეზოლუცია»).

მოკლედ: კოალიცია «უარყოფილია» გადაჭრით და უშენიშვნოდ, დემოკრატიული რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა აღიარებულია კონტრრევოლუციურად, ვინაიდან იგი «იწვევს პირდაპირ საფრთხეს რევოლუციის ძირითად სოციალისტურ მონაპოვართათვის».

დასკვნა ერთია: საბჭოების ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში ერთადერთი შესაძლებელი რევოლუციური ხელისუფლებაა.

მაგრამ ეს ხომ იგივეა, რასაც ასე დიდი ხანია ამტკიცებენ ბოლშევიკები და რის წინააღმდეგაც ჯერ კიდევ გუშინ იბრძოდნენ მენშევიკები!

დიახ, იგივეა.

ხომ მართალია: მოვლენათა ლოგიკა ყოველ სხვა ლოგიკაზე უფრო ძლიერია, მათ შორის მენშევიკურზეც...

III

ᲬᲕᲠᲘᲚᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲔᲕᲓᲐᲠᲔᲕᲐ

ამრიგად:

ფაქტია, რომ ბოლშევიკების «ავანტიურიზმთან» ერთი წლის ბრძოლის შემდეგ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი იძულებულია აღიაროს 1917 წლის ოქტომბრის «ბოლშევიკური გადატრიალების» «ისტორიული აუცილებლობა».

ფაქტია, რომ დამფუძნებელი კრებისა და «პატიოსანი კოალიციისათვის» ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი, უხალისოდ და ბორძიკით, მაინც იძულებულია აღიაროს «საერთო-ნაციონალური» კოალიციის უვარგისობა და «დემოკრატიული წყობილების აღდგენისა» და დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლის კონტრრევოლუციურობა.

მართალია, ეს აღიარება მოხდა ერთი წლის დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტება დამფუძნებელი კრების ლოზუნგის კონტრრევოლუციური ხასიათისა და ოქტომბრის გადატრიალების ისტორიული აუცილებლობის შესახებ საერთო, საყოველთაოდ ცნობილ აზრად იქცა, — ისეთი დაგვიანებით, რაც სრულებით არ შეჰფერის მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში. მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია მენშევიკების ბედი: პირველად როდია, რომ ისინი მოვლენათა მიმდინარეობას ჩამორჩებიან და, ჩვენ ვფიქრობთ, უკანასკნელად როდი ცდილობენ იკოხტაონ ძველი ბოლშევიკური შარვლით...

შეიძლება გვეფიქრა, რომ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის მხრივ ასეთი აღიარების შემდეგ ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა სერიოზული ხასიათის უთანხმოებებს. ასეც

მოხდებოდა, საქმე რომ გვქონდეს არა მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან, არამედ თანმიმდევარ რევოლუციონერებთან, რომლებსაც უნარი შესწევთ საღად იაზროვნონ და შეუძლიათ თავი და ბოლო ერთმანეთს გადააბან. მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტთა პარტიასთან, რომელნიც მუდამ მერყეობენ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შუა, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შუა. აქედან — გარდუვალი წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის, მუდმივი ყოყმანი და აზრის ჭანაობა.

მოუსმინეთ და დატკბით. მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი, თურმე ნუ იტყვით:

«წინანდებურად თვლის ხალხის სრულ ძალაუფლებას, სრულიად შეუზღუდავ დემოკრატიას იმ პოლიტიკურ ფორმად, მხოლოდ და მხოლოდ რომელშიც შეიძლება როგორც მომზადდეს, ისე განხორციელდეს პროლეტარიატის სოციალური განთავისუფლება. თავისუფლად არჩეული სრულძალუფლებიანი დამფუძნებელი კრების მიერ ჩამოყალიბებული დემოკრატიული რესპუბლიკა, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება და სხვა მას მიაჩნია არა მარტო სრულიად შეუნაცვლებელ იარაღებად ამ მასების პოლიტიკური აღზრდისათვის და პროლეტარიატის კლასობრივი დარაზმვისათვის თავისი საკუთარი ინტერესების დროშის ქვეშ, არამედ იმ ნიადაგადაც, მხოლოდ და მხოლოდ რომელზეც შეუძლია სოციალისტურ პროლეტარიატს განავითაროს თავისი სოციალური შემოქმედება» (იხ. «თეზისები და რეზოლუცია»).

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. ერთი მხრივ, «ბრძოლა დემოკრატიული წყობილების აღდგენისათვის» თურმე «იწვევს» «პირდაპირ საფრთხეს რევოლუციის ძირითად სოციალისტურ მონაპოვართათვის», რის გამოც «ეგი კონტრრევოლუციურად ცხადდება, ხოლო მეორე

მხრივ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი «წინანდებურად» უჭერს მხარს უკვე დასამარებულ «სრულძალაუფლებიან დამფუძნებელ კრებას»! ან, იქნებ, მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს «შეიარაღებული ბრძოლის» უწარმოებლად მოიპოვოს დამფუძნებელი კრება? რაღა ვუყოთ ასეთ შემთხვევაში «ისტორიულ აუცილებლობას ბოლშევიკური გადატრიალებისას», რომელმაც შორს გადატყორცნა «სრულძალაუფლებიანი დამფუძნებელი კრება»?

ანდა კიდევ. მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს არც მეტს და არც ნაკლებს:

«პოლიციური რეპრესიების საგანგებო ორგანოებისა და საგანგებო ტრიბუნალებ-ს გაუქმებას» და «პოლიტიკური და ეკონომიური ტერორის შეწყვეტას» (იხ. «თეზისები და რეზოლუცია»).

ერთი მხრივ, აღიარებულია «ისტორიული აუცილებლობა» პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელიც მოწოდებულია დათრგუნოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, მეორე მხრივ კი მოითხოვენ ძალაუფლების ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი იარაღის გაუქმებას, რომელთა უქონლადაც ეს დათრგუნვა შეუძლებელია! რაღა ვუყოთ ასეთ შემთხვევაში იმ მონაპოვართ, რაც მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ, რომლის წინააღმდეგაც ბურჟუაზია მთელი ძალღონით იბრძვის, თვით ტერორისტულ გამოსვლათა და ავაზაკურ შეთქმულებათა მოწყობითაც კი? როგორ შეიძლება ცნობდე ოქტომბრის გადატრიალების «ისტორიულ აუცილებლობას» და ამავე დროს არ ცნობდე ამ გადატრიალებიდან გამომდინარე გარდუვალ შედეგებს?!

დააღწევს თუ არა როდისმე მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი თავს ამ წვრილბურჟუაზიულ არევდარევას და დაბნეულობას?

IV

შემდეგ კი რა?

თუმცაღა, იგი ცდილობს თავი დააღწიოს ამ არევ-დარევას. ყური დაუგდეთ:

«იცავს რა ამოცანას — აღდგენილ იქნას რუსეთის ერთიანობა და დამოუკიდებლობა რევოლუციის მოწაპოვართა საფუძველზე დემოკრატიის საკუთარი ძალებით, და უარყოფს რა ამით უცხოელ კაპიტალისტთა ყოველგვარ ჩარევას რუსეთის საშინაო საქმეებში», მენშევიკური პარტია «პოლიტიკურად სოლიდარულია საბჭოთა მთავრობასთან, რამდენადაც ეს მთავრობა ცდილობს რუსეთის ტერიტორიის განთავისუფლებას, კერძოდ, უცხოელთა ოკუპაციისაგან, და გამოდის არაპროლეტარული დემოკრატიის ამ ცდების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ამ ოკუპაციის გაფართოებისა თუ შენარჩუნებისაკენ. მაგრამ ამ პოლიტიკურ სოლიდარობას იმპერიალისტური ჩარევისადმი დამოკიდებულებაში მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მოჰყოლოდა პირდაპირი მხარდაჭერა საბჭოთა მთავრობის საომარი მოქმედებისადმი, რომელიც მიმართულია რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისაკენ, თუ ეს მთავრობა საქმით გამოიჩენდა მზადყოფნას — თავისი დამოკიდებულება არაბოლშევიკური დემოკრატიისადმი განაპირა მხარეებში ააგოს ურთიერთშეთანხმების და არა დათრგუნვისა და ტერორის საფუძველზე» (იხ. «თეზისები და რეზოლუცია»).

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლიდან — მასთან «შეთანხმებისაკენ».

«პოლიტიკური სოლიდარობა საბჭოთა მთავრობასთან»... ჩვენ არ ვიცით, რამდენად სრულია ეს სოლიდარობა, მაგრამ განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ბოლშევიკები წინააღმდეგი არ იქნებიან მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის სოლიდარობისა საბჭოთა ხელისუფლებასთან? ჩვენ სავსებით გვესმის განსხვავება საბჭოთა მთავრობასთან სოლიდარობასა და, ვთქვათ, სამარაში დამფუძნებელი კრების წევრებთან სოლიდარობას შორის.

«პირდაპირი მხარდაჭერა საბჭოთა მთავრობის საომარი მოქმედებისადმი»... ჩვენ არ ვიცით, რამდენი ჯარის გადაცემას შეძლებდა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში, რა სამხედრო ძალებით შეძლებდა იგი საბჭოთა არმიის გაძლიერებას, მაგრამ განა მტკიცება უნდა იმას, რომ ბოლშევიკები მხოლოდ მიესალმებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამხედრო მხარდაჭერას? ჩვენ სავსებით გვესმის, თუ რაოდენ ღრმაა განსხვავება საბჭოთა მთავრობისადმი სამხედრო მხარდაჭერასა და, ვთქვათ, იმპერიალისტური ომის პერიოდში კერენსკის დროს «თავდაცვის თათბირში» [32] მენშევიკების მონაწილეობას შორის.

ყოველივე ეს ასეა. მაგრამ გამოცდილებამ ჩვენ გვასწავლა სიტყვაზე არ ვენდოთ ადამიანებს, ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ პარტიებსა და ჯგუფებზე ვიმსჯელოთ არა მარტო მათი რეზოლუციების მიხედვით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მათი საქმეების მიხედვით.

მერე როგორია მენშევიკების საქმეები?

მენშევიკებს უკრაინაში დღემდე არ გაუწყვეტიათ კავშირი სკოროპადსკის კონტრრევოლუციურ მთავრობასთან, ყოველი საშუალებით ებრძვიან უკრაინის საბჭოთა ელემენტებს და ამით ხელს უწყობენ შინაური და გარეშე იმპერიალისტების ბატონობას სამხრეთში.

მენშევიკებმა კავკასიაში დიდი ხანია კავშირი შეკრეს მემამულეებთან და კაპიტალისტებთან, სამღვთო ომი გამოუცხადეს ოქტომბრის გადატრიალების მომხრეებს და დასახმარებლად მიიწვიეს გერმანელი იმპერიალისტები.

მენშევიკებმა ურალსა და ციმბირში სოლიდარობა გამოუცხადეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს და საქმით უწყობდნენ და ახლაც უწყობენ ხელს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციას.

მენშევიკებმა კრასნოვოდსკში იმიერკასპიის მხარის კარი გაუღეს ინგლისელ იმპერიალისტებს და უადვილებენ მათ თურქესტანში საბჭოთა ხელისუფლების განადგურების საქმეს..

დასასრულ, ევროპის რუსეთის მენშევიკების ერთი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ «აქტიური» «ბრძოლის» აუცილებლობას ქადაგებს, კონტრრევოლუციურ გაფიცვებს აწყობს ჩვენი არმიის ზურგში, მაშინ როდესაც ეს არმია სისხლისაგან იცლება რუსეთის განთავისუფლებისათვის ომში. ამით მენშევიკების ეს ნაწილი განუხორციელებელს ხდის «საბჭოთა მთავრობის საომარი მოქმედებისადმი მხარდაჭერას», რასაც მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი ქადაგებს.

მენშევიზმის მთელი ეს ანტისოციალისტური და კონტრრევოლუციური ელემენტები რუსეთის ცენტრსა და განაპირა მხარეებში დღემდე კვლავ თვლიან თავს მენშევიკების პარტიის წევრებად, იმ პარტიისა, რომლის ცენტრალური კომიტეტი ახლა საზეიმოდ აცხადებს თავის «პოლიტიკურ სოლიდარობას» საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ჩვენ ვაყენებთ კითხვას:

1) როგორია მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება მენშევიზმის ზემოთ მოხსენებული კონტრრევოლუციური ელემენტებისადმი?

2) ფიქრობს თუ არა იგი გადაჭრით და საბოლოოდ გაწყვიტოს მათთან კავშირი?

3) გადადგა თუ არა მან ამ მიმართულებით თუნდაც პირველი ნაბიჯი?

ყოველივე ეს ისეთი კითხვებია, რომელთა პასუხს ვერ ვპოულობთ ვერც მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის «რეზოლუციაში» და ვერც მათს პრაქტიკაში.

ამავე დროს კი უეჭველია, რომ მხოლოდ მენშევიზმის კონტრრევოლუციურ ელემენტებთან კავშირის გადამჭრელი გაწყვეტა წასწევდა წინ ამჟამად მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებული «ურთიერთშეთანხმების» განხორციელების საქმეს.

«პრავდა» № 234,
1918 წ. 29 ოქტომბერი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

სიტყვა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმზე სამხრეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

1918 წ. 29 ოქტომბერს

(საგაზეთო ანგარიში)

— მტკიცება არ ესაჭიროება იმას, — ამბობს ამხანაგი **სტალინი,** — რომ საბჭოთა რუსეთის ძალები იზრდება, — ამას საკმაოდ მოწმობენ მისი წარმატებანი. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მტრები ჯერ კიდევ არასოდეს ისე ჯიუტად არ ცდილან ჩვენს გატეხას, როგორც ახლა. საბჭოთა რუსეთის მტრების გეგმაა პურით ყველაზე უფრო მდიდარი რაიონები მოსწყვიტონ მას და აიძულონ იგი უბრძოლველად დანებდეს. 5—6 თვის წინათ ამ გეგმის განსახორციელებლად არჩეული იყო სამარა და ციმბირი. ორმა უკანასკნელმა თვემ დაუმტკიცა ჩვენს მტრებს, რომ მათი ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელია. ახლა ისინი ცდილობენ სამხრეთში გაიმეორონ ეს ავანტიურა. სამხრეთი დიდ მიმზიდველ ძალას წარმოადგენს. იქ სულ მცირე 150 მილიონი ფუთი თავისუფალი პურია. ქვანახშირი იქ ასეულ ათასობით ფუთია. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ რუსეთს სტრატეგიულად. იგი წარმოადგენს იმ ოლქს, სადაც ახალი საერთაშორისო კვანძი ინასკვება. ეს ჩანს იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც იქ წარმოებს. ეკატერინოდარში შეიქმნა ახალი მთავრობა კრასნოვის მეთაურობით. იქ გაერთიანდა სამი არმია.

კონტრრევოლუციონერები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სამხრეთი, ამიტომ მთავარ დარტყმას ისინი ცარიცინისაკენ წარმართავენ. აგვისტოში კრასნოვმა ბრძანება გასცა აეღოთ ცარიცინი. ბრძანება ვერ შესრულდა, და კრასნოვის არმიამ გაქცევით უშველა თავს. ოქტომბერში კრასნოვმა გასცა ახალი ბრძანება: რადაც უნდა დასჯდომოდათ აეღოთ ცარიცინი 15 ოქტომბრისათვის და შეერთებოდნენ ჩეხოსლოვაკებს. ბრძოლაში გამოიყვანეს მთელი რიგი გენერლების გაერთიანებული არმიების სულ მცირე 40 პოლკი. მიუხედავად ამისა, გენერლები იძულებული გახდნენ გაქცევით ეშველნათ თავისათვის, ისე რომ ერთმა მათგანმა ცალი ჩექმაც კი დაკარგა. (ს ი ც ი ლ ი).

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ გენერლები, რომ ჩვენი არმია ნამდვილ, უფრო და უფრო მზარდ ძალას წარმოადგენს, რომლის დაძლევის უნარი მათ არ შესწევთ.

რაშია ჩვენი არმიის ძალა? რატომ ასე მარჯვედ ურტყამს იგი მტრებს?

ჩვენი არმიის ძალა მის შეგნებულობასა და დისციპლინაშია. შეგნება და პროლეტარული დისციპლინა ერთერთი მიზეზია ჩვენი წარმატებისა სამხრეთის ფრონტზე.

მეორე მიზეზია ახალი წითელი ოფიცრობის გამოჩენა. ესენი მეტწილად ყოფილი ჯარისკაცები არიან, რომლებსაც მიღებული აქვთ საბრძოლო ნათლობა მთელ რიგ ბრძოლებში და კარგად იცნობენ ბრძოლის საქმეს. მათ მიჰყავთ ჩვენი ჯარები გამარჯვებისაკენ.

აი მთავარი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი არმიის წარმატებას. სწორედ ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ შავი ბანდები ვერასოდეს ვერ შეძლებენ სამხრეთში ჩვენი არმიის დამარცხებას.

«იზვესტია» № 237,
1918 წ. 30 ოქტომბერი.

სამხრეთ რუსეთის შესახებ

საუბარი გაზეთ «პრავდის» კორესპონდენტთან

მივლინებიდან ამას წინათ დაბრუნებულმა სახალხო კომისარმა **სტალინმა** ჩვენს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი სამხრეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

სამხრეთის ფრონტის დიდი მნიშვნელობა

უკვე მარტო სტრატეგიული მდებარეობა დონის კონტრრევოლუციასა და ასტრახან-ურალისა და ჩეხოსლოვაკთა ბანდებს შორის მოწმობს სამხრეთის ფრონტის დიდ მნიშვნელობას. ინგლისის გავლენის სფეროს სიახლოვე (ენზელი, კრასნოვოდსკი) მხოლოდ აორკეცებს ამ მნიშვნელობას. სამხრეთ რუსეთის სიმდიდრე (პური, ნავთი, ქვანახშირი, პირუტყვი, თევზი) თავისთავად უღვივებს გაუმაძღარ მადას მტაცებელ იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობენ მოსწყვიტონ რუსეთს ეს დიდმნიშვნელოვანი კუთხე. გარდა ამისა, უეჭველია, რომ რაკი შემოდგომა დადგა და სამარის ავანტიურის ლიკვიდაცია მოხდა, საომარი მოქმედების ცენტრი სამხრეთისაკენ გადაინაცვლებს. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება ის «გაცხარებული» მუშაობა, რასაც ამჟამად აჩაღებენ სამხრეთის კონტრრევოლუციონერები, რომლებიც საჩქაროდ აკოწიწებენ ახალ

(მთლად ახალ!) «სრულიად რუსეთის მთავრობას» მეფის ლაქიების — შიპოვის, საზონოვის, ლუკომსკის შემადგენლობით, ერთ არმიად აერთიანებენ კრასნოვის, დენიკინისა და სკოროპადსკის ბანდებს, დახმარებას ემუდარებიან ინგლისს და სხვ.

ცარიცინი, როგორც დარტყმის ცენტრი

ის პუნქტი, რომელსაც მოწინააღმდეგე ყველაზე მეტად უშენს, ცარიცინია. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ცარიცინის აღება და სამხრეთთან კავშირის შეწყვეტა მოწინააღმდეგეთა ყველა ამოცანის შესრულებას უზრუნველყოფდა: დონის კონტრრევოლუციონერებს შეაერთებდა ასტრახანისა და ურალის ჯარების კაზაკთა ზედაფენებთან და შექმნიდა კონტრრევოლუციის ერთიან ფრონტს დონიდან ჩეხოსლოვაკებამდე; შინაური და გარეშე კონტრრევოლუციონერების ხელში დაამკვიდრებდა სამხრეთსა და კასპიის მხარეს; უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებდა ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ჯარებს...

უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება, რომ სამხრეთის თეთრგვარდიელები ასე დაჟინებით ცდილობენ ცარიცინის აღებას.

ჯერ კიდევ აგვისტოში კრასნოვმა ბრძანება გამოსცა: «აღებულ იქნას ცარიცინიო». კრასნოვის ბანდები გააფთრებით ეკვეთნენ ჩვენს ფრონტს და ცდილობდნენ მის გატეხას, მაგრამ ჩვენმა წითელმა არმიამ უკუაქცია და დონს გაღმა გადარეკა ისინი.

ოქტომბრის დამდეგს გამოიცა ახალი ბრძანება ცარიცინის აღების შესახებ. ამჯერად ეს ბრძანება გასცა უკვე როსტოვის კონტრრევოლუციურმა კაზაკთა «კრუგმა». მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა სულ მცირე ორმოც პოლკს, რომლებიც შეკრიბეს დონზე, კიევში (სკოროპად-

სკის ოფიცერთა პოლკები!), ყუბანში (ალექსეევის «მოხალისენი»!). მაგრამ ჩვენი წითელი არმიის ფოლადის მარჯვენამ კრასნოვის ბანდები ამჯერადაც შორს გადარეკა, ამასთან ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის მთელ რიგ პოლკებს, გაჟლიტეს ისინი და ხელთ იგდეს ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები. გენერლები მამონტოვი, ანტონოვი, პოპოვი, ტოლკუშკინი და მთელი ხროვა პოლკოვნიკები იძულებული გახდნენ გაქცევით ეშველნათ თავისათვის.

რაშია ჩვენი არმიის ძალა?

ჩვენი არმიის წარმატებები აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, მისი შეგნებულობითა და დისციპლინით. კრასნოვის ჯარისკაცები განირჩევიან გასაოცარი გონებაჩლუნგობითა და უვიცობით, გარესამყაროსაგან სრული მოწყვეტილობით. მათ არ იციან, რისთვის ომობენ. «გვიბრძანეს, და იძულებული ვართ ვიბრძოლოთო», — ამბობენ ისინი დაკითხვის დროს, როცა ტყვედ ჩაგვივარდებიან ხოლმე.

ასეთი როდია ჩვენი წითელარმიელი. იგი ამაყად უწოდებს თავს რევოლუციის ჯარისკაცს, მან იცის, რომ ომობს არა კაპიტალისტთა მოგებისათვის, არამედ რუსეთის განთავისუფლებისათვის, მან იცის ეს და მამაცურად, შეგნებულად მიდის საბრძოლველად. წესრიგისა და დისციპლინის წყურვილი წითელარმიელთა შორის იქამდე მიდის, რომ ხშირად ისინი თვითონ სჯიან თავიანთ «ურჩ» და ნაკლებდისციპლინიან ამხანაგებს.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაჩნდა მთელი კადრი წითელი ოფიცრებისა ყოფილ ჯარისკაცთაგან, რომლებსაც მიღებული აქვთ საბრძოლო ნათლობა მთელ რიგ ბრძოლებში. ეს წითელი ოფიცრები შეადგენენ

ჩვენი არმიის ძირითად ცემენტს, რომელიც ერთიან დისციპლინიან ორგანიზმად ადუღაბებს მას.

მაგრამ არმიის ძალა მისი საკუთარი თვისებებით როდი ამოიწურება. არმია დიდხანს ვერ იარსებებს, თუ მტკიცე ზურგი არა აქვს. მტკიცე ფრონტისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ არმია რეგულარულად იღებდეს ზურგიდან შევსებას, საომარ მასალას, სურსათს. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ზურგში გაჩნდნენ მცოდნე და უნარიანი ადმინისტრატორები, უმთავრესად მოწინავე მუშათაგან, რომლებიც კეთილსინდისიერად და დაუღალავად მუშაობენ მობილიზაციისა და მომარაგების დარგში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ცარიცინს ვერ გადავარჩენდით, ასეთი ადმინისტრატორები რომ არ გვყოლოდა.

ყოველივე ეს ჩვენს არმიას აქცევს მრისხანე ძალად, რომელსაც შეუძლია დაძლიოს მტრის ყოველგვარი წინააღმდეგობა.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სამხრეთში ახალი საერთაშორისო კვანძი ინასკვება. ინგლისის აგენტებისაგან შემდგარი «ახალი» «სრულიად რუსეთის მთავრობის» გამოჩენა ეკატერინოდარში, ჩვენი ჯარების მიერ ცარიცინთან ერთხელ უკვე დამარცხებული სამი კონტრრევოლუციური არმიის (ალექსეევის, სკოროპადსკის, კრასნოვის) გაერთიანება, ხმები ინგლისის განზრახული ჩარევის შესახებ, ინგლისის მიერ თერგის კონტრრევოლუციონერების მომარაგება ენზელიდან და კრასნოვოდსკიდან — ყოველივე ეს შემთხვევითი როდია. ახლა ცდილობენ სამხრეთში განაახლონ ის ავანტიურა, რომელიც სამარაში ჩაიშალა. მაგრამ მათ არ ეყოლებათ — უეჭველია არ ეყოლებათ — ის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია გამარჯვება, ე. ი. არ ეყოლებათ არმია, რომელსაც ეწამებ-

კონტრრევოლუციის შავბნელი საქმე და უნარი ექნება ბოლომდე იბრძოლოს. საკმარისი იქნება ერთი მძლავრი შეტევა, — და კონტრრევოლუციონერ ავანტიურისტთა ხუხულა გაცამტვერდება. ამის საწინდარია ჩვენი არმიის გმირობა, კრასნოვ-ალექსეევის «ჯარების» რიგების გახრწნა, მზარდი მღელვარება უკრაინაში, საბჭოთა რუსეთის მზარდი ძლიერება და, ბოლოს, სულ უფრო გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობა დასავლეთში. ავანტიურა სამხრეთში იმითვე დამთავრდება, რითაც დამთავრდა ავანტიურა სამარაში.

«პრავდა» № 235,
1918 წ. 30 ოქტომბერი.

ოქტომბრის გადატრიალება

(1917 წლის 24 და 25 ოქტომბერი პეტროგრადში)

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამბები, რომლებმაც ოქტომბრის აჯანყება დააჩქარეს, იყო: დროებითი მთავრობის განზრახვა (მას შემდეგ, რაც რიგა ჩააბარა) ჩაებარებინა პეტროგრადი, კერენსკის მთავრობის მზადება მოსკოვში გადასასვლელად, ძველი არმიის მეთაურთა შემადგენლობის გადაწყვეტილება — ფრონტზე გაეგზავნა პეტროგრადის მთელი გარნიზონი, ხოლო დედაქალაქი დაუცავად დაეტოვებინა და, ბოლოს, გაფაციცებული მუშაობა შავი ყრილობისა[33], როძიანკოს მეთაურობით, მოსკოვში — მუშაობა კონტრრევოლუციის დასარაზმავად. ყოველივე ამან, იმასთან დაკავშირებით, რომ საომეურნეო ნგრევა მატულობდა და ფრონტს ომის განგრძობა აღარ სურდა, — განსაზღვრა სწრაფი და მტკიცედ ორგანიზებული აჯანყების, როგორც შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალის, გარდუვალობა.

უკვე სექტემბრის დამლევიდან ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოეხდინა პარტიის მთელი ძალების მობილიზაცია წარმატებითი აჯანყების მოსაწყობად. ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეექმნა პიტერში სამხედრო-რევო-

ლუციური კომიტეტი, მიეღწია იმისათვის, რომ პეტროგრადის გარნიზონი დედაქალაქში დაეტოვებინათ, და მოეწვია საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა. ასეთი **ყრილობა შეიძლებოდა ყოფილიყო** ხელისუფლების ერთადერთი მემკვიდრე. წინასწარ დაპყრობა მოსკოვის და პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოებისა, რომლებიც ყველაზე გავლენიანი იყვნენ ზურგში და ფრონტზე, აუცილებლად შედიოდა აჯანყების მოწყობის საერთო გეგმაში.

პარტიის ცენტრალურმა ორგანომ «რაბოჩი პუტმა»[34], ცენტრალური კომიტეტის მითითებათა თანახმად, აშკარად დაიწყო აჯანყებისაკენ მოწოდება და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ამზადებდა მუშებსა და გლეხებს.

დროებით მთავრობასთან პირველი აშკარა შეტაკება მოხდა ბოლშევიკურ გაზეთ «რაბოჩი პუტის» დახურვის გამო. დროებითი მთავრობის განკარგულებით გაზეთი დახურეს. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით კი მისი გამოსვლა რევოლუციური გზით განახლდა. ბეჭდები აგლეჯილ იქნა, დროებითი მთავრობის კომისრები მოხსნილ იქნენ საგუშაგოებიდან. ეს მოხდა 24 ოქტომბერს.

24 ოქტომბერს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დაწესებულებებში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის კომისრები ძალით აძევებდნენ დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს, რის შედეგადაც ეს დაწესებულებები სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში აღმოჩნდნენ, და დროებითი მთავრობის მთელი აპარატი დეზორგანიზებულ იქნა. ამ დღეს (24 ოქტომბერს) პეტროგრადის მთელი გარნიზონი, ყველა პოლკები გადაჭრით გადავიდნენ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მხარეზე, — იუნკერთა რამდენიმე სკოლისა და ჯავშნიანი

დივიზიონის გარდა. დროებითი მთავრობის მოქმედებას გაუბედაობა ემჩნეოდა. მხოლოდ საღამოს შეუდგა იგი დამკვრელი ბატალიონებით ხიდების დაკავებას და მოასწრო ზოგიერთი ხიდის ახსნა. ამის პასუხად სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დასძრა მატროსები და ვიბორგელი წითელგვარდიელები, რომლებმაც მოხსნეს და გარეკეს დამკვრელი ბატალიონები და თვითონ დაიკავეს ხიდები. ამ მომენტიდან დაიწყო აშკარა აჯანყება. მთელი რიგი ჩვენი პოლკები დაიძრნენ იმ დავალებით, რომ გარს შემორტყმოდნენ მთელ იმ უბანს, რომელიც შტაბსა და ზამთრის სასახლეს ეჭირათ. ზამთრის სასახლეში სხდომა ჰქონდა დროებით მთავრობას. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მხარეზე ჯავშნიანი დივიზიონის გადასვლამ (24 ოქტომბერს გვიან ღამით) დააჩქარა აჯანყების ხელსაყრელად დაბოლოება.

25 ოქტომბერს გაიხსნა საბჭოების ყრილობა, და სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მას გადასცა მოპოვებული ძალაუფლება.

26 ოქტომბერს დილით ადრე, მას შემდეგ, რაც «ავრორამ» სროლა აუტეხა ზამთრის სასახლესა და შტაბს, მას შემდეგ, რაც ზამთრის სასახლის წინ სროლა მოხდა საბჭოთა ჯარებსა და იუნკრებს შორის, დროებითი მთავრობა დაგვნებდა.

აჯანყების სულისჩამდგმელი თავიდან ბოლომდე იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ლენინის მეთაურობით. ვლადიმირ ილიას-ძე მაშინ პეტროგრადში, ვიბორგის მხარეს, კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობდა. 24 ოქტომბერს საღამოს იგი მიწვეულ იქნა სმოლნში მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ოქტომბრის აჯანყებაში შესანიშნავი როლი შეასრულეს ბალტიელმა მატროსებმა და ვიბორგის მხარის წი-

თელგვარდიელებმა. ამ ადამიანთა არაჩვეულებრივი სიმამაცის მეოხებით პეტროგრადის გარნიზონის როლი უმთავრესად განისაზღვრა მოწინავე მებრძოლებისადმი მორალური და ნაწილობრივ სამხედრო დახმარების გაწევით.

«პრავდა» № 241,
1918 წ. 6 ნოემბერი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი

ნაციონალური საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს რაღაც თვითკმარ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რამედ. ნაციონალური საკითხი მხოლოდ ნაწილია საერთო საკითხისა არსებული წყობილების გარდაქმნის შესახებ და მთლიანად განისაზღვრება სოციალური ვითარების პირობებით, ქვეყანაში ხელისუფლების ხასიათით და, საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების მთელი მსვლელობით. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს რუსეთის რევოლუციის პერიოდში, როცა ნაციონალური საკითხი და ნაციონალური მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში სწრაფად და ყველას თვალწინ იცვლიან შინაარსს რევოლუციის მიმდინარეობისა და შედეგის მიხედვით.

I

თებერვლის რევოლუცია და ნაციონალური საკითხი

რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში (1917 წლის თებერვალში) ნაციონალურ მოძრაობას განაპირა მხარეებში ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი ჰქონდა. «ძველი რეჟიმის» მიერ საუკუნეო-

ბით ჩაგრულმა და ექსპლოატირებულმა რუსეთის ეროვნებებმა პირველად იგრძნეს თავიანთი ძალა და ეკვეთნენ მჩაგვრელებს. «ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია» — ასეთი იყო მოძრაობის ლოზუნგი. რუსეთის განაპირა მხარეები მყისვე დაიფარნენ «საერთო-ნაციონალური» დაწესებულებებით. მოძრაობას სათავეში ედგა ნაციონალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია. «ნაციონალური საბჭოები» ლატვიაში, ესტონეთის მხარეში, ლიტვაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირგიზეთსა და შუა ვოლგისპირეთში; «რადა» უკრაინასა და ბელორუსიაში; «სფატულ-ცერიი» ბესარაბიაში; «ყურულტაი» ყირიმსა და ბაშკირეთში; «ავტონომიური მთავრობა» თურქესტანში, — აი ის «საერთო-ნაციონალური» ინსტიტუტები, რომელთა გარშემოც ძალებს იკრებდა ნაციონალური ბურჟუაზია. საქმე ეხებოდა ცარიზმისაგან, როგორც ნაციონალური ჩაგვრის «ძირითადი მიზეზისაგან», განთავისუფლებას და ნაციონალური ბურჟუაზიული სახელმწიფოების შექმნას. ერთა თვითგამორკვევის უფლებას განმარტავდნენ როგორც განაპირა მხარეების ნაციონალური ბურჟუაზიის უფლებას თავის ხელში აეღო ძალაუფლება და გამოეყენებინა თებერვლის რევოლუცია «თავისი» ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად. რევოლუციის შემდგომი განვითარება არ შედიოდა და არც შეიძლებოდა შესულიყო ზემოთ მოხსენებული ბურჟუაზიული ინსტიტუტების ანგარიშში. ამასთან მხედველობიდან უშვებდნენ, რომ ცარიზმის ადგილას მოდის გაშიშვლებული, ნიღაბაუფარებელი იმპერიალიზმი, რომ იგი, ეს იმპერიალიზმი, ეროვნებათა უფრო ძლიერი და უფრო საშიში მტერია, რომ იგი ახალი ნაციონალური ჩაგვრის საფუძველს წარმოადგენს.

მაგრამ ცარიზმის მოსპობასა და ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის ჩადგომას ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა არ მოჰყოლია. ნაციონალური ჩაგვრის ძველი უხეში ფორმა შეიცვალა ჩაგვრის ახალი, დახვეწილი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო საშიში ფორმით. ლვოვ-მილიუკოვ-კერენსკის მთავრობამ არათუ კავშირი არ გაწყვიტა ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკასთან, არამედ ახალი ლაშქრობაც მოაწყო ფინეთისა (სეიმის გარეკვა 1917 წლის ზაფხულში) და უკრაინის წინააღმდეგ (უკრაინის კულტურულ დაწესებულებათა განადგურება). უფრო მეტიც: ამ მთავრობამ, თავისი ბუნებით იმპერიალისტურმა, მოსახლეობას მოუწოდა განეგრძო ომი ახალი ქვეყნების, ახალი კოლონიებისა და ეროვნებების დასამორჩილებლად. ამას უკარნახებდა მას არა მარტო იმპერიალიზმის შინაგანი ბუნება, არამედ დასავლეთში ძველ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა არსებობაც, რომელნიც თავშეუკავებლად მიისწრაფოდნენ ახალი ქვეყნებისა და ეროვნებების დამორჩილებისაკენ და ამ მთავრობას მისი გავლენის სფეროს შეზღუდვით ემუქრებოდნენ. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მცირე ეროვნებათა დასამორჩილებლად, როგორც ამ სახელმწიფოთა არსებობის პირობა, — აი რა სურათი გადაიშალა იმპერიალისტური ომის მსვლელობაში. ცარიზმის მოსპობას და ასპარეზზე მილიუკოვ-კერენსკის მთავრობის გამოჩენას სრულიად არავითარი გაუმჯობესება არ შეუტანია ამ არასახარბიელო სურათში. ბუნებრივია, რომ რამდენადაც «საერთო-ნაციონალური» ინსტიტუტები განაპირა მხარეებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ტენდენციას იჩენდნენ, ისინი დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის მხრივ. ხოლო რამდენადაც ეს ინსტიტუტები ნაციონალური ბურჟუაზიის ძალაუფლებას ამკვიდრებდნენ და «თავიანთი» მუშებისა და

გლეხების საარსებო ინტერესებს უგულებელყოფდნენ, ისინი ამ უკანასკნელთა დრტვინვასა და უკმაყოფილებას იწვევდნენ. ეგრეთწოდებული «ნაციონალური პოლკები» მხოლოდ ნავთს ასხამდნენ ცეცხლზე: ზემოდან საფრთხის წინააღმდეგ ისინი უძლურნი იყვნენ, ქვემოდან საფრთხეს კი აძლიერებდნენ და აღრმავებდნენ. «საერთონაციონალური» ინსტიტუტები უმწეონი რჩებოდნენ გარედან დარტყმების წინაშე ისევე, როგორც შიგნიდან აფეთქების წინაშე. ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიულ-ნაციონალურ სახელმწიფოებს ვერც კი მოესწროთ გაფურჩქვნა, რომ უკვე ჭკნობას იწყებდნენ.

ამრიგად, თვითგამორკვევის პრინციპის ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაგება ფიქციად იქცეოდა, თავის რევოლუციურ აზრს კარგავდა. ცხადი იყო, რომ ნაციონალური ჩაგვრის მოსპობაზე და მცირე ნაციონალურ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დამყარებაზე ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. აშკარა ხდებოდა, რომ ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასების განთავისუფლება და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა წარმოუდგენელია იმპერიალიზმთან კავშირის გაუწყვეტლად, «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის დაუმხობლად და თვით მშრომელი მასების მიერ ძალაუფლების აუღებლად.

ამან განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

II

ოქტომბრის რევოლუცია და ნაციონალური საკითხი

თებერვლის რევოლუცია შინაგან შეურიგებელ წინააღმდეგობებს შეიცავდა. რევოლუცია თავისი ხელით მოახდინეს მუშებმა და გლეხებმა (ჯარისკაცებმა), რევო-

ლუციის შედეგად კი ძალაუფლება გადავიდა არა მუშებისა და გლეხების, არამედ ბურჟუაზიის ხელში. რევოლუცია რომ მოახდინეს, მუშებსა და გლეხებს სურდათ ბოლო მოეღოთ ომისათვის და მიეღწიათ ზავისათვის. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი ბურჟუაზია კი ცდილობდა მასების რევოლუციური აღფრთოვანება გამოეყენებინა ომის განსაგრძობად, ზავის წინააღმდეგ. სამეურნეო ნგრევა ქვეყანაში და სასურსათო კრიზისი საჭიროს ხდიდნენ კაპიტალებისა და სამრეწველო საწარმოების ექსპროპრიაციას მუშების სასარგებლოდ, მემამულეთა მიწების კონფისკაციას გლეხების სასარგებლოდ, მაშინ როცა მილიუკოვ-კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობა მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა და გადაჭრით იცავდა მათ მუშებისა და გლეხების მხრივ ხელყოფისაგან. ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც მუშებისა და გლეხების ხელით მოხდა ექსპლოატატორთა სასარგებლოდ.

ამავე დროს კი, ქვეყანა კვლავ გმინავდა იმპერიალისტური ომის, სამეურნეო რღვევისა და სასურსათო ნგრევის სიმძიმის ქვეშ. ფრონტი ირღვეოდა და იქსაქსებოდა. ფაბრიკა-ქარხნები ჩერდებოდნენ. ქვეყანაში შიმშილი ძლიერდებოდა. თებერვლის რევოლუცია თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით აშკარად არასაკმაო აღმოჩნდა «ქვეყნის ხსნისათვის». მილიუკოვ-კერენსკის მთავრობა აშკარად უუნარო აღმოჩნდა გადაეჭრა რევოლუციის ძირითადი საკითხები.

საჭირო იყო ახალი, **სოციალისტური** რევოლუცია იმისათვის, რომ ქვეყანა გამოგვეყვანა იმპერიალისტური ომისა და სამეურნეო ნგრევის ჩიხიდან.

ეს რევოლუცია განხორციელდა ოქტომბრის გადატრიალების შედეგად.

მემამულეებისა და ბურჟუაზიის ძალაუფლება რომ დაამხო და მის ადგილზე მუშათა და გლეხთა მთავრობა რომ დააყენა, ოქტომბრის გადატრიალებამ ერთი დაკვრით გადაჭრა თებერვლის რევოლუციის წინააღმდეგობანი. მემამულეთა და კულაკთა ბატონობის გაუქმება და მიწის გადაცემა სოფლის მშრომელი მასების სარგებლობაში; ფაბრიკა-ქარხნების ექსპროპრიაცია და მათი გადაცემა მუშების გამგებლობაში; იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტა და მძარცველური ომის ლიკვიდაცია; ფარულ ხელშეკრულებათა გამოქვეყნება და სხვისი ტერიტორიების დაპყრობის პოლიტიკის მხილება; დასასრულ, ჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასების თვითგამორკვევის გამოცხადება და ფინეთის დამოუკიდებლობის აღიარება, — აი ის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა საბჭოთა რევოლუციის დასაწყისში.

ეს იყო ნამდვილად **სოციალისტური** რევოლუცია.

ცენტრში დაწყებული რევოლუცია არ შეიძლებოდა დიდხანს დარჩენილიყო მისი ვიწრო ტერიტორიის ფარგლებში. ცენტრში რომ გაიმარჯვა, იგი აუცილებლად უნდა გავრცელებულიყო განაპირა მხარეებზეც. და, მართლაც, რევოლუციის ტალღა გადატრიალების პირველი დღეებიდანვე ჩრდილოეთიდან მთელ რუსეთში გავრცელდა და ზედიზედ ედებოდა განაპირა მხარეებს. მაგრამ აქ იგი წააწყდა ჯებირს ჯერ კიდევ ოქტომბრამდე შექმნილი «ნაციონალური საბჭოებისა» და საოლქო «მთავრობების» სახით (დონი, ყუბანი, ციმბირი). საქმე ის არის, რომ ამ «ნაციონალურ მთავრობებს» სოციალისტური რევოლუციის ხსენებაც კი არ უნდოდათ. ისინი, თავისი ბუნებით ბურჟუაზიული იყვნენ და სრულებითაც არ სურდათ დაენგრიათ ძველი, ბურჟუაზიული წესწყობილება, —

პირიქით, ისინი თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ მთელი ძალებით დაეცვათ და განემტკიცებინათ იგი. ისინი თავიანთი არსებით იმპერიალისტური იყვნენ და სრულებითაც არ სურდათ გაეწყვიტათ კავშირი იმპერიალიზმთან, — პირიქით, ისინი არასოდეს არ ყოფილან იმის წინააღმდეგი, რომ ხელში ჩაეგდოთ და დაემორჩილებინათ «სხვა» ეროვნებათა ტერიტორიების დიდი და მცირე ნაკვეთები, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ. გასაკვირველი არ არის, რომ განაპირა მხარეების «ნაციონალურმა მთავრობებმა» ომი გამოუცხადეს ცენტრის სოციალისტურ მთავრობას. ხოლო რაკი ომი გამოაცხადეს, ისინი, ბუნებრივია, რეაქციის კერები გახდნენ, რომელთა გარშემოც თავს იყრიდა ყოველივე ის, რაც კი რუსეთში კონტრრევოლუციური იყო. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ იქ, ამ კერებისაკენ, გაეშურა რუსეთიდან გარეკილი ყველა კონტრრევოლუციონერი, რომ იქ, ამ კერების გარშემო, ირაზმებოდნენ ისინი თეთრგვარდიულ «ნაციონალურ» პოლკებად.

მაგრამ, «ნაციონალურ მთავრობათა» გარდა, განაპირა მხარეებში ნაციონალური მუშები და გლეხებიც არსებობენ. ისინი ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე დარაზმული იყვნენ თავიანთ რევოლუციურ დეპუტატთა საბჭოებში რუსეთის ცენტრის დეპუტატთა საბჭოების ნიმუშის მიხედვით და არასოდეს არ გაუწყვეტიათ კავშირი თავიანთ ჩრდილოეთელ ძმებთან. ისინიც ცდილობდნენ დაემარცხებინათ ბურჟუაზია, ისინიც იბრძოდნენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის. გასაკვირველი არ არის, რომ მათი კონფლიქტი «თავიანთ» ნაციონალურ მთავრობებთან დღითიდღე ძლიერდებოდა. ოქტომბრის გადატრიალებამ მხოლოდ განამტკიცა განაპირა მხარეების

მუშათა და გლეხთა კავშირი რუსეთის მუშებთან და გლეხებთან, ჩაუნერგა მათ სოციალიზმის გამარჯვების რწმენა. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ «ნაციონალურ მთავრობათა» ომმა ნაციონალური მასების კონფლიქტი ამ «მთავრობებთან» მიიყვანა მათთან კავშირის სრულ გაწყვეტამდე, მათ წინააღმდეგ აშკარა აჯანყებამდე.

ასე ჩამოყალიბდა მთელი რუსეთის მუშებისა და გლეხების სოციალისტური კავშირი რუსეთის განაპირა მხარეების ნაციონალურ-ბურჟუაზიულ «მთავრობათა» კონტრრევოლუციური კავშირის წინააღმდეგ.

ზოგნი განაპირა მხარეთა «მთავრობების» ბრძოლას სახავენ როგორც ბრძოლას ნაციონალური განთავისუფლებისათვის საბჭოთა ხელისუფლების «უსულგულო ცენტრალიზმის» წინააღმდეგ. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. მსოფლიოში არც ერთ ხელისუფლებას არ დაუშვია ისეთი ფართო დეცენტრალიზმი, მსოფლიოში არც ერთ მთავრობას არ მიუცია ხალხებისათვის ისეთი სრული ნაციონალური თავისუფლება, როგორიც საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ხალხებს რუსეთში. განაპირა მხარეთა «მთავრობების» ბრძოლა იყო და არის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ. ნაციონალური დროშა აქ მიტმასნილია მხოლოდ მასების მოსატყუებლად, როგორც პოპულარული დროშა, რომლითაც მოსახერხებელია ნაციონალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ზრახვათა დაფარვა.

მაგრამ «ნაციონალურ» და საოლქო «მთავრობათა» ბრძოლა უთანასწორო ბრძოლა აღმოჩნდა. «ნაციონალურ მთავრობებზე» ორი მხრიდან იქნა იერიში მიტანილი: გარედან — რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებისა და შიგნიდან — «თავისივე საკუთარი» მუშებისა და გლეხების მხრივ, რის

გამოც ეს «მთავრობები» იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ პირველივე ბრძოლების შემდეგ. ფინელი მუშებისა და ტორპარების[35] აჯანყება და ბურჟუაზიული «სენატის» გაქცევა; უკრაინის მუშებისა და გლეხების აჯანყება და ბურჟუაზიული «რადის» გაქცევა; მუშებისა და გლეხების აჯანყება დონზე, ყუბანში, ციმბირში და კალედინის, კორნილოვისა და ციმბირის «მთავრობის» კრახი; თურქესტანის ღარიბი გლეხობის აჯანყება და «ავტონომიური მთავრობის» გაქცევა; აგრარული რევოლუცია კავკასიაში და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის «ნაციონალური საბჭოების» სრული უმწეობა, — ასეთია ყველასათვის ცნობილი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ განაპირა მხარეთა «მთავრობების» სრულ მოწყვეტას «თავიანთი» მშრომელი მასებისაგან. სასტიკად დამარცხებული «ნაციონალური მთავრობები» «იძულებული» გახდნენ «თავიანთი» მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ დახმარება ეთხოვნათ დასავლეთის იმპერიალისტებისათვის, მთელი მსოფლიოს ეროვნებათა საუკუნეობრივი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისათვის.

ასე დაიწყო უცხოეთის ჩარევისა და განაპირა მხარეთა ოკუპაციის ხანა, — ხანა, რომელმაც ერთხელ კიდევ გამოააშკარავა «ნაციონალურ» და საოლქო «მთავრობათა» კონტრრევოლუციური ხასიათი.

მხოლოდ ახლა გახდა ყველასათვის აშკარა, რომ ნაციონალური ბურჟუაზია მიისწრაფვის არა «თავისი ხალხის» განთავისუფლებისაკენ ნაციონალური ჩაგვრისაგან, არამედ ამ ხალხისაგან მოგების ამოქაჩვის თავისუფლებისაკენ, თავისი პრივილეგიებისა და კაპიტალების შენარჩუნების თავისუფლებისაკენ.

მხოლოდ ახლა გახდა ნათელი, რომ ჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლება წარმოუდგენელია იმპერიალიზმ-

თან კავშირის გაუწყვეტლად, ჩაგრულ ეროვნებათა ბურჟუაზიის დაუმხობლად, ამ ეროვნებათა მშრომელი მასების ხელში ძალაუფლების გადაუსვლელად.

ასე გამოააშკარავა და უკუაგდო თვით რევოლუციის მსვლელობამ ძველი, ბურჟუაზიული გაგება თვითგამორკვევის პრინციპისა ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება ნაციონალურ ბურჟუაზიას». თვითგამორკვევის პრინციპის სოციალისტურმა გაგებამ ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელ მასებს» მოიპოვა მთელი უფლება და გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, ოქტომბრის გადატრიალებამ ბოლო მოუღო ძველ, ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობას და დასაწყისი მისცა ჩაგრულ ეროვნებათა მუშებისა და გლეხების ახალი, სოციალისტური მოძრაობის ერას, მოძრაობისა, რომელიც მიმართულია ყოველგვარი, — მაშასადამე, აგრეთვე ნაციონალური, — ჩაგვრის წინააღმდეგ, «თავისი» და სხვისი ბურჟუაზიის ძალაუფლების წინააღმდეგ, საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

III

ოქტომბრის გადატრიალების მსოფლიო მნიშვნელობა

მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის ცენტრში გაიმარჯვა და მთელი რიგი განაპირა მხარეები მოიცვა, იგი არ შეიძლებოდა შეზღუდულიყო რუსეთის ტერიტორიული ფარგლებით. მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და ქვედაფენებში საერთო უკმაყოფილების ატმოსფეროში იგი არ შეიძლებოდა მეზობელ ქვეყნებსაც არ მოსდებოდა. იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტას და მძარცველური ომისაგან რუსეთის განთავისუფლებას;

ფარულ ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას და სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის პოლიტიკის საქვეყნოდ გაუქმებას; ნაციონალური თავისუფლების გამოცხადებას და ფინეთის დამოუკიდებლობის აღიარებას; რუსეთის გამოცხადებას «საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაციად» და საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქვეყნოდ წამოყენებულ საბრძოლო მოწოდებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ, — ყოველივე ამას არ შეიძლებოდა სერიოზული გავლენა არ მოეხდინა დამონებულ აღმოსავლეთსა და სისხლისაგან დაცლის პირას მიმდგარ დასავლეთზე.

და, მართლაც, ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიოში პირველი რევოლუციაა, რომელმაც საუკუნეობრივი ძილისაგან გამოაღვიძა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასები და ჩააბა ისინი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის საბჭოების ნიმუშის მიხედვით სპარსეთში, ჩინეთსა და ინდოეთში მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნა საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს ამას.

ოქტომბრის რევოლუცია არის მსოფლიოში პირველი რევოლუცია, რომელიც დასავლეთის მუშებისა და ჯარისკაცებისათვის ცოცხალი მხსნელი მაგალითი გახდა და ომისა და იმპერიალიზმის უღლისაგან ნამდვილი განთავისუფლების გზაზე დააყენა ისინი. მუშებისა და ჯარისკაცების აჯანყება ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, ავსტრია-უნგრეთის არასრულუფლებიანი ხალხების რევოლუციური ბრძოლა ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, — ყოველივე ეს საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობს ამას.

საქმე ის კი არ არის, რომ ბრძოლა აღმოსავლეთში და დასავლეთშიც კი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მინარევისაგან, — საქმე ის არის, რომ იმპერიალიზმთან ბრძოლა **დაიწყო**, რომ იგი გრძელდება და გარდუვალად უნდა მივიდეს თავის ლოგიკურ დასასრულამდე.

უცხოელთა ჩარევა და «გარეშე» იმპერიალისტების საოკუპაციო პოლიტიკა მხოლოდ ამწვავებს რევოლუციურ კრიზისს, ბრძოლაში აბამს ახალ ხალხებს და აფართოებს იმპერიალიზმთან რევოლუციურ შეტაკებათა რაიონს.

ასე ამყარებს ოქტომბრის გადატრიალება კავშირს ჩამორჩენილი აღმოსავლეთისა და მოწინავე დასავლეთის ხალხებს შორის და, ამრიგად, რაზმავს მათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ბანაკში.

ასე იზრდება ნაციონალური საკითხი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის კერძო საკითხიდან საერთო საკითხად იმპერიალიზმისაგან ერების, კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების განთავისუფლების შესახებ.

II ინტერნაციონალისა და მისი მეთაურის კაუცკის მომაკვდინებელი ცოდვა, სხვათა შორის, სწორედ ის არის, რომ ისინი მუდამ უხვევდნენ ნაციონალური თვითგამორკვევის საკითხის ბურჟუაზიული გაგებისაკენ, არ ესმოდათ თვითგამორკვევის რევოლუციური აზრი, უნარი არ შესწევდათ ან არ სურდათ დაეყენებინათ ნაციონალური საკითხი იმპერიალიზმთან აშკარა ბრძოლის რევოლუციურ ნიადაგზე, უნარი არ შესწევდათ ან არ სურდათ დაეკავშირებინათ ნაციონალური საკითხი კოლონიების განთავისუფლების საკითხთან.

ბაუერისა და რენერის ტიპის ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების გონებაჩლუნგობა, არსებითად, სწორედ

იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ გაიგეს ნაციონალური საკითხის განუყრელი კავშირი ძალაუფლების საკითხთან, ცდილობენ ჩამოაშორონ ნაციონალური საკითხი პოლიტიკას და მოამწყვდიონ იგი კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხთა ჩარჩოებში, ამასთან ივიწყებენ ისეთი «წვრილმანების» არსებობას, როგორიც არის იმპერიალიზმი და მის მიერ დამონებული კოლონიები.

ამბობენ, რომ თვითგამორკვევისა და «სამშობლოს დაცვის» პრინციპები გაუქმებულია თვით მოვლენათა მიმდინარეობით დაწყებული სოციალისტური რევოლუციის ვითარებაში. ნამდვილად კი გაუქმებულია არა თვითგამორკვევისა და «სამშობლოს დაცვის» პრინციპები, არამედ მათი ბურჟუაზიული გაგება. საკმარისია შეხედოთ ოკუპირებულ ოლქებს, რომლებიც იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ და განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან; საკმარისია შეხედოთ რუსეთს, რომელიც რევოლუციურ ომს ეწევა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად იმპერიალიზმის ავაზაკებისაგან; საკმარისია ჩაუფიქრდეთ იმ ამბებს, რომლებიც ახლა ავსტრია-უნგრეთში ჩაღდება; საკმარისია შეხედოთ დამონებულ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებს, რომლებმაც უკვე მოაწყეს თავიანთი საბჭოები (ინდოეთი, სპარსეთი, ჩინეთი), — საკმარისია შეხედოთ ყოველივე ამას, რომ გაიგოთ მთელი რევოლუციური მნიშვნელობა თვითგამორკვევის პრინციპისა მისი სოციალისტური გაგებით.

ოქტომბრის გადატრიალების დიდი მსოფლიო მნიშვნელობა უმთავრესად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან:

1) გააფართოვა ნაციონალური საკითხის ფარგლები, გადააქცია იგი ევროპაში ნაციონალურ ჩაგვრასთან ბრძოლის კერძო საკითხიდან იმპერიალიზმისაგან ჩაგრული

ხალხების, კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების განთავისუფლების საერთო საკითხად;

2) შექმნა ფართო შესაძლებლობანი და ნამდვილი გზები ამ განთავისუფლებისათვის, რითაც მნიშვნელოვნად გაუადვილა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს განთავისუფლების საქმე, ჩააბა ისინი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის საერთო ფერხულში;

3) **ამით ხიდი გასდო სოციალისტურ დასავლეთსა და დამონებულ აღმოსავლეთს შორის,** შექმნა რევოლუციების ახალი ფრონტი, დასავლეთის პროლეტარებიდან რუსეთის რევოლუციის მეშვეობით აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებამდე, მსოფლიო იმპერიალიზმის **წინააღმდეგ.**

არსებითად ამით აიხსნება ის აუწერელი ენთუზიაზმი, **რომელსაც** იჩენენ ახლა რუსეთის პროლეტარიატის მიმართ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშრომელი და ექსპლოატირებული მასები.

უმთავრესად ამით აიხსნება ის გააფთრება, რომლითაც ეკვეთნენ ახლა საბჭოთა რუსეთს მთელი მსოფლიოს იმპერიალისტი მტაცებლები.

«პრავდა» №№ 241 და 250;
1918 წ. 6 და 19 ნოემბერი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

შუაკედელი

სოციალისტურ რუსეთსა და რევოლუციურ დასავლეთს შორის შეიქმნა შუაკედელი ოკუპირებული ოლქების სახით.

მაშინ, როდესაც რუსეთში უკვე წელიწადზე მეტია წითელი დროშა ფრიალებს, ხოლო დასავლეთში, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში, პროლეტარულ აჯანყებათა ცეცხლი არა დღეობით, არამედ საათობით იზრდება, — ოკუპირებულ ოლქებში, ფინეთში, ესტლანდიაში, ლატვიაში, ლიტვაში, ბელორუსიაში, პოლონეთში, ბესარაბიაში, უკრაინაში, ყირიმში, უბადრუკ არსებობას განაგრძობენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური «მთავრობები» დასავლეთის დღედათვლილ იმპერიალისტთა მოწყალებით.

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთსა და დასავლეთში უკვე დამხობილი არიან «დიდი» მეფეები და «ყოვლისმპყრობელი» იმპერიალისტები, — ოკუპირებულ ოლქებში კვლავ პარპაშებენ წვრილფეხა მეფეები და ჯუჯა მტაცებლები, უწესოებასა და ძალადობას სჩადიან მუშებისა და გლეხების მიმართ, აპატიმრებენ და ხვრეტენ მათ.

უფრო მეტიც, ისინი, ეს დრომოჭმული «მთავრობები», გაფაციცებით აწყობენ თავიანთ «ნაციონალურ»

თეთრგვარდიულ «პოლკებს», ემზადებიან «გამოსვლებისათვის», ეჩურჩულებიან ჯერ კიდევ დაუმხობელ იმპერიალისტურ მთავრობებს და ადგენენ «თავიანთი» ტერიტორიის «გაფართოების» გეგმებს.

ისინი, უკვე დამხობილ «დიდ» მეფეთა ეს ცოცხლად გახრწნილი აჩრდილები, ეს ჯუჯა «ნაციონალური» «მთავრობები», რომლებიც ბედმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის რევოლუციის ორ გრანდიოზულ კოცონს შუა მოაქცია, ახლა ოცნებობენ ჩააქრონ საერთო რევოლუციური ხანძარი ევროპაში, შეინარჩუნონ თავიანთი კურიოზული არსებობა, უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი!..

რის გაკეთებაც «დიდი» გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის «თვითმპყრობელმა» მეფეებმა ვერ მოახერხეს, ამის გაკეთებას ეს ჯუჯა «მეფეები» ოცნებობენ «ერთი დაკვრით», ორიოდე დეზორგანიზებული თეთრგვარდიული «პოლკის» დახმარებით.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ რუსეთისა და დასავლეთის რევოლუციის მძლავრი ზვირთები ულმობლად აღგვიან კონტრრევოლუციურ მეოცნებეებს ოკუპირებულ ოლქებში. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მოახლოებულია ის ჟამი, როცა ამ ოლქების ჯუჯა «მეფეები» გაჰყვებიან თავიანთი ყოფილი «თვითმპყრობელი» მფარველების კვალს, რომლებიც მათ რუსეთსა და გერმანიაში ჰყავდათ.

ჩვენ საფუძველი არა გვაქვს არ გვწამდეს, რომ კონტრრევოლუციური შუაკედელი რევოლუციურ დასავლეთსა და სოციალისტურ რუსეთს შორის ბოლოს აღგვილი იქნება.

უკვე გაჩნდა რევოლუციის პირველი ნიშნები ოკუპირებულ ოლქებში. გაფიცვები ესტლანდიაში, დემონსტრაციები ლატვიაში, საერთო გაფიცვა უკრაინაში, საერთო რევოლუციური მღელვარება ფინეთში, პოლონეთში,

ლატვიაში, — ყოველივე ეს მხოლოდ პირველი მერცხლებია. რაღა თქმა უნდა, რევოლუცია და საბჭოთა მთავრობები ამ ოლქებში უახლოესი დროის საქმეა.

მრისხანედ და მძლავრად მიიმართება წინ პროლეტარული რევოლუცია. შიშითა და ძრწოლით იხრიან მის წინაშე ქედს სამყაროს ყოფილი «მბრძანებელნი» აღმოსავლეთსა და დასავლეთში და კარგავენ ძველ გვირგვინებს. ოკუპირებული ოლქები და მათი წვრილფეხა «მეფეები» გამონაკლისი ვერ გახდებიან.

ჟურნალ «ნაციონალნოსტეი» № 2,
1918 წ. 17 ნოემბერი.
ხელმოწერილია.

ხელმოწერა. ი. სტალინი.

ნუ დაივიწყებთ აღმოსავლეთს

ევროპაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობის მიმენტში, როდესაც ძველი ტახტები და გვირგვინები ემხობა და ადგილს უთმობს მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციურ საბჭოებს, ხოლო ოკუპირებული ოლქები თავიანთი ტერიტორიიდან ერეკებიან იმპერიალიზმის დამჭაშებს, — ყველას თვალი, ბუნებრივია, დასავლეთზეა მიპყრობილი. უწინარეს ყოვლისა იქ, დასავლეთში, უნდა დაიმსხვრეს იმპერიალიზმის ბორკილი, რომელიც გამოჭედილია ევროპაში და სულს უხუთავს მთელ მსოფლიოს. უწინარეს ყოვლისა იქ, დასავლეთში, უნდა აჩქეფდეს ახალი, სოციალისტური ცხოვრება. ასეთ მომენტში როგორღაც «თავისთავად» უშვებენ მხედველობიდან, ივიწყებენ შორეულ აღმოსავლეთს მისი ასეულ მილიონობით მოსახლეობით, რომელიც დამონებულია იმპერიალიზმის მიერ.

ხოლო აღმოსავლეთის დავიწყება ერთი წუთითაც არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი «დაუშრეტელ» რეზერვსა და «ყოვლად საიმედო» ზურგს წარმოადგენს მსოფლიო იმპერიალიზმისათვის.

იმპერიალისტები აღმოსავლეთს ყოველთვის ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთი კეთილდღეობის საფუძველს. აღმოსავლეთის ქვეყნების აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე (ბამბა, ნავთი, ოქრო, ქვანახშირი, მადანი), — განა იგი არ გახდა «განხეთქილების ვაშლი» ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ, ევროპაში რომ ომობდნენ და დასავლეთზე **ლაყბობდნენ,** იმპერიალისტები მუდამ **ფიქრობდნენ** ჩინეთზე, ინდოეთზე, სპარსეთზე, ეგვიპტეზე, მაროკოზე, ვინაიდან არსებითად ყოველთვის აღმოსავლეთს ეხებოდა საქმე. უმთავრესად ამით აიხსნება ის გულმოდგინება, რომლითაც იცავენ ისინი აღმოსავლეთის ქვეყნებში «წესრიგსა და კანონიერებას»: უამისოდ იმპერიალიზმის ღრმა ზურგი უზრუნველყოფილი არ იქნებოდა.

მაგრამ იმპერიალისტებს მარტო აღმოსავლეთის სიმდიდრეები როდი ესაჭიროებათ. მათ ესაჭიროებათ ის «მორჩილი» «ადამიანთა მასალა», რომელიც უხვად არის აღმოსავლეთის კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში. მათ ესაჭიროებათ «თვინიერი» და იაფი «მუშახელი» აღმოსავლეთის ხალხთაგან. მათ ესაჭიროებათ გარდა ამისა «მორჩილი» «ახალგაზრდა ბიჭები» აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომელთა შორის ისინი აგროვებენ ეგრეთწოდებულ «ფერადკანიანთა» ჯარებს და რომლებსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ «თავისივე საკუთარი» რევოლუციური მუშების წინააღმდეგ. აი რატომ უწოდებენ ისინი აღმოსავლეთის ქვეყნებს თავიანთ «დაუშრეტელ» რეზერვს.

კომუნიზმის ამოცანაა ბოლო მოუღოს აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა საუკუნეობრივ ძილს, გამსჭვალოს ამ ქვეყნების მუშები და გლეხები განმათავისუფლებელი რევოლუციური სულისკვეთებით, აამხედროს ისინი იმპერია-

ლიზმთან საბრძოლველად და, ამრიგად, მოუსპოს მსოფლიო იმპერიალიზმს მისი «ყოვლად საიმედო» ზურგი, მისი «დაუშრეტელი» რეზერვი.

უამისოდ ფიქრიც არ შეიძლება სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე, იმპერიალიზმის სრულ დამარცხებაზე.

რუსეთის რევოლუციამ პირველმა დააყენა ფეხზე აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. დეპუტატთა საბჭოები სპარსეთში, ინდოეთში, ჩინეთში იმის პირდაპირი ნიშანია, რომ აღმოსავლეთის მუშებისა და გლეხების საუკუნეობრივი ძილი წარსულს ჰბარდება.

რევოლუცია დასავლეთში, უეჭველია, ახალ ბიძგს მისცემს რევოლუციურ მოძრაობას აღმოსავლეთში, ჩაუნერგავს მას სიმხნევის სულისკვეთებასა და გამარჯვების რწმენას.

აღმოსავლეთის გარევოლუციურების საქმეს ცოტათი კი არ შეუწყობენ ხელს თვითონ იმპერიალისტები თავიანთი ახალი ანექსიებით, რომლებიც იმპერიალიზმთან ბრძოლაში აბამენ ახალ ქვეყნებს და აფართოებენ მსოფლიო რევოლუციის ბაზას.

კომუნისტების ამოცანაა ჩაერიონ აღმოსავლეთში მზარდი სტიქიური მოძრაობის საქმეში და შემდგომ განავითარონ იგი, — იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეგნებულ ბრძოლამდე.

ამ თვალსაზრისით მუსლიმან კომუნისტთა ამას წინათ შემდგარი კონფერენციის[86] რეზოლუციას აღმოსავლეთის ქვეყნებში, სპარსეთში, ინდოეთში, ჩინეთში პროპაგანდის გაძლიერების შესახებ, — უეჭველია, ღრმა რევოლუციური მნიშვნელობა აქვს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მუსლიმანი ამხანაგები განახორციელებენ თავიანთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

ვინაიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევითვისოთ ის ჭეშმარიტება, რომ, ვისაც სოციალიზმის გამარჯვება სურს, იგი აღმოსავლეთს ვერ დაივიწყებს.

«ეიზნ ნაციონალნოსტეი» № 3,
1918 წ. 24 ნოემბერი.
მოწინავე.

უკრაინა თავისუფლდება[87]

უკრაინა თავისი სიმდიდრით უკვე დიდი ხანია წარმოადგენს იმპერიალისტური ექსპლოატაციის ობიექტს.

რევოლუციამდე უკრაინის ექსპლოატაციას დასავლეთის იმპერიალისტები ეწეოდნენ, ასე ვთქვათ, ჩუმჩუმად, ისე, რომ «საომარ ოპერაციებს» არ მიმართავდნენ. საფრანგეთის, ბელგიისა და ინგლისის იმპერიალისტებმა უკრაინაში შექმნეს უზარმაზარი საწარმოები (ქვანახშირისა, ლითონისა და ა. შ.), ხელთ იგდეს მეტი წილი აქციები და სისხლსა სწოვდნენ უკრაინელ ხალხს ლეგალურად, «კანონიერად», უხმაუროდ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სურათი შეიცვალა. ოქტომბრის რევოლუციამ იმპერიალიზმის საბელი გაწყვიტა, მიწები და საწარმოები უკრაინელი ხალხის კუთვნილებად გამოაცხადა, რითაც იმპერიალისტებს «ჩვეულებრივი», «უხმაურო» ექსპლოატაციის შესაძლებლობა მოუსპო. ამით იმპერიალიზმი განდევნილ იქნა უკრაინიდან.

მაგრამ იმპერიალიზმს არ სურდა დაეთმო, მას არასგზით არ სურდა შერიგებოდა ახალ მდგომარეობას. აქედან — უკრაინის ძალდატანებით დამონების «აუცილებლობა», მისი ოკუპაციის «აუცილებლობა».

ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტები პირველნი იყვნენ, უკრაინის ოკუპაცია რომ მოახდინეს. «რადა» და «გეტმანობა» მათი «დამოუკიდებლობით» წარმოადგენდნენ მხოლოდ სათამაშოს, შირმას, რომელიც მოხერხებულად ფარავდა ამ ოკუპაციას, გარეგნულად «აძლევდა სანქციას» უკრაინის ექსპლოატაციას ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტების მიერ.

დაუსრულებელი დამცირება და განსაცდელი, რაც უკრაინამ ავსტრიულ-გერმანული ოკუპაციის დროს განიცადა, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების დაშლა, სამრეწველო და სარკინიგზო საქმის სრული მოშლა, სახრჩობელები და დახვრეტა, — ვისთვის არ არის ცნობილი ეს ჩვეულებრივი სურათები უკრაინის «დამოუკიდებლობისა» ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტების მფარველობით?

მაგრამ ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებამ და გერმანიის რევოლუციის გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა უკრაინაში. გაიხსნა იმპერიალიზმის უღლისაგან მშრომელი უკრაინის განთავისუფლების გზა. უკრაინის აკლებასა და დამონებას ბოლო ეღება. უკრაინაში გაჩაღებული რევოლუციური ხანძარი აღგვის იმპერიალიზმის უკანასკნელ ნაშთებს მათი «ნაციონალურია» დანამატებიანად. რევოლუციის ზვირთებზე წარმოშობილი «უკრაინის დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა»[38] მოაგვარებს ახალ ცხოვრებას უკრაინის მუშებისა და გლეხების ბატონობის საფუძველზე. უკრაინის საბჭოთა მთავრობის «მანიფესტი», რომელიც გლეხებს უბრუნებს მემამულეთა მიწებს, მუშებს — ფაბრიკებსა და ქარხნებს, ყველა მშრომელსა და ექსპლოატირებულს — სრულ თავისუფლებას, — ეს ისტორიული «მანიფესტი» მეხივით გავარდება უკრაინაში უკრაინის

მტრების თავზარდასაცემად, სადღესასწაულო ზარის რეკვად გაისმება უკრაინის ჩაგრულ შვილთა სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი. ნამდვილი ბრძოლა უკრაინაში მხოლოდ ახლა დაიწყო.

მაშინ, როდესაც გერმანიის იმპერიალიზმის დღეები დათვლილია, ხოლო «გეტმანობა» სულთმობრძავია, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი ჯარებს უყრის თავს და ყირიმში დესანტს ამზადებს უკრაინის ოკუპაციისათვის. ახლა მათ, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს, სურთ დაიკავონ უკრაინის გერმანელ ოკუპანტთა ვაკანტური ადგილი. ამასთან ერთად ზედაპირზე უკვე ამოტივტივდა «უკრაინის დირექტორია»[39] ავანტიურისტ პეტლიურას მეთაურობით, ძველი «დამოუკიდებლობის» ლოზუნგით «ახალ» ყაიდაზე, — ახალი, «გეტმანობაზე» უფრო მოხერხებული შირმა უკრაინის ახალი ინგლისურ-ფრანგული ოკუპაციისათვის!

ნამდვილი ბრძოლა უკრაინაში ჯერ კიდევ წინ არის.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობა შეძლებს საკადრისი პასუხი გასცეს ახალ დაუპატიჟებელ სტუმრებს — დამმონებლებს ინგლისიდან და საფრანგეთიდან.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობა შეძლებს გამოააშკარაოს რეაქციული როლი ფათერაკთა მაძიებლებისა ვინიჩენკო-პეტლიურას ბანაკიდან, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ ამზადებენ ინგლისელ და ფრანგ დამმონებელთა მოსვლას.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობა შეძლებს თავის გარშემო დარაზმოს უკრაინის

მუშები და გლეხები და ღირსეულად წაიყვანს მათ საბრძოლველად და გამარჯვების მოსაპოვებლად.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა უკრაინის ყველა ერთგულ შვილთ დაეხმარონ უკრაინის ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობას და გაუადვილონ მას სახელოვანი ბრძოლა უკრაინის სულთამხუთავების წინააღმდეგ.

უკრაინა თავისუფლდება — გაეშურეთ მის დასახმარებლად!

«ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 4,
1918 წ. 1 დეკემბერი.
მოწინავე.

ხელმოწერა: ს ტ ა ლ ი ნ ი.

სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის [1]

ნელა, მაგრამ შეუკავებლად მიგორავს განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ — ოკუპირებულ მხარეებში. ნელა, მაგრამ ასევე შეუჩერებლად იძირებიან არყოფნის უფსკრულში ესტლანდიის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის «ახალი» ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური «მთავრობები» და ადგილს უთმობენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. რუსეთსა და გერმანიას შორის შუაკედელი ეცემა, ქრება. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ლოზუნგს «მთელი ძალაუფლება ნაციონალურ ბურჟუაზიას» სცვლის პროლეტარული სოციალიზმის ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელ მასებს».

ერთი წლის წინათ, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, განმათავისუფლებელი მოძრაობა იმავე მიმართულებით, იმავე ლოზუნგით მიმდინარეობდა. მაშინ განაპირა მხარეებში შექმნილმა ბურჟუაზიულ-ნაციონალურმა «მთავრობებმა», რუსეთიდან მოძალებული სოციალისტური მოძრაობის ტალღის შეჩერების სურვილით, ომი გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას. მათ სურდათ დაეარსებინათ განაპირა მხარეებში ცალკე ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რათა ნაციონალური ბურჟუაზიის ხელში

შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და პრივილეგიები. მკითხველებს ახსოვთ, რომ ეს კონტრრევოლუციური წამოწყება მარცხით დამთავრდა: ეს «მთავრობები», რომლებზეც შიგნიდან იერიში მიიტანეს «თავისმავე საკუთარმა» მუშებმა და გლეხებმა, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. შემდეგ გერმანიის იმპერიალიზმის მიერ დაწყებულმა ოკუპაციამ შეწყვიტა განაპირა მხარეების განთავისუფლების პროცესი და ძალის უპირატესობა შეუქმნა ბურჟუაზიულ-ნაციონალურ «მთავრობებს». ახლა, გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებისა და განაპირა მხარეებიდან საოკუპაციო ჯარების განდევნის შემდეგ, განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესი ახალი ძალით, ახალი, უფრო მკაფიო ფორმებით განახლდა.

ესტლანდიის მუშებმა პირველებმა ააფრიალეს აჯანყების დროშა. ესტლანდიის შრომის კომუნა[41] ძლევამოსილად მიდის წინ, ანგრევს ესტლანდიის ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური «მთავრობის» საფუძვლებს, საბრძოლველად რაზმავს ესტლანდიის ქალაქებისა და სოფლების მშრომელ მასებს. ესტლანდიის საბჭოთა მთავრობის შეკითხვის პასუხად, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ საქვეყნოდ ცნო ესტლანდიის სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ ეს აქტი რუსეთის საბჭოთა მთავრობის ვალსა და მოვალეობას წარმოადგენს? საბჭოთა რუსეთი არასოდეს არ უყურებდა დასავლეთ ოლქებს, როგორც თავის სამფლობელოებს. მას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ეს ოლქები განუყოფლად ეკუთვნის იქ მოსახლე ეროვნებათა მშრომელ მასებს, რომ ამ მშრომელ მასებს სრული უფლება აქვთ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური ბედი. ცხადია, ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს საბჭოთა რუსეთის ყოველმხრივ დახმარებას ჩვენი ესტლანდიელი ამხანაგები-

სადმი მათს ბრძოლაში ბურჟუაზიის უღლისაგან მშრომელი ესტლანდიის განთავისუფლებისათვის.

ლატვიის მუშებმაც მოჰკიდეს ხელი თავიანთი ტანჯული სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. დეპუტატთა საბჭოების აღდგენა ვეროში, ვალკში, რიგაში, ლიბავასა და ლატვიის სხვა ადგილებში, რიგის მუშების ცდები რევოლუციური გზით მოიპოვონ აუცილებელი პოლიტიკური თავისუფლებანი, ლატვიელ მსროლელთა სწრაფი წინსვლა რიგისაკენ, — ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ბურჟუაზიულ-რესპუბლიკურ «მთავრობას» ლატვიაში იგივე ბედი ელის, რაც ესტლანდიაში. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, ამ დღეებში უნდა მოხდეს ლატვიის დროებითი საბჭოთა მთავრობის ოფიციალური გამოცხადება [42]. რაღა თქმა უნდა, ეს აქტი, თუ იგი ნამდვილად მოხდა, დააჩქარებს და გააფორმებს იმპერიალიზმისაგან ლატვიის განთავისუფლების საქმეს.

ლატვიელი მუშების კვალდაკვალ მიდიან ლიტვის მუშები და გლეხები. დეპუტატთა საბჭოების, მართალია, ჯერ კიდევ ნახევრადლეგალურის, შექმნა ვილნოში, შავლში, კოვნოსა და ლიტვის სხვა ადგილებში; უმაგალითო რევოლუციური აქტივობა, რაც ლიტველმა სოფლის მეურნეობის მუშებმა გამოიჩინეს იმ საქმეში, რომ მსხვილი ეკონომიები დაეცვათ მემამულეების მიერ დატაცებისაგან; ლიტველ მსროლელთა სწრაფი წინსვლა ლიტვის სიღრმეში; დასასრულ, ის გარემოება, რომ, ჩვენი ცნობებით, განზრახულია ლიტვის დროებითი საბჭოთა მთავრობის გამოცხადება, — ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ლიტვის ყბადაღებულ ტარიბას [43] თავისი ლატვიური და ესტლანდიური ასლების ბედი არ ასცდება.

ოკუპირებული ოლქების ნაციონალურ «მთავრობათა» ეფემერულობა აიხსნება არა მარტო მათი ბურჟუაზიული

ხასიათით, რომელიც უცხოა მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ გარემოებითაც, რომ ისინი საოკუპაციო ხელისუფალთა უბრალო დანამატს წარმოადგენენ, რასაც არ შეიძლებოდა არ მოესპო მათთვის ყოველგვარი მორალური წონა მოსახლეობის ფართო ფენების თვალში. ამ მხრივ საოკუპაციო პერიოდმა განაპირა მხარეების განვითარებაში უეჭველად შეასრულა თავისი დადებითი როლი, — მან ბოლომდე გამოააშკარავა ნაციონალური ბურჟუაზიის გახრწნილობა და გამცემლობა.

აშკარაა, საქმე ისე მიდის, რომ დასავლეთი ოლქები, მათი მშრომელი მასები, რომლებიც დღემდე იმპერიალისტთა თაღლითური ფანდების ობიექტს წარმოადგენდნენ, — დღეს თუ არა, ხვალ თავს გაითავისუფლებენ და, ბოლოს, საკუთარ ფეხზე დადგებიან...

ჩრდილოეთით, ფინეთში, ჯერჯერობით «სიწყნარეა». მაგრამ ეს სიწყნარე, უეჭველია, ფარავს ღრმა შინაგან მუშაობას, რასაც ეწევიან ერთი მხრივ მუშები და ტორპარები, რომლებიც განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან, ხოლო მეორე მხრივ — სვინჰუვუდის მთავრობა, რომელიც რაღაც საეჭვოდ ხშირად იცვლის მინისტრებს და დაუსრულებლივ ეჩურჩულება ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებს. ფინეთიდან საოკუპაციო ჯარების წასვლა, უეჭველია, დააჩქარებს სვინჰუვუდის ავაზაკური კომპანიის ლიკვიდაციის საქმეს, — ამ კომპანიამ ხომ სავსებით სამართლიანად დაიმსახურა უდიდესი ზიზღი ფინეთის მოსახლეობის ფართო ფენებში.

სამხრეთით, უკრაინაში, ისეთი სიწყნარე როდია, როგორც ფინეთში, — სრულიადაც არა! აჯანყებულთა ჯარები მტკიცდებიან და ირაზმებიან, სამხრეთისაკენ მიიწევენ. ხარკოვი, სანიმუშოდ მოწყობილი სამი დღის გაფიცვის

შემდეგ, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადავიდა. პეტლიურელები, გერმანელი ოკუპანტები და სკოროპადსკის აგენტები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მუშების ნებას. ეკატერინოსლავში აშკარად მოქმედებს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭო. უკრაინის დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობის ცნობილი მანიფესტი ლეგალურად დაიბეჭდა და გამოკრულ იქნა ეკატერინოსლავის ქუჩებში. «ხელისუფალნი» უძლური აღმოჩნდნენ ხელი შეეშალათ ასეთი «კადნიერებისათვის». აღარას ვამბობთ აჯანყებული უკრაინელი გლეხების მძლავრ მოძრაობაზე, რომლებიც უკრაინის საბჭოთა მთავრობის მანიფესტს იღებენ ისე, როგორც სახარებას.

ხოლო შორეულ სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ინგუშები და ჩაჩნები, ოსები და ყაბარდოელებიც კი მთელ ჯგუფებად გადმოდიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, იარაღით წმენდენ თავიანთ სამშობლოს ინგლისის იმპერიალიზმის დაჭირავებული ბანდებისაგან.

განა თქმა უნდა, რომ ყოველივე ეს ამაოდ არ ჩაივლის დასავლეთის ჩაგრული ხალხებისათვის და უწინარეს ყოვლისა ავსტრია-უნგრეთის ხალხებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი ნაციონალური მოძრაობის პერიოდს, მაგრამ გარემოებათა ძალით უკვე შევიდნენ იმპერიალიზმთან ბრძოლის ხანაში?

ყველა ამ უდიდესი ამბის ცენტრში დგას მსოფლიო რევოლუციის მედროშე — საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს აღაფრთოვანებს გამარჯვების რწმენით, ხელს უწყობს მათს განმათავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

რა თქმა უნდა, არც მეორე ბანაკს — იმპერიალისტთა ბანაკს სძინავს. მისი აგენტები დაძრწიან ყველა ქვეყანაში, ფინეთიდან კავკასიამდე, ციმბირიდან თურქესტანამდე, ამარაგებენ კონტრრევოლუციონერებს, აწყობენ ყაჩაღურ შეთქმულებებს, მართავენ ლაშქრობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ბორკილებს ჭედავენ დასავლეთის ხალხებისათვის. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ იმპერიალისტების ხროვამ უკვე დაკარგა ყოველი მორალური წონა ჩაგრულ ხალხთა თვალში, რომ მას სამუდამოდ მოსცილდა «ცივილიზაციისა» და «ჰუმანურობის» მედროშის ყოფილი შარავანდედი და რომ იგი თავის ავაზაკურ არსებობას ინარჩუნებს მოსყიდვითა და დაქირავებული ბანდებით, აფრიკელ ეგრეთწოდებულ «ფერადკანიანთა» მონობითა და სიბნელით?..

სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის!

დასავლეთი თავისი იმპერიალისტი კაცობამიებით სიბნელისა და მონობის კერად იქცა. ამოცანა ის არის, რომ გავაცამტვეროთ ეს კერა ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ.

«ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 6,
1918 წ. 15 დეკემბერი.
მოწინავე.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

საქმე წინ მიდის

დასავლეთი ოლქების განთავისუფლების პროცესი მიმდინარეობს. რევოლუციის ტალღა კვლავ ძლიერდება და თავის გზაზე ყველა დაბრკოლებას ამსხვრევს. ძველი სამყაროს აგენტები და ესტლანდიის, ლატვიის, ლიტვის ბნელეთის მოციქულები თავზარდაცემულნი გარბიან.

ესტლანდიის მსროლელები უკვე გარს ერტყმიან დიდმნიშვნელოვან საკვანძო პუნქტს ტაპსს. ჩვენი ფლოტი, თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანებისა, საბჭოთა ესტლანდიას იცავს შესაძლო სიურპრიზებისაგან ზღვის მხრიდან. ესტლანდიაში სოციალიზმის წითელი დროშა ფრიალებს. ესტლანდიის მშრომელი მასები ზეიმობენ. რეველის განთავისუფლება შორს აღარ არის. რაღა თქმა უნდა, ინგლისის ჯარები, თუ ისინი ესტლანდიაში მოვლენ ოკუპაციისათვის, მთელი ესტონელი ხალხის საერთო წინააღმდეგობას წააწყდებიან.

რევოლუციური ხანძარი ლიტვაში მზარდი ძალით ჩაღდება. ვილნა უკვე მუშათა და უმიწაწყლო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ხელშია. გრანდიოზულმა დემონსტრაციებმა, რომლებიც ამ დღეებში ვილნაში[45] მოხდა, კაიზერის ტარიბის საბოლოო დეზორგანიზაცია გამოიწვია. ვილნის საბჭოს მხურვალე სალამი სახალხო კომისართა

საბჭოსა და წითელი არმიისადმი[46] საკმაოდ მკაფიოდ მოწმობს ლიტვის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს. საბჭოები კოვნოში, შავლსა და სხვა ქალაქებში, საბჭოები თემებსა და სოფლებში ჯალათ გენერალ ჰოფმანის ცხვირწინ, — ყოველივე ეს საბჭოთა რევოლუციის შეტევის ძალას მოწმობს. ლიტვის მუშური მთავრობა[47], რომელიც ვილეიკაში შეიქმნა, თავისი მგზნებარე მანიფესტით, უეჭველად შექმნის ლიტვის რევოლუციური ძალების გაერთიანების საიმედო ცენტრს. ლიტვის წითელი მსროლელები განთავისუფლებას მოუტანენ თავიანთ სამშობლოს. ლიტვის მუშათა მთავრობის აღიარება რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ[48] განუმტკიცებს მათ საბოლოო გამარჯვების რწმენას.

მძაფრად და შეუკავებლად იზრდება რევოლუცია ლატვიაში. ლატვიის სახელოვანი წითელი მსროლელები, რომლებმაც უკვე აიღეს ვალკი, ძლევამოსილად გარს ერტყმიან რიგას. ლატვიის საბჭოების მთავრობას, რომელიც ამ დღეებში შეიქმნა, მტკიცე ხელით მიჰყავს გამარჯვებისაკენ ლატვიის მუშები და უმიწაწყლო გლეხები. იგი ააშკარავებს ბერლინის მთავრობისა და გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთა ორჭოფულ პოლიტიკას და თავის მანიფესტში პირდაპირ აცხადებს:

«ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ყოველგვარ ჩარევას ჩვენი ფეოდალურ-ბურჟუაზიული მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ, თუნდაც ამ ჩარევას გვემუქრებოდეს მთავრობა, რომელიც თავის თავს სოციალისტურს უწოდებს».

ლატვიის საბჭოთა მთავრობას მხოლოდ ყველა ქვეყნის და უწინარეს ყოვლისა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის დახმარების იმედი აქვს. იგი ამბობს:

«ჩვენ ვთხოულობთ დახმარებას და მოველით მას მთელი მსოფლიოს ჭეშმარიტად რევოლუციური პროლე-

ტარიატისაგან, განსაკუთრებით კი რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისაგან».

განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ყოველნაირად დაეხმარება განთავისუფლების გზაზე დამდგარ ლატვიას და მის გმირ მსროლელებს?

ჩრდილოეთით, ფინეთში, ჯერ კიდევ «სიწყნარეა». მაგრამ მოჩვენებითი სიწყნარისა და სიმშვიდის პირობებში კონტრრევოლუციას არ სძინავს, იგი ახალი ბრძოლებისათვის ემზადება. სვინჰუვუდის გადადგომა და მანერჰეიმის დანიშვნა მოასწავებს ამ ქვეყანაში «რეფორმებზე» ხელის აღებას და ინგლისის მიერ განზრახულ ლაშქრობას პეტროგრადის წინააღმდეგ ფინეთის გზით. ამან კი არ შეიძლება არ გაამწვავოს მოახლოებული რევოლუციური კრიზისი ფინეთში.

უკრაინაში სკოროპადსკის გაქცევა, რაც ნოტებით გაითამაშეს, და ანტანტის მიერ ვინიჩენკოს დირექტორიის აღიარება ააშკარავებს ანტანტის დიპლომატიის ახალი «მუშაობის» ახალ სურათს. აშკარაა, ბ-ნი პეტლიურა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ «დამოუკიდებლობის» მახვილს აჟღარუნებდა, დღეს იხრება ანტანტის, ე. ი. კრასნოვისა და დენიკინის ჯარებისაკენ, რომლებიც მის «დასახმარებლად» მიდიან. უკრაინის მთავარ მტრად გამოცხადებული არიან აჯანყებულთა ჯარები და საბჭოები. მთავარ მეგობრად — «სასურველი სტუმარი» ანტანტა და მისი მეგობრები — კრასნოვ-დენიკინის თეთრგვარდიელები, რომლებმაც უკვე მოახდინეს დონეცის აუზის ოკუპაცია. ბ-ნი პეტლიურა, რომელმაც უკრაინა ერთხელ მიჰყიდა გერმანელებს, ახლა მას ხელახლა ჰყიდის ინგლისელ იმპერიალისტებს. რაღა თქმა უნდა, უკრაინის მუშები და გლეხები მხედველობაში მიიღებენ ვინიჩენკო-

პეტლიურას გამცემლობის ამ ახალ ნაბიჯს. უკრაინაში ყოველ საათობით გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობა და პეტლიურას არმიის რიგებში უკვე დაწყებული გახრწნის პროცესი საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს ამას.

საქმე წინ მიდის...

«ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 7,
1918 წ. 22 დეკემბერი.

მოწინავე.

წერილი ვ. ი. ლენინს ალმოსავლეთის ფრონტიდან [49]

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ ლენინს

გამოძიება დაიწყო. გამოძიების მსვლელობას გზადაგზა გაცნობებთ. ჯერჯერობით საჭიროდ მიგვაჩნია გაცნობოთ III არმიის ერთი გადაუდებელი საჭიროება. საქმე ის არის, რომ III არმიისაგან (30 ათას კაცზე მეტი) დარჩა მხოლოდ 11 ათასამდე დაღლილი, მოქანცული ჯარისკაცი, რომლებიც ძლივს აკავებენ მოწინააღმდეგის მოწოლას. მთავარსარდლის მიერ გამოგზავნილი ნაწილები არასაიმედონი არიან, ნაწილობრივ მტრულადაც კი არიან განწყობილნი ჩვენდამი და სერიოზულ გაწმენდას საჭიროებენ. იმისათვის, რომ გადავარჩინოთ III არმიის ნაშთები და თავიდან ავიცილოთ მოწინააღმდეგის სწრაფი წამოწევა ვიატკამდე (ფრონტისა და III არმიის მეთაურთა შემადგენლობისაგან მიღებული ყველა ცნობის მიხედვით, ეს საშიშროება სავსებით რეალურია), **აბსოლუტურად** აუცილებელია **სასწრაფოდ** გადმოყვანილ იქნას რუსეთიდან არმიის სარდლის განკარგულებაში სულ ცოტა სამი **სრულიად** საიმედო პოლკი. დაბეჯითებით გთხოვთ

ამ მიმართულებით ზეგავლენა მოახდინოთ სათანადო სამხედრო დაწესებულებებზე. ვიმეორებთ: თუ ასეთი ზომა არ იქნა მიღებული, ვიატკას პერმის ბედი მოელის, ასეთია საქმესთან ახლო მდგომი ამხანაგების საერთო აზრი, რომელსაც ჩვენ ვუერთდებით ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა მასალის საფუძველზე.

სტალინი
ფ. ძერჟინსკი

1919 წ. 5 იანვარი, ვიატკა.
საღამოს 8 საათი.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 301,
1929 წ. 21 დეკემბერს.

Председателю Совета Обороны
т-щу Ленину.

Расстояние какое. Оружие расстреляно будем
сообщать позднее. Пока имеем пустяки заявля
Вам об одном, не терпящем отлагательства, неудаче
XI-ой армии. Дело в том, что от XI-ой армии (было
до нашего отъезда около 11 тысяч штыков, изре-
шенных сыпью, все сражающихся налет противника.
Принимаемые главкомом меры недостаточны, нужно сей-
час вмешательство к нам и посылайте в сердцах фель-
дъегерей. Для спасения остатков XI-ой армии и предотвра-
щения быстрого продвижения противника со Взлки
(по всем данным, количество его кавказского со-
става дошло в XI-ой армии, на опасность совер-
шенно реально) абсолютно необходимо срочно пере-
кинуть все войска в распоряжение командования
по крайней мере 3 свежих полка. Подкрепление нужно сейчас в Орел направ-
лять нашим на сосредоточивающейся возвышен-
ности. Повторяем: без этого новый Вязьма и город-
ской узел Орел, таков общее мнение начсар-
мии и всех руководящих, к которому мы присое-
диняемся на основании всех имеющихся у нас
данных.

Сталин

5/I 1919 3 ч.
8 часов вечера.

Ф. Дзержинский

ხელნაწერი ი. ბ. სტალინის და ფ. ე. ძერჟინსკის წერილისა ვ. ი. ლენინისადმი. 1919 წლის 5 იანვარი
დაპატარავებულია

მოხსენება ვ. ი. ლენინს

ამხანაგ ლენინს

თქვენი დაშიფრული დეპეშა მივიღეთ. კატასტროფის მიზეზები, გამოძიების მასალების მიხედვით, უკვე გაცნობეთ [50]: არმია, რომელსაც მოქანცული ნაწილები ჰყავდა, ხოლო რეზერვები და მტკიცე სარდლობა არ მოეპოვებოდა, ამასთან ფლანგზე იდგა და ჩრდილოეთიდან შემოვლის საფრთხე ემუქრებოდა, — ასეთი არმია არ შეიძლებოდა არ დაშლილიყო მოწინააღმდეგის ახალი ჭარბი ძალების სერიოზული შემოტევისას. ჩვენი აზრით, აქ ბრალი მიუძღვის არა მარტო III არმიის ორგანოებისა და უახლოესი ზურგის სისუსტეს, არამედ აგრეთვე

1) მთავარ შტაბსა და საოლქო სამხედრო კომისარიატებს, რომლებიც ადგენენ და ფრონტზე გზავნიან აშკარად არასაიმედო ნაწილებს,

2) კომისართა სრულიად რუსეთის ბიუროს, რომელიც ზურგში შედგენილ ნაწილებს ბიჭებუჭებს უგზავნის და არა კომისრებს,

3) რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, რომელიც თავისი ეგრეთწოდებული დირექტივებითა და ბრძანებებით არღვევს ფრონტისა და არმიების მართვის

საქმეს. თუ სამხედრო ცენტრში სათანადო ცვლილებები არ მოხდა, არ არის გარანტია, რომ ფრონტებზე წარმატება გვექნება.

ჩვენი პასუხი სამხედრო პირთა შეკითხვებზე.

1. **ორი პოლკის შესახებ.** ტყვედ დანებდა ორი პოლკი: 1-ლი საბჭოთა და პიტერელ მატროსთა პოლკი. ჩვენს წინააღმდეგ მტრული მოქმედება მათ არ დაუწყიათ. ჩვენს წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო სოფელ ილინსკოეში მდგარმა მე-10 დივიზიის მე-10 ცხენოსანმა პოლკმა, რომელიც შედგენილი იყო ურალის ოლქის სამხედრო კომისარიატის მიერ. გარდა ამისა, თავიდან აცილებულ იქნა ამბოხება მე-10 საინჟინრო პოლკისა, რომელიც ოჩერის ქარხანაში იდგა და შედგენილი იყო აგრეთვე საოლქო სამხედრო კომისარიატის მიერ. მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლის, ისევე როგორც მტრული მოქმედების მიზეზია პოლკების კონტრრევოლუციურობა, რაც აიხსნება მობილიზაციისა და ნაწილების შედგენის ძველი მეთოდებით, როცა სამხედრო სამსახურში გაწვეულთა წინასწარი წმენდა არ ხდება, ამასთანავე პოლკებში მინიმალური პოლიტიკური მუშაობაც არ წარმოებს.

2. **მოტოვილიხა.** ქარხნის მანქანათა ნაწილები და ელექტროსაამქროს ნაწილები ყველა ნაწილის აღწერილობით თავის დროზე მოიხსნა და დაიტვირთა ვაგონებში, მაგრამ ისინი არ გაუზიდავთ, არ მოუსპიათ. პასუხისმგებლობა ეკისრება ცენტროკოლეგიას [61], სამხედრო მიმოსვლის უფროსს და არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, რომელმაც უმაგალითო დაუდევრობა გამოიჩინა. მოტოვილიხის მუშების ხუთი მეექვსედი პერმში დარჩა, დარჩა ქარხნის მთელი ტექნიკური პერსონალი და ნედლი მასალა. ყველა ცნობის მიხედვით, ქარხნის ამუშავება თვენახევარში შეიძლება. ხმები პერმის დაცემის წინა-

დღეს მოტოვილიხის მუშების აჯანყების შესახებ არ დასტურდება, იყო მხოლოდ ძლიერი მღელვარება სასურსათო უწესრიგობის ნიადაგზე.

3. **ხიდისა და ძვირფას ნაგებობათა აფეთქების შესახებ.** ხიდი და სხვ. არ აუფეთქებიათ არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დაუდევრობისა და უკანდახეულ ნაწილებსა და არმიის შტაბს შორის კავშირის უქონლობის მიზეზით. არის ვერსია, რომ იმ ამხანაგმა, რომელიც მოვალე იყო აეფეთქებინა ხიდი, ვერ შეძლო თავისი ამოცანის შესრულება, იმიტომ რომ იგი თეთრგვარდიელებმა მოკლეს აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე. ამ ვერსიის შემოწმება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ხიდის მცველთა გაქცევისა და მთელი რიგი «საბჭოთა» მუშაკების «გაურკვეველი მიმართულებით» წასვლის გამო.

4. **პერმთან მდგარი რეზერვების შესახებ.** რეზერვი შედგებოდა ერთი მოუმაგრებელი და არასაიმედო «საბჭოთა პოლკისაგან», რომელიც ფრონტზე გასვლისთანავე მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა. სხვა რეზერვები არ ყოფილა.

5. **მატერიალური ნაწილისა და ადამიანთა დანაკარგი.** დანაკარგთა **სრული** სურათის აღდგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რადგან მთელი რიგი დოკუმენტები დაკარგულა და საქმესთან ახლო მდგომი მთელი რიგი «საბჭოთა» მუშაკი-სპეციალისტები მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულან.

არსებული მცირე ცნობებით, ჩვენ დავკარგეთ: 297 ორთქლმავალი (მათში 86 — დაზიანებული), დაახლოებით 3 ათასი ვაგონი (ალბათ მეტი), 900 ათასი ფუთი ნავთობი და ნავთი, რამდენიმე ასეული ათასი ფუთი კაუსტიკური სოდა, 2 მილიონი ფუთი მარილი, ხუთი მილიონი მანეთის მედიკამენტი, მოტოვილიხის ქარხნისა და პერმის

რკ. გზ. სახელოსნოების სამასალო საწყობები უდიდესი სიმდიდრით, მოტოვილიხის ქარხნის მექანიზმები და ნაწილები, კამის ფლოტილიის გემთა მექანიზმები, 65 ვაგონი ტყავი. არმიის მომარაგების განყოფილების 150 ვაგონი სურსათი, წყლის ტრანსპორტის რაიონული სამმართველოს უდიდესი საწყობი ბამბით, მანუფაქტურით, ოლეონაფტითა და სხვ., 10 ვაგონი დაჭრილი მეომრებით, რკინიგზის ღერძთა პარკი ამერიკული ღერძების დიდი მარაგით, 29 ქვემეხი, 10 ათასი ყუმბარა, 2 ათასი თოფი, 8 მილიონი ვაზნა, რვა ათასზე მეტი მოკლული, დაჭრილი და უკვალოდ დაკარგული 22-დან 29 დეკემბრამდე. პერმში დარჩა ყველა სპეციალისტი-რკინიგზელი და თითქმის ყველა სპეციალისტი-მომმარაგებელი. დანაკარგთა აღწუსხვა გრძელდება.

6. **არმიის ახლანდელი რიცხობრივი საბრძოლო შემადგენლობა.** მესამე არმია ამჟამად შედგება ორი დივიზიისაგან (29-ე და 30-ე) 14 ათასი ქვეითი და 3 ათასი ცხენოსანი მებრძოლით, 323 ტყვიამფრქვევით, 78 ქვემეხით. რეზერვები — რუსეთიდან გამოგზავნილი მე-7 დივიზიის ბრიგადა, რომელიც ჯერ კიდევ არ გაგვიყვანია საბრძოლველად, რადგან იგი საიმედო არ არის და სერიოზულ წმენდას საჭიროებს. ვაცეტისის მიერ დაპირებული სამი პოლკი ჯერ არ ჩამოსულა (და არც ჩამოვა, ვინაიდან გუშინ მიუღიათ ახალი დანიშნულება — ნარვისაკენ) [52]. მოქმედი ნაწილები შებერტყილი, მოქანცული არიან და ძლივს ძლებენ ფრონტზე.

7. **III არმიის მართვის წესი.** ერთი შეხედვით მართვის წესი ჩვეულებრივია, «დებულების მიხედვით», ნამდვილად კი არავითარი წესი არ არსებობს, აბსოლუტური უთადარიგობაა, თავისი საბრძოლო უბნისაგან მოწყვეტილობა, დივიზიების ფაქტიური ავტონომიურობა.

8. **საკმარისია თუ არა უკანდახევის შესაჩერებლად მიღებული ზომები.** მიღებული ზომებიდან სერიოზულად შეიძლება ჩაითვალოს: 1) II არმიის წაწევა კუნგურისაკენ, რაც, უეჭველია, III არმიისათვის დიდ დახმარებას წარმოადგენს და 2) სტალინ-ძერჟინსკის ღონისძიებათა მეოხებით ფრონტზე 900 სავსებით საიმედო დასვენებული ქვეითი მეომრის გაგზავნა, რომლებიც მოწოდებული არიან გარდატეხა მოახდინონ III არმიის დაცემულობის განწყობილებაში. ორი დღის შემდეგ ფრონტზე ვგზავნით ორ ესკადრონ კავალერიას და მე-3 ბრიგადის 62-ე პოლკს (უკვე გაცხრილულს). 10 დღის შემდეგ ერთი პოლკი კიდევ წავა. III არმიის ფრონტმა ეს იცის, ხედავს ზურგის მზრუნველობას და მას მხნეობა ემატება. უეჭველია, მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვიდრე ორი კვირის წინათ იყო. ადგილ-ადგილ არმია შეტევაზეც კი გადადის და არც თუ წარუმატებლად. თუ მოწინააღმდეგემ ორ კვირას კიდევ მოგვათქმევინა სული, ე. ი. თუ ფრონტს ახალი შესვენებული ძალები არ მოაყარა, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ III არმიის უბანზე მტკიცე მდგომარეობა შეიქმნება.

ახლა ჩვენ იმისათვის ვზრუნავთ, რომ ჩავშალოთ მოწინააღმდეგის ზოგიერთი რაზმის ცდა ჩრდილოეთით შემოვლითი მოძრაობისა ვიატკისაკენ კაიგოროდის შარაგზით. ვიატკაში ჩვენ, სხვათა შორის, იმისათვის ჩამოვედით, რომ კაიგოროდისაკენ გავგზავნოთ მოთხილამურეთა რაზმი, რასაც კიდეც გავაკეთებთ. რაც შეეხება სხვა ზომებს (ზურგის განმტკიცებას), ჩვენ ვატარებთ როგორც რიგითი, ისე არარიგითი მუშაკების მობილიზაციას, ვგზავნით მათ არმიის ზურგის ნაწილებში, ვწმენდთ გლახოვის, ვიატკის დეპუტატთა საბჭოებს. მაგრამ ამ მუშაობის შედეგები, რასაკვირველია, მალე როდი იჩენს თავს.

ამით ამოიწურება მიღებული ზომები. საკმარისად მათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით, ვინაიდან III არმიის მოჭანცული ნაწილები დიდხანს ვერ გაძლებენ, თუ ნაწილობრივ მაინც არ იქნენ შეცვლილნი. ამიტომ საჭიროა გამოიგზავნოს აქ ორი პოლკი მაინც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გარანტირებულად ჩაითვალოს ფრონტის სიმტკიცე. გარდა ამისა საჭიროა:

1) არმიის სარდლის შეცვლა,

2) სამი საქმიანი პოლიტიკური მუშაკის გამოგზავნა,

3) საოლქო კომიტეტის, საოლქო საბჭოს და სხვ. სახწრაფოდ დაშლა ევაკუირებულ მუშაკთა მობილიზაციის დაჩქარების მიზნით.

ი. სტალინი
ფ. ძერჟინსკი

1919 წ. 19 იანვარი, ვიატკა.

P. S. რამდენიმე დღის შემდეგ უკანვე წავალთ გლაზოვში გამოძიების დასამთავრებლად.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის კრებულში XXXIV.

სიტყვა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე ვიატკაში

1919 წ. 19 იანვარს

(საოქმო ჩანაწერი)

როცა საერთო მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვთქვათ, რომ ფრონტის ერთგვარი სიმტკიცე უახლოესი დროისათვის უზრუნველყოფილია, და აუცილებელია სწორედ ახლა შეიქმნას ვიატკის გუბერნიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. თუ მოწინააღმდეგემ წინ წამოიწია, მას დაეხმარება კონტრრევოლუციური აჯანყებები შიგნით, რომლებთანაც წარმატებით ბრძოლა შეუძლია მხოლოდ ვიწრო, მოძრავ ორგანიზაციას, როგორიც უნდა იყოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.

აუცილებელია ახლავე შეიქმნას ახალი ცენტრი, სადაც შევლენ წარმომადგენლები:

1) საგუბერნიო აღმასკომისა,
2) საოლქო საბჭოსი,
3) პარტიის საგუბერნიო კომიტეტისა,
4) საგანგებო კომისიისა,
5) საოლქო სამხედრო კომისარიატისა.

ვიატკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში მოქცეული უნდა იყოს მთელი ძალები, მთელი სახს-

რები, მაგრამ საბჭოთა ორგანოების მიმდინარე მუშაობა კი არ უნდა შეწყდეს, არამედ უნდა გაძლიერდეს.

საგუბერნიო ცენტრის მაგალითის მიხედვით, ასეთივე ორგანოები უნდა შეიქმნას მაზრებში.

რევოლუციური კომიტეტების ასეთი ქსელის საშუალებით განხორციელდება კავშირი ადგილებთან.

და მხოლოდ ამ გზით ვიქნებით მზად ახალი შეტევისათვის.

ამხანაგი **სტალინი** აყალიბებს თავის წინადადებას:

ზურგის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის და ვიატკის გუბერნიის ყველა საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გაერთიანების მიზნით იქმნება ვიატკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლის, როგორც გუბერნიაში საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, გადაწყვეტილებებს ემორჩილებიან ხსენებული დაწესებულებები და ორგანიზაციები.

პირველად დაიბეჭდა გაზეთ
«გორკოვსკაია კომუნაში» № 290,
1934 წ. 18 დეკემბერს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თავდაცვის საბჭოს კომისიის ანგარიში ამხანაგ ლენინისადმი 1918 წლის დეკემბერში პერმის დაცემის მიზეზების შესახებ

კატასტროფის საერთო სურათი

კატასტროფის გარდუვალობა უკვე ნოემბრის დამლევს გამოირკვა, როცა მოწინააღმდეგემ, რომელიც ნახევარრკალად შემოერტყა მესამე არმიას ნადეჟდინსკი — ვერხოტურიე — ბარანჩინსკი — კინ — ირგინსკი — როჟდესტვენსკის ხაზით თვით კამის მარცხენა ნაპირამდე და გაძლიერებულ დემონსტრაციას ეწეოდა თავისი მარჯვენა ფლანგით, გააფთრებული შეტევა დაიწყო კუშვაზე.

მესამე არმია ამ მომენტისათვის შედგებოდა 30-ე დივიზიისა, მე-5 დივიზიისა, განსაკუთრებული ბრიგადისა, განსაკუთრებული რაზმისა და 29-ე დივიზიისაგან, სულ დაახლოებით 35 ათასი ქვეითი და ცხენოსანი მებრძოლით, 571 ტყვიამფრქვევითა და 115 ქვემეხით (იხ. «საბრძოლო და საბინაო განრიგი»).

არმიის მორალურ-საბრძოლო მდგომარეობა სავალალო იყო იმის გამო, რომ ნაწილები მოქანცული იყვნენ 6 თვის განუწყვეტელი ბრძოლებით. რეზერვები არავი-

თარი არ ყოფილა. ზურგი სრულებით არ იყო უზრუნველყოფილი (რკინიგზის ლიანდაგის მთელი რიგი აფეთქებანი არმიის ზურგში). არმიის კვება შემთხვევითი და არაუზრუნველყოფილი იყო (29-ე დივიზიაზე ფიცხელი შეტევის ყველაზე მძიმე ჟამს ამ დივიზიის ნაწილები ხუთი დღეღამის განმავლობაში იგერიებდნენ მტერს ისე, რომ არც პური გააჩნდათ და არც სხვა სასურსათო პროდუქტები).

მესამე არმია ფლანგზე იდგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უზრუნველყოფილი არ იყო ჩრდილოეთიდან შემოვლისაგან (მიღებული არ ყოფილა ზომები იმისათვის, რომ ნაწილთა სპეციალური ჯგუფი დაეყენებინათ არმიის უკიდურეს მარცხენა ფლანგზე — შემოვლის თავიდან ასაცილებლად). რაც შეეხება უკიდურეს მარჯვენა ფლანგს, მეზობელმა მეორე არმიამ, რომელიც შებოჭილი იყო მთავარსარდლის ბუნდოვანი დირექტივით (იქევსკისა და ვოტკინსკის აღების შემდეგ მეორე არმია ბრძოლაში აღარ ჩაებათ, ვინაიდან იგი ახალ დანიშნულებას მიიღებსო) და იძულებული იყო ათი დღე ერთ ადგილას მდგარიყო, ვერ შეძლო თავისი წინწაწევით დროულად მიშველებოდა მესამე არმიას ყველაზე კრიზისულ წუთში კუშვის ჩაბარების წინ (ნოემბრის დამლევი).

ამრიგად, თავის ანაბარად მიტოვებული (სამხრეთით) და მოწინააღმდეგის შემოვლითი ოპერაციებისათვის კარმოღებული (ჩრდილოეთით), დაღლილ-დაქანცული, რეზერვებსა და ოდნავ მაინც უზრუნველყოფილ ზურგს მოკლებული, სურსათით ცუდად მომარაგებული (29-ე დივიზია) და ცუდად ფეხჩაცმული (30-ე დივიზია), 35 გრადუსი ყინვის პირობებში, ნადეჟდინსკიდან კამის მარცხენა ნაპირამდე ოსის სამხრეთით მდებარე უზარმაზარ სივრცეზე (400 ვერსზე მეტი) გაჭიმული მესამე არმია, რომელსაც

ამასთანავე სუსტი და ნაკლებგამოცდილი შტაბი ჰყავდა,— რა თქმა უნდა, ვერ გაუმკლავდებოდა მოწინააღმდეგის ჭარბი დასვენებული ძალების (ხუთი დივიზია) შემოტევას, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგეს გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა ჰყავდა.

30 ნოემბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა სადგური ვია, მოსწყვიტა ჩვენი მარცხენა ფლანგი ცენტრს და თითქმის მთლად მოსპო 29-ე დივიზიის მე-3 ბრიგადა (გადარჩნენ მხოლოდ ბრიგადის მეთაური, შტაბის უფროსი და კომისარი, № 9 ჯავშნიანი მატარებელი მოწინააღმდეგეს ჩაუვარდა ხელში). 1 დეკემბერს მოწინააღმდეგემ ლისვის მიმართულებით დაიკავა სადგ. კრუტოი ლოგი და ხელთ იგდო ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი № 2. 3 დეკემბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა კუშვის ქარხანა (ვერხოტურიე და მთელი ჩრდილოეთი რაიონი, რომელიც ცენტრს მოწყვეტილი იყო, ჩვენმა ნაწილებმა დატოვეს). 7 დეკემბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა ბისერი. 9 დეკემბერს — ლისვა. 12 — 15 დეკემბერს — სადგურები ჩუსოვსკაია, კალინო, სელიანკა, ამასთან 1-ლი საბჭოთა სამარშო ბატალიონი მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა. 20 დეკემბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა სადგური ვალეჟნაია. 21 დეკემბერს— გორი, მოსტოვაია, ამასთან მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა 1-ლი საბჭოთა მსროლელი პოლკი. მოწინააღმდეგე მოტოვილიხას მოადგა, ხოლო ჩვენმა ნაწილებმა საერთოდ დაიხიეს უკან. 24 დეკემბერს ღამით მოწინააღმდეგემ პერმი უბრძოლველად დაიკავა. ქალაქის ეგრეთწოდებული საარტილერიო დაცვა ფუჭი წამოწყება აღმოჩნდა, რამაც მოწინააღმდეგეს 29 ქვემეხი ჩაუგდო ხელში.

ამრიგად 20 დღის განმავლობაში არმიამ თავისი უწესრიგო უკანდახევის დროს 300 ვერსზე მეტი გამოიარა ვერხოტურიედან პერმამდე და ამ ხნის განმავლობაში დაკარგა 18 ათასი მებრძოლი, ათობით ქვემეხი, ასობით

ტყვიამფრქვევი. (პერმის დაცემის შემდეგ მესამე არმია შედგებოდა მხოლოდ ორი დივიზიისაგან, 17 ათასი ქვეითი და ცხენოსანი მებრძოლით — ნაცვლად 35 ათასისა, 323 ტყვიამფრქვევით — ნაცვლად 571-ისა და 78 ქვემეხით — ნაცვლად 115-ისა. იხ. «საბრძოლო და საბინაო განრიგი»).

სწორი რომ ვთქვათ, ეს არ იყო უკანდახევა, მით უმეტეს არ შეიძლება ვუწოდოთ ამას ნაწილების ორგანიზებული გადმოყვანა პოზიციებზე, — ეს იყო ნამდვილი უწესრიგო გამოქცევა სასტიკად დამარცხებული და სრულიად დემორალიზებული არმიისა, რომლის შტაბსაც უნარი არ შესწევდა გარკვეულიყო შექმნილ მდგომარეობაში და ოდნავ მაინც გაეთვალისწინებინა გარდუვალი კატასტროფა, უნარი არ შესწევდა დროულად მიეღო ზომები არმიის შესანარჩუნებლად წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე მისი გადმოყვანის გზით, თუნდაც ტერიტორიის დაკარგვის ფასად. მესამე არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს და შტაბის გოდება კატასტროფის «მოულოდნელობის» შესახებ მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ეს დაწესებულებები მოწყვეტილი იყვნენ არმიას, არ ესმოდათ კუშვასთან და ლისვასთან მომხდარი საბედისწერო ამბები, უნარი არ ჰქონდათ ხელმძღვანელობა გაეწიათ არმიისათვის.

ყველა ეს გარემოება გახდა იმ უმაგალითო დაბნეულობისა და უყაირათობის საფუძველი, რაც ახასიათებს მთელი რიგი ქალაქებისა და პუნქტების სრულიად უწესრიგო ევაკუაციას მესამე არმიის რაიონში, ხიდის აფეთქებისა და დატოვებული ქონების მოსპობის სამარცხვინო საქმეს, დასასრულ, ქალაქის დაცვისა და მისი ეგრეთწოდებული საარტილერიო თავდაცვის საქმეს.

თუმცა ევაკუაციაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ აგვისტოში დაიწყო, მაგრამ თვით ევაკუაციის პრაქტიკული ორგანი-

ზაციისათვის არაფერი ან თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. არავინ, არც ერთი ორგანიზაცია არ ცდილა წესრიგისაკენ მოეწოდებინა ცენტროკოლეგიისათვის, რომელიც ფეხებში ებლანდებოდა დაწესებულებებს, დაუსრულებელ კამათს ეწეოდა ევაკუაციის გეგმის გამო, მაგრამ არაფერი, სრულიად არაფერი არ გაუკეთებია ევაკუაციის საქმისათვის («თავისი საკუთარი ტვირთების» აღწერილობაც კი არ მოუმზადებია).

არავინ, არც ერთი დაწესებულება არ ცდილა მოეწყო ნამდვილი კონტროლი ურალის გზათა ოლქისადმი, რომელიც საეჭვოდ უმწეო აღმოჩნდა რკინიგზის მოსამსახურეთა ოსტატურად მოწყობილ საბოტაჟთან ბრძოლაში.

ევაკუაციის უფროსად სამხედრო მიმოსვლის უფროსის სტოგოვის დანიშვნას, რაც 12 დეკემბერს მოხდა, ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევია წინ ევაკუაციის საქმე: მიუხედავად იმისა, რომ სტოგოვმა დიდის ამბით იდო თავს პერმის სასწრაფოდ ევაკუირება («თავს მიდვია — ყველაფრის ევაკუაცია მოვახდინოო»), მას არც ევაკუაციის გეგმა აღმოაჩნდა, არც ევაკუაციის აპარატი, არც სამხედრო ძალა იმისათვის, რომ აელაგმა ცალკეულ დაწესებულებათა და დეზორგანიზებულ სამხედრო ნაწილთა უწესრიგო, თვითნებური «ევაკუაციის» ცდები (ორთქლმავლების, ვაგონების და სხვ. ხელში ჩაგდება). შედეგები: ევაკუირებულ იქნა ყოველგვარი წვრილმანი, დამტვრეული სკამები და სხვა ხარახურა, მაშინ როცა გამზადებული შემადგენლობანი მოტოვილიხის ქარხნისა და კამის ფლოტილიის მექანიზმებითა და ნაწილებით, შემადგენლობები დაჭრილი მეომრებით და იშვიათი ამერიკული ღერძების მარაგი, ასობით საღი ორთქლმავალი და სხვა სიმდიდრე გამოუზიდავი დარჩა.

საოლქო კომიტეტსა და საოლქო საბჭოს, არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოსა და შტაბს არ შეიძლე-

ბოდა არ სცოდნოდათ ყველაფერი ეს, მაგრამ ისინი, ეტყობა, «არ ერეოდნენ» ამ საქმეში, ვინაიდან გამოძიება ცხადყოფს, რომ ეს დაწესებულებანი არ ეწეოდნენ ევაკუაციის ორგანოთა საქმიანობის სისტემატურ შემოწმებას.

არმიის შტაბის ლაპარაკი პერმის საარტილერიო დაცვის შესახებ, რაც ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიწყო, ლაპარაკადვე დარჩა, ვინაიდან 26 ქვემეხი (პლუს სამი არასავსებით ვარგისი) სრული გაწყობილობით ისე დაუტოვეს მოწინააღმდეგეს, რომ ერთიც არ გაუსროლიათ. გამოძიება ცხადყოფს — შტაბს რომ თავი შეეწუხებინა და შეემოწმებინა ბრიგადის უფროსის საქმიანობა ქვემეხების დასადგმელად, იგი დაინახავდა, რომ სამხედრო ნაწილების უწესრიგოდ უკანდახევისა და საერთო დეზორგანიზებულობის ვითარებაში პერმის დაცემის წინადღეს (23 დეკემბერს), როცა ბრიგადის უფროსმა ბრძანება არ შეასრულა და ქვემეხების დადგმა 24 დეკემბრისათვის გადადო (ეს ბრიგადის უფროსი მოწინააღმდეგესთან გაიქცა 24 დეკემბერს), ლაპარაკი შეიძლებოდა არა საარტილერიო დაცვაზე, არამედ მხოლოდ თვით ქვემეხების გადარჩენაზე მათი გამოტანის ან გაფუჭების გზით მაინც. მხოლოდ შტაბის უდარდელობითა და უთადარიგობით შეიძლება აიხსნას, რომ არც ერთი გაკეთდა და არც მეორე.

იგივე უყაირათობა და უთადარიგობა ჩანს კამის ხიდის აფეთქებისა და პერმში დატოვებული ქონების მოსპობის საკითხში. ხიდი დანაღმული იყო პერმის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, მაგრამ დანაღმვა არავის შეუმოწმებია (ვერავინ ვერ კისრულობს იმის თქმას, რომ დანაღმვა სრულ წესრიგში იყო განზრახული აფეთქების წინადღეს). თვით აფეთქება დაუვალებიათ «სავსებით საიმედო» ამხანაგისათვის (მედვედევისათვის), მაგრამ ვერავინ ვერ კისრულობს მტკიცებას, რომ ხიდის მცველი რაზმი სავ-

სებით საიმედო იყო, რომ მცველებს არ მიუტოვებიათ მედვედევი უკანასკნელ წუთამდე განზრახული აფეთქების წინ, რომ მედვედევის უვნებლობა სავსებით უზრუნველყოფილი იყო მცველების მიერ თეთრგვარდიელთა აგენტების თავდასხმისაგან. ამიტომ შეუძლებელია გამორკვეულ იქნას:

1) მართლაც მოკლეს მედვედევი სწორედ აფეთქების წინ თეთრგვარდიელთა აგენტებმა, როცა ხიდის მცველები გაიქცა-გამოიქცნენ «გაურკვეველი მიმართულებით» (ასე ფიქრობს ზოგიერთი),

2) თვითონ მედვედევმა აღარ ისურვა ხიდის აფეთქება და გაიქცა, თუ,

3) იქნებ, მედვედევმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, ხიდის ასაფეთქებლად, მაგრამ ხიდი არ აფეთქდა სადენების უვარგისობის ანდა იმის გამო, რომ დანაღმულობა გაფუჭდა, შესაძლოა, საარტილერიო ცეცხლისაგან, როცა მოწინააღმდეგე ხიდს უშენდა, ან, შესაძლებელია, დაშენამდეც, ხოლო მედვედევი, შესაძლოა, მოკლა შემდეგ მოსულმა მტერმა.

შემდეგ, არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭო და შტაბი არ ცდილან არაევაკუირებული ქონების გაფუჭებისათვის პასუხისმგებლობა ზუსტად და გარკვეულად დაეკისრებინათ რომელიმე ორგანოსა თუ გარკვეული პირისათვის. უფრო მეტიც, დასახელებულ დაწესებულებებს არ აღმოაჩნდათ ფორმალური (წერილობითი) ბრძანება დატოვებულ ნაგებობათა და ქონების აუცილებლად აფეთქების ან გაფუჭების შესახებ. სწორედ ამით აიხსნება, რომ გაუფუჭებიათ (დაუწვავთ) მეტწილად მცირე ღირებულების ქონება კერძო ინიციატივით (მაგალითად, ვაგონები), ხოლო ხელუხლებლად დაუტოვებიათ მეტად ძვირფასი ქონება (მანუფაქტურა, ჩაცმულობა და სხვა), ამასთან ზოგიერთი თანამდებობის პირი, «პანიკის თავი-

დან ასაცილებლად», არაევაკუირებული ქონების დაწვისა და აფეთქების ნებას არ იძლეოდა (ეს პირნი მოძებნილი არ არიან).

არმიისა და ზურგის საერთო მოშლისა და დეზორგანიზაციის, საარმიო, პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების უთადარიგობისა და უპასუხისმგებლობის სურათს ემატება მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკების გაუგონარი, თითქმის საყოველთაო გადასვლა მტრის მხარეზე. თავდაცვით ნაგებობათა ხელმძღვანელი ინჟინერი ბანინი და ყველა მისი თანამშრომელი, გზათა ინჟინერი ადრიანოვსკი და გზათა ოლქის სპეციალისტების მთელი შტატი, სამხედრო მიმოსვლის განყოფილების გამგე სუხორსკი და მისი თანამშრომლები, ოლქის სამხედრო კომისარიატის სამობილიზაციო განყოფილების გამგე ბუკინი და მისი თანამშრომლები, საყარაულო ბატალიონის მეთაური უფიმცევი და საარტილერიო ბრიგადის უფროსი ვალიუჟენიჩი, განსაკუთრებულ ფორმირებათა განყოფილების უფროსი ესკინი და საინჟინრო ბატალიონის მეთაური თავის თანაშემწეებად, სადგურების პერმი I-ისა და პერმი II-ის კომენდანტები, არმიის მომარაგების სამმართველოს მთელი სააღრიცხვო განყოფილება და ცენტრო-კოლეგიის წევრთა ნახევარი ნაწილი, — ისინი ყველანი და ბევრნი სხვანი პერმში დარჩნენ და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდნენ.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გაეძლიერებინა საერთო პანიკა, რამაც მოიცვა არა მარტო უკანდახეული ნაწილები, არამედ პერმის დაცემის წინადღეს შექმნილი რევოლუციური კომიტეტიც, რომელმაც ვერ შეძლო დაეცვა ქალაქში რევოლუციური წესრიგი, აგრეთვე საგუბერნიო სამხედრო კომისარიატი, რომელმაც დაკარგა კავშირი ქალაქის ნაწილებს შორის, რის შედეგიც გახდა ის, რომ პერმიდან არ გამოუყვანიათ საყარაულო ბატალიონის

ორი ასეული, რომლებიც შემდეგ თეთრებმა გაჟლიტეს, და დაიღუპა მოთხილამურეთა ბატალიონი, რომლებიც აგრეთვე გაჟლიტეს თეთრებმა. თეთრების აგენტების მიერ ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ოსტატურად მოწყობილი პროვოკატორული სროლა (23 — 24 დეკემბერს) ხელს უწყობდა და აძლიერებდა საერთო პანიკას.

*
* *

მესამე არმია და რეზერვები

მესამე არმიის დაღლილობა (ექვსი თვის განუწყვეტელი ბრძოლები შეუცვლელად) და ოდნავ მაინც საიმედო რეზერვების უყოლობა გახდა დამარცხების უშუალო მიზეზი. 400 ვერსის მანძილზე წვრილი ძაფივით გაჭიმული მესამე არმია ადვილად შემოსავლელი იყო ჩრდილოეთიდან, რაც აიძულებდა მას კიდევ უფრო გაჭიმულიყო ჩრდილოეთისაკენ და მოწინააღმდეგისათვის უაღრესად მოხერხებული ობიექტი გამხდარიყო ყოველ ადგილზე გარღვევის მოსახდენად. ყოველივე ეს, ისევე როგორც რეზერვების უყოლობა, აღმოსავლეთის ფრონტისა და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭოებმა ჯერ კიდევ სექტემბერში იცოდნენ (იხ. «დანართში» მესამე არმიის პასუხისმგებელ პირთა დეპეშები «შემცვლელების», «რეზერვების» მოთხოვნით, განცხადებით მესამე არმიის ნაწილების დაღლილობის შესახებ და სხვა), მაგრამ სამხედრო ცენტრი ან არ გზავნიდა რეზერვებს, ან გზავნიდა უვარგის წვრილმანს. დეკემბრის დამდეგს, კუშვის დაკარგვის შემდეგ, განსაკუთრებით ხშირდება შემცვლელთა მოთხოვნა და არმიის დაღლილობის მოხსენიება. 6 დეკემბერს ლაშევიჩი (არმიის სარდალი) აღმოსავლეთის ფრონტს მიმართავს რეზერვების მოთხოვნით

და აღნიშნავს, რომ მდგომარეობა უიმედოა, მაგრამ სმილგა (აღმოსავლეთის ფრონტი) უპასუხებს, «სამწუხაროდ, მაშველი ძალა არ იქნებაო». 11 დეკემბერს ტრიფონოვი, მესამე არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, პირდაპირი მავთულით უცხადებს სმილგას (აღმოსავლეთის ფრონტი): «სავსებით მოსალოდნელია, რომ ჩვენ უახლოეს დღეებში იძულებული გავხდეთ დავტოვოთ პერმი. საკმარისია ორი-სამი მტკიცე პოლკი. სცადეთ როგორმე გამოიყვანოთ ვიატკიდან ან უახლოესი პუნქტიდან». სმილგას (აღმოსავლეთის ფრონტი) პასუხი: «მაშველი ძალა არ იქნება. მთავარსარდალმა დახმარებაზე უარი თქვა». (იხ. «დანართი»). აგვისტოდან დეკემბრამდე მესამე არმიის შესავსებად ცენტრის განრიგებით მოვიდა სულ 13 153 კაცი, მათთან 3 388 ხიშტი, 134 ტყვიამფრქვევი, 22 ქვემეხი, 977 ცხენი. მათგან კრონშტადტის 1-ლი საზღვაო პოლკი (1 248 კაცი) ტყვედ დანებდა, საზღვაო ქვეითი ჯარის მე-11 ცალკე ბატალიონი (834 კაცი) გაიქცა-გამოიქცა, კრონშტადტის სიმაგრის მე-5 საველე ბატარეა დაპატიმრებულია მეთაურის მხეცურად მოკვლისათვის, ფინელები და ესტონელები (1 214 კაცი) გაწვეული არიან უკანვე დასავლეთში. რაც შეეხება ცენტრის მიერ დაპირებულ განრიგებს 22 ასეულზე, ეს განრიგები ცენტრს არ შეუსრულებია. ხოლო ცენტრის მიერ დაპირებული მე-7 დივიზიის მე-3 ბრიგადა (სამი პოლკი) გლაზოვს ჩამოვიდა მხოლოდ იანვრის პირველ რიცხვებში, უკვე პერმის დაცემის შემდეგ. ამასთან ბრიგადასთან პირველმავე გაცნობამ ცხადყო, რომ მას წითელ არმიასთან საერთო არა აქვს რა (აშკარა კონტრრევოლუციური განწყობილება, გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბრიგადის შიგნით მჭიდროდ დარაზმული კულაკური ელემენტების ჯგუფის არსებობა, «ვიატკის ჩაბარების» მუქარა და სხვა). გარდა ამისა, ბრიგადა საბრძოლო თვალსაზრი-

სით მოუმზადებელია (სროლა არ იცის, აღალი საზაფხულო აქვს), მეთაურები თავიანთ პოლკებს არ იცნობენ, პოლიტიკური მუშაობა სულ უმნიშვნელოა. მხოლოდ სამიოთხი კვირის წმენდისა და გულმოდგინედ გაცხრილვის, ბრიგადაში რიგით წითელარმიელებად კომუნისტების გაძლიერებული შეყვანისა და უაღრესად ინტენსიური პოლიტიკური მუშაობის შემდეგ მოხერხდა იანვრის დამლევისათვის მისი გადაქცევა ბრძოლისუნარიან ერთეულად (3 პოლკიდან, რომლებისგანაც ბრიგადა შედგება, ერთი გაიგზავნა ფრონტზე 20 იანვარს, მეორე შეიძლება გაიგზავნოს არაუადრეს 30 იანვრისა, მესამე — არაუადრეს 10 თებერვლისა). იმავე ნაკლოვანებებს ჩვენი ფორმირების სისტემაში მოწმობს მე-10 ცხენოსანი პოლკისა და ოჩერის ქარხანაში მდგომი მეათევე საინჟინრო პოლკის ამბავი (ორივე პოლკი შედგენილია ურალის ოლქის სამხედრო კომისარიატის მიერ): მათგან პირველმა ზურგში დაარტყა ჩვენს ნაწილებს, მეორემ სცადა იგივე ჩაედინა. მაგრამ უშედეგოდ, წინასწარ მიღებული გამაფრთხილებელი ზომების მეოხებით.

ნაკლოვანებანი ფორმირების სისტემაში შემდეგი გარემოებით აიხსნება. მაისის დამლევამდე წითელი არმიის შედგენა (ფორმირების სრულიად რუსეთის კოლეგიის გამგებლობით) მოხალისეობის პრინციპით წარმოებდა, არმიაში მუშებისა და იმ გლეხების მოზიდვის საფუძველზე, რომლებიც სხვისი შრომის **ექსპლოატაციას არ ეწევიან** (იხ. «დამამოწმებელი ბარათი» და «პირადი ბარათი», რომლებიც შედგენილია ფორმირების სრულიად რუსეთის კოლეგიის მიერ). შესაძლოა, რომ, სხვათა შორის, ამით აიხსნებოდეს მოხალისეობის პერიოდის ფორმირებათა სიმტკიცე. მაისის დამლევიდან, სრულიად რუსეთის კოლეგიის დაშლისა და ფორმირების საქმის სრულიად რუსეთის მთავარი შტაბისათვის გადაცემის შემდეგ, სურათი

შეიცვალა — მდგომარეობა გაუარესდა. სრულიად რუსეთის მთავარმა შტაბმა მთლიანად გადმოიღო ცარიზმის პერიოდის ფორმირების სისტემა და წითელი არმიის სამსახურში იწვევდა ყველა მობილიზებულს, მიუხედავად ჭონებრივი მდგომარეობისა, ამასთან პუნქტები მობილიზებულთა ჭონებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც ფორმირების სრულიად რუსეთის კოლეგიის «პირადი ბარათი» შეიცავს, ამოღებული აღმოჩნდა სრულიად რუსეთის მთავარი შტაბის მიერ შედგენილი «პირადი და საალრიცხვო ბარათიდან» (იხ. სრულიად რუსეთის მთავარი შტაბის «პირადი და საალრიცხვო ბარათი»). მართალია, 1918 წლის 12 ივნისს გამოვიდა სახკომსაბჭოს პირველი დეკრეტი მუშებისა და იმ გლეხების მობილიზაციის შესახებ, რომლებიც **სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან**, მაგრამ ეს დეკრეტი, როგორც ჩანს, არც სრულიად რუსეთის მთავარი შტაბის პრაქტიკაში ასახულა, არც მის განკარგულებებში და არც «პირად და საალრიცხვო ბარათში». უმთავრესად ამით აიხსნება, რომ ფორმირების ჩამტარებელი ჩვენი დაწესებულებების მუშაობას შედეგად მოჰყვა არა იმდენად წითელი, რამდენადაც «სახალხო არმიის» შექმნა. მხოლოდ შუა იანვარში, როცა თავდაცვის საბჭოს კომისიამ მტკიცედ მოსთხოვა ურალის ოლქის სამხედრო კომისარიატს მთავარი შტაბის მთელი მასალები და განკარგულებანი ფორმირების წესების შესახებ, — მხოლოდ ამის შემდეგ მოიცალა სრულიად რუსეთის მთავარმა შტაბმა იმისათვის, რომ სერიოზულად ეფიქრნა ფორმირების სისტემაზე, და ყველა საოლქო სამხედრო კომისარიატს დეპეშით დაუგზავნა განკარგულება: «შეავსეთ პირადი და საალრიცხვო ბარათის მე-14, მე-15 და მე-16 პუნქტები ცნობებით პარტიული კუთვნილების შესახებ, ეწევა თუ არა (სამსახურში გაწვეული) სხვისი შრომის ექსპლოატაციას, გავლილი აქვს თუ არა სა-

ყოველთაო სწავლების კურსი» (მთავარი შტაბის ეს განკარგულება დეპეშით გადაცემულია 1919 წლის 18 იანვარს. იხ. «დანართი»). ეს მას შემდეგ, რაც 11 დივიზია შედგენილად ითვლებოდა ჯერ კიდევ 1 დეკემბრისათვის, ხოლო მათმა ერთმა ნაწილმა, რომელიც უკვე გაგზავნილი იყო ფრონტზე, თეთრგვარდიული ფორმირების ყველა ნიშანი გამოიჩინა.

ფორმირების სისტემაში არსებულ დეფექტებს აორკეცებდა ოლქის სამხედრო კომისარიატის განსაცვიფრებელი დაუდევრობა შედგენილი ნაწილების მოვლის საქმეში (ცუდი კვება, ცუდი ჩაცმულობა, აბანოების უქონლობა და სხვა. იხ. «ვიატკის კომიტეტის საგამომძიებლო პარტიული კომისიის ჩვენება») და ის გარემოება, რომ მეთაურებად სრულიად განურჩევლად იღებდნენ შეუმოწმებელ ოფიცრებს, რომლებსაც მოტყუებით არაიშვიათად გადაჰყავდათ ნაწილები მოწინააღმდეგის მხარეზე.

დასასრულ, მთავარ შტაბს არ მიუღია ზომები იმისათვის, რომ ერთ ადგილას მობილიზებულნი ფორმირებისათვის გადაეყვანათ სხვა ადგილას (სხვა ოლქში), რაც მნიშვნელოვნად აღკვეთდა მასობრივ დეზერტირობას. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ნაწილებში ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლად დაყენებული არ იყო პოლიტიკური მუშაობა (კომისართა სრულიად რუსეთის ბიუროს სისუსტე და მუშაობისადმი შეუგუებლობა).

სავსებით გასაგებია, რომ ასეთი ნახევრადთეთრგვარდიული რეზერვები, რამდენადაც მათ ცენტრი გზავნიდა (გზაში მათი ნახევარი ჩვეულებრივ გარბოდა), არსებითს დახმარებას ვერ გაუწევდნენ მესამე არმიას. ამავე დროს მესამე არმიის ნაწილების დაღლილობა და შებერტყილობა უკანდახევისას იქამდე მიდიოდა, რომ ჯარისკაცები მთელი ჯგუფობით წვებოდნენ თოვლზე და სთხოვდნენ კომისრებს — ტყვია გვესროლეთო: «ფეხზე დგომა აღარ

ძალგვიძს, მით უმეტეს სიარული არ შეგვიძლია, მოვიქანცეთ, აქვე დაგვხოცეთ, ამხანაგებოო». (იხ. «დივიზიის კომისარ მრაჩკოვსკის ჩვენება»).

დასკვნები

ბოლო უნდა მოეღოს ურეზერვოდ ომს, საჭიროა პრაქტიკაში შემოვიღოთ მუდმივი რეზერვების სისტემა, ურომლისოდაც არსებული პოზიციების შენარჩუნებაც წარმოუდგენელია და წარმატების განვითარებაც. უამისოდ კატასტროფა გარდუვალია.

მაგრამ რეზერვები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგვადგება, თუ მობილიზაციისა და ფორმირების ძველი სისტემა, რომელიც მთავარ შტაბს აქვს შეთვისებული, ძირფესვიანად შეიცვლება, ხოლო თვით მთავარი შტაბის შემადგენლობა განახლებულ იქნება.

აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, გულდასმით დავყოთ მობილიზებულნი შეძლებულებად (არასაიმედონი) და ღარიბებად (ერთადერთი გამოსადეგნი წითელ არმიაში სამსახურისათვის).

მეორეც, აუცილებელია ერთ ადგილას მობილიზებულნი ფორმირებისათვის იგზავნებოდნენ სხვაგან, ამასთან ფრონტზე გაგზავნა უნდა ხდებოდეს შემდეგი წესის მიხედვით: «რაც უფრო შორს იქნებიან თავისი გუბერნიიდან, მით უკეთესი» (ტერიტორიულ პრინციპზე ხელის აღება).

მესამეც, აუცილებელია ხელი ავიღოთ დიდი, მოუქნელი ერთეულების (დივიზიების) ჩამოყალიბებაზე, რომლებიც გამოუსადეგარი არიან სამოქალაქო ომის პირობებისათვის. და ზღვრულ საბრძოლო ერთეულად ბრიგადა გამოვაცხადოთ.

მეოთხეც, აუცილებელია დაწესდეს სასტიკი განუწყვეტელი კონტროლი საოლქო სამხედრო კომისარიატების მიმართ (ამასთან წინასწარ განახლდეს მათი შემადგენლობა), რომ-

ლებიც წითელარმიელთა შორის აღშფოთებას (უკეთეს შემთხვევაში მასობრივ დეზერტირობას) იწვევენ თავიანთი დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულებით ახლად შედგენილი ნაწილების დაბინავების, სურსათითა და ტანსაცმლით მომარაგების საქმისადმი.

ბოლოს, აუცილებელია განახლდეს შემადგენლობა კომისართა სრულიად რუსეთის ბიუროსი, რომელიც სამხედრო ნაწილებს უგზავნის ბიჭებუჭა «კომისრებს», სრულიად უნარმოკლებულთ, რომ რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებლად მოაწყონ პოლიტიკური მუშაობა.

ამ პირობათა შეუსრულებლობა იმას იწვევს, რომ ნაწილების შემდგენელი ჩვენი დაწესებულებანი ფრონტს უგზავნიან არა იმდენად წითელ არმიას, რამდენადაც «სახალხო არმიას», ამასთან სიტყვა «კომისარი» სალანძღავ სახელად იქცა.

კერძოდ, მესამე არმიის ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად აბსოლუტურად საჭიროა მისი დაუყოვნებლივ მომარაგება რეზერვებით სულ ცოტა სამი საიმედო პოლკის რაოდენობით.

* * *

არმიის მართვის წესი და ცენტრის დირექტივები

მესამე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო შედგება ორი წევრისაგან, რომელთაგან ერთი (ლაშევიჩი) სარდლობს, რაც შეეხება მეორეს (ტრიფონოვს), დღემდე ვერ მოხერხდა ამ უკანასკნელის ვერც ფუნქციების, ვერც როლის გამორკვევა: იგი თვალყურს არ ადევნებს მომარაგებას, თვალყურს არ ადევნებს არმიის პოლიტიკური აღზრდის ორგანოებს და საერთოდ თითქოს არაფერს არ აკეთებს. ფაქტიურად არავითარი რევოლუციური სამხედრო საბჭო არ არსებობს.

არმიის შტაბი მოწყვეტილია თავის საბრძოლო უბანს, დივიზიებსა და ბრიგადებში მას არა ჰყავს სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც ინფორმაციას მიაწვდიდნენ მას და თვალყურს ადევნებდნენ დივიზიებისა და ბრიგადების უფროსების მიერ არმიის სარდლის ბრძანებათა ზუსტ შესრულებას, არმიის შტაბი სჯერდება დივიზიებისა და ბრიგადების უფროსთა ოფიციალურ მოხსენებებს (ხშირად არაზუსტს), არმიის შტაბი მთლიანად ამ უკანასკნელთა ხელშია (დივიზიებისა და ბრიგადების უფროსები ფეოდალურ თავადებად გრძნობენ თავს). ამის შედეგად არმიის შტაბი მოწყვეტილია თავის საბრძოლო უბანს (არმიის შტაბმა არაფერი იცის უბანზე არსებული ნამდვილი მდგომარეობის შესახებ), არმიის შიგნით არ არის ცენტრალიზაცია (არმიის შტაბის მუდმივი გოდება არმიის საბრძოლო ერთეულების შესაყარ პუნქტებში სისუსტის შესახებ). ცენტრალიზაცია არ არის არა მარტო არმიის შიგნით, არამედ არმიებს შორისაც ფრონტზე (აღმოსავლეთისაზე). ფაქტია, რომ ნოემბრის 10 რიცხვიდან ამ თვის დამლევამდე, როცა მესამე არმია სისხლისაგან იცლებოდა მოწინააღმდეგესთან უთანასწორო ბრძოლაში, მესამე არმიის მომიჯნავე მეორე არმია მთელი ორი კვირის განმავლობაში ერთ ადგილს ტკეპნიდა. ამავე დროს ცხადია, მეორე არმია, რომელიც იქევსკ-ვოტკინსკის ოპერაციისაგან ჯერ კიდევ 10 ნოემბერს განთავისუფლდა, წინ რომ წაწეულიყო (მას კი თავისუფლად შეეძლო წინწაწევა, ვინაიდან მის წინააღმდეგ მაშინ არ ყოფილა ან თითქმის არ ყოფილა მტერი), მოწინააღმდეგე ვერ შეძლებდა პერმის წინააღმდეგ სერიოზული ოპერაციის დაწყებასაც კი (თუ მეორე არმია მოწინააღმდეგის ზურგს დაემუქრებოდა), მესამე არმია განსაცდელს გადარჩებოდა.

გამოძიებამ ცხადყო, რომ მეორე და მესამე არმიებს შორის კოორდინაციის უქონლობა გამოიწვია რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მოწყვეტილობამ ფრონტისაგან და მთავარსარდლის მოუფიქრებელმა დირექტივებმა. ფრონტის სარდალმა კამენევმა, რომელსაც ჩვენ გამოვკითხეთ, ამის შესახებ გვაცნობა:

«ჯერ კიდევ იჟევსკისა და ვოტკინსკის აღებამდე, ნოემბრის დამდეგს, არა უგვიანეს 10 რიცხვისა, მივიღეთ დირექტივა, რომ მეორე არმია ამ პუნქტების აღების შემდეგ სხვა ფრონტზე იქნებოდა გადაყვანილი, მაგრამ მითითებული არ იყო — სახელდობრ სად. ასეთი დირექტივის შემდეგ არმიას ჯეროვნად ვერ გამოვიყენებდით, პირისპირ ვერ შევახვედრებდით მტერთან, ვინაიდან შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა ბრძოლიდან გამოგვეყვანა იგი, მდგომარეობა კი მძიმე იყო, არმია იმას სჯერდებოდა, რომ მიდამოს წმენდდა თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან. საჭირო შეიქნა შტერნბერგისა და სოკოლნიკოვის ბევრი ცდა და მათი წასვლა სერპუხოვში, რომ დირექტივა გაეუქმებინათ. მაგრამ ამას ათიოდე დღე დასჭირდა. ამრიგად არმიამ დაკარგა ათი დღე, იგი იძულებული იყო ერთი ადგილი ეტკეპნა. შემდეგ II არმიის სარდლის შორინის უეცარმა გამოძახებამ სერპუხოვში, რამაც ხელ-ფეხი შეუკრა მეორე არმიას, რომელიც შორინის პიროვნებასთან არის დაკავშირებული, აიძულა არმია კიდევ ხუთიოდე დღე გაჩერებულიყო ადგილზე. სერპუხოვში შორინი მიიღო კოსტიაევმა, ჰკითხა, გენერალური შტაბისა ხარ თუ არაო, და, როდესაც გაიგო, რომ არა, გამოუშვა, თან განუცხადა, გვინდოდა სამხრეთის ფრონტის სარდლის თანაშემწედ დაგვენიშნე, «მაგრამ გადაეიფიქრეთო»» (იხ. «აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის მოხსენებანი»).

საერთოდ უნდა აღინიშნოს შეუწყნარებელი დაუფიქრებლობა მთავარსარდლის მხრივ დირექტივების მიცემის საქმეში. აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის გუსევის ცნობით (26 დეკემბერი), «ამას წინათ აღმოსავლეთის ფრონტმა ხუთი დღის განმავლობაში სამი დეპეშა მიიღო: 1) მთავარი მიმართულება ორენბურგია. 2) მთავარი მიმართულება ეკატერინბურგია.

3) მიეშველეთ მესამე არმიას» (იხ. გუსევის წერილი რკპ ცენტრალური კომიტეტისადმი). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ახალი დირექტივის შესრულება მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს, ძნელი გასაგები არ არის, რამდენად არასერიოზული იყო რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს და მთავარსარდლის დამოკიდებულება თავიანთივე საკუთარი დირექტივებისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მესამე წევრი სმილგა სავსებით დაეთანხმა იმავე რევოლუციური სამხედრო საბჭოს ორი დანარჩენი წევრის — კამენევისა და გუსევის განცხადებებს. (იხ. «სმილგას ჩვენება» 5 იანვრისა).

დასკვნები

არმიას არ შეიძლება არ ჰყავდეს მტკიცე რევოლუციური სამხედრო საბჭო. არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო შედგენილი უნდა იყოს სულ ცოტა სამი წევრისაგან, რომელთაგან ერთი თვალყურს ადევნებს არმიის მომარაგების ორგანოებს, მეორე — არმიის პოლიტიკური აღზრდის ორგანოებს, მესამე — სარდლობს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას არმიის სწორი მოქმედება.

არმიის შტაბი არ უნდა კმაყოფილდებოდეს დივიზიებისა და ბრიგადების უფროსთა ოფიციალური (ხშირად არასწორი) ცნობებით, მას უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები — აგენტები, რომლებიც რეგულარულად მიაწვდიან ცნობებს არმიის შტაბს და ფხიზლად ადევნებენ თვალს არმიის სარდლის ბრძანებათა ზუსტად შესრულებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას შტაბის კავშირი არმიასთან, აღმოიფხვრას დივიზიებისა

და ბრიგადების ფაქტიური ავტონომია და მოგვარდეს არმიის ნამდვილი ცენტრალიზაცია.

არმიას არ შეუძლია იმოქმედოს როგორც თვითკმარმა, სავსებით ავტონომიურმა ერთეულმა, თავის მოქმედებაში იგი მჭიდროდ დამოკიდებულია მის მომიჯნავე არმიებზე და, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივებზე: ყველაზე ბრძოლისუნარიანი არმია სხვა თანაბარ პირობებში შეიძლება დამარცხდეს, თუ სწორი არ არის ცენტრის დირექტივები და თუ ამ არმიას ნამდვილი კონტაქტი არა აქვს მომიჯნავე არმიებთან. ფრონტებზე, უწინარეს ყოვლისა აღმოსავლეთის ფრონტზე, აუცილებელია დამყარდეს გარკვეული, სერიოზულად მოფიქრებული სტრატეგიული დირექტივის განსახორციელებლად ცალკეული არმიების მოქმედების მკაცრი ცენტრალიზაციის რეჟიმი. თვითნებობა ან მოუფიქრებლობა დირექტივების განსაზღვრის საქმეში, თუ სერიოზულად არ იქნა მიღებული მხედველობაში ყველა მონაცემი, და აქედან გამომდინარე მალ-მალე შეცვლა დირექტივებისა, აგრეთვე თვით დირექტივების გაურკვევლობა, რასაც რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო უშვებს, გამორიცხავს არმიების ხელმძღვანელობის შესაძლებლობას, იწვევს ძალებისა და დროის ფლანგვას, იწვევს ფრონტის დეზორგანიზაციას. აუცილებელია რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო გარდაიქმნას ვიწრო, ფრონტებთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ვთქვათ, ხუთი პირისაგან შემდგარ ჯგუფად (მათგან ორი — სპეციალისტი, მესამე — თვალყურს ადევნებს მომარაგების ცენტრალურ სამმართველოს, მეოთხე — მთავარ შტაბს, მეხუთე — კომისართა სრულიად რუსეთის ბიუროს), რომლებიც საკმაოდ გამოცდილი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ არ დაუშვან თვითნებობა და მოუფიქრებლობა არმიების მართვის საქმეში.

*
* *

ზურგის არაუზრუნველყოფილობა და პარტიულ-საბჭოთა დაწესებულებების მუშაობა

გამოძიების შედეგად იძულებული ვარო აღვნიშნოთ მესამე არმიის ზურგის სრული რღვევა. არმიას ომის წარმოება უხდებოდა ორ ფრონტზე: მოწინააღმდეგესთან, რომელსაც იგი ასე თუ ისე ხედავდა და იცნობდა, და ზურგში — მოუხელებელ მოსახლეობასთან, რომელიც თეთრგვარდიელი აგენტების ხელმძღვანელობით აფეთქებდა რკინიგზას, ქმნიდა ყოველგვარ დაბრკოლებას, ამასთან საჭირო ხდებოდა რკინიგზის დაცვა სპეციალური ჯავშნიანი მატარებლით არმიის ზურგში. ყველა პარტიული და საბჭოთა დაწესებულება ერთხმად აღნიშნავს პერმისა და ვიატკის გუბერნიების მოსახლეობის «მთლიან კონტრრევოლუციურობას». საოლქო კომიტეტი და საოლქო საბჭო, აგრეთვე პერმის საგუბერნიო აღმასკომი და საგუბერნიო კომიტეტი გვარწმუნებენ. რომ ამ რაიონში სოფლები «მთლიანად კულაკურია». ჩვენი იმ შენიშვნის პასუხად, რომ მთლიანად კულაკური სოფლები არ არსებობენ, რომ კულაკთა არსებობა წარმოუდგენელია, თუ არ არსებობენ ექსპლოატირებულები, ვინაიდან კულაკები ვისმე ხომ უნდა უწევდნენ ექსპლოატაციას, აღნიშნული დაწესებულებანი ხელებს ასავსავებდნენ და უარს ამბობდნენ მოეცათ რაიმე სხვა განმარტება. შემდგომმა, უფრო ღრმა გამოძიებამ ცხადყო, რომ დეპუტატთა საბჭოებში არასაიმედო ადამიანები სხედან, ღარიბთა კომიტეტები კულაკთა ხელშია, პარტიული ორგანიზაციები სუსტნი, არასაიმედონი, ცენტრს მოწყვეტილნი არიან, პარტიული მუშაობა თავმინებებულია, ამასთან ადგილობრივი მუშაკები ცდილობენ პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების საერთო სისუსტე

აანაზღაურონ საგანგებო კომისიების გაძლიერებული მუშაობით, რომლებიც პარტიულ-საბჭოთა მუშაობის რღვევის საერთო ფონზე გახდნენ საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენლები პროვინციაში. მხოლოდ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ან შინსახკომის) და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ მინიმალურ ხელმძღვანელობას მოკლებული საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების უბადრუკი მუშაობით შეიძლება აიხსნას ის განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ რევოლუციური დეკრეტი საგანგებო გადასახადის[53] შესახებ, რომელიც მოწოდებულია გათიშოს სოფელი და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად დარაზმოს ღარიბი გლეხობა, — ეს დეკრეტი კულაკების ხელში უაღრესად საშიში იარაღი შეიქნა სოფლის დასარაზმავად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (ჩვეულებრივად ღარიბთა კომიტეტებში მოკალათებული კულაკების ინიციატივით გადასახადების განაწილება წარმოებდა სულობრივად და არა ქონებრივი ნიშნის მიხედვით, რაც აბოროტებდა ღარიბ გლეხობას და უადვილებდა კულაკებს აგიტაციას გადასახადებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ). ამავე დროს, უკლებლივ ყველა მუშაკი ადასტურებს, რომ «გაუგებრობანი» საგანგებო გადასახადის საქმეში იყო სოფლის გაკონტრრევოლუციურების ერთი მთავარ მიზეზთაგანი, თუ ერთადერთი მთავარი მიზეზი არა. შინსახკომის ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მხრივ საბჭოთა ორგანიზაციების მორიგი მუშაობისადმი არავითარი ხელმძღვანელობა არა ჩანს (დამახასიათებელია, რომ ღარიბთა კომიტეტების გადარჩევა პერმისა და ვიატკის გუბერნიებში 26 იანვრისათვის ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული). ცენტრალური კომიტეტის მხრივ პარტიული ორგანიზაციების მორიგი მუშაობისადმი არავითარი ხელმძღვანელობა არა ჩანს. ფრონტზე ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში ჩვენ შევძელით აღ-

მოგვეჩინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ ერთი დოკუმენტი «მდივნის», გვარად ნოვგოროდცევას, ხელმოწერით ამხ. კორობოვკინის პერმიდან პენზაში გადაყვანის შესახებ. (ეს განკარგულება არ შესრულებულა მისი აშკარა მიზანშეუწონლობის გამო).

ყველა ამ გარემოებამ ის გამოიწვია, რომ პარტიულ-საბჭოთა დაწესებულებებმა დაკარგეს დასაყრდენი სოფლად, დაკარგეს კავშირი ღარიბ გლეხობასთან და დააწვნენ საგანგებო კომისიას, რეპრესიებს, რომელთა გამო სოფელი ჰგოდებს. თვით საგანგებო კომისიები კი, რამდენადაც მათს მუშაობას არ ემატებოდა პარტიულ-საბჭოთა დაწესებულებების პარალელური დადებითი სააგიტაციო-სააღმშენებლო მუშაობა, ჩავარდნენ სრულიად განსაკუთრებულ იზოლირებულ მდგომარეობაში, საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის საზიანოდ. უნარიანად დაყენებულ პარტიულ-საბჭოთა პრესას შეეძლო დროულად გამოემჟღავნებინა ჩვენი დაწესებულებების წყლულები, მაგრამ პერმისა და ვიატკის პარტიულ-საბჭოთა პრესას არ ახასიათებს არც მუშაობის უნარიანად დაყენება, არც საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანათა გაგება (ამ პრესაში ვერაფერს ნახავთ, გარდა ლიტონი ფრაზებისა «მსოფლიო სოციალური» რევოლუციის შესახებ; საბჭოთა ხელისუფლების კონკრეტულ ამოცანებს სოფლად, დეპუტატთა საათემო საბჭოების გადარჩევას, საგანგებო გადასახადის საკითხს, კოლჩაკთან და სხვა თეთრგვარდიელებთან ომის მიზნებს, — ყველა ამ «უბრალო» თემას პრესა ამაყად უვლის გვერდს). რად ღირს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ქ. ვიატკის საბჭოთა დაწესებულებების 4 766 მუშაკიდან და თანამშრომლიდან 4 467 კაცს იგივე ადგილები ეკავა ცარიზმის დროს საგუბერნიო საერობო სამმართველოში, ესე იგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ძველ, მეფისდროინდელ

საერობო დაწესებულებებს მხოლოდ სახელი შეუცვალეს და საბჭოთა დაწესებულებანი დაარქვეს (ნუ დაივიწყებთ, რომ ამ «საბჭოთა» მუშაკებს» ხელში უჭირავთ მთელი ჩვენი ტყავეულის რაიონი ვიატკის გუბერნიისა). ეს გასაოცარი მოვლენა გამოააშკარავა ჩვენმა ანკეტამ იანვრის შუა რიცხვებში. იცოდნენ თუ არა ეს მოვლენა საოლქო კომიტეტმა და საოლქო საბჭომ, ადგილობრივმა პრესამ და ადგილობრივმა პარტიულმა მუშაკებმა? რასაკვირველია, არა. იცოდნენ თუ არა ეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, შინსახკომმა? რასაკვირველია, არა. მაგრამ როგორ შეიძლება ხელმძღვანელობის გაწევა ცენტრიდან, თუ წარმოდგენა არა გაქვს არა მარტო საერთოდ პროვინციის, არამედ ამასთანავე პროვინციაში ჩვენი საბჭოთა დაწესებულებების ძირითად წყლულთა შესახებ?

დასკვნები

ჩვენი არმიების მტკივნეული ადგილია ის, რომ ზურგი მტკიცე არ არის, რაც აიხსნება, უმთავრესად, პარტიული მუშაობის თავმინებებულობით, დეპუტატთა საბჭოების უუნარობით — განახორციელონ ცენტრის დირექტივები, ადგილობრივი საგანგებო კომისიების განსაკუთრებული (თითქმის იზოლირებული) მდგომარეობით.

ზურგის განსამტკიცებლად საჭიროა:

1. დაწესდეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მკაცრი რეგულარული ანგარიშგება ცენტრალური კომიტეტის წინაშე; ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს რეგულარულად ეგზავნებოდეს ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილები; შეიქმნას ცენტრალურ ორგანოსთან პრესის განყოფილება პროვინციის პარტიული პრესისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად; შეიქმნას პარტიულ მუშაკთა (უმთავრესად მუშებისაგან) სკოლა და

მოეწყოს მუშაკთა სწორი განაწილება. ყოველივე ეს დაეკისროს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, რომელიც გამოიყოს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან.

2. მკაცრად გაიმიჯნოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და შინსახკომის კომპეტენციათა სფერო დეპუტატთა საბჭოების მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია შეუერთდეს შინსახკომს *, დაეკისროს შინსახკომს თვალყური ადევნოს დეპუტატთა საბჭოების მიერ ცენტრალური ხელისუფლების დეკრეტებისა და განკარგულებების სწორ და დროულ შესრულებას; დაევალოს დეპუტატთა საგუბერნიო საბჭოებს რეგულარულად ჩააბარონ ანგარიში შინსახკომს; დაევალოს შინსახკომს რეგულარულად აძლიოს დეპუტატთა საბჭოებს საჭირო მითითებანი; შეიქმნას «სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებებთან» [54] პრესის განყოფილება პროვინციის საბჭოთა პრესისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

3. შეიქმნას თავდაცვის საბჭოსთან საკონტროლო-სარევიზიო კომისია სახალხო კომისარიატებისა და ადგილებზე, როგორც ზურგში, ისე ფრონტზე, სათანადო განყოფილებების «მექანიზმის ნაკლოვანებათა» გამოსაკვლევად.

* * *

მომარაგებისა და ევაკუაციის ორგანოები

მომარაგების საქმეში ძირითადი სენია მომარაგების ორგანოების წარმოუდგენელი დაქსაქსულობა და მათ შორის კოორდინაციის უქონლობა.

---

* სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და შინსახკომის შეერთების საკითხზე ამხ. ძერჟინსკი განსაკუთრებული აზრისაა.

არმიას და პერმის მოსახლეობას სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ «ურალმომარაგება», «გუბმომარაგება», «ქალაქმომარაგება», «მაზრმომარაგება» და «მესამე არმიის მომარაგების სამმართველო». ამასთან მომარაგება ორივე ფეხით კოჭლობდა, ვინაიდან არმია (29-ე დივიზია) შიმშილობდა, ხოლო პერმის მოსახლეობა და მოტოვილიხის მუშები ნახევრად შიმშილობდნენ, რადგან პურის ულუფა სისტემატურად მცირდებოდა და დაყვანილ იქნა საშიმშილო ულუფამდე (1/4 გირვანქა).

არმიის მომარაგების საქმის აწეწილობას, რაც აიხსნება მომარაგების აღნიშნული ორგანოების შეუთანხმებლობით, აძლიერებს ის, რომ სასურსათო სახალხო კომისარიატი ანგარიშს არ უწევს პერმის გუბერნიის დაკარგვას და მესამე არმიისათვის განკუთვნილი თავისი განრიგები პერმის გუბერნიიდან და სხვა შორეული გუბერნიებიდან დღემდე არ გადააქვს ვიატკის გუბერნიაში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სასურსათო სახალხო კომისარიატი ჯერ არ შესდგომია ნავმისადგომებთან პურის მიზიდვას, ხოლო წყალთა მთავარი სამმართველო — გემების რემონტს, რაც, უეჭველია, დიდი გართულების საფრთხეს უქმნის მომარაგების საქმეს მომავალში.

საჭურვლით არმიის მომარაგებას კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს ორგანოების დაქსაქსულობა და საქმის კანცელარული გაჭიანურება. «მომარაგების ცენტრალური სამმართველო», «მთავარი საარტილერიო სამმართველო», «მომარაგების საგანგებო კომისია», «მესამე არმიის საარტილერიო მომარაგება» წამდაუწუმ ფეხში ედებიან ერთმანეთს, აფერხებენ და ჰკლავენ მომარაგების ცოცხალ საქმეს. მდგომარეობის დასახასიათებლად ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამონაწერი III არმიის სარდლის მიერ ფრონტის სარდლისათვის 1918 წლის 17 დეკემბერს, პერმის დაცემის წინ, გაგზავნილი დეპეშიდან (ასლი ტროცკის):

«№ 3249 დეპეშით აღმოსავლეთის ფრონტის მომარაგების უფროსმა გვაცნობა, რომ იაროსლავლის ოლქს მიეცა ექვსი ათასი იაპონური შაშხანის განრიგი, ამასთან, როგორც რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს შტაბის უფროსის კოსტიაევის № 493 დეპეშიდან ჩანს, მთავარსარდალს ეს განრიგი დაუმტკიცებია. III არმიის შტაბმა ერთი თვის წინათ აღნიშნული შაშხანების ჩამოსატანად მიავლინა მიმღები. იაროსლავლის საოლქო საარტილერიო სამმართველოში მისვლისას მიმღებმა დეპეშით გვაცნობა, რომ იქ განრიგის შესახებ არაფერი იციან, რადგან არ ყოფილა მთავარი საარტილერიო სამმართველოს განრიგი. მიმღები გაემგზავრა მოსკოვს მთავარ საარტილერიო სამმართველოში და იქიდან დეპეშით გვაცნობა, რომ შაშხანებს მთავარსარდლის ნებადაურთველად არ იძლევიან. გუშინ მიმღებისაგან მოვიდა დეპეშა, რომ მთავარმა საარტილერიო სამმართველომ კატეგორიული უარი განაცხადა შაშხანების გაცემაზე, და იგი უკან დაბრუნდა. № 208 დეპეშით რევოლუციური სამხედრო საბჭოს მომარაგების უფროსმა გვიდეპეშა, რომ გაცემულია განკარგულება არმიისათვის II არმიიდან ექვსი ათასი შაშხანის გამოგზავნის შესახებ, ხოლო № 1560 დეპეშით II არმიის სარდალმა შეგვატყობინა, რომ ამ შაშხანების მისაღებად სასწრაფოდ გაგვეგზავნა მიმღები იჟევსკში. მიმღები გაგზავნილ იქნა, მაგრამ იჟევსკში მას შაშხანები არ მისცეს იმ მიზეზით, რომ განკარგულება არ მოუციათო. II არმიის სარდალმა № 6542 დეპეშით და აღმოსავლეთის ფრონტის მომარაგების უფროსმა № 6541 დეპეშით ითხოვეს იჟევსკის ქარხნისადმი განკარგულება ხსენებული შაშხანების გაცემის შესახებ. 16 რიცხვამდე ქარხნისათვის არ მიუციათ განკარგულება შაშხანების გაცემის შესახებ, და, მიმღებისაგან მოწოდებული ცნობების მიხედვით, ყველა შაშხანა იჟევსკიდან ორშაბათს ცენტრში უნდა გაიგზავნოს. ამრიგად, არმიამ ორივე განრიგით მისაღები ათი ათასი ცალი შაშხანა დაკარგა. არმიის მდგომარეობა ცნობილია, ფრონტს შევსებას ვერ მივცემთ უშაშხანებოდ, ხოლო თუ შევსება არ გაიგზავნა, ფრონტი დნება და თქვენთვის ცნობილ შედეგს იძლევა. შაშხანების განრიგი იაროსლავლის საოლქო საარტილერიო სამმართველოს მიეცა მთავარსარდლის თანხმობით, ამიტომ მესამე არმიის სარდლობა მთავარ საარტილერიო სამმართველოს ოფიციალურად სდებს ბრალად საბოტაჟს და მოითხოვს ამ საქმის გამოძიებას».

ამ დეპეშის შინაარსს მთლიანად ადასტურებს ფრონტის სარდალი კამენევი. (იხ. «ფრონტის სარდლის მოხსენებანი»).

ორგანოების ასეთივე არევდარევა და დაქსაქსულობა გამეფებული იყო ევაკუაციის დარგში. გზათა საოლქო სამმართველოს უფროსმა გამოიჩინა სრული უუნარობა — აელაგმა რკინიგზელთა ოსტატურად მოწყობილი საბოტაჟი. ხშირი ავარიები რკინიგზაზე, მოძრაობის შეფერხება, არმიისათვის საჭირო ტვირთის უცნაურად გაჭრობა მოულოდნელად თავს ატყდებოდა ოლქს ევაკუაციის ყველაზე ძნელ წუთებში, ამასთან ოლქი არ იღებდა ან ვერ იღებდა სერიოზულ ზომებს ბოროტების თავიდან ასაცილებლად. ცენტრალური კოლეგია «მუშაობდა», ე. ი. კამათობდა, მაგრამ არავითარ, სრულიად არავითარ ზომებს არ იღებდა ტვირთების გეგმაშეწონილი ევაკუაციისათვის. მესამე არმიის სამხედრო მიმოსვლის უფროსს, რომელიც ამავე დროს ევაკუაციის უფროსია, სრულიად არავითარი ზომები არ მიუღია ყველაზე ძვირფასი ტვირთის (მოტოვილიხის ქარხნის მექანიზმებისა და ნაწილების და სხვ.) გამოსაზიდად. გამოჰქონდათ ყოველნაირი ხარახურა, ევაკუაციის საქმეში ერეოდა უკლებლივ ყველა ორგანიზაცია, რის გამო თვით ევაკუაციის პროცესი გადაიქცა ქაოსად, უწესრიგობად.

დასკვნები

არმიის მომარაგების საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა:

1. მოისპოს არმიის მომარაგების ცენტრალური ორგანოების დაქსაქსულობა (მომარაგების ცენტრალური სამმართველო, მომარაგების საგანგებო კომისია, მთავარი საარტილერიო სამმართველო, რომელთაგან თვითეული თავის ნებაზე იძლევა განკარგულებებს), გაერთიანებულ იქნან ისინი

ერთ ორგანოდ, რომელსაც დაეკისრება უმკაცრესი პასუხისმგებლობა განრიგთა სწრაფი შესრულებისათვის.

2. დაევალოს არმიის მომარაგების განყოფილებას იქონიოს დივიზიებთან ორი კვირის ხელუხლებელი მარაგი სურსათისა.

3. დაევალოს სასურსათო სახალხო კომისარიატს არმიებისათვის განკუთვნილი განრიგები გადაიტანოს არმიებთან უახლოეს გუბერნიებში, კერძოდ — მესამე არმიისათვის განკუთვნილი განრიგები გადაიტანოს (სასწრაფო წესით) ვიატკის გუბერნიაში.

4. დაევალოს სასურსათო სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეუდგეს პურის მიზიდვას ნავმისადგომებთან, ხოლო წყალთა მთავარ სამმართველოს—შეუდგეს გემების რემონტს.

ევაკუაციის საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა:

1. გაუქმდეს ადგილობრივი ცენტრალური კოლეგიები.

2. შეიქმნას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ევაკუაციის ერთიანი ორგანო, რომელსაც ექნება ევაკუირებული ქონების განაწილების უფლება.

3. დაევალოს ამ ორგანოს საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ რაიონში ევაკუაციისათვის გაგზავნოს სპეციალური აგენტები და ამ საქმეში აუცილებლად ჩააბას სამხედრო უწყებისა და ამ რაიონის გზათა საოლქო სამმართველოს წარმომადგენლები.

4. დაინიშნოს გზათა სათანადო საოლქო სამმართველოებში, უწინარეს ყოვლისა ურალის ოლქისაში (მისი შემადგენლობის არადამაკმაყოფილებლობის გამო), გზათა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი აგენტები, რომლებსაც უნარი ექნებათ თავიანთ ნებას დაუმორჩილონ რკინიგზის სპეციალისტები და დაძლიონ რკინიგზის მოსამსახურეთა საბოტაჟი.

5. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეუდგეს ორთქლმავლებისა და ვაგონების გადაყვანას იმ რაიონებიდან, სადაც ასეთები უხვად არის, პურის რაიონებში, აგრეთვე დაზიანებული ორთქლმავლების რემონტს.

* *

მატერიალური ნაწილისა და ადამიანთა მთელი დანაკარგი

დანაკარგის ამომწურავი სურათის აღდგენა შეუძლებელია მთელი რიგი დოკუმენტების «დაკარგვისა» და მტრის მხარეზე საქმის მონაწილე მთელი რიგი საბჭოთა მუშაკებისა და სპეციალისტების გადასვლის გამო. არსებული ცნობების მიხედვით, ჩვენ დავკარგეთ: 419 ათასი კუბ. საჟენი შეშა და 2 383 ათასი ფუთი ქვანახშირი, ანტრაციტი, ტორფი; მადანი და სხვა ნედლეული — 66 800 ათასი ფუთი; მთავარი მასალები და ნაწარმი (სხმული თუჯი, ალუმინი, კალა, თუთია და სხვა)—5 მილიონი ფუთი; სხმული, ზოდები. მარტენის და ბესემერის წესით მიღებული ნამზადი — 6 მილიონი ფუთი; რკინა და ფოლადი (ხარისხოვანი, სახურავისა, მავთული, რელსები და სხვა) — 8 მილიონი ფუთი; სუფრის მარილი — 4 მილიონი ფუთი; სოდა კაუსტიკური, კალცინირებული — 255 ათასი ფუთი; ნავთობი და ნავთი— 900 ათასი ფუთი; მედიკამენტები — 5 მილიონი მანეთისა; მოტოვილიხის ქარხნისა და პერმის რკინიგზის სახელოსნოების მატერიალური საწყობები; გზათა უწყების ღერძების პარკი ამერიკული ღერძების დიდი მარაგით; წყლის ტრანსპორტის რაიონული სამმართველოს საწყობები ბამბით, მანუფაქტურით, ოლეონაფტით, ლურსმნით, ფორნებით და სხვ.; 65 ვაგონი ტყავეული; არმიის მომარაგების განყოფილების 150 ვაგონი სურსათი; 297 ორთქლმავალი (აქედან

დაზიანებული—86); სამი ათასზე მეტი ვაგონი; 20 ათასამდე მოკლული, ტყვედ წაყვანილი და უგზოუკვლოდ დაკარგული მეომარი, 10 ვაგონი დაჭრილი მეომრებით; 37 ქვემეხი, 250 ტყვიამფრქვევი, 20 ათასზე მეტი შაშხანა, 10 მილიონზე მეტი ვაზნა, 10 ათასზე მეტი ყუმბარა.

ჩვენ აქ არ ჩაგვითვლია დაკარგული რკინიგზის მთელი ქსელი, ძვირფასი ნაგებობანი და სხვა.

* * *

ფრონტის განსამტკიცებლად მიღებული ზომები

15 იანვრისათვის ფრონტზე გაიგზავნა 1 200 საიმედო ქვეითი და ცხენოსანი; ერთი დღის შემდეგ — კავალერიის ორი ესკადრონი, 20-ს გაიგზავნა მე-3 ბრიგადის 62-ე პოლკი (წინასწარ გულდასმით გაიცხრილა). ამ ნაწილებმა შესაძლებლობა მოგვცეს შეგვეჩერებინა მოწინააღმდეგის შემოტევა, გარდატეხა მოახდინეს III არმიის სულიერ განწყობილებაში და დასაწყისი მისცეს ჩვენს შეტევას პერმზე, რაც ჯერჯერობით წარმატებით მიმდინარეობს. 30 იანვარს ფრონტზე მიემგზავრება (ერთი თვის წმენდის შემდეგ) იმავე ბრიგადის 63-ე პოლკი. 61-ე პოლკი შეიძლება გაიგზავნოს არა უადრეს 10 თებერვლისა (საჭიროა განსაკუთრებით გულდასმითი წმენდა). განაპირა მარცხენა ფლანგის სისუსტის გამო, რომელიც ღიაა მოწინააღმდეგის მხრივ შემოვლისათვის, ვიატკის მოთხილამურეთა ბატალიონი შევსებულია მოხალისეებით (სულ 1 000 მებრძოლი), აღჭურვილია სწრაფმსროლი ზარბაზნებით და 28 იანვარს ვიატკიდან გაიგზავნა ჩერდინისაკენ მესამე არმიის განაპირა მარცხენა ფლანგთან შესაერთებლად. მესამე არმიის დასახმარებლად აუცილებელია გაიგზავნოს რუსეთიდან კიდევ სამი საიმედო პოლკი, რათა ნამდვილად განვამტკიცოთ არმიის მდგომარეობა და შესაძლებლობა მივცეთ მას განავითაროს წარმატება.

არმიის ზურგში მიმდინარეობს საბჭოთა და პარტიული დაწესებულებების სერიოზული წმენდა. ვიატკაში და სამაზრო ქალაქებში შექმნილია რევოლუციური კომიტეტები. დაწყებულია და გრძელდება მტკიცე რევოლუციური ორგანიზაციების დანერგვა სოფლად. ახალ ყაიდაზე ეწყობა მთელი პარტიული და საბჭოთა მუშაობა. გაწმენდილი და გარდაქმნილია სამხედრო კონტროლი. გაწმენდილია და ახალი პარტიული მუშაკებით შევსებულია საგუბერნიო საგანგებო კომისია. მოწესრიგებულია ვიატკის კვანძის განტვირთვა. საჭიროა გამოცდილი პარტიული მუშაკების გაგზავნა და ხანგრძლივი სოციალისტური მუშაობა იმისათვის, რომ საფუძვლიანად განვამტკიცოთ მესამე არმიის ზურგი.

ამთავრებს რა თავის ანგარიშს, კომისიას საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნოს, რომ აუცილებლად საჭიროა თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნას საკონტროლო-სარევიზიო კომისია სახალხო კომისარიატებისა და ადგილებზე, ზურგში და ფრონტზე მათი განყოფილებების ეგრეთწოდებული «მექანიზმის ნაკლოვანებათა» გამოსაკვლევად.

ცენტრში და ადგილებზე მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საბჭოთა ხელისუფლება ჩვეულებრივ იყენებს დანაშაულის ჩამდენ მუშაკთა გამოსწორებისა და პასუხისგებაში მიცემის მეთოდს. კომისია აბსოლუტურად საჭიროდ და სავსებით მიზანშეწონილად ცნობს ამ მეთოდს, მაგრამ იგი არასაკმარისად მიაჩნია. მუშაობის ნაკლოვანებანი აიხსნება არა მარტო მუშაკთა ერთი ნაწილის უნიათობით, დაუდევრობით, პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობით, არამედ მუშაკთა მეორე ნაწილის გამოუცდელობითაც. კომისიამ ადგილობრივ მონახა მთელი რიგი აბ-

სოლუტურად პატიოსანი, დაუღალავი, ერთგული მუშაკები, მაგრამ თავიანთ მუშაობაში მათ დაუშვიათ მთელი რიგი შეცდომები არასაკმაო გამოცდილების გამო. საბჭოთა ხელისუფლებას სპეციალური აპარატი რომ ჰყავდეს, რომელიც დააგროვებდა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილებას და გადასცემდა მას (გამოცდილებას) უკვე გაჩენილ ახალგაზრდა მუშაკებს, რომლებიც პროლეტარიატისადმი დახმარების სურვილით არიან გამსჭვალულნი, — სოციალისტური რუსეთის მშენებლობა ბევრად უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ წავიდოდა. ასეთი აპარატი უნდა იყოს ზემოხსენებული საკონტროლო-სარევიზიო კომისია თავდაცვის საბჭოსთან. ასეთი კომისიის საქმიანობა შეავსებდა ცენტრის მუშაობას მუშაკთა გამოსწორების საქმეში.

კომისია:

ი. სტალინი
ფ. ძერჟინსკი

1919 წ. 31 იანვარი,
მოსკოვი.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 16,
1935 წლის 16 იანვარს.

მთავრობის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში

ერთი წლის წინათ, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, რუსეთი, როგორც სახელმწიფო, ნგრევის სურათს წარმოადგენდა. ძველი «რუსეთის ვრცელი სახელმწიფო» და მასთან ერთად მთელი რიგი პატარა «სახელმწიფოები», რომლებიც აქეთ-იქით იწევდნენ, — ასეთი იყო სურათი.

ოქტომბრის რევოლუციამ და ბრესტის ზავმა მხოლოდ გააღრმავეს და კიდევ უფრო განავითარეს დაშლის პროცესი. ლაპარაკი იწყეს უკვე არა რუსეთზე, არამედ ველიკოროსიაზე, ამასთან განაპირა მხარეებში შექმნილმა ბურჟუაზიულმა მთავრობებმა, ცენტრში არსებული სოციალისტური საბჭოთა მთავრობისადმი მტრობით გამსჭვალულებმა, ომი გამოუცხადეს ამ მთავრობას.

უეჭველია, ამასთან ერთად, განაპირა მხარეებში არსებობდა მუშურ-გლეხური საბჭოების ძლიერი მისწრაფება ცენტრთან ერთიანობისაკენ. მაგრამ ამ მისწრაფებას ახშობდა, ხოლო შემდეგ კიდევაც თრგუნავდა საწინააღმდეგო ტენდენციები უცხოელი იმპერიალისტებისა, რომლებიც საშინაო საქმეებში ჩაერივნენ.

ავსტრიელ-გერმანელი იმპერიალისტები, რომლებმაც მაშინ მთავარი როლი მიისაკუთრეს, მოხერხებულად იყენებ-

დნენ ყოფილი რუსეთის დაშლას და უხვად ამარაგებდნენ განაპირა მხარეების მთავრობებს ყველაფრით, რაც საჭირო იყო ცენტრთან საბრძოლველად, ზოგან განაპირა მხარეების ოკუპაცია მოახდინეს და საერთოდ ხელს უწყობდნენ რუსეთის საბოლოო დაშლას. ანტანტის იმპერიალისტები, რომლებსაც არ სურდათ ჩამორჩენოდნენ ავსტრიელებსა და გერმანელებს, იმავე გზას დაადგნენ.

ბოლშევიკების პარტიის მოწინააღმდეგენი დაშლას, რასაკვირველია (რასაკვირველია!), საბჭოთა ხელისუფლებას აბრალებდნენ. მაგრამ ძნელი გასაგები როდია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო, და არც უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია დროებითი დაშლის გარდუვალი პროცესისათვის. საბჭოთა ხელისუფლებას ესმოდა, რომ რუსეთის ნაძალადევი ერთიანობა, რომელსაც აკავებდნენ იმპერიალისტთა ხიშტები, გარდუვალად უნდა დაშლილიყო რუსეთის იმპერიალიზმის დაცემასთან ერთად: საბჭოთა ხელისუფლება ერთიანობას ვერ დაიცავდა რუსეთის იმპერიალიზმის მეთოდებით, თუ თავის ბუნებას არ უღალატებდა. საბჭოთა ხელისუფლებას შეგნებული ჰქონდა, რომ სოციალიზმისათვის საჭიროა არა ყოველგვარი ერთიანობა, არამედ ძმური ერთიანობა, რომ ასეთი ერთიანობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ როგორც რუსეთის ეროვნებათა მშრომელი კლასების ნებაყოფლობითი კავშირი, ან იგი სულაც არ დამყარდება...

ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებამ ახალი სურათი გადაშალა. ერთი მხრივ, განაპირა მხარეებში, რომლებმაც ოკუპაციის ყველა საშინელება განიცადეს, წარმოიშვა უაღრესად ძლიერი მისწრაფება რუსეთის პროლეტარიატისადმი და სახელმწიფო მშენებლობის მისი ფორმებისადმი, მისწრაფება, რომლის წინაშეც უძლურია განაპირა მხარეების მთავრობათა სეპარატისტული ჰაპანწყვეტა. მეორე მხრივ აღარ იყო ის გარეშე შეიარაღებული ძალა

(ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმი), რომელიც ხელს უშლიდა ოკუპირებული ოლქების მშრომელ მასებს გამოეჩინათ თავიანთი საკუთარი პოლიტიკური სახე. ოკუპირებულ ოლქებში შემდეგ დაწყებული მძლავრი რევოლუციური აღმავლობა და მთელი რიგი მუშურ-გლეხური ნაციონალური რესპუბლიკების შექმნა ეჭვს აღარ ტოვებდა ოკუპირებული ოლქების პოლიტიკურ მისწრაფებათა შესახებ. საბჭოთა ნაციონალური მთავრობების შეკითხვაზე მათი ცნობის შესახებ, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ უპასუხა შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობის ულაპარაკოდ აღიარებით. ასე რომ იქცეოდა. საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა თავის ძველ, ნაცად პოლიტიკას, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ძალადობას ეროვნებათა მიმართ, მოითხოვს ეროვნებათა მშრომელი მასების განვითარების სრულ თავისუფლებას. საბჭოთა ხელისუფლებას ესმოდა, რომ მხოლოდ ურთიერთნდობის ნიადაგზე შეიძლება წარმოიშვას ურთიერთგაგება, რომ მხოლოდ ურთიერთგაგების ნიადაგზე შეიძლება აგებულ იქნას ხალხთა მტკიცე, ურღვევი კავშირი.

საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა არ დააყოვნეს ერთხელ კიდევ დაედოთ მისთვის ბრალად რუსეთის დანაწილების «ახალი ცდა». მათ შორის ყველაზე რეაქციულებმა ალღო აუღეს განაპირა მხარეების მისწრაფებას ცენტრისაკენ და გამოაცხადეს «ახალი» ლოზუნგი «დიდი რუსეთის» აღდგენისა, რასაკვირველია, ცეცხლითა და მახვილით, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გზით. კრასნოვები და დენიკინები, კოლჩაკები და ჩაიკოვსკები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ცდილობდნენ დაეყოთ რუსეთი მთელ რიგ დამოუკიდებელ კონტრრევოლუციურ კერებად, დღეს უცებ გაიმსჭვალნენ «სრულიად რუსეთის სახელმწიფოს» «იდეით». ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის აგენტებმა, რომლებსაც პოლიტიკური ალღოს უქონლობას ვერ დავწა-

მებთ და რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ცდილობდნენ რუსეთის დაშლას, დღეს ისე მკვეთრად შეაბრუნეს გეზი, რომ ერთბაშად მთელი ორი «სრულიად რუსეთის» მთავრობა შექმნეს (ციმბირსა და სამხრეთში). ყოველივე ეს, უეჭველია, მოწმობს ცენტრისაკენ განაპირა მხარეების უეჭველ მისწრაფებას, რომლის გამოყენებასაც ახლა ცდილობენ ჩვენებური და უცხოელი კონტრრევოლუციონერები.

ლაპარაკიც ზედმეტია, რომ «ძველი რუსეთის» (რასაკვირველია, ძველი რეჟიმით) აღმდგენელთა კონტრრევოლუციური ზრახვანი, რუსეთის ეროვნებათა მშრომელი მასების წელიწადნახევრის რევოლუციური მუშაობის შემდეგ, ჩასაფუშავად არის განწირული. მაგრამ რაც უფრო უტოპიურია ჩვენი კონტრრევოლუციონერების გეგმები, მით უფრო რეალური სახე ეძლევა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც მთლიანად ემყარება რუსეთის ხალხთა ძმურ ურთიერთნდობას. უფრო მეტიც, იგი, ეს პოლიტიკა, ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, ერთადერთი რეალური, ერთადერთი რევოლუციური პოლიტიკაა.

ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს თუნდაც უკანასკნელი დეკლარაცია ბელორუსიის რესპუბლიკის საბჭოების ყრილობისა[55] რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან ფედერაციული კავშირის დამყარების შესახებ. საქმე ის არის, რომ ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ამას წინათ დამოუკიდებლად იქნა ცნობილი, ახლა თავისი საბჭოების ყრილობაზე ნებაყოფლობით აცხადებს კავშირს რუსეთის რესპუბლიკასთან. ბელორუსიის საბჭოების ყრილობა თავის 3 თებერვლის დეკლარაციაში აცხადებს, «რომ ყველა ამჟამად დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა მხოლოდ თავისუფალი ნებაყოფლობითი კავშირი უზრუნველყოფს მუშებისა და გლეხების გამარჯვებას მთელ დანარჩენ კაპიტალისტურ სამყაროსთან ბრძოლაში».

«ყველა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ნებაყოფლობითი კავშირი»... ეს ხალხთა გაერთიანების სწორედ ის გზაა, რომელზეც მუდამ ლაპარაკობდა საბჭოთა ხელისუფლება, და რომელიც ახლა იძლევა თავის საკეთილო შედეგებს.

ბელორუსიის საბჭოების ყრილობამ, გარდა ამისა, გადაწყვიტა გაერთიანდეს ლიტვის რესპუბლიკასთან და საჭიროდ აღიარა ორივე რესპუბლიკის ფედერაციული კავშირი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან. ტელეგრაფმა ცნობა მოიტანა, რომ ლიტვის საბჭოთა მთავრობა ამავე თვალსაზრისზე დგას, ამასთან ლიტვის კომუნისტთა პარტიის — ლიტვის პარტიებში ყველაზე უფრო გავლენიანი პარტიის—კონფერენცია, თურმე, ადასტურებს ლიტვის საბჭოთა მთავრობის პოზიციას. ყველა საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ლიტვის საბჭოების ყრილობა [56], რომელსაც ახლა იწვევენ, ამავე გზას დაადგება.

ამით კიდევ ერთხელ დასტურდება სისწორე საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა ნაციონალურ საკითხში.

ასე აღწევენ რუსეთის ხალხები ძველი იმპერიალისტური ერთიანობის **დაშლიდან** დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების **საშუალებით** ახალ ნებაყოფლობითს ძმურ **ერთიანობას.**

ეს გზა, უეჭველია, ყველაზე ადვილი როდია, მაგრამ იგი ერთადერთი გზაა, რომელსაც მივყავართ რუსეთის ეროვნებათა მშრომელი მასების მტკიცე, ურღვევი სოციალისტური კავშირისაკენ.

«იზვესტია» № 30,
1919 წ. 9 თებერვალი.

ხელმოწერა: ს ტ ა ლ ი ნ ი.

თურქესტანის დეპუტატთა საბჭოებს და პარტიულ ორგანიზაციებს

აღმოსავლეთის განაპირა მხარეების განთავისუფლებასთან ერთად პარტიულ-საბჭოთა მუშაკების წინაშე დგება ამოცანა ამ განაპირა მხარეების ეროვნებათა მშრომელი მასების ჩაბმისა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საერთო მუშაობაში. საჭიროა ავამაღლოთ მშრომელი ფენების კულტურული დონე, სოციალისტურად გავანათლოთ ისინი, განვავითაროთ ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე, პროლეტარიატთან ყველაზე ახლო მდგომი ადგილობრივი ადამიანები შევიყვანოთ საბჭოთა ორგანიზაციებში, ჩავაბათ ისინი მხარის მართვის საქმეში.

მხოლოდ ამნაირად შეგვეძლება თურქესტანის მშრომელებისათვის მახლობელი და მშობლიური გავხადოთ საბჭოთა ხელისუფლება.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თურქესტანი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენს ხიდს, რომელიც სოციალისტურ რუსეთს აერთებს აღმოსავლეთის ჩაგრულ ქვეყნებთან, რომ ამის გამო თურქესტანში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ შეიძლება იქონიოს უდიდესი გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა მთელი აღმოსავლეთისათვის. სწორედ ამიტომ ზემოხსენებულ

ამოცანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თურქესტანისათვის.

მოგაგონებთ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მთელ რიგ გადაწყვეტილებებს ამ ცირკულარული წერილის მსგავსი შინაარსისას, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ თურქესტანის პარტიულ-საბჭოთა მუშაკები და, უწინარეს ყოვლისა, დეპუტატთა საბჭოების ნაციონალური განყოფილებები შეძლებენ ღირსეულად შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის
ბიუროს წევრი,
სახალხო კომისარი **ი. სტალინი**

მოსკოვი,
1919 წ. 12 თებერვალი.

«ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 7.
1919 წ. 2 მარტი.

ორი ბანაკი

მსოფლიო გადაჭრით და საბოლოოდ გაიყო ორ ბანაკად: იმპერიალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად.

იქ, **მათს** ბანაკში, არიან ამერიკა და ინგლისი, საფრანგეთი და იაპონია მათი კაპიტალებით, შეიარაღების საშუალებებით, ნაცადი აგენტებით, გამოცდილი ადმინისტრატორებით.

აქ, **ჩვენს** ბანაკში, არის საბჭოთა რუსეთი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებით, ევროპის ქვეყნებში მზარდი პროლეტარული რევოლუციით, საბჭოთა რუსეთი, რომელსაც არა აქვს კაპიტალები, არა ჰყავს ნაცადი აგენტები, გამოცდილი ადმინისტრატორები, სამაგიეროდ ჰყავს გამოცდილი აგიტატორები, რომლებსაც უნარი შესწევთ განმათავისუფლებელი ცეცხლით აღაგზნონ მშრომელთა გული.

ამ ორი ბანაკის ბრძოლა შეადგენს მთელი თანამედროვე ცხოვრების ღერძს, ამ ბრძოლით არის აღსავსე ძველი და ახალი სამყაროს მოღვაწეთა ახლანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი შინაარსი.

ესტლანდია და ლიტვა, უკრაინა და ყირიმი, თურქესტანი და ციმბირი, პოლონეთი და კავკასია, ბოლოს, თვით რუსეთი — თვითმიზნები კი არ არიან, არამედ მხოლოდ ბრძოლის ასპარეზი, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-

ლას ეწევა ორი ძალა: იმპერიალიზმი, რომელიც ისწრაფის განამტკიცოს მონობის უღელი, და სოციალიზმი, რომელიც იბრძვის მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

იმპერიალიზმის ძალა მდგომარეობს ხალხის მასების უმეცრებაში, რომლებიც თავიანთ ბატონ-პატრონებს ამდიდრებენ და თავისთვის ჩაგვრის ხუნდებს ჭედავენ. მაგრამ მასების უმეცრება წარმავალი რამ არის, რასაც ტენდენცია აქვს გარდუვალად გაქრეს დროთა ვითარებაში, მასების უკმაყოფილების ზრდასთან, რევოლუციური მოძრაობის გავრცელებასთან ერთად. იმპერიალისტთა კაპიტალები... მაგრამ ვინ არ იცის, რომ კაპიტალები უძლურია გარდუვალის წინაშე? სწორედ ამიტომ იმპერიალიზმის ბატონობა ხანმოკლეა, სიმტკიცეს მოკლებულია.

იმპერიალიზმის სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ იგი უძლურია მოახდინოს ომის ლიკვიდაცია კატასტროფის **გარეშე,** მასობრივი უმუშევრობის გაძლიერების **გარეშე,** თავისივე საკუთარი მუშებისა და გლეხების ახალი გაძარცვის **გარეშე,** სხვისი მიწების ახალი დაპყრობის **გარეშე.** საქმე ეხება არა ომის დამთავრებას და არც გერმანიაზე გამარჯვებას, არამედ იმას, თუ ვის დაეკისროს ომზე დახარჯული მილიარდები. რუსეთი იმპერიალისტური ომიდან განახლებული გამოვიდა, იმიტომ რომ მან ომის ლიკვიდაცია მოახდინა შინაური და გარეშე იმპერიალისტების ხარჯზე, მან ომის ხარჯები დააკისრა ომის ნამდვილ დამნაშავეებს, მოახდინა რა ამ უკანასკნელთა ექსპროპრიაცია. იმპერიალისტები ასე ვერ მოიქცევიან, მათ არ შეუძლიათ მოახდინონ საკუთარი თავის ექსპროპრიაცია, რადგან მაშინ ისინი იმპერიალისტები აღარ იქნებოდნენ. ომის ლიკვიდაცია იმპერიალისტურად რომ მოახდინონ, ისინი «იძულებული» არიან საშიმშილოდ გასწირონ მუშები (მასობრივი უმუშევრობა «არახელსაყრელ» საწარმოთა დახურვის ნიადაგზე, ახალი არაპირდაპირი გადასა-

ხადები და პროდუქტების ფასების მძაფრი ზრდა), ისინი «იძულებული» არიან გაძარცვონ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა, კავკასია, თურქესტანი, ციმბირი.

განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ყოველივე ეს აფართოებს რევოლუციის ბაზას, არყევს იმპერიალიზმის საფუძვლებს და აჩქარებს გარდუვალ კატასტროფას?

გამარჯვებით დამთვრალი იმპერიალიზმი სამი თვის წინათ იარაღს აჟღარუნებდა და იმუქრებოდა, რომ თავისი არმიის ურდოებით აავსებდა რუსეთს. საბჭოთა რუსეთი, «უბადრუკი», «ველური», — განა გაუძალდება იგი «დისციპლინირებულ» არმიას ინგლისელებისა და ფრანგებისას, რომლებმაც დაამარცხეს «თვით» გერმანელები მათი განთქმული ტექნიკიანად? ასე ფიქრობდნენ ისინი. მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ «წვრილმანი», ვერ გაითვალისწინეს, რომ ზავი, თუნდაც იგი «ბილწი» იყოს, აუცილებლად შეარყევს არმიის «დისციპლინას», აამხედრებს მას ახალი ომის წინააღმდეგ, ხოლო უმუშევრობა და ცხოვრების სიძვირე აუცილებლად გააძლიერებენ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას თავიანთი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

მართლაც რა გამოვიდა? «დისციპლინირებული» არმია უვარგისი აღმოჩნდა ინტერვენციისათვის: მას შეეყარა გარდუვალი სენი, — გახრწნა. ნაქები «სამოქალაქო მშვიდობა» და «წესრიგი» გადაიქცნენ თავიანთ წინააღმდეგობად, სამოქალაქო ომად. რუსეთის განაპირა მხარეებში ნაჩქარევად შეკოწიწებული ბურჟუაზიული «მთავრობები» საპნის ბუშტები აღმოჩნდნენ, იმისათვის უვარგისნი, რომ დაფარონ ინტერვენცია, რომელიც, რასაკვირველია (რასაკვირველია!), «ჰუმანურობისა» და «ცივილიზაციის» მიზნებს ისახავს. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთს, ის არამც თუ იოლად ვერ დაიმორჩილეს, არამედ საჭიროდაც

კი სცნეს ცოტა უკან დაეხიათ და იგი «თათბირზე» მიიწვიეს პრინცის კუნძულებზე [57]. ვინაიდან წითელი არმიის წარმატებებს, ახალი ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების გაჩენას, რომლებიც რევოლუციის სულისკვეთებას გადასცემენ მეზობელ ქვეყნებს, რევოლუციის ზრდას დასავლეთში და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გაჩენას ანტანტის ქვეყნებში არ შეეძლო უაღრესად დამაჯერებლად არ ემოქმედნა. უფრო მეტიც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ «შეურიგებელი» კლემანსო, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უარს ამბობდა ბერნის კონფერენციაზე [58] გასამგზავრებლად პასპორტების გაცემაზე და «ანარქიული» რუსეთის გადასაყლაპავად ემზადებოდა, ახლა, რევოლუციის მიერ რამდენადმე გვერდებდაზელილი, უარს აღარ ამბობს იმაზე, რომ ისარგებლოს პატიოსანი «მარქსისტი» მაკლერის, მოხუც კაუცკის სამსახურით, და მას რუსეთში გზავნის მოსალაპარაკებლად... ესე იგი «გამოსაკვლევად».

განა მართალი არ არის:

«სად გაქრა სიტყვა აღზევებული,
ძალა ზვიადი, სიმხნე მეფური?..» [59]

მთელი ეს ცვლილება რაღაც სამიოდე თვეში მოხდა.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ შემდგომი განვითარება იმავე მიმართულებით წავა, ვინაიდან უნდა ვაღიაროთ, რომ «ქარიშხალთა და უბედურებათა» ახლანდელ მომენტში რუსეთი **ერთადერთი** ქვეყანაა, სადაც საზოგადოებრივი-სამეურნეო ცხოვრება «ნორმალურად» მიმდინარეობს, სადაც არ ხდება გაფიცვები და მთავრობისადმი მტრული დემონსტრაციები, ხოლო საბჭოთა მთავრობა **ყველაზე მტკიცეა** ევროპაში ამჟამად არსებულ ყველა მთავრობათაგან, ამასთან საბჭოთა რუსეთის ძალა და წონა, როგორც შიგნით, ისე **გარეთ**, დღითიდღე

იზრდება იმპერიალისტურ მთავრობათა ძალისა და წონის დაცემის პირდაპირი შესაბამისობით.

ორ შეურიგებელ ბანაკად გაიყო მსოფლიო: იმპერიალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად. სულთმობრძავი იმპერიალიზმი ებღაუჭება უკანასკნელ საშუალებას, «ერთა ლიგას», და ცდილობს თავი იხსნას იმით, რომ ერთიან კავშირად დარაზმოს ყველა ქვეყნის მძარცველნი. მაგრამ ამაოა მისი ღონისძიებანი, ვინაიდან ვითარება და დრო მის წინააღმდეგ, სოციალიზმის სასარგებლოდ მუშაობენ. შეუჩერებლივ იზრდებიან სოციალისტური რევოლუციის ტალღები და ეხეთქებიან იმპერიალიზმის ციხესიმაგრეებს. მათი გრგვინვა ისმის ჩაგრული აღმოსავლეთის ქვეყნებში. ნიადაგს ცეცხლი ედება იმპერიალიზმის ფეხქვეშ. იმპერიალიზმი გარდუვალი დაღუპვისათვის არის განწირული.

«იზვესტია» № 41,
1919 წ. 22 თებერვალი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ.

ჩვენი ამოცანები აღმოსავლეთში

აღმოსავლეთისაკენ წითელი არმიის წინწაწევასა და თურქესტანისაკენ გზის გახსნასთან ერთად ჩვენს წინაშე მთელი რიგი ახალი ამოცანები ისახება.

რუსეთის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა არ განირჩევა არც ცენტრალური გუბერნიების ერთფეროვნებით, რამაც გააადვილა სოციალისტური მშენებლობის საქმე, არც დასავლეთი და სამხრეთი განაპირა მხარეების კულტურული მომწიფებულობით, რამაც შესაძლებელი გახადა სწრაფად და უმტკივნეულოდ მისცემოდა საბჭოთა ხელისუფლებას სათანადო ნაციონალური ფორმები. რუსეთის ამ განაპირა მხარეებისა და ცენტრის საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთი განაპირა მხარეები: თათრები და ბაშკირები, ყირგიზები და უზბეკები, თურქმენები და ტაჯიკები, ბოლოს, მთელი რიგი სხვა ეთნოგრაფიული წარმონაქმნები (30-მდე მილიონი მოსახლეობა) წარმოადგენენ უდიდეს სხვადასხვაობას კულტურულად ჩამორჩენილი ხალხებისას, რომლებიც ან ჯერ კიდევ არ გამოსულან საშუალო საუკუნეების დროინდელი მდგომარეობიდან, ან მხოლოდ ცოტა ხნის წინათ შევიდნენ კაპიტალისტური განვითარების სფეროში.

ეს გარემოება, უეჭველია, ართულებს და რამდენადმე აძნელებს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს აღმოსავლეთში.

წმინდა შინაგანი საყოფაცხოვრებო ხასიათის გართულებებს ემატება «ისტორიული» ხასიათის გართულებანი, რომლებიც, ასე ვთქვათ, გარედან არის შეტანილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეფის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო აღმოსავლეთის ხალხთა მოსახრჩობად, სიხარბე და გაუმაძღრობა რუსი ვაჭრისა, რომელიც აღმოსავლეთი განაპირა მხარეების ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს, და, ბოლოს, იეზუიტური პოლიტიკა რუსი ხუცესისა, რომელიც არაფერს არ თაკილობდა და ყოველნაირად ცდილობდა მართლმადიდებლობის წიაღში შეეთრია მუსლიმანი ხალხები, — მხედველობაში გვაქვს ეს გარემოებანი, რომლებმაც აღმოსავლეთის ხალხებს შეუქმნეს ყოველივე რუსულისადმი უნდობლობისა და გაბოროტების გრძნობა.

მართალია, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და ჩაგრული ხალხების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების განმათავისუფლებელმა პოლიტიკამ, უეჭველია, გაწმინდეს ნაციონალური შუღლის ატმოსფერო და რუსეთის პროლეტარიატს მოუპოვეს აღმოსავლეთის ხალხთა ნდობა და პატივისცემა. უფრო მეტიც. ყველა საფუძველი გვაქვს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ აღმოსავლეთის ხალხები, მათი შეგნებული წარმომადგენლები, უკვე თანდათანობით უყურებენ რუსეთს როგორც იმპერიალიზმის ხუნდებისაგან მათი განთავისუფლების დასაყრდენსა და დროშას. მაგრამ კულტურული შეზღუდულობა და ყოფაცხოვრებითი ჩამორჩენილობა, რომელიც ხელის ერთი მოქნევით ვერ აღმოიფხვრება, მაინც საგრძნობია (და კიდევ საგრძნობი იქნება) აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეში.

სწორედ ეს სიძნელეები აქვს მხედველობაში რკპ პროგრამის პროექტის შემდგენელ კომისიას [00], როდესაც პროექტში აცხადებს, რომ ნაციონალური თავისუფლების საკითხში «რკპ დგას ისტორიულ-კლასობრივ თვალსაზრისზე და ანგარიშს უწევს იმას, თუ თავისი ისტორიული განვითარების რომელ საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი: საშუალო საუკუნეების დროინდელი მდგომარეობიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე თუ ბურჟუაზიული დემოკრატიიდან საბჭოთა დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე», რომ «იმ ერთა პროლეტარიატის მხრივ, რომლებიც მჩაგვრელი ერები იყვნენ, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და განსაკუთრებული ყურადღება ნაციონალური გრძნობების ნაშთებისადმი ჩაგრული ან არასრულუფლებიანი ერების მშრომელ მასებში».

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ:

1) მთელი ძალღონით ავამაღლოთ ჩამორჩენილ ხალხთა კულტურული დონე, მოვაწყოთ სკოლებისა და სხვანაირი განმანათლებლო დაწესებულებების ხშირი ქსელი, განვავითაროთ სიტყვიერი და ბეჭდვითი საბჭოთა აგიტაცია გარშემო მყოფი მშრომელი მოსახლეობისათვის გასაგებ და მშობლიურ ენაზე.

2) ჩავაბათ აღმოსავლეთის მშრომელთა მასები საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში, ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ შექმნან დეპუტატთა თავიანთი სათემო, სამაზრო და სხვა საბჭოები იმ ადამიანთაგან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგნენ და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მახლობელნი არიან.

3) აღვკვეთოთ ძველი რეჟიმისაგან მემკვიდრეობად მიღებული ან სამოქალაქო ომის ატმოსფეროში შეძენილი ყველა და ყოველგვარი ფორმალური და ფაქტიური შეზღუდვანი, რომლებიც ხელს უშლიან აღმოსავლეთის ხალხთა მაქსიმალური თვითმოქმედების განვითარე-

ბას საშუალო საუკუნეების დროინდელი მდგომარეობის ნაშთებისა და უკვე განადგურებული ნაციონალური ჩაგვრის ნაშთებისაგან განთავისუფლების გზაზე.

მხოლოდ ამნაირად შეგვეძლება მახლობელი და მშობლიური გავხადოთ საბჭოთა ხელისუფლება ვრცელი აღმოსავლეთის დამონებული ხალხებისათვის.

მხოლოდ ამნაირად შეგვეძლება გავდოთ ხიდი დასავლეთის პროლეტარულ რევოლუციასა და აღმოსავლეთის ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას შორის და ამნაირად შევქმნათ ყოვლისმომცველი რკალი სულთმობრძავი იმპერიალიზმის გარშემო.

ავაგოთ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელი, აღვმართოთ ყაზანსა და უფაში, სამარყანდსა და ტაშკენტში სოციალისტური შუქურა, რომელიც გაანათებს აღმოსავლეთის ტანჯულ ხალხთა განთავისუფლების გზას, — ასეთია ამოცანა.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი თავდადებული პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს პროლეტარული რევოლუციისა და იმპერიალიზმთან ომის მთელი სიმძიმე, შეძლებენ ღირსეულად შეასრულონ ისტორიის მიერ მათთვის დაკისრებული ეს ამოცანაც.

«პრავდა» № 48,
1919 წ. 2 მარტი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

ოცი წლის მანძილზე

1917 წლის თებერვალი — მარტი

ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში. მილიუკოვ-კერენსკის მთავრობა. საბჭოებში გაბატონებული პარტიები არიან მენშევიკები და ესერები. პეტროგრადის საბჭოს 400 — 500 წევრში ბოლშევიკი 40 — 50 თუ იქნება. რუსეთის დეპუტატთა საბჭოების პირველ კონფერენციაზე [61] ბოლშევიკები ძლივს აგროვებენ ხმების 15 — 20%-ს. ბოლშევიკების პარტია ამ პერიოდში ყველაზე სუსტია რუსეთის ყველა სოციალისტურ პარტიებს შორის. მის ორგანოს, გაზეთ «პრავდას» [62], ყველგან ლანძღავენ, როგორც «ანარქისტულს». მის ორატორებს, რომლებიც იმპერიალისტურ ომთან ბრძოლისაკენ მოუწოდებენ, ტრიბუნიდან აგდებენ ჯარისკაცები და მუშები. ამხ. ლენინის განთქმულ თეზისებს საბჭოების ძალაუფლების შესახებ [63] დეპუტატთა საბჭოები არ იღებენ. სოციალ-პატრიოტული მიმართულების ობორონცული პარტიები — მენშევიკები და ესერები — სრული ზეიმის პერიოდს განიცდიან.

ამავე დროს, იმპერიალისტური ომი, რომელიც არ წყდება, განაგრძობს თავის მომაკვდინებელ მოქმედებას, — შლის მრეწველობას, ანგრევს სოფლის მეურნეობას, არღვევს სურსათის საქმეს და ტრანსპორტს, ნთქამს ათწულ და ასეულ ათასობით ახალ მსხვერპლს.

*

1918 წლის თებერვალი — მარტი

პროლეტარული რევოლუცია რუსეთში. კერენსკი-კონოვალოვის ბურჟუაზიული მთავრობა დამხობილია. ცენტრში და ადგილებზე საბჭოების ხელისუფლებაა. იმპერიალისტური ომი დამთავრდა. მიწები საკუთრებად გადაეცა ხალხს. დაწესდა მუშათა კონტროლი. შექმნილია წითელი გვარდია. მენშევიკებმა და ესერებმა სცადეს «მთელი ძალაუფლება» გადაეცათ დამფუძნებელი კრებისათვის პეტროგრადში, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. დამფუძნებელი კრება დათხოვნილ იქნა და ბურჟუაზიული რესტავრაცია ჩაიფუშა. წითელმა გვარდიამ წარმატებანი მოიპოვა სამხრეთში, ურალსა და ციმბირში. სასტიკად დამარცხებული მენშევიკები და ესერები მიდიან განაპირა მხარეებში, იქ უერთდებიან კონტრრევოლუციონერებს, კავშირს ჰკრავენ იმპერიალიზმთან და ომს უცხადებენ საბჭოთა რუსეთს.

ამ პერიოდში ბოლშევიკების პარტია ყველაზე ძლიერი და დარაზმულია რუსეთის ყველა პარტიებს შორის. ჯერ კიდევ საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების პარტიას აქვს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა (65 — 70%). შემდეგ საბჭოების განვითარება განუხრელად წარმოებს ბოლშევიკების სასარგებლოდ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო მუშათა საბჭოები, სადაც ბოლშევიკები საერთოდ 90%-ს შეადგენენ, და არა მარტო ჯარისკაცთა საბჭოები, სადაც ბოლშევიკები 60 — 70%-ს შეადგენენ, არამედ გლეხთა საბჭოებიც, სადაც ბოლშევიკებმა უმრავლესობა მოიპოვეს.

მაგრამ ბოლშევიკების პარტია ამ პერიოდში არა მარტო ყველაზე ძლიერი, არამედ აგრეთვე **ერთადერთი** სოციალისტური პარტიაა რუსეთში. ვინაიდან მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებიც მაშინ ელოლიავებოდნენ ჩეხოსლოვაკებსა და დუტოვს, კრასნოვსა და ალექსეევს, ავსტრია-გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს, საბოლოოდ დაკარგეს ყოველგვარი მორალური წონა რუსეთის პროლეტარულ ფენებში.

მაგრამ ამ განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობას ქვეყნის შიგნით ასუსტებს და ბოჭავს ის გარემოება, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არა ჰყავს გარეშე მოკავშირეები, სოციალისტური რუსეთი მებრძოლი იმპერიალიზმის ზღვით გარშემორტყმულ კუნძულს წარმოადგენს. ევროპის მუშები, დატანჯულნი, დაჭრილნი... მაგრამ ისინი ომში არიან ჩაბმულნი, და მათ არა სცალიათ იმისათვის, რომ ჩაუფიქრდნენ რუსეთში სოციალისტური წესწყობილების, ომისაგან ხსნის გზებისა და სხვა საკითხებს. რაც შეეხება ევროპის «სოციალისტურ» პარტიებს, მათ, რომლებმაც თავიანთი ხმალი იმპერიალისტებს მიჰყიდეს, — განა მათ შეეძლოთ არ ელანძღათ ბოლშევიკები, ეს «მოუსვენარი» ადამიანები, რომლებსაც «შფოთი» შეაქვთ მუშებში თავიანთი «ძვირად ღირებული», «სახიფათო ექსპერიმენტებით»?

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ამ პერიოდში ბოლშევიკების პარტიაში განსაკუთრებით ძლიერდება ტენდენცია პროლეტარული რევოლუციის ბაზის გაფართოებისა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ მოძრაობაში დასავლეთის (აგრეთვე აღმოსავლეთის) მუშების ჩაბმისა, ყველა ქვეყნის რევოლუციურ მუშებთან მუდმივი კავშირის დამყარებისა.

* * *

1919 წლის თებერვალი — მარტი

საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება რუსეთში. მისი ტერიტორიების გაფართოება. წითელი არმიის შექმნა. წითელი არმიის წარმატებანი სამხრეთში, ჩრდილოეთში, დასავლეთში, აღმოსავლეთში. საბჭოთა რესპუბლიკების გაჩენა ესტლანდიაში, ლატვიაში, ლიტვაში, ბელორუსიაში, უკრაინაში. ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმის განადგურება და პროლეტარული რევოლუცია გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში. შეიდემან-ებერტის მთავრობა და გერმანიის დამფუძნებელი კრება. საბჭოთა რესპუბლიკა ბავარიაში. პოლიტიკური გაფიცვები მთელ გერმანიაში ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», «ძირს ებერტი — შეიდემანი»! გაფიცვები და მუშათა საბჭოები ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში. ძველი არმიის ხრწნა ანტანტის ქვეყნებში და ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოების გაჩენა. საბჭოთა სისტემის გადაქცევა პროლეტარული დიქტატურის უნივერსალურ ფორმად. მემარცხენე კომუნისტური ელემენტების გაძლიერება ევროპის ქვეყნებში და კომუნისტური პარტიების წარმოშობა გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, შვეიცარიაში. კავშირი მათ შორის და მოქმედების კოორდინაცია. II ინტერნაციონალის დაშლა. რევოლუციური სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენცია მოსკოვში[64] და ყველა ქვეყნის მებრძოლი მუშების საერთო მებრძოლი ორგანოს — III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება. რუსეთში პროლეტარული რევოლუციის იზოლაციის დასასრული: რუსეთს ახლა ჰყავს მოკავშირეები. იმპერიალისტური «ერთა ლიგა» პარიზში და მისი დამხმარე სოციალ-პატრიოტული კონფერენცია ბერნში, რომლებიც ცდილობენ «ბოლშევიკური გადამდები სენი-

საგან» დაიცვან ევროპის მუშები, მიზანს ვერ აღწევენ: საბჭოთა რუსეთი გარდუვალად უნდა გადაქცეულიყო და მართლაც გადაიქცა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მედროშედ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოწინავე რევოლუციური ძალების თავმოყრის ცენტრად. ბოლშევიზმი «წმინდა რუსული პროდუქტიდან» იქცევა მრისხანე საერთაშორისო ძალად, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საფუძვლებს არყევს.

ახლა ამას აღიარებენ მენშევიკებიც კი, რომლებმაც «გადადეს ზრუნვა» დამფუძნებელ კრებაზე, დაკარგეს თავისი «არმია» და ნელნელა გადმოდიან საბჭოების რესპუბლიკის ბანაკში.

ახლა ამას არ უარყოფენ მემარჯვენე ესერებიც კი, რომლებმაც დამფუძნებელი კრება კოლჩაკებთან და დუტოვებთან თამაშში წააგეს და იძულებული არიან საბჭოების ქვეყანაში გამოქცევით უშველონ თავს.

* * *

შედეგები

პროლეტარიატის ორი წლის ბრძოლის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა ბოლშევიკების წინასწარხედვა იმპერიალიზმის კრახისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობის შესახებ, მემარჯვენე-«სოციალისტური» პარტიების სიდამპლისა და II ინტერნაციონალის გახრწნის შესახებ, საბჭოთა სისტემის საერთაშორისო მნიშვნელობისა და დამფუძნებელი კრების ლოზუნგის კონტრრევოლუციურობის შესახებ, ბოლშევიზმის მსოფლიო მნიშვნელობისა და III, მებრძოლი ინტერნაციონალის შექმნის გარდუვალობის შესახებ.

«ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 8,
1919 წ. 9 მარტი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

იმპერიალიზმის რეზერვები

იმპერიალიზმისა და სოციალიზმის ომი გრძელდება. ნაციონალური «ლიბერალიზმი» და «მცირე» ხალხებისადმი «მფარველობა», ანტანტის «მშვიდობისმოყვარეობა» და ინტერვენციაზე «უარის თქმა», «განიარაღების» მოთხოვნა და მოლაპარაკებისათვის «მზადყოფნა», «ზრუნვა» «რუს ხალხზე» და «სურვილი» «დაეხმარონ» მას ყველა «სელმისაწვდომი საშუალებით», — ყოველივე ეს და მრავალი მსგავსი რამ მხოლოდ საფარველია, რომლითაც მალავენ ტანკებისა და საომარი მასალის გაძლიერებულ მიწოდებას სოციალიზმის მტრებისათვის, ჩვეულებრივი დიპლომატიური ხრიკია, რომლის მიზანია დაუმალოს ქვეყნიერებას «ძებნა» სოციალიზმის ჩახშობის, «მცირე» ხალხების, კოლონიების, ნახევრადკოლონიების ჩახშობის ახალი, «საზოგადოებრივი აზრისათვის» «მისაღები» ფორმებისა.

ოთხიოდე თვის წინათ მოკავშირე ქვეყნების იმპერიალიზმმა, რომელმაც დაამარცხა თავისი ავსტრიელ-გერმანელი მეტოქეები, მკვეთრად და გარკვეულად დააყენა საკითხი «რუსეთის საქმეებში» შეიარაღებული ჩარევისა (ინტერვენცია!). არავითარი მოლაპარაკება «ანარქიულ» რუსეთთან! «განთავისუფლებული» ჯარების ნაწილის გადაყვანა რუსეთის ტერიტორიაზე, მათი შეერთება **სკო-**

როპადსკებისა და კრასნოვების, დენიკინებისა და ბიჩერახოვების, კოლჩაკებისა და ჩაიკოვსკების თეთრგვარდიულ ნაწილებთან და რევოლუციის კერის, საბჭოთა რუსეთის ჩაჭედვა «რკინის სალტეში», — ასეთი იყო იმპერიალისტთა გეგმა. მაგრამ ეს გეგმა დაამსხვრიეს რევოლუციის ტალღებმა. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულმა ევროპის მუშებმა გააფთრებული კამპანია დაიწყეს შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ. «განთავისუფლებული ჯარები» აშკარად გამოუსადეგარი აღმოჩნდნენ რევოლუციასთან შეიარაღებული ბრძოლისათვის. უფრო მეტიც, აჯანყებულ მუშებს რომ ხვდებოდნენ, მათ თვითონ «გადაედოთ» ბოლშევიზმი. საბჭოთა ჯარების მიერ ხერსონისა და ნიკოლაევის აღება, სადაც ანტანტის ჯარებმა უარი განაცხადეს მუშებთან ომზე, განსაკუთრებით მჭევრმეტყველურად მოწმობს ამას. რაც შეეხება ნავარაუდევ «რკინის სალტეს», იგი არა თუ «მომაკვდინებელი» არ აღმოჩნდა, არამედ ბევრგან კიდევაც გაიბზარა. პირდაპირი, დაუფარავი ინტერვენციის გეგმა, ამრიგად, აშკარად «მიზანშეუწონელი» აღმოჩნდა. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება ლოიდ-ჯორჯისა და ვილსონის უკანასკნელი განცხადებანი იმის შესახებ, რომ «დასაშვებია» ბოლშევიკებთან მოლაპარაკება, აგრეთვე რუსეთის საშინაო საქმეებში «ჩაურევლობის» შესახებ, ბერნის კომისიის [65] გამოგზავნა რუსეთში და, ბოლოს, პროექტი რუსეთის ყველა «ფაქტიურ» მთავრობათა მიწვევისა (განმეორებით!) «საზავო» კონფერენციაზე [66].

მაგრამ **დაუფარავ** ინტერვენციაზე უარის თქმა მარტო ამ გარემოებით როდი იყო ნაკარნახევი. იგი იმითაც აიხსნება, რომ ბრძოლის მსვლელობაში დაისახა ახალი კომბინაცია, შეიარაღებული ჩარევის ახალი, **დაფარული** ფორმა, მართალია, უფრო რთული, ვიდრე აშკარა ჩარევა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო «მოსახერხებელი» «ცივილი-

ზებული» და «ჰუმანური» ანტანტისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმპერიალიზმის მიერ ნაჩქარევად **შეკოწიწებული** კავშირი რუმინეთის, გალიციის, პოლონეთის, გერმანიის, ფინეთის ბურჟუაზიული მთავრობებისა **საბჭოთა** რუსეთის **წინააღმდეგ**. მართალია, ეს მთავრობანი ჯერ კიდევ გუშინ ერთმანეთს ყელს უღადრავდნენ «ნაციონალური» ინტერესებისა და ნაციონალური «თავისუფლების» გამო. მართალია, გალიციასთან რუმინეთის, პოლონეთთან გალიციის, გერმანიასთან პოლონეთის «სამამულო ომის» შესახებ ჯერ კიდევ გუშინ გაჰყვიროდნენ ყველა ბანიდან. მაგრამ რას ნიშნავს «მამული» ანტანტის ფულის ტომარასთან შედარებით, ანტანტისა, რომელმაც უბრძანა შეეწყვიტათ «შინაომი». ანტანტამ უბრძანა შეედგინათ ერთიანი ფრონტი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, — განა შეეძლოთ მათ, იმპერიალიზმის დაქირავებულებს, მორჩილად არ გამოჭიმულიყვნენ მის წინაშე. გერმანიის მთავრობამაც კი, ანტანტის მიერ თავლაფდასხმულმა და მიწასთან გასწორებულმა, იმანაც კი დაკარგა საკუთარი ღირსების ელემენტარული გრძნობა და ხვეწნით გამოითხოვა უფლება სოციალიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისა... იმავე ანტანტის სასარგებლოდ! განა ცხადი არ არის, რომ ანტანტას ყველა საფუძველი აქვს ხელების ფშვნეტით ილაყბოს რუსეთის საქმეებში «ჩაურევლობაზე» და ბოლშევიკებთან «მშვიდობიან» მოლაპარაკებაზე. რა საჭიროა იმპერიალიზმისათვის «სახიფათო» აშკარა ინტერვენცია, რომელიც ამასთან დიდ მსხვერპლს მოითხოვს, როცა არის შესაძლებლობა მოეწყოს ნაციონალური დროშით დაფარული და «სრულიად უხიფათო» ინტერვენცია სხვის ხარჯზე, «მცირე» ხალხების ხარჯზე? რუმინეთისა და გალიციის, პოლონეთისა და გერმანიის ომი რუსეთთან? მაგრამ ეს ხომ «ნაციონალური არსებობისათვის», «აღმოსავლეთის

საზღვრის დაცვისათვის», ბოლშევიკური «იმპერიალიზმის» წინააღმდეგ წარმოებული ომია, ომი, რომელსაც ეწევიან «თვით» რუმინელები და გალიციელები, პოლონელები და გერმანელები, — აბა რა შუაშია აქ ანტანტა? მართალია, ეს უკანასკნელი მათ ფულითა და იარაღით ამარაგებს, მაგრამ ეს ხომ უბრალო ფინანსური ოპერაციაა, «ცივილიზებული» სამყაროს საერთაშორისო სამართლით ნაკურთხი. განა ცხადი არ არის, რომ ანტანტა მტრედივით უმანკოა, რომ იგი ინტერვენციის «წინააღმდეგია»...

ამრიგად, იმპერიალიზმი იარაღის ჟღარუნის პოლიტიკიდან, აშკარა ინტერვენციის პოლიტიკიდან, იძულებულია გადავიდეს შენიღბული ინტერვენციის პოლიტიკაზე, სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მცირე და დიდი დამოკიდებული ერების ჩათრევის პოლიტიკაზე.

აშკარა ინტერვენციის პოლიტიკამ მარცხი განიცადა ევროპაში რევოლუციური მოძრაობის ზრდის გამო, საბჭოთა რუსეთისადმი ყველა ქვეყნის მუშების თანაგრძნობის გამო. იგი, ეს პოლიტიკა, მთლიანად გამოიყენა რევოლუციურმა სოციალიზმმა იმპერიალიზმის სამხილებლად.

ეჭვი არ არის, რომ უკანასკნელი რეზერვებისადმი, ეგრეთწოდებული «მცირე» ხალხებისადმი, აპელაციის პოლიტიკა, სოციალიზმის წინააღმდეგ ომში ამ უკანასკნელთა ჩათრევის პოლიტიკა, ბოლოს და ბოლოს, ასევითვე მარცხით დამთავრდება. არა მარტო იმიტომ, რომ დასავლეთში მზარდი რევოლუცია, მიუხედავად ყველაფრისა, ძირს უთხრის იმპერიალიზმის საფუძვლებს, და არა მარტო იმიტომ, რომ თვით «მცირე» ხალხების წიაღში შეუჩერებლად იზრდება რევოლუციური მოძრაობა, არამედ იმიტომაც, რომ ამ ხალხების «შეიარაღებულ ძალთა» დაახლოება რუსეთის რევოლუციურ მუშებთან უეჭვე-

ლად «გადასდებს» მათ ბოლშევიზმის ბაცილას. სოციალიზმი ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს იმისათვის, რომ თვალი აუხილოს ამ ხალხების მუშებსა და გლეხებს იმპერიალიზმის «მაშობრივი ზრუნვის» მძარცველური ხასიათის შესახებ.

«მცირე» ხალხების მოქცევა რევოლუციის სფეროში, სოციალიზმის ბაზის გაფართოება, — ასეთია შენიღბული ინტერვენციის იმპერიალისტური პოლიტიკის გარდუვალი შედეგი.

«იზვესტია» № 58,
1919 წ. 16 მარტი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

რკპ(ბ) VIII ყრილობაზე სამხედრო საკითხის შესახებ წარმოთქმული სიტყვიდან [67]

1919 წ. 21 მარტი

ყველა საკითხი, რომლებსაც აქ ვეხებით, არსებითად ერთ საკითხს წარმოადგენს: რუსეთში მკაცრად დისციპლინირებული რეგულარული არმიის ყოფნა-არყოფნის საკითხს.

ნახევარი წლის წინათ ჩვენ გვყავდა ახალი არმია. მას შემდეგ, რაც დაიშალა ძველი, მეფის არმია, — გვყავდა მოხალისე, ცუდად ორგანიზებული არმია, კოლექტიური მმართველობით, და ეს არმია ყოველთვის როდი ემორჩილებოდა ბრძანებებს. ეს იყო პერიოდი, როდესაც დაისახა ანტანტის შემოტევა. არმია უმთავრესად, თუ მთლიანად არა, მუშებისაგან შედგებოდა. ამ მოხალისე არმიაში დისციპლინის უქონლობის გამო, იმის გამო, რომ ბრძანებანი ყოველთვის როდი სრულდებოდა, არმიის მმართველობაში დეზორგანიზაციის გამო, ჩვენ ვმარცხდებოდით, მოწინააღმდეგეს დავუთმეთ ყაზანი, ხოლო სამხრეთიდან წარმატებით გვიტევდა კრასნოვი... ფაქტები მეტყველებენ, რომ მოხალისე არმია კრიტიკას ვერ უძლებს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი რესპუბლიკის დაცვას, თუ არ შევქმნით სხვა არმიას, რეგულარულ არმიას, დისციპლინის სულისკვეთებით გამსჭვალულს, კარგად დაყენებული პოლიტიკური განყოფილების მქონე არმიას, რო-

მელსაც უნარი ექნება და შეეძლება პირველი ბრძანებისთანავე ფეხზე დადგეს და მტრის წინააღმდეგ გაილაშქროს.

უნდა ვთქვა, რომ ის ელემენტები, არამუშური ელემენტები, რომლებიც ჩვენი არმიის უმრავლესობას შეადგენენ — გლეხები, ნებაყოფლობით არ იბრძოლებენ სოციალიზმისათვის. ამას მთელი რიგი ფაქტები გვიჩვენებს. მთელი რიგი ჯანყი ზურგში, ფრონტებზე, მთელი რიგი ექსცესები ფრონტებზე ცხადყოფენ, რომ არაპროლეტარულ ელემენტებს, რომლებიც ჩვენი არმიის უმრავლესობას შეადგენენ, კომუნიზმისათვის ნებაყოფლობით ბრძოლა არ უნდათ. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა — ეს ელემენტები აღვზარდოთ რკინისებური დისციპლინის სულისკვეთებით, გავაყოლოთ ისინი პროლეტარიატს არა მარტო ზურგში, არამედ ფრონტებზეც, ვაიძულოთ იომონ ჩვენი საერთო სოციალისტური საქმისათვის და ომის მსვლელობაში დავამთავროთ მშენებლობა ნამდვილი რეგულარული არმიისა, რომელსაც ერთადერთს ექნება უნარი დაიცვას ჩვენი ქვეყანა.

ასე დგას საკითხი.

...ან შევქმნით ნამდვილ მუშურ-გლეხურ, მკაცრად დისციპლინირებულ რეგულარულ არმიას და დავიცავთ რესპუბლიკას, ან ამას არ გავაკეთებთ და მაშინ საქმე დაიღუპება.

...სმირნოვის მიერ წარმოდგენილი პროექტი მიუღებელია, ვინაიდან მას მხოლოდ შეუძლია ძირი გამოუთხაროს დისციპლინას არმიაში და იგი გამორიცხავს რეგულარული არმიის შექმნის შესაძლებლობას.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
ი. სტალინი. ოპოზიციის შესახებ.
1921 — 1927 წლ. სტატიები და სიტყვები.
გ. — ლ., 1928.

სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ

მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1919 წლის 9 აპრილის სხდომაზე

(საგაზეთო ანგარიში)

ამხანაგი **სტალინი** აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კონტროლი ერთადერთი უწყებაა, რომელშიც დღემდე არ მომხდარა ის წმენდა და მსხვრევა, რაც ყველა სხვა დაწესებულებამ განიცადა. ნამდვილ, ფაქტიურ, და არა ფორმალურ კონტროლს რომ მივაღწიოთ, მომხსენებლის აზრით საჭიროა მოხდეს სახელმწიფო კონტროლის არსებული აპარატის რეორგანიზაცია, რისთვისაც იგი ახალი, გადამახალისებელი ძალებით უნდა შეივსოს. საჭიროა მუშათა კონტროლის არსებული ორგანოები გავაერთიანოთ მთლიან ერთეულად, და კონტროლის დარგში მომუშავე მთელი ძალები საერთო სახელმწიფო კონტროლს შევუერთოთ. ამრიგად, სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის ძირითად იდეას წარმოადგენს მისი დემოკრატიზაცია და მუშათა და გლეხთა მასებთან დაახლოება.

მომხსენებლის მიერ წარდგენილი პროექტი დეკრეტისა [68] მიღებულია ერთხმად.

«იზვესტია» № 77,
1919 წ. 10 აპრილი.

ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო

მკითხველთა საყურადღებოდ მოგვყავს ორი დოკუმენტი [69], რომლებიც მოწმობენ, თუ რა მხეცურად გაუსწორდნენ ინგლისელი იმპერიალისტები საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელ მუშაკებს ბაქოში გასული წლის შემოდგომაზე. ამ დოკუმენტების წყაროა ბაქოს ესერული გაზეთი «ზნამია ტრუდა» [70] და ბაქოს გაზეთი «ედინაია როსსია» [71], ე. ი. სწორედ ის წრეები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ დასახმარებლად იწვევდნენ ინგლისელებს, გამცემლობას სჩადიოდნენ ბოლშევიკების მიმართ, ახლა კი, მოვლენათა მიმდინარეობის გამო, იძულებული არიან ამხილონ თავიანთი გუშინდელი მოკავშირეები.

პირველი დოკუმენტი მოგვითხრობს ინგლისელი კაპიტანის ტიგ-ჯონსის მიერ ქალაქ ბაქოს 26 საბჭოთა მუშაკის (შაუმიანის, ჯაფარიძის, ფიოლეტოვის, მალიგინის და სხვ.) ბარბაროსულად, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დახვრეტის შესახებ 1918 წლის 20 სექტემბრის ღამეს გზაში, როცა ისინი ტიგ-ჯონსს კრასნოვოდსკიდან აშხაბადში მიჰყავდა როგორც სამხედრო ტყვეები. ტიგ-ჯონსსა და მის ესერ-მენშევიკ კომპანიონებს იმედი ჰქონდათ, რომ მიჩქმალავდნენ საქმეს, აპირებდნენ გამოეყენებინათ ყალბი მოწმობები ბაქოელი ბოლშევიკების «ბუ-

ნებრივი» სიკვდილის შესახებ საპყრობილეში ან საავადმყოფოში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გეგმა ჩაიფუშა, ვინაიდან, თურმე, დარჩენილან მოწმეები, რომლებსაც არ უნდათ გაჩუმდნენ და მზად არიან ბოლომდე ამხილონ ინგლისელი ველურები. ამ დოკუმენტს ხელს აწერს ესერი ჩაიკინი.

ბეორე დოკუმენტი ასახავს ინგლისელი გენერლის ტომსონის საუბარს პირველი დოკუმენტის ავტორთან, ჩაიკინთან, 1919 წლის მარტის დამლევს. გენერალი ტომსონი ჩაიკინისაგან მოითხოვს დაასახელოს იმის მოწმეები, რომ ინგლისელმა კაპიტანმა ტიგ-ჯონსმა მხეცურად დახოცა 26 ბაქოელი ბოლშევიკი. ჩაიკინი მზად არის წარადგინოს დოკუმენტები და დაასახელოს მოწმეები იმ პირობით, თუ შექმნილი იქნება საგამომძიებლო კომისია ინგლისელთა სარდლობის, ბაქოს მოსახლეობისა და თურქესტანის ბოლშევიკების წარმომადგენლებისაგან, ამასთან ჩაიკინი მოითხოვს გარანტიას, რომ თურქესტანელ მოწმეებს არ დახოცავენ ინგლისელთა აგენტები. ვინაიდან ტომსონი არ იღებს წინადადებას საგამომძიებლო კომისიის შესახებ და არ იძლევა მოწმეთა პირადი უშიშროების გარანტიას, საუბარი წყდება და ჩაიკინი მიდის. დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი არაპირდაპირ ადასტურებს ინგლისელი იმპერიალისტების ბარბაროსობას და კი არ მეტყველებს, არამედ გაჰყვირის იმ ინგლისელი აგენტების დაუსჯელობისა და ველური თარეშის შესახებ, რომლებიც ბაქოელ და იმიერკასპიელ «მკვიდრთა» უსწორდებიან, როგორც შავკანიანებს ცენტრალურ აფრიკაში.

26 ბაქოელი ბოლშევიკის ისტორია წარმოგვიდგება შემდეგი სახით. 1918 წლის აგვისტოში, როდესაც თურქეთის ჯარები ზედ მიადგნენ ბაქოს, ხოლო ბაქოს საბჭოს ესერ-მენშევიკმა წევრებმა, წინააღმდეგ ბოლშევიკებისა,

გაიყოლიეს საბჭოს უმრავლესობა და დასახმარებლად მოუწოდეს ინგლისელ იმპერიალისტებს, ბაქოს ბოლშევიკებმა, შაუმიანისა და ჯაფარიძის მეთაურობით, უმცირესობაში დარჩენილებმა, მოიხსნეს რწმუნებანი და ასპარეზი დაუცალეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს ევაკუაციის წესით წასულიყვნენ პეტროვსკში, საბჭოთა ხელისუფლების უახლოეს პუნქტში, ინგლისურ-ესერულ-მენშევიკური ხელისუფლების თანხმობით, რომელიც მაშინ ის-იყო შეიქმნა ბაქოში. მაგრამ პეტროვსკის გზაზე გემს, რომლითაც ბაქოელი ბოლშევიკები თავიანთი ოჯახებით მიდიოდნენ, დაედევნენ ინგლისის გემები, სროლა აუტეხეს და კრასნოვოდსკში წაიყვანეს. ეს იყო აგვისტოში.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ამის შემდეგ რამდენჯერმე მიმართა ინგლისელთა სარდლობას, მოითხოვდა ბაქოელი ამხანაგებისა და მათი ოჯახების განთავისუფლებას ტყვე ინგლისელებზე გადაცვლით, მაგრამ ინგლისელთა სარდლობა ყოველთვის დუმილით გვიპასუხებდა. ჯერ კიდევ ოქტომბრიდან კერძო პირებისა და ორგანიზაციებისაგან მოდიოდა ცნობები ბაქოელი ამხანაგების დახვრეტის შესახებ. 1919 წლის 5 მარტს ასტრახანმა თბილისიდან მიიღო რადიო, რომ «ჯაფარიძე და შაუმიანი ინგლისელთა სარდლობის განკარგულებაში არ იმყოფებიან, რომ ისინი, ადგილობრივი ცნობების მიხედვით, სექტემბერში ყიზილარვატის მახლობლად თვითნებურად დახოცა მუშების ჯგუფმა». ცხადია, ეს იყო ინგლისელ მკვლელთა პირველი ოფიციალური ცდა — თავიანთი მხეცობა გადაებრალებინათ მუშებისათვის, რომლებსაც უსაზღვროდ უყვარდათ შაუმიანიც და ჯაფარიძეც. ახლა, ზემოხსენებული დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი ბაქოელი ამხანაგები, რომლებიც

ნებაყოფლობით წავიდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან და ევაკუაციის წესით პეტროვსკში მიდიოდნენ, «ცივილიზებული» და «ჰუმანური» ინგლისის კაციჭამიებმა მართლა დახვრიტეს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად.

«ცივილიზებულ» ქვეყნებში მიღებულია ლაპარაკი ბოლშევიკების ტერორსა და საშინელებებზე. ამასთან ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს ჩვეულებრივად სახავენ როგორც ტერორისა და დახვრეტის მტრებს. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ გასწორებია თავის მოწინააღმდეგეებს ისე ვერაგულად და საზიზღრად, როგორც «ცივილიზებული» და «ჰუმანური» ინგლისელები, რომ მხოლოდ იმპერიალისტ კაციჭამიებს, რომლებიც ბოლომდე გახრწნილან და რომლებსაც ყოველივე მორალური სახე დაუკარგავთ, ესაჭიროებათ ღამით მკვლელობა და ავაზაკური თავდასხმები მოწინააღმდეგე ბანაკის უიარაღო პოლიტიკურ მუშაკებზე? თუ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ამაში ეჭვი ეპარებათ, დაე მათ წაიკითხონ ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები და საგნებს თავისი სახელები დაარქვან.

ინგლისელებს ბაქოში რომ იწვევდნენ და ბოლშევიკებს ღალატობდნენ, ბაქოს მენშევიკები და ესერები ფიქრობდნენ, რომ ინგლისელ «სტუმრებს» «გამოიყენებდნენ» როგორც ძალას, ამასთან ვარაუდობდნენ, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონებად დარჩებოდნენ მენშევიკები და ესერები, «სტუმრები» კი თავისთვის წავიდოდნენ. ნამდვილად პირიქით გამოვიდა: «სტუმრები» შეუზღუდველი ბატონ-პატრონები გახდნენ, ესერები და მენშევიკები გადაიქცნენ 26 ბოლშევიკი კომისრის ავაზაკური და ვერაგული მკვლელობის უთუო მონაწილეებად, ამასთან ესერები იძულებული გახდნენ გადასულიყვნენ ოპოზიციაში, ფრთხილად ემხილებინათ ახალმოვლენილი ბატონები,

ხოლო მენშევიკები თავიანთ ბაქოს გაზეთ «ისკრაში»[73] იძულებული არიან იქადაგონ ბოლშევიკებთან ბლოკი გუშინდელი «სასურველი სტუმრების» წინააღმდეგ.

განა ცხადი არ არის, რომ ესერებისა და მენშევიკების კავშირი იმპერიალიზმის აგენტებთან არის მონებისა და ლაქიების «კავშირი» თავიანთ ბატონებთან? თუ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ამაში ეჭვი ეპარებათ, დაე მათ წაიკითხონ გენერალ ტომსონისა და ბატონ ჩაიკინის ქვემოთ მოყვანილი «საუბარი» და სინდისის წინაშე თქვან: ჰგავს თუ არა ბატონი ჩაიკინი მასპინძელს, ხოლო გენერალი ტომსონი «სასურველ სტუმარს».

«იზვესტია» № 85,
1919 წ. 23 აპრილი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

სახელმწიფო კონტროლის საგანგებო რევიზორისათვის შჩიგრიში გაგზავნილი დეპეშა

აგრარული არეულობის წარმომშობ მიზეზთა გამოკვლევის დროს, გარდა მაზრაში გლეხთა მასების საერთო პოლიტიკური განწყობილების გამოკვლევისა, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ:

1) მიწათმოქმედების განყოფილებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს პოლიტიკას საბჭოთა მეურნეობების მოწყობის დროს: ხომ არ ყოფილა შემთხვევები საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწების არაუფლებაზომიერი ჩამორთმევისა; ხომ არ ხდებოდა მათი მოწყობის დროს სხვა იძულებითი მოქმედება, რაც მატერიალურად ახდენდა გავლენას გლეხური მეურნეობის მდგომარეობაზე.

2) მიწგანის პოლიტიკას კოლექტიური მიწათმოქმედების მოწყობის დროს: ხომ არ ყოფილა გამოვლინებული იძულების ელემენტები სასოფლო-სამეურნეო კომუნების, არტელების, საზოგადოებრივი ხვნის და სხვათა მოწყობის საქმეში; ხომ არ ხდებოდა კოლექტიური მიწათმოქმედების მოწყობის დროს ადგილობრივი გლეხობის არსებითი ინტერესების დარღვევა.

3) შაქრის მრეწველობის მთავარსამმართველოს პოლიტიკას შაქრის ჭარხლის პლანტაციებისათვის მიწების

ნაციონალიზაციის საქმეში: ნაციონალიზაცია ხომ არ ტარდება გლეხობის ძირითადი ინტერესების დარღვევით; ნაციონალიზებული მიწის ნაკვეთები ხომ არ აძნელებენ გლეხთა მიწათსარგებლობას; ხომ არ მიმართავენ სხვა მოქმედებას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს გლეხობის აღშფოთება (მაგალითად, შაქრის ქარხნებისათვის მიწის ისეთი ფართობების დატოვება, რაც აშკარად აღემატება მათს ნამდვილ მოთხოვნილებას; მიწის ისეთი ნაკვეთების ნაციონალიზაცია, რომლებზეც წინათ შაქრის ჭარხალი არ მოჰყავდათ და სხვ.).

4) კიდევ შემდეგ საკითხებს: აგრარული მღელვარება მოცემულ რაიონში მიწის სიმცირის შედეგი ხომ არ არის; გადაცემულია თუ არა გლეხთა სარგებლობაში არამშრომელი ელემენტების მიწები და რა პირობებით; საერთოდ სამაზრო მიწგანის ან მისი ცალკეული წარმომადგენლების მოქმედებაში, ან სათემო მიწგანების მოქმედებაში ხომ არ არის ისეთი საქციელი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს გლეხობის აღშფოთება იმის გამო, რომ ეს საქციელი არ შეესაბამება ცენტრის განკარგულებებსა და მიზანშეწონილობის მოთხოვნებს, აგრეთვე ხელისუფლება უმოქმედობას ხომ არ იჩენს და საქმეებში ბოროტმოქმედება ხომ არ არის.

დეპეშის მიღება და მიღებული ზომები ტელეგრაფით აცნობეთ სახელმწიფო კონტროლს.

სახელმწიფო კონტროლის
სახალხო კომისარი

ი. სტალინი

1919 წ. 7 მაისი.

იბეჭდება პირველად.

ბარათი პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინს პეტროგრადიდან [73]

უეჭველია, რომ ნაწილების გადაყვანის საქმე ახლა უკეთ არის დაყენებული, ვიდრე სამიოდე თვის წინათ იყო, მაგრამ ჩემთვის ისიც ცხადია, რომ არც მთავარსარდალი და არც მისი შტაბის უფროსი არ იცნობენ ნაწილებს, რომლებსაც პიტერში გზავნიან. ამის შედეგია სიურპრიზები, როგორიც არის ის, რომ მე-2 ბრიგადის ან ცხენოსანთა ბრიგადის პოლკების სახით ყაზანიდან იგზავნება თითქმის ცარიელი ერთეულები. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით პიტერმა მიიღო სულ ექვსასი მართლაც ბრძოლისუნარიანი კურსანტი.

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, ნაწილების რაოდენობა კი არ არის, არამედ ხარისხი. ჩვენ გვჭირდება მხოლოდ და მხოლოდ სამი ქვეითი პოლკი, რასაკვირველია, ბრძოლისუნარიანი, და, სულ ცოტა, ერთი ცხენოსანი პოლკი იმისათვის, რომ მთელი ხროვა ნარვას იქით გავრეკოთ. რომ შეგძლებოდათ ამ მცირე თხოვნის დროზე შესრულება, ესტები ჯერ კიდევ გუშინ იქნებოდნენ გარეკილნი.

თუმცა, შესაშფოთებელი არაფერია, რადგან მდგომარეობა ფრონტზე მყარი გახდა, ფრონტის ხაზი განმტკიცდა, და ადგილ-ადგილ ჩვენები უკვე წინ მიიწევენ.

დღეს დავათვალიერე ჩვენი სიმაგრეები კარელიაში და დავრწმუნდი, რომ საერთოდ მდგომარეობა ცუდი არ არის. ფინელები დაჟინებით სდუმან და უცნაურია, რომ არ ისარგებლეს შემთხვევით, მაგრამ ეს უცნაურობა იმით უნდა აიხსნას, რომ ფინელების შინაგანი მდგომარეობა სულ უფრო მერყევი ხდება, როგორც გვარწმუნებენ საჭმეს გაცნობილი ფინელი ამხანაგები.

დღეს მაჩვენეს მთავარსარდლის წინადადება სათბობის კრიზისთან დაკავშირებით ფლოტის შემცირების შესახებ. ამის გამო თათბირი მქონდა ყველა ჩვენს საზღვაო მუშაკთან და დავრწმუნდი, რომ მთავარსარდლის წინადადება სრულიად არასწორია. მოტივები: პირველი — დიდი ერთეულები, თუ მათ მცურავ ტივებად გადავაქცევთ, დაკარგავენ ქვემეხების ამოქმედების შესაძლებლობას, ესე იგი ქვემეხები საერთოდ შეწყვეტენ სროლას, რადგან გემის მოძრაობასა და ზარბაზნის მოქმედებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს; მეორეც — სწორი არ არის, რომ ჩვენ არა გვაქვს მსხვილი ყალიბის ყუმბარები, ამ დღეებში «აღმოჩენილია» თორმეტი კარჭაპი ყუმბარები; მესამეც — სათბობის კრიზისი დასასრულს უახლოვდება, რადგან ჩვენ უკვე შევძელით დაგვეგროვებინა ოთხას ოცი ათასი ფუთი ქვანახშირი, თუ არ ჩავთვლით მაზუთს, ამასთან ყოველდღე ვიღებთ თითო მატარებელ ქვანახშირს; მეოთხეც — მე დავრწმუნდი, რომ ჩვენი ფლოტი იქცევა ნამდვილ ფლოტად დისციპლინირებული მატროსებით, რომლებიც მზად არიან მთელი ძალღონით დაიცვან პეტროგრადი.

მე აქ არ მინდა დავასახელო უკვე გამზადებული საბრძოლო ერთეულების რაოდენობა, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი ვთქვა, რომ არსებული საზღვაო ძალებით ჩვენ შეგვიძლია ღირსეულად დავიცვათ პეტროგრადი ზღვიდან ყოველი ხელყოფისაგან.

ყოველივე ამის გამო, მე, ისევე როგორც ყველა პიტერელი ამხანაგი, დაჟინებით მოვითხოვთ უარყოფილ იქნას მთავარსარდლის წინადადებანი.

შემდეგ აბსოლუტურად საჭიროდ მიმაჩნია ქვანახშირის მოზიდვა აყვანილ იქნას ორ მატარებლამდე ყოველდღიურად, სამი-ოთხი კვირის განმავლობაში. ეს, ჩვენი საზღვაო მუშაკების მტკიცებით, სრულ შესაძლებლობას მისცემს ჩვენს წყალქვეშა და წყალზედა ფლოტს საბოლოოდ გაიმართოს წელში.

სტალინი

დაწერილია 1919 წ. 25 მაისს.
პირველად დაიბეჭდა კრებულში:
პეტროგრადის 1919 წლის გმირული
დაცვის დოკუმენტები.
მ.. 1941.

დეპეშა ვ. ი. ლენინს

კრასნაია გორკას შემდეგ ლიკვიდირებულია სერაია ლოშადი [74]. ქვემეხები იქ სრულ წესრიგშია. წარმოებს ყველა ფრონტისა და სიმაგრის სწრაფი შემოწმება.

საზღვაო სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ზღვიდან კრასნაია გორკას აღება თავდაყირა აყენებს საზღვაო მეცნიერებას. მე ისღა დამრჩენია, რომ დავიტირო ეგრეთწოდებული მეცნიერება. გორკას სწრაფად აღება აიხსნება ჩემი და საერთოდ სამოქალაქო პირების უაღრესად უხეში ჩარევით ოპერატიულ საქმეებში, რაც იქამდე მიდიოდა, რომ ვაუქმებდით ზღვასა და ხმელეთზე სამოქმედოდ გაცემულ ბრძანებებს და თავს ვახვევდით ჩვენს საკუთარ ბრძანებებს.

ჩემ მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ შემდეგშიც ასევე ვიმოქმედებ, მიუხედავად მთელი ჩემი მოწიწებისა მეცნიერების წინაშე.

სტალინი

1919 წ. 16 ივნისი.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 301,
1929 წ. 21 დეკემბერს.

ბარათი პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინს პეტროგრადიდან

საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაქციო შემდეგ საკითხებს.

პირველი. კოლჩაკი ყველაზე უფრო სერიოზული მოწინააღმდეგეა, ვინაიდან მას აქვს საკმაო სივრცე უკანდახევისათვის, ადამიანთა საკმაო მასალა არმიისათვის, პურით მდიდარი ზურგი. კოლჩაკთან შედარებით გენერალი როძიანკო ბუზია, რადგან მას არა აქვს არც პური ზურგში, არც სივრცე უკანდასახევად, არც ადამიანთა საკმაო მასალა. ოცი ასაკის მობილიზაცია, რის ჩატარებაც თავის ორ-სამ მაზრაში ახლა უხდება მას ადამიანთა მასალის ნაკლებობის გამო, დაასამარებს მას, რადგან გლეხები ვერ აიტანენ ასეთ მობილიზაციას და აუცილებლად ზურგს შეაქცევენ როძიანკოს. ამიტომ პეტროგრადის ფრონტისათვის **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა წამოვიყვანოთ აღმოსავლეთის ფრონტიდან ჯარების ისეთი რაოდენობა, რომელიც შეგვაჩერებინებდა შეტევას აღმოსავლეთის ფრონტზე. იმისათვის, რომ როძიანკო ესტლანდიის საზღვართან მივიმწყვდიოთ (იმაზე შორს წაწევა არ გვესაჭიროება), საკმარისია ერთი დივიზია, რომლის წამოყვანა დაკავშირებული

არ არის აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის შეჩერებასთან. გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ამას.

მეორე. კრონშტადტის რაიონში აღმოჩენილია დიდი შეთქმულება. ჩარეული არიან კრონშტადტის მთელი გამაგრებული რაიონის ყველა ფორტის ბატარიების უფროსები. შეთქმულების მიზანი იყო — ხელში ჩაეგდოთ სიმაგრე, დაემორჩილებინათ ფლოტი, ჩვენი ჯარებისათვის ზურგიდან დაეშინათ ცეცხლი და როძიანკოსათვის გაეწმინდათ პიტერის გზა. ჩვენ ხელთ გვაქვს სათანადო დოკუმენტები.

ახლა ჩემთვის ცხადია ის უტიფრობა, რომლითაც როძიანკო შედარებით მცირე ძალებით მოდიოდა პიტერზე. გასაგებია აგრეთვე ფინელთა თავხედობა. გასაგებია ჩვენი მწყობრის ოფიცრების მასობრივი გადასვლა მტრის მხარეზე. გასაგებია ის უცნაური მოვლენაც, რომ კრასნაია გორკას ღალატის მომენტში ინგლისის გემები სადღაც გაქრნენ: როგორც ჩანს, ინგლისელებმა «უხერხულად» მიიჩნიეს პირდაპირ ჩარეულიყვნენ საქმეში (ინტერვენცია!) და ამჯობინეს გამოცხადებულიყვნენ შემდეგ, როცა სიმაგრე და ფლოტი თეთრების ხელში გადავიდოდა, იმ მიზნით, რომ «დახმარებოდნენ რუს ხალხს» ახალი «დემოკრატიული წყობილების» ჩამოყალიბებაში.

ცხადია, როძიანკოს და იუდენიჩის (მის ხელში თავს იყრის ყველა ძაფი შეთქმულებისა, რომელსაც იტალია-შვეიცარია-დანიის საელჩოთა საშუალებით ინგლისი აფინანსებს) მიერ წამოწყებული მთელი საქმე ემყარებოდა იმას, რომ წარმატებით დამთავრდებოდა შეთქმულება, რომელიც ჩვენ, იმედი მაქვს, ჩანასახშივე ჩავახშეთ (ყველა მონაწილე დაპატიმრებულია, გამოძიება გრძელდება).

ჩემი თხოვნაა: არავითარი შეღავათი არ მიეცეთ საელჩოების დაპატიმრებულ მოხელეებს, დაუწესდეთ მათ

მკაცრი რეჟიმი, ვიდრე დამთავრდებოდეს გამოძიება, რომელიც იძლევა ახალ მდიდარ მასალას მათი კავშირების შესახებ.

უფრო დაწვრილებით გიამბობთ სამი-ოთხი დღის შემდეგ, როდესაც ვფიქრობ მოსკოვს ჩამოვიდე ერთი დღით, თუ თქვენ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო.

ვიგზავნით რუკას. აქამდე მხოლოდ იმიტომ ვერ გამოვგზავნე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დავიარებოდი ფრონტის საქმეების გამო, უფრო ხშირად კი ფრონტზე ვიყავი.

სტალინი

1919 წ. 18 ივნისი,
დილის 3 საათი.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 53,
1941 წ. 23 თებერვალს.

პეტროგრადის ფრონტის შესახებ

საუბარი გაზეთ «პრავდის» კორესპონდენტთან

პეტროგრადის ფრონტიდან ამ დღეებში დაბრუნებულმა ამხანაგმა სტალინმა ჩვენს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

1. პეტროგრადის მისადგომები

პეტროგრადის მისადგომები ის პუნქტებია, რომლებზე დაყრდნობითაც მოწინააღმდეგეს, წარმატების შემთხვევაში, შეუძლია გარს შემოერტყას პეტროგრადს, ჩამოაშოროს იგი რუსეთს და, ბოლოს, ხელთ იგდოს იგი. ასეთებია: ა) პეტროზავოდსკის უბანი, რომელსაც მიმართულება აქვს ზვანკისაკენ, მიზანია — შემოერტყან პეტროგრადს აღმოსავლეთიდან; ბ) ოლონეცის უბანი ლოდეინოე პოლეს მიმართულებით, მიზანია — ზურგში მოექცნენ პეტროზავოდსკში მყოფ ჩვენს ჯარებს; გ) კარელიის უბანი, რომელსაც მიმართულება აქვს პირდაპირ პეტროგრადისაკენ, მიზანია — ხელში ჩაიგდონ პეტროგრადი ჩრდილოეთიდან; დ) ნარვის უბანი გატჩინისა და კრასნოე სელოს მიმართულებით, მიზანია — აიღონ პეტროგრადი სამხრეთ-დასავლეთიდან, ან აიღონ გატჩინა-ტოსნოს ხაზი მაინც და შემოერტყან პეტროგრადს სამხრეთიდან; ე) პსკოვის უბანი დნო-ბოლოგოეს მიმართულებით, მიზანია — მოსწყვიტონ პეტროგრადი მოსკოვს; ვ) ბოლოს, ფინეთის ყურე და

ლადოგის ტბა, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ მოწინააღმდეგეს გადმოსხას ჯარი პეტროგრადის დასავლეთით და აღმოსავლეთით.

2. მოწინააღმდეგის ძალები

მოწინააღმდეგის ძალები ამ უბნებზე ჭრელია და სხვადასხვა ყალიბისა. პეტროზავოდსკის უბანზე მოქმედებენ სერბიელები, პოლონელები, ინგლისელები, კანადელები, რუს თეთრგვარდიელ ოფიცერთა ჯგუფი. მთელი ეს ძალები ეგრეთწოდებულ მოკავშირეთა ხარჯზე იმყოფებიან. ოლონეცის უბანზე არიან თეთრფინელები, ფინეთის მთავრობის მიერ კონტრაქტით დაქირავებულნი ორი-სამი თვით. თეთრფინელებს სათავეში უდგანან გერმანული ოკუპაციის შემდეგ დარჩენილი გერმანელი ოფიცრები. კარელიის უბანზე დგანან ფინელთა ეგრეთწოდებული რეგულარული ნაწილები. ნარვის უბანზე — რუსთა ნაწილები, რომლებიც შედგენილი არიან რუსი სამხედრო ტყვეებისაგან, და ინგერმანლანდიელთა ნაწილები, შედგენილნი ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ამ ნაწილებს სათავეში უდგას გენერალ-მაიორი როძიანკო. პსკოვის უბანზეც სამხედრო ტყვეებისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შედგენილი რუსული ნაწილები დგანან ბალახოვიჩის მეთაურობით. ფინეთის ყურეში მოქმედებენ ნაღმოსნები (5-დან 12-მდე) და წყალქვეშა ნავები (2-დან 8-მდე), ყველა მონაცემის მიხედვით — ინგლისისა და ფინეთისა.

ყველა ცნობა იმას მოწმობს, რომ მოწინააღმდეგის ძალები პეტროგრადის ფრონტზე დიდი არ არის. მოწინააღმდეგის ყველაზე აქტიურ უბანს — ნარვის უბანს — მებრძოლი «ადამიანთა მასალის» მხრივ არანაკლებ უჭირს, ვიდრე დანარჩენ, ნაკლებ აქტიურ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან უბნებს.

არსებითად, სწორედ ამით აიხსნება, რომ, მიუხედავად «Times»-ის [75] მიერ ჯერ კიდევ ამ ორი თვის წინათ ატეხილი გამარჯვების ყიჟინისა — პეტროგრადი «ორ-სამ დღეში» დაეცემაო, მოწინააღმდეგემ არათუ ვერ მიაღწია თავის საერთო მიზანს — პეტროგრადის გარემოცვას, არამედ ამ პერიოდში ვერ განახორციელა ვერც ერთი ნაწილობრივი საუბნო დავალება ამა თუ იმ გადამწყვეტი პუნქტის დაკავების თვალსაზრისით.

ცხადია, ყბადაღებული «ჩრდილო-დასავლეთის არმია», რომელსაც სათავეში უდგას ფინეთში მჯდომი გენერალი იუდენიჩი და რომელზეც იმედს ამყარებს ბებერი მელა გუჩკოვი დენიკინისათვის გაგზავნილ თავის მოხსენებაში, ჯერ კიდევ არ გამოჩეკილა.

8. მოწინააღმდეგის ვარაუდი

ყველა მონაცემის მიხედვით, მოწინააღმდეგეს იმედი ჰქონდა არა მარტო, ან, უფრო სწორად, არა იმდენად თავისი საკუთარი ძალებისა, რამდენადაც ჩვენი ჯარების ზურგში, პეტროგრადში და ფრონტებზე მყოფი თავისი მომხრეების—თეთრგვარდიელების ძალისა. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან პიტერში მცხოვრები ეგრეთწოდებული საელჩოები ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა (საფრანგეთის, შვეიცარიის, საბერძნეთის, იტალიის, ჰოლანდიის, დანიის, რუმინეთის და სხვ.), რომლებიც აფინანსებდნენ თეთრგვარდიელებს და ჯაშუშობდნენ იუდენიჩისა და ინგლის-საფრანგეთ-ფინეთ-ესტონეთის ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ეს ვაჟბატონები უხვად აბნევდნენ ფულს, რათა ჩვენი არმიის ზურგში მოესყიდნათ ყველა, ვისი მოსყიდვაც კი შეიძლებოდა. შემდეგ, რუსი ოფიცრობის გამყიდველი ნაწილი, რომელსაც დაუვიწყნია რუსეთი, დაუკარგავს პატიოსნება და მზად არის გადავიდეს

მუშურ-გლეხური რუსეთის მტრების მხარეზე. ბოლოს, პეტროგრადის პროლეტარიატის მიერ განაწყენებული ყოფილი ადამიანები, ბურჟუები და მემამულეები, რომლებსაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, იარაღი დაეგროვებინათ და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ ჩვენი ჯარებისათვის ზურგში დასარტყმელად. სწორედ ამ ძალების იმედი ჰქონდა მოწინააღმდეგეს, პეტროგრადს რომ უტევდა. დაეკავებინა კრასნაია გორკა, კრონშტადტის ეს გასაღები, და ამით დაეუძლურებინა გამაგრებული რაიონი, აჯანყება მოეწყო ფორტებზე და დაეშინა პეტროგრადისათვის, რათა საერთო არევდარევის მომენტში საერთო შემოტევა ფრონტზე გაეერთიანებინა აჯანყებასთან პეტროგრადში, გარემოეცვა და დაეკავებინა პროლეტარული რევოლუციის კერა, — აი როგორი იყო მოწინააღმდეგის ვარაუდი.

4. მდგომარეობა ფრონტზე

მაგრამ მოწინააღმდეგის ვარაუდი არ გამართლდა. კრასნაია გორკა, რომელიც მოწინააღმდეგემ ერთი დღე-ღამით დაიკავა მემარცხენე ესერების შინაგანი ღალატის მეოხებით, მალევე დაუბრუნდა საბჭოთა რუსეთს ბალტიელი მეზღვაურების მძლავრი დარტყმით ზღვიდან და ხმელეთიდან. კრონშტადტის გამაგრებული პუნქტები, რომლებსაც ერთხანს მერყეობა დაეტყოთ მემარჯვენე ესერების, ობორონეც მენშევიკებისა და ოფიცრობის გამყიდველი ნაწილის ღალატის გამო, სწრაფად მოიყვანა წესრიგში ბალტიის ფლოტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს რკინისებურმა ხელმა. ეგრეთწოდებული საელჩოები და მათი ჯაშუშები დაპატიმრებულ და წაყვანილ იქნენ უფრო მშვიდობიან ადგილებში, ამასთან ზოგიერთ საელჩოში იპოვნეს ტყვიამფრქვევები, თოფები (რუმინეთის

საელჩოში ერთი ქვემეხიც კი), საიდუმლო კომუტატორები და სხვა. პეტროგრადის ბურჟუაზიულ უბნებში მოხდა საყოველთაო ჩხრეკა, რომლის დროსაც იპოვნეს ოთხი ათასი შაშხანა და რამდენიმე ასეული ბომბი.

რაც შეეხება მოწინააღმდეგის საერთო შემოტევას, იგი არათუ წარმატებით არ დამთავრებულა, როგორც ამას «Times»-ი გაჰყვიროდა, არამედ არც კი დაწყებულა. ოლონეცთან მყოფი თეთრფინელები, რომლებიც ცდილობდნენ დაეკავებინათ ლოდეინოე პოლე, უკუგდებული და გადარეკილი არიან ფინეთში. მოწინააღმდეგის პეტროზავოდსკის ჯგუფი, რომელიც პეტროზავოდსკიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე იდგა, ახლა სწრაფად იხევს უკან ჩვენი ნაწილების შეტევის გამო, რომლებიც მას ზურგში მოექცნენ. მოწინააღმდეგის პსკოვის ჯგუფმა ხელიდან გაუშვა ინიციატივა, ერთ ადგილას გაეხირა, ხოლო ზოგან უკანაც იხევს. რაც შეეხება მოწინააღმდეგის ნარვის ჯგუფს, რომელიც ყველაზე აქტიურია, მან არათუ თავისას ვერ მიაღწია, არამედ, პირიქით, ჩვენი ნაწილების შეტევის შედეგად განუწყვეტლივ იხევს უკან, იხრწნება და დნება წითელი არმიის დარტყმებით იამბურგისაკენ მიმავალ გზაზე. ანტანტის გამარჯვების ყიჟინა, ამრიგად, ნაადრევი აღმოჩნდა. გუჩკოვსა და იუდენიჩს იმედები არ გაუმართლდათ. კარელიის უბნის შესახებ, რომელიც კვლავ პასიურია, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ფინეთის მთავრობამ ვიდლიცის ჭარხანასთან [76] მის მიერ განცდილი მარცხის შემდეგ შესამჩნევად დაუწია კილოს და უშვერი სიტყვებით აღარ ლანძღავს რუსეთის მთავრობას, ამასთან კარელიის ფრონტზე თითქმის შეწყდა ეგრეთწოდებული ინციდენტები.

არის თუ არა ეს ჭარიშხლისწინა სიწყნარე, ეს მხოლოდ ფინეთის მთავრობამ იცის. ყოველ შემთხვევაში

შემიძლია ვთქვა, რომ პეტროგრადი მზად არის ყოველი შესაძლო მოულოდნელობისათვის.

5. ფლოტი

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ფლოტის შესახებ. არ შეიძლება არ მივესალმოთ იმას, რომ ბალტიის ფლოტი, რომელიც დაღუპულად ითვლებოდა, სავსებით ნამდვილად ადგას აღორძინების გზას. ამას აღიარებენ არა მარტო მეგობრები, არამედ მოწინააღმდეგენიც. ახლვე სასიხარულოა, რომ რუსი ოფიცრობის ნაწილის წყლული — მისი გამყიდველობა — ყველაზე ნაკლებ შეეხო ფლოტის მეთაურთა შემადგენლობას: მაინც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც, თავიანთ სასახელოდ, რუსეთის ღირსებასა და დამოუკიდებლობას უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ინგლისის ოქროს. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ბალტიელმა მატროსებმა კვლავ ჰპოვეს თავისი თავი და თავიანთი საგმირო საქმეებით გააცოცხლეს რუსეთის რევოლუციური ფლოტის საუკეთესო ტრადიციები. ეს პირობები რომ არ ყოფილიყო, პეტროგრადი დაცული არ იქნებოდა ზღვის მხრივ უალრესად ამიშ მოულოდნელობათაგან. ჩვენი ფლოტის აღორძინების დასახასიათებლად ყველაზე უფრო ტიპიურია ჩვენს ორ ნაღმოსანსა და მოწინააღმდეგის ოთხ ნაღმოსანსა და სამ წყალქვეშა ნავს შორის ივნისში მომხდარი უთანასწორო ბრძოლა, რომლიდანაც ჩვენი ნაღმოსნები, მატროსების თავდადებისა და მოქმედი რაზმის უფროსის უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით, გამარჯვებულნი გამოვიდნენ და მტრის წყალქვეშა ნავი ჩაძირეს.

6. შედეგები

ხშირად როძიანკოს ადარებენ კოლჩაკს საბჭოთა რუსეთისათვის საფრთხის თვალსაზრისით, ამასთან როძიანკოს არანაკლებ საშიშად სთვლიან, ვიდრე კოლჩაკს. ეს შედარება სწორი არ არის. კოლჩაკი მართლაც საშიშია, რადგან მას აქვს სივრცეც უკანდასახევად, ადამიანთა მასალაც ჯარის ნაწილების გასაახლებლად, პურიც არმიის გამოსაკვებად. როძიანკოს და იუდენიჩის უბედურება ის არის, რომ მათ არ ჰყოფნით არც სივრცე, არც ადამიანთა მასალა, არც პური. ფინეთი და ესტლანდია, რასაკვირველია, ერთგვარ ბაზას წარმოადგენენ რუსი სამხედრო ტყვეებისაგან თეთრგვარდიული ნაწილების შესადგენად. მაგრამ, ჯერ-ერთი, სამხედრო ტყვეები არ შეიძლება საკმაო და სავსებით საიმედო მასალას წარმოადგენდნენ თეთრგვარდიული ნაწილებისათვის. მეორეც, თვით ვითარება ფინეთსა და ესტლანდიაში, იმის გამო, რომ იქ რევოლუციური მღელვარება ვითარდება, ხელსაყრელ პირობებს არ წარმოადგენს თეთრგვარდიული ნაწილების შესაქმნელად. მესამეც, როძიანკოს და ბალახოვიჩის მიერ დაკავებული ტერიტორია (სულ ორ მაზრამდე) თანდათანობით და სისტემატურად მცირდება, და ყბადაღებულ «ჩრდილო-დასავლეთის» არმიას, თუ მას საერთოდ უწერია დაბადება, მალე ადგილი აღარ ექნება გაშლისა და მანევრირებისათვის. ვინაიდან, ეს უნდა ვაღიაროთ, არც ფინეთი, არც ესტლანდია, ჯერჯერობით მაინც, არ აძლევენ «თავიანთ საკუთარ ტერიტორიას» როძიანკო-ბალახოვიჩ-იუდენიჩს. უზურგო არმია — ასეთია «ჩრდილო-დასავლეთის» არმია. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ასეთი «არმია» დიდხანს ვერ იცოცხლებს, თუ, რა თქმა უნდა, მოვლენათა წყებაში არ შეიჭრება მტრისათვის ხელსაყ-

რელი საერთაშორისო ხასიათის რაიმე ახალი, სერიოზული გარემოება; ამაზე იმედის დასამყარებლად კი, ყველა მონაცემის მიხედვით, მოწინააღმდეგეს არავითარი საფუძველი არა აქვს.

პეტროგრადთან წითელმა არმიამ უნდა გაიმარჯვოს.

«პრავდა» № 147,
1919 წ. 8 ივლისი.

წერილი ვ. ი. ლენინს დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ [17]

ამხანაგ ლენინს

მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე ისეთ უფრო საშიშში ხდება.

ძველი, შებერტყილი, დაღლილი ნაწილები XVI არმიისა, რომელსაც აწვება ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე დასავლეთის ფრონტზე — პოლონელები, არა თუ ვერ უძლებენ შემოტევას, არათუ უნარი არ შესწევთ თავი დაიცვან, არამედ მათ იმის უნარიც კი დაკარგეს, რომ დაიცვან უკან მიმავალი ბატარიები, რომლებიც, ბუნებრივია, მოწინააღმდეგეს უვარდებიან ხელში. ვშიშობ, რომ ნაწილების ასეთი მდგომარეობის დროს XVI არმია ბერეზინისაკენ უკანდახევის პროცესში შეიძლება უქვემეხებოდ და უაღალოდ დარჩეს. არის იმის საფრთხეც, რომ პოლკების უმეტესობის შებერტყილ და სრულიად დაშლილ კადრებს მალე ალარ შეეძლებათ მოახდინონ ასიმილაცია შევსებისა, რომელიც — ეს უნდა ითქვას — ამასთანავე საშინელი დაგვიანებით მოდის.

მოწინააღმდეგე ურტყამს ორ ძირითად ხაზზე ბერეზინისაკენ: ბორისოვის ხაზზე და სლუცკ-ბობრუისკის ხაზზე. ურტყამს წარმატებით, რადგან მან უკვე ოცდაათიოდე ვერსით წამოიწია ბორისოვისაკენ, ხოლო სამხრეთით,

სლუცკის აღების შემდეგ, ხელთ იგდო ბობრუისკის გასაღები — ჩინებული გზატკეცილი, რომელიც ერთადერთია რაიონში.

ბორისოვის აღებისა და ამასთან დაკავშირებით XVI არმიის სრულიად შებერტყილი მე-17 დივიზიის შესაძლებელი უკანდახევის შემთხვევაში, XV არმია დაყენებული იქნება დარტყმის ქვეშ, პოლოცკსა და დვინსკს უშუალო საფრთხე დაემუქრება. ხოლო ბობრუისკის აღებისა და რეჩიცაზე დარტყმის (მოწინააღმდეგე უშუალოდ ამ მიზანს ისახავს) შემთხვევაში XVI არმიის მთელი პრიპიატის ჯგუფი, ესე იგი მე-8 დივიზია, ავტომატურად განიცდის მარცხს, ამასთან გომელი უშუალო დარტყმის ქვეშ ექცევა, XII არმიის ფლანგი შიშვლდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მოწინააღმდეგეს დავამსხვრევინებთ ჩვენს XVI არმიას, ის კი უკვე ამსხვრევს მას, ამით განსაცდელში ჩავაგდებთ XV და XII არმიებს, და დაგვჭირდება უკვე არა მარტო XVI არმიის, არამედ მთელი ფრონტის აღდგენაც, ამასთან ეს გაცილებით უფრო ძვირად დაგვიჯდება.

ცხადია, ჩვენ დაახლოებით იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორშიც შარშან აღმოსავლეთის ფრონტი იყო, როდესაც ვაცეტისმა და კოსტიაევმა კოლჩაკს დაამსხვრევინეს ჯერ III არმია, შემდეგ II, შემდეგ V არმია და ამრიგად ტყუილუბრალოდ მთელი ნახევარი წლით წაახდინეს მთელი ფრონტის საქმე.

არის იმის დიდი საფრთხე, რომ ეს პერსპექტივა რეალობად იქცეს დასავლეთის ფრონტზე.

წინათ უკვე გწერდით, რომ დასავლეთის ფრონტი მოუწყობელი და დანაკუწებულია და მისი შეკეთება შეუძლებელია, თუ არ იქნება მზა რეზერვები, და რომ საკმარისია მოწინააღმდეგის ერთი სერიოზული დარტყმა ერთ-

ერთ მნიშვნელოვან პუნქტზე, რომ მთელი ფრონტი შეტორტმანდეს, უფრო სწორად — შეირყეს.

ამჟამად ეს ჩემი შიში, სამწუხაროდ, უკვე მართლდება.

ამავე დროს მოწინააღმდეგეს დასავლეთში, ერთიანი სარდლობით გაერთიანებულს, ჯერ კიდევ არ აუმოქმედებია **რუსული** კორპუსები, რომლებიც უკვე მზად ან თითქმის მზად არიან რიგაში, ვარშავასა და კიშინიოვში.

სამიოდე კვირის წინათ მე საკმარისად ვთვლიდი ერთ დივიზიას იმისათვის, რომ განგვევითარებინა შეტევა და დაგვეკავებინა მოლოდეჩნო-ბარანოვიჩის კვანძები. ახლა ერთი დივიზია შეიძლება იმისთვისაც აღარ გვეყოს, რომ შევინარჩუნოთ ბორისოვ-ბობრუისკ-მოზირის ხაზი.

წარმატებით შეტევაზე ოცნებაც ზედმეტია, იმიტომ რომ ამისათვის ახლა (11 აგვისტოს) სულ ცოტა ორი-სამი დივიზია დაგვჭირდებოდა.

ახლა თვითონ გადაწყვიტეთ: შეგიძლიათ თუ არა მოგვცეთ ერთი დივიზია, თუნდაც ბრიგადობით, თუ მოწინააღმდეგეს დაანებებთ დაანგრიოს ისედაც დაშლილი XVI არმია. მაგრამ გადაწყვიტეთ დაუყოვნებლივ, ვინაიდან ყოველი საათი ძვირფასია.

თქვენი **ი. სტალინი**

P. S. ეს წერილი წაიკითხა და დაადასტურა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრმა, აგრეთვე დასავლეთის ფრონტის სარდალმაც. ანალოგიური განცხადება ამ დღეებში გაეგზავნება რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

ი. სტ.

სმოლენსკი,
1919 წ. 11 აგვისტო.

იბეჭდება პირველად.

წერილი ვ. ი. ლენინს სამხრეთის ფრონტიდან [78]

ამხ. ლენინ!

ორიოდე თვის წინათ მთავარსარდალს პრინციპულად არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ ძირითადი დარტყმა მიმართული ყოფილიყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დონეცის აუზით. თუ მან მაინც არ მოახდინა ასეთი დარტყმა, ეს იმიტომ, რომ იმიზეზებდა «მემკვიდრეობას», რაც მიღებული იყო სამხრეთის ჯარების უკანდახევის შედეგად ზაფხულში, ე. ი. ჯარების სტიქიურად შექმნილ დაჯგუფებას ახლანდელი სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის რაიონში, რომლის (დაჯგუფების) გარდაქმნა დიდ დროს დაგვაკარგვინებდა, რაც ხელსაყრელი იქნებოდა დენიკინისათვის. **მხოლოდ** ამიტომ იყო, რომ არაფერი მითქვამს დარტყმის ოფიციალურად მიღებული მიმართულების წინააღმდეგ. მაგრამ ახლა ვითარება და მასთან დაკავშირებული ძალთა დაჯგუფება საფუძვლიანად შეიცვალა: VIII არმიამ (ძირითადმა ძალამ ყოფილ სამხრეთის ფრონტზე) გადაიწია სამხრეთის ფრონტის რაიონში და პირდაპირ გაჰყურებს დონეცის აუზს; ბუდიონის ცხენოსანმა კორპუსმაც (მეორე ძირითადმა ძალამ) გადაიწია სამხრეთის ფრონტის რაიონში; მოგვემატა ახალი ძალა — ლატვიელთა დივიზია, რომელიც ერთი

თვის შემდეგ, როდესაც გადახალისდება, კვლავ მრისხანე ძალად იქცევა დენიკინის წინააღმდეგ.

თქვენ ხედავთ, რომ ძველი დაჯგუფება («მემკვიდრეობა») აღარ არის. მაშ რა აიძულებს მთავარსარდალს (მთავარბანაკს) ძველი გეგმა დაიცვას? ცხადია, მარტოოდენ ჯიუტობა, თუ გნებავთ — ფრაქციულობა, ყველაზე უგუნური და რესპუბლიკისათვის ყველაზე საშიში ფრაქციულობა, რომელსაც მთავარსარდლობაში ნერგავს «სტრატეგიის» მამლაყინწა გუსევი. ამ დღეებში მთავარსარდალმა დირექტივა მისცა შორინს — შეტევა მოეწყო ცარიცინის რაიონიდან ნოვოროსიისკზე დონის სტეპებით, იმ ხაზით, რომლითაც ჩვენი ავიატორებისათვის იქნებ მოსახერხებელიც იყოს ფრენა, მაგრამ სრულიად შეუძლებელი იქნება ჩვენი ქვეითი ჯარისა და არტილერიისათვის იქ გავლა. მტკიცებაც ზედმეტია, რომ ეს უგუნური (განზრახული) ლაშქრობა ჩვენდამი **მტრულ** გარემოში, **აბსოლუტური უგზოობის** პირობებში — სრულ მარცხს გვიქადის. ძნელი გასაგები როდია, რომ კაზაკთა სტანიცებზე ამ ლაშქრობას, როგორც ეს ამასწინანდელმა პრაქტიკამ გვიჩვენა, შეუძლია მხოლოდ დარაზმოს კაზაკები დენიკინის გარშემო და ჩვენს წინააღმდეგ თავიანთი სტანიცების დასაცავად, შეუძლია მხოლოდ გამოიყვანოს დენიკინი დონის მხსნელად, შეუძლია მხოლოდ შექმნას კაზაკთა არმია დენიკინისათვის, ე. ი. შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს დენიკინი.

სწორედ ამიტომ საჭიროა ახლავე, დროის დაუკარგავად, შეიცვალოს პრაქტიკით უკვე გაუქმებული ძველი გეგმა და მივიღოთ მის ნაცვლად გეგმა, რომლის მიხედვითაც ძირითადი დარტყმა მიმართული იქნება ვორონეჟის რაიონიდან როსტოვისაკენ ხარკოვ-დონეცის აუზის გავლით. ჯერ-ერთი, აქ ჩვენ გვეყოლება ჩვენდამი არა მტრული, არამედ პირიქით — სიმპათიით განწყობილი

გარემო, რაც გაგვიადვილებს წინსვლას. მეორეც, ჩვენ ხელთ გვექნება რკინიგზის უმნიშვნელოვანესი ქსელი (დონეცისა) და ძირითადი არტერია, რომელიც კვებავს დენიკინის არმიას, — ვორონეჟ-როსტოვის ხაზი (უამხაზოდ კაზაკთა ჯარს ზამთარში მომარაგება აღარ ექნება, რადგან მდინარე დონი, რომლითაც დონის არმია მომარაგებას იღებს, გაიყინება, ხოლო აღმოსავლეთ დონეცის გზა ლიხაია-ცარიცინისა — გადაჭრილი იქნება). მესამეც, ამ წინწაწევით ჩვენ ვკვეთთ დენიკინის არმიას ორ ნაწილად, რომელთაგან: მოხალისეთა არმიას მახნოს ვუტოვებთ გასანადგურებლად, ხოლო კაზაკთა არმიებს ზურგიდან შემოვლის საფრთხეს ვუქმნით. მეოთხეც, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა წავაჩხუბოთ კაზაკები დენიკინს, რომელიც (დენიკინი) ჩვენი წარმატებითი წინწაწევის შემთხვევაში შეეცდება დასავლეთისაკენ გადაიყვანოს კაზაკთა ნაწილები, რასაც კაზაკთა უმრავლესობა არ დათანხმდება, თუ, რა თქმა უნდა, იმ დროისათვის კაზაკთა წინაშე დავაყენებთ ზავის საკითხს, ზავის შესახებ მოლაპარაკების საკითხს და სხვ. მეხუთეც, ჩვენ მივიღებთ ქვანახშირს, დენიკინი კი უქვანახშიროდ დარჩება.

ამ გეგმის მიღების დაყოვნება არ შეიძლება, რადგან მთავარსარდლობის გეგმა პოლკების გადაყვანისა და განაწილებისა გვიქადის სამხრეთის ფრონტზე ჩვენ მიერ მიღწეულ უკანასკნელ წარმატებათა გაქარწყლებას. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებას — «ყველაფერი სამხრეთის ფრონტისათვის» — მთავარბანაკი უგულებელყოფს და მან ფაქტიურად უკვე გააუქმა იგი.

მოკლედ: არავითარ შემთხვევაში არ არის საჭირო ძველი, ცხოვრების მიერ უკვე გაუქმებული გეგმის გალვანიზება, — ეს საშიშია რესპუბლიკისათვის, ეს უთუოდ შეუმსუბუქებს მდგომარეობას დენიკინს. იგი სხვა გეგ-

მით უნდა შეიცვალოს. გარემოება და პირობები არა მარტო მომწიფდა ამისათვის, არამედ კატეგორიულადაც გვიკარნახებს ასეთ შეცვლას. მაშინ პოლკების განაწილებაც ახლებურად მოხდება.

უამისოდ ჩემი მუშაობა სამხრეთის ფრონტზე უაზრო, დანაშაულებრივი, უმაქნისი ხდება, რაც უფლებას მაძლევს ან, უფრო სწორად, მავალებს წავიდე სადაც იქნება, თუნდაც ჯანდაბაში, ოღონდ სამხრეთის ფრონტზე არ დავრჩე.

თქვენი **სტალინი**

სერპუხოვი,
1919 წ. 15 ოქტომბერი.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 301,
1929 წ. 21 დეკემბერს.

დეპეშა ვ. ი. ლენინს

ანტანტისა და დენიკინის ხანგრძლივი მეცადინეობით შექმნილი შკუროს და მამონტოვის ცხენოსანი კორპუსები, როგორც კონტრრევოლუციის მთავარი დასაყრდენი, ვორონეჟთან ბრძოლებში სასტიკად დაამარცხა ამხ. ბუდიონის ცხენოსანმა კორპუსმა. ვორონეჟი აიღეს წითელმა გმირებმა. ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, რომლის დათვლა წარმოებს. ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის ყველა სახელობითი ჯავშნიანი მატარებელი თვით გენერალ შკუროს სახელობის ჯავშნიან მატარებელთან ერთად. დამარცხებული მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება. უძლეველობის შარავანდედი, რაც შექმნილი იყო გენერლების მამონტოვისა და შკუროს სახელის გარშემო, გაცამტვერებულია ამხ. ბუდიონის ცხენოსანი კორპუსის წითელი გმირების მამაცობით.

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური
სამხედრო საბჭო **სტალინი**

1919 წ. 25 ოქტომბერი.

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 244,
1919 წ. 26 ოქტომბერი.

სიტყვა, წარმოთქმული აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის გახსნისას

1919 წ. 22 ნოემბერს

ამხანაგებო!

მე დავალებული მაქვს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გავხსნა აღმოსავლეთის მუსლიმანური კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა II ყრილობა[79].

I ყრილობის დროიდან ერთმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში სოციალიზმის ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. პირველი — ეს არის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გარევოლუციურება და იქ, დასავლეთში, კომუნისტური პარტიის წარმოშობა. მეორე — აღმოსავლეთის ხალხთა გამოღვიძება, რევოლუციური მოძრაობის ზრდა აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა შორის. იქ, დასავლეთში, პროლეტარები იმუქრებიან, რომ გაანადგურებენ იმპერიალისტური სახელმწიფოების ავანგარდს და ხელთ აიღებენ ძალაუფლებას. აქ პროლეტარები იმუქრებიან, რომ დაანგრევენ იმპერიალიზმის ზურგს — აღმოსავლეთს, როგორც სიმდიდრის წყაროს, იმიტომ რომ აღმოსავლეთი ის საფუძველია, რომელ-

ზეც თავის სიმდიდრეს აშენებს იმპერიალიზმი, ის წყაროა, საიდანაც იგი იღებს ძალებს, და სადაც მას სურს დაიხიოს, თუ დამარცხდა დასავლეთ ევროპაში.

ერთი წლის წინათ დასავლეთში მსოფლიო იმპერიალიზმი იმუქრებოდა ვიწრო სალტედ შემორტყმოდა საბჭოთა რუსეთს. ახლა აღმოჩნდა, რომ იგი თვითონ არის გარშემორტყმული, რადგან მას ურტყამენ ფლანგებზეც და ზურგშიც. ერთი წლის წინათ, შინ რომ ბრუნდებოდნენ, აღმოსავლეთის ხალხთა I მუსლიმანური ყრილობის დელეგატები ფიცს სდებდნენ გაეკეთებინათ ყველაფერი, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რომ გამოეღვიძებინათ აღმოსავლეთის ხალხები, გაედოთ ხიდი დასავლეთის რევოლუციასა და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს შორის. ახლა, ამ მუშაობას თვალს რომ ვავლებთ, შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ამ რევოლუციურ მუშაობას ფუჭად როდი ჩაუვლია, რომ აგებულია ხიდი ყველა ჩაგრული ხალხის თავისუფლების ჩამხშობთა წინააღმდეგ.

ბოლოს, თუ ჩვენმა ჯარებმა, ჩვენმა წითელმა ჯარებმა ისე სწრაფად წაიწიეს აღმოსავლეთისაკენ, ამაში, რასაკვირველია, უკანასკნელი როლი როდი შეასრულა თქვენმა მუშაობამ, ამხანაგო დელეგატებო. თუ ამჟამად გზა აღმოსავლეთისაკენ გახსნილია, რევოლუცია ამასაც უნდა უმადლოდეს ჩვენი ამხანაგი დელეგატების უდიდეს შრომას, რომლებმაც უკანასკნელ ხანს გასწიეს ეს მუშაობა.

მხოლოდ აღმოსავლეთის ხალხების, უწინარეს ყოვლისა, თათრების, ბაშკირების, ყირგიზების, თურქესტანის ხალხების მუსლიმანური კომუნისტური ორგანიზაციების დარაზმულობით — მხოლოდ მათი დარაზმულობით შეიძლება აიხსნას მოვლენათა განვითარების ის სისწრაფე, რასაც ჩვენ აღმოსავლეთში ვხედავთ.

ეჭვი არ მეპარება, ამხანაგებო, რომ ეს ყრილობა, II ყრილობა, რომელიც რაოდენობრივადაც და ხარისხობ-

რივადაც უფრო მდიდარია, ვიდრე I ყრილობა იყო, შეძლებს განაგრძოს დაწყებული მუშაობა აღმოსავლეთის ხალხების გამოსაღვიძებლად, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გადებული ხიდის განსამტკიცებლად, მუშაობა იმპერიალიზმის საუკუნეობრივი უღლისაგან მშრომელი მასების განსათავისუფლებლად.

იმედი ვიქონიოთ, რომ I ყრილობის მიერ აღმართულ დროშას, აღმოსავლეთის მშრომელი მასების განთავისუფლების დროშას, იმპერიალიზმის განადგურების დროშას, ღირსეულად მიიტანენ ბოლომდე კომუნისტური მუსლიმანური ორგანიზაციების მუშაკები. (ტ ა შ ი).

«ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 46,
1919 წ. 7 დეკემბერი.

მისალმება პეტროგრადს სამხრეთის ფრონტისაგან

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო ამხანაგურ მადლობას გიძღვნით მისალმებისა და წითელი დროშებისათვის, რომლებსაც თქვენ შეჰპირდით სამხრეთის ფრონტის პოლკებს.

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო არ დაივიწყებს, რომ პეტროგრადმა პირველმა გაუწია დახმარება სამხრეთის ფრონტს, როცა გამოუგზავნა მას ბრძოლებში გაწრთობილი ათასობით მოწინავე მუშა, რომლებმაც გამარჯვების რწმენით აღაფრთოვანეს ჩვენი დივიზიები და სრულიად შეუცვალეს სახე ჩვენს ფრონტს.

თავის უკანასკნელ წარმატებებს სამხრეთის ფრონტი უმეტესწილად ყოვლისა უმადლის ამ მუშებს, წითელი პეტროგრადის ღირსეულ შვილებს.

ვფიქრობთ, ამხანაგებო, რომ სამხრეთის ფრონტის ჯარები გაამართლებენ რუსეთის პროლეტარიატის მოლოდინს და ღირსეულად მიიტანენ სრულ გამარჯვებამდე მათთვის ნაჩუქარ დროშებს.

კიევი და კუპიანსკი უკვე ავიღეთ, — შორს აღარ არის მომენტი, როცა წითელი დროშები როსტოვსა და ნოვოჩერკასკში აფრიალდება.

სალამი პეტროგრადის მუშებს, სალამი ბალტიის ფლოტის სახელოვან მეზღვაურებს!

სტალინი

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 289,
1919 წ. 18 დეკემბერი.

სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში

I

ანტანტის გეგმების ჩაფუშვა

1919 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ განზრახული იყო კოლჩაკ-დენიკინ-იუდენიჩის კომბინირებული ლაშქრობა. მთავარი დარტყმა უნდა მოეხდინა კოლჩაკს, ხოლო დენიკინს იმედი ჰქონდა, რომ ამ უკანასკნელს შეუერთდებოდა სარატოვში, რათა ერთობლივი შეტევა დაეწყოთ მოსკოვზე აღმოსავლეთიდან. იუდენიჩს მინდობილი ჰქონდა დამხმარე დარტყმა პეტროგრადზე.

ლაშქრობის მიზანი ჩამოყალიბებული იყო გუჩკოვის მოხსენებაში დენიკინისადმი: «წავართვათ ბოლშევიზმს ძირითადი სასიცოცხლო ცენტრები — მოსკოვი და პეტროგრადი — და ჩავახრჩოთ იგი ერთი დარტყმით».

თვით ლაშქრობის გეგმა კი მოხაზული იყო დენიკინის მიერ კოლჩაკისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ჩვენ ხელთ ვიგდეთ გრიშინ-ალმაზოვის შტაბთან ერთად 1919 წლის გაზაფხულზე. «მთავარია არ შევჩერდეთ ვოლგაზე, — სწერდა დენიკინი კოლჩაკს, — არამედ დავარტყათ უფრო შორს ბოლშევიზმის გულს, მოსკოვს. იმედი მაქვს სარატოვში შეგხვდეთ... პოლონელები თავიანთ საქმეს

გააკეთებენ, ხოლო რაც შეეხება იუდენიჩს, ის მზად არის და არ დააყოვნებს დაარტყას პეტროგრადს...»

ასე წერდა დენიკინი გაზაფხულზე, როცა გაჩაღებული იყო კოლჩაკის შემოტევა ვოლგაზე.

მაგრამ ეს გეგმა ჩაიფუშა. კოლჩაკი ურალს იქით განვდევნეთ. დენიკინი შევაჩერეთ ხაზზე: მდინარე სეიმი — ლისკი—ბალაშოვი. იუდენიჩი იამბურგს იქით უკუვაგდეთ.

საბჭოთა რუსეთი მთელი და უვნებელი დარჩა.

მაგრამ ანტანტის კაციჭამიები გულს არ იტეხდნენ. 1919 წლის შემოდგომისათვის მოფიქრებულ იქნა გამანადგურებელი ლაშქრობის ახალი გეგმა. კოლჩაკი, ბუნებრივია, სათვალავში აღარ მიუღიათ. სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთიდან გადაიტანეს სამხრეთში, საიდანაც დენიკინს უნდა მოეხდინა მთავარი დარტყმა. იუდენიჩს, ისევე როგორც გაზაფხულზე. დაევალა დამხმარე დარტყმა — ახალი ლაშქრობა პეტროგრადზე. მოხალისეთა არმიის ყოფილი სარდალი გენერალი მაი-მაევსკი ორიოლის აღების მეორე დღეს წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა, რომ თავისი ჯარებით მოსკოვში იქნებოდა «არა უგვიანეს დეკემბრის დამლევისა, 19 წლის შობისათვის».

დენიკინელთა გულდაჯერებულობა იქამდე მივიდა, რომ დონეცის კაპიტალისტებმა ჯერ კიდევ ოქტომბერში გამოაცხადეს მილიონიანი ჯილდო (ნიკოლოზის ფულით) მოხალისეთა არმიის იმ პოლკისათვის, რომელიც პირველი შევიდოდა მოსკოვში...

მაგრამ ბედმა განსაჯა, რომ ეს გეგმაც ჩაფუშულიყო. დენიკინის ჯარები უკუგდებული არიან პოლტავა-კუპიანსკ-ჩერტკოვოს იქით. იუდენიჩი განადგურებულია და ნარვას იქით არის გადაგდებული. რაც შეეხება კოლჩაკს, ნოვო-ნიკოლაევსკთან განადგურების შემდეგ მისი არმიისაგან მოგონება-ღა დარჩა.

რუსეთი ამჯერადაც დარჩა მთელი და უვნებელი.

კონტრრევოლუციის დამარცხება ამჯერად იმდენად მოულოდნელი და უეცარი იყო, რომ იმპერიალისტური გერმანიის დამმარცხებლები, ანტანტის ბებერი მგლები, იძულებული გახდნენ საქვეყნოდ გამოეცხადებინათ: «იარაღით ბოლშევიზმის დამარცხება არ შეიძლებაო». ხოლო იმპერიალიზმის ფაკირების დაბნეულობა იქამდე მივიდა, რომ მათ, რაკი კონტრრევოლუციის დამარცხების ნამდვილი მიზეზების გამორკვევის უნარი დაკარგეს, იწყეს რუსეთის შედარება ხან «ფხვიერ ქვიშნართან», სადაც გარდუვალად უნდა შთაინთქას «საუკეთესო სარდალი», ხან «თვალუწვდენ უდაბნოსთან», სადაც აუცილებლად სიკვდილი უწერია ყოველ «საუკეთესო ჯარს».

II

კონტრრევოლუციის დამარცხების მიზეზების შესახებ

რა არის კონტრრევოლუციის და, უწინარეს ყოვლისა, დენიკინის დამარცხების მიზეზები?

ა) **არამტკიცე ზურგი** კონტრრევოლუციური ჯარებისა. მსოფლიოში ვერც ერთი არმია ვერ გაიმარჯვებს, თუ მტკიცე ზურგი არ ექნება. ხოლო დენიკინის (აგრეთვე კოლჩაკის) ზურგი ხომ სრულიადაც არ არის მტკიცე. კონტრრევოლუციური ჯარების ზურგის სისუსტის ეს ფაქტი აიხსნება ამ ჯარების შემქმნელი დენიკინ-კოლჩაკის მთავრობის სოციალური ბუნებით. დენიკინსა და კოლჩაკს თან მოაქვთ არა მარტო მემამულისა და კაპიტალისტის უღელი, არამედ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის უღელიც. დენიკინ-კოლჩაკის გამარჯვება — ეს არის რუსეთის დამოუკიდებლობის დაკარგვა, რუსეთის გადაქცევა ინგ-

ლის-საფრანგეთის ფულის ტომრების საწველ ფურად. ამ გაგებით დენიკინ-კოლჩაკის მთავრობა ყველაზე ანტიხალხური, ყველაზე ანტინაციონალური მთავრობაა. ამ გაგებით საბჭოთა მთავრობა ერთადერთი ხალხური და ერთადერთი ნაციონალური მთავრობაა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ვინაიდან მას თან მოაქვს არა მარტო მშრომელთა განთავისუფლება კაპიტალისაგან, არამედ მთელი რუსეთის განთავისუფლებაც მსოფლიო იმპერიალიზმის უღლისაგან, რუსეთის გადაქცევა კოლონიიდან დამოუკიდებელ თავისუფალ ქვეყნად.

განა ცხადი არ არის, რომ დენიკინ-კოლჩაკის მთავრობა და მისი ჯარები ვერ დაიმსახურებენ რუსეთის მოსახლეობის ფართო ფენების ვერც პატივისცემას და ვერც მხარდაჭერას?

განა ცხადი არ არის, რომ დენიკინ-კოლჩაკის ჯარებში არ შეიძლება იყოს გამარჯვების ის მგზნებარე სურვილი და ის აღფრთოვანება, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია გამარჯვება?

დენიკინ-კოლჩაკის ზურგი ირღვევა და ძირს უთხრის ფრონტს, იმიტომ რომ დენიკინ-კოლჩაკის მთავრობა რუსი ხალხის დამონების მთავრობაა, მთავრობა, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების მაქსიმალურ უნდობლობას იწვევს.

საბჭოთა ჯარების ზურგი მტკიცდება, თავისი ძალებით ასაზრდოებს წითელ ფრონტს, იმიტომ რომ საბჭოთა მთავრობა რუსი ხალხის განთავისუფლების მთავრობაა, მთავრობა, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების მაქსიმალური ნდობით სარგებლობს.

ბ) **განაპირა მდგომარეობა** კონტრრევოლუციისა. ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში დაისახა ერთგვარი გეოგრაფიული გამიჯვნა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის. სამოქალაქო ომის შემდგომი

განვითარების მსვლელობაში საბოლოოდ გამოირკვა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის რაიონები. შიდა რუსეთი მისი სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრებით — მოსკოვითა და პეტროგრადით, — ნაციონალური მხრივ ერთგვაროვანი, უპირატესად რუსი მოსახლეობით, — რევოლუციის ბაზად გადაიქცა. რუსეთის განაპირა მხარეები კი, უმთავრესად სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები, სადაც არ არის მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები, სადაც მოსახლეობა ნაციონალური მხრივ მეტად სხვადასხვაფეროვანია და შედგება, ერთი მხრივ, პრივილეგირებული კოლონიზატორ-კაზაკებისაგან და, მეორე მხრივ, არასრულუფლებიანი თათრებისა, ბაშკირებისა, ყირგიზებისა (აღმოსავლეთში), უკრაინელებისა, ჩაჩნებისა, ინგუშებისა და სხვა მუსლიმანი ხალხებისაგან, — კონტრრევოლუციის ბაზად გადაიქცნენ.

ძნელი გასაგები არ არის, რომ რუსეთის მებრძოლ ძალთა ასეთ გეოგრაფიულ განაწილებაში არაფერია არაბუნებრივი. მართლაც: მაშ ვინ უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ბაზა, თუ არა პეტროგრად-მოსკოვის პროლეტარიატი? სხვა ვინ უნდა ყოფილიყო დენიკინ-კოლჩაკის კონტრრევოლუციის დასაყრდენი, თუ არა რუსეთის იმპერიალიზმის ძველისძველი იარაღი, პრივილეგიების მქონე და სამხედრო წოდებად ორგანიზებული — კაზაკობა, რომელიც ძველთაგანვე ექსპლოატაციას უწევს არარუს ხალხებს განაპირა მხარეებში?

განა ცხადი არ არის, რომ არავითარი სხვა «გეოგრაფიული განაწილება» არც შეიძლებოდა ყოფილიყო?

მაგრამ ამ გარემოების შედეგი იყო (და კვლავაც არის) მთელი რიგი საბედისწერო გარდუვალი მინუსები კონტრრევოლუციისათვის და ამდენივე გარდუვალი პლუსი რევოლუციისათვის.

მძაფრი სამოქალაქო ომის ეპოქაში მოქმედი ჯარების წარმატებისათვის აბსოლუტურად საჭიროა ადამიანთა იმ ცოცხალი გარემოს ერთიანობა, შეკავშირება, რომლის ელემენტებითაც შეივსებიან და რომლის ძალებითაც საზრდოობენ ეს ჯარები, ამასთან ეს ერთიანობა შეიძლება იყოს ნაციონალური (განსაკუთრებით სამოქალაქო ომის დასაწყისში) ან კლასობრივი (განსაკუთრებით სამოქალაქო ომის განვითარების დროს). ასეთი ერთიანობის გარეშე წარმოუდგენელია ხანგრძლივი სამხედრო წარმატებანი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ რუსეთის განაპირა (აღმოსავლეთი და სამხრეთი) მხარეები დენიკინისა და კოლჩაკის ჯარებისათვის არც ნაციონალურად და არც კლასობრივად არ წარმოადგენენ და არც შეიძლება წარმოადგენდნენ ცოცხალი გარემოს ერთიანობის იმ მინიმუმსაც კი, ურომლისოდაც (როგორც ზემოთ ვთქვი) შეუძლებელია სერიოზული გამარჯვება.

მართლაც, რა **ნაციონალური** ერთიანობა შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, თათრების, ბაშკირების, ყირგიზების (აღმოსავლეთში), ყალმუხების, ჩაჩნების, ინგუშების, უკრაინელების (სამხრეთში) ნაციონალურ მისწრაფებებსა და, მეორე მხრივ, კოლჩაკ-დენიკინის ჭეშმარიტ-რუსულ თვითმპყრობელურ მმართველობებს შორის?

ან კიდევ: რა **კლასობრივი** ერთიანობა შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ურალის, ორენბურგის, დონის, ყუბანის პრივილეგირებულ კაზაკობასა და, მეორე მხრივ, განაპირა მხარეების მთელ დანარჩენ მოსახლეობას შორის, მეზობელი კაზაკების მიერ ძველთაგანვე ჩაგრული და ექსპლოატირებული არაკაზაკ რუსების ჩათვლით?

განა ცხადი არ არის, რომ ასეთი სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შედგენილი ჯარები აუცილებლად უნდა დაიშალონ საბჭოთა არმიების მხრივ პირველ სერიოზულ დარტყმისთანავე, რომ ყოველი ასეთი დარტყმა აუცილებ-

ლად უნდა აძლიერებდეს რუსეთის განაპირა მხარეების არაკაზაკური ელემენტების მისწრაფებას საბჭოთა მთავრობისაკენ, რომელიც გადაჭრით უარყოფს თვითმპყრობელურ ზრახვებს და ხალისით უჭერს მხარს მათს ნაციონალურ მისწრაფებებს.

განაპირა მხარეებისაგან განსხვავებით, შიდა რუსეთი სულ სხვა სურათს იძლევა. ჯერ-ერთი, ნაციონალურად იგი ერთიანია და შეკავშირებული, რადგან მისი მოსახლეობის ცხრა მეათედი ველიკოროსებისაგან შედგება. მეორეც, საბჭოთა ჯარების ფრონტისა და უშუალო ზურგის მასაზრდოებელი ცოცხალი გარემოს კლასობრივი ერთიანობის მიღწევას აადვილებს ის, რომ იქ არის გლეხობაში პოპულარული პეტროგრად-მოსკოვის პროლეტარიატი, რომელიც მჭიდროდ რაზმავს მას საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ის განსაცვიფრებელი კონტაქტი საბჭოთა რუსეთის ზურგსა და ფრონტს შორის, რითაც ვერასოდეს თავს ვერ მოიწონებდა კოლჩაკ-დენიკინის მთავრობა: საკმარისია საბჭოთა მთავრობამ მოუწოდოს ფრონტისადმი დახმარების შესახებ, რომ რუსეთმა მყისვე გამოიყვანოს ახალი პოლკების მთელი წყება.

ამაშივე უნდა ვეძებოთ იმ გასაოცარი ძალისა და უმაგალითო მოქნილობის წყარო, რასაც საბჭოთა რუსეთი ჩვეულებრივად იჩენს კრიზისულ წუთებში.

აქვე უნდა ვეძებოთ ახსნა იმ, ანტანტის განათლებული მისნებისათვის გაუგებარი, ფაქტისა, რომ «კონტრრევოლუციური ჯარები, გარკვეულ ფარგლებს (შიდა რუსეთის ფარგლებს!) რომ მოაღწევენ ხოლმე, გარდუვალად განიცდიან კატასტროფას...».

მაგრამ კონტრრევოლუციის და, უწინარეს ყოვლისა, დენიკინის დამარცხების ზემოაღნიშნულ ღრმა მიზეზებს

გარდა, არსებობენ კიდევ სხვა უახლოესი მიზეზებიც (მხედველობაში გვაქვს უმთავრესად სამხრეთის ფრონტი).

ასეთებია:

1) რეზერვებისა და შევსების საქმის გაუმჯობესება საბჭოთა სამხრეთის ფრონტზე.

2) მომარაგების საქმის გაუმჯობესება.

3) ფრონტზე პიტერიდან, მოსკოვიდან, ტვერიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან კომუნისტი მუშების მოზღვავება, რომლებიც შევიდნენ ჩვენს სამხრეთის პოლკებში და სრულიად შეუცვალეს სახე ამ უკანასკნელთ.

4) მმართველობის აპარატების მოწესრიგება, რომლებიც წინათ სრულიად მოშლილი იყო მამონტოვის თავდასხმათა გამო.

5) სამხრეთის ფრონტის სარდლობის მიერ საფლანგო დარტყმათა სისტემის ოსტატურად გამოყენება შეტევის დროს.

6) თვით შეტევის მეთოდურობა.

III

ახლანდელი მდგომარეობა სამხრეთის ფრონტზე

დენიკინის ჯარის ყველა ნაწილთა შორის ყველაზე სერიოზულ ძალად უნდა ჩაითვალოს მოხალისეთა არმია (ქვეითი ჯარი), როგორც ყველაზე კვალიფიციური და პოლკებში კადრის ოფიცერთა დიდი რეზერვის მყოლი, და შკურო-მამონტოვის საკავალერიო კორპუსები (ცხენოსანი ჯარი). მოხალისეთა არმიას ამოცანად ჰქონდა დასახული მოსკოვის აღება, ხოლო შკუროს და მამონტოვის ცხენოსან ჯარს — ჩვენი სამხრეთის არმიების ფრონტის გარღვევა და ზურგის მოშლა.

ჩვენი ქვეითი ჯარის პირველმა გადამწყვეტმა წარმატებებმა თავი იჩინა ორიოლთან, კრომ-დმიტროვსკის რაი-

ონში წარმოებულ ბრძოლებში. აქ ჩვენმა ქვეითმა ჯარმა დაამარცხა მოხალისეთა არმიის პირველი კორპუსი (საუკეთესო კორპუსი), გენერალ კუტეპოვის კორპუსი კორნილოვის, დროზდოვის, მარკოვისა და ალექსეევის დივიზიების შემადგენლობით.

ჩვენი ცხენოსანი ჯარის პირველმა გადამწყვეტმა წარპატებებმა კი თავი იჩინა ვორონეჟთან, მდინარეების—იკორეცის, უსმანის, ვორონეჟისა და დონის რაიონში მომხდარ ბრძოლებში. აქ ჩვენი ცხენოსანი ჯგუფი ამხ. ბუდიონის მეთაურობით პირისპირ პირველად შეხვდა შკურო-მამონტოვის გაერთიანებულ კორპუსებს, შეხვდა და უკუაგდო ისინი.

ორიოლთან და ვორონეჟთან ჩვენ მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი არმიების მთელ შემდგომ წინსვლას სამხრეთისაკენ. კიევთან, ხარკოვთან, კუპიანსკთან და ლისკისთან მიღწეული წარმატებანი მხოლოდ შედეგი და განვითარებაა იმ ძირითადი წარმატებებისა, რაც ორიოლთან და ვორონეჟთან მოვიპოვეთ. ამჟამად მოხალისეთა არმია უწესრიგოდ იხევს უკან ჩვენი ნაწილების წინაშე; მან კავშირი და მმართველობა დაკარგა, მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით დაკარგა თავისი ძველი შემადგენლობის ნახევარი მაინც. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ იგი ზურგში არ იქნება წაყვანილი და სერიოზული რემონტი არ გაუკეთდება, მალე სრულიად დაკარგავს ბრძოლისუნარიანობას.

რაც შეეხება შკურო-მამონტოვის ცხენოსან ჯგუფს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაძლიერებული იყო ყუბანის ორი ახალი კორპუსით (გენერლების ულაგაისა და ნაუმენკოს კორპუსები) და გენერალ ჩესნოკოვის ულანთა ნაკრები დივიზიით, მაინც არ შეიძლება იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს ჩვენი ცხენოსანი ჯარისათვის. ამის დამადასტურებელია ამასწინანდელი ბრძოლები ლისიჩანსკ-

თან, სადაც შკურო-მამონტოვის გაძლიერებული ჯგუფი სასტიკად დაამარცხა ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა და ადგილზე დაატოვებინა ჩვიდმეტი ქვემეხი, ოთხმოცი ტყვიამფრქვევი და ათასზე მეტი დახოცილი მეომარი.

რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ დენიკინის არმიები უკვე განადგურებულია. დენიკინის არმიები ჯერ კიდევ ისე არ გახრწნილან, როგორც კოლჩაკის არმიები. დენიკინს ჯერ კიდევ შეუძლია ჩაიდინოს ზოგიერთი ტაქტიკური და, შესაძლოა, სტრატეგიული ოინიც. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ათი კვირის განმავლობაში ჩვენ მოვასწარით წაგვერთმია დენიკინისათვის მხოლოდ 150-მდე ქვემეხი, 600 ტყვიამფრქვევი, 14 ჯავშნიანი მატარებელი, 150 ორთქლმავალი, 10 ათასი ვაგონი, 16 ათასამდე ტყვე. მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია: **დენიკინის არმიები შეუკავებლად მიეჭანებიან დალმართით კოლჩაკის არმიების კვალდაკვალ,** მაშინ როდესაც **ჩვენი არმიები დღითიდღე ძლიერდებიან ხარისხობრივად და რაოდენობრივად.**

ეს არის დენიკინის საბოლოო განადგურების საწინდარი.

სერპუხოვი,
1919 წ. 26 დეკემბერი.

«პრავდა» № 293,
1919 წ. 28 დეკემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

P. S.[80] ეს სტატია დაწერილი იყო მანამდე, ვიდრე ჩვენი ჯარები დენიკინის ფრონტს გაარღვევდნენ ტაგანროგთან. სწორედ ამით აიხსნება მისი ფრთხილი ხასიათი. მაგრამ ახლა, დენიკინის ფრონტის გარღვევის შემდეგ, როცა მოხალისეთა დივიზიები მოწყვეტილი არიან დენიკი-

ნის დონისა და კავკასიის არმიებს, როცა ტაგანროგის მისადგომებთან ორი დღის (1—2 იანვარი) ბრძოლების დროს ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგეს წაართვეს ორასზე მეტი ქვემეხი, შვიდი ჯავშნიანი მატარებელი, ოთხი ტანკი და დიდძალი სხვა დავლა, როცა ჩვენი ჯარები, ტაგანროგის განთავისუფლების შემდეგ, გარს ერტყმიან კონტრრევოლუციის კერებს — ნოვოჩერკასკსა და როსტოვს, — ახლა მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ დენიკინის არმიების განადგურება მთელი სისწრაფით მიმდინარეობს.

კიდევ ერთი დარტყმა, — და სრული გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

კურსკი,
1920 წ. 7 იანვარი.

ჟურნალი «რევოლუციონნი ფრონტ» № 1,
1920 წ. 15 თებერვალი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ბრძანება
უკრაინის შრომითი არმიისადმი

1920 წ. 7 მარტი

რსფსრ მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის № 1247/ოპ/123/შ დირექტივით და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს № 271 ბრძანებით ორმოცდამეორე დივიზია 7 მარტიდან შეყვანილია უკრაინის შრომითი არმიის[81] შემადგენლობაში.

მამაცმა 42-ე დივიზიამ, რომელიც გმირულად ებრძოდა რუსეთის მტრებს ფრონტის სხვა დივიზიების მხარდამხარ და მათთან ერთად სასტიკად დაამარცხა დენიკინის მოხალისეთა არმია, ამიერიდან გვერდზე უნდა გადადოს იარაღი, რათა ჩაებას სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლაში და უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნისათვის ქვანახშირი.

42-ე დივიზიის მეთაურებო! დენიკინთან ბრძოლებში თქვენ იცოდით წითელარმიელთა წაყვანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, — დაამტკიცეთ, რომ ქვანახშირის კრიზისთან ბრძოლაში შეგიძლიათ მოიპოვოთ არანაკლები გამარჯვებანი.

42-ე დივიზიის კომისრებო! ბრძოლის ველზე თქვენ იცოდით წითელარმიელთა შორის სანიმუშო წესრიგისა და

დისციპლინის დაცვა, — დაამტკიცეთ, რომ ქვანახშირისათვის ბრძოლაში თქვენ შეგიძლიათ უმწიკვლოდ დაიცვათ შრომის დისციპლინის წმიდა დროშა.

42-ე დივიზიის წითელარმიელებო! თქვენ პატიოსნად და თავდადებულად ბრძოლა იცოდით მუშურ-გლეხური რუსეთის მტრებთან, — დაამტკიცეთ, რომ შეგიძლიათ ასევე პატიოსნად და თავდადებულად იშრომოთ იმისათვის, რომ მიზიდოთ ქვანახშირი სადგურებში, დატვირთოთ ვაგონებში და დანიშნულების ადგილამდე გაჰყვეთ ქვანახშირის ტვირთებს.

გახსოვდეთ, რომ ქვანახშირი ისევე მნიშვნელოვანია რუსეთისათვის, როგორც დენიკინზე გამარჯვება.

III არმიის პოლკებმა ურალზე უკვე გამოიჩინეს თავი შეშის დამზადებისა და მოზიდვის საქმეში. სათადარიგო არმიის პოლკებმა ვოლგისპირეთში სახელი მოიხვეჭეს ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის საქმეში. 42-ე დივიზიამ უნდა გვიჩვენოს, რომ იგი სხვებს არ ჩამორჩება და ქვეყნისათვის უზრუნველყოფს ქვანახშირის მიზიდვას, დატვირთვას და გაყოლას.

ამას მოელის თქვენგან მუშურ-გლეხური რუსეთი.

უკრაინის შრომითი არმიის
საბჭოს თავმჯდომარე

ი. სტალინი

პირველად დაიბეჭდა 1919 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციას» № 3-ში.

გამოსვლები უკრაინის კ. პ. (ბ) IV კონფერენციაზე [82]

1920 წ. 17 — 23 მარტი

1. სიტყვა კონფერენციის გახსნისას

17 მარტს

ამხანაგებო! დღემდე თქვენს წინაშე, უკრაინის ზურგისა და ფრონტის კომუნისტების წინაშე, იდგა ერთი ძირითადი ამოცანა — შეგეკავებინათ შეტევაზე გადმოსული პოლონელები, გაგენადგურებინათ პეტლიურა და განგედევნათ დენიკინი. ეს ამოცანა, როგორც ახლა არა მარტო მეგობრები, არამედ მტრებიც აღიარებენ, წარმატებით სრულდება.

ახლა, როცა უკრაინა განთავისუფლებულია რევოლუციის ყველაზე ბოროტი მტრისაგან — დენიკინის არმიისაგან, თქვენს წინაშე დგას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და რთული, ამოცანა — უკრაინის დანგრეული მეურნეობის აღდგენის ამოცანა. უეჭველია, რომ თქვენ, რომლებმაც სძლიეთ დენიკინი, დაძლევთ ნგრევასაც. შეძლებთ მთელი ძალღონე, მთელი ის ენერგია, რომლითაც კომუნისტები სხვა პარტიებისაგან განსხვავდებიან, მოახმაროთ იმას, რომ შეასუსტოთ ნგრევა და დაეხმაროთ ჩრდილოეთელ ამხანაგებს.

არის ნიშნები, რომ ჩრდილოეთში ამ ამოცანის შესრულება იწყება. შრომითი არმიების ნაკრები ცნობები მოწმობენ, რომ ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი იზრდება, სათბობის ამოღება ვითარდება და ძლიერდება. ურალის მრეწველობაც იზრდება და სწრაფად ვითარდება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩრდილოეთელი ამხანაგების მაგალითის მიხედვით თქვენც იმასვე მიაღწევთ.

კომუნისტები ამ ამოცანის გადაჭრისას უთუოდ მოიპოვებენ გამარჯვებას, ვინაიდან ჩვენს პარტიაში არის შეკავშირებულობა, ერთიანობა, საქმისადმი ერთგულება, და ყოველივე ამის ზევით ჩვენი დევიზი — «მოვკვდეთ, მაგრამ ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე». მხოლოდ დისციპლინისა და შეკავშირებულობის მეოხებით არის, რომ პარტია წარმატებით გზავნის ათასობით მუშაკს ყველა რაიონში, ყველა ოლქში. ამ დისციპლინამ და შეკავშირებულობამ შესაძლებლობა მოგვცეს გამარჯვება მოგვეპოვებინა იმპერიალიზმზე და ისინივე გვაძლევენ იმედს, რომ გავიმარჯვებთ მეორე მტერზეც — ნგრევაზე.

2. მოხსენება ეკონომიური პოლიტიკის შესახებ

19 მარტს

მე მომიხდება მოგახსენოთ სამეურნეო მშენებლობის მორიგ ამოცანებზე.

ერთი წლის წინათ, როცა ჩვენი ფედერაცია გარშემორტყმული იყო იმ ჯარების ვიწრო რკალით, რომლებსაც აფინანსებდნენ საერთაშორისო იმპერიალისტები, თავდაცვის საბჭომ მოგვცა ლოზუნგი: «ყველაფერი ფრონტისათვის». ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა დაყენებულ იქნა მომარაგების რელსებზე, ფრონტის განმტკიცების რელსებზე. ერთი წლის პრაქტი-

კამ გვიჩვენა, რომ თავდაცვის საბჭო მართალი იყო, რადგან ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი ბოროტი მტრები უკუქცეული აღმოჩნდნენ, — იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი ძირითადად განადგურებული არიან. ამრიგად, ლოზუნგმა «ყველაფერი ფრონტისათვის», ნამდვილად განხორციელებულმა, დადებითი შედეგები მოგვცა.

ამ ორი თვის წინათ თავდაცვის საბჭომ მოგვცა მეორე ლოზუნგი: «ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის». ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა საჭიროა გარდავქმნათ ახალ, სამეურნეო ყაიდაზე, საჭიროა მთელი ცოცხალი ძალები მივიტანოთ მეურნეობის საკურთხეველზე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ აღარა გვაქვს სამხედრო ამოცანა. ჩაიფუშა ანტანტის ორი ცდა — დაემარცხებინა საბჭოთა ფედერაციული რუსეთი: პირველი — აღმოსავლეთიდან, კოლჩაკის დახმარებით, მეორე—სამხრეთიდან, დენიკინის დახმარებით. ახლა, როგორც ჩანს, ნავარაუდევია ახალი დარტყმა, დასავლეთიდან. ანტანტა ისე სულელი როდია, რომ არ გამოიყენოს პოლონეთის შლიახტის ძალები, თუნდაც იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ჩვენს ფედერაციას ახალი აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებაში. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა უახლოესი პერსპექტივები გადაიშლება გერმანიაში მომხდარ გადატრიალებასთან [83] დაკავშირებით. როგორც ჩანს, დასავლეთში მოსალოდნელია ზოგიერთი ახალი, მაგრამ სავსებით აშკარა გართულება. ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ, როცა მთელი ჩვენი მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენაზე გადაგვაქვს, ამით ზურგს ვაქცევთ სამხედრო ამოცანებს. მიუხედავად ამისა, ძირითადი ლოზუნგი მუდამ ძირითადი უნდა იყოს.

მაშ რით არის გამოწვეული თავდაცვის საბჭოს და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული ახალი ლოზუნგი? ეს, ამხანაგებო, გამოწვეულია იმით,

რომ, როცა გარეშე მტრის განადგურების შემდეგ უკან მოვიხედეთ, თვალწინ წარმოგვიდგა სახალხო მეურნეობის სრული დანგრევის სურათი.

რა საკითხები დგება ჩვენს წინაშე ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანასთან დაკავშირებით?

სახალხო მეურნეობის აღდგენის ძირითადი საკითხია სათბობის საკითხი. ყველა იმპერიალისტური ომი სათბობის გულისათვის წარმოებდა. ანტანტის ყველა ფანდის მიზანი ის იყო, რომ ჩვენთვის სათბობი წაერთმია.

არსებობს სამი სახის სათბობი: ქვანახშირი, ნავთი, შეშა.

დავიწყოთ ქვანახშირის საკითხით.

1916 წელს, ესე იგი რევოლუციამდე, ჩვენ თვეში ვიღებდით სულ ცოტა 140 — 150 მილიონ ფუთ ქვანახშირს და სხვა რაიონებში გაგვქონდა სულ ცოტა 120 მილიონი ფუთი ქვანახშირი. ახლა ჩვენ ვიღებთ არა უმეტეს 18 მილიონი ფუთი ქვანახშირისა და ანტრაციტისა და გაგვაქვს არა უმეტეს 4 — 5 მილიონი ფუთისა. სურათი ნათელია.

მეორე სახის სათბობია ნავთი. ნავთის სათბობის ძირითადი რაიონია ბაქოს რაიონი. საერთოდ ბაქომ 1916 წელს მოგვცა 500 მილიონამდე ფუთი ნავთი. გროზნიმ — 100 მილიონამდე, ურალმა (ემბა) — 15 მილიონამდე. როგორც ცნობილია, ნავთის ძირითადი წყარო — ბაქო — ჩვენს ხელთ არ არის. გროზნის შესახებ ლაპარაკიც არა ღირს. არ ვიცი, რა მდგომარეობაში მივიღებთ გროზნის. სათბობის წყაროს თვალსაზრისით იქ ნავთის უმდიდრესი საბადოებია. შარშან იქ ნავთის ამოღებამ ორას მილიონ ფუთს მიაღწია. მაგრამ რა მდგომარეობაში მივიღებთ მას, არ ვიცი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თეთრებმა იგი საფუძვლიანად დაანგრიეს.

მესამე სახის სათბობია შეშა. საერთოდ, თუ შეშას ქვანახშირზე გადავიყვანთ, წინათ წელიწადში 500 მილიონამდე ფუთს იღებდნენ. ახლა, «გლავლესკომის» ცნობებით, შეშის დამზადება 50%-ს არ აღემატება.

სათბობის მხრივ, როგორც ხედავთ, ჩვენი მდგომარეობა კრიზისულია.

მეორე საკითხია მეტალურგია. შეიძლება ითქვას, რომ მადნის, თუჯისა და მზა ნაწარმის თითქმის ერთადერთი წყარო ჩვენში იყო და არის დონეც — კრივოი როგის აუზი. 1916 წელს თუჯის გამომუშავება თვეში შეადგენდა სულ ცოტა 16 მილიონ ფუთს. დონბასის რაიონში მაშინ მუშაობდა სულ ცოტა 65 ბრძმედი. ახლა 65-ში ერთიც არ მუშაობს. 1916 წელს ჩვენი მეტალურგიული ქარხნებიდან თვეში ვიღებდით 14 მილიონამდე ფუთ ნახევარფაბრიკატს. ახლა ვიღებთ არა უმეტეს 5%-ისა. 1916 წელს თვეში ვიღებდით 12 მილიონამდე ფუთ მზა ნაწარმს. ახლა ვიღებთ 2 — 3%-ს. მეტალურგიაშიც საქმე ძალიან ცუდად არის.

მესამე საკითხია პური. მრეწველობა რომ აღვადგინოთ, მუშები უნდა ვკვებოთ. უპურობა ჩვენი მრეწველობის ძირითადი ნაკლი და მისი დადამბლავების ძირითადი მიზეზია. ომამდე ფედერაციის ტერიტორიაზე ვიღებდით 5 მილიარდამდე ფუთ მარცვლეულს. აქედან ხუთას მილიონზე მეტი საზღვარგარეთ გაგვქონდა. მთელი დანარჩენი ნამეტი უნდებოდა საშინაო მოხმარებას. 1914 წელშიც კი, ომი რომ დაიწყო, ათი თვის განმავლობაში, როცა საზღვრები დაკეტილი იყო, ჩვენ მოვასწარით სამას მილიონამდე ფუთი პურის გატანა. შემდეგში გატანა ოცდაათ მილიონამდე შემცირდა.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენში ნამეტი არის და უნდა იყოს. ცხადია, თუ დავაყენებთ საკითხს, არის თუ

არა ობიექტური შესაძლებლობა ვიშოვნოთ პური და შევქმნათ ის პურის ფონდი, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნება მრეწველობის ფეხზე დაყენება, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ უთუოდ არის. სამასმილიონიანი ფონდის შეგროვება, რომელზეც გაიძახიან ჩვენი ამხანაგები, ჩვენთვის, ობიექტური თვალსაზრისით, სავსებით შესაძლებელი საქმეა. მთელი საკითხი ის არის, რომ შევქმნათ მოქნილი აპარატი, გავითვალისწინოთ გლეხობის განწყობილება, აღვიჭურვოთ მოთმინებითა და უნარით და ამ სამუშაოზე გადავიყვანოთ საჭირო ძალები, რომელთა უნარიანი ხელი შეძლებს სიტყვა საქმედ აქციოს. ამ საქმეში შემეძლო მიმეთითებინა ჩვენს პრაქტიკაზე უკრაინაში. არც ისე დიდი ხნის წინათ გამორკვეულ იქნა, რომ შარშანდელი მოსავლიდან უკრაინაში დაგროვდა სულ ცოტა 600 მილიონი ფუთი პური. ძალების გარკვეული დაძაბვით შეიძლებოდა ამ ექვსასი მილიონის მიღება. მაგრამ ჩვენმა სასურსათო ორგანოებმა გადაწყვიტეს გამოეცხადებინათ განაწილება არა უმეტეს 160 მილიონისა, ამასთან გადაწყდა, რომ მარტისათვის მოახერხებდნენ შეეგროვებინათ დაახლოებით 40 მილიონი. მაგრამ ეს არ მოხერხდა. ჩვენი მოდუნებული ორგანოებით, ისეთ ვითარებაში, როცა მახნოველები პირდაპირ ნადირობენ სასურსათო საქმის მუშაკებზე, ზოგიერთ რაიონში კულაკთა აჯანყებების ვითარებაში ჩვენ შევძელით 40 მილიონის ნაცვლად შეგვეგროვებინა სულ ორ მილიონამდე ფუთი.

შემდეგი საკითხია შაქრის საკითხი. 1916 წელს ჩვენში მზადდებოდა დაახლოებით 115 მილიონი ფუთი შაქარი. მოთხოვნილება გამოიხატებოდა ასი მილიონი ფუთით. ახლა კი გვაქვს სულ სამ მილიონამდე ფუთი.

ასეთია ამჟამად ომით დანგრეული ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა.

ფედერაციის მეურნეობის ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, გვაიძულებს წამოვაყენოთ ლოზუნგი: «ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის».

რას ნიშნავს ეს ლოზუნგი? იგი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ჩვენი სააგიტაციო და აღმშენებლობითი მუშაობა ახალ სამეურნეო ყაიდაზე გარდაიქმნას. ახლა საჭირო გახდება დავაწინაუროთ მუშებიდან საკუთარი სამეურნეო უნტერ-ოფიცრები და ოფიცრები, რომლებიც ხალხს ასწავლიან ნგრევასთან ბრძოლას და ახალი მეურნეობის შენებას. მხოლოდ ნგრევასთან ბრძოლის მსვლელობაშია შესაძლებელი ახალი მშენებლობა, ამისათვის კი საჭიროა გამოვზარდოთ შრომის საკუთარი ოფიცრები. თუ გასულ წელს ჩვენ ვაწყობდით შეჯიბრებას სამხედრო ნაწილებს შორის, ახლა იგივე უნდა გავაკეთოთ მშრომელთა მიმართ საწარმოებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, რკინიგზებზე, შახტებში. ცხადია, საჭირო იქნება ამ საქმეში ჩავაბათ არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც და სხვა მშრომელებიც.

შემდეგ საჭირო იქნება, ყოველივე ზემოთქმულს გარდა, აღვნიშნოთ ისიც, რომ მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს, განსაკუთრებით საოლქო და რაიონულ ორგანოებს, მრეწველობის აღდგენის საქმეში მეტი უფლებანი, მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდეთ მინიჭებული, ვიდრე ეს დღემდე იყო. დღემდე ისე იყო, რომ მუშაობას ხელმძღვანელობდნენ «მთავარი სამმართველოები» და მხოლოდ «მთავარი სამმართველოები», ახლა საჭირო იქნება განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ადგილებს და, ბოლოს, შესაძლებლობა მივცეთ მათ გამოიჩინონ ის ინიციატივა, ურომლისოდაც ძნელია მეურნეობის მოწესრიგება.

ბოლოს, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ორგანიზაციებისათვის დახმარებას, რომლებიც თავდაცვის საბჭომ სამხედრო მუშაობის რელსებიდან მეურნეობის განვითარების რელსებზე გადაიყვანა. მე ვლაპარაკობ შრომითი არმიების

საბჭოებზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოველთვის მიზანშეწონილი როდია არმიების მთელი ნაწილების მექანიკურად გადაყვანა სამეურნეო სამუშაოზე. აქ საჭირო იქნება მოვაგვაროთ სარეზერვო ნაწილების მუშაობისა და ზურგში მშრომელთა მუშაობის გარკვეული შეხამება.

გადავდივარ რა უკრაინის შრომითს არმიაზე, უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი მიზეზის გამო იგი მხოლოდ ამას წინათ შეუდგა მუშაობას. პირველი ამოცანა იყო გამოგვერკვია არსებული მდგომარეობა, შემდეგ კი დაგვეყენებინა პრაქტიკული ზომების გატარების აუცილებლობის საკითხი. ის, რის გამორკვევაც მოხერხდა, — უბადრუკ სურათს წარმოადგენს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია რკინიგზის ტრანსპორტი. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ოთხ გზაზე — სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, დონეცისა და ეკატერინეს გზებზე მცირე რაოდენობით როდია ორთქლმავლები, მაგრამ მათი 70% ავადმყოფია. ეს იმას ნიშნავს, რომ 45 წყვილი მატარებლის ნაცვლად, რომლებიც ყოველდღე მიდიოდნენ ხარკოვ-მოსკოვის ხაზზე, ახლა ჩვენ ვახერხებთ მხოლოდ 4 — 5, უკეთეს შემთხვევაში 8 წყვილის გაგზავნას.

უკრაინაში არსებული მდგომარეობის შესახებ ყველა ეს ცნობა რომ მიიღო, შრომითი არმიის საბჭომ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ზომები, რომელთაგან უნდა დავასახელო შემდეგი:

ჯერ-ერთი, ქვანახშირის მრეწველობაში უნდა გატარდეს შრომის მილიტარიზაცია და შრომითი წესით მობილიზებულ იქნას სოფლის მოსახლეობაც ქვანახშირის გადაზიდვასა და მიზიდვაში გამოსაყენებლად;

მეორეც, მრეწველობაში ჩაბმულ უნდა იქნან ახალი ძალები მუშათაგან, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ 250 ათასი მუშიდან, რომელიც რევოლუციამდე მუშაობდა, 80

ათასი დარჩა. ამასთანავე, ეს ახალი ძალები რომ ჩავაბათ, ამისათვის საჭიროა მოვაწესრიგოთ სურსათის საქმე, და ამ მიმართულებით ჩვენ მთელ რიგ ზომებს ვიღებთ;

მესამეც, ქვანახშირის მრეწველობის სათავეში უნდა შეიქმნას ცენტრალური სამმართველო, ხოლო მასთან სანიტარული სამმართველო, კავშირგაბმულობის განყოფილება, მომარაგების განყოფილება, სამხედრო ტრიბუნალი, პოლიტგანყოფილება.

ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რომ სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ უკრაინის მრეწველობა და ტრანსპორტი, რომ რეგულარული გავხადოთ მომარაგება ადამიანებითა და სურსათით, საექიმო დახმარებითა და პოლიტმუშაკებით, რომ დავუკარგოთ წამგლეჯებსა და შრომის დეზერტირებს დონეცის აუზიდან თავის დაძვრენის ხალისი, რომ დავნერგოთ მრეწველობაში და ტრანსპორტზე შრომის დისციპლინა. ამიერიდან კომუნისტური პარტიის დონეცის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე, რკპ ცენტრალურ კომიტეტთან და უკრაინის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, ამასთან ერთად გამოცხადებულია ქვანახშირის მრეწველობის პოლიტგანყოფილების უფროსად. მთელი მუშაობა პარტიული ძალების განაწილებისა და ქვანახშირის მრეწველობის დავალებებით ამ მუშაკების ერთი რაიონიდან მეორეში გადაყვანის დარგში პოლიტგანყოფილების გამგებლობაში გადადის.

ასეთია ზოგადად ის ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს, რათა დავიწყოთ აღდგენა ფედერაციის სახალხო მეურნეობისა, რომელიც ომით არის დანგრეული, და წინ წავწიოთ იგი მაქსიმალური განვითარების გზით.

ვამთავრებ რა ჩემს მოხსენებას, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ რკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს სამეურნეო მშენებლობის შესახებ [84].

8. საბოლოო სიტყვა ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენებების გამო

20 მარტს

უნდა აღვნიშნო, რომ არც ერთ დელეგატს არ უცდია ცენტრალური კომიტეტის თეზისებისათვის დაეპირისპირებინა რაიმე სხვა რეზოლუცია. ხარკოვის კონფერენციის რეზოლუცია მხოლოდ დამატებაა საბჭოების VII ყრილობის [85] რეზოლუციებისა, ამასთან ის არ ეხება მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც მოხსენიებულია ცენტრალური კომიტეტის თეზისებში სამეურნეო მშენებლობის მორიგ ამოცანათა ხაზით.

მე უკვე ვთქვი, რომ ამჟამად ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქვანახშირის მრეწველობის აღდგენა. ამიტომ უკრაინის შრომითი არმიის საბჭო თავის მთავარ ყურადღებას უთმობს ქვანახშირის მრეწველობის სამმართველოს შექმნას, რომელსაც შეეძლება მოაგვაროს რეგულარული მომარაგება და დანერგოს დისციპლინა ქვანახშირის მრეწველობაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი მრეწველობა მთელ ფედერაციაში ამჟამად განიცდის მოდუნებულობისა და პარტიზანულობის იმ პერიოდს, რომელსაც წითელი არმია წელიწადნახევრის წინათ განიცდიდა. მაშინ პარტიულმა ცენტრმა მოუწოდა არმიას წელში გამართულიყო, დაენერგა დისციპლინა, ხოლო პარტიზანული ნაწილები რეგულარულ ნაწილებად გადაექცია. იგივე უნდა გავაკეთოთ ახლა დანგრეული მრეწველობის მიმართ. საჭიროა ამ დანგრეულ მრეწველობას თავი მოვუყაროთ და მოვაწესრიგოთ, თორემ სხვანაირად თავს ვერ დავაღწევთ ნგრევას.

აქ ერთმა ამხანაგმა თქვა, რომ მუშებს მილიტარიზაციისა არ ეშინიათ, რადგან საუკეთესო მუშებს უწესრი-

გობა მობეზრდათო. ეს სავსებით სწორია. მუშებს მობეზრდათ უთაურობა და ისინი ხალისით მიიღებენ ხელმძღვანელობას, რომელსაც შეეძლება წესრიგი დაამყაროს და შრომის დისციპლინა დანერგოს მრეწველობაში.

4. სიტყვა კონფერენციის დახურვისას

23 მარტს

ამხანაგი **სტალინი** თავის საბოლოო სიტყვაში აჯამებს სრულიად უკრაინის კონფერენციის მუშაობის შედეგებს. ის შეფასებას აძლევს სხვადასხვა საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ჩერდება სოფლად მუშაობისა და ეკონომიური მშენებლობის საკითხის გამო მიღებულ რეზოლუციებზე. უკანასკნელი საკითხი საბოლოოდ გადაწყდება რკპ IX ყრილობაზე [86].

— ჩვენი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი — სოფლად მუშაობის საკითხი, ჩემი აზრით, სწორად არის გადაჭრილი. მე ვფიქრობ, რომ აქ, უკრაინაში, სოფლის განვითარების იმავე სტადიას განვიცდით, რომელსაც რუსეთი ერთი წლის-წელიწადნახევრის წინათ განიცდიდა, როცა ვოლგისპირეთი და რუსეთის ცენტრის ბევრი ადგილი აჯანყებით იყო მოცული. ეს პერიოდი თქვენშიც ისევე ჩაბარდება წარსულს, როგორც რუსეთში მოხდა.

სოფლად ჩვენს მუშაობაში ღარიბ გლეხს უნდა დავეყრდნოთ. საშუალო გლეხი ჩვენს მხარეზე მხოლოდ მაშინ გადმოვა, როცა დარწმუნდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოვლენ ჩვენს მხარეზე საშუალო გლეხები.

ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეზოლუცია, რომელიც თქვენ მიიღეთ, უთუოდ სწორია.

არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კონფერენციამ გადაჭრა, — ეს არის ჩვენს პარტიასთან ბო-

როტბისტების[87] შეერთების საკითხი. ბოროტბისტები ისეთი პარტიაა, რომელიც სოფელს ეყრდნობოდა. ახლა, როცა ბოროტბისტები ჩვენს პარტიას შემოუერთდნენ, ჩვენ მთლიანად შეგვიძლია განვახორციელოთ პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირი. თქვენ თვითონ იცით, რომ ეს კავშირი ჩვენი ფედერაციული რესპუბლიკის ძლიერებისა და ძალის საფუძველია.

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობა.

კონფერენცია დამთავრებულად მიმაჩნია. (ტ ა შ ი).

იბეჭდება უკრაინის შრომითი არმიის შტაბის სამდივნოს ჩანაწერებისა და ხარკოვის გაზეთ «კომუნისტის» 1920 წლის 18, 21, 23 და 24 მარტის 62, 64, 65 და 66 ნომრების საგაზეთო ანგარიშის მიხედვით.

ლენინი, როგორც რკპ ორგანიზატორი და გელადი

არსებობს მარქსისტთა ორი ჯგუფი. ორივე მარქსიზმის დროშით მუშაობს, ორივეს «ნამდვილ» მარქსისტულ ჯგუფად მიაჩნია თავი. მაგრამ მათ შორის მაინც სრულიადაც არ არის იგივეობა. უფრო მეტიც: მათ შორის მთელი უფსკრულია, ვინაიდან მათი მუშაობის მეთოდები დიამეტრულად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს.

პირველი ჯგუფი ჩვეულებრივ სჯერდება მარქსიზმის გარეგნულად ცნობას, მის საზეიმოდ აღიარებას. რაკი არ შეუძლია ან არ სურს ჩასწვდეს მარქსიზმის არსს, არ შეუძლია ან არ სურს განახორციელოს იგი, ეს ჯგუფი მარქსიზმის ცოცხალ და რევოლუციურ დებულებებს მკვდარ, არაფრისმთქმელ ფორმულებად აქცევს. თავის საქმიანობას იგი ამყარებს არა გამოცდილებაზე, არა პრაქტიკული მუშაობის გათვალისწინებაზე, არამედ მარქსის ნაწერებიდან ამოღებულ ციტატებზე. მითითებებსა და დირექტივებს იგი ცოცხალი სინამდვილის ანალიზიდან კი არა ჰკრეფს, არამედ ანალოგიებიდან და ისტორიული პარალელებიდან. სიტყვის დაშორება საქმისაგან — ასეთია ამ

ჯგუფის ძირითადი სენი. აქედან გამომდინარეობს იმედგაცრუება და მუდმივი უკმაყოფილება ბედით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უმტყუნებს ხოლმე მას და «პირში ჩალაგამოვლებულს» ტოვებს. ამ ჯგუფის სახელია მენშევიზმი (რუსეთში), ოპორტუნიზმი (ევროპაში). ამხ. ტიშკომ (იოგიხესმა) ლონდონის ყრილობაზე [88] საკმაოდ მოსწრებულად დაახასიათა ეს ჯგუფი, როცა თქვა, ის მარქსიზმის თვალსაზრისზე კი არა დგას, არამედ **წევსო.**

მეორე ჯგუფს, პირიქით, საკითხის სიმძიმის ცენტრი მარქსიზმის გარეგნული აღიარებიდან გადააქვს მის გატარებაზე ცხოვრებაში, მის განხორციელებაზე. მარქსიზმის განხორციელების ისეთი გზებისა და საშუალებების დასახვა, რომელნიც ვითარებას შეესაბამებიან, ამ გზებისა და საშუალებების შეცვლა, როცა ვითარება იცვლება, — აი უმთავრესად რას აქცევს ყურადღებას ეს ჯგუფი. დირექტივებსა და მითითებებს ეს ჯგუფი ისტორიული ანალოგიებიდან და პარალელებიდან კი არა ჰკრებს, არამედ გარემო პირობების შესწავლიდან. თავის საქმიანობაში იგი ციტატებსა და წარმონათქვამებს კი არ ეყრდნობა, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებას, გამოცდილებით ამოწმებს თავის ყოველ ნაბიჯს, სწავლობს საკუთარ შეცდომებზე და სხვებს ასწავლის ახალი ცხოვრების შენებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ ჯგუფის საქმიანობაში სიტყვა საქმეს არ შორდება და მარქსის მოძღვრება მთლიანად ინარჩუნებს თავის ცოცხალ რევოლუციურ ძალას. ამ ჯგუფს სავსებით შეეფერება მარქსის სიტყვები, რომელთა მიხედვითაც მარქსისტები ვერ შეჩერდებიან იმაზე, რომ ახსნან სამყარო, არამედ უნდა წავიდნენ წინ, რათა შეცვალონ იგი [89]. ამ ჯგუფის სახელია ბოლშევიზმი, კომუნიზმი.

ამ ჯგუფის ორგანიზატორი და ბელადია ვ. ი. ლენინი.

I

ლენინი, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი

რუსეთში პროლეტარული პარტიის შექმნა მიმდინარეობდა განსაკუთრებულ პირობებში, რომლებიც განსხვავდებიან დასავლეთში მუშათა პარტიის ჩამოყალიბების დროს არსებული პირობებისაგან. მაშინ, როდესაც დასავლეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, მუშათა პარტია პროფესიული კავშირებიდან წარმოიშვა კავშირებისა და პარტიების ლეგალური არსებობის პირობებში, ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომი ხანის ვითარებაში, ბურჟუაზიული პარლამენტის არსებობისას, როცა ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზია პირისპირ იდგა პროლეტარიატის წინააღმდეგ, — რუსეთში, პირიქით, პროლეტარული პარტიის შექმნა მიმდინარეობდა უმკაცრესი აბსოლუტიზმის დროს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მოლოდინში, როცა, ერთი მხრივ, პარტიული ორგანიზაციები ივსებოდა ბურჟუაზიული «ლეგალურ-მარქსისტული» ელემენტებით, რომელთაც დაჟინებით სწადდათ ბურჟუაზიული რევოლუციისათვის გამოეყენებინათ მუშათა კლასი, მეორე მხრივ, საუკეთესო პარტიულ მუშაკებს მეფის ჟანდარმერია პარტიის რიგებს აცლიდა, სტიქიური რევოლუციური მოძრაობის ზრდა კი მოითხოვდა რევოლუციონერთა მტკიცე, დარაზმული და საკმაოდ კონსპირაციული მებრძოლი ბირთვის არსებობას, რომელსაც შეეძლებოდა აბსოლუტიზმის დასამხობად წარემართა მოძრაობა.

ამოცანა ის იყო, რომ გაგვეცალკევებინა ცხვრები თხებისაგან, გავმიჯნოდით უცხო ადამიანებს, ადგილებზე შეგვექმნა გამოცდილ რევოლუციონერთა კადრები, მიგვეცა მათთვის ნათელი პროგრამა და მტკიცე ტაქტიკა, ბოლოს,

თავი მოგვეყარა ამ კადრებისათვის პროფესიონალ რევოლუციონერთა ერთიან მებრძოლ ორგანიზაციაში, რომელიც საკმაოდ კონსპირაციული იქნებოდა იმისათვის, რომ გაეძლო ჟანდარმთა თავდასხმებისათვის, მაგრამ, ამასთანავე, საკმაოდ იქნებოდა მასებთან დაკავშირებული იმისათვის, რომ საჭირო მომენტში საბრძოლველად წაეყვანა ისინი.

მენშევიკები, სწორედ ისინი, მარქსიზმის თვალსაზრისზე რომ «წვანან», საკითხს უბრალოდ წყვეტდნენ: ვინაიდან დასავლეთში მუშათა პარტია გამოვიდა უპარტიო პროფესიული კავშირებიდან, რომლებიც მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძვიან, რუსეთშიც, შეძლებისამებრ, იგივე უნდა გაკეთდეს, ე. ი. ამხანად დავჯერდეთ «მეპატრონეებთან და მთავრობასთან მუშების ეკონომიურ ბრძოლას» ადგილებზე, არ შევქმნათ სრულიად რუსეთის მებრძოლი ორგანიზაცია, შემდეგ კი... შემდეგ, თუ იმ დროისათვის პროფესიული კავშირები არ გაჩნდებიან, მოვიწვიოთ მუშათა უპარტიო ყრილობა და იგი პარტიად გამოვაცხადოთო.

იმას, რომ მენშევიკების ეს «მარქსისტული» «გეგმა», რუსეთის პირობებისათვის უტოპიური, მაინც გულისხმობდა ფართო სააგიტაციო მუშაობას, რომლის მიზანი იქნებოდა პარტიულობის იდეის დამცირება, პარტიული კადრების მოსპობა, პროლეტარიატის დატოვება საკუთარი პარტიის გარეშე და ლიბერალებისათვის ჩასანთქმელად მუშათა კლასის მიგდება, — ამას საეჭვოა რომ ხვდებოდნენ მაშინ მენშევიკები და, შეიძლება, ბევრი ბოლშევიკიც.

ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთის პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მენშევიკური საორგანიზაციო «გეგმის» მთელი საშიშროება მან ჯერ კიდევ იმ მომენტში გამოააშკარავა, როცა «გეგმა» ის-იყო ჩაისახა, როცა თვითონ «გეგმის» ავტორებს ბუნდოვანად თუ ჰქონდათ წარმოდგენილი მისი

ნაკვთები, და, როგორც კი გამოააშკარავა ეს, გააფთრებული იერიში დაიწყო მენშევიკების ორგანიზაციული თავაშვებულობის წინააღმდეგ და პრაქტიკოსთა მთელი ყურადღება ამ საკითხს მიაპყრო. ვინაიდან საქმე ეხებოდა პარტიის არსებობას, პარტიის სიკვდილ-სიცოცხლეს.

საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსება, როგორც პარტიული ძალების თავმოყრის ცენტრისა, ადგილებზე მტკიცე პარტიული კადრების შექმნა, როგორც პარტიის «რეგულარული ნაწილებისა», გაზეთის საშუალებით ამ კადრების გაერთიანება და მათი დარაზმვა მკვეთრად მოხაზული საზღვრების, ნათელი პროგრამის, მტკიცე ტაქტიკის, ერთიანი ნებისყოფის მქონე სრულიად რუსეთის მებრძოლ პარტიად, — აი რა გეგმა განავითარა ლენინმა თავის განთქმულ წიგნებში: «რა ვაკეთოთ?» [90], «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» [91]. ამ გეგმის ღირსება ის იყო, რომ იგი სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის სინამდვილეს და ოსტატურად განაზოგადებდა საუკეთესო პრაქტიკოსთა ორგანიზაციულ გამოცდილებას. ამ გეგმისათვის ბრძოლაში რუს პრაქტიკოსთა უმრავლესობა მტკიცედ გაჰყვა ლენინს და არ დაერიდა გათიშვას. ამ გეგმის გამარჯვებამ საძირკველი ჩაუყარა იმ დარაზმულ და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, რომლის ბადალიც მსოფლიომ არ იცის.

ხშირად ჩვენი ამხანაგები (არა მარტო მენშევიკები!) ლენინს ბრალად სდებდნენ მეტისმეტ მიდრეკილებას პოლემიკისა და გათიშვისადმი, შეურიგებელ ბრძოლას შემარიგებლებთან და სხვ. უეჭველია, თავის დროზე ერთსაც და მეორესაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ ძნელი გასაგები არ არის, რომ ჩვენი პარტია თავს ვერ დააღწევდა შინაგან სისუსტესა და უსახურობას, ვერ მიაღწევდა მის დამახასიათებელ ძალასა და სიმტკიცეს, მას რომ თავისი წრიდან არ განედევნა არაპროლეტარული, ოპორტუნისტული ელე-

მენტები. ბურჟუაზიული ბატონობის ეპოქაში პროლეტარულ პარტიას მხოლოდ იმდენად შეუძლია იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს, რამდენადაც ეწევა იგი ბრძოლას ოპორტუნისტული, ანტირევოლუციური და ანტიპარტიული ელემენტების წინააღმდეგ თავის წრეში და მუშათა კლასში. ლასალი მართალი იყო, როცა ამბობდა: «პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის თავს» [92].

ბრალმდებელნი ჩვეულებრივ იმოწმებდნენ გერმანიის პარტიას, სადაც მაშინ «ერთიანობა» ჰყვაოდა. მაგრამ, ჯერ-ერთი, ყოველი ერთიანობა როდია ძალის მაჩვენებელი, მეორეც, საკმარისია შევხედოთ ახლა გერმანიის ყოფილ პარტიას, რომელიც დაგლეჯილია სამ პარტიად [93], რომ მივხვდეთ ლიბკნეხტთან და ლუქსემბურგთან შეიდემანისა და ნოსკეს «ერთიანობის» მთელ სიყალბესა და მოჩვენებითობას. და ვინ იცის, გერმანიის პროლეტარიატისათვის იქნებ უმჯობესიც ყოფილიყო, რომ გერმანიის პარტიის რევოლუციური ელემენტები თავის დროზე გათიშოდნენ მის ანტირევოლუციურ ელემენტებს... არა, ლენინი ათასჯერ მართალი იყო, პარტია რომ ანტიპარტიული და ანტირევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გზით მიჰყავდა. ვინაიდან მხოლოდ ასეთი ორგანიზაციული პოლიტიკის შედეგად შეეძლო ჩვენს პარტიას შეექმნა თავის რიგებში ის შინაგანი ერთიანობა და განსაცვიფრებელი დარაზმულობა, რომელთა საშუალებითაც იგი უმტკივნეულოდ გამოვიდა ივლისის კრიზისიდან კერენსკის დროს, თავის მხრებზე გადაიტანა ოქტომბრის აჯანყება, შეურყევლად გაუძლო ბრესტის პერიოდის კრიზისს, მოაწყო ანტანტაზე გამარჯვება და, ბოლოს, მიაღწია იმ არაჩვეულებრივ მოქნილობას, რომლის მეოხებითაც მას ძალუძს ყოველ მომენტში გარდაქმნას თავისი რიგები და ასეულათასობით თავისი წევრი გადაიყვანოს ყოველ დიდ სამუშაოზე ისე, რომ არევდარევა არ შეიტანოს თავის წრეში.

II

ლენინი, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ბელადი

მაგრამ რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული ღირსებანი, საქმის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენენ. პარტია ასე სწრაფად ვერ გაიზრდებოდა და ვერ განმტკიცდებოდა, მისი მუშაობის პოლიტიკური შინაარსი, მისი პროგრამა და ტაქტიკა რომ არ უპასუხებდეს რუსეთის სინამდვილეს, მისი ლოზუნგები რომ არ აღაგზნებდნენ მუშათა მასებს და წინ არ სწევდნენ რევოლუციურ მოძრაობას. გადავიდეთ საქმის ამ მხარეზე.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია (1905 წ.) მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, რომლებიც განსხვავდებოდნენ დასავლეთის პირობებისაგან რევოლუციურ გადატრიალებათა დროს, მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში. იმ დროს, როდესაც დასავლეთში რევოლუცია მოხდა კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდისა და განუვითარებელი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა პროლეტარიატი სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, როცა მას არ ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია, რომელიც შეძლებდა ჩამოეყალიბებინა მისი მოთხოვნები, ხოლო ბურჟუაზია საკმაოდ რევოლუციური იყო იმისათვის, რომ მუშებისა და გლეხებისათვის ჩაენერგა მისდამი ნდობა და გამოეყვანა ისინი არისტოკრატიასთან საბრძოლველად, — რუსეთში, პირიქით, რევოლუცია დაიწყო (1905 წ.) კაპიტალიზმის მანქანური პერიოდისა და განვითარებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა შედარებით მრავალრიცხოვან და კაპიტალიზმის მიერ შემჭიდროებულ რუსეთის პროლეტარიატს უკვე მთელი რიგი ბრძოლები ჰქონდა ბურჟუაზიასთან, ჰყავდა ბურჟუაზიულ პარტიაზე უფრო დარაზმული თავისი პარტია, ჰქონდა თავისი კლასობრივი მოთხოვნები, ხოლო რუსეთის ბურჟუაზია, რო-

მელიც ამასთანავე მთავრობისაგან მიღებული დაკვეთებით ცხოვრობდა, საკმაოდ შეშინებული იყო პროლეტარიატის რევოლუციურობით, რომ მთავრობასთან და მემამულეებთან ეძებნა კავშირი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ამ ფაქტმა, რომ რუსეთის რევოლუციამ იფეთქა მანჯურიის ველებზე სამხედრო წარუმატებლობათა შედეგად, — ამ ფაქტმა მხოლოდ დააჩქარა ამბები, მაგრამ საქმის არსში არაფერი შეუცვლია.

ვითარება მოითხოვდა, რომ პროლეტარიატი სათავეში ჩასდგომოდა რევოლუციას, თავის გარშემო დაერაზმა რევოლუციური გლეხობა და ერთსა და იმავე დროს გაეჩაღებინა გადამწყვეტი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ქვეყნის სრული დემოკრატიზაციისათვის და თავისი კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფისათვის.

მაგრამ მენშევიკებმა, სწორედ იმათ, მარქსიზმის თვალსაზრისზე რომ «წვანან», საკითხი თავისებურად გადაჭრეს: რადგან რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიულია, ხოლო ბურჟუაზიულ რევოლუციებში ბურჟუაზიის წარმომადგენელნი ხელმძღვანელობენ ხოლმე (იხ. საფრანგეთისა და გერმანიის რევოლუციების «ისტორია»), ამიტომ პროლეტარიატი არ შეიძლება იყოს რუსეთის რევოლუციის ჰეგემონი, ხელმძღვანელობა უნდა დაეთმოს რუსეთის ბურჟუაზიას (სწორედ იმას, რომელიც ღალატობს რევოლუციას), გლეხობაზე ზრუნვაც ბურჟუაზიას უნდა მიენდოს, ხოლო პროლეტარიატი უკიდურესი მემარცხენე ოპოზიციის მდგომარეობაში უნდა დარჩესო.

და უხეირო ლიბერალების ამ უგვანო გადანამღერს მენშევიკები «ნამდვილი» მარქსიზმის უკანასკნელ სიტყვად ასაღებდნენ!..

ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთის რევოლუციის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან ბოლომდე გა-

მოააშკარავა უშინაარსობა მენშევიკების ისტორიული პარალელებისა და მთელი საშიშროება მენშევიკური «რევოლუციის სქემისა», რომელიც მუშათა საქმეს ბურჟუაზიას აძლევდა ჩასანთქმელად. ბურჟუაზიის დიქტატურის ნაცვლად პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, სათათბიროში მონაწილეობისა და მასში ორგანული მუშაობის ნაცვლად ბულიგინის სათათბიროს [94] ბოიკოტი და შეიარაღებული აჯანყება, კადეტური სამინისტროს და სათათბიროს რეაქციული «დაზოგვის» ნაცვლად «მემარცხენე ბლოკის» იდეა მას შემდეგ, რაც სათათბირო მაინც შედგა, და სათათბიროს ტრიბუნის გამოყენება სათათბიროს გარეთ ბრძოლისათვის, კადეტურ პარტიასთან ბლოკის ნაცვლად ამ პარტიის, როგორც კონტრრევოლუციური ძალის წინააღმდეგ ბრძოლა, — აი რა ტაქტიკური გეგმა განავითარა ლენინმა თავის განთქმულ ბროშურებში: «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» [95], «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები» [96].

ამ გეგმის ღირსება ის იყო, რომ იგი, პირდაპირ და გადაჭრით აყალიბებდა რა პროლეტარიატის კლასობრივ მოთხოვნებს რუსეთის **ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის** ეპოქაში, აადვილებდა სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას, შეიცავდა **პროლეტარიატის დიქტატურის** იდეის ჩანასახს. ამ ტაქტიკური გეგმისათვის ბრძოლაში რუს პრაქტიკოსთა უმრავლესობა მტკიცედ და საბოლოოდ გაჰყვა ლენინს. ამ გეგმის გამარჯვებამ საძირკველი ჩაუყარა იმ რევოლუციურ ტაქტიკას, რომლის მეოხებით ჩვენი პარტია ახლა მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს არყევს.

მოვლენათა შემდგომი განვითარება, ოთხი წლის იმპერიალისტური ომი და მთელი სახალხო მეურნეობის

შერყევა, თებერვლის რევოლუცია და ცნობილი ორხელისუფლებიანობა, დროებითი მთავრობა, როგორც ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის კერა, და დეპუტატთა პეტერბურგის საბჭო, როგორც ჩასახვის პროცესში მყოფი პროლეტარული დიქტატურის ფორმა, ოქტომბრის გადატრიალება და დამფუძნებელი კრების გარეკვა, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გაუქმება და საბჭოების რესპუბლიკის გამოცხადება, იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად და მსოფლიო იმპერიალიზმის გამოსვლა, ცრუმარქსისტებთან ერთად, პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, ბოლოს, უბადრუკი მდგომარეობა პროლეტარიატის მიერ შორს უკუგდებული და რევოლუციის ტალღით კაპიტალიზმის ნაპირებზე გარიყული მენშევიკებისა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას ებღაუჭებოდნენ,—ყოველივე ეს მხოლოდ ადასტურებდა ლენინის მიერ «ორ ტაქტიკაში» ჩამოყალიბებული რევოლუციური ტაქტიკის საფუძვლების სისწორეს. პარტიას, რომელსაც ხელთ აქვს ასეთი მემკვიდრეობა, შეეძლო გაბედულად ევლო წინ ისე, რომ წყალქვეშა ქვებისა არ შეშინებოდა.

ჩვენს დროში, პროლეტარული რევოლუციის დროში, როცა პარტიის ყოველი ლოზუნგი და ბელადის ყოველი ფრაზა საქმით მოწმდება, პროლეტარიატი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს თავის ბელადებს. ისტორია იცნობს პროლეტარულ ბელადებს, მღელვარე დროის ბელადებს, პრაქტიკოს ბელადებს, თავდადებულთ და გაბედულთ, მაგრამ თეორიაში სუსტებს. მასები მალე როდი ივიწყებენ ასეთი ბელადების სახელებს. ასეთნი არიან, მაგალითად, ლასალი გერმანიაში, ბლანკი საფრანგეთში. მაგრამ მთლიანად მოძრაობა ვერ ისაზრდოებს მარტოოდენ მოგონებებით: მას ესაჭიროება ნათელი მიზანი (პროგრამა), მტკიცე ხაზი (ტაქტიკა).

არიან სხვაგვარი ბელადებიც, მშვიდობიანი დროის ბელადები, თეორიაში ძლიერნი, მაგრამ ორგანიზაციისა და პრაქტიკული მუშაობის საქმეში სუსტნი. ასეთი ბელადები პოპულარული არიან პროლეტარიატის მხოლოდ ზედაფენაში, ისიც მარტო გარკვეულ დრომდე. რევოლუციური ეპოქის დაწყებისთანავე, როცა ბელადებს რევოლუციურ-პრაქტიკული ლოზუნგები მოეთხოვებათ, თეორეტიკოსები სცენიდან ჩამოდიან და ახალ ადამიანებს უთმობენ ადგილს. ასეთნი არიან, მაგალითად, პლეხანოვი რუსეთში, კაუცკი გერმანიაში.

ადამიანი რომ პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარული პარტიის ბელადის პოსტს შერჩეს, მასში თეორიული ძლიერება შეხამებული უნდა იყოს პროლეტარული მოძრაობის პრაქტიკულ-ორგანიზაციულ გამოცდილებასთან. პ. აქსელროდი, როცა ის მარქსისტი იყო, ლენინის შესახებ წერდა, რომ «მასში ბედნიერად შეერთებული» კარგი პრაქტიკოსის გამოცდილება თეორიულ განათლებასა და ფართო პოლიტიკურ ჰორიზონტთან» (იხ. პ. აქსელროდის წინასიტყვაობა ლენინის ბროშურისათვის: «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» [97]). ძნელი მისახვედრი არ არის, რას იტყოდა ახლა ლენინზე «კულტურული» კაპიტალიზმის იდეოლოგი, ბ-ნი აქსელროდი. მაგრამ ჩვენთვის, ვინც ლენინს ახლო ვიცნობთ და შეგვიძლია ობიექტურად შევხედოთ საქმეს, უეჭველია, რომ ეს ძველი თვისება სავსებით შერჩა ლენინს. სხვათა შორის, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ლენინი, და სწორედ ის, არის ამჟამად მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და ყველაზე გამოწრთობილი პროლეტარული პარტიის ბელადი.

«პრავდა» № 86,
1920 წ. 23 აპრილი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის კრებაზე ვ. ი. ლენინის დაბადების 50 წლისთავის გამო

1920 წ. 23 აპრილს

წარმოთქმული სიტყვებისა და მოგონებების შემდეგ ცოტა რამ დამრჩენია სათქმელი. მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო ერთი თვისება, რომელზეც ჯერ კიდევ არავის ულაპარაკნია, — ეს არის ამხანაგ ლენინის თავმდაბლობა და მის მიერ თავისი შეცდომების გაბედულად აღიარება.

მაგონდება, ლენინმა, ამ ბუმბერაზმა, ორჯერ როგორ აღიარა მის მიერ დაშვებული შეცდომები.

პირველი ეპიზოდია ტამერფორსში, ფინეთში, 1905 წელს, დეკემბერში, სრულიად რუსეთის ბოლშევიკურ კონფერენციაზე [98] მიღებული გადაწყვეტილება ვიტეს სათათბიროს ბოიკოტის შესახებ. მაშინ იდგა ვიტეს სათათბიროს ბოიკოტის საკითხი. ამხანაგ ლენინის მახლობელი ადამიანები, — შვიდეული, რომელსაც ჩვენ, პროვინციელი დელეგატები, ყოველგვარი ეპითეტებით ვამკობდით, ირწმუნებოდა, ილიჩი ბოიკოტის წინააღმდეგია და სათათბიროს არჩევნებს უჭერს მხარსო. ეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, მართლაც ასე იყო. მაგრამ დაიწყო კამათი, იერიში მიიტანეს პროვინციელმა ბოიკოტისტებმა, პიტერელებმა, მოსკოველებმა, ციმბირელებმა, კავკასიელებმა, და რო-

გორი იყო ჩვენი გაკვირვება, როცა ჩვენი სიტყვების დასასრულს გამოვიდა ლენინი და განაცხადა, რომ იგი არჩევნებში მონაწილეობის მომხრე იყო, მაგრამ ახლა ხედავს, რომ სცდებოდა, და უერთდება ადგილებიდან ჩამოსულ დელეგატებს. ჩვენ გავოცდით. ამან ელექტროდენის დარტყმის შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ მას ოვაცია გავუმართეთ.

კიდევ ასეთივე ეპიზოდი. 1917 წელს, სექტემბერში, კერენსკის დროს, იმ მომენტში, როცა მოწვეული იყო დემოკრატიული თათბირი და როცა მენშევიკები და ესერები ქმნიდნენ ახალ დაწესებულებას — წინაპარლამენტს, რომელსაც უნდა მოემზადებინა საბჭოებიდან დამფუძნებელ კრებაზე გადასვლა, აი ამ მომენტში ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში პეტროგრადში გადაწყვეტილი გვქონდა არ გაგვერეკნა დემოკრატიული თათბირი და წავსულიყავით წინ საბჭოების განმტკიცების გზით, მოგვეწვია საბჭოების ყრილობა, დაგვეწყო აჯანყება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ გამოგვეცხადებინა საბჭოების ყრილობა. ილიჩი, რომელიც იმ დროს პეტროგრადს გარეთ არალეგალურად ცხოვრობდა, არ ეთანხმებოდა ცენტრალურ კომიტეტს და გვწერდა, ეს არამზადები (დემოკრატიული თათბირი) ახლავე უნდა გავრეკოთ და დავაპატიმროთო.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქმის ვითარება არც ისე მარტივი იყო, ვინაიდან ვიცოდით, რომ დემოკრატიული თათბირის ნახევარი ან, ყოველ შემთხვევაში, მესამედი ნაწილი ფრონტის დელეგატებისაგან შედგება, რომ დაპატიმრებითა და გარეკვით შეგვიძლია მხოლოდ გავაფუჭოთ საქმე და გავაუარესოთ ფრონტთან დამოკიდებულება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენს გზაზე არსებული ყველა ხრამი, ორმო და ოღროჩოღრო ადგილები ჩვენთვის, პრაქტიკოსებისათვის, უფრო შესამჩნევია. მაგრამ ილიჩი დიდია, მას არ

ეშინია თავის გზაზე არც ორმოების, არც ღორღოჭორო ადგილების, არც ხრამებისა, მას არ ეშინია საფრთხისა და ამბობს: «ადექ და პირდაპირ მიზნისაკენ წადიო». ჩვენ კი, პრაქტიკოსები, ვფიქრობდით, რომ ასე მოქმედება მაშინ ხელსაყრელი არ იყო, რომ უნდა შემოგვეევლო ამ დაბრკოლებათათვის, რათა შემდეგ გადაჭრით გვემოქმედნა. და, მიუხედავად ილიჩის ყველა მოთხოვნისა, ჩვენ არ დავუჯერეთ მას, განვაგრძეთ საბჭოების განმტკიცების გზა და საქმე მივიყვანეთ საბჭოების 25 ოქტომბრის ყრილობამდე, წარმატებით აჯანყებამდე. ილიჩი მაშინ უკვე პეტროგრადში იყო. გაიღიმა, ეშმაკურად გადმოგვხედა და გვითხრა: «ჰო, ვგონებ, თქვენ მართალი იყავით».

ამან კვლავ გაგვაოცა.

ამხანაგ ლენინს არ ეშინოდა თავისი შეცდომების აღიარებისა.

ეს თავმდაბლობა და გამბედაობა განსაკუთრებით გვხიბლავდა. (ტ ა შ ი).

პირველად დაიბეჭდა კრებულში:
ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინის
50 წელი. მ., 1920.

ანტანტის ახალი ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ

უეჭველია, რომ პანური პოლონეთის გამოლაშქრება მუშურ-გლეხური რუსეთის წინააღმდეგ, არსებითად, ანტანტის გამოლაშქრებაა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ერთა ლიგამ, რომლის ხელმძღვანელიც ანტანტაა და რომლის წევრიც პოლონეთია, როგორც ჩანს, მოიწონა პოლონეთის გამოლაშქრება რუსეთზე. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ანტანტის დაუხმარებლად პოლონეთი ვერ მოაწყობდა რუსეთზე თავდასხმას, რომ უწინარეს ყოვლისა საფრანგეთი, შემდგომ კი ინგლისი და ამერიკა ყოველმხრივ უწყობენ ხელს პოლონეთის შემოტევას იარაღით, ტანსაცმლით, ფულით, ინსტრუქტორებით. ანტანტის შიგნით პოლონეთის საკითხზე არსებული უთანხმოება საქმეს არა ცვლის, რადგან იგი ეხება პოლონეთისადმი დახმარების მხოლოდ ფორმებს და არა თვით დახმარებას საერთოდ. საქმეს არა ცვლის აგრეთვე კერზონის დიპლომატიური მიწერ-მოწერა ამხანაგ ჩიჩერინთან [99] და ინგლისის პრესის მრავლისალმთქმელი სტატიები ინტერვენციის წინააღმდეგ, ვინაიდან მთელ ამ ხმაურს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: თვალი აუხვიონ გულუბრყვილო პოლიტიკოსებს და რუსეთთან ზავის შესახებ ლაპარაკით დაფარონ ანტანტის მიერ მოწყობილი ნამდვილი შეიარაღებული ინტერვენციის შავი საქმე.

I

საერთო ვითარება

ანტანტის ახლანდელი ლაშქრობა სათვალავით მესამეა. **პირველი ლაშქრობა** დაიწყო 1919 წლის გაზაფხულზე. ეს ლაშქრობა კომბინირებული იყო, რადგან იგი ვარაუდობდა კოლჩაკის, დენიკინის, პოლონეთის, იუდენიჩის და თურქესტანსა და არხანგელსკში მყოფი ინგლისელთა და რუსთა შერეული რაზმების ერთობლივ თავდასხმას, ამასთან ლაშქრობის სიმძიმის ცენტრი კოლჩაკის რაიონში მდებარეობდა.

ამ პერიოდში ერთიანი და შემჭიდროებული ანტანტა აშკარა ინტერვენციის თვალსაზრისზე დგას: მუშათა მოძრაობის სისუსტე დასავლეთში, საბჭოთა რუსეთის მტრების სიმრავლე და რუსეთზე გამარჯვების სრული რწმენა შესაძლებლობას აძლევდა ანტანტის მესვეურებს გაეტარებინათ დაუფარავი ინტერვენციის თავხედური პოლიტიკა.

ამ პერიოდში რუსეთი კრიზისულ მომენტს განიცდიდა, ვინაიდან იგი, პურის რაიონებს (ციმბირი, უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია) და სათბობს (დონეცის აუზი, გროზნი, ბაქო) მოწყვეტილი, იძულებული იყო ექვს ფრონტზე ებრძოლნა. ანტანტა ხედავს ამას და წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას. «ტაიმსი» დაფდაფსა სცემს.

მიუხედავად ამისა, რუსეთმა მშვიდობიანად განვლო ეს კრიზისი, და ყველაზე ძლიერი მტერი, კოლჩაკი, მწყობრიდან იქნა გამოყვანილი. საქმე ის არის, რომ რუსეთის ზურგი, და მაშასადამე რუსეთის არმიაც, უფრო მტკიცე და მოქნილი აღმოჩნდნენ, ვიდრე მის მოწინააღმდეგეთა ზურგი და არმიები.

ანტანტის **მეორე ლაშქრობა** დაიწყო 1919 წლის შემოდგომაზე. ეს ლაშქრობაც კომბინირებული იყო, რადგან

იგი ვარაუდობდა დენიკინის, პოლონეთის, იუდენიჩის (კოლჩაკი აღარ ითვლებოდა) ერთობლივ თავდასხმას. ლაშქრობის სიმძიმის ცენტრი ამჯერად სამხრეთში, დენიკინის რაიონში მდებარეობს.

ამ პერიოდში ანტანტაში პირველად იწყება შინაგანი უთანხმოება, იგი პირველად იწყებს თავისი თავხედური კილოს დაწევას, სინჯავს აზრი გამოთქვას აშკარა ინტერვენციის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ შესაძლებელია რუსეთთან მოლაპარაკების წარმოება, იწყებს თავისი ჯარების წაყვანას ჩრდილოეთიდან: რევოლუციური მოძრაობის ზრდამ დასავლეთში და კოლჩაკის დამარცხებამ, ცხადია, არც თუ უხიფათო გახადა ანტანტისათვის აშკარა ინტერვენციის წინანდელი პოლიტიკა. ანტანტა ველარ ბედავს აშკარად ლაპარაკს დაუფარავი ინტერვენციის შესახებ.

რუსეთი ამ პერიოდში კვლავ განიცდის კრიზისულ მომენტს, მიუხედავად კოლჩაკზე გამარჯვებისა და პურის ერთ-ერთი რაიონის (ციმბირის) დაბრუნებისა, რადგან მთავარი მტერი, დენიკინი, კარზე მოსდგომია ტულას — ვაზნებით, შაშხანებით, ტყვიამფრქვევებით ჩვენი არმიის მომარაგების მთავარ წყაროს. მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავ უვნებელი გამოდის კრიზისიდან. მიზეზი იგივეა: მეტი სიმტკიცე და მეტი მოქნილობა ჩვენი ზურგისა და, მაშასადამე, ჩვენი არმიისაც.

ანტანტის **მესამე ლაშქრობა** იწყება სრულიად ახალ ვითარებაში. დავიწყოთ იმით, რომ, წინა ლაშქრობათაგან განსხვავებით, ამ ლაშქრობას არ შეიძლება კომბინირებული ეწოდოს, რადგან არა მარტო ჩამოშორებული არიან ანტანტის ძველი მოკავშირეები (კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი), არამედ ახალი მოკავშირეებიც (თუ ასეთები არსებობენ) მას ჯერ არ მიმხრობიან, თუ არ ჩავთვლით სასაცილო პეტლიურას «მისი» სასაცილო «ჯარებით». პოლო-

ნეთი ჯერჯერობით მარტო დგას რუსეთის წინააღმდეგ, სერიოზული მებრძოლი მოკავშირეები მას არა ჰყავს.

შემდეგ, ყბადაღებული ბლოკადა გარღვეულია არა მარტო მორალურად და პრაქტიკულად, არამედ ფორმალურადაც. ანტანტა იძულებულია შეურიგდეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აუცილებლობას და მოითმინოს ამ უკანასკნელის ოფიციალური წარმომადგენლები დასავლეთში. ევროპის სახელმწიფოებში გაჩაღებული მასობრივი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ითვისებს III ინტერნაციონალის ლოზუნგებს, და საბჭოთა ჯარების ახალი წარმატებანი აღმოსავლეთში აძლიერებენ გათიშვას ანტანტის შიგნით, ზრდიან რუსეთის პრესტიჟს ნეიტრალურ და განაპირა სახელმწიფოებში, უტოპიურს ხდიან ანტანტის პოლიტიკას, რუსეთის იზოლაციისაკენ მიმართულს. ესტლანდია, პოლონეთის «ბუნებითი» მოკავშირე, ნეიტრალიზებულია. ლატვია და ლიტვა, პოლონეთის გუშინდელი მებრძოლი მოკავშირეები, დღეს საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ რუსეთთან. იგივე შეიძლება ითქვას ფინეთზეც.

ბოლოს, რუსეთის საშინაო მდგომარეობა ანტანტის მესამე ლაშქრობის მომენტისათვის ძირფესვიანად შეცვლილად უნდა ჩაითვალოს უკეთესობისაკენ. რუსეთმა არა მარტო გზა გაიხსნა პურისა და სათბობის რაიონებისაკენ (ციმბირი, უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია, დონეცის აუზი, გროზნი, ბაქო), არამედ ფრონტების რაოდენობაც შეამცირა ექვსიდან ორამდე და ამით შესაძლებლობა მიიღო თავი მოუყაროს ჯარებს დასავლეთში.

ნათქვამს უნდა დაემატოს ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ პოლონეთი თავდამსხმელი მხარეა, რომელმაც უარყო რუსეთის საზავო წინადადებანი, ხოლო რუსეთი — თავდამცველი მხარეა, რაც უდიდეს, ფასდაუდებელ მორალურ პლუსს ქმნის რუსეთისათვის.

ყველა ეს გარემოება ქმნის ახალ ვითარებას, რუსეთის გამარჯვების ახალ შანსებს, რაც არ ყოფილა წინა პერიოდებში — რუსეთზე ანტანტის პირველი და მეორე გამოლაშქრების პერიოდებში.

უმთავრესად სწორედ ამით უნდა აიხსნას დასავლეთის იმპერიალისტური პრესის ნაღვლიან-სკეპტიკური კილო პოლონეთის ჯარების წარმატებათა შეფასების საქმეში.

II

ზურგი. დარტყმის რაიონი

მსოფლიოში ვერც ერთი არმია ვერ გაიმარჯვებს (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ხანგრძლივ და მტკიცე გამარჯვებაზე), თუ მას ზურგი მყარი არა აქვს. ფრონტისათვის ზურგი პირველი საქმეა, რადგან იგი, და მხოლოდ იგი, ასაზრდოებს ფრონტს არა მარტო ყველა სახის მომარაგებით, არამედ ადამიანებითაც — მებრძოლებით, განწყობილებებითა და იდეებით. მერყევი, მით უმეტეს მტრული ზურგი აუცილებლად აქცევს მერყევ და მოდუნებულ მასად საუკეთესო, უაღრესად შემჭიდროებულ არმიას. კოლჩაკისა და დენიკინის სისუსტე იმით აიხსნებოდა, რომ მათ არა ჰქონდათ «საკუთარი» ზურგი, რომ ისინი, ჰეშმარიტად-რუსული, დიდმპყრობელური მისწრაფებებით გამსჭვალულნი, იძულებული იყვნენ ეშენებინათ ფრონტი, მოემარაგებინათ და შეევსოთ იგი მნიშვნელოვანწილად არარუსი, ასეთი მისწრაფებებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებით, იძულებული იყვნენ ემოქმედნათ მათი ჯარებისათვის აშკარად უცხო რაიონებში. ბუნებრივია, რომ შინაგან, ნაციონალურ და, მით უმეტეს, კლასობრივ კავშირს მოკლებული, მტრული ატმოსფეროთი გარემოცული ჯარები საბჭოთა ჯარების მხრივ პირველი ძლიერი დარტყმისთანავე იშლებოდნენ.

პოლონელთა ჯარების ზურგი ამ მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება კოლჩაკისა და დენიკინის ზურგისაგან, როგორც პოლონეთისათვის უფრო ხელსაყრელი. კოლჩაკისა და დენიკინის ზურგისაგან განსხვავებით, პოლონელთა ჯარების ზურგი ერთგვაროვანია და **ნაციონალურად** შეკავშირებული. აქედან გამომდინარეობს მისი ერთიანობა და სიმტკიცე. იქ გაბატონებული განწყობილება — «სამშობლოს გრძნობა» — მრავალი ძაფით გადაეცემა პოლონეთის ფრონტს და ჯარის ნაწილებში ქმნის ნაციონალურ შეკავშირებასა და სიმტკიცეს. აქედან გამომდინარეობს პოლონელთა ჯარების სიმტკიცე. რასაკვირველია, პოლონეთის ზურგი **კლასობრივად** ერთგვაროვანი არ არის (და არც შეიძლება ერთგვაროვანი იყოს!), მაგრამ კლასობრივი კონფლიქტები ჯერ კიდევ არ გაძლიერებულა იმდენად, რომ გაარღვიოს ნაციონალური ერთიანობის გრძნობა და წინააღმდეგობანი შეიტანოს კლასობრივად სხვადასხვაგვაროვან ფრონტში. პოლონელთა ჯარები საკუთრივ პოლონეთის რაიონში რომ მოქმედებდნენ, მათთან ბრძოლა, უეჭველია, ძნელი იქნებოდა.

მაგრამ პოლონეთს არ სურს დასჯერდეს თავის საკუთარ რაიონს, მას ჯარები უფრო შორს მიჰყავს, იგი იპყრობს ლიტვასა და ბელორუსიას, იჭრება რუსეთისა და უკრაინის სიღრმეში. ეს გარემოება ძირეულად ცვლის მდგომარეობას, რაც მეტად არახელსაყრელი ხდება პოლონელთა ჯარების სიმტკიცისათვის.

რაკი პოლონეთის საზღვრებს სცილდებიან და ღრმად იჭრებიან პოლონეთის მომიჯნავე რაიონებში, პოლონელთა ჯარები შორდებიან თავიანთ ნაციონალურ ზურგს, ასუსტებენ მასთან კავშირს, ეჩვევიან მათთვის უცხო და, მეტწილად, მტრულად განწყობილ ნაციონალურ გარემოში. უარესიც. ამ მტრულ გან-

წყობილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ პოლონეთის მოსაზღვრე რაიონების (ბელორუსია, ლიტვა, რუსეთი, უკრაინა) მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შედგება არაპოლონელი **გლეხებისაგან,** რომლებსაც პოლონელი **მემამულეები** ჩაგრავენ, რომ ეს გლეხები პოლონელთა ჯარების შემოტევას უყურებენ როგორც ომს პოლონელი პანების ბატონობისათვის, როგორც ომს ჩაგრული არაპოლონელი გლეხების წინააღმდეგ. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება, რომ საბჭოთა ჯარების ლოზუნგი «ძირს პოლონელი პანები!» მძლავრ გამოხმაურებას პოულობს აღნიშნული რაიონების მოსახლეობის უმრავლესობაში, რომ ამ რაიონების გლეხები საბჭოთა ჯარებს ეგებებიან როგორც მემამულეთა უღლისაგან განმათავისუფლებლებს, რომ ისინი საბჭოთა ჯარების მოლოდინში აჯანყებებს აწყობენ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში და ზურგიდან ურტყამენ პოლონეთის ჯარებს. ამითვე უნდა აიხსნას საბჭოთა ჯარების უმაგალითო მხნეობა, რასაც ყველა ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური მუშაკი აღნიშნავს.

ყოველივე ამან არ შეიძლება არ შექმნას პოლონელთა ჯარებში დაურწმუნებლობისა და არაუზრუნველყოფილობის ატმოსფერო, არ შეიძლება არ გატეხოს მათი მხნეობა, თავისი საქმის სამართლიანობის რწმენა, გამარჯვების რწმენა, არ შეიძლება პოლონელთა ჯარების ნაციონალური შეკავშირება დადებითი ფაქტორიდან უარყოფით ფაქტორად არ გადააქციოს.

და რაც უფრო შორს წამოიწევენ ისინი (თუ საერთოდ წამოიწევენ), მით უფრო ძლიერ იჩენენ თავს პოლონელთა ლაშქრობის ეს უარყოფითი მხარეები.

შეუძლია თუ არა პოლონეთს ასეთ პირობებში განავითაროს ძლიერი, მძლავრი, ხანგრძლივ წარმატებათა მომცემი შეტევა?

ასეთ პირობებში პოლონეთის ჯარები ისეთსავე მდგომარეობაში ხომ არ ჩავარდებიან, როგორშიც ჩავარდნენ თავიანთ ზურგს მოწყვეტილი გერმანელთა ჯარები უკრაინაში 1918 წელს?

აქ ჩვენ მივადექით დარტყმის რაიონის საკითხს. საერთოდ ომში, განსაკუთრებით კი სამოქალაქო ომში, წარმატება, გადამწყვეტი გამარჯვება ხშირად დამოკიდებულია დარტყმის რაიონის მოხერხებულ ამორჩევაზე, იმ რაიონის მოხერხებულ ამორჩევაზე, საიდანაც აპირებთ განახორციელოთ და შემდგომ განავითაროთ მთავარი დარტყმა მოწინააღმდეგეზე. დენიკინის ერთ-ერთი დიდი შეცდომა ის იყო, რომ მან მთავარი დარტყმის რაიონად აირჩია ზოლი დონეცის აუზი — ხარკოვ-ვორონეჟ-კურსკი, ე. ი. რაიონი, რომელიც აშკარად არაკეთილსაიმედო იყო დენიკინისათვის, დენიკინისადმი მტრული რაიონი, რაიონი, სადაც დენიკინი ვერ შექმნიდა ვერც მტკიცე ზურგს, ვერც ხელსაყრელ ვითარებას თავისი ჯარების წინსვლისათვის. საბჭოთა ჯარების წარმატებანი დენიკინის ფრონტზე, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ საბჭოთა სარდლობამ თავისი ძირითადი დარტყმა ცარიცინის რაიონიდან (არახელსაყრელი რაიონი) დროულად გადაიტანა დონეცის აუზის რაიონში (მეტად ხელსაყრელი რაიონი), სადაც მოსახლეობა ენთუზიაზმით ეგებებოდა საბჭოთა ჯარებს და საიდანაც ყველაზე ადვილად შეიძლებოდა დენიკინის ფრონტის გარღვევა, მისი ორ ნაწილად გაპობა და შემდგომი წინსვლა, თვით როსტოვამდე.

ამ მომენტს, რომელიც არაიშვიათად გამორჩებათ ხოლმე მხედველობიდან ძველ სამხედრო პირებს, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ომში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთს ამ მხრივ, მთავარი დარტყმის რაიონის მხრივ, საქმე მეტად ცუდად აქვს. საქმე ის არის, რომ ზემოხსენებული მიზეზების გამო პოლონე-

თის მოსაზღვრე ვერც ერთი რაიონი ვერ ჩაითვლება პოლონელთა ჯარებისათვის ხელსაყრელად ვერც დარტყმის რაიონის თვალსაზრისით, ვერც ამ დარტყმის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით: საითაც უნდა დაიძრნენ პოლონელთა ჯარები, ისინი ყველგან წააწყდებიან წინააღმდეგობას უკრაინელი, რუსი, ბელორუსი გლეხისას, რომელიც საბჭოთა ჯარების მხრივ მოელის პოლონელ მემამულეთაგან განთავისუფლებას.

და, პირიქით, საბჭოთა ჯარების მდგომარეობა ამ მხრივ სავსებით ხელსაყრელია: მათთვის ყველა რაიონი, ასე ვთქვათ, «შესაფერისია», რადგან საბჭოთა ჯარები, წინ რომ მიდიან, კი არ განამტკიცებენ, არამედ ამხობენ პოლონელი პანების ძალაუფლებას, მონობისაგან ათავისუფლებენ გლეხებს.

III

პერსპექტივები

პოლონეთი ჯერჯერობით მარტო ეომება რუსეთს. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ იგი განმარტოებული რჩება. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა მარტო ყოველმხრივ დახმარებას, რასაც პოლონეთს, უეჭველია, უწევს ანტანტა, არამედ პოლონეთის იმ მებრძოლ მოკავშირეებსაც, რომლებიც ნაწილობრივ უკვე გამონახა ანტანტამ (მაგალითად, დენიკინის ჯარები ნაშთები), ნაწილობრივ კი, ალბათ, გამონახავს ევროპის «ცივილიზაციის» სასახელოდ. შემთხვევითი როდია, რომ პოლონელთა შემოტევა დაიწყო სან-რემოს კონფერენციის [100] დროს, სადაც დაშვებული არ იქნენ რუსეთის წარმომადგენელნი. შემთხვევითი როდია ისიც, რომ რუმინეთმა მიაფუჩეჩა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების საკითხი... ამასთან სავსებით შესაძლებელია, რომ პოლონეთის შემოტევა, რომელიც ერთი შეხედვით ავან-

ტიურად მოჩანს, სინამდვილეში გულისხმობს იმ კომბინირებული ლაშქრობის ფართოდ მოფიქრებულ გეგმას, რომელსაც თანდათან ახორციელებენ.

და მაინც უნდა ითქვას, რომ თუ ანტანტა რუსეთის წინააღმდეგ მესამე ლაშქრობის მოწყობისას ვარაუდობდა რუსეთის დამარცხებას, იგი ანგარიშში მოტყუვდა, რადგან რუსეთის დამარცხების შანსები 1920 წელს უფრო ნაკლებია, გაცილებით ნაკლები, ვიდრე 1919 წელს იყო.

ზემოთ ჩვენ ვლაპარაკობდით რუსეთის გამარჯვების შანსებზე, იმაზე, რომ ეს შანსები მატულობენ და კვლავაც იმატებენ, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს გამარჯვება უკვე ხელში გვეჭიროს. გამარჯვების ზემოაღნიშნულ შანსებს რეალური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში, ე. ი. **იმ პირობით, რომ ჩვენ ახლა ისევე დავძაბავთ ჩვენს ძალებს, როგორც დავძაბეთ წინათ, დენიკინის შემოტევის დროს, რომ ჩვენი ჯარების მომარაგება და შევსება იწარმოებს ზუსტად და რეგულარულად, რომ ჩვენი აგიტატორები გასამკეცებული ენერგიით გაანათლებენ წითელარმიელებს და მათ გარშემო მყოფ მოსახლეობას, რომ ჩვენი ზურგი გაწმენდილი იქნება სიბილწისაგან და განმტკიცდება მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით.**

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს გამარჯვება.

«პრავდა» №№ 111 და 112;
1920 წ. 25 და 26 მაისი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

საუბარი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს უკრაინის განყოფილების თანამშრომელთან

გუშინწინ ხარკოვს დაბრუნდა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ამხანაგი **ი. ბ. სტალინი.**

ამხანაგმა **სტალინმა** ფრონტზე სამ კვირამდე დაჰყო; მის იქ ყოფნაში დაიწყო და თანდათანობით განვითარდა წითელი ჯარების შეტევითი ოპერაცია. შეტევის დასაწყისი აღინიშნა წითელი ცხენოსანი ჯარის მიერ პოლონელთა ფრონტის განთქმული გარღვევით.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს უკრაინის განყოფილების თანამშრომელთან საუბრის დროს ამხანაგმა **სტალინმა** შემდეგი განაცხადა:

გარღვევა

— როცა ეხებიან ამხ. ბუდიონის ცხენოსანი არმიის ოპერაციას პოლონეთის ფრონტზე ივნისის დამდეგს, ბევრი მას — მოწინააღმდეგის ფრონტის ამ გარღვევას — მამონტოვის ცხენოსანი ჯარის შარშანდელ რეიდს ადარებს.

მაგრამ ეს ანალოგია სრულებით არ არის სწორი.

მამონტოვის ოპერაციას ეპიზოდური, ასე ვთქვათ, პარტიზანული ხასიათი ჰქონდა, რაც დაკავშირებული არ იყო დენიკინის არმიის საერთო შეტევითს ოპერაციებთან.

ცხენოსანი არმიის მიერ განხორციელებული გარღვევა კი რგოლია წითელი არმიის შეტევითი ოპერაციების საერთო ჯაჭვში.

ჩვენი ცხენოსანი ჯარის რეიდი ხუთ ივნისს დაიწყო. ამ დღის დილით მუშტად შეკუმშულმა წითელმა ცხენოსანმა ჯარმა დაარტყა პოლონელთა მეორე არმიას, გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი, რეიდით გაიარა ბერდიჩევის რაიონი და შვიდ ივნისს დილით დაიკავა ჟიტომირი.

ჟიტომირის დაკავებისა და ხელთგდებული ნადავლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები უკვე გამოქვეყნდა პრესაში, ამაზე აღარ ვილაპარაკებ, აღვნიშნავ მხოლოდ ზოგ რამ დამახასიათებელს. ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო ფრონტის შტაბს აცნობებდა: «პოლონელთა არმია აბსოლუტურად უგულებელყოფს ჩვენს ცხენოსან ჯარს. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია დავუმტკიცოთ პოლონელებს, რომ ცხენოსანი ჯარი პატივსაცემია». გარღვევის შემდეგ კი ამხ. ბუდიონი გვწერს: «პანებმა ისწავლეს ცხენოსანი ჯარის პატივისცემა; გარბიან, გზას გვიწმენდენ, ერთმანეთს აყირავებენ».

გარღვევის შედეგები

გარღვევის შედეგები ასეთია:

პოლონელთა მეორე არმია, რომელზეც გადაიარა ჩვენმა ცხენოსანმა არმიამ, მწყობრიდან გამოყვანილი აღმოჩნდა, — მან დაკარგა ათასზე მეტი კაცი ტყვედ წამოყვანილი და რვა ათასამდე კაცი დახოცილი.

უკანასკნელი ციფრი რამდენიმე წყაროს მიხედვით შევამოწმე და იგი სინამდვილეს უახლოვდება, მით უმეტეს, რომ პირველ ხანებში პოლონელები გადაჭრით ამბობდნენ უარს ტყვედ დანებებაზე, და ჩვენს ცხენოსნებს პირდაპირ გზის გაკაფვა უხდებოდათ.

ეს პირველი შედეგია.

მეორე შედეგი: პოლონელთა მესამე არმია (კიევის რაიონი) თავის ზურგს მოწყვეტილი აღმოჩნდა და გარშე-

მორტყმის საფრთხეში ჩავარდა. ამის გამო დაიწყო მისი საერთო უკანდახევა კიევ-კოროსტენის მიმართულებით.

მესამე შედეგი: პოლონელთა მეექვსე არმიამ (კამენეც-პოდოლსკის რაიონი) დაკარგა დასაყრდენი თავის მარცხენა ფლანგზე და იმის შიშით, რომ დნესტრთან არ ყოფილიყო მიმწყვდეული, დაიწყო საერთო უკანდახევა.

მეოთხე შედეგი: გარღვევის მომენტიდან დაიწყო ჩვენი საერთო ფიცხელი შეტევა მთელი ფრონტით.

პოლონელთა მესამე არმიის ბედი

ვინაიდან პოლონელთა მესამე არმიის ბედის საკითხი ჯერ კიდევ ყველასათვის არ არის ნათელი, ამიტომ ამას უფრო დაწვრილებით შევეხები.

პოლონელთა მესამე არმია, რომელიც თავის ბაზას იყო მოწყვეტილი და მასთან კავშირი დაკარგა, მთელი შემადგენლობით ტყვედ ჩავარდნის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამის გამო იგი შეუდგა აღალის დაწვას, საწყობების აფეთქებას, ქვემეხების გაფუჭებას.

როცა წესრიგით უკანდახევის პირველი ცდები მარცხით დამთავრდა, იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო (საყოველთაო გაქცევა).

არმიის მესამედი (პოლონელთა მესამე არმიაში ირიცხებოდა სულ ოცი ათასამდე მებრძოლი) ტყვედ ჩავარდა ან დახოცილ იქნა. მისმა მეორე მესამედმა, თუ მეტმა არა, იარაღი დაყარა და ჭაობებსა და ტყეებში გაიქცა, — გაიფანტა. მხოლოდ დანარჩენმა მესამედმა, უფრო ნაკლებმაც კი, მოასწრო თავისიანებთან გასვლა კოროსტენით. ამასთან, უეჭველია, პოლონელებს დროზე რომ ვერ მოეშველებინათ ახალი ნაწილები შეპეტოვკა-სარნის ხაზით, პოლონელთა მესამე არმიის ეს ნაწილიც ტყვედ ჩავარდებოდა ან ტყეებში გაიფანტებოდა.

ყოველ შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ, რომ პოლონელთა მესამე არმია აღარ არსებობს. მის იმ ნაშთებს კი, რომლებმაც თავისიანებამდე მიაღწიეს, დიდი რემონტი ესაჭიროებათ.

პოლონელთა მესამე არმიის განადგურების დასახასიათებლად უნდა ვთქვა, რომ ჟიტომირის მთელი გზატკეცილი გავსებულია ნახევრად დამწვარი აღალით და ყოველი სახის ავტომობილებით, ამასთან უკანასკნელთა რაოდენობა, კავშირგაბმულობის უფროსის ცნობით, ოთხი ათასს აღწევს. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 70 ქვემეხი, სულ ცოტა 250 ტყვიამფრქვევი, დიდძალი საშხანა და ვაზნები, რაც ჯერ კიდევ არ არის დათვლილი.

ასეთია ჩვენი ნადავლი.

მდგომარეობა ფრონტზე

ახლანდელი მდგომარეობა ფრონტზე შეიძლება შემდეგნაირად დავასურათოთ: პოლონელთა მეექვსე არმია უკან იხევს, მეორე ზურგში მიჰყავთ ხელახლა ჩამოსაყალიბებლად, მესამე ფაქტიურად აღარ არსებობს, მას ცვლიან პოლონელთა ახალი ნაწილები, რომლებიც დასავლეთის ფრონტიდან და შორეული ზურგიდან გადმოიყვანეს.

წითელი არმია უტევს მთელი ფრონტით, მან გადალახა ხაზი: ოვრუჩი — კოროსტენი — ჟიტომირი—ბერდიჩევი — კაზატინი — კალინოვკა — ვინიცა — ჟმერინკა.

დასკვნები

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოლონელებს ჩვენს ფრონტზე უკვე ბოლო მოვუღეთ.

ჩვენ ხომ მარტო პოლონელებს არ ვეომებით, არამედ მთელ ანტანტას, რომელმაც გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, რუმინეთის მთელი შავბნელი ძალები დარაზმა და

რომელიც ყოველი სახის მომარაგებით უზრუნველყოფს პოლონელებს.

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლონელებს ჰყავთ რეზერვები, რომლებსაც უკვე მოუყარეს თავი ნოვოგრად-ვოლინსკთან და რომელთა მოქმედება, უეჭველია, ამ დღეებში იჩენს თავს.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მასობრივი მასშტაბით გახრწნა ჯერ არ შეხებია პოლონელთა არმიას. უეჭველია, მომავალში კიდევ იქნება ბრძოლები, ამასთან სასტიკი ბრძოლები.

ამიტომ უადგილოდ მიმაჩნია ის ბაქიობა და საქმის საზიანო თვითკმაყოფილება, რაც ზოგიერთმა ამხანაგმა გამოიჩინა: ზოგი მათგანი არ სჯერდება ფრონტზე მიღწეულ წარმატებებს და გაჰყვირის «ვარშავაზე გალაშქრების» შესახებ, სხვები არ სჯერდებიან ჩვენი რესპუბლიკის დაცვას მტრის თავდასხმისაგან და თავმომწონედ აცხადებენ, შერიგებას მხოლოდ მაშინ დავთანხმდებით, თუ «წითელი საბჭოთა ვარშავა» იქნებაო.

მე აქ არ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ ეს ბაქიობა და ეს თვითკმაყოფილება სრულიად არ შეესაბამება არც საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, არც მოწინააღმდეგის ძალთა მდგომარეობას ფრონტზე.

უაღრესად კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ზურგში და ფრონტზე მთელი ძალების დაუძაბავად ჩვენ ვერ გამოვალთ გამარჯვებულნი. უამისოდ ჩვენ ვერ დავძლევთ დასავლეთელ მტრებს.

ამას განსაკუთრებით ცხადყოფს ვრანგელის ჯარების შემოტევა, რომელიც მოგვევლინა, როგორც «ქუხილი მოწმენდილ ცაზე», და საშიში ხასიათი მიიღო.

ყირიმის ფრონტი

სრულიად უეჭველია, რომ ვრანგელის შემოტევა ნაკარნახევია ანტანტის მიერ პოლონელთა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით. მხოლოდ გულუბრყვილო პოლიტიკოსებს შეუძლიათ დაიჯერონ, რომ კერზონის მიწერ-მოწერას ამბ. ჩიჩერინთან შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე სხვა აზრი, გარდა იმისა, რომ ზავის შესახებ ლაპარაკით დაეფარათ ვრანგელისა და ანტანტის მოსამზადებელი მუშაობა ყირიმიდან შემოტევისათვის.

ვრანგელი ჯერ მზად არ იყო, და ამიტომ (მხოლოდ ამიტომ!) «კაცთმოყვარე» კერზონი სთხოვდა საბჭოთა რუსეთს შეეწყალებინა ვრანგელის ნაწილები და მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

ანტანტა, აშკარაა, ვარაუდობდა, რომ იმ მომენტში, როცა წითელი არმია პოლონელებს უკუაგდებდა და წინ დაიძროდა, — ამ მომენტში ვრანგელი ზურგში მოექცეოდა ჩვენს ჯარებს და საბჭოთა რუსეთის ყველა გეგმას ჩაფუშავდა.

უეჭველია, ვრანგელის შემოტევამ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა მდგომარეობა პოლონელებს, მაგრამ არა გვგონია საფუძველი გვქონდეს ვიფიქროთ, რომ ვრანგელი მოახერხებს ჩვენი დასავლეთის არმიების ზურგში შემოჭრას.

ყოველ შემთხვევაში უახლოესი მომავალი დაგვანახვებს ვრანგელის შემოტევის ძალასა და მნიშვნელობას.

«კომუნისტი» (ხარკოვი) № 140,
1920 წ. 24 ივნისი.

დეპეშა ვ. ი. ლენინს

ჩვენ მიერ ათ ივნისს ყირიმის ფრონტზე ტყვედ წამოყვანილმა მებრძოლმა გენერალმა რევიშინმა ჩემი თანადასწრებით განაცხადა: ა) ვრანგელის ჯარები ტანსაცმელს, ჭვემეხებს, შაშხანებს, ტანკებს, ხმლებს იღებენ უმთავრესად ინგლისელებისაგან, ხოლო შემდეგ ფრანგებისაგან; ბ) ზღვიდან ვრანგელს მომსახურებას უწევენ ინგლისის დიდი და საფრანგეთის პატარა გემები; გ) სათბობს (თხევადს) ვრანგელი იღებს ბათუმიდან (მაშასადამე, ბაქო სათბობს არ უნდა აძლევდეს თბილისს, რომელსაც შეუძლია იგი ბათუმს მიჰყიდოს); დ) საქართველოს მიერ ინტერნირებული გენერალი ერდელი, რომელიც ჩვენ უნდა გადმოგვეცეს, მაისში უკვე ყირიმში იყო (მაშასადამე, საქართველო ცბიერობს და გვატყუებს).

გენერალ რევიშინის ჩვენება იმის შესახებ, რომ ვრანგელს ინგლისი და საფრანგეთი უწევენ დახმარებას, სტენოგრაფიულად იწერება და გამოგეგზავნებათ მისი ხელმოწერით, როგორც მასალა ჩიჩერინისათვის.

სტალინი

1920 წ. 25 ივნისი.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 313,
1935 წ. 14 ნოემბერს.

პოლონეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

ხაუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რაიონიდან ამას წინათ ჩამოსულმა ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს თქვა შემდეგი:

1. მაისი — ივნისი

ორი უკანასკნელი თვე, მაისი და ივნისი, ფრონტზე არსებული მდგომარეობის ორ სრულიად სხვადასხვა სურათს გვაძლევს.

მაისი პოლონელთა ჯარების განსაკუთრებულ წარმატებათა თვეა. თავიანთ მარჯვენა ფლანგზე პოლონელები წარმატებით მოიწევენ კიევ-ჟმერინკის ხაზს აქეთ და ოდესას ემუქრებიან. მარცხენა ფლანგზე წარმატებით აქარწყლებენ ჩვენი ჯარების შეტევითს მოქმედებას მოლოდეჩნო-მინსკის მიმართულებით. ცენტრში პოლონელთა ჯარებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი მოზირში, დაიკავეს რეჩიცა და გომელს ემუქრებიან.

ივნისი, პირიქით, პოლონელთა ჯარების მაისის წარმატებათა სწრაფი და გადამწყვეტი ლიკვიდაციის თვეა. პოლონელთა წინსვლა უკრაინისაკენ უკვე ლიკვიდირებულია, ვინაიდან პოლონელები არა მარტო განდევნილი არიან

კიევიდან, არამედ უკუგდებულიც არიან როვნო-პროსკუროვ-მოგილიოვის ხაზს იქით. პოლონელთა წინსვლა გომელისაკენ აგრეთვე ლიკვიდირებულია, ვინაიდან პოლონელთა ჯარები უკუგდებული არიან მოზირს იქით. რაც შეეხება პოლონელთა მარცხენა ფლანგს, რომელიც, პოლონეთის პრესის აზრით, ყველაზე მტკიცეა, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დღეებში ამ რაიონში აღნიშნული მძლავრი დარტყმა ჩვენი ჯარებისა მოლოდეჩნოს მიმართულებით ეჭვს არ ტოვებს, რომ პოლონელებს ამ რაიონშიც უკუვაქცევთ.

ივლისი თვალწინ გვიშლის ფრონტზე გადამწყვეტი გარდატეხის სურათს რუსეთის სასარგებლოდ, აშკარა უპირატესობით საბჭოთა ჯარების მხარეზე.

ჯ. ჟიტომირის გარღვევა

უეჭველია, რომ ჟიტომირის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარის მიერ განხორციელებულმა გარღვევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ფრონტზე გარდატეხის საქმეში.

ბევრი ამ გარღვევას მამონტოვის რეიდსა და გარღვევას ადარებს და მათ შორის სრულ მსგავსებას პოულობს. მაგრამ ეს სწორი არ არის. მამონტოვის გარღვევას ეპიზოდის ხასიათი ჰქონდა, რომელიც პირდაპირ არ იყო დაკავშირებული დენიკინის შეტევითს ოპერაციებთან. ამხ. ბუდიონის მიერ განხორციელებული გარღვევა კი, პირიქით, ჩვენი შეტევითი ოპერაციების განუწყვეტელი ჯაჭვის აუცილებელ რგოლს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო მოწინააღმდეგის ზურგის დანგრევას, არამედ გარკვეული სტრატეგიული ამოცანის პირდაპირ შესრულებასაც.

თვით გარღვევა დაიწყო 5 ივნისს, განთიადზე. ამ დღეს ჩვენი ცხენოსანი ნაწილები მუშტად შეიკუმშნენ, აღალს მუშტის ცენტრში მოუყარეს თავი, გაარღვიეს მოწინააღმ-

დეგის განლაგება პოპელნია-კაზატინის რაიონში, რეიდით გაიარეს ბერდიჩევის რაიონი და 7 ივნისს ჟიტომირი დაიკავეს. პოლონელების თავგანწირული წინააღმდეგობის გამო ჩვენს ცხენოსან ჯარს გზის გაკაფვა მოუხდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რის შედეგადაც პოლონელებმა, ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მოწმობით, ადგილზე დატოვეს სულ მცირე რვა ათასი მებრძოლი დაჭრილთა, ტყვიით მოკლულთა და ხმლით აკუწულთა სახით.

8. გარღვევის შედეგები

ჟიტომირის გარღვევამდე პოლონელებმა, დენიკინისაგან განსხვავებით, ფრონტის უმნიშვნელოვანესი პუნქტები დაფარეს მთელი რიგი სანგრებითა და მავთულხლართებით და წარმატებით ახამებდნენ მანევრულ ომს სასანგრო ომთან. ამით ისინი მნიშვნელოვნად აძნელებდნენ ჩვენს წინსვლას. ჟიტომირის გარღვევამ გააჭარწყლა პოლონელთა ვარაუდი და მინიმუმამდე დაიყვანა კომბინირებული ომის ღირებულება.

ეს არის გარღვევის პირველი დადებითი შედეგი.

შემდეგ, გარღვევამ უშუალო საფრთხე შეუქმნა მოწინააღმდეგის ზურგს, კომუნიკაციასა და კავშირგაბმულობას. ამის შედეგად:

ა) პოლონელთა მესამე არმიამ (კიევის რაიონი), გარემოცვის შიშით, დაიწყო სწრაფი უკანდახევა, რაც შემდეგ საყოველთაო გაქცევად იქცა;

ბ) პოლონელთა მეორე არმიამ (ბერდიჩევის რაიონი), რომელმაც ცხენოსანი არმიის ძირითადი დარტყმა განიცადა, სწრაფი უკანდახევით უშველა თავს;

გ) პოლონელთა მეექვსე არმიამ (ჟმერინკის რაიონი), რომელმაც მარცხენა ფლანგზე დასაყრდენი დაკარგა, დაიწყო წესიერი უკანდახევა დასავლეთისაკენ;

დ) ჩვენმა არმიებმა ფიცხელი შეტევა დაიწყეს მთელ ფრონტზე.

ასეთია ჟიტომირის გარღვევის მეორე დადებითი შედეგი.

ბოლოს, გარღვევამ გატეხა პოლონელთა სიამაყე, შეურყია მათ საკუთარი ძალების რწმენა, დაურღვია სულის სიმტკიცე. გარღვევამდე პოლონელთა ნაწილები ჩვენს ჯარებს, განსაკუთრებით კი ჩვენს ცხენოსან ჯარს, სრული უგულებელყოფით ეკიდებოდნენ, თავგანწირულად იბრძოდნენ, ტყვედ არ გვნებდებოდნენ. მხოლოდ გარღვევის შემდეგ დაიწყო პოლონელებს შორის მთელი ჯგუფობით ტყვედ დანებება და მასობრივი დეზერტირობა — პოლონელთა ნაწილების სიმტკიცის დარღვევის პირველი ნიშანი. ამხ. ბუდიონი სწორედ ასე სწერს ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს: «პანებმა ისწავლეს ჩვენი ცხენოსანი ჯარის პატივისცემაო».

4. საფრთხე სამხრეთიდან

ჩვენი წარმატებანი პოლონეთის საწინააღმდეგო ფრონტებზე უეჭველია. ისიც უეჭველია, რომ ეს წარმატებანი განვითარდება. მაგრამ არასაკადრისი ბაქიობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოლონელებს ძირითადად უკვე მოვუღეთ ბოლო და ისღა დაგვრჩენია, რომ «ვარშავაზე გავილაშქროთ».

ეს ბაქიობა, რაც ჩვენი მუშაკების ენერგიას ასუსტებს და საქმის საზიანო თვითკმაყოფილებას ნერგავს, უადგილოა არა მარტო იმიტომ, რომ პოლონეთს ჰყავს რეზერვები, რომლებსაც იგი უეჭველად მოაყრის ფრონტს, რომ პოლონეთი განმარტოებული არ არის, რომ პოლონეთს

ზურგს უმაგრებს ანტანტა, რომელიც ყოველნაირად ეხმარება მას რუსეთის წინააღმდეგ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომაც, რომ ჩვენი ჯარების ზურგში გამოჩნდა პოლონეთის ახალი მოკავშირე — ვრანგელი, რომელიც გვიქადის ზურგიდან **ააფეთქოს** პოლონელებზე ჩვენი გამარჯვებების ნაყოფი.

თავი არ უნდა ვინუგეშოთ იმ იმედით, რომ ვრანგელი პოლონელებს ვერ შეეწყობა. ვრანგელი მათ უკვე შეუხმატკბილდა და მათთან ერთად მოქმედებს.

აი რას წერს ივნისის ერთ-ერთ ნომერში ვრანგელელთა შთამაგონებელი — შულგინის გაზეთი «ველიკაია როსსია», რომელიც სევასტოპოლში გამოდის:

«უეჭველია, ჩვენი შეტევით ხელს ვუწყობთ პოლონელებს, ვინაიდან ჩვენთან ბრძოლაში ვაბანდებთ ბოლშევიკების იმ ძალების ნაწილს, რომლებიც პოლონეთის ფრონტისათვის არიან განკუთვნილნი. ასევე უეჭველია, რომ პოლონელები თავიანთი ოპერაციებით არსებითად გვეხმარებიან ჩვენ. საჭირო არ არის არც სიმპათია და არც ანტიპათია პოლონელებისადმი; ჩვენ მხოლოდ მშრალი პოლიტიკური ანგარიშით უნდა ვიხელმძღვანელოთ. დღეს ჩვენთვის ხელსაყრელია პოლონელებთან კავშირი საერთო მტრის წინააღმდეგ, ხვალ კი... ხვალ ვნახავთ».

ცხადია, ვრანგელის ფრონტი პოლონეთის ფრონტის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვრანგელი მოქმედებს იმ ჩვენი ჯარების ზურგში, რომლებიც პოლონელებთან ეწევიან ბრძოლას, ე. ი. მოქმედებს ჩვენთვის ყველაზე საშიშ პუნქტში.

ამიტომ სასაცილოა ლაპარაკი «ვარშავაზე გალაშქრებასა» და საერთოდ ჩვენი წარმატებების სიმტკიცეზე, ვიდრე ვრანგელის საფრთხე ლიკვიდირებული არ არის. ვრანგელი კი ძლიერდება, და არა ჩანს, რომ ჩვენ რაიმე განსაკუთრებულ და სერიოზულ ღონისძიებას მივმართავდეთ სამხრეთიდან მოსალოდნელი მზარდი საფრთხის წინააღმდეგ.

5. გახსოვდეთ ვრანგელი

პოლონელების წინააღმდეგ ჩვენი შეტევითი ოპერაციების შედეგად ჩვენი ფრონტის ხაზი იღებს ნახევარრკალის სახეს, რომლის შეზნექილი მხარე მიმართულია დასავლეთისაკენ, ხოლო ბოლოები წაშვერილია წინ, ამასთან სამხრეთის ბოლო მდებარეობს როვნოს რაიონში, ჩრდილოეთისა — მოლოდეჩნოს რაიონში. ამას ეწოდება გარემოცვითი მდგომარეობა პოლონელთა ჯარების მიმართ, ე. ი. მდგომარეობა, რომელიც უმეტეს საფრთხეს უქმნის უკანასკნელებს.

უეჭველია, ამ გარემოებას მხედველობაში იღებს ანტანტა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ჩააბას რუმინეთი რუსეთთან ომში, გაფაციცებით ეძებს ახალ მოკავშირეებს პოლონეთისათვის, ყოველნაირად ეხმარება ვრანგელს და საერთოდ ცდილობს იხსნას პოლონელები. სავსებით შესაძლებელია, რომ ანტანტამ ახალი მოკავშირენი უშოვნოს პოლონეთს.

საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ რუსეთი ჰპოვებს ძალებს იმისათვის, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ახალ მოწინააღმდეგეებსაც. მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა გვახსოვდეს: სანამ ვრანგელი უვნებლად არის, სანამ ვრანგელს შესაძლებლობა აქვს დაემუქროს ჩვენს ზურგს, ჩვენი ფრონტები ორივე ფეხით იკოჭლებენ, ჩვენი წარმატებანი პოლონეთის საწინააღმდეგო ფრონტზე მტკიცე ვერ იქნება. მხოლოდ ვრანგელის ლიკვიდაციით შეგვეძლება უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ ჩვენი გამარჯვება პოლონელ პანებზე. ამიტომ პარტიამ თავის დროშას უნდა წააწეროს ახალი მორიგი ლოზუნგი: «გახსოვდეთ ვრანგელი!», «სიკვდილი ვრანგელს!».

«პრავდა» № 151,
1920 წ. 11 ივლისი.

როგორ ეგებებიან წითელ ჯარებს

ცნობა გაზეთ «კრასნოარმეეცს» [101]

რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ამხანაგი **სტალინი** გვაცნობებს, რომ მას არ შეუძლია არ აღნიშნოს ადგილობრივი მოსახლეობის სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება წითელი არმიისადმი პოლონეთის ფრონტზე.

— ასეთი დამოკიდებულება არ მინახავს არც აღმოსავლეთში, არც სამხრეთში, — ამბობს ამხანაგი **სტალინი.**

თუმცა გლეხთა მასები დასავლეთში, ვოლგისპირეთთან და სამხრეთთან შედარებით, ღარიბი არიან, მაგრამ გლეხები მაინც უნაწილებდნენ წითელარმიელებს, თუ რამ ებადათ.

მეტისმეტად მძიმე «საურმე» ბეგარა უდრტვინველად სრულდებოდა.

წითელარმიელს ყოველნაირად უწყობდნენ ხელს, ყოველნაირად ეხმარებოდნენ, და დიდი იყო მოსახლეობის მწუხარება, როცა ჩვენ მაისის დამლევს იძულებული **გავხ**დით უკანდახევა დაგვეწყო.

ფრონტისპირა ზოლის მოსახლეობამ პოლონური **ოკუ**პაციის მთელი სიმძიმე გადაიტანა, ამიტომ ძალიან კარ-

გად ესმოდა, თუ რას უქადდა მას პოლონელი პანების შემოჭრა.

ჩვენს ფრონტზე არის ჯარების მთელი ჯგუფი, რომლის მთელი სანიტარული საქმე გლეხებისა და გლეხი ქალების ხელშია, და ისინი უდიდესი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან ჩვენს დაჭრილ წითელარმიელებს.

რაც შეეხება ფრონტის ზოლს იქით მცხოვრებ ბელორუს გლეხთა განწყობილებას, ჩვენი ცნობების მიხედვით, იქ ხდება საყოველთაო აჯანყებანი, მუშაობენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც ანგრევენ მოწინააღმდეგის ზურგს, სწვავენ საწყობებს და ჟლეტენ მემამულეებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორდება იგივე ამბავი, რაც ციმბირში კოლჩაკს დაემართა.

ჩვენი ნაწილების მიახლოებისას ყველგან იწყება მოწინააღმდეგის ზურგის აფეთქება შიგნიდან.

ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ ნამდვილი გლეხური რევოლუციისა ბელორუსიაში პოლონელ მემამულეთა წინააღმდეგ.

«კრასნოარმეეც» № 337,
1920 წ. 15 ივლისი.

ძველა პარტიულ ორგანიზაციას

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილის პროექტი [102]

ჩვენი ცნობების თანახმად, ვრანგელის გარშემო თავმოყრილია ჯგუფი გამოცდილი, თავზე ხელაღებული გენერლებისა, რომლებიც არაფერს არ მოერიდებიან.

ვრანგელის ჯარისკაცები საუცხოოდ არიან დარაზმულნი ნაწილებად, თავგანწირულად იბრძვიან და თავის მოკვლას ამჯობინებენ, ვიდრე ტყვედ დანებებას.

ვრანგელის ჯარები ტექნიკურად ჩვენს ჯარებზე უკეთესად არიან მომარაგებულნი, დასავლეთიდან ტანკების, ჯავშნიანი მანქანების, თვითმფრინავების, ვაზნების, ტანსაცმლის მოზიდვა დღემდე გრძელდება, მიუხედავად ინგლისის განცხადებისა, რომ მოზიდვა შეწყვეტილია.

ვრანგელის წინააღმდეგ მებრძოლი ჩვენი ჯარების სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ: ჯერ-ერთი, მათში შერეული არიან სამხედრო ტყვეები — ყოფილი დენიკინელები, რომლებიც ხშირად მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიან, და, მეორეც, ისინი ცენტრიდან ვერ იღებენ ვერც ჯგუფებად, ვერც ერთეულებად მოხალისეებს ან მობილიზებულ კომუნისტებს.

საჭიროა გავწმინდოთ ეს ჯარები ყოფილი სამხედრო ტყვეებისაგან და რეგულარულად ვუგზავნოთ მათ მო-

ხალისეების ან მობილიზებული კომუნისტების დიდი პარტიები, რათა გარდატეხა მოვახდინოთ ჯარებში და მივცეთ მათ მოსისხლე მტრის დამარცხების შესაძლებლობა.

ყირიმი რუსეთს უნდა დავუბრუნოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინა და კავკასია მუდამ საფრთხეში იქნებიან საბჭოთა რუსეთის მტრების მხრივ.

ცენტრალური კომიტეტი გავალებთ თქვენ გააძლიეროთ მასობრივი აგიტაცია ამ ცირკულარული წერილის შესაბამისად და დაუყოვნებლივ მოაწყოთ კომუნისტების რეგულარულად გზავნა ყირიმის ფრონტზე, თუნდაც სხვა ფრონტების საზიანოდ.

დაწერილია 1920 წ. ივლისში.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV.

რესპუბლიკის საბრძოლო რეზერვების შექმნის შესახებ

1. ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი

ერთი მხრივ, საფრანგეთისა და ამერიკის მოქმედება, რომლებიც აშკარად უჭერენ მხარს პოლონელებსა და ვრანგელს, ისევე როგორც ინგლისის მოქმედება, რომელიც მდუმარედ აძლევს სანქციას ამ მხარდაჭერას; მეორე მხრივ, პოლონელების წარმატებანი, ვრანგელის მოსალოდნელი გაძლიერება ახალი ძალებით, დოროხოის რაიონში რუმინეთის აღმოსავლეთის არმიის თავმოყრა — სერიოზულ საერთაშორისო და სამხედრო მდგომარეობას უქმნიან რესპუბლიკას. საჭიროა ახლავე ვიზრუნოთ იმისათვის, რომ რესპუბლიკა უზრუნველვყოთ ახალი ქვეითი მებრძოლებით (ასი ათასამდე), ახალი ცხენოსნებით (30 ათასამდე) და სათანადო სამხედრო მომარაგებით.

პოლონელთა უკანასკნელმა წარმატებებმა ცხადყვეს ჩვენი არმიების ძირითადი ნაკლი — სერიოზული საბრძოლო რეზერვების უყოლობა, — ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის სამხედრო ძლიერების განმტკიცების მორიგ პროგრამას ჭვაკუთხედად დავუდოთ მძლავრი რეზერვების შექმნა, რომლებიც ყოველ მომენტში შეგვეძლება გავგზავნოთ ფრონტზე.

ზემოთქმულის გამო, წინადადება შემომაქვს მიღებულ იქნას შემდეგი **პროგრამა რესპუბლიკის საბრძოლო რეზერვების შექმნისა:**

1. განვაგრძოთ ცეცხლის ხაზზე მდგომი ბრძოლისუნარიანი დივიზიების ნორმალური შევსება და ამავე დროს დაუყოვნებლივ შევუდგეთ ბრძოლისუნარდაკარგული ცარიელი და ნახევრად-ცარიელი (ქვეითი) დივიზიების გამოყვანას ზურგში.

2. იმ ვარაუდით, რომ გამოსაყვანი ქვეითი დივიზიები დაახლოებით 12 — 15 აღმოჩნდება, მათ თავი მოვუყაროთ ისეთ რაიონებში (აუცილებლად პურის რაიონებში), საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შეუფერხებლად გაგზავნა ვრანგელის, პოლონეთის ან რუმინეთის ფრონტებზე, ვითარების მიხედვით (გამოყვანილი დივიზიების მესამედისათვის შეიძლებოდა თავი მოგვეყარა მაგალითად ოლვიოპოლის რაიონში, მეორე მესამედისათვის — კონოტოპ-ბახმაჩის რაიონში, დანარჩენი მესამედისათვის — ილოვაისკაია-ვოლნოვახის რაიონში).

3. ეს დივიზიები შევავსოთ და მოვამარაგოთ იმ ვარაუდით, რომ ქვეითი მებრძოლების რიცხვი თვითეულ დივიზიაში აყვანილ იქნას 7 — 8 ათასამდე, და რომ ისინი ყველანი სავსებით მზად იყვნენ სალაშქროდ 1921 წლის 1 იანვრისათვის.

4. დაუყოვნებლივ შევუდგეთ ჩვენი მოქმედი ცხენოსანი ნაწილების შევსებას იმ ვარაუდით, რომ უახლოეს თვეებში (იანვრამდე) 1-მა ცხენოსანმა არმიამ მიიღოს 10 ათასი მხედარი, მე-2 ცხენოსანმა არმიამ — 8 ათასი, გაის კორპუსმა — 6 ათასი.

5. დაუყოვნებლივ შევუდგეთ ხუთი ცხენოსანი ბრიგადის შექმნას იმ ვარაუდით, რომ თვითეულში 1 500 მხედარი იყოს (ერთი ბრიგადა შევქმნათ თერგის კაზაკებისა-

გან, მეორე — კავკასიელი მთიელებისაგან, მესამე — ურალელი კაზაკებისაგან, მეოთხე — ორენბურგელი კაზაკებისაგან, მეხუთე — ციმბირელი კაზაკებისაგან). ბრიგადების შექმნა დავამთავროთ ორი თვის ვადაში.

6. ყველა ღონისძიება მივიღოთ ავტომრეწველობის მოსაწესრიგებლად და გასაძლიერებლად, სპეციალური ყურადღება მივაქციოთ «ოსტენისა» და «ფიატის» მარკის ავტომანქანების რემონტსა და დამზადებას.

7. ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ ჯავშანმრეწველობა და მხედველობაში უმთავრესად ვიქონიოთ ავტომანქანების შეჯავშნა.

8. ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ ავიამრეწველობა.

9. მომარაგების პროგრამა გავაფართოოთ ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად.

ი. სტალინი

1920 წ. 25 აგვისტო.
მოსკოვი. კრემლი.

2. განცხადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი

ტროცკის პასუხი რეზერვების შესახებ საქმის თავიდან აცილებაა. ტროცკის წინა დეპეშაში, რომელსაც იგი თავის პასუხში იმოწმებს, ნახსენებიც კი არ არის რეზერვების შექმნის **გეგმა**, ასეთი გეგმის აუცილებლობა: **როდის** გამოვიყვანოთ დივიზიები; **რომელ** რაიონებში; **რა** ვადაში დავამთავროთ დივიზიების დაკომპლექტება, შევსებათა სწავლება, ერთმანეთთან დაკავშირება, — ყველა ამ საკითხს (ისინი სრულებითაც არ არიან დეტალები!) გვერდი აქვს ავლილი.

ზაფხულის კამპანიაში მნიშვნელოვანი **(უარყოფითი)** როლი შეასრულა ფრონტებისაგან რეზერვების **სიშორემ** (ურალი, ციმბირი, ჩრდ. კავკასია): რეზერვები დროზე არ მოგვდიოდა, დიდი დაგვიანებით მოგვდიოდა, და ისინი მეტწილად მიზანს ვერ აღწევდნენ. ამიტომ რეზერვების თავმოყრის რაიონები წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ამდენადვე მნიშვნელოვანი როლი (აგრეთვე უარყოფითი) შეასრულა შევსებათა **გაუწვრთნელობამ:** ნახევრადგაუწაფავი, შეუკავშირებელი შევსება, რომელიც საერთოშეტევითი ნაკადის პირობებში იყო გამოსადეგი, ჩვეულებრივ ვერ უძლებდა მტრის სერიოზულ წინააღმდეგობას, ტოვებდა თითქმის მთელ მატერიალურ ნაწილს და ათეულათასობით ნებდებოდა ტყვედ მოწინააღმდეგეს. ამიტომ სწავლებისა და დაკომპლექტების ვადაც, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი (აგრეთვე უარყოფითი) შეასრულა ჩვენი რეზერვების **შემთხვევითმა, ექსპრომტულმა** ხასიათმა: რადგან ჩვენ არა გვყავდა სპეციალური სარეზერვო ნაწილები, რეზერვებს ხშირად შემთხვევით და მეტად ნაჩქარევად მოვკრებდით ხოლმე ყოველგვარი დაქუცმაცებული ნაწილებიდან, რესპუბლიკის შინაგანი დაცვის ჯარებიდანაც [103] კი, რაც ძირს უთხრიდა ჩვენი არმიების სიმტკიცეს.

მოკლედ: საჭიროა დავიწყოთ (დაუყოვნებლივ!) **გეგმაშეზომილი** მუშაობა რესპუბლიკის უზრუნველსაყოფად სერიოზული რეზერვებით, — წინააღმდეგ შემთხვევაში იმის საფრთხე მოგველის, რომ აღმოვჩნდებით ახალი «მოულოდნელი» («უეცრად თავსდატეხილი») სამხედრო კატასტროფის წინაშე.

მომარაგება არ არის «ყველაზე მნიშვნელოვანი», როგორც შეცდომით ფიქრობს ტროცკი. სამოქალაქო ომის ისტორია გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, მაინც ვართმევდით თავს მომარაგებას, ამავე დროს კი იმ «ხალათებისა» და «ჩექმების» მთელი რაოდენობის ნახევარი, რომლებიც ჯარისკაცს ეძლეოდა, მაინც გლეხებს აღმოაჩნდებოდათ ხოლმე. რატომ? იმიტომ, რომ ჯარისკაცი მათ გადაუცვლიდა ხოლმე (და კვლავაც გადაუცვლის!) გლეხს რძეზე, კარაქზე, ხორცზე, ესე იგი იმაზე, რის მიცემაც მისთვის ჩვენ არ შეგვიძლია. მომარაგებას თავი გავართვით ამ (ზაფხულის) კამპანიაშიც, და მაინც წარუმატებლობა განვიცადეთ (ვგონებ, ჯერ კიდევ არავის გაუბედნია ბრალი დაედო ჩვენი მომარაგების მუშაკებისათვის, რომ ისინი იყვნენ მიზეზი ჩვენი წარუმატებლობისა პოლონეთის ფრონტზე...). ჩანს, ყოფილა მომარაგებაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები (რის შესახებაც იხ. ზემოთ).

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ავიღოთ ხელი მავნე «დოქტრინაზე», რომლის მიხედვითაც სამოქალაქო უწყებებს მინდობილი აქვთ ჯარების მომარაგება, ყოველივე დანარჩენი კი — საველე შტაბს. ცენტრალური კომიტეტი უნდა იცნობდეს და კონტროლს უწევდეს სამხედრო უწყების ორგანოთა **მთელ მუშაობას**, მათ შორის საბრძოლო რეზერვების მომზადებასა და საველე ოპერაციებსაც, თუ მას არ სურს ახალი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს.

აი რატომ მოვითხოვ დაბეჯითებით, რომ:

1) სამხედრო უწყებას გასამართლებელ მიზეზად არ მოჰყავდეს ფრაზა «ჯარისკაცის ხალათის» შესახებ. არამედ შეიმუშაოს (დაუყოვნებლივ შეუდგეს შემუშავებას) რესპუბლიკის საბრძოლო რეზერვების შექმნის კონკრეტული გეგმა;

2) რომ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილოს (თავდაცვის საბჭოს საშუალებით) ეს გეგმა;

3) რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი საველე შტაბის მიმართ და შემოიღოს მთავარსარდლის ან საველე შტაბის უფროსის პერიოდული მოხსენებანი თავდაცვის საბჭოსადმი ან თავდაცვის საბჭოს წევრთაგან შემდგარი სპეციალური კომისიისადმი.

ი. სტალინი

1920 წ. 30 აგვისტო.

იბეჭდება პირველად.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში

რუსეთში რევოლუციისა და სამოქალაქო ომის სამმა წელმა გვიჩვენა, რომ ცენტრალური რუსეთისა და მისი განაპირა მხარეების ურთიერთდახმარების გარეშე შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვება, შეუძლებელია რუსეთის განთავისუფლება იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან. ცენტრალური რუსეთი, მსოფლიო რევოლუციის ეს კერა, დიდხანს ვერ გაძლებს, თუ მას არ დაეხმარებიან ნედლეულით, სათბობით, სასურსათო პროდუქტებით მდიდარი განაპირა მხარეები. რუსეთის განაპირა მხარეებს, თავის მხრივ, გარდუვალი იმპერიალისტური მონობა მოელით, თუ უფრო განვითარებული ცენტრალური რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო და ორგანიზაციული დახმარება არ ექნებათ. თუ სწორია დებულება, რომ უფრო განვითარებულ პროლეტარულ დასავლეთს არ შეუძლია ბოლო მოუღოს მსოფლიო ბურჟუაზიას უფრო ნაკლებ განვითარებული, მაგრამ ნედლეულითა და სათბობით მდიდარი გლეხური აღმოსავლეთის დაუხმარებლად, ამდენადვე სწორია მეორე დებულება იმის შესახებ, რომ უფრო განვითარებულ ცენტრალურ რუსეთს არ შეუძლია

ბოლომდე მიიყვანოს რევოლუციის საქმე რუსეთის ნაკლებ განვითარებული, მაგრამ საჭირო რესურსებით მდიდარი განაპირა მხარეების დაუხმარებლად.

ამ გარემოებას უეჭველია ითვალისწინებდა ანტანტა საბჭოთა მთავრობის გაჩენის პირველი დღეებიდანვე, როცა იგი (ანტანტა) ახორციელებდა ცენტრალური რუსეთის ეკონომიური გარემოცვის გეგმას მისგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი განაპირა მხარეების მოწყვეტის გზით. შემდეგში რუსეთის ეკონომიური გარემოცვის გეგმა რჩება რუსეთზე ანტანტის ყველა გამოლაშქრების უცვლელ საფუძვლად, 1918 წლიდან 1920 წლამდე; ეს შეეხება მის ახლანდელ ხრიკებსაც უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქესტანში.

მით უფრო მეტი ინტერესი ენიჭება რუსეთის ცენტრისა და განაპირა მხარეების მტკიცე კავშირის უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ რუსეთის ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის დამყარდეს გარკვეული დამოკიდებულება, გარკვეული კავშირურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ შორის მჭიდრო, ურღვევ კავშირს.

როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობა, რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს იგი?

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ: რაში მდგომარეობს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში?

რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნა, როგორც ცენტრის და განაპირა მხარეების ურთიერთობის ფორმისა, გამორიცხულ უნდა იქნას არა მარტო იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის კავშირის დამყარების საკითხის

თვით დაყენებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ძირეულად ეწინააღმდეგება როგორც ცენტრის, ისე განაპირა მხარეების ხალხთა მასების ინტერესებს. იმაზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომ განაპირა მხარეების გამოყოფა ძირს გამოუთხრიდა რევოლუციურ ძლიერებას ცენტრალური რუსეთისას, რომელიც სტიმულს აძლევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, თვით გამოყოფილი განაპირა მხარეები აუცილებლად ჩავარდებოდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის მონობაში. საკმარისია თვალი გადავავლოთ რუსეთისაგან გამოყოფილ საქართველოს, სომხეთს, პოლონეთს, ფინეთს და სხვ., რომლებმაც მხოლოდ მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, ნამდვილად კი ანტანტის აშკარა ვასალებად გადაიქცნენ, ბოლოს, საკმარისია გავიხსენოთ უკრაინისა და აზერბაიჯანის ამასწინანდელი ისტორია, როცა პირველს ძარცვავდა გერმანიის კაპიტალი, ხოლო მეორეს — ანტანტა, რათა მივხვდეთ ახლანდელ საერთაშორისო პირობებში განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნის მთელ კონტრრევოლუციურობას. იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ვითარებაში, რომელიც პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის ჩაღდება, განაპირა მხარეებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი:

ან რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა მხარეების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან;

ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ — გარდუვალი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს.

ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთის და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა,

რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან.

რა თქმა უნდა, რუსეთის განაპირა მხარეებს, ამ განაპირა მხარეების მოსახლე ერებსა და ტომებს, როგორც ყოველ სხვა ერსაც, ხელშეუვალი უფლება აქვთ გამოეყონ რუსეთს, და თუ რომელიმე ამ ერთაგანი თავისი უმრავლესობით გადაწყვეტდა რუსეთისაგან გამოყოფას, როგორც ეს გააკეთა ფინეთმა 1917 წელს, რუსეთი, ალბათ, იძულებული იქნებოდა ეღიარებინა ფაქტი და სანქცია მიეცა გამოყოფისათვის. მაგრამ აქ საქმე ეხება არა ერების უფლებებს, რომლებიც უდავოა, არამედ როგორც ცენტრის, ისე განაპირა მხარეების ხალხთა მასების ინტერესებს, საქმე ეხება იმ აგიტაციის ხასიათს, რომელსაც (ხასიათს) ეს ინტერესები განსაზღვრავენ და რომელიც (აგიტაცია) აუცილებლად უნდა გასწიოს ჩვენმა პარტიამ, თუ მას (პარტიას) არ სურს უარყოს საკუთარი თავი, თუ მას სურს გარკვეული მიმართულებით მოახდინოს გავლენა ეროვნებათა მშრომელი მასების ნება-სურვილზე. ხალხის მასების ინტერესები კი გვეუბნება, რომ განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნა რევოლუციის ახლანდელ სტადიაში უაღრესად კონტრრევოლუციურია.

ასევე უნდა გამოირიცხოს ეგრეთწოდებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, როგორც რუსეთის ცენტრისა და განაპირა მხარეების კავშირის ფორმა. ავსტრია-უნგრეთის (კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის სამშობლოს) უკანასკნელი ათი წლის პრაქტიკამ გვიჩვენა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფოს ეროვნებათა მშრომელი მასების კავშირის ფორმის, მთელი ეფემერულობა და უნიადაგობა. ამის ცოცხალი დამადასტურებლები არიან შპრინგერი და

ბაუერი, ეს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შემოქმედნი, რომლებიც ახლა თავიანთ ოსტატურად მოჭახრაკებულ, მაგრამ დამარცხებულ ნაციონალურ პროგრამას იმედგაცრუებულნი შეჰყურებენ. ბოლოს, რუსეთში კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მქადაგებელი, ოდესღაც განთქმული ბუნდი, თვითონ იძულებული გახდა ამას წინათ ოფიციალურად ეღიარებინა, რომ საჭირო არ არის კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, და აშკარად განაცხადა, რომ:

«ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნა, კაპიტალისტური წყობილების ჩარჩოებში წამოყენებული, თავის აზრს კარგავს სოციალისტური რევოლუციის პირობებში» (იხ. «ბუნდის XII კონფერენცია», გვ. 21, 1920 წ.).

რჩება იმ განაპირა მხარეების **საოლქო** ავტონომია, რომლებიც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებით და ნაციონალური შემადგენლობით განირჩევიან, როგორც ცენტრისა და განაპირა მხარეების კავშირის ერთადერთი მიზანშეწონილი ფორმა, ავტონომია, რომელმაც რუსეთის განაპირა მხარეები ცენტრს ფედერაციული კავშირით უნდა დაუკავშიროს. ესე იგი, სწორედ ის საბჭოთა ავტონომია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი გაჩენის პირველი დღეებიდანვე გამოაცხადა და რომელიც ამჟამად განაპირა მხარეებში ტარდება ადმინისტრაციული კომუნებისა და ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკების სახით.

საბჭოთა ავტონომია არ არის გაყინული და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ, მისთვის დასაშვებია განვითარების სულ სხვადასხვა ფორმა და დონე. ვიწრო, ადმინისტრაციული ავტონომიიდან (ვოლგისპირეთის გერმანელები, ჩუვაშები, კარელები) იგი გადადის უფრო ფართო, პოლიტიკურ ავტონომიაზე (ბაშკირები, ვოლგისპირეთის თათრები, ყირგიზები), ფართო, პოლიტიკური

ავტონომიიდან — მის კიდევ უფრო გაფართოებულ ფორმაზე (უკრაინა, თურქესტანი), ბოლოს, ავტონომიის უკრაინული ტიპიდან — ავტონომიის უმაღლეს ფორმაზე, სახელშეკრულებო ურთიერთობაზე (აზერბაიჯანი). საბჭოთა ავტონომიის ეს ელასტიკურობა მის ერთ-ერთ პირველ ღირსებას შეადგენს, ვინაიდან იგი (ელასტიკურობა) შესაძლებელს ხდის მოცულ იქნას მთელი მრავალფეროვნება რუსეთის განაპირა მხარეებისა, რომლებიც კულტურული და ეკონომიური განვითარების სულ სხვადასხვა საფეხურზე დგანან. რუსეთში ნაციონალური საკითხის ხაზით სამი წლის მანძილზე წარმოებულმა საბჭოთა პოლიტიკამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც სხვადასხვა ფორმით ახორციელებს საბჭოთა ავტონომიას, სწორ გზაზე დგას, ვინაიდან მხოლოდ ასეთი პოლიტიკის მეოხებით შეძლო მან გაეკაფა გზა რუსეთის განაპირა მხარეების ყველაზე მიყრუებულ ადგილებში, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება ყველაზე ჩამორჩენილი და ნაციონალურად სხვადასხვაგვარი მასები, სულ სხვადასხვაგვარი სახით დაეკავშირებინა ეს მასები ცენტრთან, — ეს ისეთი ამოცანაა, რომელიც მსოფლიოში არც ერთ მთავრობას არათუ არ გადაუწყვეტია, არამედ არც დაუსახავს (ეშინოდათ დაესახათ!). საბჭოთა ავტონომიის საფუძვლებზე რუსეთის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, ჩრდილო-კავკასიელები, ყალმუხები, ჩერემისები, ვოტიაკები, ბურიატები და სხვები ჯერ კიდევ ელოდებიან საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ რა სახეც არ უნდა მიიღოს მომავალი რუსეთის ადმინისტრაციულმა რუკამ და როგორიც არ უნდა იყოს ამ დარგში დაშვებული ნაკლოვანებანი, — ზოგიერთი ნაკლოვანება კი მართლაც იყო, — უნდა ვაღიაროთ, რომ საოლქო ავტონომიის საფუძვლებზე ახალი ადმინისტრაციული დაყოფით რუსეთმა უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ პროლეტა-

რული ცენტრის გარშემო განაპირა მხარეების შემოკრების გზაზე, განაპირა მხარეების ხალხთა ფართო მასებთან ხელისუფლების დაახლოების გზაზე.

მაგრამ საბჭოთა ავტონომიის ამა თუ იმ ფორმის გამოცხადება, სათანადო დეკრეტებისა და დადგენილებების გამოცემა, ავტონომიური რესპუბლიკების საოლქო სახკომსაბჭოების სახით განაპირა მხარეების მთავრობათა შექმნაც კი სრულებითაც არ არის საკმარისი განაპირა მხარეებსა და ცენტრს შორის კავშირის განსამტკიცებლად. ეს კავშირი რომ განვამტკიცოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღმოვფხვრათ განაპირა მხარეების ის განკერძოებულობა და კარჩაკეტილობა, ის პატრიარქალობა და უკულტურობა, ის უნდობლობა ცენტრისადმი, რომლებიც განაპირა მხარეებში დარჩა, როგორც ცარიზმის მხეცური პოლიტიკის მემკვიდრეობა. ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი აბრუნებდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტიობას. ყოველივე ამით ცარიზმმა ადგილობრივ ნაციონალურ მასებს შორის წარმოშვა ყოველივე რუსულისადმი უღრმესი უნდობლობა, რაც ზოგჯერ მტრულ დამოკიდებულებად იქცეოდა. ცენტრალურ რუსეთსა და განაპირა მხარეებს შორის კავშირი

რომ განვამტკიცოთ, საჭიროა აღმოვფხვრათ ეს უნდობლობა, საჭიროა შევქმნათ ურთიერთგაგებისა და ძმური ნდობის ატმოსფერო. მაგრამ უნდობლობა რომ აღმოვფხვრათ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავეხმაროთ განაპირა მხარეების ხალხთა მასებს განთავისუფლდნენ ფეოდალურ-პატრიარქალური მონობის ნაშთებისაგან, საჭიროა გავაუქმოთ — გავაუქმოთ საქმით, და არა მარტო სიტყვით — კოლონიზატორული ელემენტების ყველა და ყოველგვარი პრივილეგია, საჭიროა ვაგემებინოთ ხალხთა მასებს რევოლუციის მატერიალური სიკეთენი.

მოკლედ: საჭიროა დავუმტკიცოთ მასებს, რომ ცენტრალური პროლეტარული რუსეთი იცავს მათს და მხოლოდ მათს ინტერესებს, და ეს უნდა დავუმტკიცოთ არა მარტო რეპრესიული, მასებისათვის ხშირად სრულიად გაუგებარი, ზომებით კოლონიზატორებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თანმიმდევრული და მოფიქრებული ეკონომიური პოლიტიკით.

ყველასათვის ცნობილია ლიბერალების მოთხოვნა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. კომუნისტები განაპირა მხარეებში არ შეიძლება ლიბერალებზე უფრო მემარჯვენეები იყვნენ, მათ იქ უნდა გაატარონ საყოველთაო განათლება, თუ სურთ აღმოფხვრან ხალხის უმეცრება, თუ სურთ სულიერად დაუახლოონ ერთმანეთს რუსეთის ცენტრი და განაპირა მხარეები. მაგრამ ამისათვის საჭიროა განვითარდეს ადგილობრივი ნაციონალური სკოლა, ნაციონალური თეატრი, ნაციონალური საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ამაღლდეს განაპირა მხარეების ხალხთა მასების კულტურული დონე, ვინაიდან არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ უმეცრება და სიბნელე საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე საშიში მტერია. ჩვენ არ ვიცით, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა საერთოდ ამ მიმართულებით,

მაგრამ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განაპირა მხარეში ადგილობრივი განსახკომი ადგილობრივი სკოლისათვის თავისი კრედიტების მხოლოდ 10 პროცენტს ხარჯავს. თუ ეს მართალია, უნდა ვალიაროთ, რომ ამ დარგში ჩვენ, სამწუხაროდ, «ძველ რეჟიმზე» შორს არ წავსულვართ.

საბჭოთა ხელისუფლება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ხალხს მოწყვეტილი ხელისუფლება, — პირიქით, იგი, როგორც ასეთი, ერთადერთი ხელისუფლებაა, რომელიც გამოსულია რუსი ხალხის მასებიდან და მათთვის მშობლიური და მახლობელია. სწორედ ამით აიხსნება ის უმაგალითო ძალა და მოქნილობა, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ჩვეულებრივ იჩენს კრიზისულ წუთებში.

საჭიროა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამდენადვე მშობლიური და მახლობელი გახდეს რუსეთის განაპირა მხარეების ხალხთა მასებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ მშობლიურ ხელისუფლებად იქცეს, საბჭოთა ხელისუფლება უწინარეს ყოვლისა მათთვის გასაგები უნდა გახდეს. ამიტომ საჭიროა, რომ ყველა საბჭოთა ორგანო განაპირა მხარეებში, სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, უშუალო ხელისუფლების ორგანოები (აგრეთვე პარტიის ორგანოებიც) შეძლებისამებრ შედგენილ იქნან ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომლებმაც იციან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ენა, რომ ამ ინსტიტუტებში ჩაბმულ იქნას ყველა საუკეთესო ადამიანი ადგილობრივ ხალხთა მასებიდან, რათა ადგილობრივი მშრომელი მასები ჩაებან ქვეყნის მართვა-გამგეობის ყველა დარგში, მათ შორის სამხედრო ფორმირებათა დარგშიც, რომ მასები ხედავდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ორგანოები მათი საკუთარი ღონისძიებების საქმეა, მათი მისწრაფების განხორ-

ციელებაა. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ურღვევი სულიერი კავშირი დავამყაროთ მასებსა და ხელისუფლებას შორის, მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება გასაგები და მახლობელი გავხადოთ საბჭოთა ხელისუფლება განაპირა მხარეების მშრომელი მასებისათვის.

ზოგიერთი ამხანაგი ავტონომიურ რესპუბლიკებს რუსეთში და საერთოდ საბჭოთა ავტონომიას უყურებს როგორც დროებითს, თუმცა ამასთანავე აუცილებელ ბოროტებას, რომელიც არ შეიძლებოდა არ დაგვეშვა ზოგიერთი გარემოების გამო, მაგრამ რომელსაც უნდა ვებრძოლოთ, რათა შემდეგში იგი თავიდან მოვიშოროთ. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს შეხედულება ძირშივე არასწორია და, ყოველ შემთხვევაში, მას საერთო არა აქვს რა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან ნაციონალურ საკითხში. საბჭოთა ავტონომია არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც რაღაც აბსტრაქტული და გამოგონილი, მით უმეტეს არ შეიძლება ჩაითვალოს იგი ცარიელ დეკლარაციულ დაპირებად. საბჭოთა ავტონომია ცენტრალურ რუსეთთან განაპირა მხარეების გაერთიანების ყველაზე რეალური, ყველაზე კონკრეტული ფორმაა. ვერავინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ უკრაინას, აზერბაიჯანს, თურქესტანს, ყირგიზეთს, ბაშკირეთს, თათრეთსა და სხვა განაპირა მხარეებს, რამდენადაც ისინი ესწრაფვიან ხალხის მასების კულტურულ და მატერიალურ აყვავებას, აუცილებლად ესაჭიროებათ მშობლიური სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც შედგენილი იქნებიან უპირატესად ადგილობრივი ადამიანებისაგან. უფრო მეტიც, ამ ოლქების ნამდვილი გასაბჭოება, მათი გადაქცევა საბჭოთა ქვეყნებად, რომლებიც მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებულნი ცენტრალურ რუსეთთან ერთ სახელმწიფოებრივ მთლიანობაში,

წარმოუდგენელია ისე, თუ ფართოდ არ იქნება მოწყობილი ადგილობრივი სკოლა, თუ მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და ენის მცოდნე ადამიანებისაგან არ შეიქმნება სასამართლო, ადმინისტრაცია, ხელისუფლების ორგანოები და სხვ. მაგრამ სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის, ხელისუფლების ორგანოების მოწყობა დედაენაზე — სწორედ ეს ნიშნავს საბჭოთა ავტონომიის განხორციელებას საქმით, ვინაიდან საბჭოთა ავტონომია სხვა არა არის რა, თუ არ შეჯამება ყველა ამ ინსტიტუტისა, რომლებსაც მიცემული აქვთ უკრაინული, თურქესტანული, ყირგიზული და სხვა ფორმა.

ამის შემდეგ როგორ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი საბჭოთა ავტონომიის ეფემერულობაზე, მის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე და სხვ.?

ორში ერთი:

ან უკრაინული, აზერბაიჯანული, ყირგიზული, უზბეკური, ბაშკირული და სხვა ენები წარმოადგენენ ნამდვილ რეალობას, ამასთან ამ ოლქებში, მაშასადამე, აბსოლუტურად საჭიროა განვითარდეს მშობლიური სკოლა, ადგილობრივი ადამიანებისაგან შედგენილი სასამართლო, ადმინისტრაცია, ხელისუფლების ორგანოები, და მაშინ — საბჭოთა ავტონომია ამ ოლქებში ბოლომდე, უშენიშვნოდ უნდა გატარდეს;

ან უკრაინული, აზერბაიჯანული და სხვა ენები ფუჭი გამონაგონია, მაშასადამე, საჭირო არ არის დედაენაზე სკოლები და სხვა ინსტიტუტები, და მაშინ — საბჭოთა ავტონომია უკუგდებულ უნდა იქნეს, როგორც ზედმეტი ბარგი.

მესამე გზის ძებნა საქმის უცოდინარობის ან საგვალალო მოუაზრებლობის შედეგია.

საბჭოთა ავტონომიის განხორციელების გზაზე ერთერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ადგილობ-

რივი წარმოშობის ინტელიგენტური ძალების დიდი ნაკლებობა განაპირა მხარეებში, ინსტრუქტორთა ნაკლებობა საბჭოთა და პარტიული მუშაობის უკლებლივ ყველა დარგში. ეს ნაკლებობა არ შეიძლება არ აფერხებდეს როგორც საგანმანათლებლო, ისე რევოლუციურ-საალმშენებლო მუშაობას განაპირა მხარეებში. მაგრამ სწორედ ამიტომ უგუნურება და საქმისათვის საზიანო იქნებოდა, რომ ჩამოგვეშორებინა ეს, ისედაც მცირერიცხოვანი ჯგუფები ადგილობრივი ინტელიგენტებისა, რომლებსაც, იქნებ, კიდევაც სურთ სამსახური გაუწიონ ხალხის მასებს, მაგრამ არ შეუძლიათ ამის გაკეთება, შეიძლება იმიტომ, რომ მათ, როგორც არა კომუნისტებს, თავი უნდობლობის ატმოსფეროთი გარემოცულებად მიაჩნიათ და შესაძლებელი რეპრესიებისა ეშინიათ. ამ ჯგუფების მიმართ წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ პოლიტიკა მათი ჩაბმისა საბჭოთა მუშაობაში, პოლიტიკა მათი მიზიდვისა სამრეწველო, აგრარულ, სასურსათო და სხვა პოსტებზე მათი თანდათანობითი გასაბჭოების მიზნით. ვინაიდან არა გვგონია შეიძლებოდეს მტკიცება, რომ ეს ინტელიგენტური ჯგუფები ნაკლებ საიმედონი არიან, ვიდრე, ვთქვათ, ის კონტრრევოლუციური სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც, მიუხედავად მათი კონტრრევოლუციურობისა, მაინც ჩავაბით მუშაობაში და შემდეგ გავასაბჭოეთ უმნიშვნელოვანეს პოსტებზე.

მაგრამ ნაციონალური ინტელიგენტური ჯგუფების გამოყენება სრულებითაც არ არის საკმარისი ინსტრუქტორებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს საჭიროა განვავითაროთ განაპირა მხარეებში კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი მმართველობის ყველა დარგში ადგილობრივ ადამიანთაგან ინსტრუქტორთა კადრების შესაქმნელად. ვინაიდან ცხადია, რომ ასეთი კადრები თუ არ იქნება, მშობლიური სკოლის, სასამართლოს,

ადმინისტრაციისა და სხვა ინსტიტუტების შექმნა დედაენაზე უადრესად გაძნელდება.

საბჭოთა ავტონომიის განხორციელების გზაზე არანაკლებ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის აჩქარება, რასაც ზოგიერთი ამხანაგი განაპირა მხარეების გასაბჭოების საქმეში იჩენს და რაც ხშირად უხეშ უტაქტობაში გადადის. როცა ეს ამხანაგები ცენტრალური რუსეთისაგან მთელი ისტორიული პერიოდით ჩამორჩენილ ოლქებში, იმ ოლქებში, სადაც ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ლიკვიდირებული შუასაუკუნეობრივი წყობა, ბედავენ იკისრონ «გმირული ღონისძიებანი» «წმინდა კომუნიზმის» გასატარებლად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საკავალერიო თავდასხმისაგან, ასეთი «კომუნიზმისაგან» სიკეთე არ გამოვა. ჩვენ გვინდა ამ ამხანაგებს მოვაგონოთ ჩვენი პროგრამის ცნობილი პუნქტი, რომლის მიხედვითაც:

«რკპ დგას ისტორიულ-კლასობრივ თვალსაზრისზე და ანგარიშს უწევს იმას, თავისი ისტორიული განვითარების რომელ საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი: შუასაუკუნეობრიობიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ მიმავალ თუ ბურჟუაზიული დემოკრატიიდან საბჭოთა ან პროლეტარული დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე და სხვ.».

და შემდეგ:

«ყოველ შემთხვევაში, იმ ერების პროლეტარიატის მხრივ, რომლებიც მჩაგვრელი ერები იყვნენ. საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და განსაკუთრებული ყურადღება ჩაგრული ან არასრულუფლებიანი ერების მშრომელ მასებში ნაციონალური გრძნობების ნაშთებისადმი» (იხ. «რკპ პროგრამა»).

ესე იგი, თუ, მაგალითად, აზერბაიჯანში ბინების შემჭიდროების პირდაპირი გზა ჩვენ გვაშორებს აზერბაიჯანელთა მასებს, რომლებსაც ბინა, შინაური კერა ხელშეუხებლად, წმიდად მიაჩნიათ, ცხადია, რომ ბინების შემჭიდ-

როების პირდაპირი გზა უნდა შეიცვალოს არაპირდაპირი, შემოვლითი გზით იმავე მიზნის მისაღწევად. ან კიდევ: თუ, მაგალითად, დაღისტნელთა მასები, რომლებიც ძლიერ არიან დაავადებულნი რელიგიური ცრურწმენით, კომუნისტებს მიჰყვებიან «შარიათის საფუძველზე», ცხადია, რომ ამ ქვეყანაში რელიგიურ ცრურწმენასთან ბრძოლის პირდაპირი გზა უნდა შეიცვალოს არაპირდაპირი, უფრო ფრთხილი გზებით. და სხვ. და სხვ.

მოკლედ: ჩამორჩენილი ხალხთა მასების «დაუყოვნებლივი კომუნიზაციის» საქმეში საკავალერიო თავდასხმებიდან საჭიროა გადავიდეთ საბჭოთა განვითარების საერთო კალაპოტში ამ მასების თანდათანობითი მოქცევის წინდახედულ და მოფიქრებულ პოლიტიკაზე.

ასეთია საერთოდ საბჭოთა ავტონომიის განხორციელების ის პრაქტიკული პირობები, რომელთა გატარებაც უზრუნველყოფს რუსეთის ცენტრისა და განაპირა მხარეების სულიერ დაახლოებასა და მტკიცე რევოლუციურ კავშირს.

საბჭოთა რუსეთი ახდენს მსოფლიოში ჯერ არნახულ ცდას — ერთიანი პროლეტარული სახელმწიფოს ფარგლებში ურთიერთნდობის საფუძველზე, ნებაყოფლობითი, ძმური თანხმობის საფუძველზე მოაწყოს მთელი რიგი ერებისა და ტომების თანამშრომლობა. რევოლუციის სამმა წელმა გვიჩვენა, რომ ამ ცდას წარმატების ყველა შანსი აქვს. მაგრამ მისი, ამ ცდის, სრული წარმატების იმედი შეიძლება გვქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალურ საკითხში ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკა ადგილებზე არ დაშორდება დეკლარირებული, სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით აღებული საბჭოთა ავტონომიის მოთხოვნებს, თუ ჩვენი ყოველი პრაქტიკული ნაბიჯი ადგილებზე ხელს შეუწყობს იმას, რომ განაპირა მხარეების ხალხთა მასები ეზიარონ უმაღ-

ლეს პროლეტარულ სულიერ და მატერიალურ კულტურას იმ ფორმებით, რომლებიც ამ მასების ყოფაცხოვრებასა და ნაციონალურ სახეს შეესაბამებიან.

ეს არის ცენტრალურ რუსეთსა და რუსეთის განაპირა მხარეებს შორის იმ რევოლუციური კავშირის განმტკიცების საწინდარი, რომლის წინაშეც გაცამტვერდება ანტანტის ყველა და ყოველგვარი ხრიკები.

«პრავდა» № 226,
1920 წ. 10 ოქტომბერი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

სიტყვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ მუშაკთა სრულიად რუსეთის I თათბირის გახსნისას

1920 წ. 15 ოქტომბერს

გთხოვთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთა სრულიად რუსეთის პირველი თათბირი გახსნილად ჩათვალოთ.

ამხანაგებო! ვიდრე თათბირის საქმიან მუშაობაზე გადავიდოდეთ, ნება მიბოძეთ გამოვთქვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის აზრი იმ საკითხზე, საჭიროა თუ არა ინსპექცია მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში, და თუ იგი საჭიროა, როგორი უნდა იყოს მისი ძირითადი ამოცანები.

რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მუშებმა და გლეხებმა პირველად აიღეს ხელთ ძალაუფლება. ძალაუფლების აღების წინაპირობა იყო მსოფლიოში უღრმესი გადატრიალება, რომელსაც მოჰყვა სახელმწიფო ხელისუფლების ძველი აპარატების ლიკვიდაცია და ახლების შექმნა. ძველად საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ მუშები ჩვეულებრივ მუშაობდნენ ბატონებისათვის, ხოლო ბატონები ქვეყანას განაგებდნენ. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება, რომ რევოლუციამდე ქვეყნის მართვა-გამგეობის მთელი გამოცდილება ხელთ ჰქონდათ გაბატონებულ

კლასებს. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ მუშები და გლეხები, რომლებიც არასოდეს არ განაგებდნენ, რომლებმაც იცოდნენ მხოლოდ სხვებისათვის მუშაობა და რომლებსაც ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმაო გამოცდილება არ ალმოაჩნდათ.

ასეთია პირველი გარემოება, რაც იმ ნაკლოვანებათა წყარო გახდა, რომლებიც ახლა საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის აპარატებს აქვთ.

შემდეგ, სახელმწიფო მმართველობის ძველი აპარატების ლიკვიდაცია რომ მოხდა, ბიუროკრატიზმი დამსხვრეულ იქნა, მაგრამ ბიუროკრატები დარჩნენ. მათ ფერი იცვალეს, საბჭოთა მუშაკების სახე მიიღეს, ჩვენს სახელმწიფო აპარატებში შევიდნენ, ისარგებლეს ხელისუფლების სათავეში ახლახან ჩამდგარი მუშებისა და გლეხების არასაქმაო გამოცდილებით და სახელმწიფო დოვლათის დასატაცებლად ძველი ოინები გამართეს, ძველი ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულებანი შემოიტანეს.

ასეთია მეორე გარემოება, რაც ჩვენი სახელმწიფო აპარატების ნაკლოვანებათა ბაზა გახდა.

ბოლოს, ახალმა ხელისუფლებამ ძველისაგან მემკვიდრეობად მიიღო სრულიად დანგრეული სამეურნეო აპარატი. ამ ნგრევას აღრმავებდა სამოქალაქო ომი, რომელიც ანტანტამ თავს მოახვია რუსეთს. ეს გარემოებაც მექანიზმში მანკთა და ნაკლოვანებათა არსებობის ერთ-ერთი პირობა გახდა.

აი, ამხანაგებო, ის ძირითადი პირობები, რომელთა ნიადაგზეც ჩვენი სახელმწიფო აპარატების ნაკლოვანებანი აღმოცენდა.

ცხადია, ვიდრე ეს პირობები არსებობენ, ვიდრე სახელმწიფო აპარატებში ნაკლოვანებანი არის — ჩვენ გვესაჭიროება ინსპექცია.

რა თქმა უნდა, მუშათა კლასი ცდილობს შეიძინოს ქვეყნის მართვა-გამგეობის გამოცდილება, მაგრამ მაინც ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი ახალი კლასის წარმომადგენელთა გამოცდილება ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

რა თქმა უნდა, ბიუროკრატებს, რომლებმაც ფერი იცვალეს და ჩვენს აპარატებში შეძვრნენ, ვლაგმავთ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან ალაგმულნი.

რა თქმა უნდა, ნგრევა, რომელიც თვალწინ გვაქვს, მცირდება ჩვენი სახელმწიფოს ორგანოების გაცხოველებული მუშაობის მეოხებით, მაგრამ ეს ნგრევა ჯერ კიდევ მაინც არის.

და სწორედ ამიტომ, სანამ ეს პირობები რჩება, სანამ ეს ნაკლოვანებანი არის, საჭიროა სპეციალური სახელმწიფო აპარატი, რომელიც შეისწავლიდა ამ ნაკლოვანებებს, რომელიც გამოასწორებდა მათ და რომელიც დაეხმარებოდა ჩვენს სახელმწიფო ორგანოებს სრულყოფის გზით წინსვლაში.

მაშ როგორია ინსპექციის ძირითადი ამოცანები?

ძირითადი ამოცანა ორია.

პირველია ის, რომ თავიანთი სარევიზიო მუშაობის შედეგად ან მის მსვლელობაში ინსპექციის მუშაკები დაეხმარონ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ხელისუფლების სათავეში მდგომ ჩვენს ამხანაგებს სახელმწიფო ქონების აღრიცხვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმების შემოღებაში, დაეხმარონ ანგარიშგების მიზანშეწონილი ფორმების შემოღებაში, დაეხმარონ მომარაგების აპარატების, მშვიდობიანი და ომის დროის აპარატების, მეურნეობის აპარატების მოწესრიგებაში.

ეს პირველი ძირითადი ამოცანაა.

მეორე ძირითადი ამოცანა ის არის, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავისი მუშაობის მსვლელობაში მუშებიდან და გლეხებიდან მოამზადოს ინსტრუქტორები,

რომლებსაც შეეძლებათ დაეუფლონ მთელ სახელმწიფო აპარატს. ამხანაგებო, ქვეყანას ნამდვილად განაგებენ არა ისინი, რომლებიც თავიანთ დელეგატებს ირჩევენ პარლამენტში ბურჟუაზიული წესწყობილების დროს ან საბჭოების ყრილობებზე გასაგზავნად საბჭოთა წესწყობილების დროს. არა. ქვეყანას ფაქტიურად განაგებენ ისინი, ვინც ნამდვილად დაუფლებია სახელმწიფოს აღმასრულებელ აპარატებს, ვინც ხელმძღვანელობს ამ აპარატებს. თუ მუშათა კლასს ნამდვილად სურს დაეუფლოს სახელმწიფოს აპარატს ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის, მას გამოცდილი აგენტები უნდა ჰყავდეს არა მარტო ცენტრში, არა მარტო იმ ადგილებში, სადაც საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ხდება, არამედ იმ ადგილებშიც, სადაც გადაწყვეტილებანი ხორციელდება. მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მუშათა კლასი მართლა დაეუფლა სახელმწიფოს. ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა საკმაო რაოდენობით გვყავდეს ქვეყნის მართვა-გამგეობის ინსტრუქტორთა კადრები. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გამოზარდოს, მოამზადოს ეს კადრები თავის მუშაობაში მუშებისა და გლეხების ფართო ფენების ჩაბმით. მუშათა და გლეხთა ინსპექცია მუშებიდან და გლეხებიდან გამოსული ასეთი კადრების სკოლა უნდა იყოს.

ასეთია მუშათა და გლეხთა ინსპექციის მეორე ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს მუშაობის ის მეთოდები, რომლებსაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა იყენებდეს. ძველ, რევოლუციამდელ დროში, კონტროლი სახელმწიფო დაწესებულებებს გარეშე იდგა, ეს იყო გარეშე ძალა, რომელიც, რევიზიას რომ უწევდა დაწესებულებებს, ცდილობდა დაეჭირა დამნაშავენი, დაეჭირა ბოროტმოქმედნი და ამას სჯერდებოდა. ეს მეთოდი, მე ვიტყოდი, პოლიციური მეთოდია, მეთოდი დამნაშავეთა მიგნება-მიკვლევისა, მეთოდი სენსაციური მხილებისა იმისათვის, რომ ამის

შესახებ მთელი პრესა ახმაურებულიყო. ეს მეთოდი უკუგდებულ უნდა იქნას. ეს მეთოდი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მეთოდი არ არის. ჩვენი ინსპექცია იმ დაწესებულებებს, რომლებსაც რევიზიას უწევს, უნდა უყურებდეს არა როგორც უცხო, არამედ როგორც თავის მშობლიურ დაწესებულებებს, რომლებსაც უნდა ვასწავლიდეთ, რომლებსაც უნდა ვაუმჯობესებდეთ. მთავარი ის კი არ არის, რომ დავიჭიროთ ცალკეული დამნაშავენი, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ შევისწავლოთ დაწესებულებანი, რომლებსაც რევიზიას ვუწევთ, შევისწავლოთ დაკვირვებით, შევისწავლოთ სერიოზულად, შევისწავლოთ ნაკლოვანებანი და ღირსებანი, და წინ წავწიოთ ამ დაწესებულებათა სრულყოფის საქმე. ყველაზე ცუდი, ყველაზე არასასურველი ის არის, თუ ინსპეციას გაიტაცებს პოლიციური მეთოდები, თუ იგი მიზეზის ძებნას დაუწყებს დაწესებულებას, რომელსაც რევიზიას უწევს, თუ კანჭებში დაუწყებს კბენას, თუ ზერელედ მიუდგება მოვლენებს და განზე დატოვებს ძირითად ნაკლოვანებებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მეთოდები იმაში უნდა მდგომარეობდნენ, რომ გამომჟღავნებულ იქნას ძირითადი ნაკლოვანებანი. მე ვიცი, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეს გზა მეტად ძნელია, რომ იგი ხშირად იწვევს იმ დაწესებულებათა ზოგიერთი მუშაკის უკმაყოფილებას, რომლებსაც რევიზიას უწევენ, მე ვიცი, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის უაღრესად პატიოსან მუშაკებს ხშირად სიძულვილით ეპყრობა ზოგიერთი თავგასული მოხელე, აგრეთვე ზოგიერთი კომუნისტიც, რომელიც ამ მოხელეთა ხმას აჰყვება ხოლმე. მაგრამ მუშათა და გლეხთა ინსპექციას ამისი არ უნდა ეშინოდეს. მას დასახული უნდა ჰქონდეს ძირითადი მცნება: არ ზოგავდეს ცალკეულ პირებს, რა მდგომარეობაც უნდა ეკავოთ მათ, ზოგავდეს მხოლოდ საქმეს, მხოლოდ საქმის ინტერესებს.

ეს ამოცანა მეტად ძნელი და სათუთია, იგი მუშაკთა მხრივ დიდ თავდაჭერილობასა და დიდ პატიოსნებას, უმწიკვლო პატიოსნებას მოითხოვს. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი დაწესებულების რამდენიმე ფაქტიური რევიზიის მსვლელობაში აქ, მოსკოვში, თვით კონტროლის აგენტები მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ. უნდა განვაცხადო, რომ ასეთი აგენტების წინააღმდეგ კომისარიატი ულმობელი იქნება. კომისარიატის მოთხოვნა იქნება, რომ მათ მიმართ მიღებულ იქნას სასჯელის უმკაცრესი ზომები, ვინაიდან ისინი ჩირქს სცხებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთა ღირსებას. თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციას წილად ხვდა მაღალი ამოცანა — გამოასწოროს ჩვენი დაწესებულებების ნაკლოვანებანი, დაეხმაროს ამ დაწესებულებათა მუშაკებს წინსვლა-სრულყოფაში, თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე დასახულია ამოცანა არ დაზოგოს არავინ, არამედ დაზოგოს მხოლოდ საქმის ინტერესები, ცხადია, თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკები პატიოსანნი, უმწიკვლონი და ულმობელნი უნდა იყვნენ თავიანთ სიმართლეში. ეს აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ ჰქონდეთ სხვებისათვის რევიზიის გაწევის, სხვების სწავლების არა მარტო ფორმალური, არამედ მორალური უფლებაც.

«იზვესტია რაბოჩე-კრესტიანსკოი ინსპექციი» № 9 — 10,
1920 წ. ნოემბერი-დეკემბერი.

ავტორისაგან

ნაციონალურ საკითხზე დაწერილი სტატიების 1920 წელს გამოცემული კრებულის წინასიტყვაობა

ამ ბროშურაში შევიდა მხოლოდ სამი სტატია ნაციონალურ საკითხზე. გამომცემლობის მიერ სტატიების გარკვეულ შერჩევას, როგორც ჩანს, ის აზრი აქვს, რომ შერჩეული სამი სტატია ასახავს ჩვენი პარტიის რიგებში ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის სამ უმნიშვნელოვანეს პერიოდს, ამასთან მთლიანად ბროშურას, როგორც ჩანს, მიზნად აქვს მოგვცეს ნაციონალურ საკითხში ჩვენი პარტიის პოლიტიკის ცოტად თუ ბევრად მთლიანი სურათი.

პირველი სტატია («მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», იხ. ჟურნალი «პროსვეშჩენიე», 1913 წ.) [104] ასახავს იმპერიალისტური ომის დაწყებამდე წელიწადნახევრის წინ მემამულურ-ცარისტული რეაქციის ეპოქაში, რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ზრდის ეპოქაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებში ნაციონალურ საკითხზე წარმოებული პრინციპული დისკუსიების პერიოდს. მაშინ ერთმანეთს ებრძოდა ერის ორი თეორია და, შესაბამისად, ორი ნაციონალური პროგრამა: **ავსტრიული,** რომელსაც ბუნდმა და მენშევიკებმა დაუჭირეს მხარი, და **რუსული,** ბოლშევიკური. მკითხველი სტატიაში იპოვნის ორივე მიმდინარეობის დახასიათებას.

შემდგომმა ამბებმა, განსაკუთრებით კი იმპერიალისტურმა ომმა და ავსტრია-უნგრეთის ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოებად დაშლამ, ნათლად გვიჩვენეს, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. ახლა, როცა შპრინგერი და ბაუერი თავიანთ ნაციონალურ პროგრამას იმედგაცრუებულნი შეჰყურებენ, არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ისტორიამ დაჰგმო «ავსტრიული სკოლა». ბუნდიც კი იძულებული იყო ელიარებინა, რომ «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის (ე. ი. ავსტრიული ნაციონალური პროგრამის. **ი. სტ.**) მოთხოვნა, კაპიტალისტური წყობილების ჩარჩოებში წამოყენებული, თავის აზრს კარგავს სოციალისტური რევოლუციის პირობებში» (იხ. «ბუნდის XII კონფ.», 1920 წ.). ბუნდს აზრადაც არ მოსდის, რომ მან ამით აღიარა (უცაბედად აღიარა) ავსტრიული ნაციონალური პროგრამის თეორიული საფუძვლების **პრინციპული** უმწეობა, ერის ავსტრიული თეორიის **პრინციპული** უმწეობა.

მეორე სტატია («ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი», იხ. «ჟიზნ ნაციონალნოსტეი», 1918 წ.) [105] ასახავს პერიოდს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლება, ცენტრალურ რუსეთში კონტრრევოლუციის დამარცხების შემდეგ, შეეჯახა განაპირა მხარეებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებს, როგორც კონტრრევოლუციის კერებს, როცა ანტანტამ, მის (ანტანტის) კოლონიებზე საბჭოთა ხელისუფლების მზარდი გავლენით შეშფოთებულმა, აშკარად დაუჭირა მხარი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებს საბჭოთა რუსეთის ჩახრჩობის მიზნით, როცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის მსვლელობაში ჩვენს წინაშე დადგა პრაქტიკული საკითხი საოლქო საბჭოთა ავტონომიის კონკრეტული ფორმებისა, განაპირა მხარეებში ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკების შექმნისა, აღმოსავლეთის

ჩაგრულ ქვეყნებზე რუსეთის აღმოსავლეთი განაპირა მხარეების საშუალებით საბჭოთა რუსეთის გავლენის გავრცელებისა, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნისა. სტატია აღნიშნავს ნაციონალური საკითხისა და ძალაუფლების საკითხის განუწყვეტელ კავშირს და ნაციონალურ პოლიტიკას განიხილავს როგორც ჩაგრული ხალხებისა და კოლონიების საერთო საკითხის ნაწილს, ე. ი. აღნიშნავს სწორედ იმას, რის წინააღმდეგაც ჩვეულებრივ ილაშქრებდნენ «ავსტრიული სკოლა», მენშევიკები, რეფორმისტები, II ინტერნაციონალი, და რაც შემდეგ ამბების მთელმა მსვლელობამ დაადასტურა.

მესამე სტატია («საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში», იხ. «ჟიზნ ნაციონალნოსტეი», 1920 წ. ოქტომბერი) [106] ეკუთვნის საოლქო საბჭოთა ავტონომიის საფუძველზე რუსეთის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ხელახალი ადმინისტრაციული დაყოფის ახლანდელ პერიოდს, განაპირა მხარეებში ადმინისტრაციული კომუნებისა და ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკების, როგორც რსფსრ შემადგენელი ნაწილების, შექმნის პერიოდს. სტატიის სიმძიმის ცენტრია საბჭოთა ავტონომიის ფაქტიური განხორციელების საკითხი, ე. ი. საკითხი ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის რევოლუციური კავშირის უზრუნველყოფისა, როგორც გარანტიისა იმპერიალიზმის ინტერვენციონისტულ წამოწყებათა წინააღმდეგ.

შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, რომ სტატია გადაჭრით უკუაგდებს რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნას, როგორც კონტრრევოლუციურ წამოწყებას. მაგრამ ამაში არსებითად არაფერია უცნაური. ჩვენ ანტანტისაგან ინდოეთის, არაბეთის, ეგვიპტის, მაროკოს და სხვა კოლონიების გამოყოფის **მომხრენი** ვართ, ვინაიდან

ამ შემთხვევაში გამოყოფა ნიშნავს ამ ჩაგრული ქვეყნების განთავისუფლებას იმპერიალიზმისაგან, იმპერიალიზმის პოზიციების შესუსტებას, რევოლუციის პოზიციების გაძლიერებას. ჩვენ **წინააღმდეგნი** ვართ რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოყოფა ნიშნავს იმპერიალისტურ მონობას განაპირა მხარეებისათვის, რუსეთის რევოლუციური ძლიერების შესუსტებას, იმპერიალიზმის პოზიციების გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, ინდოეთის, ეგვიპტის, არაბეთისა და სხვა კოლონიების გამოყოფის წინააღმდეგ რომ იბრძვის, ანტანტა ამასთან ერთად იბრძვის რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფისათვის. სწორედ ამიტომ, ანტანტისაგან კოლონიების გამოყოფისათვის რომ იბრძვიან, კომუნისტებს ამასთან ერთად არ შეუძლიათ არ იბრძოლონ რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფის წინააღმდეგ. ცხადია, გამოყოფის საკითხი წყდება კონკრეტული საერთაშორისო პირობების მიხედვით, რევოლუციის ინტერესების მიხედვით.

პირველი სტატიიდან შეიძლებოდა ამოგველო ზოგიერთი ადგილი, რაც მხოლოდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ სტატიის პოლემიკური ხასიათის გამო საჭირო გახდა მისი მთლიანად და უცვლელად დატოვება. მეორე და მესამე სტატიაც უცვლელად იბეჭდება.

1920 წ., ოქტომბერი.

ი. სტალინი. სტატიების კრებული.
სახელმწიფო გამომცემლობა,
ტულა, 1920.

რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

მოხსენება დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირზე ქ. კავკავში 1920 წ. 27 ოქტომბერს

ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლუციამდე დასავლეთ ევროპის სოციალისტთა ზოგიერთ წრეში არსებობდა რწმენა, რომ სოციალისტური რევოლუცია შეიძლება მოხდეს და წარმატებით დაგვირგვინდეს უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში, ამასთან ერთნი ვარაუდობდნენ, ასეთი ქვეყანა ინგლისი იქნებაო, მეორენი — ბელგიაო და სხვა. მაგრამ თითქმის ყველა ლაპარაკობდა იმას, რომ კაპიტალისტურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატი მრავალრიცხოვანი არ არის და ნაკლებად ორგანიზებულია, როგორც, მაგალითად, რუსეთში, სოციალისტური რევოლუცია ვერ დაიწყებაო. ოქტომბრის გადატრიალებამ გააბათილა ეს შეხედულება, ვინაიდან სოციალისტური რევოლუცია დაიწყო სწორედ იმ ქვეყანაში, რომელიც კაპიტალისტურად ჩამორჩენილია, ე. ი. რუსეთში.

შემდეგ, ოქტომბრის გადატრიალების ზოგიერთი მონაწილე დარწმუნებული იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია რუსეთში შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს და ეს წარმატება შეიძლება მტკიცე იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციას რუსეთში უშუალოდ მოჰყვება რევოლუციური აფეთქება დასავლეთში, უფრო ღრმა და სერიოზული აფეთქება, რომელიც მხარს დაუჭერს და წინ წასწევს რევოლუციას რუსეთში, ამასთან ვარაუდობდნენ, რომ ასეთი აფეთქება აუცილებლად დაიწყებოდა. მოვლენებმა ეს შეხედულებაც გააბათილეს, ვინაიდან სოციალისტური რუსეთი, რომელმაც დასავლეთის პროლეტარიატის მხრივ პირდაპირი რევოლუციური მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და მტრული სახელმწიფოებით არის გარემოცული, უკვე სამი წელიწადია წარმატებით განაგრძობს არსებობასა და განვითარებას.

აღმოჩნდა, რომ სოციალისტური რევოლუცია შეიძლება არა მარტო დაიწყოს კაპიტალისტურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, არამედ წარმატებითაც დაგვირგვინდეს, წინ იაროს და კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისათვის მაგალითი იყოს.

ამრიგად, თათბირის მიერ დღის წესრიგში დაყენებული საკითხი რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ შემდეგ სახეს იღებს: შეუძლია თუ არა რუსეთს, რომელიც ცოტად თუ ბევრად თავის ანაბარად არის მიტოვებული და წარმოადგენს მტრული კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულს სოციალიზმის ერთგვარ ოაზისს, შეუძლია თუ არა ამ რუსეთს შემდეგშიც შეინარჩუნოს არსებობა, ამარცხოს და ანადგუროს თავისი მტრები ისევე, როგორც ამას ამ დრომდე აკეთებდა?

ამ საკითხის გადასაწყვეტად უწინარეს ყოვლისა საჭიროა გამორკვეულ იქნას ის პირობები, რომლებიც უზრუნ-

ველყოფენ და შემდეგშიც შეუძლიათ უზრუნველყონ საბჭოთა რუსეთის არსებობა და წარმატებანი. ეს პირობები ორგვარია: მუდმივი, ჩვენგან დამოუკიდებელი პირობები, და ცვალებადი, ადამიანებისაგან დამოკიდებული პირობები.

პირველი პირობების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ რუსეთი წარმოადგენს თვალუწვდენელ, უზარმაზარ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც შეიძლება დიდხანს გაძლება, წარუმატებლობის შემთხვევაში ქვეყნის სიღრმეში უკანდახევა იმისათვის, რომ მოვიკრიბოთ ძალები და ხელახლა გადავიდეთ შეტევაზე. რუსეთი რომ პატარა ქვეყანა იყოს, როგორიც უნგრეთია, სადაც ძლიერი შეტევა მოწინააღმდეგის მხრივ სწრაფად წყვეტს ქვეყნის ბედს, სადაც ძნელია მანევრირება, სადაც უკანდასახევი ადგილი არ არის, რუსეთი ასეთი პატარა ქვეყანა რომ იყოს, მას, როგორც სოციალისტურ ქვეყანას, საეჭვოა რომ ასე დიდხანს გაეძლო.

შემდეგ, არის კიდევ მეორე პირობა, ისიც მუდმივი ხასიათისა, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური რუსეთის განვითარებას. ეს გარემოებაა ის, რომ რუსეთი მიეკუთვნება მსოფლიოს იმ მცირეოდენი ქვეყნების რიცხვს, რომლებიც შიგნით მდიდარი არიან ყველა სახის სათბობით, ნედლეულითა და სურსათით, ე. ი. წარმოადგენს სათბობის, სურსათისა და სხვა მხრივ უცხოეთისაგან დამოუკიდებელ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია ამ მხრივ უუცხოეთოდ გაძლოს. ეჭვი არ არის, რუსეთი სხვისი პურითა და სათბობით რომ ცხოვრობდეს, როგორც, მაგალითად, იტალია, იგი კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა რევოლუციის მეორე დღესვე, ვინაიდან საკმარისი იქნებოდა მისი ბლოკირება, რომ იგი უპუროდ და უსათბობოდ დარჩენილიყო. რუსეთის ბლოკადამ კი, რაც ანტანტამ წამოიწყო,

ზიანი მიაყენა არა მარტო რუსეთის ინტერესებს, არამედ თვით ანტანტის ინტერესებსაც, ვინაიდან უკანასკნელმა რუსეთის ნედლეული დაკარგა.

მაგრამ მუდმივ პირობებს გარდა არის კიდევ ცვალებადი პირობები, რომლებიც იმდენადვე საჭიროა საბჭოთა რუსეთის არსებობისა და განვითარებისათვის, როგორც მუდმივი პირობები. როგორია ეს პირობები? ეს არის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ რუსეთის რეზერვებს. საქმე ის არის, რომ რუსეთსა და ანტანტას შორის იმ გააფთრებული ომის დროს, რომელიც სამი წელიწადია გრძელდება და კიდევ სამ წელიწადს შეიძლება გაგრძელდეს, ასეთი ომის დროს საბრძოლო რეზერვების საკითხი გადამწყვეტი საკითხია.

როგორია ანტანტის რეზერვები?

როგორია ჩვენი რეზერვები?

ანტანტის რეზერვები — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ვრანგელის ჯარები და ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოების ახალგაზრდა არმიები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მოწამლული «კლასობრივ წინააღმდეგობათა შხამით» (პოლონეთი, რუმინეთი, სომხეთი, საქართველო და სხვ.). ამ მხრივ ანტანტის სუსტი პუნქტი ის არის, რომ მას არა ჰყავს თავისი საკუთარი კონტრრევოლუციური არმია. დასავლეთში რევოლუციური მოძრაობის გამო მას არ ძალუძს რუსეთის წინააღმდეგ დასძრას თავისი, ე. ი. ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ჯარები, რის გამო იგი იძულებულია სარგებლობდეს სხვისი არმიებით, რომლებსაც იგი აფინანსებს, მაგრამ არ შეუძლია სავსებით თავისი შეხედულებისამებრ განაგებდეს მათ, როგორც საკუთარ არმიებს. ის ფაქტი, რომ ეს არმიები ანტანტის დირექტივებით მოქმედებენ, სრულიადაც ვერ უარყოფს იმ უთანხმოებებს, რომლებიც არსებობენ და იარსებებენ ანტანტასა და იმ სახელმწიფოების ნაციონალურ ინტერე-

სებს შორის, რომელთა ჯარებითაც ანტანტა სარგებლობს. პოლონეთთან ზავი, რომელიც ხელმოწერილ იქნა ანტანტის ზეგავლენის მიუხედავად, ერთხელ კიდევ ადასტურებს ასეთ უთანხმოებათა არსებობას. ეს გარემოება კი არ შეიძლება ძირს არ უთხრიდეს ანტანტის საბრძოლო რეზერვების შინაგან ძლიერებას.

მეორეც, ანტანტის რეზერვებს შეადგენენ კონტრრევოლუციური ძალები, რომლებიც ჩვენი არმიების ზურგში მოქმედებენ, ყოველგვარ პარტიზანულ და სხვა გამოსვლებს აწყობენ.

ბოლოს, არის კიდევ ანტანტის რეზერვები, რომლებიც ანტანტის მიერ დამონებულ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში მოქმედებენ, რათა ჩაახრჩონ რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ამ ქვეყნებში იწყება.

ალარას ვამბობთ ანტანტის რეზერვებზე თვით ევროპაში ყველა და ყოველგვარ მორიელთა სახით, თვით II ინტერნაციონალამდე, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური რევოლუციის ჩახრჩობას დასავლეთში.

რუსეთის რეზერვები — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, წითელი არმია, არმია, რომელიც მუშებისა და გლეხებისაგან შედგება. ანტანტის მიერ დაქირავებული და მოსყიდული არმიებისაგან წითელი არმია იმით განსხვავდება, რომ იგი ომობს თავისი საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომ მისი ინტერესები უერთდება იმ ქვეყნის ინტერესებს, რომლისთვისაც იგი სისხლსა ღვრის, და იმ მთავრობის ინტერესებს, რომლის დირექტივებითაც იგი ომობს. ამაშია საბჭოთა რუსეთის ძირითადი რეზერვების შინაგანი დაუშრეტელი ძლიერება.

მეორეც, რუსეთის რეზერვებს შეადგენენ ის რევოლუციური მოძრაობანი დასავლეთში, რომლებიც ვითარდებიან და სოციალისტურ რევოლუციაში გადადიან. ეჭვი არ არის, დასავლეთში ეს რევოლუციური მოძრაობა რომ არ

იყოს, ანტანტას ეყოლებოდა თავისი საკუთარი კონტრრევოლუციური ჯარები და გაბედავდა რუსეთის საქმეებში პირდაპირი სამხედრო ჩარევა მოეხდინა.

ბოლოს, რუსეთის რეზერვებს შეადგენს ის მზარდი მღელვარება აღმოსავლეთში და ანტანტის კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში, რომელიც გადადის აშკარა რევოლუციურ მოძრაობაში იმპერიალიზმის უღლისაგან აღმოსავლეთის ქვეყნების განსათავისუფლებლად და იმუქრება დააკარგვინოს ანტანტას ნედლეულისა და სათბობის წყაროები. საჭიროა გვახსოვდეს, რომ კოლონიები იმპერიალიზმის აქილესის ქუსლია, რომელზე დარტყმაც ანტანტას კრიზისულ მდგომარეობაში აყენებს. ეჭვი არ არის, რომ რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთში ქმნის ანტანტის გარშემო რწმენის უქონლობისა და რღვევის ატმოსფეროს.

ასეთია ჩვენი რეზერვები.

როგორია ამ ფაქტორების ისტორიული განვითარება? 1918 წელს საბჭოთა რუსეთი წარმოადგენდა ნედლეულის, სურსათის, სათბობის წყაროებისაგან (უკრაინა, კავკასია, ციმბირი, თურქესტანი) მოწყვეტილ შიდა რუსეთს, რომელსაც არ ჰყავდა სერიოზული არმია, მხარს არ უჭერდა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი. მაშინ ანტანტას შეეძლო ელაპარაკნა რუსეთის საქმეებში პირდაპირ სამხედრო ჩარევაზე, რასაც კიდევაც აკეთებდა. ორი წლის შემდეგ რუსეთი უკვე სულ სხვა სურათს წარმოადგენს. ციმბირი, უკრაინა, კავკასია და თურქესტანი უკვე განთავისუფლებულია. იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი დამარცხებული არიან. ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოების ნაწილი (ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი) ნეიტრალიზებულია. დენიკინის არმიის ნაშთები (ვრანგელის არმია) დღეს-ხვალ განადგურებული იქნება. რევოლუციური მოძრაობა დასავლეთის

ქვეყნებში სწრაფად ვითარდება და ამაგრებს თავის საბრძოლო ორგანოს — III ინტერნაციონალს, ამასთან ანტანტა ველარ ბედავს იოცნებოს რუსეთის საქმეებში პირდაპირ სამხედრო ჩარევაზე. ანტანტის წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთში იზრდება, გამოყოფს თავის ბირთვს რევოლუციური თურქეთის სახით და ქმნის თავის საბრძოლო ორგანოს მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტის [107] სახით.

მოკლედ: ანტანტის რეზერვები დღითიდღე ილევა, საბჭოთა რუსეთის რეზერვები ივსება.

ცხადია, რუსეთის დამარცხების შანსები ახლა, 1920 წელს, ნაკლებია, გაცილებით ნაკლები, ვიდრე ორი წლის წინათ იყო. ცხადია, თუ ორი წლის წინათ რუსეთმა გაუძლო ანტანტის შემოტევას, იგი მით უფრო გაუძლებს მას ახლა, როცა რუსეთის რეზერვები ბრძოლის ყველა დარგში იზრდება.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ანტანტასთან ომი თავდება, რომ ჩვენ შეგვიძლია იარაღი მოვიხსნათ, ჯარები დავითხოვოთ და მშვიდობიან შრომას შევუდგეთ?

არა, არ ნიშნავს. ანტანტას, რომელიც ძალაუნებურად შეურიგდა პოლონელებთან ზავის ხელმოწერის ფაქტს, ყველა მონაცემის მიხედვით, განზრახვა არა აქვს მოიხსნას იარაღი, მას, როგორც ჩანს, განზრახვა აქვს საომარი მოქმედების ასპარეზი გადაიტანოს სამხრეთში, ამიერკავკასიის რაიონში, ამასთან სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველო, როგორც ამას ანტანტის ხარჯზე მცხოვრების მდგომარეობა ავალებს, უარს არ იტყვის სამსახური გაუწიოს ანტანტას.

ანტანტა რუსეთთან ერთად, ცხადია, ვერ თავსდება დედამიწაზე, ერთი ამ მხარეთაგანი უნდა დაიღუპოს იმისათვის, რომ დედამიწაზე მშვიდობა დამყარდეს. თუ საკითხი ასე დგას, თუ ანტანტა ასე აყენებს მას, — იგი კი

საკითხს მხოლოდ ასე აყენებს, — ცხადია, რუსეთს არ შეუძლია მოიხსნას იარაღი. პირიქით, ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ავამოძრაოთ ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები ახალი დარტყმის მოსაგერიებლად. წითელი არმიის, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ამ დამცველის, გაძლიერება და განმტკიცება, დასავლეთში სოციალისტური რევოლუციისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა, მთელი ძალებით, მთელი საშუალებებით მხარდაჭერა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, რომლებიც ანტანტის წინააღმდეგ იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის, — აი ჩვენი მორიგი მოვალეობანი, რომლებიც განუხრელად, მთელი ენერგიით უნდა შევასრულოთ, თუ გვინდა გავიმარჯვოთ.

და ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ, თუ პატიოსნად შევასრულებთ ამ მოვალეობებს.

ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, მე მინდა მოვიხსენიო ერთი პირობა, ურომლისოდაც რევოლუციის გამარჯვება დასავლეთში მეტისმეტად გაძნელდებოდა. მე ვლაპარაკობ სასურსათო ფონდის შექმნაზე დასავლეთის რევოლუციისათვის. საქმე ის არის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებ (გერმანია, იტალია და სხვ.) სავსებით დამოკიდებული არიან ამერიკისაგან, რომელიც ევროპას პურით ამარაგებს. რევოლუციის გამარჯვება ამ ქვეყნებში პროლეტარიატს დააყენებდა სასურსათო კრიზისის წინაშე რევოლუციის მეორე დღესვე, თუ ბურჟუაზიული ამერიკა უარს იტყოდა მოემარაგებინა ისინი პურით, რაც სავსებით შესაძლოა. რუსეთს არა აქვს განსაკუთრებული სასურსათო მარაგი, მაგრამ იგი მაინც შეძლებდა ერთგვარი მარაგის შეგროვებას და, დასახული სასურსათო პერსპექტივის შესაძლებლობისა და მოსალოდნელობის გამო, კარგი იქნებოდა ახლავე დაგვეყენებინა საკითხი ჩვენი დასავლეთელი ამხა-

ნაგების დასახმარებლად რუსეთში სასურსათო ფონდის შექმნის შესახებ. ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ზოგიერთი ამხანაგი, მაგრამ მას, როგორც ხედავთ, შეიძლება უაღრესად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს დასავლეთში რევოლუციის მსვლელობისა და დაბოლოებისათვის.

«კომუნისტ» (კავკავი) № 172,
1920 წ. 30 ოქტომბერი.

პროლეტარული დიქტატურის სამი წელი

მოხსენება ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1920 წ. 6 ნოემბერს

ამხანაგებო! სანამ ჩემს მოხსენებაზე გადავიდოდე, მინდა გადმოგცეთ თქვენ, ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს, სალამი რუსეთის საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან, სახალხო კომისართა საბჭოსაგან — აზერბაიჯანის რევოლუციურ კომიტეტს და მის მეთაურს, ამხ. ნარიმანოვს, ხოლო რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელით მხურვალე სალამს გადავცემ XI წითელ არმიას, რომელმაც გაათავისუფლა აზერბაიჯანი და თავისი მკერდით იცავს მის თავისუფლებას. (ტაში).

უეჭველია, რუსეთის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობას სამი წლის მანძილზე ძირითად საკითხს რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი წარმოადგენს. იყო დრო, როცა საბჭოთა რუსეთს ვერ ამჩნევდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ, არ სცნობდნენ. ეს იყო პირველი პერიოდი — რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებამდე. ამ პერიოდში დასავლეთის იმპერიალისტები, ორივე კოალიცია — ინგლისური და გერმანული, ურთიერთს დატაკებული, ვერ ამჩნევდნენ საბჭოთა რუსეთს, მათ, ასე ვთქვათ, მისთვის არ ეცალათ.

მეორე პერიოდი იყო პერიოდი გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებიდან და გერმანიის რევოლუციის დაწყებიდან რუსეთზე დენიკინის ფართო შეტევის მომენტამდე, როცა იგი ტულის კართან იდგა. ეს პერიოდი, რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით, იმით განსხვავდება, რომ ანტანტამ — ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კოალიციამ, — გერმანია რომ გაანადგურა, მთელი თავისი თავისუფალი ძალები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დასძრა. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენ გვემუქრებოდნენ 14 სახელმწიფოს კავშირით — რაც შემდეგ მითი აღმოჩნდა.

მესამე პერიოდი ის პერიოდია, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით, როდესაც ჩვენ არა მარტო გვამჩნევენ, როგორც სოციალისტურ სახელმწიფოს, არა მარტო ფაქტიურად გვცნობენ, არამედ კიდევაც ეშინიათ ჩვენი.

პირველი პერიოდი

სამი წლის წინათ, 1917 წლის 25 ოქტომბერს (ანუ 7 ნოემბერს ახალი სტილით) — ბოლშევიკების, პეტროგრადის საბჭოს მოღვაწეების მცირე ჯგუფი შეიკრიბა და გადაწყვიტა გარს შემორტყმოდა კერენსკის სასახლეს, ტყვედ წამოეყვანა მისი უკვე გახრწნილი ჯარები და ძალაუფლება გადაეცა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების 2 ყრილობისათვის, რომელიც მაშინ შეიკრიბა.

იმ მომენტში ბევრნი ჩვენ გვიცქეროდნენ, უკეთეს შემთხვევაში, როგორც უცნაურ ადამიანებს, უარეს შემთხვევაში, — როგორც «გერმანიის იმპერიალიზმის აგენტებს».

საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით ამ პერიოდისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა საბჭოთა რუსეთის სრული მარტოობის პერიოდი.

არა მარტო ჩვენს გარშემო მდებარე ბურჟუაზიული სახელმწიფოები იჩენდნენ მტრულ დამოკიდებულებას რუსეთისადმი, არამედ ჩვენი დასავლეთელი სოციალისტი «ამხანაგებიც» უნდობლად გვიყურებდნენ.

თუ მაშინ საბჭოთა რუსეთი მაინც დარჩა როგორც სახელმწიფო, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ დასავლეთის იმპერიალისტები ურთიერთშორის სერიოზულ ბრძოლას ეწეოდნენ. ამასთანავე, ბოლშევიკების ექსპერიმენტს რუსეთში ისინი ირონიულად უყურებდნენ: მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბოლშევიკები საკუთარი სიკვდილით მოკვდებოდნენ.

საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით ეს პერიოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც პერიოდი ძველი სამყაროს დანგრევისა რუსეთში, როგორც პერიოდი ძველი ბურჟუაზიული ხელისუფლების მთელი აპარატის დანგრევისა.

ჩვენ თეორიულად ვიცოდით, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს ძველი სახელმწიფო მანქანა და აამუშაოს იგი. მარქსის მიერ მოცემული ეს ჩვენი თეორიული დებულება მთლიანად დადასტურდა ფაქტებით, როცა ჩვენ შევხვდით საბოტაჟის მთელ ხანას მეფის მოხელეების, მოსამსახურეებისა და პროლეტარიატის ზედაფენის ერთი ნაწილის მხრივ, — ხანას, რომელიც ალსავსე იყო სახელმწიფო ხელისუფლების დეზორგანიზაციით.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირველი და ყველაზე მთავარი აპარატი, ძველი არმია და მისი გენერალიტეტი, დამსხვრეულ იქნა. ეს ძვირად დაგვიჯდა. ამ დამსხვრევის შედეგად ჩვენ იძულებული გავხდით დროებით სრულიად უარმიოდ დავრჩენილიყავით და ბრესტის ზავისათვის მოგვეწერა ხელი. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, ისტორიას ჩვენთვის არ მოუცია პროლეტარიატის განთავისუფლების არავითარი სხვა გზა.

შემდეგ დაშლილ და დამსხვრეულ იქნა მეორე, ბურჟუაზიის ხელში ამდენადვე მნიშვნელოვანი აპარატი — მოხელეთა აპარატი, ბურჟუაზიული ადმინისტრაციის აპარატი.

ქვეყნის სამეურნეო მართვის დარგში ყველაზე დამახასიათებელია ის, რომ ბურჟუაზიას ხელიდან გამოვგლიჯეთ ბურჟუაზიის სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ნერვი — ბანკები. ბანკები ხელიდან გამოვგლიჯეთ ბურჟუაზიას, და უკანასკნელი, ასე ვთქვათ, უსულოდ იქნა დატოვებული. შემდეგში წარმოებს მუშაობა სამეურნეო ცხოვრების ძველი აპარატების დასანგრევად და ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია — მისთვის ფაბრიკა-ქარხნების ჩამორთმევა და მათი გადაცემა მუშათა კლასის ხელში. ბოლოს, ძველი სასურსათო აპარატების დანგრევა და ახლების აშენების ცდა, რომლებსაც შეეძლებოდათ შეეგროვებინათ პური და გაენაწილებინათ იგი მოსახლეობაში. დასასრულ — დამფუძნებელი კრების ლიკვიდაცია. აი, დაახლოებით, ყველა ის ღონისძიება, რომლებიც საბჭოთა რუსეთს ამ პერიოდში უნდა გაეტარებინა ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დანგრევის მიზნით.

მეორე პერიოდი

მეორე პერიოდი იწყება იმ დროიდან, როცა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კოალიციამ დაამარცხა გერმანიის იმპერიალიზმი და საბჭოთა რუსეთთან ანგარიშის გასწორებას შეუდგა.

საერთაშორისო თვალსაზრისით ეს პერიოდი ხასიათდება როგორც ანტანტის ძალებსა და საბჭოთა რუსეთის ძალებს შორის აშკარა ომის პერიოდი. თუ პირველ პერიოდში ჩვენ ვერ გვამჩნევდნენ, დაგვცინოდნენ და აბუჩად გვიგდებდნენ, ამ პერიოდში, პირიქით, მთელი შავბნელი ძალები აფორიაქდნენ, რათა რუსეთში ბოლო მოეღოთ

ეგრეთწოდებული «ანარქიისათვის», რომელიც დაშლას უქადდა მთელ კაპიტალისტურ სამყაროს.

საშინაო ურთიერთობის თვალსაზრისით ეს პერიოდი უნდა დახასიათდეს როგორც მშენებლობის პერიოდი, როგორც ისეთი პერიოდი, როცა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძველი აპარატების დანგრევა ძირითადად დამთავრდა და როცა დაიწყო მშენებლობის ახალი ხანა, როცა წარმოებს მოწესრიგება მეპატრონეთათვის ჩამორთმეული ფაბრიკა-ქარხნებისა, ეწყობა ნამდვილი მუშათა კონტროლი, ხოლო შემდეგ პროლეტარიატი კონტროლიდან გადადის პირდაპირ მმართველობაზე, როცა დანგრეული სასურსათო აპარატის ნაცვლად შენდება ახალი, დანგრეული სარკინიგზო აპარატის ნაცვლად ცენტრში და ადგილებზე შენდება ახალი ორგანოები, ძველი არმიის ნაცვლად — ახალი.

უნდა ვაღიაროთ, რომ მშენებლობა ამ პერიოდში საერთოდ მოიკოჭლებს, რადგან ძირითადი სააღმშენებლო ენერგია — ამ ენერგიის ცხრა მეათედი—ხმარდება წითელი არმიის შექმნას, ვინაიდან ანტანტის ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საქმე ეხება საბჭოთა რუსეთის თვით არსებობას, ხოლო ამ პერიოდში არსებობის შენარჩუნება მხოლოდ მძლავრი წითელი არმიის ძალებით შეიძლებოდა. და უნდა ითქვას, რომ ჩვენს ღონისძიებებს ფუჭად არ ჩაუვლია, ვინაიდან წითელმა არმიამ, რომელმაც იუდენიჩი და კოლჩაკი დაამარცხა, უკვე ამ პერიოდში გვიჩვენა მთელი თავისი ძლიერება.

რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით ამ მეორე პერიოდს შეიძლება ეწოდოს რუსეთის მარტოობის, იზოლირებულობის თანდათანობითი ლიკვიდაციის პერიოდი. ჩნდებიან რუსეთის პირველი მოკავშირეები. გერმანიის რევოლუციამ გამოჰყო მუშათა შემჭიდროებული კადრები, კომუნისტური კადრები, და საფუძველი

ჩაუყარა ახალ კომუნისტურ პარტიას ლიბკნეხტის ჯგუფის სახით.

საფრანგეთში პატარა ჯგუფი, რომელსაც წინათ ვერ ამჩნევდნენ, ლორიოს ჯგუფი, კომუნისტური მოძრაობის სერიოზულ ჯგუფად იქცევა. იტალიაში კომუნისტური მიმდინარეობა, რომელიც პირველ ხანებში სუსტი იყო, ედება იტალიის თითქმის მთელ სოციალისტურ პარტიას, მის უმრავლესობას.

აღმოსავლეთში, წითელი არმიის წარმატებებთან დაკავშირებით, იწყება მღელვარება, რომელიც, მაგალითად, თურქეთში ანტანტისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ პირდაპირ ომად გადაიქცა.

თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოები ამ პერიოდში აღარ წარმოადგენენ რუსეთისადმი მტრულად განწყობილ იმ შემჭიდროებულ მასას, რომელსაც ისინი პირველ პერიოდში წარმოადგენდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხში თვით ანტანტის შიგნით არსებულ უთანხმოებაზე, რაც დროთა ვითარებაში ძლიერდება. უკვე გაისმის ხმები რუსეთთან მოლაპარაკების, მასთან შეთანხმების შესახებ. ასეთებია, მაგალითად, ესტონეთი, ლატვია, ფინეთი.

ბოლოს, ინგლის-საფრანგეთის მუშებს შორის პოპულარულად ქცეული ლოზუნგი «ხელები შორს რუსეთისაგან» შეუძლებელს ხდის ანტანტის პირდაპირ შეიარაღებულ ჩარევას რუსეთის საქმეებში. ანტანტა იძულებულია ხელი აიღოს რუსეთის წინააღმდეგ ინგლისელი და ფრანგი ჯარისკაცების გაგზავნაზე. ანტანტა იძულებულია დასჯერდეს რუსეთის წინააღმდეგ უცხო არმიების გამოყენებას, მაგრამ ამ არმიებს იგი ვერ განაგებს თავისი შეხედულებისამებრ.

მესამე პერიოდი

მესამე პერიოდი სწორედ ის პერიოდია, რომელსაც ახლა განვიცდით. ამ პერიოდს შეიძლება გარდამავალი ეწოდოს. ამ პერიოდის პირველი ნახევარი იმით განირჩევა, რომ რუსეთმა, რომელმაც დაამარცხა მთავარი მტერი — დენიკინი — და ითვალისწინებს ომის დასასრულს, მიზნად დაისახა ომის მიზნებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო აპარატები გადაიყვანოს ახალ რელსებზე, სამეურნეო მშენებლობის რელსებზე. თუ წინათ ამბობდნენ: «ყველაფერი ომისათვის», «ყველაფერი წითელი არმიისათვის», «ყველაფერი გარეშე მტერზე გამარჯვებისათვის», ახლა ამბობენ: «ყველაფერი სამეურნეო ცხოვრების განმტკიცებისათვის». მაგრამ მესამე პერიოდის ეს ხანა, რომელიც დენიკინის განადგურებისა და უკრაინიდან მისი განდევნის შემდეგ დაიწყო, მაინც შეწყდა რუსეთზე პოლონეთის თავდასხმით. აქ ანტანტა მიზნად ისახავდა ხელი შეეშალა საბჭოთა რუსეთისათვის მეურნეობრივად მომაგრებულიყო და მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო გამხდარიყო. ანტანტას ამისი ეშინოდა, და მან რუსეთს პოლონეთი მოუსია.

საჭირო გახდა სახელმწიფოს აპარატები, რომლებიც უკვე შეეწყვნენ სამეურნეო მშენებლობას, ხელახლა გარდაგვექმნა, საჭირო გახდა უკრაინაში, ურალში, დონზე შექმნილი შრომითი არმიები ხელახლა გარდაგვექმნა სამხედრო ყაიდაზე იმისათვის, რომ მათ გარშემო დაგვეარაზმა საბრძოლო ნაწილები და პოლონეთის წინააღმდეგ გაგვეგზავნა. ეს პერიოდი მთავრდება იმით, რომ პოლონეთი უკვე ნეიტრალიზებულია და ახალი გარეშე მტრები ჯერჯერობით არა გვყავს. ერთადერთი პირდაპირი მტერი — ეს არის ნაშთები დენიკინის არმიისა ვრანგელის სახით, რომელსაც ამჟამად ჩვენი ამხ. ბუდიონი ანადგურებს.

ახლა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ყოველ შემთხვევაში მცირე ხნით საბჭოთა რუსეთი მიიღებს მნიშვნელოვან შესვენებას იმისათვის, რომ მთელი ენერგია თავისი დაუღალავი მუშაკებისა, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთი დღის განმავლობაში მიწის ქვეშიდან აღმოაცენეს წითელი არმია, წარმართოს სამეურნეო მშენებლობის გზით, ფეხზე დააყენოს ქარხნები, მიწათმოქმედება, სასურსათო ორგანოები.

საგარეო, საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით მესამე პერიოდი იმით არის დამახასიათებელი, რომ არა მარტო თავი დაანებეს რუსეთის უგულებელყოფას და არა მარტო დაიწყეს მასთან ბრძოლა და მთელი ძალებით გამოყვანა სცენაზე 14 მითური სახელმწიფოსიც კი, რომლებითაც ჩერჩილი ემუქრებოდა რუსეთს, არამედ, რამდენჯერმე დამარცხებულებმა, შიშითაც კი დაუწყეს ცქერა რუსეთს, რაკი გრძნობენ, რომ რუსეთის სახით იზრდება უდიდესი სოციალისტური სახალხო სახელმწიფო, რომელიც თავს არავის დააჩაგვრინებს.

საშინაო ურთიერთობის თვალსაზრისით ეს პერიოდი იმით განირჩევა, რომ რუსეთს ვრანგელის განადგურების შემდეგ ხელ-ფეხი ეხსნება, და იგი მთელ თავის ძალებს ანდომებს საშინაო მშენებლობას, ამასთან უკვე ახლავე ემჩნევა, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები გაცილებით უკეთესად, გაცილებით უფრო საფუძვლიანად მუშაობენ, ვიდრე ეს მეორე პერიოდში იყო. 1918 წლის ზაფხულში მოსკოვის მუშები ორ დღეში ერთხელ იღებდნენ ⅛ გირვანქა კოპტონნარევ პურს. ეს სამწუხარო, ეს ძნელი პერიოდი გავლილია. მოსკოვის მუშები, ისევე როგორც პეტროგრადისა, ახლა დღეში გირვანქანახევარ პურს იღებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სასურსათო ორგანოები

მოგვარებულია, გაუმჯობესებულია, მათ ისწავლეს პურის შეგროვება.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკას შინაური მტრების მიმართ, იგი ისეთივე პოლიტიკად უნდა რჩებოდეს და რჩება, როგორიც იყო სამივე პერიოდში, ე. ი. პროლეტარიატის ყველა მოწინააღმდეგის დათრგუნვის პოლიტიკად. ეს პოლიტიკა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს «საყოველთაო თავისუფლების» პოლიტიკად, — პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში არ შეიძლება გვქონდეს არავითარი საყოველთაო თავისუფლება, ე. ი. ბურჟუაზიისათვის არავითარი თავისუფლება სიტყვისა, პრესისა და სხვ. ჩვენი საშინაო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარულ ფენებს ქალაქად და სოფლად მივანიჭოთ თავისუფლების მაქსიმუმი იმისათვის, რომ ბურჟუაზიული კლასის ნაშთები თავისუფლების მინიმუმსაც კი ვერ იღებდნენ.

ამაშია დედაარსი ჩვენი პოლიტიკისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას ეყრდნობა.

პერსპექტივები

რა თქმა უნდა, ჩვენი საალმშენებლო მუშაობა ამ სამი წლის მანძილზე ისე წარმატებული არ ყოფილა, როგორც ეს სასურველი იყო, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ მუშაობის ის ძნელი, აუტანელი პირობები, რომლებსაც თავიდან ვერ მოვიშორებთ და რომელთა წინააღმდეგაც დავა არ შეიძლება, მაგრამ რომლებიც უნდა დავძლიოთ.

ჯერ-ერთი, ჩვენ გვიხდებოდა შენება ცეცხლის ქვეშ. წარმოიდგინეთ კალატოზი, რომელიც ერთი ხელით აშენებს და მეორე ხელით იცავს იმ სახლს, რომელსაც აშენებს.

მეორეც, ჩვენ ვაშენებდით არა ბურჟუაზიულ მეურნეობას, სადაც ყველა თავის კერძო ინტერესებს იცავს, არ

ზრუნავს სახელმწიფოზე როგორც მთელზე და თავის თავს არ უყენებს სახელმწიფო მასშტაბის მეურნეობის გეგმაშეზომილი ორგანიზაციის საკითხს. არა, ჩვენ სოციალისტურ საზოგადოებას ვაშენებდით. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავითვალისწინოთ მთელი საზოგადოების მოთხოვნილებანი, მეურნეობა უნდა მოვაწყოთ გეგმაშეზომილად, შეგნებულად, მთელი რუსეთის მასშტაბით. უეჭველია, რომ ეს ამოცანა გაცილებით უფრო რთული და ძნელია.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი საალმშენებლო მუშაობა მაქსიმალურ შედეგებს ვერ მოგვცემდა.

ასეთი ვითარების დროს ჩვენი პერსპექტივები ნათელია: ჩვენ ვდგავართ ჩვენი გარეშე მტრების ლიკვიდაციის მიჯნაზე, ყველა ჩვენი სახელმწიფო აპარატის სამხედრო რელსებიდან სამეურნეო რელსებზე გადაყვანის მიჯნაზე. ჩვენ ვემხრობით მშვიდობას საგარეო პოლიტიკაში, ჩვენ არა ვართ ომის მომხრენი. მაგრამ თუ თავს მოგვახვევენ ომს, ხოლო ზოგიერთი მონაცემი მოწმობს, რომ ანტანტა ცდილობს საომარი მოქმედების ასპარეზი სამხრეთში, ამიერკავკასიაში გადაიტანოს, თუ ეს ანტანტა, რომელიც ჩვენ რამდენჯერმე დავამარცხეთ, ერთხელ კიდევ მოგვახვევს თავს ომს, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ხელს არ გავუშვებთ იარაღს, არ დავითხოვთ ჩვენს ჯარებს. ისევე, როგორც წინათ, ჩვენ მთელ ძალღონეს ვიხმართ, რომ წითელი არმია ცოცხლობდეს და მზად იყოს საბრძოლველად, რომ მას შეეძლოს ისევე შეუპოვრად და მამაცურად იცავდეს მტრებისაგან საბჭოთა რუსეთს, როგორც დღემდე იცავდა.

თვალს რომ გადავავლებ საბჭოთა ხელისუფლების წარსულს, უნებლიეთ მაგონდება სამი წლის წინანდელი — 1917 წლის 25 ოქტომბრის საღამო. მაგონდება, თუ მაშინ ჩვენ, ბოლშევიკების პატარა ჯგუფმა, ამხანაგ ლენინის

მეთაურობით, რომლებსაც ხელთ გვქონდა პეტროგრადის საბჭო (იგი მაშინ ბოლშევიკური იყო) და გვყავდა უმნიშვნელო წითელი გვარდია, რომლებსაც განკარგულებაში გვყავდა მხოლოდ და მხოლოდ მცირე, ჯერ კიდევ არა სავსებით ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია 200 — 250 ათასი კაცის შემადგენლობით, ჩვენ, ამ პატარა ჯგუფმა, როგორ მოვხსენით ხელისუფლების სათავიდან ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ძალაუფლება გადავეცით მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების 2 ყრილობას.

მას შემდეგ სამმა წელმა განვლო.

და აი, ამ პერიოდში რუსეთმა ცეცხლი და ჭარტეხილი გამოიარა და მსოფლიოს უდიდეს სოციალისტურ სახელმწიფოდ გამოიჭედა.

თუ მაშინ ხელთ გვქონდა მხოლოდ პეტროგრადის საბჭო, ახლა, სამი წლის შემდეგ, ჩვენს გარშემო რუსეთის ყველა საბჭო შემოკრბა.

დამფუძნებელი კრების ნაცვლად, რომლისთვისაც ჩვენი მოწინააღმდეგეები ემზადებოდნენ, ახლა ჩვენ გვაქვს საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც პეტროგრადის საბჭოდან აღმოცენდა.

თუ მაშინ ჩვენ გვყავდა მცირე გვარდია, პეტროგრადის მუშებისაგან შემდგარი, რომელთაც უნარი შესწევდათ გასწორებოდნენ პიტერში აჯანყებულ იუნკრებს, მაგრამ უნარი არ შესწევდათ ებრძოლათ გარეშე მტრის წინააღმდეგ, იმიტომ რომ სუსტნი იყვნენ, ახლა ჩვენ გვყავს მრავალმილიონიანი სახელოვანი წითელი არმია, რომელიც ანადგურებს საბჭოთა რუსეთის მტრებს, რომელმაც დაამარცხა კოლჩაკი, დენიკინი და ახლა ჩვენი კავალერიის ნაცადი ბელადის ამხ. ბუდიონის ხელით ანადგურებს ვრანგელის არმიის უკანასკნელ ნაშთებს.

თუ მაშინ, სამი წლის წინათ, ჩვენ ხელთ გვქონდა მცირე, ჯერ კიდევ არა სავსებით ჩამოყალიბებული პარტია კომუნისტებისა — სულ რაღაც 200 — 250 ათასი წევრი, — ახლა, სამი წლის შემდეგ, ქარტეხილისა და ცეცხლის შემდეგ, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა გამოიარა, ჩვენ გვყავს 700 ათასი წევრისაგან შემდგარი პარტია, ფოლადისაგან ჩამოყალიბებული პარტია, პარტია, რომლის წევრებსაც ყოველ მომენტში შეგვიძლია ადგილი გადავუნაცვლოთ რიგებში და ასეულ ათასობით მოვუყაროთ თავი ყოველგვარ პარტიულ სამუშაოზე, პარტია, რომელსაც არ ეშინია არევდარევისა თავის რიგებში და რომელსაც ცენტრალური კომიტეტის ხელის ერთი დაქნევით შეუძლია გადააჯგუფოს თავისი რიგები და ეკვეთოს მტერს.

თუ მაშინ, სამი წლის წინათ, დასავლეთში იყო მხოლოდ მცირე ჯგუფები, რომლებიც ჩვენ თანაგვიგრძნობდნენ, ლორიოს ჯგუფი საფრანგეთში, მაკლინის ჯგუფი ინგლისში, კაპიტალიზმის არამზადების მიერ მოკლული ლიბკნეხტის ჯგუფი გერმანიაში, — ახლა ჩვენს წინაშე, სამი წლის შემდეგ, გაიზარდა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის უდიდესი ორგანიზაცია — III კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც მიიმხრო ძირითადი პარტიები ევროპაში: გერმანიისა, საფრანგეთისა, იტალიისა. ახლა კომუნისტური ინტერნაციონალის სახით ჩვენ გვაქვს საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ძირითადი ბირთვი, რომელმაც დაამარცხა II ინტერნაციონალი.

და შემთხვევითი როდია, რომ II ინტერნაციონალის ბელადი ბატონი კაუცკი რევოლუციის მიერ გაძევებულია გერმანიიდან, რომ იგი იძულებულია თავშესაფარი ეძებოს ჩამორჩენილ თბილისში, ქართველ სოციალ-მედუქნეებთან [108].

ბოლოს, თუ სამი წლის წინათ ჩაგრული აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ ვხვდებოდით მხოლოდ გულგრილობას რევოლუციისადმი, ახლა აღმოსავლეთი ამოძრავდა,

და ახლა აღმოსავლეთში ჩვენს წინაშეა მთელი რიგი განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელნიც მიმართული არიან ანტანტის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ გვაქვს რევოლუციური ბირთვი, თავის გარშემო რომ რაზმავს ყველა დანარჩენ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებს, ქემალის მთავრობის სახით, რომელიც ბურჟუაზიულ-რევოლუციური მთავრობაა, მაგრამ მაინც იარაღით ხელში ეწევა ბრძოლას ანტანტის წინააღმდეგ.

თუ სამი წლის წინათ ჩვენ ოცნებაც კი არ შეგვეძლო იმაზე, რომ აღმოსავლეთი ამოძრავდებოდა, ახლა ჩვენ გვაქვს არა მარტო აღმოსავლეთის რევოლუციური ბირთვი ბურჟუაზიული რევოლუციური თურქეთის სახით, არამედ ხელთ გვაქვს კიდევ აღმოსავლეთის სოციალისტური ორგანო: «მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტი».

ყველა ეს ფაქტი, რომელიც მოწმობს, თუ რა ღარიბი ვიყავით რევოლუციური მოძრაობის მხრივ სამი წლის წინათ და რა მდიდარი გავხდით ახლა, — ყველა ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა რუსეთი იცოცხლებს, რომ იგი განვითარდება და რომ იგი დაამარცხებს თავის მტრებს.

უეჭველია, ჩვენი გზა იოლი არ არის, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სიძნელენი ჩვენ ვერ გვაშინებენ. ლუთერის ცნობილ სიტყვებს [109] თუ გადავასხვაფერებთ, რუსეთს შეუძლია თქვას:

«მე აქ ვდგავარ, ძველი, კაპიტალისტური, და ახალი, სოციალისტური, სამყაროს მიჯნაზე, აქ, ამ მიჯნაზე, მე ვაერთიანებ დასავლეთის პროლეტარების ძალღონესა და აღმოსავლეთის გლეხობის ძალღონეს იმისათვის, რომ დავამსხვრიოთ ძველი სამყარო. შემეწიოს მე ღმერთი ისტორიისა».

«კომუნისტი» (ბაქო) №№ 157 და 160;
1920 წ. 7 და 11 ნოემბერი.

დაღისტნის ხალხთა ქრილობა [11]

1920 წ. 13 ნოემბერი

1. დეკლარაცია დაღისტნის საბჭოთა ავტონომიის შესახებ

ამხანაგებო! რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობას, რომელიც უკანასკნელ დრომდე დაკავებული იყო ომით სამხრეთშიც და დასავლეთშიც გარეშე მტრების წინააღმდეგ, პოლონეთისა და ვრანგელის წინააღმდეგ, შესაძლებლობა და დრო არა ჰქონდა თავისი ძალები მოეხმარებინა იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, რომელიც დაღისტნელ ხალხს აღელვებს.

ახლა, როცა ვრანგელის არმია განადგურებულია, მისი უბადრუკი ნაშთები ყირიმში გარბიან, ხოლო პოლონეთთან ზავია დადებული, საბჭოთა მთავრობას შესაძლებლობა აქვს ხელი მოჰკიდოს დაღისტნელი ხალხის ავტონომიის საკითხს.

წარსულში ძალაუფლება რუსეთში მეფეების, მემამულეების, მეფაბრიკეებისა და მექარხნეების ხელთ იყო. წარსულში რუსეთი მეფეებისა და ჯალათების რუსეთი იყო. რუსეთი ცხოვრობდა იმით, რომ ჩაგრავდა ყოფილი

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხებს. რუსეთის მთავრობა ცხოვრობდა იმით, რომ ძალღონეს სწოვდა მის მიერ ჩაგრულ ხალხებს, მათ შორის რუს ხალხსაც.

ეს იყო დრო, როცა ყველა ხალხი წყევლა-კრულვით იხსენიებდა რუსეთს. მაგრამ ახლა ეს დრო წარსულს ჩაბარდა. იგი დასამარებულია და ველარასოდეს ვერ აღდგება.

ამ მჩაგვრელი მეფის რუსეთის ძვლებზე აღმოცენდა ახალი რუსეთი — მუშებისა და გლეხების რუსეთი.

დაიწყო რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა ახალი ცხოვრება. დაიწყო ხანა მეფეებისა და მდიდრების, მემამულეებისა და მეფაბრიკეების უღელქვეშ მგმინავი ხალხების განთავისუფლებისა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწყებული ახალი პერიოდი, როცა ძალაუფლება მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდა და ხელისუფლება კომუნისტური გახდა, მარტო რუსეთის ხალხთა განთავისუფლებით როდი ალინიშნა. მან წამოაყენა ამასთანავე ამოცანა საერთოდ ყველა ხალხის განთავისუფლებისა, მათ შორის აგრეთვე აღმოსავლეთის ხალხებისაც, რომლებიც დასავლეთელი იმპერიალისტების ჩაგვრისაგან იტანჯებიან.

რუსეთი გადაიქცა განმათავისუფლებელი მოძრაობის ბერკეტად, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებიც.

საბჭოთა რუსეთი ჩირაღდანია, რომელიც მთელი მსოფლიოს ხალხებს მჩაგვრელთა უღლისაგან განთავისუფლების გზას უნათებს.

ამჟამად რუსეთის მთავრობამ, რომელსაც მტრებზე გამარჯვების მეოხებით შესაძლებლობა მიეცა ხელი მოჰკიდოს შინაგანი განვითარების საკითხებს, საჭიროდ ცნო გამოგიცხადოთ თქვენ, რომ დაღისტანი ავტონომიური უნდა იყოს, რომ იგი ისარგებლებს შინაგანი თვითმმართვე-

ლობით და ამავე დროს რუსეთის ხალხებთან ძმურ კავშირს შეინარჩუნებს.

დაღისტნის მართვა-გამგეობა უნდა წარმოებდეს მისი თავისებურებების, მისი ყოფაცხოვრების, მისი ადათის თანახმად.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ დაღისტნის ხალხებს შორის შარიათს სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ჩვენამდე აგრეთვე მოაწია ცნობამ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ხმებს ავრცელებენ — საბჭოთა ხელისუფლება შარიათს კრძალავსო.

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის სახელით უფლებამოსილი ვარ აქ განვაცხადო, რომ ეს ხმები სწორი არ არის. რუსეთის მთავრობა თვითეულ ხალხს სრულ უფლებას ანიჭებს გაანაგოს თავისი თავი საკუთარი კანონებისა და ადათის საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობას შარიათი ისეთივე უფლებამოსილ ადათად მიაჩნია, როგორიც რუსეთში მოსახლე სხვა ხალხებსაც აქვთ.

თუ დაღისტნელ ხალხს სურს შეინარჩუნოს თავისი ადათ-კანონები, ისინი დაცულ უნდა იქნან.

ამასთანავე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ დაღისტნის ავტონომია არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს მის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან. ავტონომია დამოუკიდებლობა არ არის. რუსეთმა და დაღისტანმა უნდა შეინარჩუნონ ურთიერთშორის კავშირი, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს დაღისტანი შეინარჩუნოს თავისუფლება. დაღისტანს რომ ავტონომიას აძლევს, საბჭოთა მთავრობას გარკვეული მიზანი აქვს — გამოჰყოს ადგილობრივ მუშაკთაგან პატიოსანი და ერთგული ადამიანები, რომლებსაც თავისი ხალხი უყვართ, და მიანდოს მათ დაღისტნის მმართველობის ყველა ორგანო, რო-

გორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული. მხოლოდ ასე და მხოლოდ ამრიგად შეიძლება დაღისტანში საბჭოთა ხელისუფლების დაახლოება ხალხთან. საბჭოთა ხელისუფლებას არავითარი სხვა მიზანი არა აქვს, გარდა იმისა, რომ დაღისტანი ადგილობრივი მუშაკების მიზიდვის გზით უფრო მაღალ კულტურულ საფეხურზე აიყვანოს.

საბჭოთა ხელისუფლებამ იცის, რომ უმეცრება ხალხის პირველი მტერია. ამიტომ საჭიროა ადგილობრივ ენებზე რაც შეიძლება მეტი სკოლები შეიქმნას და მმართველობის ორგანოები ჩამოყალიბდეს.

საბჭოთა ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ დაღისტნის ხალხებს ამ გზით ამოიყვანს იმ ჭაობიდან, სიბნელიდან და უმეცრებიდან, სადაც ისინი ძველმა რუსეთმა ჩაყარა.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ დაღისტანში ისეთი ავტონომიის შექმნა, როგორითაც თურქესტანი, ყირგიზეთისა და თათრეთის რესპუბლიკები სარგებლობენ, — აუცილებელია.

საბჭოთა ხელისუფლება წინადადებას გაძლევთ თქვენ, დაღისტნის ხალხთა წარმომადგენლებს, დაავალოთ თქვენს დაღისტნის რევოლუციურ კომიტეტს აირჩიოს წარმომადგენლები მოსკოვში გასაგზავნად და იქ უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაოს დაღისტნის ავტონომიის გეგმა.

უკანასკნელი ამბები სამხრეთ დაღისტანში, სადაც მოღალატე გოცინსკი დაღისტნის თავისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა, როგორც გენერალ ვრანგელის ნება-სურვილის შემსრულებელი, სწორედ იმ ვრანგელისა, რომელიც დენიკინის დროს აჯანყებულებს ებრძოდა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა აულებს ანგრევდა, — ეს ამბები ბევრის მეტყველია.

უნდა აღვნიშნო, რომ დაღისტნელმა ხალხმა, რომელიც თავისი წითელი პარტიზანების სახით გოცინსკისთან ბრძო-

ლებში თავის საბჭოთა ხელისუფლებას იცავდა, ამით დაამტკიცა თავისი ერთგულება წითელი დროშისადმი.

თუ თქვენ განდევნით გოცინსკის, დაღისტნის მშრომელთა მტერს, ამით გაამართლებთ ნდობას, რომელსაც გიწევთ უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლება იმით, რომ დაღისტანს ავტონომიას აძლევს.

საბჭოთა მთავრობა პირველი მთავრობაა, რომელიც დაღისტანს ნებაყოფლობით აძლევს ავტონომიას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დაღისტნის ხალხები გაამართლებენ საბჭოთა მთავრობის ნდობას.

გაუმარჯოს დაღისტნის ხალხთა კავშირს რუსეთის ხალხებთან!

გაუმარჯოს დაღისტნის საბჭოთა ავტონომიას!

2. საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! ახლა, როცა საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი მტერი განადგურებულია, ნათელი ხდება საბჭოთა მთავრობის მიერ დაღისტნისათვის ნებაყოფლობით მიცემული ავტონომიის პოლიტიკური მნიშვნელობა.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. მაშინ, როდესაც მეფის მთავრობა და მსოფლიოს საერთოდ ყველა ბურჟუაზიული მთავრობა ხალხს რასმე უთმობენ და ამა თუ იმ რეფორმას ჩვეულებრივ მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევენ, თუ მათ საამისოდ მძიმე ვითარება აიძულებს, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც თავისი **წარმატებების** მწვერვალზე იმყოფება, დაღისტანს, პირიქით, სავსებით ნებაყოფლობით აძლევს ავტონომიას.

ეს იმას ნიშნავს, რომ დაღისტნის ავტონომია დაღისტნის რესპუბლიკის ცხოვრებაში შევა როგორც მისი

მტკიცე და ურღვევი საფუძველი. ვინაიდან მტკიცეა მხოლოდ ის, რაც ნებაყოფლობით არის მიცემული.

დასასრულ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ის მაღალი ნდობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოგიცხადათ, დაღისტნის ხალხებს გაემართლებინოთ ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში.

გაუმარჯოს ავტონომიურ საბჭოთა დაღისტანს!

«სოვეტსკი დაგესტან» № 76,
1920 წ. 17 ნოემბერი.

თერგის ოლქის ხალხთა ყრილობა [111]

1920 წ. 17 ნოემბერი

1. მოხსენება თერგის ოლქის საბჭოთა ავტონომიის შესახებ

ამხანაგებო! დღევანდელი ყრილობა იმისათვის არის მოწვეული, რომ გამოგიცხადოთ საბჭოთა მთავრობის ნება-სურვილი თერგის ხალხთა ცხოვრების მოწყობისა და კაზაკებთან მათი ურთიერთობის შესახებ.

პირველი საკითხია კაზაკებთან ურთიერთობა.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ერთიანი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში კაზაკებისა და მთიელების ერთად ცხოვრებამ დაუსრულებელი არეულობა გამოიწვია.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ურთიერთ წყენინებისა და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კაზაკთა მასების გამოყოფა მთიელთა მასებისაგან.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ორივე მხარისათვის ხელსაყრელია გაიმიჯნონ.

ამის გამო მთავრობამ გადაწყვიტა კაზაკთა უმრავლესობა გამოიყოს განსაკუთრებულ გუბერნიად, მთიელთა მეტი ნაწილი კი — მთიელთა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად, ისე რომ მათ შორის საზღვარი მდინარე თერგი იყოს.

საბჭოთა ხელისუფლება იმას ესწრაფოდა, რომ კაზაკობის ინტერესები არ ილახებოდეს. მას არ უფიქრია,

ამხანაგო კაზაკებო, თქვენთვის მიწები ჩამოერთმია. მას მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდა — გაეთავისუფლებინეთ მეფის გენერლებისა და მდიდრების უღლისაგან. იგი ამ პოლიტიკას ეწეოდა რევოლუციის დაწყებიდან.

კაზაკები კი ძალიან საეჭვოდ იქცეოდნენ. მათ მუდამ ტყისაკენ ეჭირათ თვალი, საბჭოთა ხელისუფლებას არ ენდობოდნენ. მათ ხან ბიჩერახოვთან ჰქონდათ კავშირი, ხან დენიკინსა და ვრანგელს უმეგობრდებოდნენ.

უკანასკნელ ხანს კი, როცა პოლონეთთან ზავი ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო ვრანგელი დონეცის აუზს უტევდა, ამ წუთს თერგის კაზაკობის ერთმა ნაწილმა მუხანათურად,— სხვანაირად არ შეიძლება ითქვას, — ამბოხება მოაწყო ზურგში ჩვენი ჯარების წინააღმდეგ.

მე ვლაპარაკობ სუნჟის ხაზის ამასწინანდელ ამბოხებაზე, რომლის მიზანი იყო ბაქოს მოწყვეტა მოსკოვისაგან.

ეს ცდა კაზაკებს დროებით მოუხერხდათ.

ამ მომენტში მთიელები, კაზაკების სამარცხვინოდ, რუსეთის უფრო ღირსეული მოქალაქეები აღმოჩნდნენ.

საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ითმენდა, მაგრამ ყოველგვარ მოთმინებას აქვს ბოლო. და აი, იმის გამო, რომ კაზაკთა ზოგიერთი ჯგუფები მუხანათნი აღმოჩნდნენ, საჭირო გახდა მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება, საჭირო გახდა დამნაშავე სტანიცების გადასახლება და იქ ჩაჩნების დასახლება.

მთიელებმა ეს ისე გაიგეს, რომ ახლა შეიძლება თერგის კაზაკების დაუსჯელად დაჩაგვრა, შეიძლება მათი ძარცვა, პირუტყვის წართმევა, ქალებისათვის პატივის ახდა.

მე ვაცხადებ, რომ თუ მთიელები ასე ფიქრობენ, ისინი ძალიან ცდებიან. მთიელებმა უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის მოქალაქეებს იცავს ერთნაირად, ეროვნების განურჩევლად, სულ ერთია, კაზაკები არიან ისინი თუ მთიელები. უნდა გახსოვდეთ, რომ თუ

მთიელები უწესოებას არ შეწყვეტენ, საბჭოთა ხელისუფლება მათ რევოლუციური ხელისუფლების მთელი სისასტიკით დასჯის.

შემდეგში კაზაკების ბედი, როგორც იმ კაზაკებისა, რომლებიც ცალკე გუბერნიის ფარგლებში მოექცევიან, ისე იმათი, რომლებიც მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში რჩებიან, მთლიანად დამოკიდებულია მათს საკუთარ ყოფაქცევაზე. თუ კაზაკები ხელს არ აიღებენ მუშურ-გლეხური რუსეთის წინააღმდეგ მუხანათურ გამოსვლებზე, უნდა ვთქვა, რომ მთავრობა იძულებული გახდება კვლავ მიმართოს რეპრესიებს.

მაგრამ თუ კაზაკები შემდეგში მოიქცევიან როგორც რუსეთის პატიოსანი მოქალაქეები, აქ მთელი ყრილობის წინაშე ვაცხადებ, რომ კაზაკს ხელსაც არავინ ახლებს.

მეორე საკითხია თერგის ოლქის მთიელებისადმი დამოკიდებულება.

ამხანაგო მთიელებო! ძველი პერიოდი რუსეთის ისტორიისა, როცა მეფეები და მეფის გენერლები თელავდნენ თქვენს უფლებებს, სპობდნენ თქვენს თავისუფლებას, — ჩაგვრისა და მონობის ეს პერიოდი წარსულს ჩაბარდა. ახლა, როცა რუსეთში ძალაუფლება მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდა, რუსეთში აღარ უნდა იყვნენ ჩაგრულები.

ავტონომიას რომ გაძლევთ, რუსეთი ამით გიბრუნებთ იმ თავისუფლებებს, რომლებიც სისხლისმსმელმა მეფეებმა და მჩაგვრელმა მეფის გენერლებმა მოგპარეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი შინაგანი ცხოვრება აგებულ უნდა იქნას თქვენი ყოფაცხოვრების, ზნე-ჩვეულებისა და ადათის საფუძველზე, რა თქმა უნდა, რუსეთის საერთო კონსტიტუციის ჩარჩოებში.

ყოველ ხალხს, ჩაჩნებს, ინგუშებს, ოსებს, ყაბარდოელებს, ბალყარელებს, ყარაჩაელებს, აგრეთვე მთიელთა

ავტონომიურ ტერიტორიაზე დარჩენილ კაზაკებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ნაციონალური საბჭო, რომელიც სათანადო ხალხების საქმეთა განმგებელი იქნება უკანასკნელთა ყოფაცხოვრებისა და თავისებურებათა შესაბამისად. აღარას ვამბობ არაკაზაკ რუსებზე, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ერთგული შვილები იყვნენ და ასეთებად რჩებიან და რომლების თავგამოდებული მოსარჩლეც მუდამ იქნება საბჭოთა ხელისუფლება.

თუ დამტკიცდება, რომ საჭირო იქნება შარიათი, დაე იყოს შარიათი. საბჭოთა ხელისუფლება არ აპირებს ომი გამოუცხადოს შარიათს.

თუ დამტკიცდება, რომ საგანგებო კომისიისა და საგანგებო განყოფილების ორგანოები თავიანთ მოქმედებას ვერ უფარდებენ მოსახლეობის ყოფაცხოვრებასა და თავისებურებებს, ცხადია, სათანადო ცვლილებანი ამ დარგშიც უნდა იქნას შეტანილი.

ნაციონალურ საბჭოებს სათავეში უნდა ედგეს მთიელთა რესპუბლიკის სახკომსაბჭო, რომელსაც ამ რესპუბლიკის საბჭოების ყრილობა ირჩევს და რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მოსკოვთან.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ მთიელები ამით ჩამოშორებული იქნებიან რუსეთისაგან, რომ რუსეთი ტოვებს მათ, რომ წითელი არმია წაყვანილი იქნება რუსეთში, როგორც ამის შესახებ შეშფოთებით გვეკითხებიან მთიელები? არა, არ ნიშნავს. რუსეთს ესმის, რომ საკუთარი თავის ანაბარად მიტოვებული თერგის მცირე ხალხები ვერ შეძლებენ თავიანთი თავისუფლების დაცვას მსოფლიო მტაცებლების და მათი აგენტების — მთიელი მემამულეების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში გაიქცნენ და იქიდან ინტრიგებს აწყობენ მშრომელი მთიელების წინააღმდეგ. ავტონომია ნიშნავს არა გამოყოფას, არამედ თვითმმართველი მთიელი ხალხების კავშირს რუსეთის

ხალხებთან. ეს კავშირი მთიელების საბჭოთა ავტონომიის საფუძველია.

ამხანაგებო! წარსულში საქმის ვითარება ჩვეულებრივ ისეთი იყო, რომ მთავრობები ამა თუ იმ რეფორმაზე, ხალხების სასარგებლოდ დათმობაზე თანხმდებოდნენ მხოლოდ მძიმე წუთებში, როცა მათ, დასუსტებულებს, თავიანთი ხალხების თანაგრძნობა ესაჭიროებოდათ. მუდამ ასე იქცეოდნენ მეფის და საერთოდ ბურჟუაზიული მთავრობები. მათგან განსხვავებით საბჭოთა მთავრობა სხვანაირად მოქმედებს. საბჭოთა მთავრობა თქვენ ავტონომიას გაძლევთ არა მძიმე წუთში, არამედ ბრძოლის ველებზე ბრწყინვალე წარმატებათა წუთში, ყირიმში იმპერიალიზმის უკანასკნელ დასაყრდენზე სრული გამარჯვების წუთში.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ის, რასაც მთავრობები კრიზისულ წუთში იძლევიან, — მტკიცე და საიმედო არ არის, ვინაიდან იგი ყოველთვის შეიძლება წართმეულ იქნას, როცა კრიტიკული წუთი გაივლის. რეფორმები და თავისუფლებანი მტკიცე შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიცემულია არა დროებითი, წუთიერი აუცილებლობის ზეგავლენით, არამედ რეფორმის სარგებლიანობის სრული შეგნებით, მთავრობის ძალებისა და ძლიერების გაფურჩქვნის ჟამს. სწორედ ასე იქცევა ახლა საბჭოთა მთავრობა, თქვენს თავისუფლებებს რომ გიბრუნებთ.

ამას რომ აკეთებს, საბჭოთა ხელისუფლებას სურს გითხრათ, რომ იგი სავსებით გენდობათ თქვენ, ამხანაგო მთიელებო, რომ იგი ენდობა თქვენს თვითმმართველობის უნარს.

იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენ შეძლებთ მუშურ-გლეხური რუსეთის ამ ნდობის გამართლებას.

გაუმარჯოს თერგის ოლქის ხალხთა კავშირს რუსეთის ხალხებთან!

2. საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! რამდენიმე ბარათი მივიღე იმ საკითხებზე, რომლებიც ავტონომიას ეხება. ამ ბარათებზე პასუხი უნდა გავცე.

პირველი საკითხია მთიელების საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიული საზღვრების საკითხი. რესპუბლიკის საზღვრები საერთოდ შემოიფარგლება: ჩრდილოეთის მხრივ თერგით, ხოლო დანარჩენი მიმართულებებით — თერგის ოლქის ხალხთა: ჩაჩნების, ინგუშების, ყაბარდოელების, ოსების, ბალყარელების, ყარაჩაელების მიწების საზღვრებით, თერგის გამოღმა მხარის არაკაზაკ რუსებისა და კაზაკთა სტანიცების ჩათვლით. ეს შეადგენს მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას. რაც შეეხება საზღვრების დეტალურ მოხაზულობას, მას განსაზღვრავს მთიელთა რესპუბლიკისა და მოსაზღვრე გუბერნიების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია.

მეორე საკითხია: სად იქნება მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი და რესპუბლიკის შემადგენლობაში შევლენ თუ არა ქალაქები გროზნი და კავკავი? რა თქმა უნდა, შევლენ. რესპუბლიკის დედაქალაქად შეიძლება დანიშნულ იქნას ყოველი ქალაქი. პირადად მე ვფიქრობ, რომ ასეთი ცენტრი უნდა იყოს კავკავი, როგორც ისეთი ცენტრი, რომელიც თერგის ოლქის ყველა ხალხთან არის დაკავშირებული.

მესამე საკითხია თვით ავტონომიის ფარგლების საკითხი. მეკითხებიან: რა ტიპის ავტონომია ეძლევა მთიელთა რესპუბლიკასო?

ავტონომია სხვადასხვაგვარია: ადმინისტრაციული, როგორიც აქვთ კარელებს, ჩერემისებს, ჩუვაშებს, ვოლ-

გისპირეთის გერმანელებს, პოლიტიკური, — როგორიც აქვთ ბაშკირებს, ყირგიზებს, ვოლგისპირეთის თათრებს. მთიელთა რესპუბლიკის ავტონომია პოლიტიკური და, რა თქმა უნდა, საბჭოთა. ავტონომიაა. ეს არის ბაშკირეთის, ყირგიზეთის, თათრეთის ტიპის ავტონომია. ეს იმას ნიშნავს, რომ მთიელების საბჭოთა რესპუბლიკას სათავეში ედგება საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც არჩეული იქნება საბჭოების ყრილობაზე. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოყოფს სახალხო კომისართა საბჭოს, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული მოსკოვთან. რესპუბლიკის დაფინანსება მოხდება ფედერაციული რესპუბლიკის საერთო სახსრებიდან. სახალხო კომისარიატები, რომელთა გამგებლობაში მეურნეობისა და სამხედრო საქმეები შედის, უშუალოდ იქნებიან დაკავშირებული ცენტრის სათანადო კომისარიატებთან. დანარჩენი კომისარიატები: იუსტიციის, მიწათმოქმედების, შინაგან საქმეთა, განათლებისა და სხვ. დაექვემდებარებიან მთიელების საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან იქნება დაკავშირებული. საგარეო ვაჭრობა და საგარეო საქმეები მთლიანად ცენტრალური ხელისუფლების ხელში იქნება.

შემდეგი საკითხია ავტონომიის განხორციელების დროის საკითხი. რესპუბლიკის დაწვრილებითი წესების ანუ, მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, «კონსტიტუციის» შესამუშავებლად საჭიროა არჩეულ იქნას ყოველი ხალხის თითო წარმომადგენელი, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მოსკოვში შეიმუშავებდნენ მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

ცუდი არ იქნებოდა, რომ ამისათვის ამ ყრილობაზე აგერჩიათ ჩაჩნების, ინგუშების, ოსების, ყაბარდოელების,

ბალყარელების, ყარაჩაელებისა და მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი სტანიცების თითო წარმომადგენელი, სულ შვიდი წარმომადგენელი.

მეკითხებიან ნაციონალური საბჭოების არჩევნების წესის შესახებ. არჩევნები უნდა მოხდეს კონსტიტუციის წესით, ე. ი. საბჭოებში არჩევის უფლება მხოლოდ მშრომელებს ენიჭებათ. საბჭოები მშრომელთა საბჭოები უნდა იყვნენ.

ჩვენში, რუსეთში, მიაჩნიათ, რომ ვინც არ შრომობს, ის არცა ჭამს. თქვენ უნდა განაცხადოთ, რომ ვინც არ შრომობს, ის არც ირჩევს. ეს საბჭოთა ავტონომიის საფუძველია. ამაშია განსხვავება ბურჟუაზიულ და საბჭოთა ავტონომიას შორის.

შემდეგი საკითხია არმიის საკითხი.

არმია უთუოდ საერთო უნდა იყოს, ვინაიდან თავისი პატარა არმიით მთიელთა რესპუბლიკა ვერ შეძლებს თავისუფლების დაცვას, ვერაფერს დაუპირდაპირებს ჯარებს, რომლებსაც ანტანტა თავისი სახსრებით ინახავს.

სიტყვის დასასრულს, მინდა ხაზი გავუსვა იმ ძირითადს, რის მოცემაც ავტონომიას შეუძლია თქვენთვის, მთიელებისათვის.

ძირითადი ბოროტება, რომელიც მთიელებს მუდამ ჩაგრავდა, — ეს იყო მათი ჩამორჩენილობა, მათი უმეცრება. მხოლოდ ამ ბოროტების აღმოფხვრას, მასების მხოლოდ ფართო განათლებას შეუძლია გადაარჩინოს მთიელები გადაშენებას, შეუძლია აზიაროს ისინი უმაღლეს კულტურას. აი ამიტომ მთიელები თავიანთ ავტონომიურ რესპუბლიკაში უწინარეს ყოვლისა უნდა შეუდგნენ სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობას.

ავტონომიის მთელი აზრი ის არის, რომ მთიელები თავიანთი ქვეყნის მმართველობაში ჩააბას. აქ თქვენ ძალიან

ცოტა გყავთ ადგილობრივი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ხალხის მართვა. აი რატომ არის, რომ სასურსათო კომიტეტის, საგანგებო კომისიის, საგანგებო განყოფილების, სახალხო მეურნეობის დაწესებულებებში მუშაობენ რუსები, რომლებმაც თქვენი ყოფაცხოვრება, თქვენი ენა არ იციან. საჭიროა თქვენი ადამიანები ჩაბმულ იქნან ქვეყნის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ის ავტონომია, რომელზეც აქ ლაპარაკია, ისე გვესმის, რომ მმართველობის ყველა ორგანოში უნდა იყვნენ თქვენი ადამიანები, რომლებმაც თქვენი ენა, თქვენი ყოფაცხოვრება იციან.

ეს არის ავტონომიის აზრი.

ავტონომიამ უნდა გასწავლოთ თქვენი საკუთარი ფეხით სიარული, — ეს არის ავტონომიის მიზანი.

ავტონომიის შედეგი ერთბაშად როდი გამოჩნდება: ერთ დღეში არ შეიძლება ადგილობრივი ადამიანებისაგან ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში გამოცდილი მუშაკების შექმნა. მაგრამ ორი-სამი წელიც არ გავა, რომ თქვენ ჩაებმებით თქვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და საკუთარი წრიდან გამოყოფთ მასწავლებლებს, სამეურნეო მუშაკებს, სასურსათო დარგის მუშაკებს, მიწათმომწყობებს, სამხედროებს, სასამართლოს მუშაკებს და საერთოდ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. და მაშინ დაინახავთ, რომ გისწავლიათ თვითმმართველობა.

გაუმარჯოს მთიელთა ავტონომიას, რომელიც შეგასწავლით საკუთარი ქვეყნის მართვას და რომელიც დაგეხმარებათ გახდეთ ისეთივე შეგნებულები, როგორიც არიან რუსეთის მუშები და გლეხები, რომლებმაც ისწავლეს არა მარტო თავიანთი ქვეყნის მართვა, არამედ თავიანთი მოსისხლე მტრების დამარცხებაც!

«ეიზნ ნაციონალრისტეი» №№ 39 და 40;
1920 წ. 8 და 15 დეკემბერი.

მდგომარეობა კავკასიაში

საუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან

სამხრეთში მივლინებიდან დაბრუნებულმა ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში კავკასიის მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი — ბაქო, ბათუმი — თავრიზი, ბათუმი — თავრიზი — არზრუმი).

ყოველივე ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელსაც ამჟამად ხელთ აქვს კონსტანტინოპოლი, შავი ზღვის ეს გასაღები, და სურს შეინარჩუნოს აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიაზე მიმავალი პირდაპირი გზა.

ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში მიმავალი უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა, — ეს არის მთელი საკითხი.

აზერბაიჯანის განთავისუფლებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ანტანტის პოზიცია კავკასიაში. ანტანტის წინააღ-

მდეგ თურქეთის ბრძოლამ იგივე შედეგები გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ანტანტა გულს არ იტეხს და კავკასიაში თავის ქსელსა ქსოვს.

თბილისის გადაქცევა კონტრრევოლუციური მუშაობის ბაზად; აზერბაიჯანის, დაღისტნისა და თერგის ოლქის მთიელთა ბურჟუაზიული მთავრობების ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ანტანტის სახსრებითა და ბურჟუაზიული საქართველოს დახმარებით; ქემალისტებთან ლაციცი და თურქეთის პროტექტორატით კავკასიის ხალხთა ფედერაციის იდეების ქადაგება; სპარსეთში სამინისტროების ოთურმა, რასაც ანტანტა აწყობს, და სპარსეთის ავსება სიპაებით, — ყოველივე ეს და მრავალი ამგვარი რამ იმას მოწმობს, რომ ანტანტის ბებერი მგლები არ თვლემენ. უეჭველია, ანტანტის აგენტების მუშაობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ციებ-ცხელების ხასიათი მიიღო ვრანგელის განადგურების შემდეგ.

როგორია ანტანტის შანსები და როგორია რევოლუციის შანსები კავკასიაში?

ეჭვი არ არის, რომ ანტანტის შანსები, მაგალითად, დაღისტანსა და თერგის ოლქში ნულამდე დაეცა. ვრანგელის განადგურებამ და დაღისტანსა და თერგის ოლქში საბჭოთა ავტონომიის გამოცხადებამ, ამ ოლქებში ინტენსიურ საბჭოთა საალმშენებლო მუშაობასთან ერთად, განამტკიცა საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა ამ რაიონში. შემთხვევითი როდია, რომ თერგისა და დაღისტნის მილიონობით მოსახლეობის წარმომადგენელთა სახალხო ყრილობებმა საზეიმოდ დადეს ფიცი იბრძოლონ საბჭოებისათვის რუსეთის მუშებთან და გლეხებთან მჭიდრო კავშირში.

მთიელებმა სწორად შეაფასეს ავტონომიის გამოცხადება, რაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის მძიმე მომენტში კი არ მოხდა, არამედ მისი ჯარების მჭუხარე წარმატებათა მომენტში, როგორც მთიელებისადმი ხელისუფლების

ნდობის ნიშანი. «ის, რასაც ხელისუფლება ხალხებს აძლევს, —მეუბნებოდნენ მთიელები პირად საუბარში, — მძიმე წუთს, წუთიერი აუცილებლობის ზეგავლენით, მტკიცე არ არის. მტკიცეა მხოლოდ ის რეფორმები და ის თავისუფლებანი, რომლებიც ზემოდან გვეძლევა მტრებზე გამარჯვებათა შედეგად, როგორც ახლა ამას საბჭოთა მთავრობა აკეთებს».

ამდენადვე მცირეა ანტანტის შანსები აზერბაიჯანში, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა მოიპოვა და რუსეთის ხალხებთან ნებაყოფლობითი კავშირი დაამყარა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ანტანტის მტაცებლური თათები, რომლებიც გაწვდილია აზერბაიჯანისაკენ და ბაქოს ნავთისაკენ, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის მხოლოდ ზიზღს გამოიწვევენ.

ანტანტის შანსები სომხეთსა და საქართველოშიც მნიშვნელოვნად დაეცა ვრანგელის განადგურების შემდეგ. დაშნაკური სომხეთი დაეცა, უეჭველია, როგორც მსხვერპლი ანტანტის პროვოკაციისა, რომელმაც იგი თურქეთს მიუსია და შემდეგ სამარცხვინოდ მიუტოვა თურქებს საჯიჯგნად. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ სომხეთს არ დარჩენია ხსნის არავითარი შესაძლებლობა, გარდა ერთისა: საბჭოთა რუსეთთან კავშირისა. ეს გარემოება, ეჭვი არ არის, გაკვეთილი იქნება ყველა ხალხისათვის, რომელთა ბურჟუაზიული მთავრობები არ იშლიან მონურად ქედის მოხრას ანტანტის წინაშე, და უწინარეს ყოვლისა — საქართველოსათვის.

საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური

ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-ნმა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა.

ინგლისელთა მდგომარეობა სპარსეთში, როგორც ამ უკანასკნელის დამპყრობთა მდგომარეობა, სულ უფრო აშკარა ხდება. ცნობილია, რომ სპარსეთის მთავრობა, რომლის შემადგენლობა ზღაპრულად ხშირად იცვლება, ინგლისის სამხედრო ატაშეების შირმაა. ცნობილია, რომ ეგრეთწოდებული სპარსეთის ჯარები აღარ არსებობენ, რადგან მათ შესაცვლელად ინგლისელი სიპაები გამოჩნდნენ. ცნობილია, რომ ამ ნიადაგზე წარმოიშვა მთელი რიგი გამოსვლები ინგლისის წინააღმდეგ თეირანსა და თავრიზში. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს გარემოება ანტანტას ვერ მოუმატებს შანსებს სპარსეთში.

ბოლოს, თურქეთი. უეჭველია, რომ საერთოდ თურქეთისა და განსაკუთრებით ქემალისტების წინააღმდეგ მიმართული სევრის ხელშეკრულების [112] პერიოდი დასასრულს უახლოვდება. ქემალისტების ბრძოლამ ანტანტასთან და ამ ნიადაგზე გაძლიერებულმა მღელვარებამ ინგლისის კოლონიებში, ერთი მხრივ, და ვრანგელის განადგურებამ და ვენიზელოსის დაცემამ საბერძნეთში, მეორე მხრივ, აიძულეს ანტანტა მნიშვნელოვნად შეერბილებინა თავისი პოლიტიკა ქემალისტების მიმართ. სომხეთის განადგურება ქემალისტების მიერ ანტანტის აბსოლუტური

«ნეიტრალიტეტის» დროს, ხმები თურქეთისათვის თრაკიისა და სმირნის მოსალოდნელი დაბრუნების შესახებ, ხმები ქემალისტებსა და ანტანტის აგენტ სულთანს შორის მოლაპარაკების შესახებ და კონსტანტინოპოლის მოსალოდნელი დაცლის შესახებ, ბოლოს, სიწყნარე თურქეთის დასავლეთის ფრონტზე, — ყოველივე ეს სიმპტომებია, რომლებიც მოწმობენ ანტანტის სერიოზულ ლაციცს ქემალისტებთან და ქემალისტთა პოზიციის, შესაძლებელია, ერთგვარ გადახრას მარჯვნისაკენ.

რით დამთავრდება ანტანტის ლაციცი და რამდენად შორს წავლენ ქემალისტები თავიანთ მოძრაობაში მარჯვნისაკენ, — ამის თქმა ძნელია. მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია, რომ კოლონიების განთავისუფლებისათვის ბრძოლა, რაც რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, გაძლიერდება, მიუხედავად ყველაფრისა, რომ რუსეთი, როგორც ამ ბრძოლის აღიარებული მედროშე, მთელი ძალებითა და მთელი საშუალებებით დაუჭერს მხარს ამ ბრძოლის მომხრეებს, რომ ეს ბრძოლა მიგვიყვანს გამარჯვებამდე ქემალისტებთან **ერთად,** თუ ისინი არ უღალატებენ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმეს, ან **წინააღმდეგ** ქემალისტების ნება-სურვილისა, თუ ისინი ანტანტის **ბანაკში** აღმოჩნდებიან.

ამას მოწმობს ის გარემოება, რომ დასავლეთში რევოლუცია ჩაღდება და საბჭოთა რუსეთის ძლიერება იზრდება.

«პრავდა» № 269,
1920 წ. 30 ნოემბერი.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

განაწამებმა და მრავალტანჯულმა სომხეთმა, რომელსაც ანტანტისა და დაშნაკების წყალობით თავს დაატყდა შიმშილობა, გაღატაკება და ლტოლვილობა, — ყველა «მეგობრის» მიერ მოტყუებულმა სომხეთმა ამჟამად ჰპოვა ხსნა იმაში, რომ თავი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადა.

ვერც ინგლისის, სომეხთა ინტერესების ამ «საუკუნო დამცველის», ცრუ დაპირებებმა; ვერც ვილსონის ყბადაღებულმა თოთხმეტმა პუნქტმა [113]; ვერც ერთა ლიგის მრავლისალმთქმელმა დაპირებებმა და მისმა «მანდატმა» სომხეთის მმართველობაზე — ვერ შეძლეს (და არც შეეძლოთ!) ეხსნათ სომხეთი ხოცვა-ჟლეტისა და ფიზიკური მოსპობისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობა და ნაციონალური განახლების შესაძლებლობა.

აი ზოგიერთი ფაქტი, რომლებმაც სომხეთის გასაბჭოება გამოიწვიეს. დაშნაკების, ანტანტის აგენტების, დამღუპველ პოლიტიკას ქვეყანა ანარქიამდე და სიღატაკემდე მიჰყავს. დაშნაკების მიერ თურქეთთან ატეხილ ომს სომხეთის მდგომარეობა უაღრეს უკიდურესობამდე მიჰყავს. შიმშილითა და უუფლებობით განაწამები სომხეთის ჩრდილოეთი პროვინციები ნოემბრის დამლევს აჯანყებას აწყობენ და სომხეთის რევოლუციურ სამხედრო კომი-

ტეტს ქმნიან ამხ. კასიანის მეთაურობით. 30 ნოემბერს სომხეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარისაგან ამხ. ლენინის სახელზე მოდის მისასალმებელი დეპეშა, რომელიც შეიცავს ცნობას საბჭოთა სომხეთის დაბადებისა და რევოლუციური კომიტეტის მიერ ქალაქ დელიჟანის დაკავების შესახებ. 1 დეკემბერს საბჭოთა აზერბაიჯანი ნებაყოფლობით იღებს ხელს სადავო პროვინციებზე და აცხადებს საბჭოთა სომხეთისათვის ზანგეზურის, ნახჭევნისა და მთიანი ყარაბაღის გადაცემას. 1 დეკემბერს რევოლუციური კომიტეტი მისალმებას იღებს თურქეთის სარდლობისაგან. 2 დეკემბერს მიღებულ იქნა ამხ. ორჯონიკიძის ცნობა იმის შესახებ, რომ ერევნის დაშნაკური მთავრობა განდევნილია და სომხეთის ჯარები თავისი ნებით რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში გადადიან.

ამჟამად სომხეთის დედაქალაქი, ერევანი, სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების ხელშია.

სომხეთსა და მის გარშემო მცხოვრებ მუსლიმანებს შორის საუკუნო მტრობა გადაწყდა ერთი დაკვრით, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის ძმური სოლიდარობის დამყარების გზით.

დაე უწყოდეს ყველამ, ვისთვისაც ჯერ არს ამის ცოდნა, რომ ეგრეთწოდებული სომხეთის «პრობლემის» გადაწყვეტა, რომელზეც ამაოდ იმტვრევდნენ თავს იმპერიალისტური დიპლომატიის ბებერი მგლები, **შეძლო მხოლოდ** საბჭოთა ხელისუფლებამ.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

«პრავდა» № 273,
1920 წ. 4 დეკემბერი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

შენიშვნები

1 1917 წლის 29 სექტემბერს დაიწყო გერმანელთა დესანტის გადასხმა ეზელსა, დაგოსა და ბალტიის ზღვის სხვა კუნძულებზე რიგის ყურის შესასვლელთან. — **2**.

2 უკრაინის ცენტრალური რადა კიევში შექმნა 1917 წლის აპრილში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ჯგუფების ბლოკმა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რადამ უარი განაცხადა იმაზე, რომ ეცნო საბჭოთა მთავრობა, და საბჭოთა ხელისუფლებასთან აშკარა ბრძოლის გზას დაადგა, მხარს უჭერდა კალედინს და სხვა თეთრგვარდიელ გენერლებს დონზე. 1918 წლის აპრილში გერმანელთა საოკუპაციო ჯარებმა რადა სკოროპადსკის გეტმანობით შეცვალეს. — **6**.

3 სახალხო კომისართა საბჭოს «ულტიმატუმში» ანუ «მანიფესტში უკრაინელი ხალხის მიმართ ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადისადმი», რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ, ნათქვამი იყო: «...ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭო, ვცნობთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკას, მის უფლებას — სრულიად გამოეყოს რუსეთს ან ხელშეკრულება დადოს რუსეთის რესპუბლიკასთან მათ შორის ფედერაციული და სხვა ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭო, დაუყოვნებლივ, შეუზღუდავად და უეჭველად ვაღიარებთ ყოველივეს, რაც კი ეხება უკრაინის ხალხის ნაციონალურ უფლებებს და ნაციონალურ დამოუკიდებ-

ლობას» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 420).

სახალხო კომისართა საბჭოს «პასუხში» უკრაინელთა პეტროგრადის შტაბისადმი (უფრო ზუსტად: პეტროგრადის სამხარეო სამხედრო რადის უკრაინული შტაბისადმი), რომელიც ცენტრალური რადის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა სახკომსაბჭოსთან, ნათქვამი იყო: «რაც შეეხება რადის მიერ წამოყენებულ პირობებს, ამ პირობათაგან ისეთები, რომლებსაც პრინციპული ხასიათი აქვთ (თვითგამორკვევის უფლება), დავის ან კონფლიქტის საგანს არ შეადგენდნენ და არ შეადგენენ, ვინაიდან სახალხო კომისართა საბჭო ცნობს და ატარებს ამ პრინციპებს მთელი მათი სისრულით» (იხ «იზვესტია» № 245, 1917 წლის 7 დეკემბერი). — **9.**

4 დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ნაწილის სრულიად უკრაინის ყრილობის მიერ 1917 წლის 13 დეკემბერს არჩეულმა საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აიღო მთელი ძალაუფლება უკრაინაში (იხ. «იზვესტია» № 252, 1917 წლის 15 დეკემბერი). — **19.**

5 მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა მიმდინარეობდა 1918 წლის 10-დან 18 იანვრამდე პეტროგრადში. ყრილობას 1046 დელეგატი დაესწრო. სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინმა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მუშაობის შესახებ — ი. მ. სვერდლოვმა. ი. ბ. სტალინი ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახკომსაბჭოს პოლიტიკას, დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით დაწერილი «დეკლარაცია მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებებისა», სახკომსაბჭოს დეკრეტები ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ, აგრეთვე ი. ბ. სტალინის მიერ წამოყენებული რეზოლუცია რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ. — **33.**

6 იგულისხმება მესამე უნივერსალი (მანიფესტი), მიღებული უკრაინის ცენტრალური რადის მიერ 1917 წლის 7 ნოემბერს. — **37**.

7 კავკასიის ანუ ამიერკავკასიის კომისარიატი თბილისში 1917 წლის ნოემბერში შექმნეს მენშევიკებმა, ესერებმა, დაშნაკებმა და მუსავატისტებმა; არსებობდა 1918 წლის 26 მაისამდე. — **39**.

8 უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნო — უკრაინის რესპუბლიკის პირველი საბჭოთა მთავრობა — არჩეულ იქნა უკრაინის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან 1917 წლის დეკემბერში. 1918 წლის აპრილში გერმანიის ჯარების მიერ უკრაინის ოკუპაციასთან დაკავშირებით, სახალხო სამდივნო რეორგანიზებულ იქნა, და მისი მთავარი ამოცანა გახდა ხელმძღვანელობა გაეწია ხალხის მასების აჯანყებისათვის გერმანელი ოკუპანტებისა და გაიდამაკთა რაზმების წინააღმდეგ. — **43**.

9 ხელშეკრულება რუსეთსა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) შორის დროებითი ზავის შესახებ ხელმოწერილ იქნა 1917 წლის 2 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში 28 დღის ვადით. საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების გაჭიანურების გამო დაზავებას ვადა გაუგრძელდა. 1918 წლის 18 თებერვალს გერმანელებმა დროებითი ზავის შეთანხმება დაარღვიეს და შეტევაზე გადმოვიდნენ მთელ ფრონტზე. — **48**.

10 იგულისხმება ხელშეკრულება, რომელიც 1918 წლის 27 იანვარს დაიდო ბრესტ-ლიტოვსკში ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან უკრაინის ცენტრალური რადის წარმომადგენლების ფარული მოლაპარაკების შემდეგ. — **44**.

11 **«ბაკინსკი რაბოჩი»** — ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ორგანო; გამოდიოდა 1906 წელს, 1908 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და 1917 წლის აპრილიდან 1918 წლის აგვისტომდე. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გაზეთის გამოცემა განახლდა 1920 წლის 25 ივლისს ჯერ «აზერბაიდჟანსკაია ბედნოტას» სახელწოდებით, ხოლო შემდეგ, 1920

წლის 7 ნოემბრიდან — წინანდელი სახელწოდებით. ამჟამად «ბაკინსკი რაბოჩი» აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ორგანოა. — **59.**

12 ამერიკის სამხრეთი შტატების ომი ჩრდილოეთ შტატებთან წარმოებდა 1861 — 1865 წლებში და დამთავრდა ჩრდილოეთი შტატების გამარჯვებით. ომის ერთ-ერთი შედეგი იყო სამხრეთი შტატების სეპარატიზმის დაძლევა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. — **73.**

13 ზონდერბუნდი — შვეიცარიის შვიდი კათოლიკური კანტონის რეაქციული კავშირი — შეიქმნა 1845 წელს. 1847 წელს გაჩაღდა შეიარაღებული ბრძოლა ზონდერბუნდსა და შვეიცარიის დანარჩენ კანტონებს შორის, რომლებიც შვეიცარიაში ხელისუფლების ცენტრალიზაციას უჭერდნენ მხარს. ომი იმით დამთავრდა, რომ ზონდერბუნდი დამარცხდა და შვეიცარია სახელმწიფოთა კავშირიდან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გადაიქცა. — **73.**

14 სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის კომისია რსფსრ კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად შეიქმნა 1918 წლის 1 აპრილს. კომისიას სათავეში ჩაუდგნენ ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი. კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედო «დეკლარაცია მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებებისა» და რეზოლუცია «რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ», მიღებული საბჭოების III ყრილობის მიერ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო. ი. ბ. სტალინის პროექტი «რსფსრ კონსტიტუციის ზოგადი დებულებანი» განხილულ და მიღებულ იქნა კომისიის 1918 წლის 19 აპრილის სხდომაზე. — **85.**

15 თურქესტანის მხარის საბჭოების V ყრილობა მიმდინარეობდა 1918 წლის 20 აპრილიდან 1 მაისამდე. ყრილობამ გამოაცხადა თურქესტანის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის ავტონომია, აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახკომსაბჭო. — **87.**

16 თათბირი თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამფუძნებელი ყრილობის მოსაწვევად შედგა მოსკოვში 1918 წლის

10 — 16 მაისს ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით. ესწრებოდნენ თათართა, ბაშკირთა, ჩუვაშთა და მარელთა წარმომადგენლები. თათბირმა აირჩია კომისია თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მოსაწვევად. სამოქალაქო ომის დაწყების გამო ყრილობა აღარ შემდგარა. — **92.**

17 **«ნაშე ვრემია»** — ესერული მიმართულების საღამოს გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის ივლისამდე. — **101.**

18 საზავო მოლაპარაკება ბათუმში ამიერკავკასიის სეიმისა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის დაიწყო 1918 წლის 11 მაისს. 26 მაისს ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შემდეგ ბათუმში მოლაპარაკებას «დამოუკიდებელი» საქართველოს მენშევიკური მთავრობა აწარმოებდა. 1918 წლის 4 ივნისს ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთის ხელში გადავიდა ბათუმი, ახალციხის მაზრა და ახალქალაქის მაზრის ნაწილი. გარდა ამისა, თურქეთმა უფლება მიიღო თავისუფლად გაეტარებინა თავისი ჯარები საქართველოს რკინიგზებზე. — **103.**

19 ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური სეიმის წინააღმდეგ აჯანყება აფხაზეთში 1918 წლის მარტში დაიწყო. გაუქმებულ იქნენ ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლების ორგანოები და გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდძალი ჯარები დასძრეს. მიუხედავად გმირული ბრძოლისა, რაც 1918 წლის 17 მაისამდე გაგრძელდა, მენშევიკების ჯარებმა მოახერხეს აჯანყებულთა წინააღმდეგობის დაძლევა. ამას მოჰყვა მკაცრი რეპრესიები, რაც მშვიდობიან მოსახლეობასაც შეეხო. — **104.**

20 ლაპარაკია რსფსრ და უკრაინის გეტმანური მთავრობის წარმომადგენელთა საზავო კონფერენციაზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1918 წლის 23 მაისს კიევში. — **112.**

21 1918 წლის 29 მაისს სახკომსაბჭომ ი. ბ. სტალინი დანიშნა სამხრეთ რუსეთში სასურსათო საქმის საეროო ხელმძღვანელად. ამხანაგ სტალინის მანდატში ნათქვამი იყო:

«სახალხო კომისართა საბჭოს წევრს, სახალხო კომისარ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს,** სახალხო კომისართა საბჭო ნიშ-

ნავს სამხრეთ რუსეთში სასურსათო საქმის საერთო ხელმძღვანელად, რომელიც აღჭურვილია საგანგებო უფლებებით. ადგილობრივ და საოლქო სახკომსაბჭოებს, დეპუტატთა საბჭოებს, რევკომებს, რაზმების შტაბებსა და უფროსებს, რკინიგზის ორგანიზაციებსა და სადგურთა უფროსებს, სამდინარო და საზღვაო სავაჭრო ფლოტის ორგანიზაციებს, ფოსტა-ტელეგრაფისა და სასურსათო ორგანიზაციებს, ყველა კომისარსა და ემისარს ევალებათ შეასრულონ ამხ. **სტალინის** განკარგულებანი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)» — 125.

22 ხუთთა კოლეგია — მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის და სხვა რკინიგზების სამმართველოს ხელმძღვანელი ადმინისტრაციულ-ტექნიკური ორგანო, რომლის ადგილსამყოფელი ვორონეჟში იყო. — **126.**

23 1918 წლის 6 ივლისს ღამით ვ. ი. ლენინმა პირდაპირი მავთულით აცნობა ი. ბ. სტალინს, რომ «მემარცხენე» ესერებმა მოსკოვში ამბოხება მოახდინეს. ვ. ი. ლენინის ბარათში, რომელიც ცარიცანში პირადად მიიღო ი. ბ. სტალინმა, ნათქვამი იყო: «საჭიროა ყველგან ულმობლად ჩავახშოთ ეს უბადრუკი და ისტერიული ავანტიურისტები, რომლებიც კონტრრევოლუციონერთა იარაღი გახდნენ... ამრიგად, ულმობელი იყავით მემარცხენე ესერების წინააღმდეგ და ცნობა მოგვაწოდეთ რაც შეიძლება ხშირად» («პრავდა» № 21, 1936 წ. 21 იანვარი). — **127.**

24 წერილი ბაქოში ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ს. გ. შაუმიანისადმი იხ. «სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიის დოკუმენტები», ტ. I, 1940, გვ. 289. — **127.**

25 იგულისხმება მურმანსკის ოკუპაცია ინგლისის ჯარების მიერ 1918 წელს. — **128.**

26 «ჩოკპროდი» — საგანგებო საოლქო სასურსათო კომიტეტი სამხრეთ რუსეთში. — **134.**

27 ი. ბ. სტალინის წერილი რომ მიიღო, ვ. ი. ლენინმა მოხსნა მიმართვა და ხელმოწერა, რაც პირადად მას შეეხებოდა, და

ი. ბ. სტალინის წერილის ტექსტი პეტროგრადში გაგზავნა როგორც თავისი დირექტივა. — **136.**

28 **«სოლდატ რევოლუციი»** — ცარიცინის ფრონტის საარმიო გაზეთი; შეიქმნა ი. ბ. სტალინის ინიციატივით. გაზეთი 1918 წლის 7 აგვისტოდან გამოდიოდა როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ორგანო. 26 სექტემბრიდან (42-ე ნომრიდან) «სოლდატ რევოლუციი» სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ორგანოა, ხოლო 29 ოქტომბრიდან (69-ე ნომრიდან) გამოცემის დასასრულამდე — X არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ორგანო. — **141.**

29 **«ბორბა»** — რსდმპ(ბ) ცარიცინის კომიტეტის ორგანო, გამოდიოდა 1917 წლის მაისიდან. 1917 წლის დამლევიდან «ბორბა» ცარიცინის მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოს ორგანო გახდა. გაზეთი გამოდიოდა 1933 წლის მარტამდე. — **141.**

30 რიგა გენ. კორნილოვმა გერმანელებს ჩააბარა 1917 წლის 21 აგვისტოს. — **144.**

31 წინაპარლამენტი, ანუ რესპუბლიკის დროებითი საბჭო, — სათათბირო ორგანო ბურჟუაზიულ დროებით მთავრობასთან, გამოიყო პეტროგრადში 1917 წლის 14 — 22 სექტემბერს ვამართული დემოკრატიული თათბირის შემადგენლობიდან. წინაპარლამენტის შექმნა იყო ესერებისა და მენშევიკების ცდა — შეეჩერებინათ მზარდი რევოლუცია, გადაეყვანათ ჩვენი ქვეყანა საბჭოთა რევოლუციის გზიდან ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გზაზე. — **144.**

32 **«თავდაცვის თათბირი»** პეტროგრადში 1917 წლის აგვისტოს მოიწვია მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოების ესერულ-მენშევიკურმა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა იმპერიალისტური ომის განსაგრძობად მოსახლეობის ძალებისა და სახსრების მობილიზაციის მიზნით. — **154.**

33 შავი ყრილობა — თათბირი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1917 წლის 12-დან 14 ოქტომბრამდე როძიანკოს თავმჯდომარეობით. თათბირს ესწრებოდნენ დიდი მემამულეები, მეფაბრიკეები

და მეჭარხნეები, სამღვდელოების წარმომადგენლები, გენერლები და ოფიცრები. თათბირმა ჩაიარა ბოლშევიზმისა და მზარდი რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად კონტრრევოლუციური ძალების გაერთიანების ნიშნით. — **164.**

34 **«რაბოჩი პუტ»** — გაზეთი, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო, გამოდიოდა ნაცვლად «პრავდისა», რომელიც 1917 წლის ივლისის დღეებში დროებითმა მთავრობამ დახურა. გაზეთი გამოდიოდა 1917 წლის 3 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე. «რაბოჩი პუტის» პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ი. ბ. სტალინი. — **165.**

35 ტორპარები — უმიწაწყლო გლეხები ფინეთში; იჯარით იღებდნენ მიწათმფლობელთა მიწას კაბალურ პირობებში. — **176.**

36 იგულისხმება მუსლიმან კომუნისტთა I ყრილობა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1918 წლის ნოემბერში. ყრილობამ აირჩია რკპ(ბ) მუსლიმანური ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო. — **187.**

37 სტატია «უკრაინა თავისუფლდება» ზოგიერთი ცვლილებით მოწინავე სტატიად დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთ «პრავდის» 1918 წლის 1 დეკემბრის № 261-ში სათაურით «განთავისუფლების გზაზე დამდგარი უკრაინა». — **189.**

38 უკრაინის დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა ჩამოყალიბდა 1918 წლის ნოემბრის 20-იან რიცხვებში. უკრაინის საბჭოთა მთავრობის ადგილსამყოფელი თავდაპირველად ქ. კურსკი იყო, შემდეგ ქ. სუჯა. მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ კ. ე. ვოროშილოვი, ფ. ა. სერგეევი (არტემი) და სხვები. 1918 წლის 29 ნოემბერს უკრაინის საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც გამოაცხადა გეტმანის დამხობა და უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. — **190.**

39 უკრაინის დირექტორია — კონტრრევოლუციური ნაციონალისტური მთავრობა, რომელიც 1918 წლის დამლევს კიევში შექმნეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა პეტლიურას და ვინიჩენკოს მეთაურობით. 1919 წლის თებერვალში დირექტორიის ლიკვიდაცია მოახდინეს უკრაინის აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა. — **191.**

40 სტატია «სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის» ამავე დროს დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 1918 წლის 15 დეკემბრის № 273-ში, ხელმოუწერლად, როგორც მოწინავე. — **198.**

41 ესტლანდიის შრომის კომუნა — ესტლანდიის საბჭოთა რესპუბლიკა — შეიქმნა 1918 წლის 29 ნოემბერს მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლა ნარვა. 1918 წლის 7 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი დეკრეტი ესტლანდიის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. — **194.**

42 საბჭოთა ხელისუფლება ლატვიაში გამოცხადდა 1918 წლის შუა დეკემბერში. ლატვიის დროებითმა საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის 17 დეკემბერს გამოსცა მანიფესტი ლატვიის მშრომელი ხალხისადმი — სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. მანიფესტში ნათქვამი იყო: «ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ამ ძნელ გზაზე და ამ მძიმე ბრძოლაში მარტონი არა ვართ. ჩვენს უკან დგას რსფსრ, რომელთანაც ჩვენ კვლავაც მჭიდროდ დაკავშირებული ვიქნებით არა მარტო საგარეო ურთიერთობით». — **195.**

43 ლიტვის ტარიბა (ბურჟუაზიული ნაციონალური საბჭო) შეიქმნა 1917 წლის სექტემბერში გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთა კონტროლით. — **195.**

44 სამი დღის გაფიცვა ხარკოვში 1918 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდა. მისი საბაბი გახდა პეტლიურელების მიერ ხარკოვის საბჭოს პრეზიდიუმის დაპატიმრება. გაფიცული იყვნენ ყველა საწარმოს, ტრამვაისა და ელექტროსადგურების მუშები. პეტლიურელი ხელისუფალნი იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებულნი, რის შემდეგაც საბჭოს გადაწყვეტილებით გაფიცვა შეწყდა. — **196.**

45 დემონსტრაციები და საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ვილნაში და ლიტვის სხვა ქალაქებში მოხდა 1918 წლის 16 დეკემბერს. ისინი მოეწყო ლიტვისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ბურჟუაზიული ტარიბის

პოლიტიკისა და გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ვილნაში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 20 ათასამდე მუშა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. დემონსტრაციამ ჩაიარა ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!». დემონსტრანტები აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ გერმანელებს შეეწყვიტათ ლიტვიდან სარკინიგზო და სხვა ქონების გატანა და გაეთავისუფლებინათ პოლიტპატიმრები. — **199.**

46 მისალმებანი სახალხო კომისართა საბჭოსა და წითელი არმიისადმი მიღებულ იქნა ვილნის საბჭოს 1918 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე. რსფსრ სახკომსაბჭოსადმი მისალმებაში ნათქვამი იყო: «სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც მეთაურობს მსოფლიო პროლეტარიატის ნაცადი ბელადი — ამხანაგი ლენინი, ლიტვის მუშათა კლასის გზის მანათობელი ვარსკვლავია თავისი სრული განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში».

წითელი არმიისადმი მისალმებაში ნათქვამია: «...ჩვენ, ლიტვის მუშები, უდიდესი აღტაცებით ვადევნებთ თვალყურს იმ გმირულ მამაცობას, რასაც თქვენ იჩენთ კონტრრევოლუციის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე მივესალმებით იმ მუშებსა და გლეხებს — ლიტვის შვილებს, ვინც ამ არმიის რიგებში შევიდა და თავის სიცოცხლეს სწირავს მუშათა კლასის საერთო განთავისუფლებისათვის და, კერძოდ, თავისი ძმების განთავისუფლებისათვის, რომლებიც მძიმე ოკუპაციის უღელქვეშ გმინავენ...». — **200.**

47 ლიტვის დროებითი რევოლუციური მუშათა მთავრობა შეიქმნა 1918 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში. მას სათავეში ედგა ბოლშევიკი ვ. ს. მიცკევიჩ-კაპსუკასი. 1918 წლის 16 დეკემბერს დროებითმა მუშათა მთავრობამ გამოუშვა მანიფესტი, რომელშიც განაცხადა, რომ «1. მთელი ძალაუფლება გადაეცემა მუშათა, უმიწაწყლოთა და მცირემიწიანთა დეპუტატების საბჭოებს. 2. გერმანელ ოკუპანტთა ძალაუფლება ამიერიდან გაუქმებულად ითვლება. 3. ლიტვის კაიზერული ტარიბა თავისი მინისტრთა საბჭოიანად დამხობილად და კანონგარეშე მდგომად ითვლება». — **200.**

48 1918 წლის 22 დეკემბრის დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერდა ლენინი, რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ ცნო ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. სრულიად რუსეთის ცენტ-

რალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 23 დეკემბრის დადგენილებაში, რომელიც მიღებულ იქნა ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო, ნათქვამი იყო: «პროლეტართა და გლეხთა მასების რევოლუციური ბრძოლით შექმნილი ესტლანდიის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ ადასტურებს, რომ მეფის ძველი იმპერიისადმი ამ ქვეყნების ყოფილი კუთვნილების ფაქტი არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს მათ, და ამავე დროს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ მხოლოდ ამჟამად, თვითგამორკვევის სრული თავისუფლების აღიარებისა და ძალაუფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლის ნიადაგზე, იქმნება ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის მოსახლე ყველა ერთა მშრომელების თავისუფალი, ნებაყოფლობითი და ურღვევი კავშირი...». — **200.**

49 1918 წლის 30 დეკემბერს, აღმოსავლეთის ფრონტზე და განსაკუთრებით III არმიის უბანზე შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის წინადადებით გადაწყვეტილება მიიღო გაეგზავნა ი. ბ. სტალინი აღმოსავლეთის ფრონტზე. 1919 წლის 1 იანვარს შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის საბჭოს კომისია ცენტრალური კომიტეტის წევრების ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის შემადგენლობით პერმის ჩაბარებისა და ფრონტზე დამარცხებათა მიზეზების გამოსარკვევად, აგრეთვე III და II არმიების რაიონში პარტიული და საბჭოთა მუშაობის აღდგენისათვის ზომების მისაღებად. 1919 წლის 3 იანვარს ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი აღმოსავლეთის ფრონტზე გაემგზავრნენ, სადაც დიდი მუშაობა გასწიეს III არმიის ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად და ფრონტისა და ზურგის გასაშაგრებლად. კომისიის მუშაობის შედეგად 1919 წლის იანვრის დამლევისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე მიღწეულ იქნა გარდატეხა. — **203.**

50 1919 წლის 13 იანვარს ი. ბ. სტალინმა და ფ. ე. ძერჟინსკიმ ვ. ი. ლენინსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს «მოკლე წინასწარი ანგარიში» პერმის კატასტროფის მიზეზების კვლევა-ძიების მიმდინარეობის შესახებ. ანგარიშში აგრეთვე ჩამოთვლილი იყო ის ზომები, რომლებიც კომისიამ დასახა იმისა-

თვის, რომ აღედგინა მდგომარეობა III არმიის უბანზე და უზრუნველეყო არმიის გადასვლა შეტევაზე. 14 იანვარს ვ. ი. ლენინმა ანგარიშზე შემდეგი დეპეშით უპასუხა:

«**გლაზოვი** და ადგილსამყოფელის მიხედვით
სტალინს, ძერჟინსკის

მივიღე და წავიკითხე პირველი დაშიფრული დეპეშა. ორივეს ძალიან გთხოვთ პირადად უხელმძღვანელოთ დასახული ზომების ადგილზე შესრულებას, ვინაიდან სხვანაირად წარმატების გარანტია არ არის.

ლენინი». — **207.**

51 ცენტროკოლეგია — სრულიად რუსეთის საევაკუაციო კომისიის ადგილობრივი ორგანო. — **208.**

52 ლაპარაკია იმ პოლკებზე, რომლებიც მთავარსარდალს III არმიაში უნდა გაეგზავნა ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის მოთხოვნით. ამ მოხსენებას რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს რომ უგზავნიდა, ვ. ი. ლენინმა ზედ წააწერა: «...ჩემი აზრით, **უდიდესი უმსგავსობაა**, რომ ვაცეტისმა 3 პოლკი ნარვისაკენ გაგზავნა. **გააუქმეთ ეს!!!**» (იხ. ლენინის კრებული XXXIV, გვ. 90). — **210.**

53 სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დეკრეტი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეძლებული ჯგუფების ერთდროული საგანგებო გადასახადით დაბეგვრის შესახებ გამოქვეყნდა 1918 წლის 2 ნოემბერს. დეკრეტი წინადადებას იძლეოდა გაეთავისუფლებინათ საგანგებო გადასახადისაგან ღარიბი გლეხობა, ზომიერად დაებეგრათ საშუალო გლეხობა და კულაკებისათვის დაეკისრებინათ გადასახადის მთელი სიმძიმე. — **235.**

54 «**სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წყებები**» («**იზვესტია**») — ყოველდღიური გაზეთი; გამოსვლა იწყო 1917 წლის 28 თებერვლიდან სახელწოდებით «იზვესტია პეტროგრადსკოგო სოვეტა რაბოჩიხ ი სოლდატსკიხ დეპუტატოვ». საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის შემდეგ გაზეთი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორგანო გახდა და 1917 წლის 1 აგვისტოდან გამოდიოდა

სახელწოდებით «იზვესტია ცენტრალნოგო ისპოლნიტელნოგო კომიტეტა ი პეტროგრადსკოგო სოვეტა რაბოჩიხ ი სოლდატსკიხ დეპუტატოვ». 1917 წლის 27 ოქტომბრიდან საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის შემდეგ გაზეთი საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო ხდება. 1918 წლის 12 მარტიდან გამოდის მოსკოვში სახელწოდებით «იზვესტია ვსეროსსიისკოგო ცენტრალნოგო ისპოლნიტელნოგო კომიტეტა სოვეტოვ კრესტიანსკიხ, რაბოჩიხ, სოლდატსკიხ ი კაზაჩიხ დეპუტატოვ». 1918 წლის 22 ივნისიდან «იზვესტია» სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს ორგანოა, ხოლო უფრო გვიან — სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორგანო. — **238**.

55 ბელორუსიის საბჭოების I ყრილობა გაიხსნა 1919 წლის 2 თებერვალს მინსკში. ყრილობას 230 დელეგატი დაესწრო. ყრილობამ ბელორუსია დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა, დაამტკიცა ბელორუსიის სსრ კონსტიტუცია და აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მ. სვერდლოვმა, რომელმაც გამოაცხადა სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილება ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. — **250**.

56 ლიტვის საბჭოების I ყრილობა შედგა 1919 წლის 18 — 20 თებერვალს ვილნაში. ყრილობას 220 დელეგატი დაესწრო. ყრილობამ განიხილა ლიტვის დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობის ანგარიში, ბელორუსიასთან გაერთიანების საკითხი და სხვა საკითხები. ყრილობამ აუცილებლად ცნო ლიტვისა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან ფედერაციული კავშირის დამყარება და ამის თაობაზე მიღებულ რეზოლუციაში განაცხადა: «ცხოვლად გრძნობს რა თავის განუყრელ კავშირს ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან, ყრილობა ავალებს ლიტვისა და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ მთავრობას დაუყოვნებლივ შეუდგეს მოლაპარაკებას რსფსრ, ლატვიის, უკრაინისა და ესტლანდიის მუშურ-გლეხურ მთავრობებთან ყველა

ამ რესპუბლიკისაგან ერთიანი რსფს რესპუბლიკის შესაქმნელად». — **251.**

57 ლაპარაკია იმ კონფერენციაზე, რომლის მოწვევაც ანტანტის საბჭოს განზრახული ჰქონდა 1919 წლის თებერვლისათვის პრინცის კუნძულებზე (მარმარილოს ზღვაში) და რომელზეც მიწვეული უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა მთავრობისა და კოლჩაკის, დენიკინისა და სხვ. კონტრრევოლუციური მთავრობების წარმომადგენლები. კონფერენციის მიზნად აცხადებდნენ რუსეთში მშვიდობის აღდგენას. კონფერენცია არ შემდგარა. — **257.**

58 ბერნის კონფერენცია — II ინტერნაციონალის სოციალ-შოვინისტური და ცენტრისტული პარტიების საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 1919 წლის 3—10 თებერვალს შედგა ბერნში (შვეიცარია). — **257.**

59 ა. ვ. კოლცოვის ლექსიდან «ტყე» (იხ. ა. ვ. კოლცოვი. ლექსთა სრული კრებული. ლ. 1939, გვ. 90). — **257.**

60 რკპ(ბ) პროგრამის პროექტის შემდგენელი კომისია არჩეულ იქნა პარტიის VII ყრილობაზე 1918 წლის 8 მარტს ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის და სხვათა შემადგენლობით. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი საფუძვლად დაედო პარტიის VIII ყრილობაზე მიღებულ პროგრამას.

ამ სტატიაში ციტირებული ნაწილი პროექტისა უცვლელად შევიდა პარტიის პროგრამაში (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, მე-6 გამოც., 1940, გვ. 287). — **261.**

61 იგულისხმება პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწვეული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირი. თათბირი მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 29 მარტიდან 3 აპრილამდე. — **266.**

62 «პრავდა» — ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად ი. ბ. სტალინის ინიციატივით შექმნილი მუშათა ყოველდღიური ბოლშევიკური

გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილიდან 1914 წლის 8 ივლისამდე. მისი გამოცემა, როგორც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოსი, განახლდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1917 წლის 5 მარტიდან). 1917 წლის 15 მარტს «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. რუსეთში დაბრუნების შემდეგ 1917 წლის აპრილში «პრავდის» ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინი. «პრავდის» უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, ი. მ. სვერდლოვი, მ. ს. ოლმინსკი, კ. ნ. სამოილოვა და სხვ. ამ პერიოდში «პრავდა», მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, უდიდეს მუშაობას ეწევა პარტიის გარშემო ბოლშევიკი მუშების, რევოლუციური ჯარისკაცებისა და გლეხების დასარაზმავად, ამხილებს იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და მის დამჭაშებს — მენშევიკებსა და ესერებს, იბრძვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის. — **263.**

63 იხ. ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები — «პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მიმდინარე რევოლუციაში» (თხზულებანი, ტ. XX, გვ. 113 — 118). — **263.**

64 რევოლუციური სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 2-დან 6 მარტამდე. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ევროპისა და ამერიკის უმნიშვნელოვანესი ქვეყნების 52 დელეგატმა. რუსეთის კომუნისტური პარტიის დელეგატები იყვნენ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. ვოროვსკი და სხვ. კონფერენციამ თავი გამოაცხადა კომუნისტური ინტერნაციონალის პირველ კონგრესად. დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ვ. ი. ლენინის მოხსენება ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. კონგრესმა შექმნა კომინტერნის აღმასკომი — III კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო. — **266.**

65 ბერნის კომისია — სოციალ-შოვინისტთა ბერნის კონფერენციის მიერ «რუსეთში სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გამოსაკვლევად» დანიშნული კომისია. ნავარაუდევი იყო, რომ მის შემადგენლობაში შეიდოდნენ კაუცკი, ჰილფერდინგი, ლონგე

და სხვ. კომისიის ჩამოსვლის ნებართვის შესახებ თხოვნაზე საბჭოთა მთავრობამ 1919 წლის 19 თებერვალს განაცხადა, რომ თუმცა მას ბერნის კონფერენცია არ მიაჩნია არც სოციალისტურ და არც ისეთ კონფერენციად, რომელიც რამდენადმე მაინც წარმოადგენდეს მუშათა კლასს, მაგრამ მაინც რთავს კომისიას საბჭოთა რუსეთში ჩამოსვლის ნებას. გამომგზავრება «წარჩინებული რევიზორებისა ბერნიდან», როგორც კომისიის წევრებს ვ. ი. ლენინი უწოდებდა, არ შემდგარა. — **269.**

66 იგულისხმება ინგლისის პრესის 1919 წლის თებერვლის დამლევის ცნობები იმის შესახებ, რომ ანტანტის საბჭოს განზრახვა აქვს განაახლოს მიწვევა პრინცის კუნძულებზე კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. — **269.**

67 რკპ(ბ) VIII ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 18 — 23 მარტს. ყრილობის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2) რკპ(ბ) პროგრამა; 3) კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ; 4) სამხედრო მდგომარეობა და სამხედრო პოლიტიკა; 5) სოფლად მუშაობა; 6) საორგანიზაციო საკითხები; 7) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშით, მოხსენებებით პარტიული პროგრამისა და სოფლად მუშაობის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

ყრილობამ სამხედრო საკითხი განიხილა პლენარულ სხდომებზე და სამხედრო სექციაში. ყრილობაზე გამოდიოდა ეგრეთწოდებული «სამხედრო ოპოზიცია», რომელიც აერთიანებდა ყოფილ «მემარცხენე კომუნისტებს» და იმ მუშაკთა ნაწილს, რომლებიც არავითარ ოპოზიციაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ უკმაყოფილო იყვნენ არმიაში ტროცკის ხელმძღვანელობით. «სამხედრო ოპოზიცია» იბრძოდა ტროცკის მიერ პარტიის სამხედრო პოლიტიკის გამრუდების წინააღმდეგ, მისი ანტიპარტიული პრაქტიკის წინააღმდეგ, მაგრამ იცავდა არმიაში პარტიზანულობის ნაშთებს და სამხედრო მშენებლობის მთელ რიგ საკითხებზე სხვა არასწორ შეხედულებებს. «სამხედრო ოპოზიციის» წინააღმდეგ გამოვიდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. ყრილობამ უარყო «სამხედრო ოპოზიციის» მთელი რიგი წინადადებანი (სმირნოვის პროექტი), იმავე დროს დაგმო ტროცკის მავნე პოზიცია. ყრილობის მიერ ამხანაგების სტალინის, იაროსლავსკისა და სხვათა შემადგენლობით გამოყოფილმა სამხედრო კომი-

სიამ შეიმუშავა რეზოლუცია სამხედრო საკითხზე, რომელიც ყრილობამ ერთხმად მიიღო.

რკპ(ბ) VIII ყრილობისა და სამხედრო და სხვა საკითხებზე მის გადაწყვეტილებათა შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 282 — 286. — **273.**

68 სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის დეკრეტის პროექტი მოამზადა კომისიამ ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვისა და სხვათა შემადგენლობით. პროექტი განხილულ იქნა სახკომსაბჭოს 1919 წლის 8 მარტისა და 3 აპრილის სხდომებზე. მოხსენებებით პროექტის შესახებ გამოვიდა ი. ბ. სტალინი. პროექტის მომზადებასა და საბოლოო რედაქტირებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ვ. ი. ლენინი. — **275.**

69 ორი დოკუმენტი: პირველი სათაურით «26 კომისრის სიკვდილით დასჯა» და მეორე — «გენერალ ტომსონის შეხვედრა ბატონ ჩაიკინთან 1919 წლის 23 მარტს» დაიბეჭდა როგორც ამ სტატიის დამატება 1919 წლის 23 აპრილის «იზვესტიაში». — **276.**

70 «ზნამია ტრუდა» — ესერების ბაქოს კომიტეტის გაზეთი; გამოდიოდა 1918 წლის იანვრიდან 1919 წლის ნოემბრამდე. — **276.**

71 «ედინაია როსსია» — კადეტური მიმართულების გაზეთი; მისი გამომცემელი იყო ეგრეთწოდებული «ქალაქ ბაქოს რუსული ნაციონალური კომიტეტი»; გამოდიოდა 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის ივლისამდე. — **276.**

72 «ისკრა» — მენშევიკების ბაქოს კომიტეტის გაზეთი; გამოდიოდა 1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის აპრილამდე. — **280.**

73 1919 წლის მაისში იუდენიჩის შემოტევასა და თეთრების მიერ პეტროგრადის გარშემორტყმისა და ხელში ჩაგდების შექმნილ საფრთხესთან დაკავშირებით, პეტროგრადის ფრონტზე თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებულად გაიგზავნა ი. ბ. სტალინი. თავდაცვის საბჭოს 1919 წლის 17 მაისის მანდატში აღნიშნული იყო, რომ ი. ბ. სტალინი მივლინებულია პეტროგრადის რაიონში და დასავლეთის ფრონტის სხვა რაიონებში «ყველა საჭირო სასწ-

რაფო ზომების მისაღებად დასავლეთის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით». 1919 წლის 19 მაისს ი. ბ. სტალინი პეტროგრადს ჩავიდა. — **283.**

74 კრასნაია გორკა და სერაია ლოშად — ფორტები პეტროგრადის ახლოს. 1919 წლის 13 ივნისს ამ ფორტების გარნიზონმა, რომელიც აჰყვა ესერებთან და მენშევიკებთან დაკავშირებულ თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, ამბოხება მოაწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მეამბოხეთა წინააღმდეგ სამოქმედოდ ი. ბ. სტალინის ბრძანებით 13 ივნისს ზღვაში გავიდნენ ბალტიის ფლოტის ხომალდები. იმავე დროს ორანიენბაუმში შექმნილ იქნა ჯარების სანაპირო ჯგუფი, რომლის ბირთვსაც მეზღვაურთა რაზმები შეადგენდნენ. 14 ივნისს ი. ბ. სტალინი ორანიენბაუმს ჩავიდა და მოაწყო საზღვაო და სახმელეთო სარდლობის წარმომადგენელთა, რაზმებისა და ნაწილების მეთაურთა და კომისართა თათბირი. თათბირზე მიღებულ იქნა ი. ბ. სტალინის მიერ წამოყენებული გეგმა კრასნაია გორკას ხელში ჩაგდებისა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროული დარტყმით. 15 ივნისს საბრძოლო ხაზზე მყოფი ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით სანაპირო ჯგუფმა და სხვა ნაწილებმა დაიწყეს შეტევა ბალტიის ფლოტის ხომალდების დახმარებით. საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს მეამბოხეები კრასნაია გორკას მისადგომებზე და 16 ივნისს 00 საათსა და 30 წუთზე ხელთ იგდეს ფორტი. რამდენიმე საათის შემდეგ აღებულ იქნა ფორტი სერაია ლოშად. — **286.**

75 **«Times»** («ტაიმსი») — ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიის გავლენიანი გაზეთი, გამოდის ლონდონში 1788 წლიდან; იუდენიჩის ლაშქრობის დღეებში მოუწოდებდა მის დასახმარებლად. — **292.**

76 ვიდლიცის ქარხანა ლადოგის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე პეტროგრადის ფრონტის ოლონეცის უბანზე მოქმედ თეთრფინელთა მთავარი ბაზა იყო. 1919 წლის 27 ივნისს წითელი არმიის ნაწილებმა ონეგის ფლოტილიისა და ბალტიის ფლოტის ხომალდების დახმარებით უეცარი დარტყმით დაიკავეს ვიდლიცა, მოსპეს ეგრეთწოდებული «ოლონეცის მოხალისეთა არმიის» შტაბი და ხელთ იგდეს საომარი მასალის, საჭურვლისა და სურსათის მდიდარი საწყობები. თეთრფინელები უკუგდებულ იქნენ ფინეთის საზღვარს იქით. — **294.**

77 1919 წლის ივლისის დამდეგს თეთრპოლონელები საერთო შეტევაზე გადმოვიდნენ და საბჭოთა რესპუბლიკას საფრთხე შეუქმნეს დასავლეთიდან. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინს დაავალა დასავლეთის ფრონტის უშუალო ხელმძღვანელობა. 1919 წლის 9 ივლისს დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად დანიშნული ი. ბ. სტალინი სმოლენსკს ჩავიდა ფრონტის შტაბში. — **298.**

78 1919 წლის 26 სექტემბერს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო დენიკინის განადგურების მოსაწყობად სამხრეთის ფრონტზე ი. ბ. სტალინის გაგზავნის შესახებ. 3 ოქტომბერს ი. ბ. სტალინი ფრონტის შტაბში ჩავიდა. ი. ბ. სტალინის მიერ წამოყენებული გეგმა დენიკინის განადგურებისა მიღებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. — **301.**

79 აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 22 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. ყრილობას დაესწრო 80-მდე დელეგატი — თურქესტანის, აზერბაიჯანის, ხივის, ბუხარის, ყირგიზეთის, თათრეთის, ჩუვაშეთის, ბაშკირეთის, კავკასიისა და ცალკე ქალაქების (პერმი, ვიატკა, ორენბურგი და სხვა) მუსლიმანური კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ყრილობამ მოისმინა ანგარიში რკპ(ბ) მუსლიმანური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს მუშაობის შესახებ, განიხილა აღმოსავლეთის საკითხი და სხვა საკითხები და დასახა აღმოსავლეთში პარტიული და საბჭოთა მუშაობის ამოცანები. — **306.**

80 პოსტსკრიპტუმი სტატიისა «სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში» ი. ბ. სტალინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სტატია გამოქვეყნდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს და უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს ორგანოში — ჟურნალ **«რევოლუციონნი ფრონტში»**. — **319.**

81 უკრაინის შრომითი არმია შეიქმნა 1920 წლის თებერვალში. მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ სამხედრო ნაწილები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა გამოყო სამეურნეო მშენებლობის დარგში, უმთავრესად დონბასის აღდგენის სამუშაოებზე

გამოსაყენებლად. უკრაინის შრომითი არმიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რსფსრ სახკომსაბჭომ სრულიად უკრაინის რევოლუციურ კომიტეტთან ერთად სამეურნეო სახალხო კომისარიატებისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წარმომადგენლებისაგან შექმნა შრომითი არმიის საბჭო თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებულისა და წევრის ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით. — **321.**

82 უკრაინის კ. პ. (ბ) სრულიად უკრაინის IV კონფერენცია მიმდინარეობდა ხარკოვში 1920 წლის 17-დან 23 მარტამდე. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 278 დელეგატმა. კონფერენციის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო მოხსენება; 2) უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკისა და რსფსრ-ის ურთიერთობა; 3) სხვა პოლიტიკური პარტიებისადმი დამოკიდებულება; 4) ეკონომიური პოლიტიკა; 5) მიწის საკითხი და სოფლად მუშაობა; 6) სასურსათო საკითხი; 7) უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და რკპ(ბ) IX ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

ი. ბ. სტალინმა კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო როგორც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა. კონფერენციაზე ცენტრალური ადგილი დაიკავა ეკონომიური პოლიტიკის საკითხმა. ამ საკითხის განხილვისას საკადრისი პასუხი გაეცა «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ანტიპარტიულ ჯგუფს (საპრონოვი და სხვ.), რომელიც გამოდიოდა მრეწველობის ხელმძღვანელობაში ერთუფროსობის პრინციპის წინააღმდეგ. სოფლად მუშაობის საკითხზე კონფერენციამ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უკრაინაში მცირემიწიან და უმიწო გლეხთა კავშირების (ხელმოკლე გლეხთა კომიტეტების) დაარსების შესახებ. კონფერენციამ ი. ბ. სტალინი აირჩია რკპ(ბ) IX ყრილობის დელეგატად. — **323.**

83 იგულისხმება ბერლინში 1920 წლის 13 მარტს მომხდარი კონტრრევოლუციური გადატრიალება (ეგრეთწოდებული კაპის პუტჩი), რომელიც გერმანელმა რეაქციონერებმა მოაწყეს. კაპის მთავრობა მუშათა საყოველთაო გაფიცვის შედეგად რამდენიმე დღის შემდეგ განდევნილ იქნა. — **325.**

84 ლაპარაკია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისებზე რკპ(ბ) IX ყრილობისათვის — «სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები». თეზისები გამოქვეყნდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის «იზვესტიას» № 14-ში, 1920 წლის 12 მარტს. — **331.**

85 საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 5 — 9 დეკემბერს. ყრილობამ მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ და განიხილა საკითხები: სამხედრო მდგომარეობის, საბჭოთა მშენებლობის, სასურსათო მდგომარეობის, სათბობის შესახებ და სხვ. დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე ყრილობის მიერ შიღებული გადაწყვეტილებანი (რეზოლუციები: «რსფს რესპუბლიკაში სასურსათო საქმის ორგანიზაციის შესახებ», «საბჭოთა მშენებლობის შესახებ», «რსფსრ რესპუბლიკაში სათბობის საქმის ორგანიზაციის შესახებ») მიძღვნილი იყო საბჭოთა მეურნეობისა და საბჭოთა მმართველობის ორგანიზაციის ამოცანებისადმი.

ხარკოვის კონფერენციის რეზოლუცია — რეზოლუცია ეკონომიური მშენებლობის შესახებ, მიღებული უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე 1920 წლის 15 მარტს ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენების გამო. — **332.**

86 რკპ(ბ) IX ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წლის 29 მარტიდან 5 აპრილამდე. ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2) სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები; 3) პროფესიული მოძრაობა; 4) კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები; 5) საორგანიზაციო საკითხები; 6) კოოპერაციისადმი დამოკიდებულება; 7) სამილიციო სისტემაზე გადასვლა; 8) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები. ვ. ი. ლენინი გამოვიდა ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით და სიტყვებით სამეურნეო მშენებლობისა და კოოპერაციის შესახებ.

ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის უახლოესი სამეურნეო ამოცანები ტრანსპორტისა და მრეწველობის დარგში. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ერთიანი სამეურნეო გეგმის საკითხს. ამ გეგმაში მთავარი ადგილი ეკავა სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის საკითხს. ყრილობაზე საკადრისი პასუხი გაეცა «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ანტიპარტიულ

დაჯგუფებას (საპრონოვი, ოსინსკი და სხვ.), რომელიც გამოდიოდა მრეწველობაში ერთუფროსობის შემოღების წინააღმდეგ. — **338.**

87 ბოროტბისტები — უკრაინელი მემარცხენე ესერები, რომლებმაც 1918 წლის მაისში დამოუკიდებელი პარტია შექმნეს. ბოროტბისტები ეწოდებოდათ მათი პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «ბოროტბას» სახელწოდების მიხედვით. 1920 წლის მარტში, უკრაინის გლეხთა მასებში ბოლშევიკების გავლენის ზრდასთან დაკავშირებით, ბოროტბისტები იძულებული გახდნენ დაეშალათ თავიანთი პარტია და შეერთებოდნენ უკრაინის კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას). უკრაინის კ. პ. (ბ) IV კონფერენციამ გადაწყვეტილება გამოიტანა პარტიაში ბოროტბისტების მიღების შესახებ, ამასთან ყველა ახლად მიღებულმა ხელახალი რეგისტრაცია გაიარა. შემდგომ წლებში ბევრი ბოროტბისტი თვალთმაქცობისა და პარტიის მოტყუების გზას დაადგა, ისინი სათავეში ჩაუდგნენ კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ელემენტების ანტისაბჭოთა ბრძოლას უკრაინაში და მხილებულ იქნენ როგორც უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტრები. — **384.**

88 ლონდონის ყრილობა — რსდმპ V ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა ლონდონში 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე. — **336.**

89 იხ. კ. მარქსი. თეზისები ფოიერბახის შესახებ. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1935, გვ. 424. — **336.**

90 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. IV, გვ. 441 — 634. —**339.**

91 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. VI, გვ. 193 — 443. — **339.**

92 მარქსისადმი ლასალის 1852 წლის 24 ივნისის წერილიდან აღებული ეს სიტყვები ვ. ი. ლენინს მოყვანილი აქვს თავისი ნაშრომის «რა ვაკეთოთ?» ეპიგრაფში (იხ. თხზულებანი, ტ. IV, გვ. 441). — **340.**

93 იგულისხმება გერმანიის ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ შექმნილი სამი პარტია: სოციალ-დემო-

კრატიული პარტია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია და გერმანიის კომუნისტური პარტია. — **340**.

94 ბულიგინის სათათბირო — წარმომადგენლობითი სათათბირო დაწესებულება, რომლის მოწვევაც მეფის მთავრობას განზრახული ჰქონდა 1905 წელს. რჩევითი ხასიათის მქონე სახელმწიფო სათათბიროს დაწესების კანონის პროექტი და სათათბიროს არჩევნების დებულება შეიმუშავა კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრ ბულიგინის თავმჯდომარეობით და გამოქვეყნდა მეფის მანიფესტთან ერთად 1905 წლის 6 აგვისტოს. ბოლშევიკებმა ბულიგინის სათათბიროს აქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს. «...ბულიგინის სათათბირო არასოდეს არ ყოფილა მოწვეული. იგი წალეკა რევოლუციურმა ქარტეხილმა მანამდე, სანამ მოწვეული იქნებოდა» (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. XIX, გვ. 436). — **343**.

95 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 27 — 126 (რუს. გამოც.). — **343**.

96 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. IX, გვ. 79 — 143 (რუს. გამოც.). — **343**.

97 ბროშურა «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» ვ. ი. ლენინმა დაწერა გადასახლებაში 1897 წლის დამლევს. ბროშურის პირველი გამოცემა პ. აქსელროდის წინასიტყვაობით 1898 წელს გამოუშვა ჟენევაში «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირმა» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 261 — 287). — **345**.

98 ტამერფორსის კონფერენცია — ბოლშევიკების პირველი კონფერენცია, შედგა 1905 წლის 12 — 17 დეკემბერს. კონფერენციაზე პირადად პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. მანამდე მათ ურთიერთთან კავშირი ჰქონდათ წერილებით ან ამხანაგების საშუალებით.

კონფერენციის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან; 2) მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ; 3) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში; 4) რსდმპ ორივე ნაწილის გაერთიანების შესახებ; 5) პარტიის რეორგანიზაციის შესახებ; 6) აგრარული საკითხი; 7) სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

მიმდინარე მომენტისა და აგრარული საკითხის შესახებ მოხსენებებით, აგრეთვე ვიტეს სათათბიროსადმი დამოკიდე-

ბულების საკითხზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. კონფერენციაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა მოხსენებით ბოლშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და სიტყვით სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ლენინური ტაქტიკის დასაცავად. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ფაქტიურად ორ პარტიად გათიშული პარტიის ერთიანობის აღდგენის შესახებ და ვ. ი. ლენინის მიერ აგრარულ საკითხზე შეტანილი რეზოლუცია. ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინთან ერთად მონაწილეობა მიიღო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის მუშაობაში. ამ რეზოლუციაში კონფერენციამ მოუწოდა პარტიასა და მუშათა კლასს ბოიკოტი გამოეცხადებინათ სათათბიროსათვის და წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ფართოდ გამოეყენებინათ საარჩევნო კრებები პროლეტარიატის რევოლუციური ორგანიზაციის გასაფართოებლად და ხალხის ყველა ფენაში შეიარაღებული აჯანყების სასარგებლო აგიტაციის საწარმოებლად. — **846.**

99 იგულისხმება დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომელიც წარმოებდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისადმი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ კერზონის 1920 წლის 11 აპრილის ნოტასთან დაკავშირებით. ამ ნოტაში კერზონი საბჭოთა მთავრობას სთავაზობდა ვრანგელისა და მისი ჯარების სრულ კაპიტულაციას ყირიმში ამნისტიის პირობით. ამ მიწერ-მოწერის შესახებ იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 364. — **849.**

100 ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენცია სან-რემოში (იტალია) მიმდინარეობდა 1920 წლის 19-დან 26 აპრილამდე. კონფერენციაზე განხილულ იქნა გერმანიის მიერ ვერსალის საზავო ხელშეკრულების შესრულების საკითხი, თურქეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტი და სხვა საკითხები. — **857.**

101 **«კრასნოარმეეცი»** — დასავლეთის ფრონტის XVI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს პოლიტგანყოფილების ყოველდღიური წითელარმიული გაზეთი; გამოდიოდა 1919 წლის 20 მარტიდან 1921 წლის 15 მაისამდე. — **872.**

102 ამ წერილის პროექტზე არის ვ. ი. ლენინის რეზოლუცია, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნისადმი მიმართული, რომელშიც

ნათქვამია: «მე მომხრე ვარ, რომ **დაუყოვნებლივ** დაიგზავნოს, როგორც უდავო რამ». ცენტრალურმა კომიტეტმა წერილი დაუგზავნა პარტიულ ორგანიზაციებს 1920 წლის ივლისის მეორე ნახევარში. — **374**.

108 რესპუბლიკის შინაგანი დაცვის ჯარები 1919 — 1920 წლებში ეწეოდნენ ქალაქების, ქარხნების, რკინიგზების, საწყობებისა და სხვათა დაცვის სამსახურს ზურგში და ფრონტისპირა რაიონებში. — **379**.

104 სტატია «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» (იხ. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 312 — 395) ი. ბ. სტალინმა დაწერა ვენაში 1912 წლის დამლევსა და 1913 წლის დამდეგს; პირველად დაიბეჭდა კ. სტალინის ხელმოწერით 1913 წლის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» №№ 3 — 5-ში სათაურით «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია».

«**პროსვეშჩენიე**» — ბოლშევიკური ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე, როცა დახურულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. 1917 წლის შემოდგომაზე გამოვიდა კიდევ ერთი ორმაგი ნომერი. ჟურნალის მუშაობას ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. პეტერბურგში ყოფნის პერიოდში ი. ბ. სტალინი უახლოეს მონაწილეობას იღებდა ჟურნალის მუშაობაში. — **408**.

105 სტატია «ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი» (იხ. ეს ტომი, გვ. 168 — 181) გამოქვეყნდა გაზეთში «ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 1, 1918 წლის 9 ნოემბერს.

გაზეთი «**ჟიზნ ნაციონალნოსტეი**» — ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის ორგანო; გამოდიოდა ყოველკვირეულად მოსკოვში 1918 წლის 9 ნოემბრიდან 1922 წლის 16 თებერვლამდე. 1922 წლის 25 თებერვლიდან გაზეთი გადაკეთებულ იქნა ჟურნალად, რომელიც იმავე სახელწოდებით 1924 წლის იანვრამდე გამოდიოდა. — **404**.

106 იხ. ეს ტომი, გვ. 382 — 396. — **405**.

107 აღმოსავლეთის ხალხთა მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტი ანუ პროპაგანდისა და მოქმედების საბჭო შექმნილ იქნა აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობაზე ბაქოში 1920 წლის სექტემ-

ბერში. კომიტეტს ამოცანად ჰქონდა დასახული აღმოსავლეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის პროპაგანდის ორგანიზაცია, მზარდაჭერა და გაერთიანება. იარსება დაახლოებით ერთ წელიწადს. — **418.**

108 1920 წლის 14 სექტემბერს «სოციალისტური დელეგაციის» სახით საქართველოში ჩავიდნენ II ინტერნაციონალის ლიდერები (ვანდერველდე, მაკდონალდი, რენოდელი და სხვ.). კ. კაუცკი, რომელიც «დელეგაციის» ერთ-ერთ ხელმძღვანელად ითვლებოდა, თბილისში 30 სექტემბერს ჩავიდა. მენშევიკებმა «დელეგაციას» და კაუცკის საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. ორი კვირის შემდეგ «დელეგაცია» უკანვე გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში, ხოლო კაუცკი თბილისში დარჩა და იქ 1920 წლის დეკემბრამდე ცხოვრობდა. — **427.**

109 ოგულისხმება სიტყვები ლუთერის თავდასაცავი სიტყვიდან ვორმსის სეიმზე (1521 წ.), სადაც ლუთერს კათოლიკურმა ეკლესიამ წინადადება მისცა ხელი აეღო თავის მოძღვრებაზე (იხ. **D. Martin Luthers Werke. Kritische Gesammtausgabe. Weimar**, 1897, **Band** 7, S. 838). — **428.**

110 დაღისტნის ხალხთა ყრილობა შედგა თემირ-ხან-შურაში 1920 წლის 13 ნოემბერს. ყრილობას 300-მდე დელეგატი დაესწრო. ი. ბ. სტალინის მიერ დაღისტნის ავტონომიის გამოცხადების შემდეგ ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გ. კ. ორჯონიკიძემ. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც განაცხადა საბჭოთა რუსეთის მშრომელ ხალხებთან დაღისტნის ხალხთა ურღვევი კავშირის შესახებ. — **429.**

111 თერგის ოლქის ხალხთა ყრილობა მოხდა კავკავში 1920 წლის 17 ნოემბერს. ყრილობას დაესწრო 500-ზე მეტი დელეგატი. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გ. კ. ორჯონიკიძემ და ს. მ. კიროვმა. ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ რწმენა გამოთქვა, რომ «ავტონომია კიდევ უფრო განამტკიცებს ძმობის იმ კავშირს, რომელიც თერგის ოლქის მშრომელთა მასებს საბჭოთა რუსეთთან აკავშირებს». — **435.**

112 სევრის ხელშეკრულება — საზავო ხელშეკრულება, ანტანტის მიერ ნაკარნახევი თურქეთისათვის, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო პირველ მსოფლიო ომში; ხელმოწერილ იქნა 1920 წლის 10 აგვისტოს სევრში (პარიზის ახლოს). კონსტანტინოპოლის მთავრობასთან დადებული ამ ხელშეკრულების კაბალური პირობები ფაქტიურად აუქმებდნენ თურქეთის დამოუკიდებლობას. — **447**.

113 ვილსონის თოთხმეტი პუნქტი — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონის მიერ 1918 წლის იანვარში წამოყენებული სამშვიდობო პროგრამა. ერთ-ერთ პუნქტში ლაპარაკი იყო როგორც დიდი, ისე მცირე სახელმწიფოების დამოუკიდებლობაზე და მთლიანობის გარანტიის შესახებ. — **449**.

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1917 წ. ოქტომბერი — 1920)

1917

25 — 26 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობას.

26 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინს საბჭოების II ყრილობაზე ირჩევენ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის წევრად და ამტკიცებენ ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად.

28 ოქტომბრის წინა ღამე. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ინახულეს პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბი, სადაც სამხედრო მუშაკებთან ერთად შეიმუშავეს კერენსკი-კრასნოვის ჯარების განადგურების ოპერატიული გეგმა.

28 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერეს სახკომსაბჭოს დადგენილებას ბურჟუაზიული გაზეთების გამოსვლის აკრძალვის შესახებ.

31 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სხდომაზე ინფორმაციით ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

2 ნოემბერი. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერეს ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ «რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციას».

3 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის კამათში პოლიტიკური პარტიების, პუტილოვის ქარხნის მუშებისა და რკინიგზელთა სრულიად რუსეთის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ციკ-ჟელის) წარმომადგენელთა თათბირზე.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სხდომაზე გამოდის სიტყვით «საერთო-სოციალისტური მთავრობის» შექმნის საკითხზე.

9 ნოემბერი. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერეს ბრძანებას გენერალ დუხონინის უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

14 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი სიტყვას ამბობს ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობაზე ჰელსინგფორსში.

16 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს სახკომსაბჭოს სხდომაზე წინადადება შეაქვს — გადაეცეს ისტორიული ფასეულობანი უკრაინელ ხალხს; მას ირჩევენ კომისიაში, რომელსაც დაევალა რევოლუციური სასამართლოების შესახებ დეკრეტის შემუშავება.

19 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებებით: 1) ფინეთთან ვაჭრობის შესახებ და 2) უკრაინისა და რადის შესახებ.

20 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს სახკომსაბჭოს განსახილველად შეაქვს პროექტი საბჭოთა მთავრობის მიმართვისა «რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი»; იგი სახკომსაბჭოს უკე-

თებს მოხსენებას დამფუძნებელი კრების არჩევნების კომისიის კონტრრევოლუციური მოქმედების შესახებ.

22 ნოემბერი — ი. ბ. სტალინი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სხდომაზე გამოდის კონტრრევოლუციური გაზეთების დახურვის საკითხზე.

27 ნოემბერი. — ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის ფინანსებისა და ეკონომიკის დარგში სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელების საკითხზე.

არა უადრეს 27 ნოემბრისა. — ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ადგენენ ზავის შესახებ მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტს.

28 ნოემბერი. — ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერეს ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილ «დეკრეტს რევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ბელადების დაპატიმრების შესახებ».

29 ნოემბერი. — პარტიის ცენტრალური კომიტეტი ქმნის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომელშიც შედიან ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი.

1 დეკემბერი. — ი. ბ. სტალინი ესაუბრება მუსლიმანთა სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მუსლიმანებისათვის «ოსმანის წმიდა ყურანის» დაბრუნებაზე.

2 დეკემბერი. — ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე აკეთებს მოხსენებებს უკრაინის შესახებ და ბელორუსიის საბჭოების ყრილობის მოწყობის შესახებ.

5 დეკემბერი. — გაზეთ «პრავდაში» გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის მიერ

ხელმოწერილი დეკრეტი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) შექმნის შესახებ.

ი. ბ. სტალინი ბელორუსიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებთან დებს შეთანხმებას ბელორუსიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ერთობლივი მუშაობის შესახებ.

12 დეკემბერი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «პასუხი ამხანაგ უკრაინელებს ზურგში და ფრონტზე».

14 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სხდომაზე გამოდის მოხსენებით უკრაინის რადასთან ურთიერთობის შესახებ.

16 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებებით ორენბურგში, ურალის ოლქში, თურქესტანსა და კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

18 დეკემბერი. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერეს დეკრეტს ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ.

ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის ინფორმაციით ორენბურგის ოლქში არსებული სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

19 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით უკრაინის ცენტრალური რადის შესახებ.

21 დეკემბერი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებენ წითელი არმიის მოწყობისა და ფორმირების სრულიად რუსეთის კოლეგიის სხდომაში.

22 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სხდომაზე აკეთებს მოხსენებას ფინეთის დამოუკიდებლობის საკითხზე.

23 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ინიშნება სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ვ. ი. ლენინის შვებულებაში ყოფნის დროს.

24 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს სახკომსაბჭოს სხდომას და გამოდის მოხსენებებით დონზე არსებული მდგომარეობის, მშრომელი კაზაკობის ყრილობისა და ორენბურგზე რევოლუციური რაზმების შეტევის მომზადების შესახებ.

27 დეკემბერი. სხდომაზე, რომელსაც ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს, სახალხო კომისართა საბჭო იღებს დადგენილებას პუტილოვის ქარხნების ნაციონალიზაციის შესახებ და დეკრეტს სიმფეროპოლში ანატრის აეროპლანთა ქარხნის კონფისკაციის შესახებ და სხვ.

27 და 28 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება დონის ოლქის კაზაკთა «ვოისკოვოი კრუგის» მემარცხენე ნაწილის დელეგატებს და კაზაკთა მე-8 დივიზიის წარმომადგენელს.

31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია ««თურქეთის სომხეთის» შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 227-ე ნომერში.

ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი დეკრეტი ««თურქეთის სომხეთის» შესახებ» დაიბეჭდა «პრავდის» იმავე ნომერში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმოწერით.

1918

8 იანვარი. სახკომსაბჭოს სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის დარგში ღონისძიებათა შემმუშავებელ კომისიაში.

10 — 18 იანვარი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის მუშაობაში.

11 იანვარი. ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე იცავს ვ. ი. ლენინის წინადადებას გერმანელებთან ზავის საკითხზე.

15 იანვარი. ი. ბ. სტალინი საბჭოების III ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე გამოდის მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.

ი. ბ. სტალინი საბჭოების III ყრილობის სხდომაზე გამოდის მოხსენებითა და საბოლოო სიტყვით ნაციონალურ საკითხზე. ყრილობა იღებს ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ რეზოლუციას რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ.

24 იანვარი. ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო პარტიის VII ყრილობის მოწვევისადმი, მხარს უჭერს რსდმპ(ბ) პროგრამის გადასინჯვას.

ი. ბ. სტალინი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ატარებს ევროპისა და ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების სოციალისტური პარტიების რევოლუციური ფრთის მოღვაწეთა თათბირს.

28 იანვარი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი საბჭოთა საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში დეპეშას უგზავნიან გერმანიასთან ზავის დაუყოვნებლივ დადების აუცილებლობის შესახებ.

21 (8) თებერვალი *. გერმანიის ჯარების შემოტევასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ბოლშევიკური პარტიის პეტერბურგის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს აძლევენ დირექტივას გერმანელი დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობის მოწყობისა და მუშების კონტროლით სანგრების სათხრელად ბურჟუაზიის მობილიზაციის შესახებ. ასეთსავე დირექტივას ი. ბ. სტალინი უგზავნის კიევის ბოლშევიკებს.

23 თებერვალი. ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მხარს უჭერს ვ. ი. ლენინს ბრესტის ზავის საკითხზე ტროცკისა და ბუხარინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

24 თებერვალი. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით დირექტივას აძლევს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს საზავო დელეგაციის ბრესტში გაგზავნისა და გერმანელ იმპერიალისტებთან მოლაპარაკების დროს მისი ტაქტიკის ხაფუძვლების შესახებ.

არა უადრეს 2 მარტისა. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მურმანსკის საბჭოს თავმჯდომარესთან პირდაპირი მავთულით საუბარში მოითხოვენ სასწრაფო დიპლომატიური ზომების მიღებას მურმანსკის დასაცავად ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ოკუპაციისაგან.

6 — 8 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) VII ყრილობის მუშაობაში.

8 მარტი. რკპ(ბ) VII ყრილობაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და პარტიის პროგრამის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრად.

---

* 1918 წლის 21 (8) თებერვლიდან ბიოგრაფიულ ქრონიკაში თარიღები მოყვანილია ახალი სტილით.

10 მარტზე ადრე. ი. ბ. სტალინს ირჩევენ საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო IV ყრილობის დელეგატად პეტროგრადის საბჭოსაგან.

10 მარტი. ი. ბ. სტალინი მთავრობასთან ერთად გადადის მოსკოვში.

14 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «უკრაინის კვანძი» დაიბეჭდა გაზეთ «იზვესტიას» 47-ე ნომერში.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი წერილში უკრაინის საგანგებო კომისარ გ. კ. ორჯონიკიძისადმი მოითხოვენ ყირიმისა და დონეცის აუზის მთელ რუსეთთან ერთიანი საბრძოლო ფრონტის შექმნას გერმანელი ოკუპანტების შემოსევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

14 — 16 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო IV ყრილობის მუშაობაში.

16 მარტი. საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო IV ყრილობა ირჩევს ი. ბ. სტალინს სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის წევრად.

19 მარტი. ი. ბ. სტალინი წერილში ს. შაუმიანისა და ა. ჯაფარიძისადმი მიუთითებს მათ, რომ აუცილებლად საჭიროა ბაქოს გამაგრება სამხედრო თვალსაზრისით.

26 და 27 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 55-ე და 56-ე ნომრებში.

31 მარტის წინა ღამე. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკება ტაშკენტის საბჭოს თავმჯდომარეს თურქესტანის საშინაო მდგომარეობაზე.

1 აპრილი. სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ბოლშევიკური ფრაქცია ი. ბ. სტალინს ირჩევს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრად.

2 აპრილი. ი. ბ. სტალინს სახკომსაბჭოს სხდომაზე წინადადება შეაქვს დაუყოვნებლივ დაიწყოს საზავო მოლაპარაკება უკრაინის ცენტრალურ რადასთან ხარკოვზე გერმანელების შეტევასთან დაკავშირებით.

3 და 4 აპრილი. ი. ბ. სტალინის საუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ორგანიზაციის შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 62-ე და 63-ე ნომრებში.

5 აპრილი. ი. ბ. სტალინი გამოდის სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის რსფსრ კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის პირველ სხდომაზე.

9 აპრილი. ი. ბ. სტალინის მიმართვა ყაზანის, უფის, ორენბურგის, თურქესტანისა და სხვა საბჭოებისადმი გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 67-ე ნომერში სათაურით «ერთ-ერთი მორიგი ამოცანა».

12 აპრილი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის რსფსრ კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის სხდომაზე გამოდის მოხსენებით რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციის ტიპის შესახებ.

19 აპრილი. ი. ბ. სტალინის პროექტი «რსფსრ კონსტიტუციის ზოგადი დებულებანი» განიხილეს და დაამტკიცეს სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის სხდომაზე.

27 აპრილი. სახალხო კომისართა საბჭო ნიშნავს ი. ბ. სტალინს რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად უკრაინის ცენტრალურ რადასთან მოლაპარაკების საწარმოებლად საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

29 აპრილი. ი. ბ. სტალინი დელეგაციასთან ერთად ჩადის კურსკში.

არა უადრეს 2 მაისისა. ი. ბ. სტალინი კურსკიდან მოსკოვს მიემგზავრება სახკომსაბჭოსათვის მოხსენების გასაკეთებლად.

5 მაისი. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა ვორონეჟში, როსტოვსა და ბრიანსკში გაგზავნეს რადიოდეპეშა უკრაინის ფრონტზე დროებითი ზავის დადების შესახებ.

10 — 16 მაისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მომწვევ თათბირს და სიტყვებით გამოდის თათბირის გახსნისას და დახურვისას.

28 მაისი. ი. ბ. სტალინის სტატია «მდგომარეობა კავკასიაში» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» მე-100 ნომერში.

29 მაისი. სახკომსაბჭო ნიშნავს ი. ბ. სტალინს სამხრეთ რუსეთში სასურსათო საქმის საგანგებო უფლებებით აღჭურვილ საერთო ხელმძღვანელად.

1 ივნისი. ი. ბ. სტალინის სტატია «დონის ოლქისა და ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ (ფაქტები და ყალთაბანდობა)» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 108-ე ნომერში.

4 ივნისი. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან ცარიცინს მიემგზავრება.

6 ივნისი. ი. ბ. სტალინი ცარიცინში ჩადის.

7 ივნისი. ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის ვ. ი. ლენინს ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად, ცარიცინში რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად და ცენტრში პურის გასაგზავნად მიღებული ზომების შესახებ.

18 ივნისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ დეპეშაში აუწყებს მას ტრანსპორტის საქმის გაუმჯობესების, პურის დამზადებისა და მოსკოვში მისი გაგზავნის გეგმის შესახებ.

25 ივნისი. ი. ბ. სტალინი კამიშინში ჩადის ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად და სასურსათო ტვირთების გადაზიდვის მოსაგვარებლად.

29 ივნისი. ი. ბ. სტალინი ცარიცინიდან პირდაპირი მავთულით ატყობინებს ვ. ი. ლენინს სურსათით დატვირთული სამარშრუტო მატარებლების ჩრდილოეთში გაგზავნას.

7 ივლისი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დეპეშებს უგზავნიან ერთმანეთს «მემარცხენე» ესერთა აჯანყების გამო.

ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში აუწყებს მას ცარიცინის რაიონში არსებული სამხედრო მდგომარეობისა და თურქესტანის შესახებ.

8 ივლისი. ი. ბ. სტალინი ბაქოში ს. შაუმიანს სწერს წერილს რსფსრ და აზერბაიჯანის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

10 ივლისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში პროტესტს აცხადებს ტროცკის იმ განკარგულებათა წინააღმდეგ, რომლებიც იწვევდნენ ცარიცინის ფრონტის რღვევას და ჩრდილოეთ კავკასიის მხარის დაკარგვას.

15 ივლისი. ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ აუცილებელია სასწრაფო დახმარება გაეწიოს საბჭოთა თურქესტანს.

17 ივლისი. ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის ვ. ი. ლენინს ცარიცინის ფრონტის დათვალიერების შედეგების შესახებ.

18 ივლისი. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით ატყობინებს ვ. ი. ლენინს, რომ 12-დან 16 ივლისამდე მოსკოვს გაიგზავნა სურსათით დატვირთული ხუთი მატარებელი.

19 ივლისი. შეიქმნა ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

20 ივლისი. ი. ბ. სტალინი ს. შაუმიანისათვის გაგზავნილ დეპეშაში სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახკომსაბჭოს სახელით მოითხოვს ბაქოს საბჭოსაგან — გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა უცხოეთის კაპიტალის აგენტებთან.

24 ივლისი. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით ესაუბრება ვ. ი. ლენინს მოსკოვისა და პეტროგრადის სასურსათო მდგომარეობის საკითხზე.

4 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში ატყობინებს მას სამხრეთში არსებულ სამხედრო და სასურსათო მდგომარეობას.

6 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ბრძანებას ყველა იმ ორგანოს რეორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ფრონტის მომარაგებას განაგებდნენ.

8 აგვისტო. ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი სადგურ კოტელნიკოვოში იმყოფებიან; განკარგულებას აძლევენ ცარიცინის ფრონტის სამხრეთი უბნის სარდალს კრასნოვის ბანდების შეტევასთან დაკავშირებით ჯარების გადაყვანის შესახებ.

13 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხედრო საბჭოს ბრძანებას, რომლითაც ცარიცინსა და გუბერნიაში საალყო წესები გამოცხადდა.

14 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხედრო საბჭოს ბრძანებას სანგრების სათხრელად ცარიცინში ბურჟუაზიის მობილიზაციის შესახებ.

17 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მოსკოვში პარხომენკოს უგზავნის დეპეშას ცარიცინის ფრონტზე მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

19 აგვისტო. ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი ფრონტზე საბრძოლო მოქმედებასთან დაკავშირებით სარეპტაში იმყოფებიან.

24 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა და კ. ე. ვოროშილოვმა ხელი მოაწერეს ოპერატიულ ბრძანებას ცარიცინის ფრონტზე შეტევის გაშლის შესახებ.

26 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა და კ. ე. ვოროშილოვმა ხელი მოაწერეს ბრძანებას ფრონტზე ჯავშნიანი ავტომობილების საჭიროებასთან დაკავშირებით ცარიცინში ქვემეხთა ქარხნის რეორგანიზაციის შესახებ.

31 აგვისტო. ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარეს ი. მ. სვერდლოვს უგზავნიან დეპეშას ვ. ი. ლენინზე ავაზაკური თავდასხმის გამო.

6 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის სახკომსაბჭოს ცარიცინის რაიონში საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევის შესახებ.

8 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის ვ. ი. ლენინს ცარიცინში ესერების მიერ მოწყობილი «გრუზოლესის» პოლკის კონტრრევოლუციური აჯანყების ლიკვიდაციის შესახებ.

10 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ცარიცინში გამართულ მიტინგზე სახკომსაბჭოს და ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სახელით მიესალმება ცარიცინის პოლკებს, რომლებმაც ბრძოლებში თავი გამოიჩინეს, და გადასცემს მათ დროშებს წარწერით «ბრძოლებში მამაცობისათვის».

12 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მიემგზავრება მოსკოვს, რათა მოხსენება გაუკეთოს ვ. ი. ლენინს სამხრეთის ფრონტზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

15 სექტემბერი. შედგა ვ. ი. ლენინის, ი. მ. სვერდლოვისა და ი. ბ. სტალინის თათბირი ცარიცინის ფრონტის საკითხებზე.

17 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ინიშნება სამხრეთის ფრონტის ახლად შექმნილი სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ.

19 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მუშაობს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობისა და მისი მუშაობის წესის საკითხებზე.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მისასალმებელ დეპეშას უგზავნიან ცარიცინის ფრონტის რევოლუციურ ჯარებს.

21 სექტემბერი. გაზეთ «იზვესტიაში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის საუბარი «იზვესტიას» თანამშრომელთან ცარიცინის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

22 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან ცარიცინში ბრუნდება.

28 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს პირველ სხდომას ფრონტის ჯარის ნაწილების ოთხ არმიად დაყოფის საკითხზე.

3 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი დეპეშას უგზავნიან ვ. ი. ლენინს და მოითხოვენ, რომ ცენტრალურ კომიტეტში განხილულ იქნას საკითხი ტროცკის იმ მოქმედების შესახებ, რომელიც დაშლას უქადდა სამხრეთის ფრონტს.

6 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი კვლავ მიემგზავრება მოსკოვს.

8 ოქტომბერი. სახკომსაბჭოს დადგენილებით ი. ბ. სტალინი ინიშნება რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად.

11 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან ცარიცინში ბრუნდება.

ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით აწვდის ი. მ. სვერდლოვს ინფორმაციას ცარიცინის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

16 ოქტომბერი. «წერილი დონის ღარიბი გლეხობისადმი», რომელსაც ხელს აწერენ ი. ბ. სტალინი და სამხედრო საბჭოს სხვა წევრები, დაიბეჭდა გაზეთ «სოლდატ რევოლუციის» 58-ე ნომერში.

18 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს უგზავნის დეპეშას ცარიცინთან კრასნოვის ჯარების განადგურების შესახებ.

19 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ცარიცინიდან მოსკოვს მიემგზავრება.

22 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის რევოლუციურ პოლკებს, რომლებმაც გა-

ნადგურეს თეთრგვარდიელთა ჯარები ცარიცინთან.

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) II ყრილობაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

29 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მოსკოვის საბჭოს პლენუმზე გამოდის მოხსენებით სამხრეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ი. ბ. სტალინის სტატია «მოვლენათა ლოგიკა (შენშევიკების ცენტრალური კომიტეტის «თეზისების» გამო)» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 234-ე ნომერში.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «ოქტომბრის გადატრიალება (1917 წლის 24 და 25 ოქტომბერი პეტროგრადში)» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 241-ე ნომერში.

6 — 9 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო VI ყრილობის მუშაობაში.

9 ნოემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო VI ყრილობა ირჩევს ი. ბ. სტალინს სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის წევრად.

11 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს მუსლიმან კომუნისტთა I ყრილობაზე მოსკოვში.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ირჩევენ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «შუაკედელი» დაიბეჭდა გაზეთ «ჟიზნ ნაციონალნოსტეის» მე-2 ნომერში.

24 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «არ დაივიწყოთ აღმოსავლეთი» დაიბეჭდა გაზეთ «ჟიზნ ნაციონალნოსტეის» მე-3 ნომერში.

30 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ინიშნება მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოს წევრად და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის კამათში მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოს პირველ სხდომაზე.

თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს უფლება მიენიჭათ დაამტკიცონ თავდაცვის საბჭოს კომისიების დადგენილებანი.

3 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს კომისიის სხდომას რკინიგზის ტრანსპორტის მოწესრიგების საკითხზე.

7 დეკემბერი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროექტი დეკრეტისა ესტლანდიის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

11 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებებით: რკინიგზის ტრანსპორტის მოწესრიგების, პოლიტიკური აგიტაციისა და შესადგენ დივიზიებში კომისრების გაგზავნის და სამხედრო ნაწილების დაბინავების შესახებ.

22 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «საქმე წინ მიდის» დაიბეჭდა გაზეთ «ჟიზნ ნაციონალნოსტეის» მე-7 ნომერში.

25 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ბელორუსიის ნაციონალური კომისარიატის პასუხისმგებელ თანამშრომლებს ბელორუსიის სახელმწიფო წყობილების შესახებ.

ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით მითითებებს აძლევს სმოლენსკში მიასნიკოვს ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის კპ(ბ) ორგანიზაციის საკითხებზე.

29 დეკემბერი. თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის საინფორმაციო ცნობით ფრონტისპირა ზოლში სურსათის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.

30 დეკემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის წინადადებით იღებს გადაწყვეტილებას აღმოსავლეთის ფრონტზე ი. ბ. სტალინის მივლინების შესახებ.

1919

1 იანვარი. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და თავდაცვის საბჭომ შექმნეს პარტიულ-საგამომძიებლო კომისია ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის შემადგენლობით პერმის ჩაბარების მიზეზების გამოსარკვევად და აღმოსავლეთის ფრონტის III და II არმიების რაიონში პარტიული და საბჭოთა მუშაობის აღდგენისათვის ზომების მისაღებად.

5 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი ვიატკაში ჩავიდნენ.

ი. ბ. სტალინმა და ფ. ე. ძერჟინსკიმ ვიატკიდან ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში დააყენეს საკითხი III არმიისათვის მაშველი ძალების გაგზავნის შესახებ.

7 იანვრის წინა ღამეს. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი მიდიან გლაზოვში, III არმიის შტაბში.

7 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი მითითებას აძლევენ ვიატკაში პარტიის საოლქო კომიტეტს ფრონტზე გასაგზავნად კომუნისტების მობილიზაციის ჩატარების შესახებ.

13 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი ვ. ი. ლენინს უგზავნიან მოკლე წინასწარ ანგარიშს პერმის კატასტროფის მიზეზთა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

18 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი გლაზოვიდან ვიატკაში მიდიან.

19 იანვარი. ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის მიერ მოწვეულ ურალისა და ვიატკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით ვიატკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შექმნის საკითხზე.

ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი ატარებენ გზათა სახალხო კომისარიატის, III არმიის სამხედრო მიმოსვლის განყოფილებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირს ვიატკის რკინიგზის კვანძის განტვირთვის შესახებ.

ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი ვ. ი. ლენინს უგზავნიან მოხსენებას III არმიის ფრონტისა და ზურგის განსამტკიცებლად მიღებული ზომების შესახებ.

20 იანვარი. ი. ბ. სტალინი ატყობინებს ვ. ი. ლენინს აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი ვიატკიდან მიდიან გლაზოვში, III არმიის შტაბში.

25 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი გლაზოვიდან ვიატკაში ბრუნდებიან.

27 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი ვიატკიდან მოსკოვს მიდიან.

31 იანვარი. ი. ბ. სტალინი და ფ. ე. ძერჟინსკი აღმოსავლეთის ფრონტიდან ჩამოსვლის შემდეგ ვ. ი. ლენინს

უდგენენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის ანგარიშს.

9 თებერვალი. ი. ბ. სტალინის სტატია «მთავრობის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში» დაიბეჭდა გაზეთ «იზვესტიას» 30-ე ნომერში.

17 თებერვალი. ი. ბ. სტალინი თავდაცვის საბჭოს სხდომაზე აკეთებს მოხსენებას პურისა და ქვანახშირის გადასაზიდავად სამარშრუტო მატარებლების მოწყობის შესახებ.

22 თებერვალი. ი. ბ. სტალინის სტატია «ორი ბანაკი» დაიბეჭდა გაზეთ «იზვესტიას» 41-ე ნომერში.

8 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «ჩვენი ამოცანები აღმოსავლეთში» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 48-ე ნომერში.

2 — 6 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომინტერნის I კონგრესის მუშაობაში როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დელეგაციის წევრი.

8 მარტი. ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე აკეთებს მოხსენებას სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის დეკრეტის პროექტზე.

9 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «ორი წლის მანძილზე» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 53-ე ნომერში და გაზეთ «ეიზნ ნაციონალნოსტეის» მე-8 ნომერში.

16 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «იმპერიალიზმის რეზერვები» დაიბეჭდა გაზეთ «იზვესტიას» 58-ე ნომერში.

18 — 23 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) VIII ყრილობის მუშაობაში.

10 მარტი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) VIII ყრილობის სხდომაზე ირჩევენ პარტიის პროგრამის საბოლოო რედაქტირების კომისიის წევრად.

21 მარტი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) VIII ყრილობაზე გამოდის სიტყვით სამხედრო საკითხის შესახებ.

22 მარტი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) VIII ყრილობის სხდომაზე ირჩევენ სამხედრო საკითხზე რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობაში.

23 მარტი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) VIII ყრილობაზე ირჩევენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

გაზეთ «იზვესტიაში» გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის მიერ ხელმოწერილი «შეთანხმება ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლებისა ბაშკირეთის მთავრობასთან საბჭოთა ავტონომიური ბაშკირეთის შესახებ».

25 მარტი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამტკიცებენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ორგბიუროს წევრად.

30 მარტი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად.

3 აპრილი. ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის დეკრეტის პროექტის საკითხზე.

9 აპრილი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გამოდის მოხსენებით სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ.

გ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და მ. ი. კალინინი ხელს აწერენ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ.

კომიტეტის მიერ დამტკიცებულ დეკრეტს სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

18 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

21 აპრილი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნებიან იმ კომისიის წევრებად, რომელსაც დაევალა წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისიაში სამხედრო ქონების აღრიცხვის დაყენების გამოკვლევა.

28 აპრილი. ი. ბ. სტალინის სტატია «ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო» დაიბეჭდა გაზეთ «იზვესტიას» 85-ე ნომერში.

30 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელს აწერს განცხადებას «საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი» სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატთან საჩივართა და განცხადებათა ცენტრალური ბიუროს შექმნის შესახებ. განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტიას» 97-ე ნომერში, 1919 წლის **8 მაისს.**

4 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

5 მაისი. ი. ბ. სტალინი თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით საბჭოთა დაწესებულებების რევიზიის შედეგების შესახებ.

8 მაისი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი უკრაინის სახკომსაბჭოს უგზავნიან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივას სამხრეთის ფრონტისადმი სამხედრო დახმარების გაძლიერების შესახებ დონბასისათვის დენიკინის მიერ შექმნილ საფრთხესთან დაკავშირებით.

17 მაისი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და თავდაცვის საბჭო იუდენიჩის შემოტევასა და პეტროგრადისათვის შექმნილ საფრთხესთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინს გზავნიან პეტროგრადის ფრონტზე.

19 მაისი. ი. ბ. სტალინი პეტროგრადში ჩასვლისას ატარებს თათბირს მთავარსარდალთან, დასავლეთის ფრონტის სარდალთან და VII არმიის სარდალთან ფრონტზე არსებული მდგომარეობის საკითხზე.

ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით აცნობებს ვ. ი. ლენინს პეტროგრადთან შექმნილი მდგომარეობისა და ფრონტის გასამაგრებლად მიღებული ზომების შესახებ.

20 მაისი. ი. ბ. სტალინი პეტროგრადიდან მიდის სტარაია რუსაში, დასავლეთის ფრონტის შტაბში.

21 მაისი. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით აცნობებს ვ. ი. ლენინს და რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გატჩინასთან ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

22 მაისი. ი. ბ. სტალინი სტარაია რუსადან მიდის გატჩინის რაიონში, რომელსაც თეთრები უშუალოდ ემუქრებოდნენ.

25 მაისი. ი. ბ. სტალინი კრონშტადტში ეცნობა ბალტიის ფლოტის მდგომარეობას.

ი. ბ. სტალინი ათვალიერებს ფრონტის კარელიის უბნის სიმაგრეებს.

28 მაისი. ი. ბ. სტალინი ფრონტიდან ბრუნდება პეტროგრადში.

30 მაისი. ი. ბ. სტალინი ატარებს თათბირს მთავარსარდალთან, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს, დასავლეთის ფრონტის სარდლობის, VII არმიისა და ბალტიის ფლოტის წარ-

მომადგენლებთან პეტროგრადის მისადგომების დაცვის საკითხზე.

ივნისის დამდეგი. ი. ბ. სტალინი პეტროგრადის დამცველ ჯარებს მიმართავს მოწოდებით ფრონტზე დეზერტირებთან და მოღალატეებთან ბრძოლის შესახებ.

8 — 9 ივნისი. ი. ბ. სტალინი იმყოფება ფრონტის ნარვის უბანზე.

10 ივნისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინს ავალებს დასავლეთის ფრონტის მმართველობის ცენტრალიზაციის გატარებას.

18 ივნისი. ი. ბ. სტალინი, ფორტებზე კრასნაია გორკასა და სერაია ლოშადზე კონტრრევოლუციური ამბოხების დაწყებასთან დაკავშირებით, ბრძანებას იძლევა — ბალტიის ფლოტის ხომალდები გაყვანილ იქნან გარე რეიდზე ფორტ კრასნაია გორკასათვის ყუმბარების დასაშენად და მითითებას იძლევა — ორანიენბაუმში შეიქმნას ჯარების სანაპირო ჯგუფი კრასნაია გორკას წინააღმდეგ ხმელეთიდან შეტევისათვის.

14 ივნისი. ი. ბ. სტალინი ორანიენბაუმში ჩადის და ატარებს თათბირს საზღვაო და სახმელეთო სარდლობის წარმომადგენლებთან, სანაპირო ჯგუფის ნაწილების მეთაურებთან და კომისრებთან კრასნაია გორკაზე შეტევის გეგმის საკითხზე.

15 ივნისი. ი. ბ. სტალინი ორანიენბაუმიდან მიდის საბრძოლო მოქმედების რაიონში კრასნაია გორკას აღების ოპერაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

16 ივნისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს წითელი არმიის ნაწილების მიერ ფორტების კრასნაია გორკასა და სერაია ლოშადის აღებას.

ი. ბ. სტალინი მიდის ფორტ კრასნაია გორკაზე და მონაწილეობს ბალტიის ფლოტის მეზღვაურებისა და წითელი არმიის ნაწილების მიტინგში.

22 ივნისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს პეტროგრადის ფრონტზე წითელი არმიის ნაწილების შეტევის დაწყებას.

28 ივნისი. ი. ბ. სტალინი მისალმებას უგზავნის I მსროლელთა დივიზიას და ონეგის ფლოტილიისა და ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებმაც აიღეს ვიდლიცა — თეთრფინელთა სამხედრო ბაზა ფინეთის საზღვრებთან.

3 ივლისი. ი. ბ. სტალინი მოსკოვში ჩადის.

3 — 4 ივლისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

5 ივლისი. ი. ბ. სტალინი დაინიშნა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად.

8 ივლისი. გაზეთ «პრავდაში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის საუბარი «პრავდის» კორესპონდენტთან პეტროგრადის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

9 ივლისი. ი. ბ. სტალინი ჩადის სმოლენსკში, დასავლეთის ფრონტის შტაბში.

13 ივლისი. ი. ბ. სტალინი მინსკში ლიტვა-ბელორუსიის მთავრობის წევრებთან ატარებს თათბირს მთავრობისა და თავდაცვის მინსკის საბჭოს დათხოვნისა და ფრონტის ორგანოებში მათი წევრების შესვლის საკითხზე.

23 ივლისი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დი-

რექტივას პეტროგრადისა და დასავლეთის საოლქო სამხედრო კომისარიატებისადმი თავდაცვის ქვანძების მოწყობის შესახებ.

5 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებას პეტროგრადის გამაგრებული რაიონის შექმნის შესახებ.

ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას ფრონტის არმიებისადმი პეტროგრადის მისადგომებზე თეთრების განადგურებისა და პსკოვის დაკავების შესახებ.

11 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისადმი წერილში იუწყება დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

13 აგვისტო. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს დასავლეთის ფრონტის XVI არმიის მოქმედების რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ.

26 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აუწყებს წითელი არმიის ნაწილების მიერ პსკოვის აღებას.

აგვისტო. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს დასავლეთის ფრონტის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მუშაკთა საგანგებო თათბირს «მოქმედ ნაწილებში პოლკის კომისრისათვის ინსტრუქციის» შესამუშავებლად.

2 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს დვინსკთან წითელი არმიის ნაწილების კონტრშეტევის დაწყებას.

10 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სმოლენსკიდან მოსკოვს მიდის.

15 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სმოლენსკში ბრუნდება.

25 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სმოლენსკიდან მოსკოვს მიდის.

26 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა გაგზავნოს ი. ბ. სტალინი სამხრეთის ფრონტზე დენიკინის განადგურების მოსაწყობად.

27 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ინიშნება სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად.

ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სხდომაში. ი. ბ. სტალინის წინადადებით მიღებულია გადაწყვეტილებანი სამხრეთის ფრონტზე გასაგზავნად დასავლეთის ფრონტის პოლკებისაგან ნაკრები დივიზიის შექმნისა და სამხრეთის ფრონტის ფორმირებათა სამმართველოს შექმნის შესახებ.

28 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სმოლენსკში ჩადის.

30 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სმოლენსკიდან მოსკოვს მიდის.

2 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სხდომაში. ი. ბ. სტალინის წინადადებით გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთის ფრონტზე გასაგზავნი ლატვიელთა დივიზიის შევსების შესახებ.

3 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ჩადის სოფელ სერგიევსკოეში, სამხრეთის ფრონტის შტაბში.

9 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას ორიოლთან დენიკინის არმიის წინააღმდეგ სამოქმედოდ ჯარების დამკვრელი ჯგუფის შექმნის შესახებ.

11 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი სერგიევსკოედან მიდის სერპუხოვში სამხრეთის ფრონტის შტაბის გადასვლის გამო.

15 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში წამოაყენა დენიკინის წინააღმდეგ ვორონეჟის რაიონიდან ხარკოვ-დონბასით როსტოვისაკენ შეტევის სტრატეგიული გეგმა.

17 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას XIV არმიის სარდლობისადმი ორიოლის დაკავების შესახებ. 20 ოქტომბერს ორიოლი აიღეს წითელი არმიის ნაწილებმა.

20 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას ფრონტის არმიებისადმი დენიკინის უკანდახეული არმიების დადევნებისა და მთავარი დარტყმის კურსკისაკენ მიმართვის შესახებ.

25 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს ვორონეჟთან ბუდიონის ცხენოსანი კორპუსის მიერ შკუროსა და მამონტოვის ცხენოსანი კორპუსების განადგურებასა და წითელი ჯარების მიერ ვორონეჟის აღებას.

30 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი სერპუხოვიდან მიდის სამხრეთის ფრონტის საბრძოლო მოქმედების რაიონში.

8 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ფრონტიდან სერპუხოვში ბრუნდება.

4 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მოსკოვს მიდის.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაში. ი. ბ. სტალინის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთის ფრონტისათვის მაშველი ძალების გაგზავნის შესახებ.

9 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ბრუნდება სერპუხოვში, სამხრეთის ფრონტის შტაბში.

ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას მთელ ფრონტზე შეტევის განვითარებისა და დენიკინის ჯარების კურსკის ჯგუფის განადგურების შესახებ.

11 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის წინადადებით სამხრეთის ფრონტის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ცხენოსანი არმიის შექმნის შესახებ.

ნოემბრის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ადგილებში საბჭოთა ხელისუფლების შექმნის ინსპექციის ინსტრუქციისა და სამხრეთის ფრონტის რაიონში რევოლუციური კომიტეტებისათვის ინსტრუქციის შემუშავებას.

16 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მოსკოვს მიდის.

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სხდომაში ცხენოსანი არმიის შექმნის საკითხის განხილვისას.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ბრუნდება სერპუხოვში, სამხრეთის ფრონტის შტაბში.

19 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებას I ცხენოსანი კორპუსისათვის ცხენოსანი არმიის დარქმევის შესახებ.

21 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის III ყრილობის დელეგატთა წინასწარ თათბირში, რომელიც მოსკოვში ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

22 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის გახსნისას.

27 ნოემბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დადგენილება გამოიტანა ი. ბ. სტალინის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ პეტროგრადის დაცვაში მისი დამსახურებისა და სამხრეთის ფრონტზე თავდადებული მუშაობის აღსანიშნავად.

ი. ბ. სტალინი სერპუხოვიდან მიდის სამხრეთის ფრონტის საომარი მოქმედების რაიონში.

29 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ვორონეჟში ჩადის.

5 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მიდის სადგურ კასტორნაიაში, საიდანაც სტარი ოსკოლში მიემგზავრება.

6 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ჩადის I ცხენოსანი არმიის მოქმედების რაიონში (სოფელი ველიკო-მიხაილოვკა, ნოვი ოსკოლის ახლოს).

სამხრეთის ფრონტისა და I ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე ი. ბ. სტალინმა წარმოთქვა სიტყვა დენიკინის განადგურების გეგმის განხორციელებაში I ცხენოსანი არმიის ამოცანების შესახებ.

6 — 7 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ეცნობა ცხენოსანი არმიის ნაწილების მდგომარეობას და საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობას.

7 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი და ს. მ. ბუდიონი ათვალიერებენ ბრძოლის ველს ველიკო-მიხაილოვკასთან.

8 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ნოვი ოსკოლში ჩადის.

9 დეკემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

10 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ვორონეჟში ჩადის.

12 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ფრონტიდან ბრუნდება სერპუხოვში, სამხრეთის ფრონტის შტაბში.

ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას ფრონტის არმიებისადმი კიევისა და დონბასის აღების შესახებ.

13 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სერპუხოვიდან მოსკოვს მიდის.

17 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან სერპუხოვში ბრუნდება.

18 დეკემბერი. გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდაში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის მისალმება სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელით პეტროგრადის მუშებისადმი, რომელშიც გამოთქმულია მადლობა სამხრეთის ფრონტისათვის დახმარების გაწევის გამო.

26 დეკემბერი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში». სტატია დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 293-ე ნომერში 28 დეკემბერს.

29 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სერპუხოვიდან მოსკოვს მიდის.

1920

8 იანვარი. ი. ბ. სტალინი ორიოლში ჩადის.

ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექ-

ტივას ფრონტის არმიებისადმი როსტოვის დაკავების შესახებ.

5 იანვარი. ი. ბ. სტალინი ჩადის კურსკში, სამხრეთის ფრონტის შტაბში.

10 იანვარი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს ბუდიონის ცხენოსანი ჯარის ნაწილების მიერ როსტოვის დაკავებას.

ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებას ფრონტის არმიებისადმი, რომლითაც მიუღოცა მათ დენიკინის არმიების განადგურება და დონბასისა და როსტოვის დაკავება.

11 იანვარი. ი. ბ. სტალინი კურსკიდან მიდის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე * X.IV არმიის მოქმედების რაიონში.

13 იანვარი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას ფრონტის არმიებისადმი შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ უკანდახეული დენიკინის არმიების დადევნების შესახებ.

14 იანვარი. ი. ბ. სტალინი ფრონტიდან კურსკში ბრუნდება.

15 იანვარი. ი. ბ. სტალინი კურსკიდან მოსკოვს მიდის.

20 იანვარი. ი. ბ. სტალინმა სახკომსაბჭოს სხდომაზე განცხადება გააკეთა «უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს დებულების» შესახებ. სახკომსაბჭომ «დებულება» დაამტკიცა და ი. ბ. სტალინი უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა.

---

* 1920 წლის 10 იანვარს სამხრეთის ფრონტს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი დაერქვა.

2 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან ჩავიდა კურსკში, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბში.

7 თებერვალი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე ი. ბ. სტალინი შეყვანილ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული რსფს რესპუბლიკის ფედერაციული მოწყობის საკითხთა შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობაში.

10 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ხარკოვში ჩადის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოსა და შტაბის იქ გადასვლის გამო.

12 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ატარებს უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს წევრთა წინასწარ თათბირს.

13 თებერვალი. ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით აცნობებს ვ. ი. ლენინს უკრაინის შრომითი არმიის შექმნის ღონისძიებებს.

16 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს პირველ სხდომას, რომელზეც აკეთებს მოხსენებას შრომითი არმიის საბჭოს ჩამოყალიბებისა და მისი ამოცანების შესახებ.

20 თებერვალი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს დადგენილებებს დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მილიტარიზაციისა და მუშების პირველი საჭიროების საგნებით მომარაგების შესახებ.

7 მარტი. ი. ბ. სტალინი უკრაინის შრომითი არმიისადმი ბრძანებაში მიმართავს უკრაინის შრომითი არმიის შემადგენლობაში შეყვანილი 42-ე დივიზიის მებრძოლებს, მეთაურებსა და კომისრებს და მოუწოდებს მათ გამარჯვება მოიპოვონ ქვანახშირისათვის ბრძოლაში.

9 მარტი. ი. ბ. სტალინი ატარებს უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს წევრთა, უკრაინის სახკომსაბჭოს წევრთა და სხვა ორგანიზაციების თათბირს სასურსათო მუშაობის საკითხზე.

15 მარტი. ი. ბ. სტალინი ატარებს უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს საგანგებო სხდომას დონეცის გუბერნიის საზღვრების დაწესების შესახებ ვ. ი. ლენინის წინადადებასთან დაკავშირებით.

17 — 23 მარტი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს უკრაინის კ. პ. (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციის მუშაობას ხარკოვში.

17 მარტი. ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კ. პ. (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციის გახსნისას.

19 მარტი. ი. ბ. სტალინმა უკრაინის კ. პ. (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

20 მარტი. ი. ბ. სტალინმა უკრაინის კ. პ. (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენების გამო.

23 მარტი. ი. ბ. სტალინი უკრაინის კ. პ. (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციაზე არჩეულ იქნა რკპ(ბ) IX. ყრილობის დელეგატად.

ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კ. პ. (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციის დახურვისას.

ი. ბ. სტალინი ხარკოვიდან მოსკოვს გაემგზავრა.

29 მარტი — 5 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) IX ყრილობის მუშაობაში.

1 აპრილი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) IX ყრილობის სხდომაზე არჩეულ იქნა პროფესიული კავშირებისა და მათი ორგანიზაციის საკითხზე რეზოლუციის შემმუშავებელ კომისიაში.

4 აპრილი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) IX ყრილობაზე არჩეულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

5 აპრილი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და საორგანიზაციო ბიუროს წევრად.

16 აპრილი. ი. ბ. სტალინმა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განცხადება გააკეთა დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

28 აპრილი. ი. ბ. სტალინის სტატია «ლენინი, როგორც რკპ ორგანიზატორი და ბელადი» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 86-ე ნომერში.

ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტში შემდგარ კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 50 წლისთავისადმი.

29 აპრილი — 2 მაისი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებენ პოლონეთთან ომის გამო აგიტაციის დაყენების შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისების შემუშავებაში.

4 მაისი. ი. ბ. სტალინი სახკომსაბჭოს სხდომაზე დანიშნულ იქნა ავტონომიური თათრეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საკითხზე გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარედ.

10 მაისი. ი. ბ. სტალინი შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით დანიშნულ იქნა დასავლეთის ფრონტის არმიების ტანსაცმლით მომარაგების კომისიის თავმჯდომარედ.

14 მაისი. ი. ბ. სტალინმა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა დასავლეთის ფრონტის არმიების ტანსაცმლით მომარაგების შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ი. ბ. სტალინი დაინიშნა ვაზნებით, შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით არმიის მომარაგების საკითხსა და ვაზნებისა და იარაღის ქარხნების მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხზე გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარედ.

17 მაისი. ი. ბ. სტალინი ატარებს ვაზნებით, შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით არმიის მომარაგების და ვაზნებისა და იარაღის ქარხნების მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხზე გამოყოფილი კომისიის სხდომას.

20 მაისი. გაზეთ «იზვესტიაში» გამოქვეყნდა მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარ ი. ბ. სტალინის მიერ ხელმოწერილი «ინსტრუქცია არჩევნების წესისა და მუშურ-გლეხურ ინსპექციაში მუშებისა და გლეხების მონაწილეობის შესახებ».

21 მაისი. ი. ბ. სტალინმა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ვაზნებით, შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით არმიის მომარაგების საკითხზე გამოყოფილი კომისიის მუშაობის შედეგებზე.

25 და 26 მაისი. ი. ბ. სტალინის სტატია «ანტანტის ახალი ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 111 და 112-ე ნომრებში.

26 მაისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა რესპუბლიკაზე პოლონეთის თავდასხმასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გზავნის.

27 მაისი. ი. ბ. სტალინი ჩადის ხარკოვში, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბში.

29 მაისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს დეპეშით აცნობებს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყირიმის უბნის გასამაგრებლად მიღებულ ღონისძიებებს.

ი. ბ. სტალინი ხარკოვიდან კრემენჩუგს მიდის.

31 მაისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე არსებულ მდგომარეობას.

ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას XIII და XIV არმიების სარდლობისადმი ოდესის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ივნისის დამდეგი. ი. ბ. სტალინი კრემენჩუგში ატარებს თათბირს I ცხენოსანი არმიის მეთაურებთან და სიტყვას ამბობს ფრონტზე არსებული მდგომარეობისა და ცხენოსანი არმიის მოქმედების გეგმის საკითხზე.

3 ივნისი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დირექტივას I ცხენოსანი არმიის სარდლისადმი პოლონეთის ჯარების კიევის ჯგუფის განადგურების შესახებ.

12 ივნისი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს სწერს წერილს, რომელშიც მოჰყავს შენიშვნები ნაციონალურ და კოლონიურ საკითხზე ვ. ი. ლენინის თეზისების

პროექტისათვის, რაც კომინტერნის II კონგრესს უნდა წარდგენოდა.

ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს, რომ წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს კიევი.

20 ივნისი. ი. ბ. სტალინი კრემენჩუგიდან ხარკოვში ბრუნდება.

24 ივნისი. ი. ბ. სტალინი მიდის სინელნიკოვოში (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყირიმის უბანი).

ხარკოვის გაზეთ «კომუნისტში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის საუბარი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს უკრაინის განყოფილების თანამშრომელთან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

8 ივლისი. ი. ბ. სტალინი სინელნიკოვოდან ხარკოვში ბრუნდება.

7 ივლისი. ი. ბ. სტალინი მოსკოვს მიდის.

11 ივლისამდე. ი. ბ. სტალინი მთავარსარდალთან, საველე შტაბის უფროსთან და რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ატარებს თათბირს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყირიმის უბანზე მაშველი ძალების გაგზავნის შესახებ.

11 ივლისი. გაზეთ «პრავდაში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის საუბარი «პრავდის» თანამშრომელთან პოლონეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

12 ივლისი. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან ბრუნდება ხარკოვში, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბში.

14 ივლისი. ი. ბ. სტალინი მიდის ვოლნოვახაში (ფრონტის ყირიმის უბანი).

16 ივლისი. ი. ბ. სტალინი ჩავიდა მარიუპოლში, სადაც გაეცნო აზოვის ფლოტის მდგომარეობას.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იღებს ი. ბ. სტალინის მიერ წარდგენილ წინადადებებს ვრანგელის განადგურების მოსაწყობად. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ აცნობებს ი. ბ. სტალინს.

19 ივლისამდე. ი. ბ. სტალინმა დაწერა პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილისა პარტიული ორგანიზაციებისადმი ყირიმის ფრონტზე გასაგზავნად კომუნისტების მობილიზაციის შესახებ. ვ. ი. ლენინის წინადადებით წერილი დაეგზავნათ პარტიულ ორგანიზაციებს.

19 ივლისი. ი. ბ. სტალინი ვოლნოვახიდან ლოზოვაიაში ჩადის.

20 ივლისი. ი. ბ. სტალინი ფრონტიდან ხარკოვში• ბრუნდება.

31 ივლისი. ი. ბ. სტალინი ლოზოვაიაში მიდის.

2 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისაგან იღებს ცნობას, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გადაწყვიტა ვრანგელის ფრონტი დამოუკიდებელ ფრონტად გამოიყოს. პოლიტბიურო ი. ბ. სტალინს ავალებს ჩამოაყალიბოს ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო და მთელი ყურადღება ამ ფრონტს მიაპყროს.

7 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს აცნობებს, რომ წითელი არმიის ნაწილებმა გადალახეს დნეპრი და დაიკავეს ალიოშკი, კახოვკა და სხვა პუნქტები დნეპრის მარცხენა ნაპირზე.

9 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ლოზოვაიადან ალექსანდროვსკში ჩადის.

14 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ფრონტიდან ხარკოვში ბრუნდება.

17 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მოსკოვს მიდის.

18 აგვისტო. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიისა და ციმბირის ბიუროებს, რკპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტსა და დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს უგზავნიან დირექტივებს ყირიმის ფრონტისათვის დახმარების ღონისძიებათა შესახებ.

25 აგვისტო. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის წარდგენილ ბარათში იძლევა რესპუბლიკის საბრძოლო რეზერვების შექმნის პროგრამას.

22 — 25 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის მუშაობაში.

22 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციაზე გამოდის კამათში ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო.

10 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 226-ე ნომერში.

15 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ მუშაკთა სრულიად რუსეთის I თათბირის გახსნისას.

16 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში და აზერბაიჯანში.

18 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი დონის როსტოვში ჩადის და ეცნობა პარტიული მუშაობის მდგომარეობას.

21 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი კავკავში ჩადის.

26 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და ვ. ი. ლენინს უგზავნის ცნობას კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

27 — 29 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირის მუშაობას კავკავში.

27 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირზე გააკეთა მოხსენება «რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ».

30 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი კავკავიდან ბაქოს მიდის.

1 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრებთან ერთად საქართველოსთან მოლაპარაკებისა და სომხეთში არსებული მდგომარეობის საკითხებზე.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე გააკეთა მოხსენება «პროლეტარული დიქტატურის სამი წელი».

9 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს და ბაქოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება აზერბაიჯანში პარტიული და საბჭოთა მუშაობის ამოცანების შესახებ.

12 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი თემირ-ხან-შურაში ჩადის.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა პარტიული აქტივის კრებაზე გააკეთა მოხსენება დაღისტნის ავტონომიის გამოცხადებასთან დაკავშირებით პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანების შესახებ.

ი. ბ. სტალინმა დაღისტნის ხალხთა ყრილობაზე წაიკითხა დეკლარაცია დაღისტნის საბჭოთა ავტონომიის შესახებ.

16 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი კავკავში ჩადის.

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა თერგის ოლქის ხალხთა ყრილობაზე გააკეთა მოხსენება «თერგის ოლქის საბჭოთა ავტონომიის შესახებ».

ი. ბ. სტალინმა მიიღო თერგის ოლქის ხალხთა ყრილობის დელეგატების — ყაზაკთა და გლეხთა ფრაქციის წევრების ჯგუფი.

20 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი კავკავიდან მოსკოვს მიდის.

30 ნოემბერი. გაზეთ «პრავდაში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის საუბარი «პრავდის» თანამშრომელთან კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

4 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» 273-ე ნომერში.

22 — 29 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის მუშაობაში.

29 დეკემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

შინაარსი

83·

წინასიტყვაობა VII

1917

სიტყვა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობაზე ჰელსინგფორსში 1917 წ. 14 ნოემბერს 1

პასუხი ამხანაგ უკრაინელებს ზურგში და ფრონტზე 6

უკრაინის რადის შესახებ. სიტყვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 14 დეკემბერს 16

რა არის უკრაინის რადა? 20

ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ. მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 22 დეკემბერს (საგაზეთო ანგარიში) 24

«თურქეთის სომხეთის» შესახებ 27

1918

გამოსვლა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გერმანელებთან ზავის საკითხზე 1918 წ. 11 იანვარს (მოკლე საოქმო ჩანაწერი) . . . 29

კიევის ბურჟუაზიული რადის შესახებ . . . 31

გამოსვლები მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე. 1918 წ. 10 — 18 იანვარი . . . 33 — 41

1. მოხსენება ნაციონალურ საკითხზე 15 იანვარს (საგაზეთო ანგარიში) 33

2. პროექტი რეზოლუციისა რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ . . . 35

3. საბოლოო სიტყვა ნაციონალურ საკითხზე მოხსენების გამო 15 იანვარს (საგაზეთო ანგარიში) . . 36

ტელეფონოგრამა რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტს. 1918 წ. 21 თებერვალი 42

დეპეშა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს. 1918 წ. 21 თებერვალი . . 43

ბარათი პირდაპირი მავთულით უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს. 1918 წ. 24 თებერვალი. 45

უკრაინის კვანძი 49

თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ 53

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით 55

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ორგანიზაცია. საუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან . 72 — 79

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფედერაციები . . 72

რით განსხვავდება მათგან რუსეთის ფედერაცია, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია 73

რუსეთის ფედერაციის კონსტრუქციის პრინციპები . 74

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობა ფედერირებული ოლქების უფლებანი. ნაციონალურ უმცირესობათა უფლებანი 75
76

ცენტრალური ხელისუფლების კონსტრუქცია . . 77

ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო . . . 78

ფედერალიზმის გარდამავალი როლი 78

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური მშენებლობის პროცესი. ფედერალიზმი რუსეთში გარდამავალი საფეხურია სოციალისტური უნიტარიზმისაკენ . . 79

ერთ-ერთი მოკრიბი ამოცანა 80

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი დებულებანი. პროექტი, მიღებული სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის მიერ 85

დეკეშა თურქესტანის მხარის საბჭოების V ყრილობას. 1918 წ. 22 აპრილი 87

საზავო მოლაპარაკება უკრაინასთან. საუბარი გაზეთ «იზვესტიას» თანამშრომელთან . . . . . 88 — 91

დროებითი ზავის დადება 88

შემდგომი მოლაპარაკება 88

უკრაინაში მომხდარი გადატრიალების გავლენა . . 89

გადატრიალების მიზეზები 90

გამოსვლები თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამფუძნებელი ყრილობის მომწვევ თათბირზე 1918 წ. 10 — 16 მაისს . . 92 — 100

1. სიტყვა თათბირის გახსნისას 10 მაისს . . . 92

2. სიტყვა თათბირის დახურვისას 16 მაისს . . . 98

მოკრიბი სიცრუე 101

მდგომარეობა კავკასიაში . . . . . 103 — 108

I. ამიერკავკასია 103

II. ჩრდილოეთი კავკასია 106

კავკასიაში არსებული მდგომარეობისათვის. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატისაგან . . 109

დონის ოლქისა და ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ. (ფაქტები და ყალთაბანდობა) 112

დეპეშა ვ. ი. ლენინს. 1918 წ. 7 ივნისი 125

წერილი ვ. ი. ლენინს. 1918 წ. 7 ივლისი . . . 127

წერილი ვ. ი. ლენინს. 1918 წ. 10 ივლისი . . . 129

წერილი ვ. ი. ლენინს. 1918 წ. 4 აგვისტო . . . 131

წერილი ვ. ი. ლენინს. 1918 წ. 31 აგვისტო . . . 136

დეპეშა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სვერდლოვს. 1918 წ. 31 აგვისტო 137

დეპეშა სახკომსაბჭოს. 1918 წ. 6 სექტემბერი . . 138

დეპეშა ცარიცინში ფრონტის სარდალს ვოროშილოვს. 1918 წ. 19 სექტემბერი . . . 139

სამხრეთის ფრონტზე. საუბარი გაზეთ «იზვესტიას» თანამშრომელთან 140

მოვლენათა ლოგიკა (მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის «თეზისების» გამო) . . . . . 143 — 156

I. ოქტომბრის გადატრიალების შესახებ . . . 143

II. პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ . . 146

III. წვრილბურჟუაზიული არევდარევა . . . 150

IV. შემდეგ კი რა? 153

სიტყვა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმზე სამხრეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ 1918 წ. 29 ოქტომბერს (საგაზეთო ანგარიში) . 157

სამხრეთ რუსეთის შესახებ. საუბარი გაზეთ «პრავდის» კორესპონდენტთან . . . . . 159 — 163
სამხრეთის ფრონტის დიდი მნიშვნელობა . . . 159
ცარიცინი, როგორც დარტყმის ცენტრი . . . 160
რაშია ჩვენი არმიის ძალა? 161
ოქტომბრის გადატრიალება (1917 წლის 24 და 25 ოქტომბერი პეტროგრადში) 164
ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი . . . . . 168 — 181
I. თებერვლის რევოლუცია და ნაციონალური საკითხი 168
II. ოქტომბრის რევოლუცია და ნაციონალური საკითხი 171
III. ოქტომბრის გადატრიალების მსოფლიო მნიშვნელობა 177
შუაკედელი 182
ნუ დაივიწყებთ აღმოსავლეთს 185
ცხრაინა თავისუფლდება 189
სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის 193
საქმე წინ მიდის 199

1919

წერილი ვ. ი. ლენინს აღმოსავლეთის ფრონტიდან. 1919 წ. 5 იანვარი 203
მოხსენება ვ. ი. ლენინს 207
სიტყვა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე ვიატკაში 1919 წ. 19 იანვარს (საოქმო ჩანაწერი) 213
პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თავდაცვის საბჭოს კომისიის ანგარიში ამხანაგ ლენინისადმი 1918 წლის დეკემბერში პერმის დაცემის მიზეზების შესახებ . . . . . 215 — 246

კატასტროფის საერთო სურათი 215
მესამე არმია და რეზერვები 223
დასკვნები 228
არმიის მართვის წესი და ცენტრის დირექტივები . 229
დასკვნები 232
ზურგის არაუზრუნველყოფილობა და პარტიულ-საბჭოთა დაწესებულებების მუშაობა . . . 234
დასკვნები 237
მომარაგებისა და ევაკუაციის ორგანოები . . . 238
დასკვნები 241
მატერიალური ნაწილისა და ადამიანთა მთელი დანაკარგი 243
ფრონტის განსამტკიცებლად მიღებული ზომები . . 244

მთავრობის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. 247
თურქესტანის დეპუტატთა საბჭოებს და პარტიულ ორგანიზაციებს 252

ორი ბანაკი 254

ჩვენი ამოცანები აღმოსავლეთში 259

ორი წლის მანძილზე 263
იმპერიალიზმის რეზერვები 268

რკპ(ბ) VIII ჟრილობაზე სამხედრო საკითხის შესახებ წარმოთქმული სიტყვიდან. 1919 წ. 21 მარტი 273

სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ. მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1919 წლის 9 აპრილის სხდომაზე (საგაზეთო ანგარიში) 275

ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო . . . 276

სახელმწიფო კონტროლის საბანგებო რევიზორისათვის შჩიგრიში გაგზავნილი დეპეშა. 1919 წ. 7 მაისი. 281

ბარათი პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინს პეტროგრადიდან. 1919 წ. 25 მაისი 283
დეპეშა ვ. ი. ლენინს. 1919 წ. 16 ივნისი . . . 286
ბარათი პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინს პეტროგრადიდან. 1919 წ. 18 ივნისი 287
პეტროგრადის ფრონტის შესახებ. საუბარი გაზეთ «პრავდის» კორესპონდენტთან . . . . . 290 — 297
1. პეტროგრადის მისადგომები 290
2. მოწინააღმდეგის ძალები 291
3. მოწინააღმდეგის ვარაუდი 292
4. მდგომარეობა ფრონტზე 293
5. ფლოტი 295
6. შედეგები 296
წერილი ვ. ი. ლენინს დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. 1919 წ. 11 აგვისტო 298
წერილი ვ. ი. ლენინს სამხრეთის ფრონტიდან. 1919 წ. 15 ოქტომბერი 301
დეპეშა ვ. ი. ლენინს. 1919 წ. 25 ოქტომბერი . . . 305
სიტყვა, წარმოთქმული აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის გახსნისას 1919 წ. 22 ნოემბერს 306
მისალმება პეტროგრადს სამხრეთის ფრონტისაგან 309
სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში . . 310 — 320
I. ანტანტის გეგმების ჩაფუშვა 310
II. კონტრრევოლუციის დამარცხების მიზეზების შესახებ 312
III. ახლანდელი მდგომარეობა სამხრეთის ფრონტზე . 317

1920

ბრძანება უკრაინის შრომითი არმიისადმი. 1920 წ. 7 მარტი 321

ბამოსვლები უკრაინის კ. პ. (ბ) IV კონფერენციაზე. 1920 წ. 17 — 23 მარტი . . . . . 323 — 334

1. სიტყვა კონფერენციის გახსნისას 17 მარტს . . 323
2. მოხსენება ეკონომიური პოლიტიკის შესახებ 19 მარტს 324
3. საბოლოო სიტყვა ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენების გამო 20 მარტს 332
4. სიტყვა კონფერენციის დახურვისას 23 მარტს . 333

ლენინი, როგორც რკპ ორგანიზატორი და ბელადი . . . . . 335 — 345

I. ლენინი, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი 337

II. ლენინი, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ბელადი 341

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის კრებაზე ვ. ი. ლენინის დაბადების 50 წლისთავის გამო 1920 წ. 23 აპრილს 346

ანტანტის ახალი ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ . . . . . 349 — 358

I. საერთო ვითარება 350

II. ზურგი. დარტყმის რაიონი 353

III. პერსპექტივები 357

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. საუბარი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს უკრაინის განყოფილების თანამშრომელთან . . . . . 359 — 364

გარღვევა 359

გარღვევის შედეგები 360

პოლონელთა მესამე არმიის ბედი 361
მდგომარეობა ფრონტზე 362
დასკვნები 362
ყირიმის ფრონტი 364
დეპეშა ვ. ი. ლენინს. 1920 წ. 25 ივნისი 365
პოლონეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. საუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან . . . . . 366 — 371
1. მაისი — ივნისი 366
2. ჟიტომირის გარღვევა 367
3. გარღვევის შედეგები 368
4. საფრთხე სამხრეთიდან 369
5. გახსოვდეთ ვრანგელი 371
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს. ცნობა გაზეთ «კრასნოარმეეცს» 372
უველა პარტიულ ორგანიზაციას. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილის პროექტი 374
რესპუბლიკის საბრძოლო რეზერვების შექმნის შესახებ . . . . . 376 — 381
1. ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი. 1920 წ. 25 აგვისტო 376
2. განცხადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი. 1920 წ. 30 აგვისტო . . 378
საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში 382
სიტყვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ მუშაკთა სრულიად რუსეთის I თათბირის გახსნისას 1920 წ. 15 ოქტომბერს . . 397
ავტორისაგან. ნაციონალურ საკითხზე დაწერილი სტატიების 1920 წელს გამოცემული კრებულის წინასიტყვაობა 403

რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მოხსენება დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირზე ქ. კავკავში 1920 წ. 27 ოქტომბერს 407

პროლეტარული დიქტატურის სამი წელი. მოხსენება ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1920 წ. 6 ნოემბერს 416 — 428

პირველი პერიოდი 417

მეორე პერიოდი 419

მესამე პერიოდი 422

პერსპექტივები 424

დაღისტნის ხალხთა ყრილობა. 1920 წ. 13 ნოემბერი . 429 — 434

1. დეკლარაცია დაღისტნის საბჭოთა ავტონომიის შესახებ 429

2. საბოლოო სიტყვა 433

თერგის ოლქის ხალხთა ყრილობა. 1920 წ. 17 ნოემბერი . . . . . 435 — 443

1. მოხსენება თერგის ოლქის საბჭოთა ავტონომიის შესახებ 435

2. საბოლოო სიტყვა 440

მდგომარეობა კავკასიაში. საუბარი გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან 444

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს! 449

შენიშვნები 451

ბიოგრაფიული ქრონიკა (1917 წ. ოქტომბერი — 1920 წ.) . 478

ილუსტრაციები

ხელნაწერი ი. ბ. სტალინის და ფ. ე. ძერჟინსკის წერილისა ვ. ი. ლენინისადმი. 1919 წლის 5 იანვარი . . . 205

ტირაჟი 20.000.
გადაეცა წარმოებას 27/VII-1954.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I—1955.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 34.
შეკვ. 995.
ფასი 6 მან.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის 50.